

კემალ ქირია

პელიტრისტიკა

ტომი 8

შავი,  
წითელი,  
ჭრილი...

(წიგნი მესამე ტრილოგიისა  
„კიბე იაკობისი“)

თბილისი 2008  
გამომცემლობა „საარი“

# ნაწილი 1

## შავი, წითელი...

ამ ტომში დასტამბულია ტრილოგიის მქამე წიგნი.

რომანის ტექსტი გამოქვეყნდა „ცენტრალ კიბერში“ (2001, 8, 9-10, 11-12, 2002, 1)

ბედნიერებთ, თქვენ გიღიმით ზეცა გულდია,  
აბა, შეხედეთ, როგორ ფრენებ ცაში მართებია,  
ამ სწორი გზიდან არასოდეს გადაუხეთოთ,  
ამ გზით, ბაგშებთ, კომუნიზმში მიგემართებით!

ნ. ლ-ძ

1

„მას უნდოდა ეთქვა „არა“, მაგრამ მის სველ ბაგეებს დას-  
ცდა „ჰო!“ მიხვდა, რომ შორს შეტოპა, უკან დასახევი გზა მოჭ-  
რილი ჰქონდა. საკმაოდ ბევრი იცოდა, ასეთი ცოდნა კი ნაღმია,  
რომლის უბეთი ტარება ბეწვზე გავლასა ნიშნავს, რადგან  
არავინ უწყის, ვინ და როდის დააჭერს ასაფეთქებელ ღილაკზე  
თითს. ძალა არავის დაუტანებია, საკუთარი მომავალი თვი-  
თონ გამოჭედა, მაგრამ რთულ კომბინაციათა გათვლაში ერ-  
თი ვარიანტი გამორჩა: თვითონაც ყულფში ყოფდა თავს და  
მარცხისათვის მცირედი შეცდომაც კმაროდა.

მუხის მძიმე კარი ფრთხილად მიხურა და ზურგით მიეყ-  
რდნო. ეს იყო წამიერი სისუსტე, სულის მოთქმის სურვილი...  
მისაღების სიჩუმეს არაფერი არღვევდა. მდივანმა ქალმა საკ-  
მაოდ ლამაზი, სლავური პირისახე მოაბრუნა, მკაცრი მზერა  
შეურბილდა, თითქოს ეკითხებოდა — „შეუძლოდ ხომ არა  
ხართ?“ ( გონების თვალსაწიერზე წამით დაიხატა: „მდივანი  
ქალი, რომელიც დაახრჩვეს!“ — მკვდარი, გადმოკარკლული  
თვალები, შემაზრზენად გადმოგდებული ენა!). ამან პირზე

© ფერია - „შავი, წითელი, ჭრელი...“

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

 გამოცემობა „საქონ“

ISBN 978-99940-60-40-5

ცბიერი ღიმილი აღიბეჭდა, რაც ნიშნავდა, უკეთ არასოდეს ვყოფილვარო, და დაიძრა, თან ქალის გაკვირვებული მზერა გაიყოლია. გრძელი დერეფნით საპარადო კიბისაკენ გაემართა. დერეფნის ორივე მხარეს ერთნაირი კარები ჩამწკრივებულიყო, ზედ გვარები და ინიციალები ეწერა. სიწყნარეს ხალიჩაზე ფეხსაცმელების ლანჩების შეხება თუ არღვევდა, თითქოს მორგი ყოფილიყოს და სქელ კედლებს მიღმა მიცვალებულები ესვენა. თუმცა იცოდა, სინამდვილეში იქ, მაგიდებს რესპექტაბელური, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცები უსხდნენ და ჩაჰერკიტებდნენ ქალალდებს, რომლებზეც წერა მწერლის დაწერილი ტექსტი ამოიკითხებოდა...

კიბის ბაქანზე ლიფტი გაჩერდა, კარები უხმაუროდ გაისხნა. კაბინაში ბნელოდა, ალბათ ნათურა გადაიწვა...

ნაბიჯი გადადგა და უცებ ფეხი სიცარიელეში მოხვდა, ჭის უკუნში გადავარდა, გაფრინდა...

„ააა!“ — შეჰქივლა....

ჭის ბნელი სიღრმიდან ვირთხამ ამოხვდა...

## 2

1993 წლის 21 დეკემბრის გარიურაუზე ტელეფონმა დარეკა.

ციოდა. დილის სინათლეს ბურუსი ვერ გაეფანტა, თითქოს ღამეს ეძნელებოდა წასვლა.

ოთახში მრუმე ჰაერი შედედებულიყო, კედლებიდან იწოვდა სიცივეს. თბილი ლოგინიდან ამ ჰატარა ციმბირეთში გადანაცვლება მეზარებოდა, მაგრამ ზარი არ მასვენებდა.

თვეზე მეტია, ტელეფონი გათიშულია, ვიღაცის ნებამ ამწუთას ჩართო.

რა ხდება? ვის გავახსენდი?

თავს ძალა დავატანე. წამოვჯექი. საბანი მოხერხებულად შემოვიკეცე, თუმცა შიგ სიცივე მაინც იპარება, მაურულებს.

ყურმილიც ცივია.

— ალ! — ტელეფონის ზონარი უხსენებელივით დაიგრავნა, ცივად ბზინავს.

— ბატონი ჯ. ბრძანდებით?

— დიახ!

— ვალიკო ვარ მე, თოლორაია!

„ვინ ვალიკო?“ — ფიქრი ნაცნობთა წრეს მიმოვატარე, მაგრამ ვერავინ მოვიგონე (ეჭ, რაღაც მესიერება მღალატობს ბოლო დროს, ნოოტროპინია საშოვნი!).

— ალბათ, არ გახსოვართ, პატივცემულო! — ყოყმანს მიმიხვდა. — ბიკენტის ვაჟი ვარ მე, თოლორაიასი, მერეთიდან გეხსომებათ, ალბათ, მამაჩემი!

მეხსომება და მეტი არა?! ვინც ოდესმე მერეთს გაჰკარებია, თოლორაიების გამორჩეულ ოჯახზე ჭორს მაინც მოჰკრავდა ყურს. „ვალიკო?“ — მეჩოთირა და გუნებაში სახელების რიგი ჩამოვამწკრივე: ვალიკო — ვილენი — ლესტანი — ლესტამბე! „აჭ, ეგ ლესტამბე თოლორაიაა, პატარა, წითური მაიმუნი მერეთიდან!“

„მას უნდოდა ეთქვა „არა“, მაგრამ მის სველ ბაგეებს დასცდა „ჰო!“ — ეს ადრე დავწერე, როცა ვცდილობდი ხელი წამეკრა, ცხოვრების ასპარეზზე გამეყვანა, მისი კუთვნილი ადგილი მიმეჩინა... ვერ შევძელი!.. დამეკარგა! ახლა კი, აგერ, ტელეფონით მირეკავს... თუ არ ვცდები, ორმოცი წელი გავიდა, რაც „მის სველ ბაგეებს დასცდა „ჰო!“ მერე რა მოხდა? რა მოუტანა ამ „ჰომ?“ რა გზებით იარა?“

„საინტერესოა!“ — გავითიქრე.

ყურმილში მოლოდინის ქშენა ისმოდა, ჩემი დუმილი თუ აღელვებდა.

— ჰო, ჩემო ვალიკო, რაზე შეწუხებულხარ?

— ხომ იცით, დარეკავაც ჭირს! — ხმაში საყვედური გაუკრთა. — მერეთიდან ძლივს შემატყობინეს... მთხოვეს, როგორმე თქვენთვისაც გადმომეცა...

— ჰო, გისმენ!

ასეც ვიცოდი, ამ ცივ, უსიამოვნო გარიურაუზე რაიმე საწყენი უნდა გამეგო.

— ეფრო ბებია გარდაიცვალა!

„ეფრო ბებია? — ვკითხე საკუთარ თავს. — ვინ ეფრო ბებია, კაცო?“

აპ, ეფრო ბებია? ეფროსინე? ნესტორ თოდუას თანამეც-  
ხედრე და ტატაჩის დედა.

დიახ, ყველაფერი ჩემი დაუდევრობის ბრალია!.. ცაცანა  
ტრამალების ქარაშოტიან მხარეში დავტოვე, ეფროს ხელი  
გავუზნდე, შინ ჩამოვიყვანე... კუშტად გახედა ეფრომ მაცხო-  
ვრისგორაზე წამომართულ ბელადს და ჩაილაპარაკა: „ფუი,  
ეშმაკს!“ (ეს იმ წიგნშია, „კვარცხლბეკი“ რომ დავარქვი და  
„განთიადში“ გამოვაქვეყნე კიდეც, ჰმ, თანაც უჰონორაროდ!).

მერე? მერე ვერ მოვიცალე დედაბრისათვის, სხვა ამბე-  
ბზე გადავერთე... არადა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა? ოდეს-  
შე ხომ მოკვდებოდა!.. ოღონდაც, ჩემი ვალი იყო, ბოლომდე  
მიმეცილებინა... მე უნდა დამეწერა მისი ცხოვრებისა და გარ-  
დაცვალების სცენარი... (კვლავაც უჰონორაროდ?.. მეც ხომ  
მინდა არსებობა!.. ჰმ!).

ამ არცთუ სასიხარულო ფიქრებმა თავში წამიერ გაირბი-  
ნა, ვალიკოდქცეული ლესტამბე კი ყურმილში არ ისვენებდა:

— ხომ იცით, მგზავრობა ძნელია! მატარებლები იგვიანე-  
ბენ, ვაგონებში ბალლინჯომ თუ არ შეგჭამა, გაითოშები! ავ-  
ტობუსიც სანდო არ არის... გზები გადაკეტილია... მსუბუქით  
წახვალ და კრიმინალები ჩამოგსვამე... ერთი ისეთი „ჭიჭიკო“  
ვინათხოვრე, ხელი არავის წაუცდება... იმით ვაპირებ გამგ-  
ზავრებას... თუ პატივს დამდებთ და წამობრძანებას ინებებთ,  
ვაგზალთან დაგელოდებით, პირველ საათამდე!

როგორ ცივა! მესამე წელია, გათბობა არ ჩართულა და  
ბინა გაიყინა... ქალაქში დენი გათიშულია და ქალაქიც გაიყი-  
ნა... ქვეყანაც გაიყინა...

თუმცა მერეთი დეკემბერშიც მერეთია... იქ გაუსაძლი-  
სად არასოდეს ცივა... სახლებში ბუხარია და შიგ ცეცხლი  
გიზგიზებს!.. ეფრო ბებიას კუბოს დავხედავ, მართალი თოდ-  
უას მივუსამძიმრება...

ორმოცი წელი...

ორმოცი წელი მთელი ცხოვრება!

— ჰო, დამელოდე! — ჩავილაპარაკე ყურმილში და აპა-  
რატზე ფრთხილად დავაბრუნე.

დრო ბევრი მაქვს, შემიძლია აუჩქარებლად ჩავიცვა, ჩაი-  
დავლიო, საწერ მაგიდას მივუჯდე...

ჩაცმა ვაუკაცობაა!.. საბანს გადავიგდებ და უმალ ცივი  
პაერი შემომეტმასნება, მაძაგძაგებს... ვჩქარობ! რაც უფრო  
სწრაფად ჩავიცვამ, მით უფრო მალე ჩავთბუნდები... პერანგის  
საყელო კისერზე ცივად შემომეტდობა, ეს ყველაზე არასასი-  
ამოვნო წამია, მაგრამ ვძლევ საკუთარ თავს და წუთნახევარ-  
ში ჩაცმული ვარ... მხრებზე ქურქს მოვიგდებ (ძველი, გაქუცუ-  
ლი ქურქი მაქვს, შინ სახმარი!).

ახლა არა მიშავს!

ირანულ ნავთქურას ვანთებ (შარშანდელი ზამთარი უნ-  
ავთქუროდ გავატარეთ!), ჩაიდანს შემოვდგამ (ნეტავ ნავთი  
თუ მეყოფა!)... სანამ აშიშინდება, საპარსს მოვიმზადებ, უნდა  
მოვწესრიგდე...

ონკანში წყალი არ მოდის, ხაპით ვისხამ, დაბანა კი არა,  
საცოდაობაა...

წყალწყალა ჩაი და პური, ამას საუზმე ჰქვია!

სანქრ მაგიდას მივუჯდები. ბოლო დროს იშვიათად ვახერ-  
ხებ ხოლმე. ფეხები მეყინება, ტანში მბურძგლავს, ალბათ,  
სიცივისაგან ტვინიც დედლება და იდეების დეფიციტს განვიცდი.

აი, საქაღალდე! შარშან იყო თუ შარშანწინ, ზონარით  
შევკარი და უჯრაში შევინახე... შემდეგ მოვლენების ქარბო-  
რიამ აღმა-დაღმა მატრიალა და თაბახის ეს ფურცლები სულაც  
მიმავიწყდა.

წვრილი, გაუგებარი ხელწერა...

პირველი ფრაზა... უსათვალოდ ამოკითხვა მიჭირს (უკ-  
ვე სამნახევარს ვხმარობ, პლუსით)... „მას უნდოდა ეთქვა  
„არა“... ნეტავი ვინ ოხერმა შეუშალა ხელი?.. თუ უნდოდა, ეთ-  
ქვა კიდეც! მაგრამ „არა“ რომ ეთქვა, მაშინ ის ლესტამბე კი არ  
იქნებოდა, დღეს ვალიკოდ წოდებული, არამედ არიქა ძაძუა,  
ანდა მართალი თოდუა, ანდა მავანი ვინმე სხვა ბუნებისა და  
სხვა ყაიდისა... ყველას არ ძალუს, თქვას „არა!“ („არამც და  
არამც არ მოგცემ სახელის გამოცვლის უფლებას!“ — ჩემთ-  
ვის დავიქადნე).

გადავფურცლე... ჯლანი ხელწერა მაქვს... ტექსტი ჯე-  
რაც უსათაუროა, თუმცა გონებაში სათაური იმთავითვე ტივ-  
ტივებდა — „ამბავი ლესტამბე თოლორაიას სიყვარულისა“.

საინტერესოა, რანაირი სიყვარული შეუძლია კაცს, რომ-  
ლის ყოველი კაპილარი სიძულვილითაა გავსებული!  
ოჰ, სიყვარულო, სიყვარულო!

3

გულგახეთქილი წამოჯდა. საწოლის უანგიანმა ზამბარამ  
უმნოდ დაიუღრიალა... ფუი, ეშმაკს!.. რა იყო ეს, რანაირი სიზ-  
მარი ნახა... ოთახში ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა... ძლივს გაიხ-  
სენა, წუხელ რომ მეძავი ჰყავდა. არაყი დალიეს... მერე აუხირ-  
და და გააგდო... ასაკსრული ქალი იყო, მიდიოდა და ილანძ-  
ლებოდა, ლესტამბეს კი თავი რუმბივით გასიებოდა და ვერ  
გაიხსენა, კარი მიუკეტა თუ არა...

ფეხები ძირს გადმოყარა. საფეთქლები სტკიოდა, თვა-  
ლის გახელა ეზარებოდა და ფლოსტებს ბრმად ეძებდა. ხელ-  
საბნისკენ ტატით წავიდა, თითქოს იატაკი ქანაობსო. ონკანი  
მოუშვა და ხელები წყალს შეუშვირა. ერთმანეთს მინებებულ  
წამწამებზე სველი თითები ამოისვა, გახსნა... კედლის სარკი-  
დან შავზე შავმა ჯოჯომ შემოჰილინა... სწრაფად დაიხარა,  
პირზე წყალი შეისხა, საბოლოოდ გამოფხიზლდა და კვლავ  
სარკეში ჩაიხედა. ახლალა იცნო თავისი სიფათი, გულდასმით  
დაათვალიერა...

(„ღმერთი რომ არსებობდეს, არ იკადრებდა ჩემთვის ასე-  
თი „როჟა“ შეერჩია, იდეაში მეც ხომ მისი მსგავსი უნდა ვიყო!“  
— წითელ მოედანზე, ვასილი ნეტარის ტაძრის წინ უთხრა ნატა-  
შას, იმან კი თვალი სწრაფად შეავლო და პირი მიაბრუნა).

ამოიხსრა. არ მოსწონდა ეს ნიღაბი: ნაჯახივით წინ წაშ-  
ვერილი ცხვირ-პირი, სველი ტუჩები, ცხენის ჩაყვითლებულ  
კბილებს ძლივს რომ მალავენ, უფერული თვალები, მეჩერი  
წარბები და ვიწრო შუბლი, ზევიდან ჟღალი, ბუნკა თმა რომ  
გადმოჰყრია... წვერიც ბუნკა-ბუნკა ეზრდებოდა აქა-იქ, მეჩერად...

„თანდათან ვავა ზარქუას ვემსგავსები!“ — ბოლმით გაი-  
ფიქრა. უკვირდა ეს მსგავსება ვავასთან („პირველად მუცელ-  
ში რომ გავინძერი, ალბათ, მაშინ შეხედა მაგ მყრალს დედაჩემ-

ბა!“), თუმცალა დაკვირვებულ თვალს შეეძლო ამოეკითხა მა-  
მის, ბიკენტის ლამაზი ნაკვთების კვალიც.

პირი შეიმშრალა, ოთახში შეპრუნდა. ფანჯრის შეორთქ-  
ლილ მინას ხელი აუსვა. ადრიანი გაზაფხულისათვის ჩვეული,  
მოსკოვური ჭინჭყლი ამინდი იდგა. ჩამოქუფრულიყო, წვრი-  
ლადა ცრიდა. სახლების ზედა სართულები მქრქალ ნისლოვა-  
ნებაში იკარგებოდა. ქუჩის მიღმა შენობის ფრონტონზე გად-  
მომდგარი ბეტონის მუშურ-გლეხური წყვილი სველ ბურუსში  
მიცურავდა... გუნებაში შეიგინა. არ მოსწონდა ეს უუმური  
ამინდი, დედაქალაქის თალხი ფერები, თუმცა არც მზიანეთის  
ფერადოვნებაზე იკლავდა თავს. ვერ იტანდა მავანის გულუ-  
ბრყვილობას, ვინაც შეფრფინვით აღიქვამს ხეთა და ბალახთა  
სიხასხასეს. კარგად იცოდა, რომ ყველა ფერი საბოლოოდ  
თეთრში იკარგება და სამყაროს მშვენიერება მოჩვენებითია  
და სიცრუუ.

მშვენიერი მხოლოდ ისაა, რაც სასარგებლოა. მშვენი-  
ერია ნატაშა, რაკი ის სასარგებლოა...

წუხელ, სანამ მეძავს გადაეყრებოდა, ქუჩიდან დაურეკა.  
ციოდა, თითები ყურმილს თითქმის მიეყინა. უსმენდა ზუმერს  
და ჯავრით ფიქრობდა: „იმას რა უჭირს, ჩათბუნებულა მამი-  
ლოს ბუნაგში, მე კი აქ ვიყინები...“

ტელეფონმა გაიჩხაკუნა.

— ალო!

— ნატაშა, მე ვარ!

— ჰო! — გულცივად შეეპასუხა ქალი.

„მაგის გუნება-განწყობილებას ვინ გაარკვევს!“ — გუ-  
ლი აუთრთოლდა ლესტამბეს, ხმას სინაზე შესძინა:

— გადაწყდა, დედაქალაქი უნდა დავტოვო, მშობლიურ  
მხარეში გამამწესეს!

— ნუთუ? — ამ „ნუთუში“ სანუგეშო ვერაფერი ამოი-  
კითხა.

— სალაპარაკო მაქვს!

— რა ვიცი, აბა!

— მოვიდე?

— მამილო შინაა... — ხმას დაუწია ნატაშამ, წუთიერი დუ-  
მილის შემდეგ უცებ დასძინა: — ხვალ მოძი!

ნატაშას ხმა თითქოს ათბობდა ტელეფონის ჯიხურს და,  
როცა ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა, ლესტამბე მარ-  
ტო შერჩა ნესტით გაჯერებულ სიცივეს.

მეძავიც მაშინ დაინახა.

მოსკოვური სიცივისა ეშინოდა, გულმუცელი თითქოს  
შიგნიდან ეყინებოდა. ერთადერთი, რაც სამშობლოსკენ ეწე-  
ოდა, მზის მცხუნვარება იყო, თუმცა მზესაც ისე აღიქვამდა,  
როგორც საყველთაო ღუმელს, რომელშიც საწვავი უყაირა-  
თოდ იხარჯება, რადგან ცისქვეშეთში ყველას თანაბრად უნა-  
ნილდება, თუნდაც ამ ვირთხებს, თავი რომ ადამიანებად წარ-  
მოუდენიათ და ქალაქის ჯუნგლებს შესვევიან.

„ესეც ვირთხა!“ — გაიფიქრა და მეძავს ამრეზით შეხედა.

ქალები რატომლაც არა სწყალობდნენ. თავდაპირველად  
ამაზე ცოფდებოდა. ადრე ეგონა, თუ დედამოსკოვს ჩააღწევ-  
და, იქაური ლამაზმანები ბათმანობით გაუწვებოდნენ, მაგრამ  
იძულებული გახდა ქუჩის იაფთასიანი მეძავებით დაკმაყო-  
ფილებულიყო. გული დაბანილი, ინტელიგენტური ქალებისა-  
კენ მიუწევდა, ოღონდ ესენი თავიდან იცილებდნენ, ზოგნი  
მოხერხებულად, კეკლუცად და სიცილ-სიცილ, ზოგნიც რუსუ-  
ლი პირდაპირობით — „Пшиол вон, рыжая образина!“ შეურაცხ-  
ყოფილი ლესტამბე ასეთ ქალებსა და მეტოქე მამაკაცებს, უმ-  
თავრესად წაცნობ კურსანტებს, გუნებაში სიკვდილით სჯი-  
და და სულ მალე მისი წარმოსახვა ცხედრებით გაივსო... თავს  
იმითდა ინუგეშებდა, აქაოდა, სადა მცალია მაგათვის, ქალის  
მოსარჯულებლად დახარჯული ენერგია და მოკლე, ბინიერი  
ტკბობა ერთ სასწორზე რანაირად აიწონებაო. ამიტომ ასაკი  
ძილში უფრო შეახსენებდა თავს, სიზმრად გამოეცხადებოდა...  
დროის ბიუჯეტი მთლიანად ივსებოდა ყოჩალი მეცადინებობითა  
და პრაქტიკით, რაიც დასაგეში ძალის წვრთნას ედარებოდა...

ტელეფონის ყურმილი ჩამოკიდა, ყურებიანი ქუდი ნიკაპ-  
ზე შეიკრა, ქულაჯის ბენვიანი საყელო ზევით აინია, თუმცა  
ნესტის ცივი თათები კისერში მაინც უძვრებოდა.

ხელთათმანს იცვამდა, როცა მეძავი გაუსწორდა და ჩახ-  
რინნული ხმით წაუმლერა:

— დასალევი მიყიდე, ლამაზო!

ტროტუარზე მეტი არავინ იყო, მოპირდაპირე მხარეს  
წყვილი მიიჩქაროდა.

ლესტამბე უცებ საკინძეზე ჩააფრინდა, ჭუჭყიან კე-  
დელზე მიაგდო და ბოლმით დაუსისინა:

— დამცინი, შენი... ჩემზე ლამაზი ვერავინ ნახე?

მეძავს პირისახე დასჭმუჭნოდა, თუმცა ჯერაც შერჩენო-  
და ნაშთი ძველი ხიბლისა. მისი თვალის გუგებში ალკოჰოლი  
ხრჩოლავდა. მორჩილად დაჰყვა ლესტამბეს ხელს და შემო-  
სცინა:

— ლამაზი მართლაც არ გეთქმის, მაგრამ კაცი ხომ ხარ!

ქალს ბეწვის შელახული ქურქი ეცვა, ქურქებუშ ახლად  
ჩამქრალი ღუმელის სითბო იგულისხმებოდა და ვაჟმა უცბად  
გადაწყვიტა:

— ნამოდი, გზად არაყსა და ძეხვს ვიყიდი!

არყის ბოთლს ჯიბეში იჩრიდა და ამ დროს ნატაშაზე  
ფიქრობდა.

რამდენიმე თვის წინ გაიცნო. ისე უნებლიერ, ისე ბუნებ-  
რივად შედგა ყოველივე, თვითონაც გაუკევირდა, ხელი უხე-  
შად რომ არა კრეს. თუმცა ამან ერთგვარად დააეჭვა კიდეც...  
ქალი მახეა! მხოლოდ ჭკუას შეუძლია ხაფანგის დროულად  
აღმოჩენა. ეჭვის სასწორი მუდამ მზად უნდა გქონდეს და პი-  
ნაზე ისეთი რამაც უნდა შეაგდო, რაც ერთი შეხედვით საეჭ-  
ვო არაა.

სახალწლო დღესასწაულზე კურსანტები როგორდაც  
კრემლში წაიყვანეს. რიგით მოქალაქეებს ჯერ კიდევ არ უშვებ-  
დნენ გალავნის შიგნით. ახალგაზრდა კურსანტები, დიდი პატი-  
ვით გაამაყებულნი, პირდაღებულნი შესცეკროდნენ სამთავ-  
რობო შენობებსა და ძველისძველ ტაძრებს, ცხადია, გარედან,  
რადგან სქელი კედლები ფარავდა კაბინეტებსა და დარბაზებს,  
რომლებშიც კაცობრიობის ბედ-ილბალი იხარშებოდა.

მეფეზარბაზანთან შეჯგუფდნენ. ტროტუარის გასწვ-  
რივ სხვებიც იდგნენ, ადგილობრივი პატივდებულნი და უცხ-  
ოელი სტუმრებიც. ფართო მოედნის გადაღმა, არცთუ პომ-  
პეზურ მინისტრთა საბჭოს შენობის სადარბაზოს შავი ლიმუ-

ზინი მოსწყდა წყვილად. ერთში, ალბათ, მაღალი გვამი იჯდა, მეორეში — შეიარაღებული დაცვა. „ბულგანინი, ბულგანინი!“ — აჩურჩულდა ბრბო, კანტიკუნტი ტაში გაისმა. ბულგანინმა მოქალაქებს თავი გულგრილად დაუქნია. ცოტა ხანში სადარბაზოს ლიმუზინების მეორე წყვილი მოშორდა. „მიქოიანი, მიქოიანი!“ — კვლავ მოისმა ყოვლისმცოდნეთა ჩურჩული. მიქოიანს მოჟამული პროფილი მოუჩანდა. კაუჭა ცხვირი წინ ჰქონდა გაშვერილი, გაჯავრებულსა ჰგავდა და ბრბოს ყურადღებას არ აქცევდა. წუთიც და ლიმუზინების მესამე წყვილი წამოვიდა. „ხრუშჩოვი, ხრუშჩოვი!“ — ისევ ატყდა ჩურჩული, რასაც საკმაოდ ენერგიული ტაში მოჰყვა. ნიკიტა სერგის ძემ შლაპა მოიხადა, ბრბოს დაუქნია. ფართოდ იღიმებოდა, ლოყები თურაშაულივით დაპბრანოდა. ლესტამბემაც შემოჰკრა სუსტი ტაში. მის წარმოსახვაში შავი ლიმუზინი კატაფალკად გადაიქცა, ნიკიტა სერგის ძის ცხედარს პატივით რომ მიასვენებდა, ხოლო მიმყოლი მანქანის რბილ სავარძელში ნებიერად მოკალათებულიყო მომავლის ლესტამბე თოლორაია, ძე ბიკენტისი, შვილიშვილი ძლვიბი თოლორაიასი. ამ იდუმალ, საამო, მაგრამ საშიშ ნაპერწკალს, მის ტვინში რომ აინთო, ვერავინ ამოიკითხავდა, მაგრამ სწორედ ამ დროს იგრძნო დაკვირვებული მზერა, მოიხედა და ქალიშვილის თვალებს შეეფეთა... იქიდან შეუძლებელი რამ ამოიკითხა — უცნობი თითქოს მიუხვდა!

ქალიშვილის გვერდით თბილ ქურქში გახვეული უზომოდ მსუქანი კაცი იდგა. მან რაღაცა უთხრა ქალიშვილს და იმანაც თავი დაუქნია. ლესტამბემ იცნო ქურქიანი. იგი მედილეგეთა შორის ერთი გამორჩეული მედილეგა გახლდათ...

ამ დროს გაისმა ოცმეთაურის ბრძანება. კურსანტები დაიძრნენ. ლესტამბე ცდილობდა ქალიშვილი თვალსაწირიდან არ დაჰკარგვოდა, მაგრამ ამხანაგების რიგიდან ვერ გამოვიდოდა, ისინი კი კიბეს შეუყვნენ და წუთის შემდეგ ვრცელ, ბრწყინვალე დარბაზში აღმოჩდნენ. „რა ეღირება ნეტავი?“ — გაიფიქრა ლესტამბემ, როცა თვალი შეავლო ბროლის მძიმე ჭაღებს, კანდელაბრებს, ვიტრაჟებს, გაჩახჩახებულს უთვალავი ნათურით... დარბაზის შუაგულში უზარმაზარი ნაძვისხე

იდგა, მაგრამ ლესტამბეს თვალი სხვა მხარეს გაურბოდა. კურსანტები კედლის გასწვრივ გამწკრივდნენ, სხვა სასწავლებლების მომავალ ოფიცირებს შორის. მეორე მხარეს კი თეთრკაბიანი, მოწინავე კომკავშირელი გოგონები შეყრილიყვნენ, მაღალი კლასის მოსწავლეები და სტუდენტები, ალბათ, წარჩინებული ოჯახების შვილები, ნერვულად წრიალებდნენ, ცმუკავდნენ, ზუზუნებდნენ... ლესტამბე ეძებდა უცნობს, მედილეგეთა შორის გამორჩეულის ქალიშვილს...

იგრიალა ორკესტრმა, ჯერ გაუბედავად, მერე და მერე უფრო თამამად დაბზრიალდნენ წყვილები. ლესტამბე კედლის გასწვრივ მიიწევდა, რათა მოცეკვავეებს ფეხებში არ ჩავარდნოდა. თვითონ ხომ დიდი ვერაფერი მოცეკვავე იყო და თანაც განბილებისა ეშინოდა.

აგერ ისიც!.. მოწყენილი იდგა განცალკევებით... ეტყობა, ვერც იმისი კავალერი დაიძებნა...

ლესტამბემ დასიცხულ ტუჩზე ენა მოისვა, თავხედურად მიაცივდა.

- ლესტამბე თოლორაია!
- ეს რა, ტროპიკული ხილია?
- ეს ჩემი ფსევდონიმია!
- მაშინ ჩემი ფსევდონომია ნატაშა რასტოვა! — გაეცინა ყმაწვილქალს.

მას მართლაც ნატაშა ერქვა, ოლონდ სულ სხვა გვარს ატარებდა. ლესტამბემ ცეკვისაგან თავი შეიკავა, ფეხის ტკივილი მოიმიზება, მაგრამ იმ რამდენიმე წუთში, რაც გვერდიგვერდ იდგნენ, იმდენი მოახერხა, ტელეფონის ნომერი დასცინცლა.

მერე დიდხანს ჭოჭმანბდა, დარეკვისა ეშინოდა. მამილო კიბედ კი გამოდგებოდა, მაგრამ მამილოს რისხვა ფერფლად აქცევდა. ერთხელ, მოცალეობის უამს, ტელეფონისკენ ხელი გაექცა და ნომერი აკრიფა.

ყურმილი ქალიშვილმა აიღო, თავი მოიკატუნა, ვერ ვიხსენებ, ვინ ლესტამბე და ვინ „ტოლორაიაონ“.

— აპა, კრემლი?.. დღესასწაული?.. გამახსენდა! თქვენ ის ტროპიკული ხილი ბრძანდებით? — სიცილით ჩაისულურტულა.

ლესტამბე წამოჭარხლდა, წუთიერი ბოლმა გულში ჩაი-  
მარხა და ხითხითით შეეპასუხა, აქაოდა, ხილი რა მოსატანია,  
მზიური ტროპიკების შვილი კი ვარო.

— რა გაეწყობა, ამოდით ჩემთან, მოწყენილობისაგან  
ლამისაა ვიყმუვლო! — შესთავაზა ნატაშამ.

— მოწყენილობისაგან ლამისაა წყალში გადავვარდე! —  
თქვა მეძავმა. — რა მოუამული ჩანხარ? ვინმემ გაწყენინა?  
ალბათ გგონია, არაყს დავეხარბე და იმიტომ წამოგყევი. ად-  
ამიანი მინდა, ვინმეს დაველაპარაკო მინდა...

— კანტი გაგიგონია? — ჰერთხა უცებ ლესტამბემ.

— კანტი რაღაა?

— რაღაა კი არა, ვინაა! კანტი ფილოსოფოსია!

— აფრენ?

— კანტის ფილოსოფიაში ვერ ერკვევი, აბა, შენთან რა  
ვილაპარაკო?

კანტის ფილოსოფიაში ვერც ლესტამბე ერკვეოდა, მეძა-  
ვი კი შეშინდა. „გიურა ეს ოხერი!“ — წამოიძახა და სადარბა-  
ზოდან პირი იბრუნა.

ლესტამბემ მკლავში ხელი წაატანა, დაუსისინა:

— ნუ მეარტისტები! ამ სართულზე უბნის ინსპექტორი  
ცხოვრობს, იხმაურებ და ხელს ჩაგავლებს!

უბნის ინსპექტორით მეძავს თუ შეაშინებ, რითი შეიძლე-  
ბა ნატაშას დაშინება, „მამილოს“ შვილისა?

ის კაცი, ნატაშას მამილო, მოგვიანებით გაიცნო. მეტად  
მოუცლელი ვინმე ბრძანდებოდა. დადიოდა არცთუ შორეულ  
ადგილებში, სადაც გისოსებს მიღმა დაღდასმული ადამიანები  
ისხდნენ. ძლივს დაჰქონდა უზარმაზარი, გაფიუვინებული  
სხეული. დაბერილი ქუთუთოების ვინრო ჭრილიდან შეხედა-  
ვდა მავანს და კუბოში აწვენდა. ლესტამბეს მოეჩვენა, საცაა  
შიშისაგან გამეპარებაო. მამილომ ერთი ახედ-დახედა და უკ-  
მაყოფილოდ წაიბუზლუნა: „რა უგავს ამას ქართველს?!“ ლეს-  
ტამბე თითქოს დაჩიავდა. „ქართველობას“ მისთვის ჯერჯერ-  
ობით ხეირი არაფერი მოუტანია. ჯობდა, რა თქმა უნდა,  
მთლად რუსად დაბადებულიყო, მაგრამ ბედმა ინება, მის ძარ-  
ღვებში ქართულ სისხლსაც ედინა და ამას ვერაფერი შეცვლი-

და... „რა მნიშვნელობა აქვს? — უნდოდა ყოჩალად ეთქვა. —  
ჩვენ ყველანი საბჭოთანი ვართ!“ მაგრამ გაჩუმება არჩია.

— მერეტიდანაა, მამა! — რატრატებდა ამასობაში ნატა-  
შა. — სწორად გამოვთქვი? მერეტი... რა ძნელი გასატეხი  
ენაა!.. სანამ დაისწავლი, ენაზე დამბლა დაგეცემა... მერე იცი,  
თვითონ რა ჰქვია? ლესტანი... ლენინ-სტალინიო... გაგიგონია?

— ლენინ-სტალინიო? — გაიოცა მამილომ, მისმა ნი-  
ღაბმა მეტი ინტერესი გამოავლინა.

— ხომ საინტერესოა? — ვერ ითმენდა ნატაშა.

— პასპორტში რა გინერია? — მკაცრად შეეკითხა მამილო.

— ასევე მინერია! — შიშისაგან გააცივა ლესტამბეს.

— ჰო?

— სამოვარს დავდგამ, დავჯდეთ, ჩაი ვსვათ და კამფე-  
ტი ვკვნიტოთ! — გამოაცხადა ნატაშამ.

— არა მცალია! მე უნდა წავიდე, კამფეტები თქვენ კვნი-  
ტეთ! — ცივად თქვა მამილომ და მძიმე სხეული კარს მიღმა  
გაიტანა.

ნატაშა მართლაც დატრიალდა, ელექტროსამოვარი  
აათუხთუხა, მაგიდაზე კამფეტებიანი ლანგარი დადგა. დას-  
ხდნენ და წრუპეს...

— ჩაი არ დამანახო! — განაცხადა მეძავმა. — თუ არ  
გენანება, არაყი დამისხი! წელან უბნის ინსპექტორით მაში-  
ნებდი... სულაც ფეხებზე მკიდია! ვიცნობ მაგასაც, თვითონ  
ჩემზე ბოზია, დამასკედეს იმაზე, რაც სამი ასოთი ალინიშნება!..  
ყველანი ბოზები ხართ! აი, შენ ვინ ოხერი ბრძანდები? ძალლად  
გწრთვნიან?.. ჯერ ლეკვი ხარ, მუმუ... არ იცი, ვინ მუმუ?  
სკოლაში არ გივლია?.. ჰოდა, მუმუ ხარ! როცა გაიზრდები, დი-  
იდი ძალლი იქნები, თუ, რა თქმა უნდა, კისერზე ქვა არ მოგაბეს  
და გერასიმემ წყალში არ გადაგაგდო... ოჳ, ჩემო მუმუ, ცოტათი  
გამოანათე, ნუ იღუშები, თორემ წყალში რომ მოგისვრიან, მერე  
ამჩემფეხებს გაიღიმებ... ყეფა თუ გეხერხება? ჰამ-ჰამ!.. ეს  
წკავნკავია... ხმა რომ დაგიბოხდება, აღავლავდები... ფუი, რა  
ჩამოღამებული დრუნჩი გაქვს, თუმცა არა, ნუ იღიმები, დამა-  
ლე ეს კბილები, ასე მგონია, შემჭამს-მეთქი... არც კი ვიცი,  
სად უნდა გაკოცოს ადამიანმა... ოჳ, ოჳ, ნუ მიბრაზდები! კაცი

ხომ ხარ? კოცნაობა რად გვინდა, საკაცე თუ დაგიგრძელდა, ესეც საკმარისია... აბა, ხელით მოგისინჯო! ეს შარვალი, ალბათ, აკვანში ჩაგაცეს და მერე არც ჩაგიხდია, ხვანჯარი არ გეხსნება... თფუ! აქამდე მეგონა, მკვდარსაც გავაცოცხლებ-მეთქი, მაგრამ შენ ბოზი კი არა, ექიმი გინდა... დამისხი არაყი! ცხოვრებას ნუ შეუშინდები! მაგ მჭლე უკანალზე დუჟინ ნემსს რომ შეგირჭობენ, კვიცივით აჭიხვინდები... კიდევ დამისხი! შენც დალიე, გული გაგიმხიარულდება! ზარბაზანში ჭურვი როცა არ გიდევს, ის ჯართია! თუ არ შეგეძლო, ამ ბნელ კიბეზე რას ამომათრიე? სადარბაზოშივე დაგველია... იქნებ ქალი კი არა, კაცი გინდა?.. ჰო, ჰო, ნუ იბლვირები, დალიე და გამოცოცხლდები... ჰამ-ჰამ, ჰიჰიჰი...

— წადი, შენი... — ლესტამბექ მექავს კარისაკენ უბიძგა.

— აბა, აბა, მანდილოსანს შეურაცხყოფას ნუ აყენებ!.. მე თვითონ წავალ, აქ რა დამრჩენია... კაცი შენ არა ხარ და ამ ცარიელ ბოთლს ხომ არ შევირჭობ... ჰიჰიჰი, ჰაჰაჰა...

ქალი ბნელ კიბეს ჩაჰყვა, თან გზადაგზა ილანძლებოდა...

ლესტამბე საწოლზე მოწყვეტით დაეცა, ბალიშს ჩაეხუტა. თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა. საკუთარ კაცობაში ეჭვი შეჰპარვოდა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ხელი მოეცარა, მაგრამ თავის მარცხს აქამდე მექავებს აბრალებდა... გაყუჩდა, გაისუსა... ყურს უგდებდა საკუთარ სხეულს, რომელიც სძულდა მძაფრი სიძულვილით ისევე, როგორც ტუსაღს საკანი, რომლის ერთადერთი კარი ჩაუანგულა და ვერა ღონე ვერ გახსნის... უცებ რაღაც შეიცვალა, ტანში სუსტი ტალღა ამოძრავდა, ძარღვებში ურჟოლამ დაუარა, თანდათან მოძლიერდა და მძაფრ ლტოლვაში გადაეზარდა. გიუივით წამოხტა, ბნელი კიბე ისე ჩაირბინა, საფეხურებს ვერ ხედავდა, ტროტუარზე გავარდა, მიმოიხედა... მექავი არსად ჩანდა! სიცივემ სველი ლაშებით აკოცა, ცეცხლი უმაღ ჩაუქრო... ლესტამბე ნაცემივით შებრუნდა, კიბეზე მძიმედ ავიდა, კარი ჩაიკეტა, ბოთლში ჩარჩენილი არაყი, თითქმის ჩაისჭიქა, შეუსვენებლივ გადაყლურნა და ლოგინზე მიეგდო...

4

იქამდე გორკის ქუჩით მიაღწია. ბნელი გვირაბი შიდა ეზოში შედიოდა. რამდენიმე ჭუჭყიანი, ჩანამქრული ნაძვის მიღმა ტლანქი შენობა ჩანდა. ხუთსართულიანი იყო, მაგრამ თავისი სიმძიმითა და რიხით მეზობელ სახლებს ჯაბნიდა. ადრე თურმე ქუჩისპირას მდგარა, მერმე სიღრმეში გაუჩინჩებიათ, ნინ კი სტალინური ეპოქის პომპეზური ნაგებობა წამოაყუდეს... ამ სახლის მაღალჭერიან და ხალვათ ბინებში შორეული პროვინციებიდან გადმოყვანილი ჩინოსნები ცხოვრობდნენ. სადარბაზოც შთამბეჭდავი ჰქონდა — კიბე გრანიტის ფილებით მოპირკეთებული, მოაჯირი წითელი ხისა...

ლესტამბე მესამე სართულზე ავიდა. ვიღაც შეჭირვებულს ყოველ ბაქანზე თითო ჩამოსაწევი სკამი მიუხრახნია, ალბათ, გული ანუხებდა და გზა-გზა ისვენებდა. ლესტამბეს გული კაუივითა ჰქონდა, მაგრამ, სანამ ზარის ღილაკს თითს დააჭერდა, ჩამოჯდა, მუხლიდან ქარი ამოუშვა, თან ჯიბეში ჩარჩენილ პაპიროსის ნამწვს მოუკიდა და ბოლომდე დაიყვანა.

ამ კარის წინ თითქოს პატარავდებოდა. მაღალი, ჩუქურთმიანი კარი თეთრად გადაეღებათ. ერთ ადგილას ნაფხაჭნი აჩნდა, წარწერა ყოფილა, მაგრამ უკვე არ იკითხებოდა. ანცმა ბიჭუნებმა თუ წააწერეს — „ნატაშა ბოზი!“ თუმცა არა! ამას ვერავინ გაუბედავდა მამილოს, რომლის მძიმე და ქონით გავსებული სხეული სიკვდილის სიცივესა ჰყენდა.

თითო ღილაკს დააჭირა. ბინის სიღრმეში ზარი გარანკუნდა, რასაც ქალიშვილის ხალისიანი ხმა მოჰყვა:

— ახლავე!.. მოითმინეთ!

ეს „ახლავე“ მთელი წუთი გაგრძელდა და ლესტამბეს ტვინში უამრავი მფრთხალი ფიქრი წარმოშვა.

გასაღებმა გაიტკაცუნა. საგდული გადასწიეს. ღრიჭოში წატაშამ გამოიჭყიტა. „აჱ, შენა!“ — კარი მოარახუნა. ჯაჭვისაგან ათავისუფლებდა, მაგრამ ყოველი ასეთი მორახუნების დროს ლესტამბეს გული სადღაც უვარდებოდა.

წატაშამ კარი ფართოდ გააღო.

— შემოდი, შემოდი, ბოძივით ნუ დარჭობილხარ! — ტან-ზე ჭრელი ხალათი ეცვა, თმაც ჭრელი ხილაბანდით წაეკრა. მაინცდამაინც არ უხდებოდა, შინამოსამსახურეს ამგვანებდა და ლესტამბე შეუთამამდა:

— მარტო ხარ?

— შენ რა, კიდევ ვინმეს ელოდი? იქნებ მამილოსთან მოგინდა საუბარი?

ლესტამბემ მხრები აიჩეჩა.

— არ გირჩევ! („ოჳ, ეს რუსის თამამი გოგოები!“) — გაი-ფიქრა ლესტამბემ) მამილომ შენი შემოშვება ამიკრძალა, ის წითური მაიმუნი მოაშორე აქაურობასო! მე კი, ხომ იცი... — ვითომ ვერ შენიშნა, პირზე სისხლი როგორ მოასკდა ლესტამბეს. — მე მუდამ იმის საპირისპიროს ვაკეთებ, რასაც მიპრანებენ. ასეთი აუტანელი ბუნებისა ვარ!

— რაც შეეხება „წითურ მაიმუნს“, — დაისისინა ლესტამბემ, — იქნებ პრინცივით ლამაზი არ ვიყო, მაგრამ არც შენი მამილოა კალმით დახატული!

ნატაშამ გაკვირვებით შეხედა, მერე მუცელზე ხელი იტაცა და აკისკისდა:

— ოჳ, მომკალით, კალმით დახატულიო... ორივენი კალ-მით დახატული პრინცები ხართ... ასეთი ბედი მაქვს, თქვენს გვერდით პირდაუბანელ კონკიას ვგავარ!

ლესტამბეს გული თანდათან უსივდებოდა, მაგრამ გოგოს ხალისიანმა კისკისმა განაიარალა, ენაჩაგდებული იდგა.

— კარგი, ჰო, ცხვირი ნუ ჩამოუშვი! — ძლივს დაწყნარდა ნატაშა. — უხერხულ დროს მომისწარი, შხაპი უნდა მი-მეღო! მე ისეთი ცუდი გოგო ვარ, რაიმეს რომ მოვიფიქრებ, ვერავინ გადამაფიქრებინებს. შენ, აი, აქ დაჯექი, მე კი ხუთი წუთიც არ დამჭირდება... არ მოიწყინო! შეგიძლია, შორიდან მეღაპარაკო!

ლესტამბე სავარძელში ჩაეშვა და მიმოიხედა. თრგუნავდა ეს ბინა, თავს ვაგზლის მოსაცდებლში გრძნობდა. ვრცელი და მაღალჭერიანი ოთახი გაჭედილი იყო მძიმე, მოუხეშავი ავეჯით. კარადები ჭერსა სწვდებოდა, სავარძელში ბეჭემოტი მოთავსდებოდა, მაგიდას კი სპილოს ფეხები ება და იმ სიმ-

ძიმე ჩანდა, ადგილიდან დევგმირი ვერ დაძრავდა. ჭერზე თეატრალური ჭალი ეკიდა, გამჭვირვალე ბურთულაკებით დახუნდლული, და ლესტამბემ გაიფიქრა, საცაა თავზე ჩამომეფვნევაო. კუთხის კარი გრძელ დერეფანში გადიოდა. იქ, მოლიავებული კარიდან შუქი სცემდა. ნატაშა იმ შუქის არეში შეცქრიალდა და სულ მაღლ წყლის შხუილი მოისმა.

— არ მოიწყინო, მე ახლავე! — წაუმდერასავით.

ლესტამბე ლია კარს მიაჩერდა. წარმოსახვაში გაუცოცხლდა ცხელი ჭავლის ქვეშ მდგარი შიშველი ნატაშა და კინალამ სავარძლიდან წამოხტა. ტანში თრთოლვამ დაუარა. ნერწყვი ყელში გაეჩირა. ხმაჩახლეჩილმა ანკესი მოისროლა:

— ნატაშა, ზურგი ხომ არ დაგბანო?!

— ზურგს ისე დაგბან, ზედ ნაჭდევები დაგაჩნდეს! — ნატაშას ხმაში მუქარა გაისმა. — თავში ზღაპრები ნუ შეგიღიტინებს, წითურო! — სიტყვებს სიცილი მოაყოლა, მისი უღურტული წყლის შხუილში ჩაეწნა და ლესტამბე მოიბლუნდა: „არაფრად მაგდებს, კაცად არ მივაჩნივარ, მამილოს იმედი-თაა... მივუხტები და აბაზანაში ჩავახრჩობ!“

ცოცხლად წარმოიდგინა: აი, ფეხსაცმელს იხდის, რათა იატაკმა არ გასცეს... სავარძლიდან დგება, თითის წვერზე მიიპარება... წამიც და წინ აეტუზება... ნატაშას შიშისაგან ენა ჩაუვარდება, კივილი ყელში ჩაუწყდება... ლესტამბე კი...

არა!.. ჯერ თვითონაც გაშიშვლდება... ტიტლიკანა შეუვარდება... ქალიშვილს თავზარი დაეცემა... აბაზანაში ჩაუხტება, დაითრევს და...

ლესტამბეს ააბაბანა... აშკარად დაინახა „ქალი, რომელიც წყალში იხრჩობა...“ შიშველი სხეული დაძაგრულა, კრუნჩები უვლის...

უცნაურმა მხურვალებამ შეიპყრო, სიგიჟის ზღვარს მიაღწია... ტანისამოსში ვეღარ ეტეოდა...

წამოდგა, ნაბიჯი გადადგა...

და უცებ თვალი ჰკიდა!

აბაზანის შიდა ხედი კედლის სარკეში ირეკლებოდა... აშხვართულა ტიტველი ქალი, ხელებით თმა თავზევით აუკრეფია, პირისახე ორთქლიანი ჭავლისათვის მიუშვერია... წყალი

იღვრება ქათქათა, თეთრ ტანზე, ევლება ახალგაზრდულად ამობურცულ ძუძუებს, ჩამოჰყვება წელსა და თეძოებს...

თითქოს ნაჯახით წაცალესო, ლესტამბე უმალ გამოი- თიშა, მოიმჩვარა, კაცობა დაკარგა.

თავზარდაცემული ჩაეტყეპა სავარძელში, ტირილი მო- უნდა.

— რას გასუსულხარ? — ნატაშას შეძახილმა გამოაფხიზ- ლა, იქითკენ ნაცემივით გაიხედა.

ქალი აბანოს პირსახოცში გახვეულიყო. მოურიდებლად გამოტანტალდა, სასტუმრო გადაჭრა და საძილე ოთახში შე- ვიდა. იქ, ალბათ, გარდერობში ფათურობდა, ლესტამბეს კი ამასობაში ერთადერთი ფიქრი წინქნიდა — „რომ მომიხმოს?“, „რომ მოუნდეს?“

— ნატაშა, მე, ხომ იცი, მეჩქარება! — მოულოდნელად ჩაიხრიალა, საკუთარი ხმა ვერ იცნო, ხრინნი შეჰპარვოდა.

— სად გეჩქარება? — ნატაშა თხელ ხალათში გამოცხად- და („ალბათ, შიშველ ტანზე!“ — გაიფიქრა ლესტამბემ), თმა აეხვეტა და ცდილობდა, სარჭით დაემაგრებინა. — დარჩი, ჩაი ავიდულოთ, კამფეტი ვკვნიტოთ. წამცხვარიცა მაქვს, თუმცა ორი დღისაა... ზეფირიცა...

— უნდა გავემზადო, ხომ იცი, შინ ვბრუნდები!

— მით უფრო! დღეის იქით ერთმანეთს იქნებ ვერც შევხვდეთ. ბილეთი უკვე აიღე?

— კი, ავიღე, — ლესტამბე დაწყნარდა, — თბილისის მატარებელზე, კურსკის ვაგზლიდან გავდივარ ოცდაერთ სა- ათზე... მეხუთე კუპირებულში...

— ერთი აიღე? აკი მეპატიუჟებოდი? — ნატაშა სარკესთან დაბზრიალდა, წელზე დაიხედა, კოხტა ვარ თუ არაო, ოთახი გადმოჭრა, სავარძლის საფეხურზე ჩამოუჯდა და თითებით ვაჟის უღალ ბუნკებს შეეხო. — აკი მეპატიუჟებოდი იმ შენს ლი- მპოპოში? ქართველები ხელგაშლილი ხალხიაო, შენ კი ორი- ოდე თუმანი ვერ გარისკე...

ლესტამბეს დაცხა, პირი გაუშრა.

— მე... — ხმა ძლივს დაიმორჩილა, — მე ორი ავიღე!

გულისჯიბიდან ერთი ბილეთი ამოიღო და გაუნდა.

— ორიო? — წამოენთო ნატაშა. — ჩემთვისაც აიღე? არც დამეკითხე და ისე?.. იფიქრე, თითს დავუქნევ და რუსის გოგო კისრისტებით გამომეკიდებაო... ბრანწი, შენ!

— ნატაშა...

— რაც დავიბადე, ნატაშა ვარ, ოღონდ შენთვის კი არა, წითურო მაიმუნო! ჩაიხედე სარკეში! კაცი თუ მომინდა, რაღა შენისთანა ზოოპარკის ბინადარს შევარჩევ! კარი თუ გაგიღე და შემოგიშვი, მხოლოდ იმიტომ, მოწყენილობა გავიქარვო... ეგერ, ჩემს მეზობლებს დობერმანი ჰყავთ, ძალლი, იმით ერ- თობიან... ერთმა თურმე მაკაკა ჩამოიყვანა სინგაპურიდან, მხარზე უზის და ისე დაატარებს. წარმოიდგინე, იმ მაკაკამ ცოლობა სთხოვოს... — თვითონვე წარმოიდგინა და სიცილი წასკდა.

„ფეხებში ჩამივარდები! — ბოლმით გაიფიქრა ლესტამ- ბებ. საშულდა, საშინლად სძულდა, მაგრამ სიძულვილზე მაღ- ლა იდგა „საქმე“. — იქნებ შემოვაგლიჯო ეგ ხალათი, ვიცი, მეტი არც არაფერი ეცმევა!“

ალბათ, ასეც იზამდა, ოღონდ თავად შეეშინდა, ვაითუ გავაშიშვლო და მერე ვეღარ მოვისურვილო.

სიცილით მისავათებული ნატაშა დივანზე მიეგდო, ამ დროს ხალათის კალთები გადაეხსნა, შიშველი, სავსე მუხლის- თავები გამოუჩნდა.

ლესტამბეს მზერა გაუშტერდა. ხელისგულებზე ცხადად შეიგრძნო გლუვი მუხლისთავების სიგრილე, საქუთარ წიაღ- ში აუგორდა ცხელი ტალღა.

აი, წამოვხტები, ჯიქურ მივეჭრები და ზედ ნეტარებით დავაკვდებიო, გაიფიქრა... ოღონდაც, თითქოს ბანრითაა დაბ- მულიო, სავარძელს ვეღარ მოწყდა, ტვინში კი ჩაქუჩი უკაკუ- ნებდა — „ახლა, აი ახლა!“

შემოსასვლელის ზარმა გაირანკუნა.

— მამილო! — ნატაშა უმალ წამოხტა, ხალათი შეისწო- რა. გახსნილი ღილები შეიკრა, დივანს ხელი სწრაფად გადა- უსვა, თითქოს დააუთოვაო და კარის გასაღებად გაიქცა.

ლესტამბე უხერხულად წამოდგა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და შეეცადა, დროზე მოესპო წუთიერი აღგზნების კვალი, თან

გუნებაში საყვედურობდა თავის ნაწილს, რადგან იგი მაშინ-ლა იწყებდა ამბოხებას, როცა ამისი საჭიროება აღარ იყო.

წინკარიდან ნატაშას უღურტული ისმოდა:

— ჩემო ბოთვერა მამილო! ჩემო პამპუშკა! მოდი, ამ ლოყაზე გაკოცებ, ახლა ამ ლოყაზეც... ჩემო დათუჩა, დათვის ბელო!.. იცი, სტუმარი მყავს!.. ჰო, წითური!.. სასაცილოა, ხომ?.. მგონი, მართლაც შევუყვარდი, ჩაბჟირდები!.. ვერაფრით დავი-მახსოვრე, რომელი ქალაქიდანაა, თვითონაც ისეთი სახელი ჰქვია, ჩაბჟირდები!.. ნუ იღუშები! ხვალ-ზეგ მიემგზავრება თავის ლიმპოპოში და გამოსათხოვარი ვიზიტით მობრძანდა... ისეთი სასაცილო ვინმეა, ძალიან გამამხიარულა, ანეკდოტებს ყვება, სიცილით მოკვდები...

იდგა ლესტამბე სარგადაყლაპულივით, ისმენდა ამ შე-ურაცხმყოფელ სიტყვებს და გუნებაში წონიდა: როდის მოვუ-ყევი თუნდაც ერთი ანეკდოტი?.. ანეკდოტები არ აინტერესე-ბდა, თუ არ ჩავთვლით იმ პოლიტიკურ ანეკდოტებს, რომლე-ბიც თავიანთ ავტორებს პირდაპირ ციხისაკენ უკაფავენ გზას. „მაშ, მაკაკა ვარ, ხომ?.. მაიმუნი?.. ვნახოთ, ვნახოთ, როგორ გაწრუნუნო...“ — იქადნებოდა თავისთვის და ამ დროს პირზე მამებლური ლიმილი მიჰყინვოდა.

ნატაშა მკლავზე ჩამოკონწიალებოდა კაცს, მამილოს გვერდით პატარა ჩიტუნად ჩანდა. „დათვის ბელმა“ ხელით ანიმნა სტუმარს, დაჯექიო, და თვითონაც მძიმედ ჩაეშვა სა-ვარძელში. ზამბარებმა ჩივილით ამოიკვნესეს. მამილომ მოკ-ლე ფეხები ერთიერთმანეთზე შემოაწყო, ღიპი ამოებურცა, ზედ კოტიტა, მსხვილი ხელები დაიკრიფა და თვალების ვიწრო ჭრილით ლესტამბეს მიაჩირდა.

ქალიშვილი მამილოს გვერდით, პირდაპირ ხალიჩაზე დაეშვა, მუხლზე მკლავი დააყრდნო და ქვევიდან ახედა. მის უჩვეულო ფრფინვაში ლესტამბემ შიში დალანდა და წუთით შეეცოდა, თუმცა რა უნდა ჰქონოდა შესაცოდი მამილოს ამ გატუტუცებულ ნებიერას.

— როგორ ბრძანდებით, ლეონტიევიჩ! — ხმა დაიბოხა ლესტამბემ, შეეცადა მღელვარება დაემალა, თუმცა ეს ძნე-ლი იყო, რადგან მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.

მამილომ ხელი უკმაყოფილოდ გაატოკა. არ განუმარ-ტავს, ლეონტიევიჩი არა ვარო... ლესტამბემ ნატაშას შეხედა, იქნებ დამეხმაროსო, მაგრამ ქალიშვილი თითქოს თვითონაც დარეტიანებულიყო და ტუჩები უხმოდ გააცმაცუნა.

დალახვროს ეშმაკმა!.. სად ჯანდაბიდან ჩაეჭედა ტვინ-ში. იქნებ ამ კასრს ლეონიდი ერქვა, ანდა მთლად ივანი, აქამ-დეც უნდა დაეზუსტებინა... სცადა შეცდომის გამოსწორება, ხელები მოიფშვნიტა, ღიმილისაგან პირი გაეხა:

— მშობლიურ კუთხეში გამანაწილეს და თავი ვალდე-ბულად ჩავთვალე, გამოვმშვიდობებოდი ნატალია ლეონტიევ-ნას, — ახლადა გაახსენდა ინიციალი „ლ.“ კარზე ხომ ეწერა „ლ. კ. რიაბცოვი“... ცხადია, ამ ბეყეს ერქვა ლეონტი, — რა თქმა უნდა, იმ პატივისცემის სანაცვლოდ...

— ვალდებული სულაც არ იყავი! — დააგდო უცებ კაცმა ოდნავ მოგუდული ხმით.

ლესტამბე წამით დაიბნა, საპასუხო სიტყვას ეძებდა... მამილოს თვალის ჭრილი ოდნავ შეეხსნა, იქიდან ორმა პანია, შავმა წერტილმა გამოიხედა („ალბათ, მონგოლის სისხლი აქვა!“) — გაიფირა ლესტამბემ). ქვედა ლაში ჩამოუვარდა, ტუჩის კუთხე მოეჭუჭკა, ნაჩვრეტი დააჩნდა, რაც ღიმილს თუ ნიშნავდა.

— ყოფილი ლესტამბე, ახლა ლესტან ან ვილენ ტოლო-რაია! — თქვა მშვიდად.

— დიიახ!

— მამით ქართველი, ძე ბიკენტი ტოლორაიასი, დედით — რუსი, ზინაიდა პეტროვნა პობედონოსცევასი...

— დიიახ! — დაცხა ლესტამბეს.

— შთამომავლობით ჩეკისტი, ცნობილი რევოლუციონ-ერის გვიბი ტოლორაიას შვილიშვილი...

— საიდან, მამილო? — შეფრთხიალდა ნატაშა.

— ძლვიბი! — უნებლიერ შეუსწორა ლესტამბემ.

— რა უცნაური ენაა! — გაიღიმასავით მამილომ. — ეგე-თი ბგერებით მხოლოდ ღმუილი შეიძლება! — ნატაშას დახე-და. — საიდან და კარადის უჯრიდან! იქ, ხომ იცი, ყველაფერი აღნუსხულია, თუნდაც ამხანაგ გვიბის გმირული წარსული და ამხანაგ ბიკენტის დღევანდელი ქმედებანი...

— იმედია, მამაჩემის კანონიერი ქმედებანი...

— რა შეიძლება დააშავოს ერთგულმა ჩეკისტმა? დრო-ნი იცვლებიან, ბიკენტი არ იცვლება, ასე მეტყველებს კარა-დის უჯრა!

— ბიკენტის ქავავს, — სიფრთხილე დაავიწყდა ლეს-ტამბეს, — ოღონდ მამის ცოდვები შვილებს არ მოეკითხებათ! წინაპარი იმის წინაპარია, დროზე წავიდეს და ტურფა საბალნა-რო შვილებს დაუთმოს, ასე გვასწავლის შოთა რუსთაველი.

— წინაპარში მეც მგულისხმობ, ცხადია!

— რატომაც არა! — თავხედურად შეეპასუხა ლესტამბე. — სხვათა შორის, იმ უჯრებში მამილო ლეონტის საგმირო საქ-მენიც იქნება აღნუსხული!

მამილოს სახის კუნთი ოდნავადაც არ შერხეულა, თუმცა ლესტამბე ნიძლავზე ჩამოვიდოდა, რომ უხსენებელს კუდზე დააბიჯა.

— ამით რისი თქმა გსურთ, ახალგაზრდავ?

— თქვენ ვერ გამიგეთ... მე, ისე... მე ხომ ჩეკისტის ოჯახ-ში გავიზარდე! ბოლოს და ბოლოს, „რა შეიძლება დააშავოს ერთგულმა ჩეკისტმა?“ ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ამ ქვეყა-ნაზე! იცით, შექსპირი ჩემი საყვარელი ავტორია.

— შორს წახვალ! — მამილოს მოულოდნელად სახეზე სისხლი მოაწვა, ლოცები დაებერა. — ცხადია, გზის დასაწყის-შივე თუ კისერი არ წაგანყვიტეს! ვფიქრობ, საკმარისი ვიმუ-საიფეთ, ახლა გზას ენიე! ბიკენტის მე არ ვიცნობ, მაგრამ შენს შემხედვარეს, ძველი ჩეკისტი შემეცოდა! — წინ გადმოქანდა, წამობაჯბაჯდა და ამდროს სავარძელმა შვებით ამოიხრა.

მამილომ სტუმარს უდიერად ჩავლო მკლავზე ხელი და კარისაკენ უბიძგა.

ლესტამბემ ერთი მოხედა გამტკნარებულ ნატაშას, დასამშვიდობებელი სიტყვები ყელში გაეჩირა და კიბის ბა-ქანზე აღმოჩნდა.

მაღალი კარი ზურგსუკან ბრახუნით დაიკეტა...

კუპეში ორი მგზავრი დახვდა, დედა და შვილი. დედა ტან-მსხვილი რუსის დედაკაცი იყო. ჯერაც ჯან-ლონით სავსეს, ჩოფურა სახეზე წინწკლები აჩნდა, გატკიცინებული, ახალგაზრ-დული ლანვები ჰქონდა და ადვილად შეეძლო კაცის წადილი გამოეწვია... შვილს — სლავური სტილის პატარა მზეთუნახავს, ალბათ, თხუთმეტ-თექვსმეტისას, მაჯისსიმსხო ქერა ნაწნავი მკერდზე გადმოეგდო და თითებით აწვალებდა, ფართოდ გახე-ლილ ცისფერ თვალებში შიშიანი ცნობისმოყვარეობა უკრთო-და, საუცხოო, საკოცნელი ლანვი დედისაგან გამოჰყოლოდა („დანით თუ დასერავ, სისხლი ჩქაფანით გადმოსდინდება!“).

დედაკაცმა შემოსულს მტრულად ახედა, გოგონამ კი მფრთხალი მზერა აარიდა, პირი ფანჯრისაკენ მიაბრუნა.

„არ მოვეწონე! — ღრძოდ გაიფიქრა ლესტამბემ. — ამას კუპიდონები ელანდება!“

ფანერისაგან შეჭედილი მომცრო ჩემოდანი ზედა თა-როზე შეაგდო და ხმამაღლა თქვა:

— ორი ადგილი ჩემია!

პასუხს არ დალოდებია, დერეფანში გავიდა, ლია ფანჯა-რასთან გაჩერდა და პირში პაპიროსი გაირჭო. ჯიბეში „კაზ-ბეკის“ სოლიდური კოლოფი ედო, თუმცა შიგ იაფთასიან „ბე-ლომორკანალსა“ და „პრიმას“ აწყობდა.

დაკარგული ბილეთი ენანებოდა, სადა ჰქონდა გადასაყ-რელი ფული, თუმცა მცირე იმედი შერჩენოდა, რომ ნატაშა ბოლომდე არ განირავდა... მამილო თავხედურად რომ გამოიწ-ვია, ეს ალბათ დაუსჯელად არ ჩაუვლიდა. თავიდან ხომ მისი გულის მოგება ენადა, მისი კასრივით დიდი სხეული იდეალური კიბე იქნებოდა იერარქიის საფეხურზე ასასვლელად, მაგრამ სიფიცხემ დაღუპა, ენას კბილი ვერ დააჭირა, დაშინებაც კი მოუნდომა... თუმცა ისიც იცოდა ლესტამბემ, ვინც ბედ-ილბალთან რისკიან თამაშზე იტყვის უარს, მზად უნდა იყოს უშფოთველი და მნირი არსებობისათვის. კარიერის გზა კი ინტრიგებითა და ფარული საომარი მოქმედებებითაა აღსავსე.

მამილოს გამოწვევა საშიშიცაა და ინტრიგის სიტკბოებაც ახლავს. უკან დახევა დამარცხებას ნიშნავს... თვითონ ვერ გაბედა ნატაშასთან დარეკვა. გამვლელი ქალიშვილი გააჩერა, საბუთი უჩვენა, საჭიროა, საქმიანი იერით აუხსნა და ნომერი ააკრეფინა. ნატაშამ თავდაპირველად ლაპარაკი არ ინება.

— გახსოვს ტაიგა, მავთულხლართები, ქოფაკები... — ყურმილში ჩასჩურჩულა მოულოდნელად ლესტამბემ.

ქალიშვილი წამით გაყუჩდა, ალბათ, გონს მოდიოდა, მერე ბრაზით დაუსისინა:

- შენ რა, ლენცოფა ჭამე?
- შემხვდი, უნდა გელაპარაკო!

ყურმილი კარგა ხანს დუმდა, ნატაშას სუნთქვა სადღაც მავთულებში ქრებოდა.

— კარგი! — მოწყვეტით თქვა ნატაშამ. შინ არ მიუწვევია, პაემანი რევოლუციის მოედანზე, მეტროს ამოსასვლელთან დაუნიშნა.

ქალიშვილმა თხუთმეტი წუთი დაიგვიანა. ლესტამბე თხუთმეტჯერ გათავდა და გაცოცხლდა. ნატაშას შეეძლო მამილოსათვის ეთქვა, აქა და აქ წითური მელოდებაო, ის კი არ დაუწყებდა კეკლუცობას... კაბინეტიდანაც არ დასჭირდებოდა გამოსვლა. ყოველი კაცი თუ ქალი, ირგვლივ რომ მიმოდიოდა, შეიძლებოდა მოგზავნილი ყოფილიყო. აქვე, ქალაქის ცენტრში, საჯაროდ გაურჭობდნენ ბეჭებში ბებუთს და გაქრებოდნენ... მისი ეს საშინელი ფანტაზიები მაშინდა შეწყდა, როცა მინისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ნატაშა ამობაკუნდა.

კრემლის კედელთან, ბაღში გაისეირნეს. იმ დღეს მზემ გამოაჭყიტა, სველი ასფალტი აქა-იქ შეშრა, სითბომონატრებული მოსკოველები უმალ გარეთ გამოეფინენ და გაჭირდა ცარიელი სკამის პოვნა.

ნატაშა ხმას არ იღებდა. ლესტამბეც დუმდა, რადგან იმაზე ნაკლები იცოდა, ვიდრე საჭირო იყო სერიოზული შანტაჟისათვის. ბოლოს სკამის კიდეზე ჩამოსხდნენ და ლესტამბემ ჩაახველა.

— ნატაშა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!

— შენ რა, სიყვარულის ასახსნელად მომიწვიე?

— ვერ ვიტყვი, მამაშენი გულზე მეხატება-მეთქი, მაგრამ, რაკი მამაშენია, პატივი უნდა ვცე!

— ოპ, პირდაპირ აღფრთოვანდება, როცა ამას გაიგებს! ლესტამბემ მოუყრუა.

— რაღაც საბუთები ჩამივარდა ხელთ. რა თქმა უნდა, ქვეყნის დამაქცევარი არაა, მაგრამ მამაშენს სახელს გაუფუჭებს. ხომ იცი, რა დროა, ახლა ძველებს დიდად არა სწყალობენ!

ისეთი არაფერი საბუთი ლესტამბეს არ ჰქონდა. ზონაში, პრაქტიკის ჟამს ძველი ნაპატიმრალის მონაყოლს ოფიციალური ოქმის სახე მისცა და მოხერხებული დროისათვის შემოინახა. ამ ქაღალდის ნაგლეჯს მავანი არც მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ მონადინებული მეტოქის ხელში შეიძლებოდა ნაღმის ძალა შესძენოდა.

— მამაჩემი თუ გაბრაზდა, ტყის ურჩხულია! — თქვა უცებ ნატაშამ. — ასფალტის სატკეპნივით გადაგივლის, იცოდე! შენ ან სულელი ხარ და საფრთხეს ვერა გრძნობ, ანდა დიდად უშიშარი შანტაჟისტი...

— მოდი, ერთმანეთს ნუ გავლანდავთ! — მშვიდად შეეპასუხა ლესტამბე. — მე სულელი არა ვარ, ასფალტის სატკეპნში მოყოლა სახარბიელო მართლაც ვერაა! შანტაჟით კი, შანტაჟისტი კი არა, მეგობარი ვარ, რადგან მამაშენს მინდა საფრთხე ავარიიდო.

— მაშინ მომეცი ის საბუთი!

ლესტამბემ წყნარად ჩაიცინა და ამ დროს ყვითელი კბილები გამოაჩინა, მისი ეს ჩაცინება ძაღლის ღრენას დაემსგავსა.

— ნატაშენკა, მთლად ასეთი გულუბრყვილო გგონივარ? მაგი რომ მოგცე, სიკვდილი ხომ გამოწერილი მექნება, ქაღალდიც გაქრება და მეც! ერთი კი დაიმახსოვრე, სანამ ცოცხალი ვარ, მამილოს მშვიდად შეუძლია იძინოს... სხვათა შორის, ჩემს ოჯახში მესამე თაობის ჩეკისტი ვარ!

ნატაშა სწრაფად წამოდგა და გაშორდა... ლესტამბე მანამ გაჰყურებდა, სანამ ქალიშვილი მეტროს ჩასასვლელთან გაქრებოდა... ამოიოხრა! იქნებ მართლაც ბავშვურად აცეტ-

და, თავი ლომის ხახაში ისე შეყო, წინასწარ ყველაფერი ბოლომდე ვერ გათვალა. რაც ნატაშა გაშორდა, იმ წუთიდან ფხიზლად უნდა ყოფილიყო, თორემ ტრაგიკული შემთხვევითობა არ დაყოვნებდა...

ლესტამბერ პაპიროსის ნამწვი ფანჯარაში მოისროლა და კუპეში შებრუნდა. ჩემოდანს თვალი ჰქიდა. ისევე იდო, როგორც წელან დატოვა. უბრალო, პანია ბოქლომი, თმის სარჭითაც იოლად რომ იხსნება, ადრინდელივით ეკიდა და ოდნავ ირხეოდა, თუმცა ეს შეიძლება მატარებლის ტატსაც გამოეწვია. დედაკაცი კუშტად იყურებოდა, გოგონა კი უცებ საშილად განითლდა და პირი ფანჯრისაკენ მიაბრუნა, მოსკოვის გარეუბნებით დაინტერესდა.

„ესეც ასე!“ — გუნებაში ჩაიცინა ლესტამბერ. დედაკაცი ნაღდად არ ჰერდა ქურდს. არც ლესტამბე იყო ისეთი სულელი, საპონსა და საცვლებზე მნიშვნელოვანი რამ მიენდო ფანერის ამ ყუთისათვის.

— მგონი მივდივართ! — ძალდაუტანებლად გაულიმა თანამგზავრებს.

მარტივი გამოცანა ამოხსნილი იყო და გულში ადგილი არ დარჩა ბოლმისათვის.

— გალინა სერგეევნა! — დარბაისლურად ბრძანა დედაკაცმა. — ეს კი ვერინკა!

ვერინკა კვლავ განითლდა და ლოყებზე ხელები აიფარა.

„მორცხვია, — მოენონა ლესტამბეს, — დედის მაგიერ რცხვენია... დედიკო კი გაქნილის ერთია!“

დუმილი არ ივარგებდა და ლესტამბემ მოხსნა გუდას თავი. ცდილობდა, გულუბრყვილო და თავისი გარეგნობისათვის შესაფერისად მოსულელო გამოჩენილიყო, ბევრი ეთქვა, მაგრამ ამ ბევრში მისხალი სიმართლეც არ გარეულიყო.

რუსთა ქვეყანას მზე გაშორდა და ბინდი ჩამონება. ვერინკა ვერაფერს ხედავდა, გარდა შორეული ნათურების მწკრივისა. გალინა სერგეევნა და ლესტამბე, ერთი ხანდაზმული დიაცი, მეორე — უნვერული ინტრიგანი, გულმოდგინედ ბაასობდნენ „პრავდის“ გუშინნინდელ მოწინავეზე, პარტიის ცეკას ბოლო დადგენილებაზე და ვოლგის კასკადის აუცილებლობაზე.

გალინა სერგეევნამ უცებ იკითხა:

— თქვენმა თანამგზავრმა დააგვიანა?  
— ვფიქრობ, გზაში წამოგვეწევა! — ღიმილით მიუგო ლესტამბემ.

გვიანი ჩაით შემოვიდა ვაგონის გამცილებელი. ხურდა ჯიბეში ჩაიჩრიალა, თან მიმოიხედა.

— ერთი ადგილი ზედმეტია?  
— მე ორი ბილეთი მაქვს!  
— ორი რაღად გინდათ?  
— ერთზე მე ვიძინებ, მეორეზე — ჩემი ქუდი!  
— ქუდი?

— ჰო, რა გაგიკვირდა? ისეთ ჭკვიან თავს მოსავს, ღირსია, ცალკე საძინებელი მივუჩინო!

გამცილებელმა თვალი დაჭყიტა, შარზეაო, და დროზე მოცოცხა.

ვერინკამ უცებ გადაიკისისა, ეუვანივით გაიწკრიალა.

გალინა სერგეევნამაც გაიღიმა, თუმცა მის სახეს ამაყი სიცივე მაინც შერჩა. გოგონას კისკისი ლესტამბეს გულს მოეფრინა, დედაკაცზე კი დაცინვით გაიფიქრა: „ასეთები სიამოვნებით ჩაგიგორდებიან, მაგრამ უმჯობესია, სცემო და კაბა თავზე გადააფხრინო!“

საუბარ-საუბარში თვლემა მოეძალათ, ლესტამბემ დაამთქნარა და ქვედა თარო გალანტურად დაუთმო ქალებს, თვითონ ზედა თაროზე შეძვრა, თან გულში ჩაიმარხა შიში, ემანდ ახლად შეძენილმა ნაცნობმა ლამე-ბნელში სამართებლით კისრისძარღვი არ დამაჭრასო. ჩვეულებრივ კურდღლის ძილით, თვალდაჭყეტილს ეძინა, რითაც ახლობლებს აფრთხობდა კიდეც, ეს ღამე კი, აღბათ, თეთრად გაუთენდებოდა.

გალინა სერგეევნას, ეტყობა, ასეთი ფიქრები არ აწუხებდა, საბანი გადაიფარა და უმალ მამაკაცური, ბოხი ხვრინვა ამოუშვა. იქნებ ზედმეტი ეჭვიანობა გამოავლინა ლესტამბემ, ქალი მის ჩემოდანს არც გაჰკარებია და ახალგაზრდა კაცის ვნებათა შესახებ არაფერი უწყის... ყური მიუგდო! ვერინკა ისე გასუსულა, თითქოს არც სუნთქვავსო. წარმოიდგინა საბანში გატრუნული გოგო და გული უცნაურად მოეწურა. წუთის შემ-

დეგ გოგო სადღაც გაქრა, ვითომც ღონიერ დედაკაცს ეჯაჯ-გურებოდა, ოღონდ საწადელისათვის ვერ მიეღწია. ამ ზმანებმა ძილ-ბურანში ჩაითრია და დროის სათვალავი დაკარგა... უცებ ძლიერმა ბიძგმა გამოაღვიძა.

— რა მოხდა? — იყითხა ლესტამბემ.

კუპეში სინათლე შემოდიოდა. სადგურის შენობის ფრონტონზე წარწერა იკითხებოდა — „ორიოლი“.

მოიხედა. კარი ოდნავ განეულიყო. გალინა სერგეევნა არ ჩანდა.

ლესტამბემ თავი გადმოყო, კუთხეში მიყუჟული ვერინ-კა გაარჩია.

გოგონამ შესაბრალისად ჩაისლუკუნა.

— რა მოხდა? — ხელმეორედ ჰკითხა ლესტამბემ.

— არაფერი, დედა ჩავიდა!

— მერე რაღა გასლუკუნებს?

— მეშინია!

— ჩემი გეშინია?

— ჰო!

„დასარეკად წავიდა, — გაიფიქრა ლესტამბემ, — უფრო-სებს დაეკითხება, ვერაფერი ვუპოვე და ახლა როგორ მოვიქცეო!“

ძირს ჩამოხტა, გოგონას მიუჯდა და კითხვა გაუმეორა:

— მაშ, ჩემი გეშინია?

— ჰო!

— ჩემი ყველას ეშინია... იცოდე, ხმა არ ამოიღო! შენ გვინია, არ ვიცი, დედაშენმა ჩემოდანი რომ გამიჩითა? ხმა არ ამოიღო, თორემ მოვიდა დანა!

ხელი საბანქვეშ შეუყო, მუხლისთავი მოუნახა და მოეფერა.

გოგოს შეაძაგძაგა, ალბათ, ზიზღის ან ნდომისაგან. საბნის კალთისათვის ორივე ხელი ჩაევლო და მკერდზე ძალუმად მიეკრა.

ლესტამბემ ხელები გააშვებინა. კისრისძირას ოდნავ მოუჭირა, მერე ჯერაც ხელშეუხები, მკვრივი ძუძუ მოუსინჯა.

ვერინკა ატირდა.

— ჩუმად, თორემ მოვიდა დანა! — დაისისინა ლესტამბემ. ძარღვებში თითქოს ქაჯი შეუჩნდა, წადილისაგან გონებას კარგავდა, მაგრამ ამ დროს დერეფანში მძიმე ფეხის ხმა მოესმა. ლესტამბე სწრაფად მოშორდა მსხვერპლს, კატასავით ზედა თაროზე შეფრინდა და თავი მოიმკვდარუნა.

შემოვიდა გალინა სერგეევნა. ლესტამბე ზამბარასავით დაიჭიმა. გული ისე უცემდა, მისი ხმაური კუპეში კი არა, ალბათ, მთელ ორიოლში ისმოდა. გალინა სერგეევნა დაიხარა და გოგონას ჩურჩულით დაეკითხა:

— რას სლუკუნებ?

— შემეშინდა.

— ადე, ჩავდივართ!

ლესტამბემ გონს მოსვლა ვერც მოასწრო, კუპეში მარტო დარჩა.

სწრაფად ჩამოხტა, კარი შიგნიდან ჩარაზა და ფანჯრის მინას მიეჭყლიტა.

გალინა სერგეევნა ენერგიულად მიიჩქაროდა, თან ვერინკასათვის ჩაევლო ხელი და გოგონა ბორძიკ-ბორძიკ მისდევდა. ვიღაც შლაპიანი მამაკაცი შეხვდა, გვერდით გაჰყვა. სამივენი გაუჩინარდნენ.

მატარებელი დაიძრა. ქალაქის სინათლეები თანდათან შეთხელდა, ბნელეთი ჩამოწვა... ლესტამბე უსიამოვნონ განცდამ შეიპყრო. კუპეში მარტო დარჩენა არ ვარგოდა. თუ ვინმეს მისი გამომწყვდევა სურს, ამაზე უკეთეს ხაფანგს ვერც მოიფიქრებს!.. იქნებ ჯობდა, დერეფანში გასულიყო, გამცილებლისათვის ჩაი ეთხოვა. სხვათა თვალწინ უფრო დაცული იქნებოდა... თუმცა, ვინ იცის!.. კუპე შიგნიდან ჩაკეტილია, გარედან ვერავინ გააღებს....

კვლავ თაროზე შებობდა. ძილი საბოლოოდ გაეფანტა.

წევს ლესტამბე თოლორაია ზედა თაროზე, თვალები ბნელში დაუჭყეტია, სმენა გამახვილებია. ხანდახან გარედან შუქი შემოიჭრება, კუპეს გაანათებს, ყავისფერი ჭერი გამოიყენება და კვლავ ჩამობნელდება... ისმის მატარებლის მონოტონური დაგადუგი, რაც ხიდებსა და გადასარბენებზე გრიალში გადაიზრდება... ვაგონის ბოლოს თითქოს კარმა გაი-

ჭრიალა... ვიღაცა შემოვიდა... ვაგონებს შორის გადასასვლელები იკეტება, მხოლოდ გამცილებლებსა აქვთ გასაღები... მიღიციასაც... ვინ იცის, კიდევ ვის?.. ფეხის ხმა ისმის... ვიღაცა ახლოვდება... აპა, კარამდე მოაღწია... ახლა გაჩერდება!.. არა, ჩაიარა!.. წამის მერე ვაგონის მეორე ბოლოს გარაზუნდება კარი... გარაზუნდა...

ისევ დაგადუგი და ტატი... სადღაც ბავშვი ატირდა, კარის დარტყმამ თუ გამოაღვიძა... ქალის ხმა ამშვიდებს... კვლავ რეინის ღრჭიალი, კაკაკუკი...

კურსკის ვაგზალი პროექტორებითაა განათებული. სინათლე კუპეს მთლიანად ავსებს. ლესტამბეს პირისახე ფანჯრის მინასთან მიაქვს, პერონს ათვალიერებს. უცებ მზერას შეეფეხდა. პერონზე მდგარი კაცი მოშტერებია, თვალები ფართოდ დაუჭყეტია და პირი მოუღია, თუმცა ხმა არ ისმის... ლესტამბემ სიღრმისაკენ დაიხია, კედელს ამოეფარა, ცალი თვალით გაიხედა. კაცი შორდება ვაგონს...

„ჩემი სიფათი არ მოეწონა!“ — ფიქრობს ლესტამბე.

შიშს ფართო თვალები აქვს. ამიტომაც ჰერინია, რომ ნატაშასთან მცირე შეთამაშებამ ფარული მანქანა აამუშავა. ნატაშას კი ამ დროს თავის ღუნღულა ლოგინში სძინავს, მისი მამილოს ხვრინვისაგან ჭერი ზანზარებს და თოლორაიას ბიჭის არსებობა არც ერთს ახსოვს და არც მეორეს.

არა, უფლება არა აქვს, სიფხიზლე მოადუნოს! საფრთხეები შეიძლება წამიდან წამზე კარს მოუკაკუნოს...

დერეფანში ფეხის ხმა მოისმის... მოდიან... აქეთ მოდიან! კართან გაჩერდნენ...

ლესტამბემ წამოიწია, წელს ქვემოთ თითქოს დამბლა დაეცაო, ტანი ვერ აზიდა.

დააკაკუნეს... ჯერ მორიდებულად, მეორეჯერ უფრო ძლიერ...

— მოქალაქევ, გაგვიღეთ! — ეს გამცილებლის ხმაა.

— რა იყო, რა გინდათ? — თითქოს ისევ ძილშიაო, მოგუდული ხმით შეეპასუხა ლესტამბე.

გასაღებმა გაიჩაკუნა, კარმა ოდნავ გაინია, მაგრამ შიდა საგდულმა შეამაგრა.

— კარი გაგვიღეთ, მგზავრებია!  
— ახლავე!

ლესტამბე ზევიდან გადმოეყუდა, საგდულს მისწვდა და გასწია.

კუპეში ძლივს შემოეტია გიგანტების წყვილი, იმოდენებია, ლესტამბეს სარტყელი მაჯაზე ვერ შემოსწვდებათ.

ბიკენტის ბიჭი მთლად დაპატარავდა. მიხვდა, ვერა ძალა ვერ იხსნიდა. თვალები ერთი რომ გადმოექაჩათ, გაიპარებოდა კიდეც, მაგრამ შემოსულები ჯერჯერობით თავდასხმას არ აპირებდნენ. მისხდნენ ფანჯარასთან და მასლაათი გააბეს ჭიდაობა-ბუღრაობის თაობაზე. მერე ერთმა, რომლის ნიჩაბივით ფართო სიფათი ლესტამბეს თავზარსა სცემდა, მეგობრულად უთხრა:

— ძმაკაც, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ჩვენ ქვედა თაროებს დავიჭროთ!

— დიახ! — სულსწრაფად დაიწრიპინა ლესტამბემ, ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ეს დევები მის მოგუდვას არ აპირებდნენ.

„ალბათ, ტყუპისცალებია... ილია მურომეცები... რა ბადებს ასეთებს? სირცხვილიც კია, მთელი კუპე აავსეს!“ — ასეთი ფიქრები უტრიიალებდა ატკიებულ თავში, მაგრამ, რა თქმაუნდა, ხმის ამომღები არ იყო.

— შენც რას ეკითხები?! — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა მეორემ. — თავისუფალია და დაწექი, ეგ ერთი ხომ ვერ დაიკავებს ორ ადგილს!

— ზრდილობა მაინც საჭიროა, გამცილებელმა ხომ გაგვაფრთხილა, ესეც მისი ადგილია! — თქვა პირველმა და კვლავ ლესტამბეს ამოხედა: — საით გაგინევია?

— შინ მივდივარ, საქართველოში?

— საქართველო დიდია!

— დიდი რანაირადაა, მაგრამ მე მერეთიდანა ვარ, ქალაქია ასეთი, ერთი ციდა!

— ო, გამიგონია! — თქვა დევკაცმა. — ბუთუ ქირია თუ გსმენია?

ლესტამბეს ასეთი ვინმე არ სმენოდა.

— რას ელაპარაკები, მერეთიდანაა და ბუთუ არ სმენია!  
— კვლავ ჩაიბუზღუნა მეორემ, შარზე თუ იყო.

— ბუთუ ისეთი დევკაცია, ორივეს ბეჭებზე გაგვაკრავს!  
სადღაც ყაზახეთშია, თქვეს!.. იყო და გაქრა კაცი! — სევდა მო-  
ერია პირველს და უცებ მოჭრა: — გვიანია უკვე, ჰე, დავიძინოთ!

გაიშოტნენ ქვედა თაროებზე და სულ მალე ორთქლმა-  
ლებივით ქშინავდნენ. ლესტამბე კი იწვა თავისითვის, თვალდა-  
ჭყეტილი მისჩერებოდა სიბნელეს და ელოდებოდა, თუ როდის  
შენყდებოდა დევკაცთა ფშვინვა, წამობობლდებოდნენ ეს  
დათვები, ებდლვნებოდნენ და კნუტივით მოახრჩობდნენ.

ფხიზლობდა ლესტამბე, გამეტებით ებრძოდა ძილს,  
ეწინააღმდეგებოდა შავ მაჯლაჯუნას, მაგრამ თვითონაც ვერ  
გაიგო, როდის გადაფრინდა დიად ქალაქ მოსკოვში, შეიპარა  
მაღალჭერიან ბინაში და იხილა შიშველი ნატაშა, რომელიც  
ხალიჩაზე ნებიერად წამოწოლილიყო, ტანზე კი ლივლივით  
უვლიდა გამჭვირვალე, კამკამა წყალი... „ვებდლვნები და  
მივახრჩობ!“ — გაიფიქრა და ამ დროს ქიმუნჯი ჰკრეს.

— ძმაკაც, წავედით! კარი ჩაკეტე, არ გაგქურდონ!

დევკაცებმა კარი გაიხურეს.

მატარებელი ხარკოვში შედიოდა.

ლესტამბე თაროდან ჩამოხტა. სარკეში ჩაიხედა. გაუხ-  
დეს ეძინა და ტანისამოსი დასჭმუჭნოდა. შეეცადა, ხელის-  
გულით გაესწორებინა. კარი ფრთხილად გასწია და თავი გა-  
რეთ გაყო. გამცილებლის კუპესთან ჩამსვლელები იდგნენ.  
საპირისპირო მხარეს ტამბური თავისუფალი იყო და იქითკენ  
წავიდა, ღია ფანჯარასთან პაპიროსს მოუკიდა.

მოუამული დილა დგებოდა, ალბათ, დღეც მოჟამული  
იქნებოდა. რკინიგზის გასწვრივ რუხი, უსიხარულო შენობები  
ჩამწკრივებულიყო. წვრილად ცრიდა. ჭუჭყიანი თოვლი ტალა-  
ხში იზილებოდა...

მატარებელი სადგურში ნელინელ შეჩრიდა, ერთიც შე-  
ტოკდა და გაჩერდა. პერონზე უამრავი წამსვლელ-წამომსვ-  
ლელი ირეოდა და ლესტამბემ გუმანით წყვილი გამოარჩია —  
ერთნაირ „მოსკვიჩკებში“, წავის ქუდებში, ბენვისქობიან  
წალებში...

„ამათთან მექნება საქმე!“ — გაიფიქრა. კაცებმა, მარ-  
თლაც, ვაგონის ნომერს შეავლეს თვალი. გამცილებელს საბუ-  
თი უჩვენეს და ამოვიდნენ. დერეფანში გულდანდობილად  
მოდიოდნენ, კუპეებს ითვლიდნენ. ლესტამბეს კუპესთან შე-  
ჩერდნენ. წინ მომავალმა მსუბუქად დააკაკუნა. პასუხი რომ  
ვერ მიიღო, კარი გასწია და კუპეში შეიჭყიტა.

ლესტამბემ მუხლების სისუსტე იგრძნო. იქნებ გაპარვა  
ეცადა, მაგრამ მცირე ფული და საბუთები ჩემოდანში ჰქონდა.

პირველმა მეორეს რაღაც გადაუჩურჩულა. იგი უსიტყ-  
ვოდ შებრუნდა, ალბათ, გამცილებლის მოსაყვანად წავიდა...  
მართლაც, წუთში გამცილებელი მოცუხცუხდა. იმანაც კუპე-  
ში შეყო თავი, მერე ტამბურისაკენ მოიხედა და კაცებს ანიშ-  
ნა, მგზავრი ეგერ პაპიროსს ეწევაო.

— მოქალაქევ, თქვენი საბუთები!

ლესტამბემ ჯიბიდან უხმოდ ამოიღო პირადობის მოწ-  
მობა და გაუწოდა.

კაცმა საბუთი გულმოდგინედ დაათვალიერა, ლესტამ-  
ბე ეჭვიანი მზერით გაზომა.

— თქვენ ჩვენი კოლეგა ყოფილხართ! — ხმაში ფამი-  
ლარობა გაკრთა.

— რა ხდება? — ახლაღა იკითხა ლესტამბემ.

— ისეთი არაფერი!.. ვეძებთ, ამხანაგო, ვეძებთ!

კაცმა მოწმობა დაუბრუნა, მეორეს თვალი ანიშნა და  
ორივენი ვაგონიდან ჩავიდნენ.

გამცილებელი ცუხცუხით მიჰყვებოდა და მის მოხრილ  
მხრებში აშკარად იკითხებოდა შიში და მოწინება.

6

როსტოკამდე არავის შეუწუხებია, იჯდა მარტოდმარტო  
და მოწყენილობა კლავდა. ოდნავადაც არ იზიდავდა ფანჯრის  
მიღმა გაშლილი გარემო. სლავეთის შავტალახისფერი სივრ-  
ცეები, უფერული, ჩაყვითლებული გარეუბნები, გამჭვარტ-  
ლული ვაგზლები არც თვალს ახარებდა და არც გულს. ზამ-  
თარი თითქმის დაშრეტილიყო, გაზაფხულს ჯერაც ღონე ვერ

მოეკრიბა, თუმცა ლესტამბეს არც ერთი ანალვლებდა და არც მეორე, რადგან ჭკვიანი კაცისათვის სააქაო მხოლოდ საცხოვრისია, სადაც უანგბადით უნდა ისუნთქო და თბილი ადგილი მოიძიო.

შიმშილი თითქმის არ აწუხებდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეახსენდებოდა კუჭის სუსტი წვა. ჩამოხტებოდა მომცრო, უსახელო სადგურში, თან უკან-უკან იხედებოდა, თითქოს მატარებელს შეეძლო განრიგზე ადრე დაძრულიყო. სწრაფად, შეუვაჭრებლად ქალალდის პარკში ჩაინყობდა მოხარშულ კარტოფილს, მჟავე კიტრს, ღვეზელს... ერთი ცალი ქაშაყიც იყიდა, მერე დიდხანს ასუფთავებდა და ისეთი სუნი დააყენა, მთელი დღე კუპე ვერ განიავდა.

გამცილებელს რამდენჯერმე მოატანინა ჩაი. წრუპავდა ნელთბილ, უგემურ სითხეს, ლოლნიდა გამხმარ ორცხობილას... მერე ტამბურში გავიდოდა, რათა მორიგი პაპიროსი გაებოლებინა... დრო მაინც ვერაფრით შეევსო. მატარებელი არ ჩქარობდა მაიცდამაინც, ვიღაცას დაეწესებინა, რომ დროზე ადრე არ ჩასულიყო ბოლო სადგურში... უსაქმურობით მოთენ-თილი კარს ჩაიკეტავდა, ზედა თაროზე გაიშოტებოდა და ყვი-თელ ჭერს მიაშტერდებოდა.

რაც უფრო შორდებოდა რეალურ თუ მის ტვინში და-ბადებულ საფრთხეს, მით უფრო ნაკლებს ფიქრობდა გუშინ-დელზე, სამაგიეროდ წარმოსახვა ხვალისაკენ მიისწრაფოდა, გონების თვალსაწინერზე ცოცხელდებოდა მერეთი, მშობლი-ური ეზო-გარემო, ახლობლები... საძალლეთში რაც ჩაეწერა, იმ დღიდან ამნაირი ფიქრებისათვის იშვიათად იცლიდა, რად-გან ძალლს მესიერება მოკლე აქვს, თავისივე გვარის მტერია და პატრონის ერთგული. ოღონდაც, ის ხომ მართლაც ძალლი არ იყო, იგი პომო-საპიენსად გაჩენილიყო, თავს თოლორაი-ების გენეალოგიური ხის ერთ ტოტად გრძნობდა და თურმე, გულის სიღრმეში, თავისიანები მონატრებოდა, ყველაზე მე-ტად, ცხადია, დედა — ზინაიდა პეტროვნა, ერთადერთი არსება, ვინაც წუნს ვერაფერს პოულობდა ვაჟიშვილის გარეგნობასა და გუნება-ხასიათში... ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, უანგაროდ უყვარდეს ვინმეს, თუნდაც ერთ

ადამიანს, და ეს ერთადერთი მოსიყვარულე არსება, რა თქმა უნდა, უფრო მეტად დედაა... ასეთი ფიქრი ალლობდა ლესტამბეს გულს, რადგან არაერთგზის შეუხედავს საკუთარი თავის-თვის დედის თვალებით და მაშინ საკმაოდ სანდომიანად მოსჩვენებია ის, რასაც თვითონაც უგუნებობის უამს „როჟას“ ეძახდა... ამ იშვიათ წუთებში მისი გამწლეული, კაფანდარა სხეული მოხდენილი ჩანდა, მისი ბოლმა და ზიზღი — სამართლიანი... ასეთი გაეჩინა იგი არა რომელიმე მითიურ არსებას, ცი-დან რომ განაგებს კაცთა ბედ-იღბალს, არამედ ამ ქალს — ზინაიდა პეტროვნას, ჯან-ღონით აღსავსე დედაკაცს, რო-მელმაც კარგად იცოდა თავისი უფლებები — ეცხოვრა ადა-მიანთა მორის და ცოტათი მათზე მაღლა.

მეორე არსებაც მოევლინებოდა ხოლმე ფიქრში ლეს-ტამბეს — კეკე, დაი მისი... რაღაცნაირი, აუხსნელი და უმიზე-ზო ურუანტელი დაუვლიდა ამ დროს ძარღვებში. წამოსვლი-სას შინ დატოვა უპროპორციოდ დაგრძელებული გოგონა, თავისი ასაკისათვის რომ გაესწრო და თავისზე უფროს ძმას ზევიდან დაჰყურებდა... ღმერთმა უწყის ახლა როგორი დახვ-დებოდა... ვერ გაერკვია ლესტამბეს, ვინ იყო მისთვის დედა-მისის შვილი — დედის გულში მეტოქე თუ ვიღაც სხვა, ამაზე მეტი... („აუჰ, რამდენი მზეთუნახავი დადის მოსკოვის ქუჩებ-ში!“ — ფიქრში ნერვულად ჩაურთავდა ხოლმე).

კიდევ ერთი ადამიანი, ერთი მეტოქე ელოდებოდა შინ — ბიკენტი, ძე ძღვიბი თოლორაიასი... დიახ, მეტოქე, ოღონდ სულ სხვა ასპარეზზე... განა არ უყვარდა ლესტამბეს ბიკენ-ტი? მამა იყო და უნდა ყვარებოდა! მაგრამ რატომ იყო ბიკე-ნტი ასეთი სახიერი, რატომ არ ჰგავდა იგი ლესტამბეს? ანდა პირიქით — ძე მისი რატომ არ დაემსგავსა მამას?.. ვინაა დამ-ნაშავე? იცოდა ლესტამბემ, ბიკენტის სახიერება ძალა იყო. ლესტამბეს რომ მამისათვის ეჯობნა, ათჯერ მეტი ძალისხმე-ვა და ეშმაკობა დასჭირდებოდა...

ფიქრსა და მოწყენილობაში მიიღია ის დღეც. მატარე-ბელმა გადაირბინა ტალღოვანი ბორცვნარი, სადაც აქა-იქ მაღაროთა ტერაკოტები წამომართულიყო და კვამლითა და მტვერით ხრჩოლავდა... ზოგან კოშკურის თავზე კოცონი

გიზგიზებდა, აირი იწვოდა... შავი მტვერი და ფერფლი ეფინა ყოველივეს... შავი თოვლიდან შავი ნაკადულები მოჩანჩქარებდა...

თანდათან მოიქუფრა, სივრცე გამქრქალდა, ჩამოლამდა... ქალაქის გარეუბნები ნათურებით დაიხუნდლა. ლიანდა-გის გასწვრივ წყლის მდორე ზედაპირმა გაიციაგა...

ეს იყო დონის როსტოვი!

7

ელნათურებით გაჩახჩახებული პერონი სანახავად ღირდა. ჩემოდნებით, ბოლჩებით, კალათებით დატვირთული უამრავი მგზავრი ფაციფუცით გარბი-გამორბოდა. სხვები თავიანთ ბარგთან იდგნენ და ფხიზლად დარაჯობდნენ, როსტოვი ხომ ქურდბაცაცებით იყო ცნობილი... მგზავრები ინკუბატორში გამოჩეკილებივით ერთმანეთსა ჰგავდნენ, ყველას ერთნაირი ეცვა — ნაცრისფერ-ტალახისფერი, თითქოს ქვეყნის საქსოვ ფაბრიკებს საღებავები ერთბაშად შემოლეოდა და ერთადერთი, ჩამოუამული, სამგლოვიარო ფერილა დარჩენილიყო... და უცებ, მონოტონურ, დამღლელ ერთფეროვნებაში გამოანათა... ნატაშა!.. თეთრი პალტო ეცვა, თეთრი ქუდი ეხურა და ხელშიც თეთრი ხელჩანთა ეჭირა. თვითონაც ისეთი ქათქათა იყო, შავი ღრუბლის ფონზე თეთრი მტრედის გაელვებასა ჰგავდა.

ლესტამბემ ფანჯრის მინაზე ცხვირი მიაჭყლიტა და ნატაშამ უმალ იცნო, ხელი ნარნარად დაუქწია.

— ალო, აგერა ვარ!

კისრისტებით გავარდა ლესტამბე დერეფანში, კიბესთან მიეგება, ხელჩანთა ჩამოართვა და გამოუძლვა.

მდელვარებისაგან ენა წაერთვა, გონს მოსვლა გაუჭირდა.

ნატაშა რაღაცას სწრაფად რატრატებდა, მაგრამ ლესტამბე მის სიტყვებს ვერ აღიქვამდა, აზრი ვერ გამოეტანა და მხოლოდ მაშინ, როცა კუპეში შეაბიჯა, გაიფიქრა, ნეტავ ვიცოდე, ამ პატარა, ლამაზ თავში რა ქარი ფშვიტინებსო.

ნატაშამ პალტო გაიხადა, დაჰკიდა, თეთრი ქუდი და თეთრი ხელთათმანები მაგიდაზე დაყარა, დაჯდა.

ლესტამბე მის წინ დაეტყეპა, თვალს არ უჯერებდა, შეფრფინვით უყურებდა და არ იცოდა, რაზე ელაპარაკა.

— კიდევ კარგი, ბილეთი რომ არ გადავაგდე! რამდენი ხანია, კავკასიაში გამგზავრებაზე ვოცნებობ... უცბად გადავწყვიტე! კუპეში მარტო ხარ?

— ჰო! — ლესტამბეს ხმა ჩახრინნოდა.

— ძალიანაც კარგი! ჰა, ოცდახუთმანეთიანი!

— რა?

— ბილეთის ფულია! არ მინდა ვინმეს ვალი ავიკიდო! მადლობა ღმერთს, ფული საკმარისი მაქვს...

— ნატაშა...

— გამომართვი, თორემ სხვა ბილეთს ვიყიდი და კუპე-დან გადავალ.

ლესტამბემ ამოიოხრა, ფული ჯიბეში ჩაიდო. ქალის ხელ-ჩანთა და ქუდი ზედა თაროზე შემოაწყო და კვლავ დაჯდა.

— კი მაგრამ, ნატაშა, ეგ როგორ?

— ასი წელია, მამილოს ვეღრიჯები, ზღვაზე გამიშვი-მეთქი. ძლივს დავითანხმე... ისეთი ბედნიერი ვარ, თავი კინოში მგონია. აკი გითხარი, თავისინათქვამა ვარ, რასაც გადავწყვეტ, ეგრე იქნება. ასეც მოხდა! მამილოს ხელი დავუქწიე, ნახვამდის-მეთქი! იმას გაკვირვებისაგან კინაღამ „კონდრაშა“ დაცა, მაგრამ, სანამ პირიდან ხმა ამოუვიდოდა, მე უკვე მანქანაში ვიჯეები...

— მანქანაში? — უაზროდ იკითხა ლესტამბემ.

— ჰო, ტაქსი გამოვიძახე! ძალიან ვჩქარობდი, მაგრამ ვეღარ მოგისწარი. საბედნიეროდ, სოჭის ჩქარი მატარებელი დაიძრა და ბილეთი გადავცვალე... ორი საათით გადაგასწარით!

მატარებელი ქალაქს გასცილდა. ერთხნობას დონისპირეთის სოფლების ნათურები ჩამნკრივდნენ, მერე ისინიც გაქრა და ყველაფერი ლამის სიშავეში ჩაიკარგა.

ლესტამბემ უინტერესოდ გახედა ბნელ გზისპირეთს და გაუბედავად იკითხა:

— მამილოს ელაპარაკე?

ნატაშას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ მხოლოდ წამიერად. მერე მოურიდებლად შემოსცინა:

— შენ გსურდა, რომ მელაპარაკა!

— მერე?

— არაფერი! უყურე მაგ ნეხვის ჭიას, ჩემს მუხლებზე მოუნდა ამოცოცებაო.

„ნეხვის ჭიაო? — ლესტამბეს სუნთქვა შეეკრა, წამოჭარხლდა, ბრაზისაგან კინალამ გასკვდა. — ეს ნაბოზარი, ესა! — გაიფირა გულლრძოდ. — ამაღამ რომ დავითრევ, მერე ვნახოთ... იქნებ მოვახრჩო კიდეც და ვაგონიდან გადავუძახო!“

ფუჭი იყო ეს ფიქრი, იცოდა, ვერ გაბედავდა, მაგრამ შურისძიებით ოცნებებში ტკბებოდა.

პაპიროსი ამოილო, თანამგზავრისათვის ნებართვა არ უთხოვია, ისე მოუკიდა.

ნატაშაც, შენ რა, „ბელომორკანალს“ ეწევიო, დაიჭყანა, და ერთი ცალი ამოილო.

— რისთვის ამეკიდე? — ჰერთა ლესტამბემ უხეშად.

— აგეკიდე? — დაცინვით ჩაეძია ნატაშა. — ესე იგი, არა გჯერა, რომ შემიყვარდი და შენი ცოლობა მომინდა!

— დამცინი?

— რომ დაგცინო, მერე რა... — ხუმრობით თვალებში შეაბოლა.

„ბოზია! — დაასკვნა ლესტამბემ, მის ნაცნობთა შორის მხოლოდ მეძავნი ენეოდნენ. — ერთს ყოჩაღად გავულანუნებ და დავიმორჩილებ!“

თავს იტყუებდა! მამილოსი ეშინოდა... ამ ლამაზი ტუჩების სურვილიც კლავდა.

— ნატაშენკა! — წინ წაიხარა.

— მომწყდი! — ჩუმი სიცილით უბიძგა ნატაშამ. — სულაც არა ვარ კოცნაობა-პროშტნაობის გუნებაზე!

ლესტამბემ ამოიოხრა.

— ჩემს მშობლებს რა ვუთხრა?

— რა უნდა უთხრა? იქნებ სულაც არ ჩამოვიდე მაგ შენს ლიმპოპოში! სოხუმში დავრჩები ანდა თბილისისაკენ გავუ-

ტევ: დედაქალაქია, იქ, ალბათ, ნაკლებად არიან ხანჯლიანი ველურები!

— ხუმრობ?

— უთხარი, საცოლეა-თქო! ვითომ რაო, დასაწუნი საცოლე ვარ?

„ამაღამ ყელში წავუჭერ! — ასეთ ფიქრს ეფერებოდა ლესტამბე. — ჩემს მკლავებში აფართხალდება...“

ოლონდაც, მარტო დარჩენა არ ეწერათ. ვიღაცა წამოხრიგინდა დერეფნის ბოლოდან. ლესტამბემ იგუმანა, მაინცდამანც ჩვენ შემოგვეტენებაო. მართლაც კარი დაუკავუნებლად გასწიეს და ზღურბლზე ზონზროხა დედაბერი წამოიმართა, გან-გან ძლივს შემოეტია, თან ერთი ხელით ვეება ჩემოდანი მოქეონდა, მეორეთი — არანაკლები სიდიდის კალათა.

— შეგავინწოვეთ, შვილებო? — იკითხა კაცური, ხრინიანი ხმით. — ბოდიში და კიდევ ბოდიში! გამცილებელმა მითხრა, აქა თავისიუფალი ადგილიო, რა თქმა უნდა, ქვედა... ზევით მე ვერ შევძვრები, მუხლები არ მივარგა და იმიტომ... ეჰეჰე, კალიასავით დავხტოდი ერთ დროს, მაგრამ სიბერეს სიქაჩლე ცოდნია. თქვენ, შემთხვევით, მამა-შვილი ხომ არ ბრძანდებით?

ლესტამბეს თითქოს ჩაარტყესო, ნატაშას კი ისეთი კისკისი აუტყდა, ცოტაცაა და ძირს გაგორდებაო.

„ეშმაკმა წაიღოს რუსეთის მთელი დედაბრობა! — გულზე სკდებოდა ლესტამბე. — საიდან გამოტყვრა ეგ ხრონცი, კუბოში უნდა ლპებოდეს უკვე! ვკრავ წიხლს და ჩავაგდებ ვაგონიდან!“

ვერც ჰერავდა, ცხადია, და ვერც ჩააგდებდა, დედაბერი მისნაირს, ალბათ, ათს გათოკავდა.

ამასობაში, ეტყობა, თვალი ბინდბუნდს მიაჩვია და მოხუცი მიხვდა, რომ შეცდა.

— ნუ მიწყენ, შვილო, ერთი გამოჩერჩეტებული დედაბერი ვარ, თვალებში ვერ ვიხედები, ახალგაზრდა ყოფილხარ...

— საქმროა! — სიცილით ამცნო ნატაშამ.

— ეფ, ჩვენი რუსის უჭკუო გოგოები, — მოიწყინა უცებდედაბერმა, — ოლონდ ვინმემ თითი დაუქნიოს, დედამიწის

მეორე მხარეს გაეკიდებიან. მოგხვდება ამ ჯიგიტისაგან მათ-რაზი და მაშინ იტკარცალე!

ნატაშას სიცილი პირზე შეადნა, შეეცადა საუბარი უსია-მოვნო კალაპოტიდან გადაეგდო.

— რა გქვია, ბებო?

— მატრენა!

— მატრენა ბებია, ჩაის ხომ არ ინებებთ? კუპეში ისეთი ჯიგიტი გვყავს, წამში გამცილებელთან გავარდება და მოგ-ვართმევს!

— აგაშენა ღმერთმა! გემრიელი ღვეზელი ჩემზე იყოს, ჯერაც არ გაციებულა ამ კალათაში.

ლესტამბემ გუნებაში ერთსაც შეუკურთხა და მეორე-საც, მაგრამ, სანამ გამცილებლის კუპემდე მიაღწევდა, მის ტვინში ეშმაკის კერძი მოიხარშა. ქალებს ყოჩალად მოემსახუ-რა, მატრენას ღვეზელი მადიანად შესანსლა და, „რეპეტეს“ ხომ არ ინებებთო, ისიც იკითხა... თითო ჭიქაზე უარს არ ვიტ-ყვითო, უპასუხეს... ლესტამბემ არ დაიზარა... ნატაშამ, ამ ჩა-ის რაღაც სხვანაირი გემო დაჰკრავსო. ვაჟმა შიშიანად შეხე-და, მაგრამ მატრენა ენად გაკრეფილიყო და ნათქვამი ჰაერში დაეკიდა.

— ახლანდელი გოგოები ოღონდ დათხოვდნენ და, თუ გინდა, ცარიელ შარვალს წაჰყვებიან. გოგო როცა თხოვდე-ბა, წინ უნდა გაიხედოს, შვილებზეც უნდა იფიქროს. აი, ჩემს ფედიას, ღმერთმა აცხონოს, ჭიკარტივით ცხვირი ჰქონდა, ხუთი შვილი გავუჩინე და ყველას იმნაირი გამოჰყვა... ის რომ დავმარხე, ჯერაც ახალგაზრდა ვიყავი, ძარღვებში სისხლი მიდუღდა. რა მექნა, საფლავში ხომ ვერ ჩავყვებოდი... ვივიშ-ვიშე, ვიტირე, მაგრამ თვალებში სინათლე რომ მომეცა, მივი-სედე და მოვიხედე. თურმე ამას ვუნდივარ, იმას ვუნდივარ. რაღა დაგიმალოთ, გულკეთილი ქალი ვიყავი, არ ვიცოდი, უარი თუ ითქმოდა. თანაც ძნელია ქალისათვის უკაცობა... ერთი წითელცხვირა მეზობელი მყავდა, იმსიგრძე ცხვირი სოფელ-ში არავისა აქვს. ჰოდა, ჩემს მეექვსეს დაჰყვა ეგეთი ცხვი-რი... ჩემს მეშვიდეს თვალები აქვს გადმოკარკლული, დახატუ-ლი კოლექტივის ბუღალტერია...

— მერვე და მეცხრეც ვიღაცას ემგვანება! — ჩაურთო ლესტამბემ.

— მერვე და მეცხრე დამეხოცნენ, — დაცინვას ვერ მი-უხვდა მატრენა, — ერთიც მივაყოლე, ზედგამოჭრილი ბოშა. იმ წელს სოფელში ბოშათა ბანაკმა ჩამოიარა. ცეცხლივით ბიჭი ერია, ცხენივით ჭიხვინებდა... ისიც მოკვდა...

— დავიძინოთ, თორემ ბებია ასამდე ავა! — ზანტად დაამთქნარა ნატაშამ. — რატომლაც მაურჯოლებს... მეძინება...

— ჰეჰე, ანი მეც კი დამეძინება, — მატრენას ხმა უცებ ჩაუვარდა. მძიმედ წამოფოფხდა, თაროზე გაგორდა, თან ლაპარაკი გაუგებარ ლუღლულში გადაეზარდა.

— დანექი, ჰო, დანექი! — ლესტამბემ ნატაშას საბანი გადააფარა, თვითონ კი ზედა თაროზე აძვრა და გაინაბა...

## 8

მოულოდნელად სიზმარში ჩაეშვა. ვითომც მერეთში იყო, ჩხერიის სანაპიროზე. ირგვლივ მოქალაქეებს მოეყარათ თავი, ჩოჩქოლებდნენ.

სადღაც შორეთში ზარბაზნები გაისროლესო, გრუხუნი მოისმა.

უჩვეულო ღრიალით წამოიმართა შავი კედელი. ჩხერიის კალაპოტში მოექანებოდა ტალახიანი ღვარი, გზა-გზა მოხ-ვეტავდა ყოველივეს — ნაპირთან უდარდელად ამოსულ ბუჩ-ქნარსა და ხეხილს, ღობენნულსა და ხუხულებს, ნაყანარსა და ქვაღორლს... ჩამოქანდა მღვრიე ნაკადი, ეცა ხიდს, შეაზანზა-რა... ხიდმა გაუძლო, აღარ დანებდა... ღვარცოფი ქვემოდან ვერ გაეტია, ზევიდან გადაუარა, ატივტივებული მორი გამოაქანა, მოაჯირი გადაულენა... თითქოს გაათავისუფლესო, ბეტონის მოაჯირებიდან არმატურა ამოიჩაჩხა და მორი შიგ გაეჩირა...

„წაიღო, წაიღო!“ — იკივლა ვიღაცამ, მაგრამ გაურკვევე-ლი იყო, ვინ წაიღო ან რა წაიღო.

ეგერ, ეგერო, — სხვა შეეხმიანა.

„კუბო, კუბო!“ — კვლავ დაინივლა პირველმა.

მღვრიე ნაკადს შავი კუბო წამოელო.

შიშისა და განცვიფრებისაგან ბრბო დადუმდა.

ნაკადმა კუბო ხიდზე მიაგდო. ზევიდან ვერ გადაიტანა, ქვევით ვერ ჩაითრია. იმას კი თითქოს გზის გაგრძელება ეწა-და, აღმა-დალმა ქანაობდა, ბეტონს ეხლებოდა.

„ხალხნო, სირცხვილია, ვიღაცის მკვდარი წყალმა წაი-ლო!“ — გაისმა შეძახილი.

ლესტამბემ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ტალახის ღვარ-ში აღმოჩნდა. არმატურას ჩაფრენოდა და ხიდზე გადმოლ-ვრილ ტლაპოში მიტოპავდა... წელამდე უწია უკვე, ფეხებიდან საყრდენი ეცლებოდა...

კუბო, აგერ, ხელის განვდენაზე ქანაობდა... სახურავი ახდილი ჰქონდა...

დახედა ლესტამბემ და...

ღია კუბოში გენერალისიმუსის ფორმიანი ვავა ზარქუა იხილა!

თვალი დაეჭყიტა ვავას, პირზე საზარელი ღიმილი მიჰ-ყინვოდა.

„ზოგიერთ ამხანაგს არა აქვს იუმორის გრძნობა!“ — ბრძანა მიცვალებულმა.

თავზარდაცემულმა ლესტამბემ არმატურას ხელი უშვა... უმალ შავმა ნაკადმა ჩაითრია, წაილო.

სწრაფად წამოიწია და კედელს შუბლი ატაკა... ოფლად გაღვრილიყო, წებოვანი წვეთები კისერზე ასხდა, აურეოლებდა...

მატარებელმა მიაკივლა ღამეულ სივრცეს და ხიდზე გადაიგრიალა...

9

დედაბერმა უცნაურად ამოიხროტინა, თითქოს იხრჩო-ბაო და დადუმდა.

კუპეში რაღაც მოხდა!

ლესტამბემ მიაყურადა. ნატაშას სუნთქვა არ ისმოდა. ფრთხილად ჩამოცურდა ზედა თაროდან, ხელის ფათურით მიაგნო ქალის სახეს. ნატაშას შუბლი ცივი ჰქონდა.

— ნატაშა! — წასჩურჩულა ლესტამბემ.

ზურგსუკან მატრენას ზონზროხი სხეული ეგდო და ლესტამბეს მოეჩვენა, საცაა დედაბერი ქეჩოში ხელს წამავ-ლებსო.

— ნატაშა! — გაიმეორა მან.

ქალი ურიტმოდ სუნთქავდა. ლესტამბემ მსუბუქად შეა-ჯანჯლარა, ვერ გამოაღვიძა.

„არ მოკვდება, — თავი შიშიანად დაიმშვიდა, — აბი არ იყო სასიკვდილო“.

ხელი კისერზე ჩამოუცურა, საძილე არტერია ფეთქავ-და. ახლა რომ მოუჭიროს, სიბნელეში, თხელი საბნის ქვეშ და-მალული ქალის სხეული წყლიდან ამოგდებული თევზივით აბათქუნდება... გლუვ მხარზე მოეფერა, ვნება მოეძალა. უკუ-ნში არაფერი ჩანდა, მაგრამ წარმოსახვაში გაუცოცხლდა შიშ-ველი ნატაშას ხატება, ისეთი, როგორიც იხილა შხაპის ქვეშ, მოსკოვურ ბინაში.

საპანი სწრაფად გადააძრო. ქალი არც განძრეულა. გულ-მუცელზე ხელი ჩამოუჩირა ლესტამბემ. ნატაშას ღამის პერ-ანგილა ეცვა. თბილი მუცელი შეუთრთოლდა და ვაჟის ხელის-გულმა თითქოს დენის დარტყმა მიიღო... ტვინშიც დენმა დაუარა, სიფრთხილის ზღვარს გადასცდა, ზედ უხერხულად შეაცოცდა... ქალის სხეული უგრძნობლად ეგდო და ვაჟის სურვილს არანაირად არ პასუხობდა.

„ქალწული არ ყოფილა!“ — ჯავრიანად გაიფიქრა და უცებ მოეჩვენა, რომ იქვე, გვერდით მატრონამ გამოიღვიძა, ვერება ლანდად წამოიმართა და საცაა ზედ წამოემხობა... ელდა ეცა, მოიხედა... გარედან მქრქალი ნათება შემოდიოდა... დედ-აბერი ზვინივით ეგდო და, ალბათ, არც სუნთქავდა... ამ წამი-ერმა ელდამ ღატოლვა ჩაუქრო. აზრი დაეკარგა უგრძნობ გვამთან ჯაჯგურს. შეეცადა ცოდვის კვალი დაეფარა, მოჩა-ჩული საცვლები გაესწორებინა...

აძაგძაგებდა... ვერ გაეგო, სიცივისა თუ შიშისაგან...

ზედა თაროზე აფოფხდა, გაყუჩდა...

გათენებას ცოტალა უკლდა. ლიანდაგზე ბორბლების დაგადუგი მისი გულის მფრთხალ ხმაურს შეერთო, საფეთ-ქლებზე ჩაქუჩი უკაკუნებდა.

იქნებ ყოველივე ავი სიზმრის გაგრძელებადა იყო? რაღაც მისტერიაში მონაწილეობდა, ვიღაცამ თავის ნებაზე ათამაშა... აბი?.. ვინ ჩაუდო ჯიბეში, ნუთუ წინასწარვე ფიქრობდა ასეთი ვარიანტის შესაძლებლობაზე?.. რამდენი ხანია, თან ატარებდა, თითქოს გადაავინყდა კიდეც... ის კი გაყუჩულიყო ბნელ ჯიბეში და მოთმინებით ელოდა თავის მსხვერპლს...

„ალბათ, ჭკუიდან შევიშალე!“ — მომხდარის გააზრება, ანონ-დანონვა არ შეეძლო.

თავს ავადმყოფად, უძროოდ დაბერებულად გრძნობდა. მართალი უთხრა მეძავმა, შენ ექიმი გჭირდებაო. ექიმი სჭირდებოდა, მაგრამ რომელ ექიმს გაუმხელდა გაუმხელელს... ვისთვის უნდა გაეზიარებინა ეჭვები, რომელთაც საკუთარ თავსაც ვერ უმხელდა...

ირიურავა. კუპეში ბინდი თანდათან გაიფანტა, საგნები გამოიკვეთა. თავი ასტკივდა, თვალის გახელა დაეზიარა. ერჩივნა, არც გათენებულიყო, მაგრამ დღე სწრაფად მოდიოდა და ლესტამბე ვერსად გაექცეოდა ხვედრს, საკუთარ თავს რომ განუმზადა.

— ცუდადა ვარ! — ჩაიდუდუნა უცებ ნატაშამ.

— რა? — თავი გადმოყო ლესტამბემ.

ნატაშას ჯერაც ეძინა, პირისახეზე მიტკლისფერი ედო... ვაგონი რიტმულად ქანაობდა და მატრენას უზარმაზარი სხეული უელესავით თახთახებდა... გული შეუქანდა ლესტამბეს, დედაბერს თვალები დაეჭყიტა და მტრულად მოსჩერებოდა.

— რა გინდა? — ახლა ამას შეეკითხა ლესტამბე და მხოლოდ ახლალა მიხვდა, რომ მატრენას მზერაში სიცოცხლე გამქრალიყო.

„ეშმაქმა წაგიდოს, აბი ხომ სასიკვდილო არ იყო!“ — შეფუცხუნდა.

გალახულივით ძირს ჩამოიძურნა, დედაბერს პირისახეზე ხელსახოცი გადააფარა, მერე დაჭმუჭნილი ტანისამოსი შეისწორა და ნატაშასაკენ დაიხარა.

— ცუდადა ვარ! — კვლავ ჩაიდუდუნა ნატაშამ.

ლესტამბეს შეაძაგდაგა. ქალს ლოყებზე ხელები მსუბუქად მოუთათუნა და ხმადაბლა დაუძახა:

— ნატაშა, გამოიღვიძე, ცუდ სიზმარს ხედავ!

ქალმა თვალი გაახილა, კარგა ხანს ათვალიერა მის თავ-თან დახრილი ვაჟი და მოულოდნელად ზიზღით მიუგდო:

— ნებვის ჭია!

ლესტამბეს თითქოს გაულაწუნესო, ერთი შეკუნტრუშდა და გულლრძოდ შეუბრუნა:

— ბოზო, ნაბოზარო!

ნატაშა კვლავ სიზმარეთში ჩაეშვა, მას ეს ბოლმიანი წამოძახილი არც გაუგონია და დამფრთხალმა ლესტამბემ ლოყებზე ისევ მოუთათუნა:

— გაიღვიძე, ნატაშა, გაიღვიძე!

— წყალი დამალევინე! — დაიჩურჩულა ქალმა.

მაგიდაზე ნახევრად დაცლილი „ბორჯომი“ იდგა. ლესტამბემ ჭიქაში ჩაამხო, თან ხელი უკანკალებდა და ბოთლის ყელი ჭიქის კიდეზე არაკუნდა.

თავი ააწევინა და ნატაშამ ორიოდე ყლუპი მოსვა.

— არ დაიძინო! — ჩასძახა ლესტამბემ. — ცუდმა სიზმარმა ჩაგითრია და ძილიდან ვერ გამოსულხარ!.. საცაა შინვიქნებით!

ნატაშამ ეჭვიანად ახედა, კვნესა-კრუსუნით წამოჯდა, ფეხები ძირს ჩამოყარა.

ლესტამბემ ფეხსაცმელები ჩააცვა, საკიდრიდან კაბა ჩამოხსნა და მიაწოდა.

— ჰა, ჩაიცვი, ხომ უნდა მოწესრიგდე!

— საძაგელი რაღაც მესიზმრა! — ნელ-ნელა, მძიმედ ალაპარაკდა ქალი. — თითქოს უზარმაზარმა, ნაცრისფერმა ვირთხამ გამაუპატიურა... საშინლად ყარდა! ლმერთო, რა საზიზღობა იყო, ძილში სიკვდილი მომინდა... — უცებ თვალი მატრენას ჰკიდა, თითო გაიშვირა და იკითხა: — ეს რა არის?

— კარგი ერთი, ისტერიკებს ნუ დაიმართებ! — უხეშად შეეპასუხა ლესტამბე. — ასი წლისა იყო და ერთხელაც არ მოკვდებოდა? ჩვენ სიზმრებში ვიყავით, ის კი ამასობაში გაპარულა... დაწყნარდი, ალიაქოთი არ ატეხო, თორემ შარში გავეხვევით! ჰა, ჩაიცვი!

ნატაშას ააბაბანა, კბილს კბილზე ურაკუნებდა, დედაბერს თვალს არიდებდა, თან წალმა-უკულმა იცვამდა. ლესტამბე თან ეხმარებოდა, თან ენას არ აჩერებდა, რათა შოკიდან გამოყვანა და ეჭვიც გაეფანტა.

დერეფანში გამცილებელმა ჩაიარა, კარზე დააკაკუნა და წაუმღერა:

— მერეთი, მერეთი!

მატარებელი სვლას ანელებდა. მოშორებით უკვე გამოჩნდა სადგურის შენობა. ლესტამბემ თვალით თავისიანები მოძებნა. ბიკენტის თეთრი ტილოს კიტელი ეცვა, თავზე ასევე თეთრი ტილოს კეპი ეხურა, ლურჯი გალიფე გაპრიალებულ ჩექმებში ჩაეყოლებინა... საკმაოდ გაფაშფაშებული ზინაიდა პეტროვნა ნაცრისფერ საწვიმარს ტანზე მჭიდროდ იკრავდა, რაკილა გაზაფხულის ადრიანი დილის სიგრილე ჯერაც არ გაფანტულიყო... იქვე კეკე იდგა, გამხდარი, ჰაეროვანი — სიმაღლით დედისათვის გაესწრო...

ლესტამბემ ფანჯარაში ხელი გაყო და გაბზარული ხმით გასძახა:

— აქეთ, აქეთ!

10

ესეც ასე!.. რეალისტური თხრობის ნიმუში!.. (თუ, რა თქმა უნდა, ფანტასტიკურ „აბს“ არ ჩავთვლით!). ნეტავი სინამდვილეს რანაირად ესადაგება მოგონილი პერსონაჟის მოგონილი თავგადასავალი? ანდა ვის დააინტერესებს ლესტამბე თოლორაიას ინტრიგები და ბოლმის ნთხევა?.. საკმარისია, თაბახის ეს ფურცლები გადავთხრინო, ნაგვის კალათაში გადავუძახო და აღარ იარსებებს რეალობის ერთი შტრიხი, ერთი ფრაგმენტი — ლესტამბე თოლორაია...

სარკეში ჩავიხედე. ამოვიოხრე. ასაკი დამეტყო. ბოლო წლების არეულმა ყოფამ დაღი დამამჩნია, ნაოჭი მომიმრავლა.

სვანური ქუდი ჩამოვიფხატე, ხელთათმანები წამოვიცვი და კარი გავიჯახუნე (სიცივემ გვიანობამდე ძილს მიგვაჩვია, ჩემებს ჯერაც ეძინათ!).

ბინა ვაზისუბანში მაქვს, აქედან მეტრომდე ორი-სამი კილომეტრია. ზუსტად ესეც არ ვიცი, თუმცა ათასჯერ ჩამივლია... ჰმ, რეალობა... გზისპირას ნაგავი ყრია, ციდან ტალახისფრად ცრის, დანგრეულ ასფალტზე ტალახი აგლესილა... ესაა რეალობა! ისიც დღევანდელი რეალობაა, რომ მწერლის შემოსავალი გროშია და აგერ ავტობუსის საფასურადაც არ მყოფნის!

მივდივარ და ვფიქრობ: რატომ დავიწყე თხრობა ჭინჭყლი გაზაფხულით? ხომ შეიძლებოდა, რომ ლესტამბე თოლორაია თავის ნატაშას მაისის ბოლოს ანდა მთლად ივნისში შეხვედროდა... მზე, ყვავილები, მუსიკა... ტექსტიც სინათლით აივსებოდა. ლესტამბეს თავისი დედიკოს, ზინაიდა პეტროვნას თვალით შევხედავდი. მისი სულის სიშავე საგრძნობლად მოღიავდებოდა... გზას მოსკოვიდან მერეთამდე ხასხასა, ლურჯად და მწვანედ შეფერილი პეიზაჟები დაამშვენებდა... ვაგონში მატრენას ნაცვლად წითელყელსახვევიანი, სახეგაცისკროვნებული პიონერული რაზმეული შემოცვივდებოდა და ლესტამბესა და ნატაშას ბნელი სიყვარული რომეოსა და ჯულიეტას წმინდა გატაცებით შეიცვლებოდა...

ასე თუნდაც იმიტომ არ მოხდა, რომ ჩემი ითახი ცივი და პირქუშია, თბილისის ზეცაც ჩამოღამებული მეჩვენება, უგემური და უყუათო საჭმლისაგან ყაბზობა დამჩერდა... მიდი ახლა და მზიურ-ცისფერი ბიოგრაფია გამოუცხვე ლესტამბე თოლორაიას!

იშვიათი მანქანა ჩამივლის, ჭუჭყიან შხეფებს მესვრის... ნახევარი საუკუნეა ამ ქალაქში ვცხოვრობ, თავს მაინც უცხოდა ვგრძნობ, ამ მანქანებში ჩემი ნაცნობი არავინაა. ავტობუსის მძღოლები ხომ ძაღლებივით იღრინებიან, უფულო მგზავრებთან ჩხეუბით ნერვები დაწყვეტაზე აქვთ; მგზავრებსაც სახეები ჩამოსტირით, ამათაც უსახსრობა, სტრესი და, ალბათ, ყაბზობა ანუსებთ.

მადლობა ღმერთს, „მეტრო“ მუშაობს... ვაგონში ჭედვაა, ფეხს ძლივს ვიკიდებ. თხუთმეტწუთიანი მგზავრობა უსასრულო მეჩვენება, თავში უწყვეტად მიკაკუნებს: ოღონდ დენი არ გამორთონ! ოღონდ დენი არ გამორთონ! გამოირთვება და კუპრივით მსუყე ბნელში ჩავიძირებით, სუნთქვა გაჭირ-

დება, დროის მდინარება გაჩერდება, დაღლილობისაგან ტვინი ბლაგვდება...

ვაგზლის მოედანზე ამოვდივარ... საინტერესოა, ვიც-ნობ თუ არა ლესტამბე თოლორაიას?

ვერ ვიცანი!

დგას კარგად ჩამრგვალებული, დიდთავა კაცი... მეღო-ტზე ღერი თმა არ შერჩენია. წითური, ჭაღარით გარუხებული ულვაში ტუჩზე გადმოფენია. ლოყები ქონით გავსებია და წვრი-ლი თვალები ამ ქონში ჩაფლულა... ვავა ზარქუა?.. რა შუაშია ვავა ზარქუა?.. იგი ხომ დრომ მოინელა და ვეღარ მოასწრო ქონით ავსება.

— გამარჯობათ, პატივცემულო!

ეგლა მრჩება, ჩავეხუტო! ხელს ზიზღით ვუწვდი, ამით ერთგვარ დისტანციას ვიცავ, სადემარკაციო ხაზს ვავლებ... რა ეშმაკმა შემაქმნევინა?.. ქვეყნიერება დასახლებულია გიუმაჟი გოგო-ბიჭებით, მე კი ამ „რიუას“ არსებობით სიცოც-ხლე მოვინამლე...

— აქეთ მობრძანდით, პატივცემულო! — ლამისაა, ძირს გამეგოს. — აი, აქ დაბრძანდით!

პატარა, დანჯლრეულ „ზაპოროჟეცში“ უხმოდ ვჯდები... რკინის ცივი კოლოფია, კუბოში ნაკლებ ეციება.

— როგორ ბრძანდებით, პატივცემულო? — თან ქოქავს, თან გვერდულად მიყურებს.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო არაა, ზედვე მაწე-რია, როგორაც ვბრძანდები.

— რამ მოკლა ის საცოდავი? — გულსგარეთ ვეკითხე-ბი, რადგან ეფროზე „საცოდავი“ ნალდად არ ითქმოდა. იმდე-ნი იცოცხლა, ანგარიში თუ არ მეშლება, დარიკო მამიდას გადა-აჭარბა... ახლა ახალგაზრდები იხოცებიან, მოხუცებისათვის ვისა სცალია, ესენი დადგენილი განრიგით აბარებენ სულს უფალს.

— ასაკმა! — მოკლედ მპასუხობს ლესტამბე, თან სი-ცილს მოაყოლებს.

სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, გზას პირქუშად გავ-ყურებ.

თბილისი თითქმის ჩამკვდარა. ქუჩებში მანქანების ნაკ-ლებობაა. იმიტომ, რომ ბენზინი გაძვირდა, თანაც მანქანიან კაცს მეტი ხიფათი ელის, გადმოგსვამენ და იხტუნავე მერე... გამვლელიც ცოტაა... დაღლილი სახეები, ნაცრისფერი ლან-დები... მარად ახალგაზრდა თბილისქალაქი უცბად დაბერდა, ხალისი და ჰაეროვნება დაკარგა.

დიღმის გასასვლელთან პოსტია. შარაგზის გარდიგარდ-მო მონოლითები აწყვია, მანქანა ვინროში იკანკლედურად უნდა გაძვრეს... ავტომატიანი, უფორმო ახალგაზრდები... ესენი ომში არ მიდიან, ამათ ომი აქა აქვთ...

ჩვენ არ გვაჩერებენ... თავს ვიტყუებ, ვითომ მიცნეს და იმიტომ! ადრე ჩემი პროფესიის კაცს მართლაც ცნობდნენ, მონინებით გვექცეოდნენ, რადგან მავანთა თვალში ჩვე-ულებრივ მოკვდავთა სიაში არ ვეწერეთ. ჩვენ ერის რჩეულე-ბად გვრაცხდნენ და ყველაფრის ცოდნა გვევალებოდა. ვინმეს რომ ეკითხა, ფარდობითობის თეორიაც უნდა მცოდ-ნოდა და ნიუტონის ბინომიც, თუმცა ტექსტის მათემატიკური აპარატი ჩემთვის ამოუხსნელი შიფროგრამაა, უცხოპლანე-ტელთაგან გამოვზავნილი...

ჰმ, უცხოპლანეტელები... ქვეყანა როცა ხაროში გადა-იჩებება, ტოტალური კრიზისი გვახრჩობს, სწორედ მაშინ ჩნდებიან უცხოპლანეტელები, ასტროლოგები, მისნები, მჩხი-ბავები...

აგრე კიდევ ერთი უცხოპლანეტელი — ლესტამბე თო-ლორაია, წიგნის სტრიქონებში დაბადებული და საკმაოდ მოსუ-ქებული... ნეტავი რას მიირთმევს, რითი იკვებება? იმთავითვე კუჭის თანდაყოლილი წყლული რომ დამებედებინა, იქნებოდა დღეს ჩხირვით გამწლეული... ახლა კი კანში ვერ ეტევა. კოტიტა ხელები საჭეზე უდევს. ხელის ზურგს წითური ბალანი მოსდე-ბია. ლიპი ამობურცვია, საზამთროგადაყლაპულსა ჰეგავს, სავარ-დელში ტომარასავით დევს... არა, კი არ დევს, წრიალებს, წამ-დაუნუმ ქვეშ-ქვეშ გამომხედავს, ვხვდები, საუბრის საღერღელი აშლია, მაგრამ ჩემი უკარება სიფათი აფრთხობს.

მანქანაში დათბა, თავი უკეთ ვიგრძენი. სახეზე სიმშ-ვიდე დამეფინა, რადგან ცოტათი კეთილი გავხდი.

— პატივცემულო... — უნდა რაღაცა მკითხოს, მე კი  
მკაცრად ვაწყვეტინებ:

— ეს ვალიკო საიდან მოიტანე? ვილენი, ლესტანი, ეს  
კიდევ ჰო, მაგრამ ვალიკო?

— გავწვალდი, პატივცემულო, — ლესტამბეს სახე წი-  
თელ ბუშტს დაემსგავსა. — ჩემი დღე და მოსწრება იმას ვუნ-  
დები, მავანსა და მავანს ავუხსნა, რას ნიშნავს ვილენი და რას  
ნიშნავს ლესტანი... ჰიპიპი და ჰაჰაჰა... ლესტამბეზე ხომ  
ლაპარაკიც ზედმეტია... ასეთი სახელით ჩემი პროფესიის კაცი  
რომელ კიძეზე უნდა ავიდეს?.. ვალიკო სულ სხვაა, კაცი არ  
შემხვედრია, ეკითხა, ვალიკო რად გქვიაო.

— უჩემდ არ უნდა გადაგეწყვიტა. — შემრიგებლურად  
შევეპასუხე. — ლესტამბე ისეთი სახელია, დროის ბეჭედი  
აზის. აბა, ვალიკო რაღაა, ანი ამას რაღა მოვუხერხო, რომელ  
ტექსტში ჩავტენო, ჰა!

ნაცრისფერი გორაკების თავზე ჯვრის მონასტერი წამო-  
იმართა. ლესტამბემ პირჯვარი რაღაცნაირად სულსწრაფად,  
შიშნეულად გადაიწერა... ჩემი ეშინოდა თუ უფლისა? ეს გუშ-  
ინდელი ათეისტები ერთ დღეში მორჩმუნენი გახდნენ, ეკლე-  
სიის კარებში შეცვივდნენ... ოღონდ ყოვლისმხილველს ვერ  
მოატყუებ, ყველაფერს ხედავს და განაჩენიც არ დააყოვ-  
ნებს... ჯერ ჯვრის მონასტერს გავაყოლე თვალი, მერე სვეტი-  
ცხოველს გავხედე... მეხსიერებაში დავაფიქსირე... ვინ იცის,  
რა მოხდება! არავის გაუკირდება, ვინმე ჭკუისკოლოფა  
ზარბაზნები მოათრიოს, ბუთქოს და ზედ სიცილით მიაყოლოს,  
ნუ დელავთ, ხვალ-ზეგ უკეთესს ავაშენებთო...

ლესტამბემ მორცხვად შემომხედა, ჩაინუნუნა:

— უსამართლოდ მექცევით, პატივცემულო, ძალიან  
ვიჩაგრები!

— უსამართლოდ? — გამიკვირდა. — შენ იჩაგრები?

— ყველას სიკეთე ჩამოურიგეთ, მე კი თავიდანვე შემი-  
ძულეთ! რითი მჯობნიან? რაკი ესენი გულზე არ მეხატებიან,  
იქნებ ამიტომ არასწორად განვსჯი! კლასი გვქონდა წყალნა-  
ლებულთა, რომელი ოხერი უნდა მყვარებოდა? აი, დურუ გე-  
გია, ჩემი ძმა და მეგობარი! თქვენ ეს არ იცოდით? ანი გა-

იგებთ! ვინ არის დურუ გეგია? ღომის მოსახარში ქვაბია,  
ოღონდ გამოაძლე და ნახევარი მერეთი შემოეჭმევა. ისე,  
ღონიერი ბოთვერაა, მაგრამ ღონივრები ხშირად მხდლები  
არიან, ერთი რომ უფთხინო, შეიძლება გული შეუღონდეთ...  
მე გავხადე კაცი, თორემ თქვენი იმედით დღესაც იმ ღომის  
კასრს შერჩებოდა... აი, ნახეთ, ნახეთ! არიქა ძაძუა კოჭლია და  
იმიტომ შეგეცოდათ, ხომ? გულჩილი ბრძანდებით, გსურთ  
მისი სიყმანვილის კულულებს მოეფეროთ... ჰა-ჰა, სადაა კულუ-  
ლები? იგი მარტო ფეხით როდია კოჭლი, ერთი შექანებული  
ვინმეა... ჰა-ჰა, შექსპირს ეჭიდება, თვითონ კი, რომ შეუბერო,  
ეს რა ქარიშხალი ამოვარდაო, კოტრიალ-კოტრიალა წავა...  
მართალი თოდუა?... პირველი ტრიპაჩი და პაკაზუხა... გაიყვან-  
დით სცენაზე და ლექსებს არაკრაკებინებდით... ბულბული იყო,  
რა, მაფშალია... ნეტავი საიდან ამოქექეთ მისი სახელი? „მარ-  
თალი“, ესე იგი „პრავდივი“... „პრავდივი“ კი არა, ტრიპაჩი და  
პაკაზუხა...

— შენზე ილაპარაკე! — მკაცრად შევაწყვეტინე.

— ჩემზე რა უნდა ვთქვა? ბავშვობა და ყრმობა ისეთი  
ამიკინძეთ, თვითონაც ვერ გამიგია, ვინა ვარ? დიდის ამბით  
ამტკიცებთ, ადამიანი მრავალნახნაგოვანიაო, ჩემთვის კი  
მხოლოდ მუქი ფერები გემეტებათ!

— იცი რა, შენ ხომ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი იყავი,  
ასე ვთქვათ, ფონი... ახლა საიდანღაც გამოხტი და შუაში გა-  
ეჩინირე!

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა, მე, თოლორაიების  
ხაზის გამგრძელებელი, რატომ აღმოვჩნდი ფონში?

— ეს პრეტენზიები უკვე მომბეზრდა. იმდენი ვქენი, დიდ  
რუსეთში წავიყვანე, სასიყვარულო ასპარეზზე გავაჯირითე.  
განა ჩემი ბრალია, რომ მისი სულის ბნელეთში სიყვარულის  
სინათლემ ვეღარ დაივანა.

მოკლედ მოვჭერი:

— არ მოგწონს და ამოგშლი, პერსონაჟების მეტი რა  
მყავს!

— ვთქვი და შუბლი კინაღამ საქარე მინას ვხეთქე. ლეს-  
ტამბემ უნებლიერ მუხრუჭს დააჭირა და „ზაპოროჟეცი“ ძაგ-  
ძაგითა და ფრუტუნ-ფრუტუნით გაჩერდა.

— მოკვლას მიპირებთ? არ ქნათ, პატივცემულო, მაგი! გუნებაში შევუკურთხე, ხმამაღლა კი ვუბრძანე:

— მიდი, მიდი! — და მანქანა რომ ხელახლა დაქოქა, ნიშნისმოგებით ვუსაყვედურე: — მიუხედავად მუქი ფერებისა, საკუთარი თავი დიდად გყვარებია... გონიერება გმართებს, ნუ აუჯანყდები შენსა შემოქმედსა!

არაფერი მიპასუხა... წინ წაიხარა და გზას მიაჩერდა. მეც გაბუტულივით ვდუმვარ, გარემიდამოს ვათვალიერებ. ქართლის ფართო ველებსაც ნაცრისფერი გადაჰქონია. ზოგან თოვლის ლაქები ჩანს. ქარს თოვლის ხრილი ასფალტზე მოუხვეტავს, ალაგ-ალაგ მოყინულა... სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ყინულზე შეიძლება მოვსრიალდეთ.... სხვა მანქანები გზაზე არა ჩანს... მთელი ქვეყანა სიცივეს შეუკრავს, თითქოს მის არტერიებში სისხლდენაც შეჩერებულა... ჩვენი ეული, წითელი ხოჭო მითუხთუხებს აუჩქარებლად...

დუმილი გაჭინაურდა. მწყინდა ჩემივე შექმნილი ჰომუნკულუსის უმადურობა... თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს წინასწარვე უნდა მცოდნოდა — რა ბუნებაც მე დავანათლე, იმას ამჟღავნებდა...

გორის მისადგომთან ისევ პიკეტი დაგხვდა. გაუპარსავი, დაკუნთული კაცები ალიბაბას ზღაპრის ყაჩალებსა ჰგავდნენ. „კალაშნიკოვები“ სათამაშოებივით ეჭირათ და გამვლელ მანქანებს აჩერებდნენ. თუმცა მთელი ეს გზა ორად ორმა მანქანამ გადაგვასწრო, ერთი ძველისძველი „პობედა“ იყო, მეორე თურქული სატვირთო. ამას ძარაზეც ეწერა, ნამდვილად თურქისა ვარო. ახლა ორივე აქ გველოდებოდა, საბუთებს უსინჯავდნენ. ერთმა, მონგოლურსიფათიანმა საქარე მინაში ჩამოგხედა, წამით დამაკვირდა და მანიშნა, გაიარეთო. ან ჩემს ჭალარას სცა პატივი, ანდა ჩვენს საცოდავ „ზაპოში“ საკბილოს ბევრს ვერაფერს ნახავდა.

ლესტამბე მანქანას მოხერხებულად მართავდა. ხანდახან ამოიხვნეშებდა, ბოლმისაგან სკდებოდა. უჭირდა ჩუმად მგზავრობა, სურდა გულის მოოხება, მაგრამ გამშედაობა აკლდა.

ბოლოს დუმილი მეც მომწყინდა. ჩავახველე, ხმა ჩავიწმინდე და ვკითხე:

— ბიკენტი რასა იქმს?

— ბიკენტი? — გაკვირვებით მომხედა ლესტამბემ. მზე-რა უმაღ ამაცილა და გზას მიაცივა. ამ გამოხედვაში მძულვა-რება ვიგრძენი. ბეჭებში თითქოს ჭიანჭველამ დამსუსხა. ამასთან ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, ვინ იცის, გულში რას მალავდა.

— მაშ, თქვენ არაფერი იცით, პატივცემულო? — ეტყობა, თავს მოერია, კილო დაითაფლა. — სადაა ბიკენტი? რაც კეკე დაგველუპა...

— კეკე?! — ისე ხმამაღლა წამოვიყვირე, ჩემი ხმა კი-ვილს დაემსგავსა. უმაღვე მღელვარება მოვითოკე და ვუბრძანე: — გააჩერე!

წინ გორის აღმართი იწყებოდა. ლესტამბემ მანქანა გზისპირას მიაყენა.

ძრავამ დამხრჩალივით ჩაახველა და მდუმარება ჩა-მოწვა.

კეკე?.. ეს ხომ შეუძლებელია! მე მისთვის ნათელ, კაშკაშა მომავალს ვამზადებდი. ყოველი დღე და საათი გათვლილი მქონდა... კეკეს დიდხანს უნდა ეცოცხლა, მრავალი შვილი უნდა აღეზარდა... კეკე ახლა ჩემი ასაკის დარბაისელი მანდილოსანი იქნებოდა, მისი შვილიშვილების თვლა გაჭირდებოდა...

რა დროს დავკარგე ბედისწერის ძაფი, სად გაწყდა! ჩემი ბრალია ეს უბედურება, მაგრამ დრო-ჟამისაც... დუხჭირმა ყოველდღიურობამ ჩამითრია, სულის მოთქმის საშუალება წამართვა, ამიტომაც კეკეს ვეღარ მოვუქსოვე ლაჟვარდოვანი მომავალი...

„ღობესთან სხივი და ქალის თმა ერთად გროვდება!“ — ალექსანდრე აბაშელის ეს სტრიქონი სიყმანვილიდან დამამახსოვრდა. პატარა კეკეს გარიურაჟისეულ ხატს ეს სიტყვები მიესადაგებოდა...

„დობესთან სხივი და ქალის თმა ერთად გროვდება!“ —  
გაიფიქრა მართალი თოდუამ და ანგლობით უთხრა:  
 — გადასარევი პროლეტარი იყავი იმ ჩვენს სპექტაკლში!  
 — დაცინვას კაცი არ მოუკლავს! — კეკემ უპასუხა.  
 — სუმრობა იქით იყოს, არიქა ჯულიეტას ეძებს. მოდი,  
 ტექსტი დაიზეპირე, ბედი სცადე!  
 — რომეო შენ იქნები?  
 — ამას რა მნიშვნელობა აქვს?  
 — უცნობთან კოცნაობას ვერ გავმართავ! — სიცილით  
 მოუჭრა.

თავისნათქვამა იყო, სიტყვას არ გადავიდოდა.  
 — გვათამაშებენ კი? — მართალის გულისცემა მოუხ-  
 შირდა. — შენ აქამდე სცენაზე მხოლოდ „ვაშას“ დასაძახე-  
 ბლად აგიშვეს. ჯულიეტა, იცოდე, სულ სხვა ვინმეა, ბრინჯივ-  
 ით დაიბნევი...

ეს იყო პატარა შეთქმულება, საიდუმლოება, რომელიც  
 არავის უნდა სცოდნოდა, ყველაზე ნაკლებ კი თოლორაიებს...

უფრო ადრე, უსაქმურობისაგან გულშეჭირვებულმა,  
 მოწყენილი მეგობრების წრეში გაიხუმრა არიქა ძაძუამ:  
 — უსიყვარულოდ ვბერდებით მგონი!

ეს არ ეხებოდა დურუ გეგიას, კარგა ხანია, თავი ქუდში  
 ჰქონდა. ისე გალადდა, საკუთარ პერანგში ვერ ეტეოდა. ცისა-  
 ნა სიორდია თანაუგრძნობდა თაყვანისმცემელს, თავს აწო-  
 ნებდა. ღონიერი გოგო იყო, ძვალმსხვილი. „ჩაპაევი“ რომ და-  
 ედგათ, უკეთეს ანკა პულემიოტჩიცას ვერ ინატრებდნენ. ეგე-  
 თები მოსწონდა დურუს, თუ დაეჭიდებოდა, ადვილად ვერ უნდა  
 მორეოდა... მართალისა და არიქას შეაგვიანდათ ოლონდ. ორი-  
 ვეს მარტოობის სევდა ხრავდა, თუმცა მიზეზი მიზეზი ვერ და-  
 ეძებნათ. თითქოს ერთ დღეს გამოფხიზლდნენ, ახლადა მი-  
 მოიხედვესო, ქალაქი უცბად აივსო ცერიალა გოგონებით, სა-  
 სკოლო ფორმებში რომ ვერ ეტეოდნენ. მართალის ხანდახან  
 ზიტა აგონდებოდა, ის ხანმოკლე, მწველი განცდა... წარმოსახ-

ვაში უცოცხლდებოდა გოგოს ხორციელი სიშიშვლე და დაუკ-  
 მაყოფილებლობის გრძნობა ძილს უფრთხობდა. თვითონაც  
 იცოდა, ეს არ იყო „სიყვარული“, არ შეიძლებოდა ყოფილიყო,  
 რადგან ამ ფიქრებში ჭარბობდა ბინიერება მაშინ, როცა ჭა-  
 ბუკის სულს ცაში ენადა ნავარდი. მის მცირერიცხოვან ნაც-  
 ნობთა, უმთავრესად ინსტიტუტელ თანაკურსელთა უმრავ-  
 ლესობა ცისანასავით ჯანმაგარი გოგო იყო, ახალგაზრდულ  
 სხეულებში დედაკაცური ფორმა შეპარვოდათ და რომან-  
 ტიკული აღმაფრენისათვის საჭიროზე მეტად იწონიდნენ. აქ  
 უფრო ხორციელი ლტოლვის ასპარეზი არსებობდა, რაც  
 თითქოს გამორიცხავდა ჭეშმარიტ „სიყვარულს“, რაიც  
 გულისხმობს წმინდა ლაციცს ზღაპრის პრინცესასთან, არარ-  
 სებულ რაღაცასთან, სახელიც რომ არ დაეძებნება... არიქა  
 ძაძუაც ცხვირჩამოშვებული დადიოდა, ლამაზი, სხარტი ჭა-  
 ბუკი დადგა, პირისახე ანგელოზს მიუგავდა, ქერა, ხუჭუჭა  
 თმა თავზე ოქროს ძნასავით ეყარა, პირზე მოდებული რბილი  
 ბუსუსი ქრისტეს ხატებას ამგვანებდა, ოღონდაც, იგი ვერ  
 მალავდა თავის ნაკლს, ეჭვიანობდა, ეგონა, ყველანი ფეხებ-  
 ში მომჩერებიანო, თუმცა გოგონებს მისი მჭმუნვარე მიუკა-  
 რებლობა უფრო აფრთხობდათ.

ახალგაზრდული სული ბნელშიც სინათლეს იპოვის, რა-  
 თა ერთფეროვნება და მოსაწყენი არსებობა ჭრელი ფერებით  
 შეავსოს. იმ დღიდან, რაც მართალიმ წამოიძახა, პოლიტიკაზე  
 ჯვარი ხომ არ დაგვიწერია, სიყვარულზე დავდგათ რამეო,  
 არიქამ მოსვენება დაკარგა. „ჯულიეტა მჭირდება, ჯულიეტა!“  
 — ოხვრას ამოაყოლებდა ხოლმე. „მერედა გოგონების მეტი  
 რაა?“ — უკვირდა დურუს. „შენ თუ ცისანას გულისხმობ, დურუ  
 ჩემო, მასში სამი ჯულიეტა გამოიჭრება!“ — არ ინდობდა არიქა  
 და დურუ წყენით ქშუტუნებდა.

„მე ვიცნობ ჯულიეტას!“ — ფიქრობდა მართალი.

წამუადლევს, ლექციების შემდეგ ძმაკაცები სკოლასთან  
 ჩაისეირნებდნენ, გზა-გზა მასლაათობდნენ — პოლიტიკაზე,  
 წიგნებზე, სამყაროს განზომილებებზე, ქალაქურ ჭორებზე,  
 თეატრზე და, ცხადია, „ნაშებზე“. აწკრიალდებოდა ამ დროს  
 სასკოლო ზარი. წუთიც და პარმალიდან გოგონები ჩამოეფი-

ნებოდნენ, ქუჩას ხმაურით აავსებდნენ. „ჯულიეტა“ ტოლ-სწორებთან მოდიოდა. უკვე ბოლო კლასში სწავლობდა, თხელი ჩანთა მკერდზე მიხუტებული მოჰქონდა... გოგონები ჩურჩული სიცილით ჩაუვლიდნენ სტუდენტ ბიჭებს. ესენი საუბარს წყვეტდნენ, მზერას მიადევნებდნენ. „ჯულიეტა“ თვალს გაუსწორებდა მართალის, თამამ სალამს შეაგებებდა, მეტი არაფერი. მართალის ფიქრში აუჯღერდებოდა: „როგორც ყვავებში თეთრი მტრედი თოვლივით ელავს, სხვა ქალნულები ამ მშვენებამ სულ ჩააპნელა...“

მოგვიანებით ჩხერისპირა კორომში ხვდებოდნენ ერთ-მანეთს. ხიდიდან ას ნაბიჯზე იდონ ბოტანიკური ბალის ეს მყუდრო უბე. დიდრონი ხეები გადაზნექილიყო მდინარისაკენ, ზევიდან უხვ ჩრდილს აფენდა. მწვანე ბალახი ქუდივით ჩამოფხატოდა უანგიან ხაბოს. მცირე რიყე მოერეცხა ჩხერიას, კენჭოვანითა და მომტრო ლოდებით მოეფინა. გაღმა მხრიდანაც ფერდოვანი და მის თავზე იელის ბუჩქნარი ეფარებოდა ამ ადგილს. ახლო იყო სკოლიდანაც და ინსტიტუტიდანაც, თუმცა, ალბათ, ანგელოზმა ქალაქელებს აუკრძალა საიდუმლოს გახსნა. ფეხი აქ არავის შემოუცდებოდა, თუ არა სულელ თხას ან უღლიან ღორს, ხეთა ვარჯში ჩხიკვი შეიფრთხიალებდა, ციყვი გადაირბენდა ტოტიდან ტოტზე, კუდს აფშეკდა საყვარლად.

გაკვეთილების შემდეგ აქ მოირბენდა კეკე (ცოტათი ადრე იპარებოდა, რათა შინაც არ შეჰვიანებოდა). ქვაზე ჩამოჯდებოდა, დაბინდული თვალებით ჩხერიას მიაჩირდებოდა და თავისთვის ხმადაბლა ბუტბუტებდა:

— „ოი, რომეო, ო, რომეო, სად ხარ, რომეო?“

ინსტიტუტიდან მოეშურებოდა მართალი, მეგობრებს გზაზე უსხლტებოდა.

ჩეროდან უჩუმრად გამოვიდოდა. შორიდან შეხედავდა წყლისპირას ჩამომჯდარ ასულს, მის ხმადაბალ ბუტბუტს ყურს მიუგდებდა („არ ვიცი, რა ვქნა, ვუსმინო თუ პასუხი გავ-ცე?!“).

კეკე ელოდებოდა მოუთმენლად, მაგრამ ნეშოს შარი-შური ყოველთვის ერთნაირად აკრთობდა, ჭრელ ჩრდილში შეყოვნებულ ვაჟს დამფრთხალი მიაჩირდებოდა.

— „ვინა ხარ მანდა? ღამის წყვდიადს მიფარებული, ქურდულად ისმენ ჩემს გულისთქმას!“

ეს სიტყვები გამოწვევა იყო და მართალის ტექსტი უნდა აეტაცნა:

— „არ ვიცი სწორედ, რა გიპასუხო...“

ყოველი შეხვედრა აი, ასე „პაემანით“ იწყებოდა. სიტყვებს თანდათან მეტი სინრფელე და მგზნებარება ემატებოდა, სხვისი ტექსტი საკუთარივით აღიქმებოდა. ეს იყო ტკბილი და დამღლელი სიტყვები.

მერე „პირველი შეხვედრის“ სცენას გაათამაშებდნენ ანდა „სიკვდილისას“, აღმა-დაღმა ჩაივლიდნენ პიესის ტექსტს... მერე მოქანცულნი და სუნთქვააჩქარებულნი პირისპირ დასხდებოდნენ და მდუმარედ მიაჩირდებოდნენ ერთმანეთს.

უყურებდა მართალი კეკეს... სხვისი სიტყვებით შეიარაღებულს საკუთარი ვერ მოეძებნა. კეკეც დუმდა, ლოყები წითლად შეეფაკლებოდა. თმობდა ჩვეულ სითამაშეს, ხმაგაბზარული ატიტინდებოდა ყოფიერების უმნიშვნელო წვრილმანებზე... ენა ებმებოდა, წაბორძიკდებოდა...

— მაგვიანდება, უნდა წავიდე! — იტყოდა და არ მიდიოდა.

უსმენდა ვაჟი, წყლის რაკრაკს ჩაჰყვებოდა გოგოს ხმა, ყურს ელამუნებოდა...

საგანგებოდო, სადმე ჩიტი შეფრთხიალდებოდა. კეკე გონს მოეგებოდა, ბანგისაგან გამოფხიზლდებოდა.

— „თენდება უკვე, წასვლის დროა, მაგრამ ნეტავი ძაფით გამობმულ ჩიტზე უფრო შორს არ წახვიდე...“

— „ნეტავი ვიყო შენი ჩიტ!“

— „ნეტავი მართლა!.. თუმცა ალერსით დაგახრჩობდი, მშვიდობით იყავ!“

წამოხტებოდა და ბალის ბილიკს სირბილით ჩაივლიდა. მართალი ადგილიდან ვერ იძროდა, გაჰყურებდა თეთრ პეპელას, რომელიც ხან იკარგებოდა, ხან ხეთა შორის გაკრთებოდა.

— „გული აქ მრჩება და უგულოდ სადღა წავიდე!“ — ნიღბად ირგებდა რომეოს სიტყვებს.

საკუთარ თავს ვერ უმხელდა ლტოლვის ჭეშმარიტ მიზეზს. ყველასაგან დაფარული ეგონა და, ალბათ, ასეც იყო, მაგრამ გიუ ყველაში ვერ ჩაითვლება.

ბალის ჭიშკართან ერთხელ ვავა ზარქუას წააწყდა. ვავა მზეზე თბებოდა. ტიტველ მინაზე იჯდა, ზურგით მესერს მიყრდნობოდა, ჭუჭყიანი ფეხები აქეთ-იქით გაეშვირა.

გამოხედა მართალის, დაელრიჯა:

— რომეო, რომეო!

მართალის ემცხეთა. იქნებ ვავა სულაც არ იყო გიუი, იქნებ თავს განგებ იგიუიანებდა.

გიუშმაც კი იცის მისი „რომეობა“, მაშასადამე, მთელმა ქალაქმა იცის! დიდი ხნით არაფერი იმაღება.

— კეკე თოლორაია? — ეჭვით იკითხა არიქამ.

— ვინ კეკე, კაცო?! — თავი მოიგიჟიანა დურუმ. — ჯულიეტა ლამაზი იყო, ბოლოს და ბოლოს! ეს ჩხინკა, წეროსავით გოგო რა ჯულიეტაა? — დაინახა მართალის ანთებული სახე, გაიბუსა, გაღაულაუდა, აქშუტუნდა, შემრიგებლურად მოუქცია: — შენ რა, გენწყინა?

— არაფერი მწყენია! — მართალიმ თავი მოითოკა. — შენი გემოვნებისა ისედაც კარგად ვიცი! რაც შეეხება სილამაზეს, ნიჭიერება თავისთავადაა მშვენიერების წყარო! შეუძლებელია, ნიჭიერი ადამიანი ლამაზი არ იყოს!

ის ღამე თეთრად გაუთენდა მართალის. მეზობელ ოთახში ეფრო ოხრავდა, მოუსვენრად ეძინა, ხშირად იღვიძებდა. აგრე პენსია დაუნიშნეს, თან მოუბოდიშეს, ამიერიდან რეაბილიტირებული ხარ, თურმე სახელმწიფოსათვის არაფერი დაგიშავებიაო. ისიც დასძინეს, ცაცანაც შენსავით უდანაშაულო იყონ. „შელავათია მისთვის!“ — ჩაიჩიფრიფა დედაბერმა, უფრო კუშტი და უკარება გახდა... ეფროს ძველი დარდი არ აძინებდა მშვიდად, მაგრამ მართალის გულს რაღა ხრავდა? საბანი ნიკაპამდე აეზიდა, თვალები სიბძელისათვის მიეპყრო და წარმოსახულ სცენაზე თვალნათლივ ხედავდა თეთრად მოფარფატე პეპელას... რა იყო, რა ემართება, რატომ აურქოლებს? ზურგზე ჭიანჭველები დასევია, მუხლები უდუნდება, სხეულის წიაღში ცხელი ტალღები აშლილა, გონება დაბინდვია, ყოველნაირი სხვა ცოდნისა და სურვილისაგან დაუცლია — მართალის იოტისოდენად არ აინტერესებს პოლიტიკა, ფილოსოფია, არაფერი ამქვეყნად არ აინტერესებს, გარდა იმი-

სა, რომ თვითონ, ბედის წყალობით, რომეოა და, ბედისავე წყალობით, ჰყავს კეკე-ჯულიეტა... წინასწარ განეჭვრიტა ტრაგედიის დასასრული, შერიგებია ამას და არც უფრთხის... დიახაც, ახლალა მიმხვდარა, რომ მათი მშობლები — თოლორაიები და თოდუები მტერ-მეგობრები იყვნენ, ქრესტომათიული მეგობრობის წიაღში მტრობის ურჩხული ბრდლვინავდა... ახსენდებოდა სცენა — გაქცეული ტატაჩი და კვალსგამონ-თებული ბიკენტი... იმ მტრობის მღვრიე ნაკადი შვილებსაც უნდა გადასხმოდა... აგრე ლესტამბე-ტიბალტი ემზადება, რათა საბოლოოდ დაამარცხოს თოდუების მთელი საგვარეულო... ერთადერთი ხსნა სიყვარულშია, სისხლისა და უბედურების გზას მხოლოდ სიყვარული განწყობდა...

თვითნასწავლმა რეჟისორმა არიქა ძაძუამ ჯოხი მაგიდაზე დააკაკუნა და შესვენება გამოაცხადა, „რომეო“ და „ჯულიეტა“ განზე გაიხმო.

— მტრედებო, თქვენ ზედმეტი ცეცხლი გიკიდიათ! ეს ხომ თამაშია, თეატრია, თქვენ სცენაზე ხართ და ხალხი გიყურებთ, თქვენ კი ისე იქცევით, თითქოს მართლაც რომეო და ჯულიეტა იყვეთ!

კეკეს ლოყები აუღვივდა, საყვარლად ჩაეცინა.

მართალიც განითლდა.

— მერე რა გადარდებს, ასეც არ უნდა იყოს?

— კი უნდა იყოს, — შეჭოჭმანდა არიქა, — კი უნდა იყოს, მაგრამ მთლად ისე არა, სცენაზე, სპექტაკლის ბოლოს მართლაც სანამლავი გადაყლაპო, ამან კი გულში დანა დაირტყას... თქვენი ნაადრევი დაღუპვა დიახაც არ მაწყობს, ხვალ იქნებ ანდრე ბალკონსკი და ნატაშა რასტოვა გათამაშოთ!

ერთხელ, ნავახშმევს, სანამ დასაძინებლად წავიდოდა, ბიკენტიმ უთხრა თავის ასულს:

— არ მიფიქრია მე, შვილი არტისტი გამხდომოდა! მართლაც ჯულიეტად ნუ წარმოიდგენ თავს და ისიც დაიმახსოვრე: მართალის ისე უნდა შეხედო, როგორც შენს ძმას — ლესტამბეს!

კეკე ლოგინში ჩაწვა, საბანი თავზე წამოიხურა და ჩუმად ასლუკუნდა...“

დიახ, ასე ვიწყებდი ამ სიუჟეტს. ჭეშმარიტი, გულწრფელი სიყვარულის ამბავი უნდა შემეთხზა. სავალდებულო სულაც არ იყო, რომ ერთს საწამლავი დაელია, მეორეს დანა ჩაერტყა გულში. მაშინ ხომ ეს ამბავი შექსპირის უბრალო გადამდერებად ჩამეთვლებოდა... მაგრამ სიყვარული სათუთა, მისი ყლორტის მოსპობა იოლია, ათასმა შემთხვევითობამ შეიძლება დააზროს იგი. ახალგაზრდები უკაცრიელ კუნძულზე როდი ცხოვრობენ. განა ცოტაა ისეთი ვინმე, ვისაც ურჩევნია, შეყვარებული წყვილი საფლავში ჩამარხოს, ვიდრე მათ ბედნიერებას უყუროს... ისეთებიც ხომ არსებობენ, განგებამ ჭეშმარიტი სიყვარულის უნარი რომ არ დაანათლა... აგერ ლესტამბე თოლორაიასი ვთქვათ!

— ალბათ, ჰერმა დასცადა! — ლესტამბე შეცივნულივით კანკალებდა. — მოსკოვიდან რომ წამოვედით, ჩიტივით უღურტულებდა. ცოცხალი გოგოა, რომ ჩაერთვება, ვერ გააჩერებ!

ნატაშა მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. უცხო სიტყვათა შინაარსს ვერ ჩასწვდა. დამხვდურებს ულონოდ ჩამოართვა ხელი. კეკეს მიერ მორთმეული ყვავილები კინალამ დაუცვივდა და სუსტი ღიმილით უკანვე დაუბრუნა.

რაღაცა მოხდა... იქ, ღამით, კუპეში რაღაც საშინელება მოხდა!

მასპინძლები უნდოდ ათვალიერებდნენ. ამ ლამაზ კაცს, ლესტამბეს მამას, ტუჩის კუთხეში სარკასტული ღიმილი მიეყინა. დედა გოროზად იყურებოდა, შუბლზე კუშტი ნაოჭები აჩნდა. დაიკო კი, ნატაშაზე ცოტათი უმცროსი, გულუბრყვილო აღტაცებით შეჰყურებდა, ვერ დაეჯერებინა, მის წითურ ძმას ეგეთი მზეთუნახავი რომ ერგო.

ლესტამბე ნერვებს ვერ იმორჩილებდა... „შემცივდა რაღაც!“ — ჩაიწუნუნა, თან შესაბრალისად შეხედა ნატაშას, თითქოს სტუმარი ვალდებული იყო, ტაქტი გამოევლინა, უხერხული წამი შეხვედრისა რამენაირად გაეთბო, დაძაბულობა მოეხსნა... ბოლოს და ბოლოს, თვითონვე იყო დამნაშავე, თუნ-

დაც იმიტომ, რომ საერთოდ გაეცნო ვაჟს, იმიტომ, რომ აპამპულავებდა, იმიტომ, რომ კუპეში ჩაუსკუპდა, აბიც სულელივით ყლაპა, კინალამ სული გააფრთხო, იმიტომ, რომ ლამაზი იყო, მაგრამ ქალწულობა უკვე დაეკარგა, არ დალოდებია სამხრეთიდან მოვარდინილ ჯიგიტს, ლესტამბე თოლორაიას... ყოველნაირად დამნაშავე იყო, ახლა კი იმითაც აშავებდა, თავისი ულონობით უხერხულობაში რომ აგდებდა ლესტამბეს... „შემცივდა რაღაც!“

— ჩავსხდეთ მანქანაში! — ბრძანა ბიკენტიმ.

— მობრძანდი, ძვირფასო! — კუდი გააქიცინა ლესტამბემ, სტუმარს კარი გამოუღო, იდაყვზე ოდნავ უბიძგა.

ნატაშა სავარძლის ზურგს მიეყრდნო. წამით თვალი დასუჭა. თავი სტკიოდა, საფეთქებს სალტე უჭერდა, გულისრევის შეგრძნება არ ტოვებდა. „ალბათ, გავცივდი! — ყოყმანით ფიქრობდა. — რამ გამაცივა? არასოდეს გავციებულვარ!“ უნდოდა, თავი ყოჩალად ეგრძნო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. წუხანდელი სიზმრის გახსენებისაგან გულმუცელი ემდვრეოდა. საშინელი, ღიდი ვირთხა ჯიჯგნიდა თითქოს, პატივსა ხდიდა, თვითონ კი წინააღმდეგობის არა ღონე არ შერჩენდა... თავზარდამცემი სიზმარი იყო!.. სიზმარი იყო?.. შიგნით ყველაფერი უხურდა...

თვალი გაახილა.

ქუჩა ქვით მოეკირწყლათ და მანქანა მსუბუქად თახთახებდა. მამას — ბიკენტის საჭე ეპყრა. დედა — ზინაიდა პეტროვნა წინ იყურებოდა, უხვი, წითლად შეღებილი თმა ზევით აევარცხნა. მძიმე ნიკაპი ისე აეწია, ყველას ებუტებაო... ამათი ძე — ლესტამბე („ნუთუ ეს ამათი შვილია?“ — გაიფიქრა ნატაშამ) ხელმარჯვნივ ეჯდა და ხმაგაბზარული რატრატებდა. ნატაშას, ცხადია, არა ესმოდა რა, თუმცა ვაჟის ისტერიული კილო მოწმობდა, რომ სიტყვათა ნიაღვარით ცდილობდა ფარული შიში მიეფუჩიერებინა... ცმუკავდა, გამხდარ მუხლებს ატოკებდა. მარცხენა მხარსუკან, სავარძლის ზურგზე გადაედო და ქალს იღლის სუნი ეცა. უხებლიერ მარცხნივ გადაიხარა, კეკეს მიეყრდნო. კეკემ სანდომიანად გაუღიმა და ხელზე უხმოდ მოუჭირა. ვარდები, უფრო სწორად, ჯერაც გაუშლელი კოკრები, მუხლებზე ედო. ნატაშას ცოტათი გულზე მოეშვა.

„რა მშვენიერებაა!“ — გაიფიქრა.

ალბათ, კეკესაც გულისხმობდა და დილის ქალაქსაც, რომელიც უკვე გაზაფხულით სუნთქვავდა. მზის სხივებს განემსჭვალა ეთერი. ხეები ნორჩი, ხასხასა ფოთლებით ავსებულიყო, თეთრ და ვარდისფერ ყვავილებს დაეპენტა... აქ ყოველივეს სხვა ფერი ედო — სახლებსაც, ხეებსაც, ყვავილებსაც და ადამიანებსაც... დიახ, ეს სხვა ქვეყანა იყო და ნატაშას თრგუნავდა თავისი უღლონობა, უცხო და უჩვეულო სამყაროს თითქოს ტყვედ ბარდებოდა.

და მერე, თოლორაიების უსახურ და დახშულ სახლს რომ შეხედა, სხვათაგან გამორჩეულს, ბოძებზე მსუბუქად შემსხდარი ოდებისაგან განსხვავებით, ციხესიმაგრეს რომ ჰეგავდა, მიხვდა, „ტყვედ ყოფნა“ მხოლოდ მეტაფორა არ იყო და გული შიშიანად მოენურა.

— დროისა, გოსტ დორის ! — ნაძალადევი მხიარულებით წარმოთქვა ზინაიდა პეტროვნამ.

ბიკენტიმ კი მკაცრი და ცივი თვალები გაუსწორა, თუმცა მისმა ბაგეებმა გამოზომილი სითბოთი წარმოთქვა:

— თავი შინაურულად იგრძენი, შვილო! ნუ გეშინია, მგლებში არა ხარ, ვერავინ დაგჩაგრავს. ახლა დაისვენეთ, თავს ცოტა უკეთ რომ იგრძნობთ, თქვენი ჩამოსვლა მაშინ აღვნიშნოთ!

ვაჟიშვილს მძიმედ შეხედა, მანქანა მიაბრუნა და სამსახურისაკენ გასწია.

ლესტამბე მამის მზერის ქვეშ მოიკუნტა, გული საადლაც ჩაუვარდა და უცებ თვალები მძულვარედ დაუბრიალა ნატაშას:

— ჰა, ხელში ხომ არ აგიტაცო?

ნატაშამ არაფერი უპასუხა, ძალა არ ერჩოდა კინკლაობისა.

ზინაიდა პეტროვნამ მხოლოდ ამოიხსრა. კეკეს პირზე ალმური აუვარდა, მაგრამ შეეცადა, უხერხულობა ჩაეფარცხა. იდაყვზე ხელი გამოსდო სტუმარს და შინ შეიყვანა.

ჩამოქუფრული, მდიდრული სასტუმრო გაიარეს და უკანა ოთახში, ბუხართან დასხდნენ.

ახლავე ჩაის ავადულებო, დატრიალდა ზინაიდა პეტროვნა.

— ეს ყვავილი... — ხმა პირველად ამოიღო ნატაშამ.

— რა? — იკითხა ლესტამბემ.

ნატაშამ მისკენ არც მიიხედა, კეკეს გადაუჩურჩულა:

— წყლიან ლარნაკში ჩააწყვეთ და საწოლთან დამიდგით... საუზმე არ მინდა, გეთაყვა, ოღონდ ლოგინში ჩამაწვინეთ!

— ჰაერმა დასცადა! — ლესტამბე საკუთარ თავზე ბრაზობდა, თვალს ვერავის უსწორებდა.

ზედა სართულზე აიყვანეს. მომცრო, პირქუშ ოთახში, ზამბარიან საწოლზე თეთრი ლოგინი უკვე გაშლილი იყო და იმაში ჩააწვინეს.

— ექიმი ხომ არ მოგვეყვანა? — ეჭვით იკითხა ზინაიდა პეტროვნამ.

— ექიმი რად უნდა, ჰაერმა დასცადა! — მერამდენედ დაისისინა ლესტამბემ, ყვრიმალები ავად დაებერა.

— ჰო, კარგი, კარგი! — ხელები გაასავსავა ზინაიდა პეტროვნამ.

— დაისვენებს და ფეხზე წამოდგება, კენჭივითაა! — თავი მოითოვა ლესტამბემ.

— ჰო, კარგი, კარგი! — სამზარეულოში ქვაბები აახრი-გინა ზინაიდა პეტროვნამ... „ტიტკოს ლამაზია, — თავში აცაპაცა ფიქრი უტრიალებდა, — მაგრამ სუსტი და უგონოა, ჩემი ლესტანი კი ისეტი მგრდზნობიარეა!“ თან, შეუმჩნევლად, ნეკა თითოთ ცრემლის წვეთს იშორებდა.

ცოტა ხანში კეკემ სტუმარს ჩაი და ცხელი ხაჭაპური აუტანა. ნატაშა ფერდაკარგული დახვდა. ხაჭაპურს პირი ვერ დააკარა, ჩაის ყლუპი მოსვა და ბალიშზე უღლონოდ მიესვენა.

კეკემ შუბლზე ხელი დაადო. სიცხით იწვოდა. შეშინებულმა კიბეზე ჩაირბინა.

— სიცხე აქვს, ექიმია საჭირო!

— ექიმი არა, ის არ გინდა, ჰაერი სცდის-მეთქი! — კვლავ იყვირა ლესტამბემ.

ზინაიდა პეტროვნამ შვილს გაკვირვებით შეხედა.

— რა გაკვირებს, ბიჩო? სტუმარი რო მოკდეს, იმისი მამა რა უტკრატ?

— ჰმ, იმისი მამა... — გესლიანად დაიღმიჭა ლესტამბე, — მანამდე თუ არ ჩააყუდეს! — ენაზე იკბინა, შეცდომა უმალ გაასწორა: — ჰო, კარგი, თუ საღამომდე არ მოკეთდა, ექიმი მოვიყვანოთ!

საღამოსთვის სიცხემ უფრო აუნია. პირში ლუკმა არ გა-დასვლია. მთლად გაიცრიცა, დაიღია... ხანდახან აბოდებდა, ვირთხა, ვირთხა მომაშორეთო, იხვეწებოდა...

ბიკენტიმ დახედა, მოიღუშა.

— თქვენი სინსილა გაწყდა! — ცოლს შეუკურთხა. — სანამ ხელებში არ ჩაგაკვდებათ, ექიმი არ უნდა მოიყვანოთ?!

დარეკა და ათ წუთში სასწრაფოს ერთი კი არა, ორი მან-ქანა ჭიშკართან იდგა. ქალაქის გამორჩეულმა დოსტაქარმა ბულისკერიამ გულდასმით გასინჯა, ექთახს უბრძანა, ნებ-სიო... წვეთოვანა დაუყენეს...

— ექიმო, ცუდადა ვარ! — წასჩურჩულა ნატაშამ, თავი ეცოდებოდა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— ნუ გეშინია, ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომ ხარ, იმან გადაგარჩინა! — დაამშვიდა ბულისკერიამ.

ქვევით, სასტუმროში მომლოდინე ბიკენტის კი უთხრა: — მონამლულია!

— რა მონამლავდა ნეტავი? — შეფიქრიანდა ბიკენტი. ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ვერ გეტყვით, ამას ანალიზები სჭირდება... ცოტაც და დაგვიანდებოდა... ანი უნდა მიხედვა!

— ჰო, ჰო! — ცივად დაუქნია თავი ბიკენტიმ, კარამდე მიაცილა.

ერთხანს ჩუმად იდგა, ფიქრობდა. როცა გამოერკვია, მის ნინ აწურული ლესტამბე დაინახა. მფრთხალი თვალებით შემოჰყურებდა, თითქოს რაღაცას ელოდა.

ბიკენტიმ მოულოდნელად გაუქანა და სილა სტკიცა.

— რა იყო, მამა, რა? — ბავშვურად ჩაიჭიჭყინა ლესტამბემ, აფორეჯებულ ლოყაზე ხელი იტაცა.

— ბავშვობაშივე გასწავლე, სიგლახეს რომ სჩადიხარ, კვალი მაინც ჩაფარცხე-მეტქი!

და უცებ ლესტამბემ, ერთადერთმა ძემ, მზერა ბორო-ტად შეანათა და გამომწვევად უპასუხა:

— სამი წელია, არ გინახივარ, მამა! მე უკვე ის არა ვარ, რაც ვიყავი! სიგლახის კვალი შენს გზებსაც ამჩნევია, ასე მეტყველებს კარადის უჯრა! — შებრუნდა და, სანამ გავიდო-და, სამად სამი სიტყვა დაგდო: — ეს ერთხელაც მიპატიებია!

„რას მიქარავს? რა კარადა, რა უჯრა? — შეჩქვიფდა ბი-კენტი. — მიპატიებიაო?“ — რისხვით წამოენთო, მაგრამ ლეს-ტამბე ოთახში უკვე აღარ იყო.

იდგა ერთ ადგილას ბიკენტი და ვერ გადაეწყვიტა, ნაბიჯი საით გადაედგა....

13

ლესტამბეს სიზმარში ვირთხა გამოეცხადა...

ვირთხა სავარძელში იჯდა, პირში პაპიროსი გაერჭო. თა-თით ტიტველ მუცელს იფხანდა, თან პოლიტიკაზე საუბრობ-და... ესმოდა კიდეც ცალკეული სიტყვები ლესტამბეს, — „პო-ლიტიკიურო... პროლეტარიატის დიქტატურა... დემოკრატიუ-ლი ცენტრალიზმი...“ და მისთანანი, — ხვდებოდა, რომ ლაპარ-აკი ვირთხის პოლიტიკურ შეხედულებებს ეხებოდა, ოლონდ ამ სიტყვებიდან ვერანაირი შინაარსი ვერ გამოეტანა, რად-გან შიშისაგან ადგილზე მიღურსმულად გრძნობდა თავს.

თვალი გაახილა. შვებით ამოისუნთქა... სიზმარი ყოფილა!.. არადა, ისე გამოკვეთილად დაამახსოვრდა ვირთხის ცხვირ-პირი, წვრილი, დაკუსული თვალები... არაქართული აქცენტი...

აქცენტი? რა სისულელეა, ვირთხას რანაირი აქცენტი უნდა ჰქონდეს?

ფაჩუნი მოესმა... თავის ბავშვობისდროინდელ, სენაკივ-ით პატარა ოთახში იწვა. ერთი კედლის მიღმა ნატაშას ეძინა, მეორის მიღმა — კეკეს. ზინაიდა პეტროვნა ქვევით ჩაბარგ-და, ქმართან. იქიდან შენყობილი ხვრინვა მოისმოდა ხოლმე, თუმცა ახლა სიწყნარე სუფევდა.

ფაჩუნი გამეორდა. ლესტამბემ ბნელ კედელზე ხელი მოაფათურა, ჩამრთველს მისწვდა, გააჩხაუნა.

თვალი შეასწრო — ნაცრისფერმა მორგვმა თავი კარა-დის ქვეშ დურთა, დაიმალა...

სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ჩაიხლართა. „ვირთხა სახლში? ამისი თესლი ვერ მოისპო!“ — მოწყენით გაიფიქრა, შუქი ჩაქრო.

ბავშვობიდანვე ახსოვდა. ვირთხა პერიოდულად გამოჩნდებოდა ხოლმე. ბიკენტი ხან მონამლულ ძეხვს დაუტოვებდა, ხან ხაფანგს დაუგებდა, მაგრამ ვირთხა მეტად ფრთხილი აღმოჩნდა, არც იმ ძეხვს გაჰკარებია, ხაფანგსაც შორიდან უვლიდა. თავმობეზრებული ბიკენტი პისტოლეტის სროლას აუტებდა, ავეჯსა და კედლებს ახლაც აჩნდა ტყვიით დატოვებული ნაჩვრეტები და ანასხლეტი, მაგრამ მოუხელთებელი ვირთხა ხვრელში უჩინარდებოდა და თოლორაიებს კარგა ხნით თავს არიდებდა.

„საიდან ჩნდებიან ეს ვირთხები?“ — ფიქრობდა ლესტამბე. შეუძლებელია, ნლიდან ნლამდე ერთი და იგივე უკვდავი ვირთხა იკარგებოდეს და ისევ ჩნდებოდეს, თუმცალა ლესტამბეს ეჩერენებოდა, ამჟამინდელი სტუმარი სწორედ ის იყო, პირველად ათი-თხუთმეტი წლის წინ რომ იხილა. მაშინ ბავშვური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მოულოდნელ ვიზიტიორს, თან სურვილი კლავდა, ნავთი გადაესხა და ცეცხლში დახრუკული ეხილა, მაგრამ ვირთხას არ მოუცდია და მხოლოდ მისთვის ცნობილ იატაკებები ხვრელებში გაქრა.

ძილი საბოლოოდ დაუფრთხა. თვალდაჭყეტილი მიაჩერდა სიბნელეს. „საქმე ჩამეხლართა! — გაიფიქრა. — რა ვუყო ახლა ამას?“ ცხადია, ნატაშაზე ფიქრობდა. მარტივი, ახალგაზრდული ინტრიგიდან დიდი ხლართი გამოუვიდა. მოსკოვიდან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მშობლები კი სიცხადეს მოითხოვდნენ. „მართლაც ხომ არ შევირთო?“ — წონიდა თავისთვის. ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი. იქნებ მამილო დღეს თუ ხვალ კაბინეტიდან გააპანდურონ. ბევრი რამ იცვლება ამ ცისქვეშეთში. დღეს კაბინეტში ზიხარ, ხვალ ციხეში! ამის გაფიქრებისას ლესტამბეს შურისძიების ნეტარება იპყრობდა. ისე, რუსის ცოლობა კარიერისათვის სასარგებლოა, ინტერნაციონალიზმი დაუფასდება. ყოველთვის შეგიძლია, აქ იჩივლო, რუსობის გამო მჩაგრავენო, იქ კი — ქართველობის გამო-თქო... ვაგონის კუპეში გათამაშებული

სცენა ვერ ამოიგდო მეხსიერებიდან: ნატაშას გაყინული სხეული, გვამივით რომ ეგდო და ლესტამბე უხეშად ჯიჯგნიდა... ტანში გასცრა, ოღონდ არა ნდომისაგან, არამედ ზიზღისაგან... ბოლმით სკდებოდა, რაკი თვითონ არ იყო პირველი მამაკაცი ნატაშასათვის. ინტერნაციონალიზმზე გადაგებულ გულის ერთ პარკუჭს ეს პრობლემა არაფრად ანალვლებდა, მაგრამ მეორე ნახევარი ქართულ-კავკასიურად უცემდა და რქიანის როლი დიახაც არ ეპიტანავებოდა... ფიქრით დაუბრუნდა შხაპის ქვეშ ნანახი შიშველი ნატაშას ხატებას და ზიზღი ნდომით შეეცვალა, ლოგინში შეხურდა. ნატაშა ბოლო დღეები უკეთ იყო, ღონე მოეცა, იქნებ არც ეძინა, იწვა თავისთვის და შორით იდაგებოდა... უყვარდა კი ლესტამბეს იგი? საერთოდ, ვინ უყვარდა ამ ცისქვეშეთში? დედა? მამა? კეკე? პასუხი ვერ დაექებნა... „ადამიანი ცხოველია, — ზანტად გაიფიქრა, — თუ ღმერთი ზღაპარია, მაშინ ადამიანი ცხოველია, შემთხვევათა წყალობით გაჩერილი! ერთ დღეს მაინც ჩავძალლდები! მაშ, მთავარია, ხორცი გავალალო...“

„ხორცმა“ ურუანტელით შეახსენა თავი, გაბედულება შესძინა.

საბნიდან გამოძვრა. შუქი არ აუნთია, ისე მოძებნა სკამის ზურგზე გადაკიდებული კიტელი, მხრებზე მოისხა. შარვალიც აქვე იყო, მაგრამ ჩაცმა გადაიფიქრა.

კუთხეში კვლავ რაღაცა გაფაჩუნდა.

— ფრთხილად, ვირთხავ! — ხმადაბლა წაისისინა. — თუ მოგიხელთე, თავს გაგიჭეჭყავ!

ვირთხის სმენას, ალბათ, მისწვდა ეს მუქარა, იგი გაისუსა.

ბნელ დერეფანში გზა ფრთხილად გაიკვლია, შიშველ ბარძაყებზე სიგრილე შემოეტმასნა, ამიტომ თუ აძაგძაგებდა.

კარის სახელური მოძებნა და მიაწვა, ვერ დაიმორჩილა.

„ჩაუკეტია ამ ნაბოზარს!“ — ჯავრიანად გაიფიქრა.

პირი ღრიჭოს მიადო და ჩურჩულით უხმო:

— ნატაშა!

პასუხი ვერ მიიღო, ცოტა ხანს ითმინა, კიტელი მჭიდროდ მოიხვია.

— ნატაშა! — ხმას ოდნავ აუნია.

ნატაშას, ალბათ, ეძინა ანდა გატრუნული უსმენდა.

- ნატაშა, მე ვარ, შენთან სალაპარაკო მაქვს!
- სამაგიეროდ, მე არა მაქვს შენთან სალაპარაკო! —

მოესმა ზედ ყურისძირთან.

ქალი კარს მიღმა იდგა და აჩქარებით სუნთქავდა.

— უჰ, შენი... — ხმადაბლა შეუკურთხა ლესტამბემ. ყოყ-მანობდა, არ იცოდა, შეხვეწნოდა თუ უჩუმრად გაბრუნებუ-ლიყო.

უცებ შუქი აინთო.

ლესტამბე შეტრიალდა.

თავისი ოთახის კართან პერანგისამარა კეკე იდგა და გაკვირვებული უყურებდა.

— რა არ გაძინებს? — უხეშად შეეკითხა ლესტამბე.

— მე კი არა, შენ რაღამ აგაგდო ამ შუალამეს? — კეკემ პირზე თითები აიფარა, მთენარება ჩაიხშო. — საცოლეს დღი-სით უნდა შეუთანხმდე და ღამღამობით არ დაგჭირდება კარის მტვრევა! — ნიშნისმოგებით დაურთო.

— შენ არავინ გეკითხება, ნუ ეჩრები!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!

ისეთივე იყო, როგორიც სამი წლის წინათ — თამამი, ენამნარე, ოლონდ სხვანაირიც — მომხიბლველი!

ღამის პერანგში... ახლად წამოჩიტული... ქალადქცეუ-ლი... დაი მისი კეკე!

ფარაონები თურმე დებს ირთავდნენ...

ფარაონები მიწიერი ღმერთები იყვნენ...

— წაეთრიე და დაიძინე! — მიუგდო ლესტამბემ და ოთახში შებრუნდა, უკვე გაციებულ ლოგინში ჩაწვა.

— რა იყო?! — ქვევიდან ამოსძახა ბიკენტიმ.

— არაფერი!

— დაიდზინეთ! — წაიბუზლუნა ზინაიდა პეტროვნამ.

— ვირთხა მესტუმრა ოთახში! — აუხსნა ლესტამბემ.

— ჰო, საწამლავია საჭირო! — უკვე ძილში ჩაიბურტყუ-ნა ბიკენტიმ.

ლესტამბემ თვალი დახუჭა და მის წარმოსახვაში კეკე წამოიმართა... „სამი წელი... — გაიფიქრა, — რამდენი რამ მოხდა სამ წელიწადში?!

14

გარიურაჟზე წამოდგა, თბილად ჩაიცვა და მაგიდას მი-უჯდა.

ეს იყო მისი ბავშვობისდროინდელი მაგიდა. პატარა კა-ბინეტს მორგებული, ვიწრო ფანჯარასთან მისადაგებული, საგანგებოდ გააკეთებინა ბიკენტიმ. რაც ლესტამბე მოსკოვს გაემგზავრა, მის მაგიდას არავინ გაჭკარებია. დღემდე თვი-თონაც არ გაუხედავს აქეთკენ, ნატაშათი იყო დაკავებული, ტვინი არეოდა და მაგიდასთან დასაჯდომად ვერ მოიცალა.

გასაღები სამალავიდან გამოაძვრინა, კლიტე გაატკაცუ-ნა და უჯრა გამოსწინა. ყველაფერი ისე იყო, როგორც დატოვა — ალფაბეტზე დალაგებული კონვერტები... ნუთუ მამა არც დაინტერესებულა? ეს ფიქრი შეურაცხმყოფელიც კი იყო! იქ-ნებ ბიკენტი კიდეც დაინტერესდა, კიდეც გადაიკითხა, კიდეც იხითხითა, მაგრამ ბიკენტი რისი ბიკენტი იქნებოდა, კვალს თუ დატოვებდა.

ლესტამბემ სული შეუბერა, მტვრის ბრჭყვიალა წა-ნილაკები ჰაერში გაიფანტა. ხელთ რომელიც მოხვდა, ის კონ-ვერტი ამოაძვრინა. „ტუჩია ძიგუა“, — ენერა კონვერტზე. აღარც კი ახსოვდა ტუჩია ძიგუას არსებობა, კონვერტიდან თხელი ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა. გულუბრყვილო ჩიქორ-თულით ჩამოწერილი სიტყვები ახლა ღიმილს გვრიდა... დიახ, ამ კონვერტში ჩადებული ინფორმაცია უკვე მოძველდა. იმას, რასაც ადრე მძიმე დანაშაულად ჩათვლიდნენ, ახლა ჩირად არავინ ჩააგდებდა. „საჭირო გაცხრილვა, — თავისთვის გადა-წყვიტა, — რაც მოძველდა, გადავყრი, დანარჩენს — შე-ვავსებ!“

სწორედაც რომ გამოწვლილვით უნდა სცოდნოდა, რაც ამ წლების მანძილზე მერეთში მოხდა, უნდა აღედგინა მოვ-ლენათა ჯაჭვი... რასაც ადრე აკეთებდა, ბავშვური თამაში იყო მხოლოდ, ახლა კი სისტემა სჭირდებოდა, ცოდნა უნდა მოე-ნესრიგებინა, ტრამპლინისათვის შემზადებულიყო... ფრთე-ბი უნდა მოესხა, სხვანაირად ვერ აფრინდებოდა...

კონვერტების სხვა დასტა ამოაძვრინა, ჩანაწერები გადაათვალიერა. დიდად არ ვარგოდა, მაგრამ ბავშვობის ამ ნაღვანს, ალბათ, უქმად არ ჩაუვლია, რადგან ეს იყო საფეხური, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლო.

ყოველი ადამიანი მტერია! — ეს უყოყმანოდ სჯეროდა, თუმცა იმავდროულად ისიც უწყოდა, რომ ჭკუა და ხრიყი ერთადერთი იარაღია, რისი წყალობითაც შეიძლება ამ სამგლეთში საკუთარი ადგილის პოვნა.

ორი კონვერტი ამოარჩია, გვერდიგვერდ, წყვილად დადო, დაფიქრდა, ეჭვს გემო გაუსინჯა. მისი ძალლური ყნოსვა ერთ ვერსზე გრძნობდა სუნს, მაგრამ ჯერჯერობით გეში ვერ აეღო... ერთზე ეწერა „კეკე თოლორაია“, მეორეზე — „მართალი თოდუა“.

კონვერტები უჯრაში ჩააწყო, ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო...

15

ნატაშა ორი კვირის შემდეგ წამოდგა ფეხზე. თავს ჯერაც სუსტად გრძნობდა, თუმცა ტკივილით არაფერი ტკიოდა. კიევ უვლიდა, გვერდიდან არ შორდებოდა... ხანდახან ზინაიდა პეტროვნა ამოვიდოდა მეორე სართულზე, ავადმყოფს დახედავდა, „ოჳ, ოჳ!“ — ამოიოხრებდა და უკანვე ჩაბაჯბაჯდებოდა.

იმ დღეს ჩიტმა შესჭახჭახა. ნატაშამ თავი ასწია, ფანჯრისაკენ გაიხედა. ვიწრო სარკმლის მიღმა, მზის სხივთა ჩანჩქერში ჩიტუნა გალობდა.

ნატაშამ მთელი არსებით იგრძნო, რომ სააქაოსაკენ შემობრუნდა, ბედმა არ გასწირა, აწი შეუძლია ადგეს და ამ დაბინდული სენაკიდან ჩახჩახა სამზეოზე გავიდეს.

წამოდგა, თხელი ხალათი გადაიცვა.

თავბრუ ეხვეოდა, მუხლებში ჩვეულ ძალას ვერ გრძნობდა.

ფანჯარასთან მივიდა, ოდნავ ტორტმანებდა, მაგრამ ეგ არაფერი! გადაიხედა. სივრცეს მეზობლის ფიცრული ოდა ფარავდა, მაგრამ ამ სახლსა და იმ სახლს შორის ხეხილს თეთ-

რი ყვავილი დასცვენოდა და თოვლივით ძირს დაფენილიყო. ციმბირსა და მერე დედაქალაქში გაზრდილმა ნატაშამ არ იცოდა, რა ხილს მოისხამდა ეს ხეხილი, მაგრამ თვალი აუჭრელდა და გულში გაივლო: „ღმერთო, რა მშვენიერებაა!“

კარის ჭრიალზე შემობრუნდა.

კეკემ ტაში შემოჰკრა.

— უკვე ადექი?

— ჰო, უკეთა ვარ! — სუსტად გაუღიმა ნატაშამ. — იცი, ეზოში მინდა ჩასვლა!

— თბილად მოიხურე!

კეკემ თავისი დედის შალი მოახურა და ბნელი კიბით ჩაუძლვა. სასტუმრო ოთახიც გადაკვეთეს, ისიც ბინდიანი და მრუმე. „რას ჩახუთულან!“ — ჰაერი არ ეყო ნატაშას, მაგრამ ნუთიც და კარი გაიღო, იგი ზღურბლს გადასცდა.

სითბო და სინათლე თავზე უხვად ჩამოედვარა. ნატაშამ თვალი მოჭუტა, თანდათან შეაჩვია ფერთა სიკაშკაშეს.

ქუჩის გაღმა-გამოღმა ოდა-სახლები ჩამწკრივებულიყო და ყოველი სახლის მომცრო ეზო ლორთქო სიმწვანეში ეფლობოდა.

— გაზაფხულია! — თქვა ნატაშამ.

— ჰო, გაზაფხულია! — კეკემ სკამი გამოარბენინა და მზეზე დაუდგა. — აქ გათბები!

ნატაშა მცირე ხნით გაყუჩდა, სითბოს მინებდა.

კეკემ წასვლა დააპირა.

— კეკე! — შეხედა ნატაშამ. — მამაჩემისაგან არაფერი ისმის?

— ალბათ, ვერ მოიცალა, მალე მოგწერს!

— ჰო, ვაწყენინე!

— შენ ჩემი ძმა არ გიყვარს! — თქვა უცებ კეკემ.

— არა! — ნატაშამ თვალი გაუსწორა. — არც არასოდეს მყვარებია! მე მისი ცოლი ვერ ვიქნები!

— რატომ წამოყევი?

— თავქარიანი ვარ, ფათერაკების მაძიებელი... მერეთელი რომ იყო, იმან დამაინტერესა. მინდოდა მერეთში ჩამოსვლა... მერედა შენი ძმა... — აქ გაჩუმდა, მზერა განზე წაიღო.

— რა, ჩემი ძმა?

— მაპატიე, იქნებ სისულელეს ვლაპარაკობ, ნუ გამი-ბრაზდები... როცა მიყურებს, ვგრძნობ, რომ ვძულვარ, მზა-დაა ყელი გამომჭრას...

— ნატაშა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ გეჩვენება, ლეს-ტამბე გიშდება შენზე!

— მისი თვალებით მკვლელი მიყურებს... დიახ, მე ვიცი... მე გამოცდილება მაქვს... მკვლელებს სულ სხვანაირი თვალე-ბი აქვთ.

— რას ამბობ, ჩემს ძმას ქათამს ვერ ვაკვლევინებთ!

— არ ვიცი, არ ვიცი... იქ, მატარებელში რაღაც მოხდა!

— გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ის დედაბერი სიბერემ მოკლა!

— არ ვიცი, არ ვიცი! — ნატაშამ თვალი დახუჭა, კვლავ მზეს მიეფიცხა.

კეკე დაბნეული იდგა, მერე შინ შებრუნდა, სახლი დასა-ლაგებელი ჰქონდა.

ნატაშას სითბო ძარღვებში ელვრებოდა, თუმცა ყინუ-ლეთიდან გამოყოლილ თოშს ბოლომდე ვეღარა დევნიდა. „სადა ვარ? — ზანტად ფიქრობდა. — რამ ჩამომიყვანა ამ უცხო ქვეყანაში? რა მაძლებინებს უცხო ადამიანებს შორის? ვისი მზე ანათებს ცაზე? ვისი ენა ჩამესმის ყურში? ვისი ყვა-ვილეთია ირგვლივ? ვის სახლში ვარ? სახლია ეს თუ სენაკი?.. მამა, მამილო... სიკვდილის სიცივეს გამოვექუცი და ცივ სენაკ-ში მოვხვდი... რა მინდოდა? რას დავეძებდი?.. ბებერო ტურავ, მომიტყუე, თვითონ კი არ ჩანხარ!“

უცებ შეკრთა. მზერა იგრძნო. თვალი გაახილა.

მის წინ ლესტამბე იდგა. როგორ უჩინრად მოეპარა, თითქოს ჰაერზე გაიარაო, მცირედი ჩქამი არ გაუღია.

სულ ასე დადიოდა, საკუთარ სახლში თითქოს კატის თა-თებით დაიპარებოდა. ნატაშა მუდამ გრძნობდა მის დაკვირ-ვებულ მზერას, მაშინაც კი, როცა ახლომახლო არ იყო ან კედ-ლის მიღმა საქმიანობდა... ანდა ქალაქში მიდიოდა... მაინც აქ რჩებოდა, მუდამ მოყურადე, მოთვალთვალე, უტყვი და საშიში...

ახალი ტანისამოსი ჩაეცვა, თეთრი კიტელი და ლურჯი შარვალი. ცოტათი ოფიცრისას ჰგავდა, თუმცა სამხრეები არ ეკეთა.

ნატაშა მისმა დაკვირვებულმა მზერამ შეაშფოთა, მწყრალად უთხრა:

— შეგეძლო მამილოსათვის დეპეშა გაგეგზავნა!

— გავაგზავნე! — გაიღიმასავით ლესტამბემ. — აი, ამ სიფართე კონვერტი, მამაჩემის სამსახურებრივი კავშირით...

მის სიტყვებს ორაზროვნების სუნი უდიოდა და ნატაშამ ეჭვით ახედა. ზიზღსა გრძნობდა!.. ზიზღსა და შიშს!.. თითქოს ხაფანგში გამოემწყვდიათ.

— ჯერ მოკეთდი, მერე ვილაპარაკოთ! — თქვა ლესტამ-ბემ და შინ შევიდა.

მოკეთდიო? დიახ, მოკეთდება და აქ ერთ დღესაც არ დარჩება...

ალბათ, გაზაფხულმა უმკურნალა... გაზაფხულმა და იმან, რომ ლესტამბე თაკს ნაკლებად აბეზრებდა, თითქოს უბრა-დააო, ახლომახლო არ ჩერდებოდა... კეეც ვერ ჩერდებოდა, სპექტაკლისათვის ემზადებოდა და რეპეტიციებზე დარბოდა... ზინაიდა პეტროვნასაც არ ეცალა, საპენსიო ასაკისათვის მი-ელწია და ცდილობდა კარგი ხელფასის გამომუშავებას... ბიკენ-ტიზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მის ლამაზ, ცივ თვალებს დაღლილობა დაეტყო... ლამაზ, ცივ თვალებს!.. ნატაშას აშინებ-და ეს თვალები, უცბად შემოხედავდა, თითქოს უკვირდა, ვინ არის და აქ რა უნდაო... მარტოდ დარჩენილი ნატაშა წიგნს აიღებდა, პარმალთან, მზეზე ჩამოჯდებოდა, თბებოდა და კითხულობდა, თუმცა არც ახსოვდა, რა წიგნი გადაეშალა მუხ-ლებზე და ასოებისაგან რა სიტყვები ლაგდებოდა... მისი ფიქრე-ბი გაზაფხულის ჭინჭყლი მოსკოვისაკენ მიფრინავდა... „მამა, მამილო!..“

ორშაბათი თარსი დღეა და სწორედ ორშაბათი ირჩია ქალაქში გასასეირნებლად. დამშლელი არავინა ჰყავდა, შინ მარტო ლესტამბე იყო და ისიც თავის ოთახში გამოიკეტა. ნა-ტაშამ თეთრი კაბა ჩაიცვა, თეთრი ფეხსაცმელები და თავზეც

თეთრი ქუდი დაიხურა, მაჯისსიმსხო ნაწნავები მხარუკან გადაიგდო.

მიწა ჯერ კიდევ სველი იყო და ორლობის ტალახს ერი-დებოდა.

პატარა ქალაქის დიდი სამყარო!.. როგორ არ ჰგავდა ყოველივე ეს რუსეთის თეთრი ხატებით მოძერწილ ორლობებს... ოდა-სახლების მწერივი... ყავრით ან კრამიტით დახურული აივნიანი სახლები... ეზოები, ზოგან ხილიანი, მოვლილი კოინდრით გადამწვანებული, ზოგან ტალახიანი — ზარმაცისა... უღლიანი ღორები აქა-იქ და უფრო იშვიათად — უღლიანი თხებიც... ძროხები იცოხნებიან... თითქოს სოფელიცაა და ქალაქიცაა ამავე დროს...

ბოტანიკურის მყუდრო და გრილი ჩეროები, ლორთქო სიმწვანე, ფოთლებზე აბრჭყვიალებული ცვარი... ისტორიული მუზეუმის ნესტით განაცრისფრებული კედლები... თეთრი ეკლესია, მძიმე ბოქლომით კარზე... გრძელი ბულვარი, ორმხრივი მოკირწყლული ქუჩით, დარაბიანი მაღაზიებით, ბებერი ჭადრების ხეივნით... მოედანი პომპეზური ტრიბუნით, რომლის თავზე არაპოპორციულად მომცრო ლენინი დგას და მარჯვენა წინ გაუტყორცია...

ქალაქის თავზე წამომართული მაცხოვრისგორა, რომლის მაღალ გადასახედზე გადმომდგარა დიდი ბელადის რუხი კოლოსი... მჭმუნვარედ გადაპყურებს იგი ქალაქს და მის შემოგარენს... ნატაშას გააურუოლა... დიდი ბელადი? თურმე დიდი არ ყოფილა... თურმე ყოველივე მოგონილია... ათვლის წერტილი შეიცვალა... იქ კი, მოსკოვში, მამილო მარტოა...

ნატაშა ფიქრებიდან გამოერკვია. ახლადა შეამჩნია, რომ გამვლელი ჩერდებიან, ცნობისმოყვარე მზერით მიაცილებენ... უცხო ჩიტი ჩამოფრენილა უცხო ქალაქში...

ბოლო სკამზე ჩამოჯდა. აქედან კარგად ჩანდა სააღლუმე მოედანი და რაიკომის არცთუ ორიგინალური შენობა. შესასვლელთან შავი „ზიმი“ იდგა, ალბათ, მდივნისა... შედიოდნენ და გამოდიოდნენ მერეთის მოქალაქენი, მაგრამ მათ შორის ერთიც არ იყო, ვინც ნატაშას გულისტკივილით დაინტერეს-

დებოდა... „ბებერო ტურავ, სად იმალები?“ — სევდიანად გაიფიქრა. აზრს არ ჩაღრმავებია, ფეხის ხმამ მოახედა.

უცნაური გლახა უახლოვდებოდა. შიშველი, სიცივისა-გან გალურჯებული ფეხებით მოტყაპუნებდა ბილიკზე. მოკლე, ტალახში ამოზინზლული შარვალი ეცვა. გახუნებული ბლუზა გადაღელოდა და ნითური ბალნით შემოსილი მკერდი მოუჩანდა. კვერცხივით მელოტზე ღერი თმაც არა ჰქონდა და სახეზე უფერული თვალებილა აჩნდა...

გლახა გაჩერდა. პირდაღებული მიაჩერდა, ტუჩზე დუჟი ეცხო.

მარჯვენა ფეხის თითით მარცხენა კანჭი მოიფხანა და ამ დროს წეროსავით იდგა.

ნატაშას შიში გაუნელდა.

გლახამ თითი ზევით ასწია, სიტყვა თქვა და თან რუსულად თარგმნა:

— დიდება!.. სлавა!..

თითქოს ეცნო ნატაშას, თითქოს აქამდეც ენახა... მიმოიხედა, მშველელს ეძებდა.

— ნუ გეშინიათ, — ხმადაბლა წასჩურჩულა უცნობმა ჭაბუკმა, — უწყინარი ვინმეა, არავის ერჩის!

სუფთად ჩაცმული, მოხდენილი ახალგაზრდა იყო, შავქოჩორა, შავთვალნარბა, შავულვაშა... ნატაშას შინაურულად თვალი ჩაუპაჭუნა, გლახას კი დაუცაცხანა:

— აითესე აქედან!

გლახამ ყურიც არ გააპარტყუნა. „დიდება!“ — ერთხელაც წამოიძახა და თავაწეულმა ჩაიარა, რაიკომის შენობისაკენ გაემართა.

— ახლა იქ აუშლის ყველას ნერვებს! — ჩაიცინა ჭაბუკმა, მერე მკერდზე ხელი მიიდო: — ტუჩია ძიგუა!

— რა უცნაური სახელებია, როგორლა დავიმახსოვრო!

— გაეღიმა ნატაშას და ამ დროს თავისი სახელი მოესმა.

იქვე, ქუჩისპირას „პობედა“ გაჩერდა, იქიდან უცნობი მძღოლი იყურებოდა. გვერდით ბიკენტი უჯდა, ხელს უქნევდა.

— მობრძანდი, შინ მივდივარ!

ნატაშა წამოდგა, მიმოიხედა, რათა ახალგაცნობილ ჭაბუკს გამომშვიდობებოდა, მაგრამ ის უკვე გაუჩინარებულიყო.

ჭადრის უკან ლანდმა გაიღვა. „ნუთუ ლესტამბეა?.. მი-თვალთვალებდა?.. ალბათ, მომეჩვენა!“ — გაიფიქრა და აჩქა-რდა, მანქანაში ჩახტა.

ბიკენტის მზერა დაურბილდა, შინაურულად გაულიმა და უსაყვედურა:

— მარტო რატომ წამოხვედი? უცხო ქალაქია, შეიძლება უსიამოვნებას გადაეყარო!

— ის გიუ ვინაა?

— ვავა ზარქუა, — ამოიოხრა ბიკენტიმ, — ადრე ჩვენი კოლეგა იყო... დაავადდა. ისე, საშიში არაა... ალბათ, თვალი დაგადგა და იმიტომ გაგიჩერდა! — ჩაიცინასავით.

ნატაშას არ მოეწონა ეს უკბილო ხუმრობა, მაგრამ გაუჩიუმდა.

„ვავა? — გაიფიქრა თავისთვის. — რატომ ჰგავს ლესტამბეს?“ — ამიტომაც მოეჩვენა, სადღაც მინახავსო.

ბიკენტის სახე სერიოზული გაუხდა. მძლოლს მანქანა ჭიშკართან გააჩერებინა და ნატაშას ხაზგასმული გულითადობით უთხრა:

— ნატაშა, თქვენ უკვე პატარა არა ხართ. იძულებული ვარ, უსიამოვნო ამბავი გამცნოთ!

— მამილო? — სულსწრაფად იკითხა ნატაშამ.

ბიკენტიმ თავი დაუქნია.

— მოკვდა? — ბაგე აუთრთოლდა.

— არა, მაგ მხრივ არაფერი... დააპატიმრეს!

ნატაშამ იგრძნო, რომ გული უჩერდებოდა... არც უკითხავს, რატომო. მანქანიდან გადმოსასვლელად ღონე ძლივს ეყო, ცრემლს უხმოდ ყლაპავდა...

ნავახშმევს ლესტამბე თავის სენაკში ვიწრო მაგიდას მისჯდომოდა... წინ ორი კონვერტი ედო. ერთს გარედან ეწერა „ნატაშა“, მეორეს — „ტუჩია ძიგუა“.

მთელი ღამე ტირილში გაატარა. მეორე დღეს პირში ლუკმა არ ჩასვლია. მასპინძლებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. თოლორაიების სახლში ქუფრი ჩამოწვა. ზინაიდა პეტროვნა ხვნეშოდა — „ოჳ, ოჳ!..“ ლესტამბე გაისუსა, ბალანვით ძირს დაეფინა, ნატაშას ოთახს შორიდან უვლიდა... კეკე გვერდით ეჯდა, ცივ ხელზე ეფერებოდა, დასამშვიდებელ სიტყვებს ეძებდა და ვერ მოეძებნა... ოღონდაც, ცრემლი ულევი არ არის, ნატაშას თვალებიც ამოშრა. გადაწყვიტა, მოსკოვს დავბრუნდებიო, თანაც სასწრაფოდო, მაგრამ არ იცოდა, სად ან ვისთან დაბრუნებულიყო. მისი მეხსიერების თვალსაწინერი თითქოს დაცლილიყო. ნათესავები მათ არ ჰყავდათ, მამილო ობოლთა სახლში იზრდებოდა, ადრევე, ძერუინსკის განკარგულებით რომ შეიქმნა, რათა სამოქალაქი ომით გაჩანაგებულ ქვეყანას უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები მოეკრიბა და მომავალი, კარგად დაგეშილი ძერუინსკელები გამოეზარდა... გულაგის ცივ ღამებს ადამიანთა ურთიერთობანი ვერ ათბობდა, რადგან იქ ყველაფერი მუშტსა და ძალადობას ეფუძნებოდა და „მეგობრობა“, „ნათესაობა“ სიტყვის მასალადაც არ იხმარებოდა... სატახტო ქალაქში გადმოსვლამ ბევრი ვერაფერი შეცვალა, ისინი კვლავაც მარტოსული ძალის წესით ცხოვრობდნენ. ნატაშა მამილოს თანამშრომლებს არ იცნობდა, მეზობლებთან ურთიერთობა მიღებული არ იყო, რადგან ეს ბინები დროებით თავშესაფარს უფრო ჰგავდა — ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ, თანაც მაღალჩინოსნებს საურთიერთობად არც ეცალათ... ისე აეწყო, ტოლსწრებსაც ვერ დაუმეგობრდა, შინ ვერავის ეპატიუჟებოდა და იქითაც ვერავის სტუმრობდა... პირველი ეს წითური მაიმუნი იყო, ყურადღება რომ მოაქცია, აედევნა და აღარ მოშორდა... მოსკოვში დაბრუნებაზე რომ ჩაფიქრდა, დაეჭვდა, ბინა დამხვდება თუ არაო. თვითონ ხომ იმ ბინაში ისე ჩასახლდნენ, ჩხირის სალირალი არ შეუტანიათ, ავეჯიც და ჯამ-ჭურჭელიც იქ დახვდათ, მანამდე ვინც ცხოვრობდა, იმათი მონაგარი... იქნებ

მის ბინაში სხვა ვინმე ცხოვრობს უკვე, მის ქვეშაგებში სძინავს და მისი თეფშიდან ჭამს...

ბიკენტიმაც არ ურჩია გამგზავრება.

— ნუ აჩქარდები! — მის პატარა ოთახში ასვლა არ დაიზარა ბიკენტიმ, სკამზე ჩამოჯდა და კედელთან მონაფურად ატუზულ ნატაშას გაესაუბრა: — ყველაფერი უნდა აწონ-დაწონო! დახმარებით ვერაფერს დაეხმარები, თვითონ კი შესაძლოა ხაფანგში გაება... აბა, ვის მიმართავ? დრო ისეთია, ყველას მოერიდება, ხელი გაგიმართოს. მამაშენი გამოცდილი კაცია, თუ არაფერი დაუშავებია, ვფიქრობ, თავს თვითონვე გამოიხსნის. დაწყნარდი, შენს ჯანმრთელობას მიხედე! ლესტამბეს შენ უყვარხარ და ხელს ნუ კრავ. აქ დაელოდე მოვლენათა განვითარებას. შევ-ეცდები, ჩემი არხებით გავარკვიო, რა ხდება. პრობლემებს ნურც შენთვის შეიქმნი და ნურც ჩვენ შეგვიქმნი...

რა ეთქმოდა ნატაშას? გამოცდილი კაცის დარბაისლური სიტყვებისათვის რა უნდა დაეპიროსპირებინა? ჩუმად იდგა, ბაგე ჩაეკვნიტა და უსმენდა, არც თანხმობას აცხადებდა და პროტესტის გრძნობასაც არ ამჟღავნებდა. ბიკენტის აუღელვებლობა და სიდინჯე აწყნარებდა, თუმცა ისიც საკითხავია, რა პქონდა ბიკენტის ასაღელვებელი, ვიღაც „მამილოს“ გულისათვის რატომ აიშლიდა ნერვებს.

— ზინაიდა პეტროვნამ შემომჩივლა, თურმე ამ ოთახში გამოკეტილხარ, — ჩაეღიმა ბიკენტის, — ოცდაოთხი საათი აქ თუ ჩაიკეტე, ჭლექი არ აგცდება. ჩადი ეზოში, პაერი ჩაისუნთქე, ახალგაზრდა ხარ, გარეთ კი გაზაფხულია!

ახალგაზრდა იყო ნატაშა, გარეთ კი გაზაფხული იკრეფ-და ძალას. ამიტომაც არ შეეძლო დიდი ხნით წუხილი, მისი გული სიხალისეს მოითხოვდა, ჭოჭმანი შეუდგა და ესეც ლესტამბეს გამოჩენამ დააძლევინა.

ვაჟმა უბოდიშოდ შემოხეთქა კარი და შეუძახა:

— სამახარებლო მექუთვნის, სამახარებლო!

ნატაშა ლოგინზე მოკუნტული იწვა, მხარზე შალი მოეხურა და მაინც ვერა თბებოდა.

შიშისაგან გული შეუხტა, ისლა მოახერხა, წამოიწია, ფეხები აიკრიფა.

ლესტამბე შინაურულად ჩამოუჯდა, თანაც ისე ახლოს, შეეძლო იდაყვით გოგოს მუხლისთავებს დაყრდნობოდა.

— მამილო? — იკითხა ნატაშამ.

— ჰო, მამილო... — განგებ წელავდა ლესტამბე, ცდილობდა გრამი სიმართლე და კილო სიცრუე ერთმანეთში აეზილა და წვეთწვეთობით ჩაეწვეთებინა. — მამილო ბუტირკაში ზის... — აი, ეს ცნობა იყო მართალი. — მაგრამ არაფერი უმტკიცდება! — ეს უკვე ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ.

— გაათავისუფლებენ? — ცოცხლად იკითხა ნატაშამ.

— მაშ, რას იზამენ? ისე, ალბათ, პენსიაზე გაუშვებენ! ეჱ, ხომ ვამბობდი, ძველები წავლენ და ახლები მოვლენ-მეთქი. ეს ისეთი სამსახურია, ერთხელ თუ საქმე საჭოჭმანოდ გაგიხდა, უმჯობესია, დაემშვიდობო. მაგას ვინ ჩივის, ოღონდ გამოუშვან და...

ისე გატაცებით ლაპარაკობდა, თითქოს მამილოს გასაჭირზე წრფელად ეწვოდა გული.

ნატაშა მოლბა, უმალ დაავიწყდა წარსულის წყენანი, ამ წუთას ვაჟი არც ისე მახინჯი ეჩერებოდა და არც უცხოობდა.

— ოღონდ გამოუშვან და... — ხალისით გაიმეორა.

— მაგას, ხომ იცი, საკავშირო პენსიას მისცემენ. კაი მაყუთი ექნება. ჩვენ დეპეშას გავუგზავნით, მამილო, გვეწვიე, ბებერი ძვლები ლაჟვარდოვან ზღვისპირეთში გაითბე-თქო...

„ქალის ჭკუა მოკლეა, — ფიქრობდა თავისთვის, — მთავარია, ადგილიდან დავძრა, ეზოში ჩავიყვანო, ქალაქში გავასეირნო, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...“

— აუჱ, რა ამინდია! — თეატრალური პათეტიკით შესძახა. — ზაფხულივითაა! მზე ისე აცხუნებს... — თითები გაატკაცუნა, აქაოდა, მაგრად ათბობსო. — პირზე წყალი შეისხი, გამოცოცხლდები! ქალაქში გავისეირნოთ, კეკე მოვინახულოთ, შევხედოთ ერთი, რას არტისტობენ... ისე ჩაიცვი და გამოკოხტავდი, აქაური გოგოები შურით სკდებოდნენ!

ცხადია, პროვინციული ქალაქის ნებისმიერი გოგონა შურით გასკდებოდა, რადგან აქ არავის ეცვა ლურჯად დაფოთლილი კრეპდეშინის კაბა, მოკლე, კოპლებიანი პიჯაკი

ოქროცურვილი ღილებით, არც ასეთი ქუსლებიანი ლაკის ფეხ-საცმელი...

ლესტამბემაც მოიწონა თავი! ფეხზე ახალთახალი ქრო-მის უძიროები ჩაიცვა, ხავისფერი გალიფე, ზევიდან კი უკრა-ინული ხალათი, საყელო და ბოლო რომ ლურჯად ამოექარგათ. წელზე ვიწრო სარტყელი შემოირტყა, ვერცხლის ბალთებიანი.

ორივენი უცხოდ სანახავნი გახდნენ!

ბულვარში ჩაისეირნეს.

ლესტამბე წელგამართული მიიკვანენებოდა. გრძნობდა შურიან მზერას. ზოგიერთი გამვლელი ჩერდებოდა კიდეც, ალბათ, ვერა ცნობდნენ ანდა მართლაცდა შურით სკდებოდ-ნენ, რომ მან, ლესტამბე თოლორაიამ, გონჯმა, წითურმა და ჩინჩხივით გამწლეულმა, ასეთი მზეთუნახავი „ნაშა“ დაითრია. თითქოს ნიშნს უგებდა ქალაქს, უფრო კი ტოლ-სწორებს, რომ-ლებიც არაფრად აგდებდნენ, ზურგსუკან „რიჟიკას“ ეძახდნენ და პანდურს მხოლოდ იმიტომ არ აკადრებდნენ, ბიკენტის შვილი რომ იყო...

— შეხე, შეხე, როგორ გვითვალთვალებენ, — ხითხითით ჩურჩულებდა ლესტამბე, — ლამისაა გადაგვყლაპონ... ამათ რა უნდა მოსთხოვო, დამყაყებული პროვინციაა. აქ მოსკოვი არ გეგონოს! აქ არც ცეკვები იციან და არც კოცნაობა! მარტო გავლა საშიშია, ვინმე ხელს გტაცებს და ბუჩქებში წაგათრევს, იქნებ დანაც გაგიყაროს...

— კი მაგრამ, რატომ? — ეჭვით ეკითხება ნატაშა.

— გაფუჭებული ხალხია და იმიტომ! ამათზე ყველაფერი ვიცი, ვერავინ გამაცურებს. ეგერ, ჩერიაზე რომ ხიდია, საღა-მოობით ვერ გაივლი. ბიჭბუჭები ზარს აგორებენ. გნახავენ, ზარს გააგორებენ, ამ გოგოს ყელი გამოვჭრათ თუ არაო, იქ-ნებ გაგიმართლოს, იქნებ არა...

— ნუ მაშინებ! იმ დღეს გავიარე, მაგრამ არავის შევუ-ჭამივარ. გიუი ვნახე ერთი, სულ „დიდებას“ იძახდა...

— ა, ვავა ზარქუა!

— ჰო, — ნატაშას უნდოდა ეთქვა, შენ რომ გგავსო, მაგ-რამ ენას დროზე დააჭირა კბილი, — ერთი ტიპიც გავიცანი... შავზე შავი...

— ვიცი, ეგ ტუჩია ძიგუაა, ქურდი და გათახსირებული, მაგას ელოდება ციხე და ეტაპი!

— მე კი ზრდილობიან ახალგაზრდად მომეჩვენა! შენ საიდან გაიგე, ის შავი ვინც იყო, ალბათ, მითვალთვალებდი!

— იმიტომ გითვალთვალებდი, ვინმეს შენთვის ყელი რომ არ გამოეჭრა!

— რატომ მაშინებ?

— ჩემთან ნურაფრის შეგეშინდება, ვინმეს ერთი რომ ავად შევხედო, მინაში ჩაძრება!

— ოჳ, პირდაპირ ილია მურომეცი ხარ! — გაეცინა ნატაშას.

— ილია მურომეცი არა, მაგრამ თოლორაია კი ვარ! — ამაყად უპასუხა ლესტამბემ და ამწუთას მართლაც სჯერო-და, რომ წინ ვერაფერი და ვერავინ დაუდგებოდა.

— მართლა თეატრში მივდივართ? — იკითხა უცებ ნა-ტაშამ.

— შენ ესენი ნამდვილი არტისტები ხომ არ გგონია, თე-ატრში რა უნდათ! ინსტიტუტის კლუბში ცოდვილობენ!

სანამ ინსტიტუტამდე მიაღწევდნენ, ლესტამბე ყოფილ თანაკლასელთ გადასწვდა.

— მოსკოვში გამგზავრების შემდეგ არც ერთი არ მინა-ხავს. სიმართლე გითხრა, გულზე არ მეხატებიან... უსაქმუ-რებია და იმიტომ არტისტობენ... ჰაჰაჰა... დახე, რანაირი ინ-სტიტუტია, ამ ჩამოფხავებულ კედლებში, რაც ტვინი გაქვს, ისიც დაგეკარგება. ესენი კი, წარმოიდგინე, შექსპირს აბი-თურებენ... რომეო, ოჳ, რომეო... სასაცილოა, მეტი თუ არა... მერე რომეო ვინ ბრძანდება?.. ჩემს ჩერჩეტ დაიკოს ვინ ეპრა-ჭება?.. ინსტიტუტის პირველი ტრიპაჩი და პაკაზუხა... სახე-ლი ჰქვია, დაირეხვები, „პრავდივი“ თუ „პრავილნი“. ერთი უპატრონო ვინმეა, ისეთი მშობლები ჰყავდა, სოროდან თავის ამოყოფას ვერ უნდა ბედავდეს, მაგრამ რატომლაც მამაჩემი აფარებს ხელს. სენტიმენტალური ტიპია ჩვენი ბებერი ბიკენ-ტი, ობოლი და ნიჭიერიაო, გაიძახის. რაც ობოლი ძალლი ქუ-ჩაში დაძუნძულებს, შინ ხომ ვერ შემოიყვან?

— ეტყობა, გაგამნარა! — ნატაშამ გამომცდელად შეხედა.

— ერთი გაეძედა! — ლესტამბე გაიფხორა. — მე რითი გამამნარებდა? უბრალოდ ვერ ვიტან ვისკოჩებს!.. კიდევ ერთია, კოჭლი ხერუვიმჩიყი... ჰაჲაჲა... ერთი კიდევ ხისთავი-ანი დათვი... დანარჩენებზე ლაპარაკიც არ ღირს, ცხვრის ფა-რაა, საითაც სახრეს მოუქნევ, იქით გაძუნძულდებიან და თუ ეტკინათ, ბეეო, იზმუვლებენ...

— შენი მეგობარი ვინდაა?

— მეგობარი? — ლესტამბე ჩაფიქრდა. — მეგობარი? მყავს მეგობრები, აუარებელი მეგობარი! ისე, რა ჯანდაბად მინდა, ჰა? მეგობრისაგან რა ხეირია? წარმოიდგინე, რომ ქვე-ყნის სამსახურში დგახარ და გყავს მეგობარი. იმას ხომ დრო და ყურადღება უნდა, შენ კი არ გცალია. ანდა ულირსია და შეიძ-ლება ღირსულის ადგილი მოგთხოვოს! იქნებ დასაჭერია, შენ კი ვერ დაიჭერ, დასასჯელია და ვერ დასჯი, ესე იგი, ვერ ალას-რულებ ჭეშმარიტ ვალს... ვინც დიდ, სახელმწიფო მნიშვნელო-ბის საქმეებს შეეჭიდება, ვისაც ქვეყნის ბედ-ილბალი ეკითხე-ბა, იმას მეგობარი შებორკავს... უმეგობრო კაცი უფრო შორს წავა...

— შენ, მგონი, არც ხუმრობ, ძალიან მაღლა აპირებ აფრენას!

— სტარტზე ვდგავარ და ღონეც მერჩის! — ამაყად თქვა ლესტამბემ.

კართან შეჩერდნენ.

ინსტიტუტის ორსართულიანი შენობა საკმაოდ უსახურ-ად გამოიყურებოდა. ყვითელი საღებავი ალაგ-ალაგ ნესტს ჩაეშავებინა. საპარადო კარიც რიგით დაწესებულებას მი-უგავდა. ადრე აქ ჩვეულებრივი სკოლა იყო, მაგრამ ქვეყანას ბევრი პედაგოგი დასჭირდა და ამიტომაც ინსტიტუტი აქაც დააფუძნეს.

ლესტამბე სინტარემ გააკვირვა. თუმცა ლექციები დამ-თავრებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ შენობა მაინც ზედ-მეტად დაცარიელებული მოეჩვენა. „ნუთუ ყველა ამ უსაქმუ-რებს უყურებს?“ — გაიფიქრა. სააქტო დარბაზი მეორე სარ-თულზე ეგულებოდა და ნატაშას იქითკენ გაუძლვა.

კიბიდანვე მოესმა შეკრებილთა ზუზუნი.

სააქტო დარბაზის კარი ღია იყო, იგი სტუდენტთა ზურ-გებს შეევსო. ლესტამბე თითისწვერებზე აინია. დარბაზი ახალგაზრდებს ისე გაეჭედა, ნემსი ვერ ჩავარდებოდა. უფრო თამამნი პირდაპირ იატაკზე და სცენაზე ისხდნენ.

ავანსცენაზე არიქა ძაძუა იდგა და რაღაცას აღელვებით ლაპარაკობდა.

— დახურეთ, ბოლოს და ბოლოს კარი! — უკმაყოფილოდ ნამოიძახა ვიღაცამ.

ზღურბლზე მდგომმა ახალგაზრდამ მოიხედა, უცხონი ეჭვით შეათვალიერა და ჰკითხა:

— ვინ ბრძანდებით?

— მე, აი, იმ ორატორის თანაკლასელი ვარ! — უთხრა ლესტამბემ. — თან მოსკოველი სტუმარი მახლავს!

ამ სიტყვებს მცირე ჩოჩქოლი მოჰყვა, ახალგაზრდებმა მიინ-მოინიეს, ვიღაცამ ნატაშას ადგილი დაუთმო, ლესტამბე კედელთან ჩაეკვეხა და კარი ძლივს მიხურეს.

ორატორს ახალმოსულები არ შეუმჩნევია, იგი მგზნე-ბარედ განაგრძობდა სიტყვას:

— ივანე მრისხანემ საკუთარ პირმშოს თავი გაუპო, მაგ-რამ ის რუსი იყო და ისტორიამ აპატია, პეტრე პირველმა სის-ხლის ლვარი დაანთხია, ლენინგრადში ყოველი სახლი ყმების ძვლებზეა აშენებული, მაგრამ ის რუსი იყო და ყველაფერი ეპა-ტია... პირიქით, ერთსაც და მეორესაც ძეგლები უგეს, წიგნები წერეს!.. ქართველს არაფერი ეპატიება, ქართველი უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ ის ქართველია!

— რაზეა, რაზე ლაპარაკი? — იკითხა ლესტამბემ.

ეჭვით შეათვალიერეს და ენა მოიკვნიტა, სულსწრაფო-ბა არ არგებდა.

ნატაშამ მოიხედა, მხრები აიჩეჩა. ცხადია, მას არაფერი გაეგებოდა, უბრალოდ, იჯდა და ირგვლივ მსხდომთ ათვა-ლიერებდა, იმასლა მიხვდა, რომ აქ რომეოსა და ჯულიეტაზე არ საუბრობდნენ.

— ჩვენ სამნი ვმონაწილეობდით მაგ საქმეში, ოფლი ჩავაქციეთ! — განაგრძობდა არიქა. — საყვედრებლად არ ვამბობ, მაგრამ ყველამ იცის, იქიდან რა ხეირი გამოვიტანე...

დღეს კი გვეუბნებიან, არ იყო იმის ლირსი, მივიდეთ და დავან-გრიოთო...

„ვისზეა, ვისზე ლაპარაკი?“ — სული მისდიოდა ლესტამბეს, ვერ გაეგო კრების მიზეზი.

დარბაზი კი უკმაყოფილოდ ზუზუნებდა, ნაწილი ორატორს უსმენდა, ნაწილი ცხარედ კამათობდა, სხვები ამათ აჩუმებდნენ და წესრიგს მოითხოვდნენ.

— ჩვენ არ უნდა მივცეთ ამისი ნება, ეს ჩვენ არ უნდა...

17

— აჲ, არა, არა, ასე არა! — გულშეჭირვებით წამოიძახა ლესტამბე თოლლორაიამ, ვალიკოდ ქცეულმა.

ხუთი წუთის წინ ხაშურს გავცდით. ახლა სურამის შემოსავლელი ტრასით მივდიოდით. ხელმარცხნივ გადაიშალა დაბის ჩვეული პანორამა — ხეობაში ჩარიგებული სახლები და დასახლების გასწვრივ გაჭიმული ტყიანი ფერდობები. მქრქალი, ნისლიანი ციდან უღონო მზემ გამოაჭყიტა... ხაშურის მინის ქარხნის მილიდან ბოლი არ ამოდიოდა. სურამის ციხის ქონგურაზე ხარაჩოები წესტისაგან კარგა ხანია ჩაშავდა... ყველაფერი გაჩერებული იყო, ყოველივეს სიცოცხლის ხალისი აკლდა...

— მე, პატივცემულო, კრიტიკას როგორ გაგიბედავთ, — ლესტამბე წინ იყურება, მოსახვევთან გზა მოყინულია და ფრთხილობს, — მაგრამ ისევ და ისევ ჩემს მაღალ გრძნობებს ამცრობთ, შავი ფერებით ხატავთ...

— გინდა, მითხრა, რომ სიყვარულის ცეცხლი გრვავდა?

— ვინ იცის, იმ დროს ვის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა... დიდი ხანი გავიდა, თითქმის ორმოცი წელი...

— რა დაგიშავა იმ კაცმა, ნატაშას მამილომ?

— ახალგაზრდა ვიყავი, ქვეყნის სამსახურში ვაპირებდი დაბერებას! — საჭეზე დადებული ხელი ოდნავ უკანკალებდა. სიგარეტის კოლოფი მოძებნა, პაპიროსი ტუჩებით დააძრო. — ნებას თუ მომცემთ, მოვწევ, ნერვებს აწყნარებს!

— მოწიე! — გაგულისებით შევეპასუხე. — ოღონდ ეგეთი ლოზუნგები სხვებისთვის შეინახე!.. ჰმ!.. „ქვეყნის სამსახური...“

— არ გჯერათ?.. თანაც მამილომ ფეხებზე დამიკიდა, მაპამპულავებდა...

— და შენც ჩააწვეთე სადაც ჯერ არს!

— ქონის იმ ტომარამ ქართველები ამოაწყვეტინა იქ, გულაგში!

— და შენც გული აგიჩუყდა, სენტიმენტალური ცრემლი გადმოგიგორდა... გიცნობ, რა ხვითოც ბრძანდები! ის გომბეშო ვინაც ჩააყუდა, იმას ვითომ ქართველებზე შესტკიოდა გული?

— ნუ დამცინით! ის საქმე იმნაირად მოვაკვარახჭინე, არც გამოვჩენილვარ. საქმე ისეთ კაცს მივეცი, ვისაც მამილოსათვის კვანტის გამოდება უნდოდა... სამადლობელო წინ დამხვდა!

— იმთავითვე შორსმჭვრეტელი იყავი, ინტრიგებს ხლართავდი, მაგრამ ეგ რანაირად გამოგივიდა, მამა ციხეში ჩააგდებინე, იმის გოგოს კი ირთავდი...

— ამაზე ბევრი ვიფიქრე. ეს ვარიანტი ჩემთვის მომგებიანი ჩანდა, პრინციპულ ადამიანად გამოვჩენდებოდი. მამების დანაშაულზე შვილები პასუხს არ აგებენ, ეს ჯერ კიდევ სოსიკელამ თქვა. მთავარი იყო პარტიის საქმისადმი ერთ-გულება!

— იქნებ მართლაც გიყვარდა!

— ნატაშა? — ლესტამბე ჩაფიქრდა.

ჩუმათელეთს მივაღწიეთ. ასფალტზე სქელი თოვლი იდო, საბურავებისაგან ოლროჩოლრო გამხდარიყო და სავარძელში ძლივს ვიჯექი.

— არა! — მოჭრა ლესტამბემ. — რატომ უნდა მყვარებოდა? ეს ტრადიცია! ძლვიბიმ, ბაბუაჩემმა, ჩათა, ბებიაჩემი მოახრჩობინა... ბიკენტის დედაჩემი არასოდეს ყვარებია. მეც და კეკეც გაუმსხელელი სიძულვილის შვილები ვიყავით... ბიკენტის არც მე ვუყვარდი, კეკე კი... კეკეს ვინც დაინახავდა, ყველას უყვარდებოდა...

— აკი შენი გულის ცეცხლი ახსენე?

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ!.. მოგშივდებოდათ, პატივ-ცემულო!

მანქანა გზისპირას მიაყენა. ამ ტრასით რამდენიმე თვე არ მივლია და, დახეთ საოცრებას, ორთავ მხარეს პატარ-პატარა სახაჭაპურები ჩამომწკრივებულა... აგრე, ჩემს თვალწინ დიასახლისი იმერულ ხაჭაპურს ყველით ტენის და იქვე აცხობს... ოღონდ სად ჭყავა მაგდენი რუსული რუბლი?

— უმორჩილესად გთხოვთ, პატივცემულო, ხელს ნუ ამიკრავთ! — ლესტამბეს ჯიბიდან ფულის დასტა ამოაქვს, ერთ ცალ ათიათასიანს ამოაძრობს და დიასახლისს უწვდის.

თავპატიში არ გამომიდვია, თათარიახნად მივირთმევთ, ზედ ვაყოლებთ „ბორჯომს“...

გზას რიკოთისაკენ ვაგრძელებთ, მე კი ის ვერ მომინე-ლებია, მიტინგის სცენა რომ გამაწყვეტინეს.

— ასე არაო, რომ იყვირე, მაშ, როგორ?

— ნება თქვენია, პატივცემულო, თქვენ ვისაც მოისურ-ვებთ, იმას ალაპარაკებთ. — ჩაიხითხითა ლესტამბემ. — მომეჩვენა, რომ ნატაშას ცოტა ზედმეტ ყურადღებას აქცევთ! მესმის, რომ ნატაშა კაცებს მოსწონდათ. წელს ისე მიარხევ-და, თეძოებს ისე ათამაშებდა, ბერიკაცსაც ლოგინს მოან-დომებდა...

— ამას რატომ მეუბნები? — გავლიზიანდი, ეგლა მაკ-ლია, ეჭვიანობის სცენა გამიმართოს.

— მე ისე... — როგორლაც უცბად მოტყდა ლესტამბე. — იმის თქმა მინდოდა, რომ ეს გასეირნება ქალაქში სულ ტყუილ-ია. ერთხელ გაისეირნა ქალაქში, აი, ტუჩია ძიგუა რომ გაიც-ნო, მაშინ... ხელები საჩხუბრად ამიქავდა, მაგრამ ქალაქის ცენტრში ვიღაც ქეციან ქურდთან და მამაძალლთან მუშტი-კრიეს ხომ ვერ გავმართავდი... იმ მიტინგზე, ინსტიტუტში, მარტო წავედი... ბიკენტიმ წამახალისა და იმიტომ. ეგ არტის-ტები-მეთქი, ზიზღით რომ ვთქვი, დინჯად მიპასუხა — „ჩვენ ყველანი არტისტები ვართ! შენც უნდა იარტისტო!“ მიტინგის თაობაზე საერთოდ არაფერი ვიცოდი...

ინსტიტუტის შენობა არაფრით იყო გამორჩეული. ყვი-თელი სალებავი ნესტს ალაგ-ალაგ ჩაეშავებინა. საპარადო კარიც ერთ რიგით დაწესებულებას მიუგავდა.

ლესტამბე სიწყნარემ გააკვირვა. ლექციები, ალბათ, დამთავრებული იყო, მაგრამ ახალგაზრდობა აქ გვიანობამ-დე ტრიალებდა. „ნუთუ წარმოდგენა გრძელდება?“ — გა-ითვირა. სააქტო დარბაზი მეორე სართულზე ეგულებოდა და იქითვენ გასწია. კიბეზევე მოესმა შეკრებილთა ზუზუნი.

სააქტო დარბაზის კარი ლი იყო და იგი ზურგით მდგომ სტუდენტებს შეევსოთ. ლესტამბემ თითის წვერებზე აიწია. დარბაზი ისე გაჭედილიყო, ნემსი ვერ ჩავარდებოდა. სცენის კუთხეში არიქა ძაძუა იდგა, ხელჯობს დაყრდნობოდა... იატა-კზე დააკაკუნა და წამოიძახა:

— დახურეთ, ბოლოს და ბოლოს, კარი!

ზღურბლზე მდგომმა ახალგაზრდამ მოიხედა, ლესტამ-ბე შეათვალიერა და ჰქითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე, აი, იმ ხელჯობიანის თანაკლასელი ვარ!

ამ სიტყვებს მცირე ჩოჩქოლი მოჰყვა. ახალგაზრდებმა მიინ-მოინიეს. ლესტამბე კედელთან ჩაეკვეხა და კარი ძლივს მიხურეს.

თავებს შორის გაიხედა. ავანსცენაზე კეკე იდგა. თხე-ლი, კოჭებამდე დაგრძელებული, თეთრი მარმაშის კაბა ეცვა. თავზე პრესპაპიეს დიადემა დაედგა. ცხადია, ამ სამოსში თა-მაშობდა ჯულიეტას. საოცრად მომხიბლავი იყო კეკე — დაი მისი და ლესტამბეს მღელვარებისაგან პირი გაუშრა, ძარ-ლვებში ურუანტელმა დაუარა.

— რაზეა, რაზე ლაპარაკი? — იკითხა.

ეჭვით შეხედეს და ენა მოიკვნიტა, საკუთარი სულსწ-რაფობა არ მოეწონა.

— ჩვენ სკოლაში გვასწავლეს, რომ ვცხოვრობთ სოცი-ალისტურ, დემოკრატიულ ქვეყანაში, რომ ყველაფერი ჩვენს ნებასა და სურვილს ემორჩილება, რომ თეთრი ნაღდად თეთ-რია და შავი ნაღდად შავი! ახლა ყველაფერი ყირაზე დადგა. რაც თეთრი იყო, გახდა შავი... აქამდე ჩვენ არაფერი გვაეჭვებდა, გვჯეროდა მაღალი სიტყვებისა, ახლა ჩვენ ეჭვიანები გავხდით! თუ ხალხის ნება უზენაესია, მაშინ ჩვენა ვართ ხალხი და ჩვენი ნებაა, უკან წაიღონ თავიანთი მკრეხელური სიტყვები...

„რაზეა, რაზე ლაპარაკი?“ — ლესტამბეს სულში აკივლ-და მსტოვარი, რომელმაც კვალი იყნოსა.

— ჩვენ არავის მივცემთ ნებას...

— ვინ ჩვენ?! ვინ ჩვენ?! — სცენის სიღრმიდან გამოვარდა ერთი ჩაჯირვული ჭაბუკი, გადმოალაჯა („თუნთია!“ — გაიფიქრა ლესტამბე). — ჩვენი ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია...

დურუ გეგია იყო, ლესტამბემ ახლადა იცნო ყოფილი თანაკლასელი. „ეს რამოდენა თუნთი გაზრდილა!“ — ერთხელ კიდევ გაიფიქრა.

დარბაზი აზუზუნდა, აქეთ-იქიდან შეუძახეს:

— ეს ვინ ოხერია!?

— გეგია, ჩამოეთრიე, აცალე ქალიშვილს!

— გეგია — პადლიზა! გეგია — ზადნიცა!

— რაო? — ლოყები დაებერა დურუს, თვალები ავად დააბრიალა: — ვინ იყო მაგი? გამოდი და დამენახე, თუ ბიჭი ხარ!

არავინ გამოპასუხებია, მაგრამ დარბაზი უფრო და უფრო თამამდებოდა. ცალკეულ წამოძახილებს ხულიგნური სტენა მოჰყვა.

— კეკე თოლორაია, ნუ ურევ ახალგაზრდებს ტვინს, არ გეკადრება მამაშენის შვილს!

პასუხად ისეთი ღრიანცელი ატყდა, აპილპილებული დურუ სადლაც გაქრა.

ლესტამბე თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ცდილობდა, უფრო აქტიურები დაემახსოვრებინა. სამწუხაროდ, სამ წელი-წალში მისი ნაცნობები საგრძნობლად შეიცვალნენ და ძნელად არკვევდა, ვინ ვინ იყო.

კეკემ ხელი ასწია.

„თავს დაიღუპავს და ჩვენც დაგვლუპავს!“ — გული აუფანცქალდა ლესტამბეს. უნდოდა, ახალგაზრდების კედელი გაერდვია, სცენაზე აჭრილიყო და კეკე — დაი მისი, შინ გაეგდო. ძმა იყო და მის ძმურ უფლებებს წინ ვერავინ გადაეღობებოდა. მაგრამ რატომლაც ადგილიდან ვერ იძროდა, რადგან ავანსცენაზე მდგარი კეკე თვალისმომჭრელად მომხიბლავი ჩანდა... „ეგ მეამბოხე ჯულიეტა, ეგა!“

— სამი საათია ამ დახუთულ დარბაზში ვყაყანებთ! — თქვა კეკემ. — ყველანი ერთსა და იმავე სიტყვებს გავიძახით! ასე უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, საქმე კი არა და არ დაიძვრება! ჩემი წინადადება ასეთია: შევწყვიტოთ ზედმეტი ლაპარაკი, გავიდეთ ამ დარბაზიდან, ჩავიაროთ ქალაქის ბულვარში, ავიდეთ მაცხოვრისგორაზე, დავაყენოთ მშვიდობიანი პიკეტი! მოვიდეს მთავრობა და მოისმინოს ჩვენი მოთხოვნები!

„დასაჭერია! — ნერვები ეწეწებოდა ლესტამბეს. — აფსუს, ბიკენტი თოლორაიავ, შენს ჭერქვეშ რამოდენა ანტი გაგიზრდია! სულ ამ რომეოებისა და ჯულიეტების კოცნაობა-პრომტნაობის ბრალია ყველაფერი...“

ფიქრის დრო აღარ დარჩა. დარბაზი აირია. ზოგი სცენისაკენ მიიწევდა, ზოგი — გასასვლელისაკენ. კარი რომ გაიღო, ლესტამბე საცობივით გამოვარდა, კინაღამ ფეხით გადათელეს. ბრძოლ ვესტიბულამდე წაიღო, აქ კი კედელს აეკრა. გამვლელი წამდაუწუმ მხარსა ჰკრავდნენ, ძლივს ჩერდებოდა, მაგრამ კეკეს მაინც დაელოდა.

კეკეს კაბა უკვე გამოეცვალა. ჩვეულებრივად ეცვა, დიდრონი ვარდებით მოჩითული თხელი კრეპდეშინი.

ლესტამბემ მკლავზე ხელი წაატანა, მოქაჩა:

— გააფრინე? ახლავე შინ წამოეთრიე!

— ეე, ეგ ვინდაა?! — უმალ წრე შეიკრა.

— ა, ლესტამბე! — იცნო მართალი თოდუამ. — გამარჯობა შენი! გავიგე, ჩამოსულხარ, თურმე შინ გამოიკეტე, საცოლეს გვიმალავ, თავს გვარიდებ...

— ბიჭებო, კაი საქმეს არ აკეთებთ, იცოდეთ! — მართალის ზურგი შეაქცია ლესტამბემ, სხვებს მიუბრუნდა. — მე ვიცი, უსისხლოდ მსგავსი საქმეები არ თავდება!

— შენ რაღას გვირჩევ? — არიქა ძაძუამ წრე კოჭლობით გაარღვია.

— მთავრობასთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება, ხომ იცი ეს ამბავი?!

— მთავრობის ტრაკში ვინც მიძვრება, ნეხვში რომ აღმოჩნდება, ასეთი ამბავიც თუ გაგიგონია! — შეეპასუხა არიქა.

მის სიტყვებს მხიარული ხორხოცი მოჰყვა და ვიღაცამ წამოიძახა:

— რას უსმენთ მაგას, გაჰკარით ერთი ყბაში!

— აპა, აპა, ვინაა ის ჯეელი, ჩემ ძმას ცემას რომ უპირებს?!

— კეკემ თვალები გააკვესა. — ეს ჩემი ძმაა, რუსეთიდან ახალი ჩამოსულია და აქაურ ამბებში ჯერ ვერ ერკვევა. მე ავუხსნი და არა მგონია, ჩვენ გადაგვიდგეს!

ყმაწვილები დაშოშმინდნენ...

— იმან აგიხსნა და შენც დაუჯერე, ხომ? — დაცინვით ვკითხე.

— მაგ ჭკუისა ვიყავი სწორედ! სტალინი უკვე მკვდარი იყო, საფლავში ხომ არ ჩავყვებოდი? — ლესტამბემ ჩაიხვისვინა, მაგრამ რაკი მის სიცილს არ ავყევი, მოიწყინა. — ტრაბაზი არ მიყვარს, პატივცემულო! იცით თქვენ ჩემი ხასიათი, ისიც კარგად გაგეგბათ, რა ჭკუის პატრონი ვიყავი...

— ასაკისათვის შესაფერი ჭკუაცა გქონდა და ეშმაკობაც! ოღონდ იმ დღიდან, რაც ყურადღების არეალიდან დამისხლტი, აღარ ვიცი, რაში და როგორ გამოიყენე შენი... ჰმ...

ფრაზა ბოლომდე ვერ მივიყვანე, რადგან არ მინდოდა, ნიჭიერება მეწოდებინა ვირეშმაკური უნარისათვის, მანქანის უსიამოვნო ჯაყჯაყმა კი ტვინიდან სხვა, შესაფერისი სიტყვები ამომიფერთხა.

— ჩემთვის ნიჭიერება არ გემეტებათ, პატივცემულო, — ამოიხრა ლესტამბემ, — არადა, რაცა ვთქვი, ყველაფერი გამართლდა!

ჩუმათელეთი უკან მოვიტოვეთ და გვირაბისკენ მიმავალ აღმართს შევუყევით. ეს მონაკვეთი ზამთრობით მუდამ იწმინდებოდა. წელს, ეტყობა, საამისოდ ვერავინ მოიცალა, საბურავების ნატკეპნი თოვლი და ყინული ერთიმეორეზე დაეფინადა ისე აიზილა, ამ პატარა, უპრეტენზიო „ზაპოს“ გარდა რაგინდარა მანქანას გაუჭირდებოდა გავლა.

მილიციის საგუშაგო მიტოვებული დაგხვდა. ბაზრობაც დაცლილიყო, ვინდა გაბედავდა დახლთან დგომას ყაჩაღთა თარეშის ხანს...

მართალი თქვა ლესტამბე თოლორაიამ, სისხლი დაიღვრება... იმდროინდელი სისხლისღვრა დღევანდელთან რა

მოსატანია, მაგრამ იქნებ სწორედ იმ მოვლენებმა მისცეს ბიძგი უამთა ქარიშხალს...

მაშინ, იმ წელს, ქალაქი ჯერ კიდევ მიჩვეული არ იყო უკანონო დემონსტრაციებს, აქამდე ხომ ზევიდან ორგანიზებული მაისობა და შვიდნოებმბრობა იცოდნენ, როცა, გინდა, არ გინდა, ადამიანთა სავალდებულო ტალღამ უნდა გაგიტაცოს, რათა ერთგულება გამოუცხადო მავანთ, რომელთა არც სახელი იცი და არც პატივისცემა გაქვს.

ეს პირველი, უნებართვო დემონსტრაცია შიშნარევი გამოდგა. მთავრობა დაფრთხა, გაილურსა. ბულვარზე მიმავალი ახალგაზრდებიც ჩუმად, გამტკნარებულნი მიდიოდნენ, თითქოს თვითონაც უკვირდათ, ეს როგორ გავბედეთო... მარტოკაცი ვერ შეიძლებდა ბულვარზე ასე ჩავლას, თუნდაც წითელი დროშა ეფრიალებინა... მაგრამ ბრძოს გაბედულება ხომ ათასჯერ აღემატება ერთისას, თუმცა ბრძოს სიმხდალეც ასევე აღემატება მარტოკაცის სიმხდალეს.

— არ დაიჯერებ, პატივცემულო, და მამაჩემის, ბიკენტის ბრალია ამდენი სტალინის გამოჩენა... გახსოვთ, ალბათ, ვავა ზარქუას კოლექცია... ჰიპი, ასე ვთქვათ, სტალინიანა, მაცხოვრისგორაზე რომ გამოფინა. მოხვეტა ეს სტალინიანა ბიკენტიმ მაშინ და სამსახურში, გაუქმებულ გარაუში ჩაკეტა. სამი წელი არავის გახსენებია! დემონსტრაციები რომ დაიწყო, სტუდენტებს ვიღაცამ ყურში უჩურჩულა, ამათაც მეტი რა უნდოდათ, ღამით გატეხეს გარაუშის კარი და დილით მთელი ქალაქი მოფენილი აღმოჩნდა, მერეთის ყოველი კუთხეკუნფულიდან სოსიკელა იყურებოდა... მამაჩემმა, ბიკენტიმ თვალი დახუჭა, ვითომ არაფერიო... იგი ძევლებურად სტალინისკენ იხრებოდა, ვერ გაუგო ახალ დინებას...

— შენ თვითონ საითენ იხრებოდი?

— მე არასოდეს მქონია პოლიტიკური შეხედულებები, მე შემსრულებელი ვარ! ვინც ხელისუფლებაშია, იმისი ნება უნდა აღვასრულო! ასეთი დამბადა შემოქმედმა! — ბოლო სიტყვაზე მახვილი დასვა ლესტამბემ, აღმაცერად გადმომხედა.

— უმჯობესია კეკეს ამბავი მივუპრუნდეთ!

რიკოთის გვირაბში შევჯაყაყაყდით. განათება გათი-შული იყო და წკვარამს ჩვენი „ზაპოს“ ფარები ძლივს ფანტავ-

და. სავალზე დაფენილი ბეტონი კარგა ხანია ადგილ-ადგილ ამოიყარა, შემკეთებელი არსად ჩანდა... კეკე რომ ვუხსენე, ლესტამბემ მანქანა ბორდიურთან მიაყენა და გააჩერა, კოტიტა თითო ღილაკს ჩამოჰკრა და ირგვლივ მდუმარება და უკუნი ჩამოწვა...

თავი უხერხულად ვიგრძენი, ხერხემალზე დამსუსხა... შიში მომეპარა. ვინ იცის, გონებაში რა აზრი უტრიალებდა!

ბნელში ფათურობდა, ასანთის კოლოფი გააჩხაკუნა. პირში ახალი სიგარეტე გაერჭო და უკიდებდა.

ალბათ, უჭირდა კეკეზე საუბარი, ამიტომაც უფრთხოდა დღის სინათლეს, არ სურდა, მენახა მისი დანამული თვალები.

— მიტინგებითა და დემონსტრაციებით ახლა ვის გააკვირვებ. — ხმა გაებზარა, დაახველა, თუმცა იქნებ თამბაქოს გამო, კვლავაც ხომ იაფთასიან „ასტრას“ ეწეოდა. — სტალინის ძეგლს ანგრევენო, ხმა რომ დაირხა, მთელი მერეთი ადულდა, აბუყბუყდა... ხალხი ქუჩაში გამოეფინა, რაიკომის შენობასთან იკრიბებოდნენ და ყაყანებდნენ. ხელისუფლებისადმი რიდი თანდათან იკლებდა, მილიციას არავინ არაფრად აგდებდა, ფორმიანებს ზედაც არავინ უყურებდა... სტუდენტებმა თავი მთლად მოიგიუიანეს, ფარული კომიტეტი შექმნეს და ხუმრობით „მაცხოვრისგორის რესპუბლიკას“ ეძახდნენ... პორტრეტებით, ბიუსტებითა და დროშებით კიბე ააჭრელეს. კიბის ძირას ან ზევით, მონუმენტთან, მიტინგებს ატარებდნენ. დღისით და ღამით მეგაფონიდან მოისმოდა ისტერიული სიტყვები და უთავბოლო ლექსები, რომლებსაც სახელდახელოდ თხზავდნენ ახლად გამომცხვარი პოეტები. ბრბო გაუთავებდა და ღრიალებდა — „ლენინ-სტალინ, ვაშა!“ „ლენინ-სტალინ, ურა!“ ბუნტის თავი, რა თქმა უნდა, ის კოჭლი ძაძუა იყო, სადაც გამოჩნდებოდა, ცეცხლზე ნავთს ასხამდა... დურუ? ორ ცეცხლშუა იწვოდა, კარიერის პირველ საფეხურზე იდგა და იმას ვერ ელეოდა, თან ძმაკაცებისა ერიდებოდა, ისედაც, ვიღაცამ „დურუ ზადნიცაო“ რომ დაიძახა, მართალის მუშტებით მოუწია იმის მტკიცება, ჩვენი ძმაკაცი „ზადნიცა“ არ არისო... თვითონ მართალი? ზედ პირისახეზე ეწერა, რა სულელიც ეგ იყო. ამ დროს მის სტალინისტურ აზრებს წყალი შეუდგა, თუმ-

ცა პოლიტიკისათვის ვეღარ იცლიდა, რომეოობდა და გული ჯულიეტაზე შევარდნოდა...

ლესტამბეს ხმაში დაცინვის, სიძულვილისა და ზიზღის კილო უღერდა. მსგავსი მონოლოგი უკვე მღლიდა, მინდოდა მეთქვა, დავიძრათ, სიბნელიდან გავიდეთ-მეთქი, მაგრამ სიფრთხილე მკარნახობდა, შიში არ გამომეხატა...

ქაოსი რამდენიმე დღე გაგრძელდა. ცხოვრების რიტმი დაირღვა. ხალხი სულ უფრო და უფრო თამამდებოდა. თავდაპირველად ქუჩაში ახალგაზრდები ჭარბობდნენ. ასაკოვანი ეზო-ჭიშკარში იკეტებოდნენ. მერე ცოტცოტაობით ცხვირი გარეთ გამოჰყვეს, მიიხედ-მოიხედეს — არც მილიცია, არც ჩეკა და არც რაიკომ-აღმასკომი... ბოლოს ქუჩაში ტევა არ იყო, მოედანზე ბრბო მთელი დღე არ იშლებოდა...

ლესტამბე კეკეს დასდევდა კუდში, გასაქანს არ აძლევდა, თავი მოაბეზრა. საბაბი უფრო იყო მისი ეს ფაციფუცი. უნდოდა, მოვლენათა ცენტრში ყოფილიყო, ყველაფერი ენახა და ყოველივე დაემახსოვრებინა, ვინ იცის, როდის რა გამოადგებოდა. რაკი კეკე მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, თვითონაც ხომ ძალაუნებურად იქვე იყო, უყურებდა, უსმენდა და იმახსოვრებდა. არეულობის მოთავენი შინ ღამლამობითაც არ მიდიოდნენ. იმდენს ლაქლაქებდნენ, გიუებს დაემსგავსნენ, რაც მეტს ლაპარაკობდნენ, უფრო თავდაჯერებული ხდებოდნენ. ჩანდა, მთავრობა დაფრთხა. ხმები დადიოდა, უკან იხევსო, მოსკოვი შეფუცხუნებულია და ხვალზეგ ყველაფერი სასიკეთოდ შებრუნდებათ. ძაძუას დასი ხანდახან, გულის გასახარად და სასეიროდ, სპექტაკლს გაათამაშებდა, — სცენებს, სადაც რომეო-მართალი სიყვარულს უხსნიდა ჯულიეტა-კეკეს და თან საჯაროდ, ყველას თვალინი, ამბორს გამოსტაცებდა, აქაოდა, პიესაში ასე წერიაო.

ერთხელაც, როცა მეგაფონში მართალი თოდუას ხმა ქუხდა — იგი კითხულობდა ლექსის პარტიაზე, რითაც, ალბათ, მავანთ ეუბნებოდა, ჩვენ მთავრობისა და კომპარტიის ნინა-აღმდეგნი კი არა ვართ, პირიქით, ერთგულების ფიცსა ვდებთ, ოღონდ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს ფეხს ნუ დააბიჯებთო.

— „უმარდუთ ხემაჯღვერენს,  
არწივენს მართვიანს,

ხვამარდი დო კვათიერს  
კომუნისტურ პარტიას...”\*

კეკეს ამ დროს მიტყუპებული ხელები გულთან მიეტანა და გაბრწყინებული თვალები დეკლამატორისათვის მიეპყრო... ლესტამბემ დრო იშოვა და იდაყვზე წაეტანა.

— რა იყო? — ჰქითხა კეკემ.

— დედა...

— რა დედა?

— ინერციულა... დამბლა! ცალი მხარე მთლად წაერთვა, ექიმები თავზე ადგანან!

ეს იყო ზუსტი გასროლა და მიზანსაც მოხვდა!

კეკე გაფითრდა, უხმოდ შეტრიალდა, ბრბო გაარღვია. ლესტამბეს ხელი არ მოუცილებია, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და შთამბეჭდავ ფერებში აღნერდა ზინაიდა პეტროვნას „დამბლას“.

გოგო ხმადაბლა ასლუკუნდა, თვალები ცრემლებისაგან აუბრჭყვიალდა. თავს დამნაშავედ გრძნობდა და თავისითვის ბუტბუტებდა: „მაპატიე, დედა! მაპატიე, დედა!“

აგრ სახლიც გამოჩნდა. კეკეს ეგონა, ჭიშკართან მეზობლები დახვდებოდნენ, მაგრამ არავინ ჩანდა, მხოლოდ ტურია ძიგუას ხანშიშესულმა დედამ გამოაყოლა თვალი, შორიდან სალმის ნიშნად თავი დაუქნია ახალგაზრდებს, შებრუნდა და შინისაკენ წაჩანჩალდა.

გაუკვირდა კეკეს ქალის გულცივობა, ალბათ, არც გაუგიაო, გაიფიქრა.

ფეხს აუჩქარა, პარმალის კიბე სულმოუთქმელად აირბინა, სასტუმროს ბინდმა წამიერად დააბრმავა და ამ დროს ბიკენტის წყნარმა ხმამ ადგილზე მიალურსმა:

— მობრძანდი, ქალბატონო?

ბიკენტი პირისპირ იჯდა, მაგიდას იდაყვებით დაბჯენოდა და მუშტად შეკრულ ხელებზე ნიკაპი ჩამოეყრდნო.

კეკემ ხმის ამოღება ვერ მოასწრო, უკანა კარი გაიღო და ზინაიდა პეტროვნა შემოქმოთქოთდა:

\* (მეგრ.) ვემადლიერებით ხელმძღვანელებს, მართვებიან არწივებს, ენერგიულსა და მტკიცეს, კომუნისტურ პარტიას.

— ჩეუა გაკს, გოგო, შენ? ვერ მოეტრევი საკლში? კეკემ თვალები დაჭყიტა, ცრემლი უხვად გადმოუცვივდა და ლესტამბეს მიუტრიალდა:

— საზიზლარო მატყუარავ!

ლესტამბე დაიღმიჭა, ლიზდურად ჩაიხითხითა.

— წაიყვანე და თავის ოთახში გამოკეტე! — განაჩენი არ დააყვინა ბიკენტიმ. — სანამ ქალაქი არ დაწყნარდება, ეგდოს მანდ!

— წამობრძანდი, ძვირფასო ჯულიეტა! — გაიქილიკა ლესტამბემ.

კეკემ ტირილით აირბინა კიბე, შევარდა თავის ოთახში და საწოლზე დაეცა.

ზურგსუკან გასაღებმა გაიტკაცუნა...

18

კარგა ხანს იტირა კეკემ, ბალიში მთლად დაუსველდა... თანდათან ცრემლი შეაშრა, სლუკუნი დაუცხრა და გაყუჩდა, ბრაზობდა ლესტამბეზე, გუნებაში შურისძიებით ემუქრებოდა. თუმცა თავს მაინცდამაინც უდანაშაულოდ არ გრძნობდა.

ეშინოდა საიდუმლოსი, რომელსაც, ალბათ, დიდხანს ვერ დამალავდა... გააურულა, გულს აზიდებდა... ბოლო დროს ხშირად წამოუვლიდა თავის ტკივილი, გულის რევა, ოღონდ ჩივილს ვერავისთან ბედავდა. უკვე მეორე თვე გადიოდა, რაც კაბის ქვეშ წელს წაჭრით იკრავდა, რათა თვალში არავის მოხვედროდა მისი ოდნავ შევსებული ხორცი, მსუბუქად წამობურცული მუცელი... ჯერჯერობით ვერაფერს ამჩნევდნენ, მაგრამ რა უნდა ეღონა ხვალ-ზეგ, რა მოეფიქრებინა?

„მამა მომკლავს!“ — ეს ფიქრი მოსვენებას უკარგავდა. სიკვდილისა როდი ეშინოდა, სიტყვებში — „მამა მომკლავს“, რეალური სიკვდილი როდი იგულისხმებოდა, ეს ნიშნავდა ბიკენტის გულისხეთქვასა და ინფარქტს... თვითონ კი, ჯულიეტად დაბადებულს, ნაადრევი სიკვდილი იოლი ეგონა.

მის არსში ვიღაცა შეინძრა, შიგნით გაფაჩუნდა, კეკეს ფიქრს გამოეპასუხა... ვიღაცა სიცოცხლეს ესწრაფვოდა და სიკვდილზე ფიქრი არ სიამოვნებდა.

კეკემ მუცელზე ხელი დაიდო, მოეფერა.

ფიქრით ჩხერიისპირა, მყუდრო უბეში გადაინაცვლა, იქ, სადაც მერეთელი ჯულიეტა მერეთელ რომეოს ხვდებოდა.

თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ თამაში. პიესის ტექსტი კარნახობდა ქცევის წესებს. ამაღლებული, სატრფიალო სიტყვები თუმცა სხვის მიერ იყო შეთხზული, მაგრამ ამათი ბაგებით წარმოითქმებოდა... ტექსტით ნაკარნახევი სცენები, ნაკარნახევი ალერსი და ნაკარნახევი ამბორი თანდათან საბაბად გადაიქცა, ნიღბად, რომლითაც მალავენ ჭეშმარიტ ლტოლვას... ბაგეთა შეხება, ვითომ ნათამაშევი, თანდათან ცხელი და მგზნებარე გახდა, როდესაც ძალა არ გყოფნის, პირი მოსწყვიტო სასურველ წყაროს... და როდესაც ბაგე ბაგეს ვერ მოსწყდა, ხელი ხელს ჩაეჭდო, ღონე აღარ შერჩათ, რათა უკან წაეღოთ ეს თავიანთი ხელები, გონებისათვის დაემორჩილებინათ... მუხლები ეკვეთებოდა კეკეს, მუხლები მოეკვეთა და იქ, ჩხერიის პირას, ხეთა ჩრდილში, მწვანე კონდარზე დაეშვა, ჭაბუკი მიიზიდა, გაუბედაობის ზღუდე შემოეცალა, სიმორცხვის რიცე ჩამოეხსნა, აკრძალულ და თავზარდამცემ ნეტარებას მიეცნენ... ახლაც კი, საკუთარ სარეცელში მიგდებულს, წარმოსახვა გაუცოცხლდა და ტანში ციებიანიით აზრიალებდა... ჭაბუკის ხატი მუდამ მასთან იყო, მასთან და მასში... თვალის მოხუჭვაც არ სჭირდებოდა, ისე ნამდვილივით უცოცხლდებოდა ჭის სიღრმიდან მომზირალი კამკამა თვალები, მგრძნობიარე ბაგეები, პირის ირგვლივ დარჩენილი კაცობის დამადასტურებელი წვერ-ულვაში, ახალგაპარსულის სალუქი კანი ანდა გაუპარსავზე მჩხვლეტავ ნემსებად დაყრილი... მისი ჭაბუკური ბეჭები, გლუვად დაკუნთული მხრები, კუნთოვანი მკერდის მხურვალება, ახალგაზრდული, ძლიერი მკლავები, მუდამ მზადმყოფნი, შემოგეჭდონ და დაგიცვან, კაცური და ამავე დროს არისტოკრატული ხელის მტევანი... თითები, ქურდებივით რომ დაფათურობენ მზერისათვის დაფარულ, ნერვული ბოჭკოებით გაჯერებულ ნაწი-

ლებზე, ამ დროს ხომ ცხელი ტალღა გივლის ტანში და ნდომისაგან კვდები... მისი ბრტყელი მუცელი და სწორი ფეხები... ის, რასაც მორცხვად თვალს არიდებენ, არადა, მამრობის ჭეშმარიტი დასტურია... დიახ, წარმოსახვა არანაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე რეალობა და კეკეს სული გაუსაძლისად მოიხუთა ამ სენაკადეცეულ ოთახში, ციხედეცეულ სახლში...

— რა დროს სტალინია! — ამოიოხრა ერთხელ მართალიმ ჩხერიისპირას. რა ესტალინებოდათ, როდესაც ყოველი წამი, ყოველი წუთი მხოლოდ ერთმანეთისათვის ემეტებოდათ, ერთმანეთისათვის უნდა ეჩუქებინათ და ერთმანეთზე უნდა გაეხარჯათ, მაგრამ ზურგი ვერ აქციეს აგორებულ ტალღას...

რა იქნება, რა მოხდება ხვალ?

კეკეს შიშისაგან გული მოენურა. იქ, მის გვერდით უნდა მდგარიყო, რათა დაეცვა საფრთხისაგან... სიკვდილს ფარად უნდა დასდგომოდა, რადგან უმისოდ სიცოცხლეს ფასი ეკარგებოდა...

ოთახიდან მზის ანასხლეტი გაიპარა, ფანჯარას ფერები მოაკლდა.

გასაღების ჩხაკუნმა მოახედა.

ლესტამბემ შემოყო თავი, სველი ბაგეებიდან ყვითელი კბილები გამოაჩინა.

— მოიწყინე, პატიმარო?

კეკემ პასუხი არ გასცა.

ლესტამბე ჭიასავით შემოძვრა, თითის წვერებზე მოდიოდა, მუხლებს ისე მაღლა წევდა, თითქოს წყალში მოტოპავსო.

სანოლზე ჩამოუჯდა.

— არ გშია? — ჩაიკრუტუნა. — ვახშამი აქ ამოვიტანო?

კეკემ არც ახლა გასცა ხმა.

ლესტამბემ მოშიშვლებულ მხარზე ხელი დაადო, ხელის-გული ოფლიანი ჰქონდა, წებოვანი, თანაც უკანკალებდა.

კეკემ გაკვირვებით ახედა, არ მოენონა ძმის უფერულ თვალებში ჩაბუდებული ბინიერება, ხმადაბლა, გარკვევით უბრძანა:

— გაეთრიე!

ლესტამბერ ნაძალადევად ჩაიხითხითა, კარისაკენ წაკვანწალდა, გაიხურა და გასაღები გადააბრუნა...

— თქვენი ეჭვები სრულიად უსაფუძვლო! — ლესტამბერ ხმაში შეგუბებული წყენა ამოვიკითხე. უკუნში ვერ ვხედავდი. „ზაპოროჟეცი“ და მასთან ერთად ჩვენც ჩაიმირულნი ვიყავით ბნელეთის ფსკერში, რომელსაც ხანდახან პაპიროსის წითელი შუქი თუ გაანათებდა და ამ შუქში ლესტამბერ დორბლიანი დრუნჩი თუ გამოჩნდებოდა. — არათუ ეჭვები, მთელი ეს „ნამიოკები“ თქვენი მოგონილია, პატივცემულო! რას ნიშნავს „დაი მისი“. თქვენ კეკლუცობთ, გსურთ მკითხველს ბიბლიის ცოდნით თავი მოაწონოთ, მაგრამ არც უფიქრდებით, მე რა დღეში მაგდებთ: ვინმეს ეგონება, დის მიმართ უკულმართი ლტოლვა ჰქონდაო... მე არა ვარ ამნონი, დავითის ძე...

გამიკვირდა, თურმე „ბიბლიასაც“ კითხულობს... „ჰყავდა აბესალომ დავითის ძეს ლამაზი და, სახელად თამარ, შეუყვარდა იგი ამნონს, დავითის ძეს...“ სიმართლეს ვერსად გავექცევი, ბიბლიის ტექსტის ერთგვარი რემინისცენცია გამომივიდა. თუმცა თვით ლესტამბერ მომცა ამისი საბაბი. ღმერთი რაკი არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია, დოსტოევსკისებურადა ნათქვამი, თუმცა ლესტამბერ, ალბათ, დოსტოევსკი არც გადაუშლია. მაგრამ ეს იყო ადრე. ადამიანს დრო ცვლის, იქნებ ამ წლების განმავლობაში ღვთისმოშიში გახდა, აგრე პირჯვარსაც იწერს. ოღონდაც, რატომ არ ახლავს მის ხმას სინანული და მიმტევებლობა?

მომეჩვენა, თითქოს რაღაცამ იბრჭყვიალა ლესტამბერ ხელში.

„დანა!“ — იყივლა ჩემში უცხო ხმამ, მთელი სხეული დამეაგრა დარტყმის მოლოდინში, დრო დამჭირდა, რათა სიტყვებისათვის თავი მომეყარა და მეკითხა:

— რას აკეთებ?

პასუხი ვერ მოასწრო. მანქანის ხმა მოისმა, სალონში წყვილმა ფარმა შემოანათა, ზურგიდან ვიღაცა გვიახლოვდებოდა.

— ჩართე ციმციმა, არ დაგვეჯახონ! — მხნედ ვუბრძანე.

გაიჩხაკუნა, ავარიული ციმციმა ჩაირთო.

მანქანა, — ეს იყო საკმაოდ დაძველებული, შავი ფერის „ვოლგა“, ჩვენს გვერდით გაჩერდა.

— რამე გაგიჭირდათ?

— ჰო, უფროსო, აკუმულატორი მიჩმახებს! — იცრუა ლესტამბერ.

— აბა, სცადე!

ლესტამბერ სტარტერს დააჭირა, ძრავა ათუხთუხდა.

— ვაჲ, დაიქოქა! — ყასიდად გაიკვირვა ლესტამბერ.

— შუქფარებს ნუ ჩააქრობ! — ურჩია მილიციელმა და ნავიდნენ.

— დავიძრათ, მეორეჯერაც რომ გამოიარონ, გაუკვირდებათ! — ავაჩქარე, გვირაბის უკუნში სული მეხუთებოდა და შიშიც მწიწინდა.

ლესტამბერ ამოიხრა, მანქანა დაძრა.

წინ ფერმკრთალი შუქი აციაგდა და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი. ბნელ ზრახვებს სიბნელე სჭირდება, დღის სინათლეზე კი, თუნდაც ავი რამ განეზრახა, ერთი კაცი რას დამაკლებდა. თუმცა, შესაძლოა, ყოველივე ეს ჩემი ეჭვიანი ფიქრების ნაყოფი იყო და მეტი არაფერი.

ლიხგაბმაც მოქუფრული ცა და გარემო დაგხვდა. მთათა კალთაზე გაძარცული ტყე არბოდა, აქა-იქ თოვლი იწრიტებოდა.

ლესტამბერ გაუბედავად გადმომხედა.

— ბოდიშ ვიხდი, პატივცემულო, თავი შეგაწყინეთ ჩემი ამბებით...

წვალობდა, სათქმელი ენის წვერზე უტრიალებდა, მაგრამ, რაკი ცივად ვდუმდი, უჭირდა სიტყვის გაგრძელება. დარწმუნებული ვიყავი, მისი მონაყოლი ნახევარსიმართლე იქნებოდა და, თუ ჩემი წარმოსახვით ვერ გავაწონასწორებდი, ჭეშმარიტებას ვერასოდეს მივუახლოვდებოდი.

— იმ დროს მე წატაშა მიტაცებდა! — დააგდო უცებ.

გამომცდელად დავაკვირდი. იგრძნო, რომ ვათვალიერებდი, სახე წითლად დაენინწკლა, მაგრამ ჩემეკ არ მოუხედავს, წინ ჟინიანად იყურებოდა. საბაბიც ჰქონდა, მოყინულ

დაღმართზე მივგორავდით და ყურადღება არ უნდა მოედუნებინა.

ცრუობდა. ერთი საათით ადრე ხომ მითხრა, არაო? დიახ, ნატაშას მეზობელ ოთახში ეძინა და კარს შიგნიდან კეტავდა, მაგრამ ლესტამბეს ფორიაქის საგანი იგი არ იყო. მის ოთახს უგულოდ ჩაუვლიდა და კეკეს კარს მიაშტერდებოდა. მისი გული სავსე იყო შხამიანი ეჭვებით და იქ სამსხვერპლო დანა ილესებოდა.

ღამე ცუდად ეძინა, უფრო სწორად, თითქმის არ ეძინა. მისი ფიქრი შემოჩენილ ვირთხას უტრიალებდა, იმას ემუსა-იფებოდა. ვირთხამ, ყოვლისმცოდნემ და ბნელეთის მსტო-ვარმა, დროულად არ გააფრთხილა... იჯდა იგი კუთხის სავარ-ძელში, უკანა კიდურები ერთიერთმანეთზე შემოედო, პირში „ბელომორკანალი“ გაერჭო და ნებიერად აბოლებდა. შიგადა-შიგ ბალნიან მუცელს იფხანდა ანდა ცდილობდა რწყილი და-ეჭირა და კბილებით გაეკვნიტა... ლესტამბეს ხელები თავეკვეშ ამოედო, მაღალ ბალიშს მიყრდნობოდა, აბეზარ სტუმარს მისჩერებოდა და ენას ვერ აჩერებდა: ყვებოდა თავის ეჭვებ-სა და ზრახვებზე, იქექებოდა საკუთარ სულში, სიღრმისეუ-ლი უფსკრულებიდან ამოჰეონდა ფარული სურვილების ფერ-ფლი, ის კი, ღამის სტუმარი, პასუხად მხოლოდ ქირქილებდა და „ბელომორკანალის“ ლურჯი ბოლით რგოლებს აკეთებდა... თავგაბეზრებულმა და შეურაცხყოფილმა ლესტამბემ ფლოს-ტები აიტაცა და გაუქანა.

ვირთხამ მოულოდნელად პაპიროსი ზევით ასწია: „ჩუ, რაღაცა ხდება!“

ფლოსტები ცარიელ სავარძელს მოხვდა და ლესტამბე ლოგინზე წამოვდა.

მართლაც რაღაცა ხდებოდა!

მანქანების ხმა ჩაესმა... ეს ხმა არ იყო ჩავლილი მანქა-ნის თუხთუხი. ხმა გაბმით, უწყვეტად ისმოდა... ერთი ძრავის გუგუნს მეორე ენაცვლებოდა, მეორისას — მესამე... სადღაც კოლონა მოძრაობდა.

ლესტამბემ მხრებზე კურტაკი მოიგდო, ფლოსტები მო-ძებნა და ეზოში ჩავიდა.

გრილმა პაერმა გამოაფხიზლა.

ხმა უფრო მკაფიოდ მოესმა. ქალაქში რაღაც მნიშვნე-ლოვანი ხდებოდა.

„ჯარებია!“ — ტანში გააურულა — დილის სიცივისა-გან ანდა სულაც შიშისაგან.

ლობისაკენ გაემართა, რათა ქუჩაში გადაეხედა. ვერაფერი გაარჩია... უკან შემობრუნდა და უცნაური რამ დაინახა:

კედელს, რომელიც ძიგუების სახლს გაპყურებდა, რა-ღაცა იყო მიყრდნობილი. თავდაპირველად წაქცეული ხე ეგო-ნა, თუმცა ხეს აქ რა უნდოდა!.. ფეხაკრეფით მიუახლოვდა. ხელი შეახო. ლატანის ჩვეულებრივი კიბე იყო, არაერთგზის ენახა ძიგუების ლაფაროში მიგდებული.

მაღლა აიხედა. მეორე სართულის ფანჯარა შეღებული მოეჩვენა.

„ქურდი? — გაპყრა თავში. — ნუთუ ტუჩიამ გაბედა?“

რაც ეს არეულობა დაინყო, ბიკენტი ღამეს შინ არ ათევ-და და ვიღაცამ ლესტამბეს შეპერება, ფეხებზე დაიკიდა.

ხმა ჩაუვარდა ლესტამბეს, შიშმა გათანგა. აქ თუ გაჩერ-დებოდა, ქურდი არ დაინდობდა. რაკი ყოვლისშემძლე ბიკენ-ტის სახლში შეპარვა გაბედა, შეიარაღებული იქნება... ეს ფიქ-რები ლესტამბეს თავში ქარბორიასავით ტრიალებდა. თავი სიზმარში ეგონა და ვეღარ გადაეწყვიტა, როგორ მოქცე-ულიყო.

მუხლების სისუსტე იგრძნო, აქ არ ჩავიკეცოო, გაიფიქ-რა, კიბეს გაშორდა.

თავი სამშვიდობოს რომ იგულა, დედასთან შევარდა.

— ქურდია, ქურდი ჩვენს სახლში!

ზინაიდა პეტროვნა ეგრევე წამოვდა.

— გაგიუდი, ბიჩო, გული გამიხეტკე!

ლესტამბეს ტვინში თითქოს ელნათურა აენთო, კიბე ხომ კეკეს ფანჯარაზე იყო მიყუდებული.

ხელისგული შუბლზე იტკიცა და შიდა კიბეზე ავარდა.

კიკეს კარზე მუშტი ააბრაგუნა.

— გააღე, ახლავე გააღე, კეკე, გესმის, გააღე!

ნატაშამ გამოიხედა.

— რამ გაგაცოფა? გასაღები გადააბრუნე!

ლესტამბეს შერცხვა, კარი ხომ თვითონვე ჩაკეტა და გასაღებიც შიგ ჩატოვა.

ამასობაში ზინაიდა პეტროვნაც ამობაჯბაჯდა, ხელებს აქეთ-იქით შლიდა, ვიშვიშებდა.

ლესტამბემ შეიგინა, კარი შეხეთქა და შიგ შევარდა. ოთახში არავინ იყო...

19

— ქურდზე უქურდესი... დამპალი... ნაძირალა... უხსენებელი... შინ შემოგვიძვრა, გაგვიშინაურდა, მერე თავზე ლაფი დაგვასხა... მაგისი სისხლი დავლიე! — ლესტამბე გულზე მონოლილ ბოლმას ვერ იოკებდა, ქვედა ტუჩზე დუში გადმოსდინდა, შეცებს საჭეზე ისროდა. — თქვენ კი, პატივცემულო, მაგ გათახსირებულს მუდამ ხელს აფარებდით, ყველას გერჩივნათ, ცად აყვანას უპირებდით... პო, ბატონო, მე ვარ ცუდი, ის კი კაია, კაი! — ბოროტი სარკაზმით ჩაიცინა და მივხვდი, იგი დღესაც ისევე იოლად გაიმეტებდა თავის მარად სამიზნეს, როგორც მაშინ, ცხელ გულზე...

არადა, ეს ხომ ჩვეულებრივი, ქრესტომათიული სიყვარული იყო, რომეოსა და ჯულიეტას თავდავიწყება! მე რატომ უნდა გამკვირვებოდა ახლად გამომცხვარი ტიბალტის გაბოროტება?

ანგელოზები მფარველობდნენ, ალბათ, შეყვარებულებს! იქ, ჩერიისპირა უბეში შემოდგომა მოვიდა. ჩრდილში ბალახი ჯერაც მწვანე და რბილი იყო, თუმცა ყვითელიც შეროდა. თავზევით კი ფოთლები ყვითლად, ყავისფრად და ვარდისფრად აჭრელდა. ნიავი ათრთოლებდა, სათითაოდ წყვეტდა და ჩუმი შრიალით ძირს აფენდა.

ყოველდღე ხვდებოდნენ აქ ერთმანეთს და მათი სიტყვები კარგა ხანია გასცდა სარეპეტიციო ტექსტს. ყოფიერების ყოველი წამი სავსე იყო უსაზღვრო წეტარებით და იგი ვერანაირად ვერ თავსდებოდა შეთხზულ სიტყვებში. მათი არსებო-

ბა ამ წამების შემზადება იყო მხოლოდ და ორივემ იცოდა, ტექსტის თანახმად ბოლო დიდხანს არ დააყოვნებდა, სასჯელი უპირობო და სასტიკი იქნებოდა. ეს ცოდნა გარდუვალობისა მეტ სითამამესა და გამბედაობას მატებდა და, როცა შემოდგომა მიიღია, ციდან ცივი წვიმა ჩამოეფინა, ცისქვეშეთი წესტით გაჯერდა, ისინი ერთმანეთს ეძებდნენ ინსტიტუტში, ქუჩაში, კინოში, შინ, ტალახაძის ქუჩაზე, რომელიც ერთ მოულოდნელ დღეს კომუნარების ქუჩად გადაიქცა, სადაც კეკე მოიკითხავდა ხოლმე ეჭვიან ეფრო ბებიას, მუდამ რომ აივანზე იჯდა, ზურგით მაცხოვრისგორისაკენ, კუშტად გადაჰყურებდა ქალაქს და შუბლზე დარები უმრავლდებოდა. მის თვალებს ვერ დაემალებოდა, რის დამალვასაც ახალგაზრდები ლამობდნენ, თუმცა ვერც ამას გაეზომა უფსკრულის სიღრმე და მისი გამოხედვა მხოლოდ იმას ადასტურებდა, ბიკენტისთან დიახაც აღარა მსურს დამოყვრება.

ბედი სწყალობთ რისკიანებსა და გამბედავებს; იმათ, ვისაც ძალუძს შიშისა და რიდის დაძლევა. ეს იყო უგუნურების ზღვარსგადასული ქმედება, სასიკვდილო საფრთხის უგულებელყოფა, რადგან ცეცხლი, ამათ რომ წვავდა, სასმელი, ამათ რომ ათრობდა, გონიერებისა და შიშისაგან ათავისუფლებდა... ყურუში ღამით, როცა ქურდსაც კი უჭირს სხვისი სარკმლის მიგნება, ვაჟი გაძვრებოდა სარგამოცლილ ღობეში, შეიპარებოდა ძიგუების უძალლო ეზოში („ძალლი მეზობლად მყავს, შინ რად მინდა!“) — იტყოდა ტუჩია ძიგუა), აიტაცებდა ლაფაროში დაგდებულ ლატანის კიბეს, მიადგამდა თოლორაიების სახლის კედელს და ზედ აძვრებოდა... ჩაბნელებულ ფანჯარაში თეთრად ანათებდა საღამური პერანგი, ვაჟის ხელები ეძებდა სატრფოს აცახცახებულ ხელებს, ტუჩები თრთოლვით ხვდებოდა ტუჩებს, სხეული სხეულს ეხლებოდა და ორნი იძირებოდნენ თავდავიწყების მორევში...

— მაგისი სისხლი დავლიე! — ახლაც, ორმოცი წლის შემდეგაც იფურთხებოდა ლესტამბე თოლორაია.

— მაგის სისხლს დავლევ! — შეპლმულა დაბნეულ და აქოთქოთებულ ზინაიდა პეტროვნას, თავის ოთახში შეირბინა, ლოგინი აანგრია და ლეიბიდან ამოილო ჭინჭებში გახვეუ-

ლი რევოლუცი, ჯერ კიდევ ბავშვობის ხანაში ვავა ზარქუას რომ გადაუმალა.

— რას აპირებ, ბიჩო, არ გაგიუდე! — მოსძახოდა ზინაიდა პეტროვნა, მაგრამ ლესტამბეს მისი ხმა არ ესმოდა, იგი ქუჩაში გარბოდა...

უკვე გათენებული იყო და წინ მანქანები შენიშნა. რევოლუცი პერანგვეშ, სარტყელში გაირჩო, კურტაკის კალთა გადააფარა. სწორადაც მოიქცა, რადგა პიკეტს გადააწყდა. ქუჩის გარდიგარდმო სატვირთო „ზილები“ ეყენა და რუსის ჩიფურა ჯარისკაცები გამვლელებს საბუთებს უსინჯავდნენ. არ გაჰკვირვებია, დარწმუნებული იყო, ქალაქი ეგზეკუციას ვერ გადაურჩებოდა.

ჯიბეში კურსანტის წიგნაკი ედო და იმან იხსნა, თუმცა, სანამ ჯარისკაცი საბუთს ხელში ატრიალებდა, ერთიანად გაოფლიანდა.

ქუჩის გასწვრივ ხაკისფერი საბარგო მანქანების გრძელი რიგი გაჭიმულიყო. ეტყობა, კოლონა ახლახან გაჩერდა. შაშხანიანი ჯარისკაცები ჯერაც ზედ ისხდნენ. კოლონას რამდენიმე ჯავშნოსანი მანქანა უძლოდა, დაზგის ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი.

მერეთელები ტროტუარებზე მიმოდიოდნენ, ცნობის-მოყვარედ ათვალიერებდნენ „ჩვენს წითელ არმიას“. ქალაქში ერთად თავმოყრილი ამდენი სამხედრო მანქანა არავის ენახა. მოქალაქებს ფარული შიშიც შეჰპარვოდათ, თუმცა ჯარისკაცი ხომ ხალხის შვილია, იგი საკუთარ მშობელს არაფერს დაუშავებს... ზოგიერთები ლიმილით გამოელაპარაკებდნენ ხოლმე, თამბაქოს აწვდიდნენ, ოლონდ პასუხად უნდოდა ეჭვიან მზერას აწყდებოდნენ...

რაიკომის შენობასთან ოფიცერთა „გაზიკები“ იდგა. ამათ ორი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი ახლდა. ქვემეხები მაცხოვრისგორისაკენ მიემშვირათ და ეს ხაზეასმული მუქარა ლესტამბეს უსამართლოდ არ მოსჩვენებია.

„აბა, რა ეგონათ, თავს გავიდნენ! — ფიქრობდა. — ახია მაგათზე, ერთი მაგრა დაჩეჩქვავდნენ!“

„მაგათი“ კრებსითი სახელი იყო მთავარი მტრისა, ვისთვისაც ტყვიას არ დაიშურებდა, თუმცა ნაცვალსახელის მრავ-

ლობითობა იმასაც ნიშნავდა, რომ მართალი თოდუას მრავალ-სახეობა შესძენოდა და ქუჩაში გამოფენილ მერეთელებში ლესტამბე ძალური ინსტინქტით ცნობდა მტრებს.

შენობიდან ოფიცერთა ჯგუფი გამოვიდა, თან ქალაქის თავკაციი გამოჰყვნენ. ლესტამბემ ბიკენტი დაინახა. მამას პირისახე გასცრეცოდა, უძილობისაგან უპეები ჩასცვენოდა, საოცრად მოტეხილი და დაბერებული ჩანდა.

— კეკე გაგვექცა!

— რა? — ბიკენტიმ აზრი ვერ მოიკრიბა.

— კეკე!.. ფანჯრიდან გადაძვრა და გაიპარა!

ბიკენტის ყბა მოექცა, გაყვითლდა. ნათქვამის შინაარსი, ცხადია, ბოლომდე ვერ გაისიგრძეგანა, რადგან ლესტამბე მიხვდა, აქ, ამწუთას არ უნდა ეხსენებინა კიბე და ის საძულველი სახელი.

— მოძებნე! — უბრძანა ბიკენტიმ, ხმა ძლივს დაიმორჩილა.

ოფიცრობა და ქალაქის თავკაციი მანქანებში სხდებოდნენ და ბიკენტიც იმათ მიჰყვა.

„მოძებნე!“ — თქმა იოლია... ერთხანს ჩუმად იდგა, ჭოჭმანობდა. პირდაპირ მაცხოვრისგორისაკენ უნდოდა წასულიყო, მაგრამ სმენას უცნაური ხმაური და ყიუინა მისწვდა. მრავალრიცხოვანი ბრძოს ლრიანცელი ბაზრის მხრიდან აღნევდა.

„რა ხდება?“ — გაუკვირდა ლესტამბეს და იქითკენ გაქანდა.

ბაზრისწინა მოედანი ხალხს ისე შეევსო, გავლა ჭირდა. რკინიგზის სადგურის მხრიდან ადამიანთა ახალი ტალღა წამოვიდა, სტენითა და ხორხოცით მოიწვდნენ.

— გზა, გზა მიეცით! — მეგაფონში ყვიროდა ვილაცა.

ლესტამბე ბაზრის ლობეს ჩამოეკიდა და აინია. გადახსნილი „პობედა“ დაინახა. ზედ ვიღაცა იდგა და სალმის ნიშნად ხელი გაეშვირა.

ლესტამბემ ლობეზე თავი ვერ შეიმაგრა და ხედი სხვა-თა ზურგებმა დაუფარა.

იდაყვები აამუშავა, გაძვრა-გამოძვრა.

— ნელა, კაცო, რას გვეჯაჯგურები! — შეუწყის.

ლესტამბეს ცნობისმოყვარეობა ერეკებოდა და მავანთა ბუზღუნს ყურს არ უგდებდა.

ყიუინამ იმატა. სიცილის ტალღამ გადაუარა ბრბოს, ვინც ვერაფერს ხედავდა, ისიც საერთო მხიარულებას აყოლილი, ხარხარებდა.

— ვაშა ნიკიტას!.. დიდება ნიკიტას!.. — აქა-იქ იძახდნენ.

ლესტამბე ერთხელაც მიაწვა და კინაღამ ძირს გაიშხლართა. სავალი ნაწილი თავისუფალი იყო და სწორედ იქ შევარდა.

ხალხი ორ რიგად იდგა, მანქანას გზას უთმობდა.

კიდევ კარგი, ბოლო წამის რევოლუციური გაახსენდა, ხელით შეიმაგრა და კედლად მდგარ ბრბოს ზურგით აეკრა.

„პობედას“ ცხვირზე წითელი ნაჭერი ეფინა და ზედ აცაბაცა ასოებით ეწერა — „ეს ნიკიტა!“

ღია სალონი ბიჭბუჭებით დახუნძლულიყო და ესენი სტვენა-ყიუინით ღადაობდნენ.

ამ „პაცნებში“ იხილა ლესტამბემ, ვისაც ეძებდა! მძღოლის გვერდით კეკე ჩაჭუჭკულიყო, ჯულიეტას კაბა ეცვა, რითაც სცენაზე გამოდიოდა ხოლმე. თავზე პრესპაპიეს ოქროსფერი გვირგვინი ედგა. მართალი გვერდით ეჯდა, ცხადია, რომეოს ხალათით, თუმცა ეს ხალათი ზაპოროჟიელი კაზაკისას უფრო მიუგავდა. ესენი სხვებივით არ გაჰკიოდნენ, მაგრამ სიცილისაგან პირზე ვარდისფერი გადაჰვენდათ...

ძარაზე კაცი იდგა. შავი, თეატრალური ფრაკი ეცვა, იმის ქვეშ ჭუჭყიანი პერანგი და დაფხრენილი შარვალი მოუჩანდა. თავზე შავი შლაპა ეხურა.

ამაყად და ყინჩად გამოიყურებოდა. მარცხენა რეინის ხარიხისთვის ჩაეჭიდა, მარჯვენა შლაპის ფარფლისათვის მიედო. ხანდახან შლაპას ასწევდა მისალმების ნიშნად და მაშინ მისი მელოტი გაზეთილივით აბრჭყვიალდებოდა მზეზე.

— ვაშა ნიკიტა! — იღრიალეს ბიჭებმა.

— ვაშა, ვაშა ნიკიტა! — სიცილით და ყიუინით გაეპასუხნენ ბრბოდან.

ვავა ზარქუა იყო ეს კაცი. ლოყები და შუბლი წითელი პომადით შეეთხიპნათ, ნიკაპთან ფანქრით უზარმაზარი მეჭეჭი მიეხატათ.

ლესტამბეს ააცახცახა... მთავრობის აბუჩად აგდება ასე იოლად არავის ჩაუვლიდა.

— კეკე! — ბოლმით დაუძახა, მაგრამ საერთო ღრიანცელში მისი ხმა ჩაიკარგა, კეკეს თვალებმა იგი უამრავ სხვა სახეში ვერ გამოარჩია.

„პობედის“ უკან ორად გაყოფილი ბრბო კვლავ ერთდებოდა. ახალგაზრდები მანქანის კაპოტს ხელს არ უშვებდნენ და სირბილით მისდევდნენ.

ლესტამბეც ტალღამ გაიტაცა, იძულებული გახდა, თვითონაც ერბინა.

ასე სტვენითა და ყიუინით ჩაუარეს ქალაქის საპატიო სტენდს, სადაც ადრე სტალინისა და ბერიას უზარმაზარი პორტრეტები მხარს უმშვენებდნენ ვლადიმერ ლენინს, ახლა კი მათ ადგილებზე მარქსი და ხრუშჩივი გაჯგიმულიყვნენ. ნიკიტას პორტრეტს გამვლელმა ტალახი ესროლა, მკერდი ყავისფრად მოეთითხნა, ორდენების წყება ჩამოეზინტლა.

„ნამეტანი თავს გავიდნენ!“ — ციებიანივით სჯიდა ლესტამბე, თან ფეხს ძალას ატანდა, რათა საერთო ნაკადს არ გაერიყა და თვალსაწინერიდან კეკე არ დაჰკარგვოდა. გულში ბოლმა ვერ უნელდებოდა, ცეცხლი წვავდა და ხანდახან ახსენდებოდა, რომ ამ ორომტრიალში შურისძიების აქტი უნდა განეხორციელებინა.

„პობედამ“ ბულვარზე გადაუხვია. სავალი აქ ფართო იყო და ბრბო შეთხელდა. დუქნებიდან ნოქრები და მყიდველები გამოეფინენ და „სალოლ, ნიკიტაო“, — იძახოდნენ.

ადამიანთა მხიარული ნაკადის უკან, ქუჩის გაყოლებაზე ჩამწკრივებულიყო სამხედრო მანქანათა კოლონა, რუხი ფერის მდუმარე მწკრივი, აღჭურვილი ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით და არავინ უწყოდა, ამ ქურუშ მდუმარებაში რა იმაღლებოდა.

ოქტომბრის მოედანზე, ქალაქკომის შენობასთან ხალხი კვლავ მრავლად იდგა. ფანჯრებს თეთრი ფარდები ეფინა, იქ

თითქოს არავინ იყო, თუმცა დაკვირვებული მზერა აღმოაჩენდა სიღრმეში მიმალულ ლანდებს. „მთავრობა არსად გაქცეულა, მთავრობა მუშაობს!“ — ფიქრობდა ლესტამბე და თვითონაც თავს ამ მთავრობის ნაწილად მოიაზრებდა.

ვავა ზარქუამ შლაპა მედიდურად დაუქნია უჩინარ ხელი-სუფალთ და „პობედამ“ კვლავ გაუხვია, ამჯერად ჩერიას ხიდისაკენ.

ხანდაზმული მოქალაქენი თანდათან ჩამოსცილდნენ მხიარულ ბრბოს, უფრო ახალგაზრდები ფეხდაფეს მიჰყვებოდნენ, პატარა ბიჭუნები კი ყველას ასწრებდნენ და ყირას გადადიოდნენ.

მაცხოვრისგორის ქვედა მოედანი ახალგაზრდებით იყო გავსებული. კიბეზე უამრავი ხალხი ადი-ჩადიოდა. მთის გადასახედი და მონუმენტი მთლიანად დახუნძლული იყო წითელი ალმებითა და ლენინ-სტალინის პორტრეტებით.

აღტაცებული ტაშისცემით შეხვდნენ „პობედის“ გამოჩენას. სტვენა და „ვაშას“ ძახილი ძირიდან მთის წვერამდე ავარდა და ექისავით უკან დაბრუნდა.

სიცილ-ხარხარით შემოხვივნენ ახლად მოსულებს, ნიშნს უგებდნენ დამფრთხალ ხელისუფალთ და გულმოცემულნი მხიარულად ტკარცალებდნენ.

ლესტამბე ხეს ამოეფარა, რევოლვერი დააძრო, მარცხენა მკლავზე გადაიდო და შეეცადა მიზანი მოექებნა. ხელი უკანკალებდა, თვალთ ნისლი ეფინებოდა, უამრავ თავებს მიღმა ხან კეკეს მოცინარი სახე გაიელვებდა, ხან მართალისა, ამათ კი ბიჭუჭთა სახეები ჩაენაცვლებოდა.

ვავა ზარქუა გაჯგიმული იდგა. შლაპა თავზევით ეჭირა და ბრჭყვიალა მელოტი მზისთვის მიეშვირა.

„გამოჰკარი!“ — ყურში ჩასწივლა სიზმრისეულმა ვირთხამ და ლესტამბემ, რომლის წარმოსახვაში ყველა სახე მართალის სახეში აიღუფხა, ჩახმახს გამოჰკარა.

სწორედ იმ მელოტზე გაადინა უხილავმა ბზიკმა ტკაცანი. ჭახანი მოგვიანებით გაისმა, თუმცა ვერავინ მიხვდა, საიდან მოვიდა ის ხმა. ვავას შუბლზე წითელი, კოჭისხელა ბუმტი

გასკდა თითქოს. ვავა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ჯერ კიდევ შლაპა ეჭირა, მაგრამ იგი უკვე მკვდარი იყო.

მოულოდნელად გადაიკეცა და კეკეს გადაემხო. შესწივლა დაზაფრულმა კეკემ...

ერთბაშად მოისხიპა სტვენა და სიცილი, მხოლოდ განაპირიას მდგომნი უტყაპუნებდნენ კანტიკუნტად ტაშს...

— აქა ვარ, კეკე! — იღრიალა ლესტამბემ, რევოლვერი ძირს დააგდო და წინ გაიჭრა...

20

— მაშინ, პატივცემულო, გახსოვთ თქვენც, როგორი გამწლეული ვიყავი... ბრბო მჭიდროდ იდგა, მაგრამ სოლივით შევიჭრი და წინ ისე მივძვრებოდი...

უცხად ჯავშნოსნიდან აკაკანდა დაზგის ტყვიამფრქვევი (ჯავშნოსანი ჩერიას ხიდზე გადმოსულიყო და მომიტინგებს ისე მოუახლოვდა, ყურადღება არავის მიუქცევია). ტყვიის ჯერმა თავზე გადაუწივლა ხალხს, დაცხრილა მაცხოვრის-გორის ფერდობი, ფოთლები ჩამოსხიპა ჯუჯა ბუჩქნარს.

ინსტინქტურად, ქვეშეცნეულად დაბლა ჩაიხარა ბრბო, თითქოს ყველამ ერთბაშად მოინადინა მინაში ჩამალვა... კიდევ წამი და ყველაფერი აირია... წივილ-კივილი, სტვენა, ღრიალი... დურუ გეგიას ხმა მეგაფონში:

— დაწყნარდით, ამხანაგებო, ჩვენი ხელისუფლება არ გაგვიმეტებს!

პირველ ჯერს მეორე მოჰყვა, — ხანგრძლივი, გაუთავებელი კაკანი... ლესტამბე მიხვდა, ჯერჯერობით მხოლოდ პაერი იცხრილებოდა, მაგრამ სიკვდილის შიში უკვე დაეუფლა მომიტინგებს და სტიქიის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა... ოქტომბრის მოედნიდან ქვემეხმა გაისროლა. ჭურვი კვარცხლბეკზე გაკრულ წითელ ტრანსპარანტს მოხვდა, სიტყვა „დიდება“ მოგლიჯა, სიტყვები „დიდ სტალინს!“ ძირს ჩამოეკონწიალა და აღარ იკითხებოდა.

ლესტამბე კვლავ „პოპედისაკენ“ მიიწევდა, მაგრამ ტალღამ იგი სხვა მხარეს წაიღო.

დურუს გადააწყდა, გეგიას. შიშისაგან გამოლენჩებული მორბოდა, სხვებს ასწრებდა.

— კეკე არ გინახავს? — შეუძახა, მაგრამ დურუმ ისე ჩაუქროლა, ვერც იცნო.

ლესტამბეს წუთითაც არ უფიქრია, საფრთხე მეც მომელისო. ეს „მისი ხელისუფლება“ ისროდა, „მისი მთავრობა“ სჯიდა „ურჩ შვილებს“ და, რაკი თვითონ ურჩებში არ ეწერა, ეს ტყვია მისთვის არც იყო განკუთვნილი. ამიტომაც შეუპოვრად და ჯიუტად მიიჩევდა ტალღის საპირისპიროდ.

ისინი მოულოდნელად იპოვა. მართალი ზურგით ღობეს მიყრდნობოდა. ხელში უგონო კეკე აეტატებინა. თვითონაც სისხლში იყო მოთხვრილი და კეკეც.

— მოკვდა? — ხავილი აღმოხდა ლესტამბეს.

ანგარიშმიუცემლად მოისინჯა ქამარი. გაახსენდა, რომ რევოლვერი ძირს დააგდო... ჯანდაბა!.. ტყვია ვავაზე გაეხარჯა, უმთავრესი მტერი კი გადაურჩა... ვინ უბიძგა, ვინ ააცდენინა მიზანს?.. ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

მართალის ლესტამბეს მიღმა მიემართა მზერა, ან ვერ იცნო, ანდა თვალისჩინი დაჰკარგვოდა. მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა და საცაა ტვირთი ხელიდან გაუვარდებოდა.

ლესტამბემ ხელი შეაგება. კეკე ჯერაც თბილი იყო, სუნთქვდა.

— ცოცხალია! — სიხარულისაგან გული შეუხტა და უმალ მართალის შეუტია: — რას გამოლენჩებულხარ, ვერა ხედავ, დაჭრილია, საავადმყოფოსაკენ გავაქანოთ!

მართალი უსიტყვოდ დამორჩილდა.

ქოშინით მიიჩქაროდნენ, ვინდლო დაჭრილი სისხლისა-გან არ დაცლილიყო.

„გაზიკმა“ დაამუხრუჭა. რუსის ახალგაზრდა ლეიტენანტმა გადმოიხდა, აქეთო, ანიშნა. ბიჭებმა კეკე უკანა სავარძელზე დააწვინეს და თვითონაც ჩაეკვეხნენ.

— K ნისა ჩე! — წამოიყვირა ლესტამბემ, ნერვებს ვერ იმორჩილებდა, ატირებას ცოტალა უკელდა.

რამდენიმე წუთში იქ იყვნენ.

კეკე კიბეზე აარბენინეს. სანიტრებმა საკაცე შეაგებეს და საოპერაციოში გაუჩინარდნენ.

— ეხ! — ამოიოხრა რუსის ლეიტენანტმა და წავიდა.

ლესტამბე გალიაში გამომწყვდეულივით წრიალებდა. მოსაცდელში წრეს არტყამდა და სასონარკვეთილი თითებს იმტვრევდა.

მართალი ზურგით კედელს მიყრდნობოდა. თვალი სივრცისათვის მიეყინა. გაფითრებულ სახეზე კუნთიც არ იძროდა, თითქოს მის არსებაში რაღაცა ჩაწყდა, მოკვდა.

დრო საშინლად გაიწელა, წამი გაქვავდა. შენელებული კადრებივით მოძრაობდნენ ადამიანები. ზედიზედ მოჰყავდათ დაშავებულნი, უფრო ბრძოს მიერ უნებლიერ გათელილნი, თუმცა ტყვიით დაჭრილნიც ერივნენ... მოჰქონდათ ჭორები, ასახელებდნენ დაღუპულთა ფანტასტიკურ ციფრს, მაგრამ სიმართლე არავინ იცოდა...

ლესტამბე გიუივით თითებზე რაღაცას ითვლიდა, რაღაცას ანგარიშმობდა, მართალი კი ამქვეყნად სულაც არ იყო.

ექიმი ბულისკერია გამოვიდა, სახე დაღლილი და შეწუხული ჰქონდა. თვალით ლესტამბე მოძებნა. ხელებს ითშვნეტდა, თითქოს შესციებოდა და ლესტამბემაც უნებლიერ წაჰპაძა.

— დაჭრილი არ ყოფილა, — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა ბულისკერიამ, — ეს სისხლი მისი არ იყო... ოლონდ შიში, ზაფრა...

მართალიმ გაკვირვებით მოიხედა, მზერაში იმედის ნაპერნკალი გაუკრთა.

— რისი თქმა გსურთ, ექიმო? — ლესტამბე მოუთმენლად შეკუნტრუშდა, შიში და სიხარული ერთმანეთში ჩაეხლართა.

— საქმე ვერ არის კარგად, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ გადავარჩინოთ...

— გადავარჩინოთ? — იყვირა ლესტამბემ. — აკი დაჭრილი არ არისო?! გადავარჩინოთო...

— იცით?.. — დაიბნა ბულისკერია, — ნაადრევი მშობიარობა... ჯერ მეშვიდე თვეც არაა... ვცდილობთ, გადავარჩინოთ!

ლესტამბეს ენა ჩაუვარდა, გამეხებული იდგა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა...

უცბად შეტრიალდა, მართალის წინ დაერჭო, ახედა...

სწორედ რომ! მართალის მთელი მტკაველით აესწრო უკვე, სიმაღლეში წასულიყო (ადრე ხომ, პირიქით, ლესტამბე დაჰურებდა ზევიდან!) და ესეც მძულვარების ამ წამს აღიბეჭდა ლესტამბეს ციებიან გონებაში.

უხმოდ გაუქანა და ყბაში ლენა. მართალი კედელს არ მოსცილებია. ხელები ჩამოყრილი ჰქონდა, დაბინდული თვალებით ლესტამბეს თავზევით იყურებოდა.

ლესტამბემ ახლა მეორე ყბაზე მოუნაცვლა... ისევ და ისევ...

მართალი არც ამჯერად განძრეულა, თუმცა ლოყები და ესუსხა, დახეთქილი ტუჩიდან სისხლმა გამოუონა.

ექიმმა მკლავზე სტაცა გავეშებულ ლესტამბეს, სხვა თეთრხალათიანებიც გამოცვივდნენ, განზე გაათრიეს, სკამზე ძალით დასვეს. ლესტამბე კი არ ისვენებდა, გაუგებარ სიტყვებს ღრიალებდა, საზიზღრად იგინებოდა, მოკვლითა და ჩაძალლებით იმუქრებოდა... ბოლოს პირზე დუში მოადგა, ლონისაგან დაიცალა და სკამის ზურგს მიესვენა.

— მიხედეთ ამას! — ბრძანა ბულისკერიამ და მეტყველი თვალები ახლა მართალის მიაპყრო: — ამასაც!

ვიღაცა უკვე შპრიცს მოარბენინებდა. ლესტამბეს შარვალი ჩახადეს და ნემსი უჩხვლიტეს.

მეორე შპრიცით მართალისაც მოადგნენ. მართალიმ უცხო თვალებით შეხედა შუშაში აციმციმებულ სითხეს. იმის მიღმა ბუნდოვნად გაარჩია ვიღაცის მომლოდინე სახე და თავი გააქნია.

მდუმარება ჩამოწვა გაუსაძლისი, დრო გაჩერდა... იყო მხოლოდ უსაზღვრო ტკივილი და თმენა...

ბოლოს ვიღაცა გამოჩნდა, შეხედა ჯერ ერთს, სკამზე მოკრუნჩულს, მერე მეორეს — კედელზე აკრულს და მორიდებით წაიჩურჩულა:

— გადარჩა... ბიჭი...

მართალის მუხლები მოერღვა, კედელზე ზურგით ჩამოიჩინა, ჩაიკუნტა და ბავშვივით ატირდა, თვალებიდან ღვარად წამოუვიდა აქამდე შეგუბებული ცრემლები...

ფიქრი და განსჯა გზას ამოკლებს. ზესტაფონამდე ისე ჩავირბინეთ, ვერ მოვიცალე, თვალი შემევლო მთაგორიანი იმერეთისათვის, ფერდობებზე შეფენილი ოდა-სახლები-სათვის. მშვენიერების აღქმას შესაბამისი განწყობაც უნდა. სიკვდილზე დაფიქრებულ ადამიანს თვალი ენისლება, ტკივილნარევი გულისცემა გარესამყაროდან მზერას შიდა წიაღში შეაბრუნებს. მოქუფრული ამინდი სხვა ფერებსაც ანაც-რისფრებს და ბუნების ხატოვანებაზე დაფიქრების საშუალებას არ იძლევა.

კეკე?

სევდა მომეძალა. ხელიდან სადავე არ უნდა გამეშვა. დროის კალენდარი წესიერად ვერ გამოვთვალე. მეგონა, ის ჩხერიისპირა თამაშები მცირე დროშილა ბრწყინავდა. მაინც საიდან დაგროვდა ეს შვიდი თვე, რა დროს მოხდა უნებლიერ ცდუნება, როდის მიეცა ბიძგი პატარა ქრისტეშიას არსებობას... სიუჟეტი არაორდინალური შევიმუშავე. მინდოდა, კეკეს სიყვარულის ამბავი ლაუვარდოვანი ფერებით დამეხატა, წვრილი, რეალისტური ნიუანსებით და ფსიქოლოგიური წიაღსვლებით შემევსო, დროში გამეხანგრძლივებინა. მოც-ლილი მკითხველი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაწვდებოდა მისი სულის მცირე რჩევასაც კი... სქემატური გეგმაც შევადგინე! ჯერ იქნებოდა წმინდა ლაციცი, მერე — აღმაფრენა... მერე კეკეს მოტაცების ინსცენირება... განრისხებული ბიკენტი, მდევრად რომ გამონთებია მიჯურებს, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული მის გულსაც მოალბობს და კონფლიქტი ტრადი-ციული ქორწილით დამთავრდება, სადაც თამადა უზარმაზარ ყანნს ჩამოატარებს და ენამჭევრობით სტუმრებს მოხი-ბლავს. მაშინ, ბუნებრივია, ქრისტეშია ცხრა თვისა დაიბადებოდა, ძალაც მიეცემოდა და ხანგრძლივი სიცოცხლეც... დიახ, კეკე მჭირდებოდა წიგნის მთავარ პერსონაჟად, მეორე ეფურო ბებიად... მას შემდეგ, რაც ასაკი ეფროს მოინელებდა, მის კუთვნილ სკამზე, თოდუების ღია აივანზე, მაცხოვრისგორ-

ისკენ ზურგშექცევით უნდა ჩამომჯდარიყო დრო-უამისაგან ჩამომჭკნარი კეკე... ჩემი დაუდევრობის გამო ასე არ მოხდა! კეკე ვავა ზარქუას უწმინდურ სისხლში განიბანა და სიკვდილ-მა უდროოდ ჩაიხუტა, სიკვდილიც ხომ ხშირად მშვენიერს ირჩევს მსხვერპლად.

ბიკენტიმ მხოლოდ ერთხელ დახედა თავის შვილს, ისიც გასვენების წინა ღამეს, როცა სამძიმარზე მოსულთა რიგი შე-წყდა და ყმუილისაგან მისავათებულ ზინაიდა პეტროვნას თვალი ძილმა წაართვა („ყმუილისაგან“, რაკი ზინაიდა პეტროვნას ტირილი სასიკვდილოდ დაჭრილი ძუ მგლის ყმუილს დაემს-გავსა!). აქამდე ბიკენტი თავის ოთახში იყო გამოკეტილი, არც ჭამდა, არც სვამდა. სავარძელში მოკუნტული მისჩერებოდა ცარიელ კედელს და შეწუხებას ვერავინ უბედავდა. ბევრი არავინ მოდიოდა ისედაც, რადგან დაზაფრული ქალაქი თავის მიცვალებულებს ჩუმად და უდრტვინველად მარხავდა. ვინც მოვიდოდა, თითქოს საიდუმლო თავყრილობას ესწრებიანო, ერთმანეთს თავს უქნევდნენ, ამოიხვნეშებდნენ და ჩქარობდნენ წასვლას, თითქოს აქ მოსვლით ხელისუფლებას გაანაწყენებდნენ და, ვინ იცის, ხვალ-ზეგ ამის გამო სად დაიბარებდნენ. ქალაქის სხვადასხვა უბანში არაერთი მიცვალებული ესვენა იმ დღეებში და ყველგან ისე იქცეოდნენ, თითქოს ავარიის მსხვერპლთ გლოვობდნენ, იმითაც კმაყოფილნი, მიწაში პატიოსნად დაფლვას რომ არავინ უმლიდა.

ბიკენტი რომ შემოვიდა, მიცვალებულთან მხოლოდ ლესტამბე იყო. ამ რამდენიმე დღეში ვაჟი საშინლად გახდა, ბაიასფერი დაედო, ტანსაცმელი საფრთხობელასავით ეკიდა ტანზე, თვალები ციებიანივით უბრნებინავდა, თითქოს ყველას ემტერებოდა, ყველა დამნაშავე იყო მასთან და თავიდან მშობელსაც უცხოდ შეხედა, ოღონდ ბიკენტის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მძიმედ მოაპიჯებდა. საპარადო უნიფორმა ეცვა, სუფთად გაპარსულიყო, თმა დაევარცხნა. მის უკვე დაბერებულ, მაგრამ ჯერაც ლამაზ პირისახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი. ცისფერ თვალებში შუქი ჩამქრალიყო, დაკლებოდა ჩვეული ელვარება.

ლესტამბე პირდალებული მიაჩერდა, თითქოს სასწაულს რამეს ელისო. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, მაგრამ

გრძნობდა, რომ ამქეციურიდან სადღაც ირაციონალურ მიღმეთში გადაბარგებულ ბიკენტისთან დუმილი არ უნდა დაერღვია.

კაცმა დახედა თავის შვილს. კეკეს შვენოდა სიკვდილი. ეს უფრო ნებიერ ძილსა ჰგავდა. მისი სახის ფერმკრთალი ნაკვთები თითქოს მარმარილოსაგან იყო გამოკვეთილი. წამნა-მები, აპა, შეთრთოლდებოდა. ბაგეთა კუთხეში ოდნავღა ილანდებოდა შვების ღიმილი, ალბათ, ამქეციურ აურზაურს გაშორებულმა იქ პოვა მშვიდი სავანე.

თითქოს სუნთქვა შეწყვიტა ბიკენტიმ, თვალი გაუფარ-თოვდა, ხელი გაინვდინა, მოფერება თუ ეწადა, მაგრამ ძილ-დამფრთხალი ზინაიდა პეტროვნა შემოფრატუნდა, მოთქმის ზარს შემოკრა, შეჰყმუვლა:

— იტირე, კაცო, იტირე, ტორემ გული გაგისკდება!

ბიკენტის თითქოს კეტი დაარტყესო, მოიკუნტა, შეტრი-ალდა და უკანა ოთახში გავიდა.

შემინებული ლესტამბე უკან მიჰყვა. თვითონაც გაუაზრებლად მოქმედებდა, რადგან მამის ამ გამეხებაში ანთებული პატრუქი დალანდა.

კაცი ბუხართან შეჩერდა. ცეცხლი უკვე მინავლულიყო, ღველფიდან ბრწყინავდა წითელი მუგუზლები. დღისით აქ სტუმრები და მეზობლები ხმაურობდნენ, ახლაც ოთახი უაზროდ იყო ჩახერგილი.

ბიკენტიმ ჩაიმუხლა, ჩაიზნიქა, შუბლი ზედ ბუხრისპირას, ჭუჭყიან იატაკს დაჰკრა.

ბუხრიდან ცხელი ნაცარი მოხვეტა და თავზე გადმოიყარა, თან ხორხიდან ისეთი ოხვრა ამოუშვა, თითქოს ამხეთქაო.

შეტრუსული თმის სუნი დადგა.

— რას აკეთებ, მამა! — იყვირა ლესტამბემ და მხრებში ჩააფრინდა.

საოცრად ემძიმა ბიკენტის სხეული, დალეული და უღონო ეჩვენებოდა, რკინის კუნთებს კი წააწყდა.

ბიკენტიმ ზმუილით გაიწია, ცდილობდა, ვაჟის ხელებს დასხლტომოდა, თავ-პირი ცხელ ღადარში შეერგო.

ლესტამბეჭმ ძლივს გამოათრია, კედელთან ამოაბრუნა.

ბიკენტი ზურგით კედელს მიეყრდნო. ჭვარტლით გამურულს, აქა-იქ სიდამნვრის ვარდისფერი ლაქები დააჩნდა, თმებში თეთრი ფერფლი შერჩა.

თვალი გაუსწორა ლესტამბეჭმ, ტუჩები ძლივს გაანძრია, მშრალი ხავილი აღმოხდა.

— ოღონდ დაწყნარდი, მამა, იმის ჯავრს ამოვიყრი, აღარ ვაცოცხლებ! — დაიქადნა ლესტამბეჭმ.

ბიკენტიმ ძლივს ამოთქვა:

— ის ჩემი შვილია!

— ვინ, კეკე?

— კეკეც!

ლესტამბეჭმ გამტკნარებული უყურებდა, სიტყვათა არსს ვერ ჩასწოდომოდა.

— ვინ, მამა? — სლუკუნით იკითხა, მაგრამ ბიკენტიმ მეტი არაფერი თქვა.

ძლივს წამოფოფხდა, ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

ლესტამბეჭმ იდგა და უსმენდა მამის არეული ნაბიჯების ხმას.

აგერ კიბეს აჰყვა, საფეხურები ააჭრაჭუნა, ესე იგი, ზევით ადიოდა... რა უნდოდა ზევით?.. დერეფანი გაიარა... კარი შეაღო... ეს კეკეს ოთახის კარია! დიახ, კეკეს ოთახში შევიდა...

ლესტამბეჭმ გაფაციცებით უგდებდა ყურს, უნდოდა, ფეხ-დაფეხ მიჰყოლოდა, მაგრამ თავიდან ვერ გაბედა.

დრო კი ნელა მიზოზინებდა. წინა ოთახიდან ზინაიდა პეტროვნას ხმა აღარ ისმოდა.

უცებ მდუმარება ტკაცანმა გახვრიტა... გაისროლეს!.. იატაკზე სხეულის ბრაგუნი გაისმა...

— მამა! — იბლავლა ლესტამბეჭმ.

შემდგომ არც ახსოვდა, თუ როგორ აფრინდა კიბეზე, როგორ შეგლიჯა კარი და პირველი, რაც იხილა, კედელს მისხმული სისხლნარევი ტვინი იყო.

ბიკენტის რევოლვერის ლულა პირში გაერჭო...

## ნაწილი 2

### წილი 1...

1

დღენათელი დეკემბერში მოკლეა. გაცრეცილი, ნაცრისფერი ზეცა კიდევ უფრო აჩქარებს ბინდის მოსვლას. ტალღოვანი გორაკების თავზე საფიჩხიის მიდამოები რომ გაწვა, დაღამებას ბევრი არაფერი უკლდა. კეფაზე თითქოს სალტემ მომიჭირა, საფეხულები მსუბუქად ამტკიცდა, წნევამ თუ ამინია. გზამ დამღალა, უფრო კი ნერვულმა დაძაბულობამ. ზედმეტი სულიერი ენერგია მივახარჯე ლესტამბეჭმ თოლორაიას ამბების გარკვევას...

მიღირდა კი ეს კაცი თავის ატკიებად? ალბათ, არა, მაგრამ, რაკილა მისი ბედ-ილბლის განჩხრეკამ მომინია, იოლად თავს ვერ დავაღწევ.

სწრაფად ჩავირბინეთ წყალწითელაზე, ხიდიდან მოყოლებული აღმართის ქვაფენილზე მსუბუქად ვიჯანჯღარეთ.

ამჟამინდელი ჭირ-ვარამი ქუთაისსაც შეეტყო, ტროტუარებზე იშვიათი ლანდი თუ გაკრთებოდა.

ვიწრო ჩიხში შევაღწიეთ. ორივე მხრიდან მაღალი ღობე აგვედევნა, წინ კი მძიმე, შავი ჭიშკარი წამოიმართა.

ძაღლის ყრუ ღრენა მოისმა. ღობის მიღმა კავკასიური ნაგაზი ჯაჭვს აჩხარუნებდა, ცდილობდა, მესერში დრუნჩი გამოეყო.

ჩვენმა „ზაპომ“ მოკრძალებით დააპიპინა.

ცოტა ხანში ჭიშკრიდან ეშმაკივით პატარა კაცმა გამოხდა.

— შინ არიან? — ჰკითხა ლესტამბეჭმ.

— აინ მამენტ! — უპასუხა კაცმა და ალაყაფის კარები ფართოდ გააღო.

ეზოში აღმოვჩნდით, აგურის ორსართულიანი სახლის წინ. მანქანის ფარებმა პირველი სართულის ღია კარებს მიანათა... სიღრმეში ვიღაცას ლამპა ეჭირა.

ქალაქში შუქი არ ენთო.

კაცმა ზურგსუხან ალაყაფის კარები მიხურა და ჩვენკენ კოჭლობით წამოვიდა, მარჯვენა ფეხს მძიმედ მოათრევდა. პატარა, დაჭმუქნილი პირისახე ჰქონდა, ეშმაკური თვალები, მელოტზე აქა-იქ შერჩენდა ნაცრისფერი ბუნკი.

მანქანიდან გადმოვედით. ლესტამბემ ცხვირსახოცით სველი ლაშები მოიწმინდა და შინაურულად მიმართა:

— ა, იესე ჩემო, ნატვრა აგისრულე, ნამდვილი მწერალი ჩამოგიყვანე!

— არ მატყუებ? — სწრაფად იკითხა იესემ, ჩემი ხელის მტევანი ხელისგულებში მოიმწყვდია და შეფრფინვით შემომხედა.

— ნუ გაგიკვირდებათ, პატივცემულო, იესე თქვენი თავ-გადაკლული მკითხველია!

რატომ უნდა გამკვირვებოდა? კაცი თუ მწერალია, მკითხველიც ეყოლება, მაგრამ ლესტამბეს ხმაში ფარული დაცინვა ამოვიკითხე.

— ძალიან სასიამოვნოა! — ცივად ვუპასუხე, იესეს ხელებიდან ხელი გავითავისუფლე და უკმაყოფილოდ ვიკითხე: — აქ დარჩენას ვაპირებთ?

ლესტამბემ პასუხი ვერ მოასწრო, ღია კარიდან ფაშფაშა დედაკაცი გამოგოგმონდა, ანთებული ლამპა მაღლა აენია, მარჯვენა ხელს თვალზე იჩრდილებდა.

— მობრძანდით, ბატონო, პატივი დაგვდეთ!

ქალს ფეხდაფეხს სპორტულად ჩაცმული ვეება მამაკაცი მოჰყვა, იმანაც, მობრძანდით, მობრძანდითო... მამაკაცის უკან შავგვრემანი ჭაბუკი გამოჩნდა. იმის ზურგიდან ბავშვიანმა ქალმა გამოიხდა. მეორე ბავშვიც ჩანდა... მე თავის ტკივილმა შემომიტია და სალამი გულმოსულივით ჩავიბურტყუნე.

— თუ გეცნობათ, პატივცემულო, ესენი? — ეშმაკურად მკითხა ლესტამბემ.

შევეცადე, უქეიფობა დამეძლია, დამხვდურებს დავაკვირდი. სანამ ჩაფიქრებული ვიდექი, იესე ჯღანვითა და ქირქილით გარს გვივლიდა, სათითაოდ გვათვალიერებდა და ხანდახან აღტაცებით წამოიძახებდა:

— უყურე შენ!

ხატზე დავიფიცებდი, რომ მასპინძლები არასოდეს მენახა. ისე, ქუთაისში კი მყვანან ნაცნობ-მეგობრები და იქნებ სადმე, ადრინდელი სტუმრობის დროს გადავაწყდი ამათ-მეთქი, გავიფიქრე.

მოკლედ, ვიდექი სულელივით, ხმა ვერ ამომელო, ესენი კი ცნობისმოყვარედ მათვალიერებდნენ და ელოდნენ თუ რას ვიტყოდი.

საიდანლაც პატარა ბიჭუნა გამოძვრა, პირში გარჭობილი თითო გამოილო და მომიშვირა.

— ეც ვინ ალი, ყაცალია?

უფროსებმა გაიცინეს. ახალგაზრდამ, ალბათ, ბიჭის მამამ, ქეჩიოზე მსუბუქად წაჰერა:

— დაიკარგე აქედან!

— ნუ დაივინყებ ძველ მეგობრებსო, ნათქვამია, პატივცემულო! — ხელები მოიფშვნიტა ლესტამბემ. — იძულებული ვარ, ხელახლა გაგაცნოთ ძველი ნაცნობები — ბატონი დურუ გეგია და მისი მეუღლე ქალბატონი ცისანა, ესენი კი, ბატონი იესე, მოყვარე, ბატონი თენგიზი, სიძე, ქალიშვილი ეთერი, შვილიშვილები...

გავმტერდი. ხელმეორედ ჩამოვართვი ხელი დურუსა და ქალბატონ ცისანას, თუმცა ისიც სათქმელია, დურუ გეგია არასოდეს ჩამითვლია მეგობართა წრეში, ცისანას კი ერთორჯერ შორიდან მოვკარი თვალი, როცა მოყვარულთა სცენაზე დაბაჯბაჯებდა რომელილაც მსახური ქალის როლში. ამიტომ გადავწყვიტე, ზედმეტი აღტაცება არ გამომეხატა, შუბლზე ხელი მოვისვი და ხმადაბლა ვთქვი:

— მაპატიეთ, წნევამ ამინია და უქეიფოდა ვარ!

უმალ საყოველთაო თანაგრძნობის საგანი გავხდი.

— მაგას ნუ შეუშინდებით, გზამ დაგლალათ, ალბათ! — ნამოიძახა დურუმ, ხმაც ზორბა კაცის შესაფერისი ჰქონდა, ლომივით ბუბუნებდა.

— მობრძანდით, ბატონო, — თაფლად დაიღვარა დიასახლისი, — წნევასაც გაგიზომავთ, წამალსაც მოგართმევთ, კი-დეც მოგასვენებთ! აგრ, ჩემი გოგო ექიმია... ეთერი, შვილო, ბავშვი მე მომეცი, შენ სტუმარს მიხედე!

ხით მოჭედილ, გრძელ პალატაში შემიძლვნენ. დაბალ ჭერზე ბროლის ჭაღი ეკიდა, ოღონდ ამჯერად ლამპის შუქს თუ ირეკლავდა... დივანი, რბილი სავარდლები, წიგნის თაროები, ტელევიზორი, ბუხარი, ზედ შემოდგმული სპილოების კოლექციით, — ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ შეძლებულ ოჯახში აღმოვჩნდი.

ეთერმა ხელში ატატებული ორიოდე წლის გოგონა ბებიას გადასცა და წნევის აპარატი მოარბენინა. მაგიდასთან დამსვეს, მკლავი გამიშიშვლეს და წნევა გამიზომეს. განაჩენს ისეთი ყურადღებით ელოდნენ, თითქოს ამაზე იყო ჩემი ბედი დამოკიდებული. მე კი ახალგაზრდა ექიმს ვაკეირდებოდი და გუნებაში მის ასაკს ვითვლიდი.

ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული. დედ-მამას არ ჰგავდა — უფრო კატო ბებიას. გამხდარი, სიფრიფანა გოგო იქნებოდა. დედობამ ხორცით შეავსო, დაამრგვალა. ეს პატარა ბაია მისი მეორე შვილია. არ მიკითხავს, მეტი თუ ჰყავს! ნეტავ რამდენი გაზარდა თვით დურუმ?.. ჩანს, მისი ცხოვრება მაინც აეწყო ბედნიერად... ულევი ძალ-ღონე დავანათლე და ახლაც დათვივითაა.

დურუს ავხედე. უზარმაზარი, ძლიერი მხრები ჩამოუყრია, მორგვივით თავი წინ გადმოუწევია, სრულ მორჩილებას განასახიერებს. თვალებიდან ლმობიერება და თანაგრძნობა იღვრება. ეს მაინც დამრჩა კმაყოფილი-მეთქი, გავიფიქრე, რა სიკეთეც ლესტამბეს დავაკელი, ამას ასწილ კალთაში ჩავუყარე... ვითომ?

— ას სამოცი ასზე! — ნაზი, მელოდიური ხმით ბრძანა ახალგაზრდა ექიმმა. — ნუ შეუშინდებით! ახლავე ვალერი-ანის წვეთებს მოგართმევთ, შიგ კუნელის წვეთებსაც გავუ-

რევ... კლოფელინი თქვენთვის ზედმეტია, ორი ცალი რაუნა-ტინი კმარა... დაისვენეთ!

— ჰო, გენაცვალე, სანამ ვახშმის თადარიგს დავიჭერთ, თქვენ მოისვენეთ! — უცბად გამიშინაურდა ცისანა. სიყმან-ვილეშიც ზორბასა და ჯანმაგარს, ძალა და ენერგია, ეტყობა, ახლაც შერჩენოდა. წონით ასოცისა იქნებოდა, მაგრამ ტანი ჩიტივით დაპქონდა.

მომიჯნავე ოთახში გამიყვანეს. აქ რკინის ზამპარები-ანი წყვილი საწილი იდგა. ფეხზე გავიხადე და წამოვწექი. დიასახლისმა მზრუნველად გადმომაფარა ფუმფულა, ბენვი-ანი საბანი.

ნავთქურა ენთო და ოთახში არ ციოდა.

ჭერს ავხედე. მოხატული იყო, მაგრამ ახლა ფიგურების გარჩევა ჭირდა. ნავთქურის თავზე თეთრი წრე ნათდებოდა, მის ირგვლივ მოწითალო, შემდეგ კი ლურჯი თანდათან მუ-ქდებოდა და ჭერის ნახატებს ფანტასტიკურ შეფერილობას აძლევდა.

წყნარად ვიწექი, არ მახსოვს თვალი მომეხუჭოს.

შემოვიდა იესე, სავარძელი მოიჩოჩა, ჩასკუპდა, მტკივ-ნეული ფეხი საღზე გადაიდო.

„გაგიარა?“ — ცნობისმოყვარედ მკითხა.

„რა გინდა?“

„ანგარიში უნდა ჩამაპარო, მწერალი რისი მაქნისია მკითხველის გარეშე?“

„შენნაირები ბევრნი არიან, აქეთ-იქით მექაჩებიან, ლამ-ისაა გამნენონ!“ — უკმაყოფილოდ ვთქვი.

„მე ბევრი არა ვარ, მე ზოგადი მკითხველი ვარ! ვიცი, გულზე არ გეხატები, რაკი პირუთვნელად უნდა ჩამოგიკა-ლო, რასაც ვფიქრობ! პირში მთქმელი კაცი არავის უყვარს! აი, თუნდაც შენი ხელნაწერი... სკოლაში ვერ გასწავლეს, ქართული ლამაზი ასო-ნიშანი როგორ უნდა გამოაგვირისტო? იცოდე, კალმის წვერზე გიზივარ და თავბრუ მესხმის ამ და-მახინჯებული, მიციცქნულ-მოციცქნული ასოებისაგან, რო-მელთაც ხანდახან თვითონაც ვერ ამოიცნობ... მერე შინაარ-სი? ერთი ეს მითხარი, ლესტამბე თოლორაია საიდან შემო-

გიძვრა, მთელი სამოცი გვერდი მის ირგვლივ რომ ტრიალებ?.. გეტყობა, თვითონვე მოგბეზრდა, ამიტომაც დაერიე პერსონაჟებს და სიკვდილის განაჩენი დროზე ადრე გამოუტანე... კეკეს მაინც რას ერჩოდი? ტყვიას გადაურჩა და საკუთარ პირმშოს მოაკვლევინე. კიდევ კარგი, მისი სიკვდილის დეტალებზე არ დაიწყე ლაპარაკი, ხომ იცი, სისხლსა და ტანჯვას ვერ ვიტან, თანაც ყმანვილი ქალისა...“

„კეკე ეპოქის შვილია, ეპოქა მოკვდა, მის წიაღში ქრისტეშია დაიბადა“, — თავი ვიმართლე, მაგრამ იქსე ჩემს სიტყვებს არ უსმენდა.

„სხვაა ბიკენტი! ამან მამის, ქოსა ძღვიბიას ცოდვებიც ზიდა და სული საკუთარი ცოდვებითაც დაიმძიმა. ასეთი კაცი უნდა დასჯილიყო, მაგრამ ესთეტიკა? ლამაზი სიკვდილი?.. ხომ შეგეძლო, ერთი ფლაკონი ლუმინალი გადაგეყლაპებინა და ისიც სამუდამოდ ჩაიძინებდა... ჩვენ, მკითხველებს, ასეთი სიკვდილი ნაკლებ გვაფორიაქებს. შენ კირა ქენი, პირში ტყვია გაურჭე და ტვინი კედელზე მიასხმევინე... შეხედე, შეხედე, რასა ჰგავს?!”

კუთხეს გამოეყო ბიკენტი თოლორაია, თვალის გასწორება გამიჭირდა...

იქსე ნამოხტა, დაფაცურდა, სავარძელი საწოლთან მოუჩოჩა, რათა უკეთ დამენახა.

ბიკენტის პირი ტყვიას შეელენა, თავისქალა ახდილი ჰქონდა. მისი ლამაზი სახე ამ ერთ გასროლას საზარლად დაემახინჯებინა...

საფეთქლები ძალუმად ამტკივდა, თავი მივაბრუნე, არ შემეძლო ასეთი სურათის ხილვა.

„საზიზლობაა, არა? — ჩამეძია იქსე. — ამიტომაც შეგახსენე ლუმინალი! ახლა ამ კაცს მონანიება სურს, ცოდვების მიტევებას ითხოვს, ხმის ამოღება კი არ ძალუდს, რადგან ტყვიამ საარტიკულაციო აპარატი მთლად დაუნგრია!“

„თავი დამანებე!“ — ამოვიკვნესე.

„რისთვის დავიბადე?“ — ჩაიხრიალა ბიკენტიმ, ყელიდან უცნაური ბუყბუყი ამოსდიოდა, თითქოს საკუთარ სისხლსა და ჟელედქცეულ ტვინს ყლაპავდა.

„უცქირე, აი შედეგი შენი დაუდევრობისა!“ — მოუთმენლად ცმუკავდა იქსე.

ზიზღლისაგან გული ყელს მოებჯინა, ვიგრძენი, რომ გონს ვკარგავდი.

„თავი დამანებეთ?“ — ერთხელაც ნამოვიძახე და უცებ თვალებზე ჭახჭახა სინათლე გადმომედვარა.

ჭერზე მომცრო ჭალი აენთო.

ოთახში მარტო ვიყავი. გარედან გაბმული სტვენა და ყიუინა მოისმა. უბნელები ასე აღნიშნავდნენ შუქის მოსვლას. ნაგაზი გამწარებით უყეფდა ლამეულ ლანდებსა და ხმებს.

შვება ვიგრძენი. თავის ტკივილი ოდნავ დამიამდა. გული სწრაფად მიცემდა, მაგრამ რიტმი თანდათან ჩვეულ კალაპოტს უბრუნდებოდა.

მეზობელ ოთახში ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ჭურჭელს აჩხაუნებდნენ, სუფრას შლიდნენ.

კარი გაიღო. ზღურბლზე დურუ ნამოიმართა, მისი ზორბა ტანი ტანსაცმლის კარადას ჰგავდა.

— უკეთ ბრძანდებით?

— ჰო, არა მიშავს!

— ვახშამი მზადაა! — მაცნობა. — თანაც, ბედად, შუქიც მოვიდა!

2

ცისანა სიორდიას მამა ჩოქორო მერეთის ბაზარში რკინა-კავეულის მაღაზიას განაგებდა. ზორბა კაცი იყო ჩოქორო, ლურსმინით სავსე ყუთებს ისე იოლად ისროდა, თითქოს ბატის ღუნდლით ყოფილიყოს გატენილი. ცოლიც ზორბა შეხვდა, ლეოპოლდინა, ერთ თარგში გამოჭრილებსა ჰგავდნენ. შვილებიც ზორბები დაზარდეს — დათო და ვახო. არც ცისანა ჩამორჩებოდა ძმებს. სანამ პატარები იყვნენ, ჯაბნიდა კიდეც, რადგან მათზე უფროსი იყო და, როცა მოეპრიანებოდა, ალიყურებს ჩამოურიგებდა ტკაცატკუცით. თუმცა შემდგომ დათო და ვახო დათვის ბელებივით დამრგვალდნენ და უფროსი და უკვე ვერ ბედავდა მსგავს ეგზეკუციებს.

დურუ გეგიაც ამათი ჯიშისას ჰგავდა. სიყვარული მხოლოდ ხორციელი გაეგონა დურუს, ხორცი კი ცისანას ბლომადა ჰქონდა. ამიტომაც მოინადირა ჭაბუკის გული, თუმცა ცოლის შერთვის სურვილი გეგიას ბიჭს სიზმარშიც არ გახსენებია. რომც ეფიქრა, ჩოქოროს წრისა და გაქანების კაცი არც გაატანდა თავის ქალიშვილს ვიღაც უნიფხო გეგიას. ამ რკინაკავეულიდან რა ოქროსაც იგი ადნობდა, არავინ უწყოდა, მაგრამ მასზე იტყოდნენ, ასფალტზე რომ წაიფორხილოს, იქიდანაც ფულს ააღლეტსო. ფული ფულს ეძებს, ბუნებრივია. ბაზარში ჩოქოროსნაირი, შთამომავლობით ნოქარი სხვაც მოიძებნებოდა და მის ჯან-ლონით სავსე გოგოს არც საქმროები დაელეოდა.

შემთხვევითობამ თუ ციურმა ბედმა სხვანაირად განსაჯა. ქალაქში არეულობა რომ დაიწყო, ჩვენი დაია ნამეტანი დაწანანალებსო, ძმებმა სიორდიებმა დაასკვნეს და ცისანას ეზოდან ფეხის გადგმა აუკრძალეს. ეს რომ ორიოდე წლით ადრე მომხდარიყო, ცისანა სასჯელს უსიტყვოდ აიტანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „არტისტობას“ გაუსინჯა გემო, სცენაზე გამოგომანდა და ტოლ-სწორებში ლაზანდარობას შეეჩია, მისი შინ გამოკეტვა გაძნელდა. ვითომც კი დამორჩილდა ძმების გადაწყვეტილებას, მაგრამ, როგორც კი დროს იხელთებდა, უმაღ გაიპარებოდა.

ერთხელაც, ესაა ძმების თვალს გავუსხლტიო და ბულვარისაკენ სწრაფად რომ მიძუგძუგებდა, გეგიების ჭიშკართან დურუს გადაეყარა. ჭაბუკს ცისანას წითლად გადატეტკილი ლოყების დანახვაზე ასე ეგონა, მზემ მცხუნვარედ გამოანათაო, შეაჩერა და ტკილი ჭუკჭუკ-მასლაათი გაუბა. ისედაც უცხონი არ იყვნენ, ძაძუას თვითშემოქმედებით დასში ხომ ერთად ტრიალებდნენ. ამიტომ ფუქსავატური სიტყვებით ერთმანეთი გააბრუეს და უცებ ცისანამ ლოყაზე ხელი იტკიცა:

— უიმე, ჩემი სიკვდილი, ძმები მოდიან!

ქუჩის ბოლოს მართლაც გამოჩნდნენ, ჩვენი ნებართვის გარეშე სად დაეხეტებაო, იმის შესამოწმებლად.

— შინ შემოდი, დაგმალავ! — შესთავაზა დურუმ.

დიდი ჭკუა-გონება არც ერთს ებადა და არც მეორეს. ქუჩაში თავის მართლებას ცისანამ დამალვა ამჯობინა და დურუს პატარა სახლში შეგორდა.

საუბედუროდ, ძმებმა შორიდან ჰკიდეს თვალი დის უცნაურ ხუნტრუცს და შეფიქრიანდნენ.

კატასტროფა არ მოხდებოდა, ცისანა სახლიდან დროულად გამოსულიყო და ეცრუა, ამხანაგთან კონსპექტისათვის გამოვიარეო, მაგრამ ამდენი ეშმაკობა ამათ არ გააჩნდათ, გულაფართქალებულნი ფანჯრიდან ადევნებდნენ თვალს ძმების სვლას და, როცა ისინი ჭიშკართან შეჩერდნენ, ერთმანეთს მრავლისმეტყველად გადახედეს, ქალ-ვაჟს შიშისაგან კინალამ სული გასძვრა.

— დურუ, გამოდი ერთი! — გასძახა დათომ.

არც ახლა იყო გვიან! შეიძლებოდა გამოსვლა, სახეზე გაკვირვების გამოხატვა, რა ხდება, ჯერ და მესტუმრა, ახლა კარს ძმებიც მომადგნენო, ყველაფერს ხუმრობაში გადაატარებდა, მაგრამ დურუს ენა ნაერთვა და ხელ-ფეხი დაუმდაბლავდა, რაც მხოლოდ ადასტურებს უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ძალ-ლონე არაფრის მაქნისია, თუ ადამიანს სულიერი სიმტკიცე არ გააჩნია.

— რას იმალებიან ნეტავი? — ეჭვით იკითხა ვახომ.

ძმები ეზოში შემოვიდნენ, კიბეზე ამობრაგუნდნენ და კარზე დააკაკუნენ. გულშელონებული ცისანა ტახტზე მიესვენა, დაბნეულმა დურუმ ისლა მოისაზრა, ხელსახოცი წყლით დაასველა და საფეთქელზე მიადო, აქაო და გონს მოვიყვანო.

ჭურჭლის წკარუნი ძმების ყურს მისწვდა და დათომ უთხრა ვახოს:

— რაღაც მთლად სუფთად ვერაა საქმე! შენ აქ დადექი, მე კი მამაჩემს მოვიყვან!

ათი წუთიც არ გასულა, ეზოში შემოცვივდნენ ჩოქორო და მისი მეუღლე ლეოპოლდინა, ამათ კი ვიღაც კაცები და ქალები მოჰყვებოდნენ, ალბათ, ბაზრის ნოქრები.

— თავი მომჭერი, შვილო?! — იბლავლა ჩოქორომ და აივნის ბოძი კინალამ შუბლით ჩამოილო.

— დიდუუ, მოვკლავ მაგ გათახსირებულს! — ლოყებს იხოვდა ლეოპოლდინა.

ძმები კი გულმოდგინედ აბრახუნებდნენ კარზე და ნაირ-ნაირად იმუქრებოდნენ.

ამ დროს სამსახურიდან დაბრუნდა კატო, დურუს ციცქ-ნა დედიკო. ამდენი ხალხის დანახვაზე ზაფრა ეცა, ძლივს იკი-თხა, ხალხო, რა უბედურებაა ჩემს თავსო.

— გააღოს კარი, თორემ მოვკლავ მაგ ძალლის გაგდე-ბულს! — თავი მოიგიუიანა ჩოქორომ.

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ჩემს სახლში მაგეთ სი-ტყებს ნუ ხმარობთ! — მტკიცედ განაცხადა ქალბატონმა კა-ტომ. ჩოქოროს აღშფოთებისაგან ენა ჩაუვარდა, უროსავით მუშტები თავში წაიშინა და ზმული მორთო.

კატომ გვერდი აუქცია, სახელურს მოსწია და კარი გა-მოაღო.

თურმე ჩაკეტილი არც ყოფილა!

შეცვივდნენ სიორდიები შიგნით, კარებში ძლივს შეეტიენ. წამით დადუმებულებმა მიმოიხედეს.

აგერ, მათი სათაყვანებელი ცისანა გულშემოყრილი გაშ-ხლართულა ტახტზე, დურუ კი, სველი ხელსახოცით ხელში, თავზე ადგას.

— გული შეუღონდა! — საცოდავად ამოიკნავლა დურუმ.

— დიდუ, რა გიყო ამ არგასახარელმა! — ლეოპოლდინამ ტახტთან ჩაიმუხლა.

— მოვედი, გადაგყლაპე! — შესძახა დათომ და დურუ-საკენ წამოვიდა.

ნირნამხდარმა დურუმ, უფრო შიშის გამო, თავისდაუნებურად, არ აცალა და ისე გაუქანა, უკან გადავარდნილი დათო ვახოს მელავებში ჩავარდა.

— ბიჭოს, ეს რა თუნთი ყოფილა! — გაუკვირდა დათოს.

ამასობაში ქალები ცისანას შველოდნენ, საფეხქლები დაუზილეს, გონს მოიყვანეს და ტახტზე წამოსვეს. გაშტერე-ბული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს კითხულობდა, რა მოხდაო.

ჩოქორო, ეზოში რომ ქვეყანას აქცევდა, ოთახში შემოს-ვლის შემდეგ დადუმებული იდგა და ფიქრობდა.

— ჩემი გოგო, ჩემი ანგელოზი, რა გიყვეს ამ დასაქცევებ-მა! — მოთქვამდა ლეოპოლდინა, უკვე წამოდგომაც უნდო-და, მაგრამ მუხლი იტკინა და ტანი ვერ აეზიდა.

— მოდი, მოვანგრიოთ აქაურობა! — შეუძახა ვახომ.

— გაჩუმდით ყველა! — იქება მოულოდნელად ჩოქო-რომ. — რაც მოხდა, მოხდა! ახალგაზრდებია... სიყვარული, ყველამ ვიცით, უძლეველია... მოდი, ბიჭო, შენ!

გაოგნებული დურუ სასიმაროს მკლავებში აღმოჩნდა.

— ჩემი სიძეობა იოლი არ იქნება, იცოდე! — ყურში ჩას-ჩურჩულა ჩოქორომ.

მართლაც რომ!

დურუსა და ცისანას ისეთი ქორწილი გადაუხადა ჩოქო-რომ, როგორიც ეკადრებოდა. არც არაფერი დაუკლია, ოღონდ ისე კი მოზომა, მთავრობასა და ხელისუფლებას ყური არ ეც-კვიტა, საიდან ამდენიო....

როცა ყველაფერი მილაგდა და დაწყნარდა, დაისვა სი-მამრმა სიძე პირისპირ და ასე უთხრა:

— იცოდე, დიდი კაცი უნდა გახდე, უნდა მასახელო! ხალხმა იფიქროს, ჩოქორო მიხვედრილი კაცია, თვითონ შეარ-ჩია უმამო დ უქონელი, მაგრამ ნიჭიერი ბიჭიო! ქრთამი არ აიღო, ფულის კეთება ჯერჯერობით შენი საქმე არ არის, ფული მე მაქვს. დიდი კაცი თუ გახდი, ფული თავისთავად გაგიჩნდება. საქმისათვის რამდენიც დაგჭირდება, აგერა ვარ, ცუდლუტობის ნებას კი არ მოგცემ. კი თქვა ჩემმა დათომ შენ-ზე, თუნთიაო, მაგრამ, იცოდე, მე შენზე თუნთი ვარ და ძვალსა და რბილს ერთად გაგიხდი. ქალებისაკენ ნუ გაიხედები! საერ-თო საქმეში ყველაფერს მე დავდებ, შენ კი, შე ყურუმსალო, ისლა გაქვს, რაც გაბია და ჩემი გოგოს ჩივილი არ გამაგონო, იცოდე! ოთხი შვილიშვილი გამიჩინე. უფრო ბიჭებზე იზრუნე, ისე, ერთი გოგოც შეურიე, მე რომ ჩემმა გოგომ გამამნარა, ისე უნდა გაგამნაროს შენც... აბა, ჰე, დაიმახსოვრე, რაც გითხარი!

დაიმახსოვრა დურუ გეგიამ, ტვინში ჩაიჭედა...

— ტექსტში სარკაზმი შეგეპარათ, — ყურში ჩამჩურჩულა იხსემ, — ავტორი კი პირუთვნელი უნდა იყოს!

სუფრასთან დაჯდომა ძლივს მოვასწარი, ხელში ჩანგალი არც ამიღია, ეს კი ჭურას მასწავლის, თან ნიორი უჭამია.

მისი ნათქვამი არად ჩავაგდე.

მიმოვიხედე. ჩემს პირდაპირ დურუ გეგია ზის, ზვინივითაა. სახის მსხვილი ნაკვთები აქვს, ყბა ისეთი, რკინას გალეჭავს, დიდრონი, თაფლისფერი თვალები. თავზე თოვლივით თეთრი, უხეში ჯაგარი აყრია... ჩემს საპატივცემლოდ საპარადო კოსტიუმი ჩაუცვამს, თეთრი, გახამებული პერანგი, ლურჯი, ოქროს ხაზით გადაკვეთილი ჰალსტუხი... გვერდით ქალბატონი ცისანა უზის. ამას მელნისფერი ხავერდის კაბა აცვია, ოქროს ძაფით ოდნავ დაწინწკლული. წაბლისფრად შეღებილი თმა სადად გადაუვარცხნია. ბოლო დროს, ალბათ, ვერ იცლის და თმის ძირებში ჭალარა გამოკრთება. ასაკი თითქმის არ ეტყობა, ფართო სახე, წითლად დატეტკილი ლოყები, პატარა, კოხტა ცხვირი, წვრილი ტუჩები და ჩანიკნიკებული კბილები, ვერ გაიგებ, ბუნებრივი თუ სტომატოლოგის ნაოსტატარი...

ყელში ჩუმი სიცილი მიღიტინებს. წარმოვიდგინე ახალგაზრდა ნეფე-დედოფალი — დურუ და ცისანა, ჯვრისნერის ლამეს, დევგმირებივით ერთმანეთს რომ დაეძგერნენ და დურუმ საკმაო ღონე დახარჯა, რათა პატარძალი დაემორჩილებინა. საბრალო კატოს კაპიკიანი ხელფასით ნაყიდი საწოლი ამ ჭიდილში დაიფშვნა, ახალგაზრდები ძირს გაგორდნენ და სიცილ-სიცილ განაგრძეს იატაკზე ჭიდილი... გეგიების საქათმისხელა ოდა ირნეოდა, ამათ ბულრაობას იგი ვერ გაუძლებდა და ჩოქორო იძულებული გახდა, სიძე-ქალიშვილისათვის სულ მალე სომხური ტუფის ორსართულიანი სახლი წამოეჭიმა.

უადგილო სიცილი რომ დამემალა, ხველება მოვაყოლე, რაღაც გადამცდა-მეთქი. იქსემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია, მიმიხვდა და საყვედური ამნაირად გამოხატა.

ლესტამბემ არაყი დაისხა, მომცრო სურა ჩემი ჭიქისა-კენ გამოსწია:

— ორმოცდათი გრამი, პატივცემულო, წნევას მოუხდება! ახალგაზრდებიც ამ დროს შემოგვიერთდნენ, სიძე — ულვაშკოკობა, პირმშვენიერი ჭაბუკი, როგორც მითხრეს, პროკურატურის თანამშრომელი თენგიზ დიხამინჯია და ეთერი, რომელსაც ძალიან უხდებოდა შინდისფერზოლიანი კაბა და ოქროს ყელსაბამი.

— ბავშვები დავაძინე და შემაგვიანდა, მაპატიეთ! — მოიბოდიშა დურუს ქალიშვილმა.

ერთადერთი იხსე არ ჯდებოდა, თავზე დაგვტრიალებდა, ხან ერთ ყურთან წაიხებოდა, ხან მეორესთან, თუმცა, მგონი, ჩემ გარდა ვერც ვერავინ ამჩნევდა მის არსებობას.

— მიირთვით, სტუმარო! — მოწყალედ გამიღიმა ქალბატონმა ცისანამ. — გვაპატიეთ ეს ღარიბული სუფრა. თქვენისთანა ძვირფას სტუმარს რომ ეკადრება, ისეთი არაფერი გვაქვს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რა დრო დადგა.

ქალბატონი ცისანა, რა თქმა უნდა, თავს იკატუნებდა. სუფრის აღნერას არ შევუდგები, მეშინია კვლავ სარკაზმი არ შემომეპაროს, ამით ხომ ჩემს მკითხველ იხსეს ერთხელაც გავალიზიანებ. იმას კი ვიტყვი, არ მეგონა, ამ დალუპულ ოთხმოცდაცამეტში ვინმეს თუ კიდევ შეეძლო ასეთი პურ-მარილის შემოთავაზება, სადაც მეგრულ-იმერული სამზარეულოები ერთმანეთს ეპაექრება და წნევიანი კაცის გასაჭირი ისლა გახლდათ, როგორმე კუჭი ზედმეტად არ გადაეტვირთა.

— ძვირფასი სტუმარი სიღარიბის გამო არ დაგვძრახავს! — დაიბუბუნა დურუმ. — ეჰ, იყო დრო, როცა რაღაცა მეკითხებოდა, პურ-მარილები ვიცოდით...

მართლაც იყო დრო, როცა რაიკომის მდივნები მეფობდნენ! მახსოვს, მწერალთა მთელი ბრიგადა ჩავედით მერეთში (ჰა, როგორია „მწერალთა ბრიგადა“!). რკინიგზის სადგურზე დაგხვდნენ რაიკომის პირველი, მეორე და მესამე მდივნები. ამათ, ცხადია, თან ახლდნენ ჩაკოსტუმ-ჩაპალსტუხებული კაცები და სადა, ხომენკლატურულ კაბებში გამოსკვანჩული ქალები... შემოგვაგებეს სიცივით გათოშილი პანია ბავშვები, რომლებსაც ადრევე აზეპირებინეს ქრესტომათიული ლექსები (საძულველი ლექსები, რომლებსაც ძალათი თავში ტენიან

და პოეზიას საბოლოოდ გადაგამტერებენ!), დღეს კი დილაუ-  
თენია წამოჰყარეს, რათა ჩვენთვის წაეკითხათ ეს ლექსები  
და მოერთმიათ ყვავილები. შეცივნული, აცახცახებული ხე-  
ლებით კისერზე წითელი ყელსახვევები გაგვიკეთეს (ერთმა  
პოეტმა პიონერული ორგანიზაციის იუბილის დღეებში მწა-  
რედ იხუმრა, ლამისაა ამ ყელსახვევებზე თავი ჩამოვიხრჩო!)...  
მერე ჩაგვსხეს შავ-შავ „ვოლგებში“ და გაგვაქანეს სასტუმრო-  
ში, სადაც „დილის ჩაი“ გველოდებოდა, რაიც შუადღის სადილს  
უფრო ჰეგავდა... ორი საათის შემდეგ ნამდვილ სადილზე მიგ-  
ვიწვიეს... ნაშუადლევს ძროხის ფერმა მოვინახულეთ (მშვე-  
ნიერი თემაა: ძროხები და პოეტები!), იქ პატარა „ზაკუსკა“  
დაგხვდა და მაგიდაზე ვერ ეტეოდა მსხვილად დაჭრილი სუ-  
ლუგუნი და გადაზელილი ყველი, ელარჯი და ცხელ-ცხელი  
საჭაპურები... მერე მეზობელ სოფელში გადაგვიპატიუეს  
სადილზე, სადაც, ალბათ, ყველაფერი იყო, რაც დადის, დაფ-  
რინავს და დაცურავს... ვიჯექი პირაკრულივით, ყელში ლუკმა  
ვერ გადამდიოდა... დიახ, რაიკომის მდივნების სუფრები, დუ-  
რუ გეგიას ზორბა სხეული რომ ნთქავდა და ინელებდა...

დურუმ შემომხედა. მის მზერას ახლაც ეტყობოდა რა-  
ღაც რაიკომისმდივნული. მწერალი მისთვის, გასაგები მიზე-  
ზების გამო, მთლად შერაცხადი პიროვნება როდია, მწერალ-  
თან ფრთხილად უნდა იყოს კაცი. სჯობია, გაულიმო, მოეფე-  
რო, ბავშვებს და გიჟებს თანაბრად ეფერებიან. რაიკომის  
მდივანს თოფისა არ ეშინია, კალმისა კი... გამორჩეულად ჩემი  
კალმისა ეშინია და ამიტომაც ვარ ეგზომ „ძვირფასი სტუმარი“.

თამადა ამ პატარა სუფრისა, რა თქმაუნდა, თვითონ დურუ  
იყო. წლებმა და თანამდებობამ ისე გამოწვრთნა, მის სათამადო  
ხელოვნებას ნაკლს ვერავინ დაუძებნიდა. სიტყვა უჭრიდა, ღვი-  
ნოს სტომაქში ბლომად ისხამდა და, რაც მთავარია, ამ დროს არც  
თვრებოდა. და მაინც, ეს ლამაზად ჩამოგვირისტებული სა-  
დღეგრძელოები იმდენად აბსტრაქტულ და ზოგად აზრებს შეი-  
ცავდა, იმდენად მწირი, ბანალური ჭეშმარიტებები ტრიალებდა  
ჰაერში, მისი აქ გადმოცემა ზედმეტად მიმაჩნია.

ფიქრმა ორმოცი წლით უკან დამწია. ის დურუ გეგია  
გამახსენდა, ბოლო მიტინგიდან თავეუდმოგლეჯილი რომ

გამორბოდა, რათა თავისი ძვირფასი სიცოცხლე გადაერჩი-  
ნა. ეს ხომ ის რბევა იყო, როცა მოულოდნელმა შიშმა და  
ზაფრამ კეკე მოინელა. დურუ მაშინაც „თუნთი“ იყო, ღო-  
ნიერი, სიცოცხლისუნარიანი, იგი შიშით ვერ მოკვდებოდა,  
თუმცა ისე გამოითიშა, შემდგომ მეხსიერებაში ვერაფრით  
აღიდგინა გზა მაცხოვრისგორიდან თავის ფარლალალა, ქა-  
რიც რომ წაიღებდა, ისეთ ოდა-სახლამდე (ჩოქორო სიორდიას  
ფულებს ჯერაც არ ეწვიმა მის ცაზე!).

— ვაიმე, ეს რა დაგმართნია, შვილო! — შეჰკივლა კატომ.

დურუ ზღურბლზე გაეჩინია. მაგიდას მისი ახლად შეძე-  
ნილი მოყვრები უსხდნენ — სიმარი და ცოლისძმები. (ცისანა  
კუთხეში მიმჯდარიყო. ყველანი დურუს შემოჰყურებდნენ,  
მას კი მიტკლისფერი დასდებოდა და ყბა მოქცეოდა.

— დამიჭერენ, მგონია! — ხმის კანკალით თქვა დურუმ.

— ვიცოდი, ის თავქარიანები რომ დაგლუბავდნენ! —  
ბრძანა ჩოქორომ. მსხვილი, ბალნიანი ხელები მაგიდაზე და-  
ეწყო. უზარმაზარი მელოტი ულაპლაპებდა. შუბლის ღარები  
მძიმედ ჩამოსწოლოდა ფუნჩულა წარბებს. ცხვირი გადმომ-  
ხობოდა ვიწრო, ჭაღარა ულვაშს, მსხვილი ტუჩები კი სისხლ-  
ნაკლულ ჭიაყელას მიუგავდა.

„ის თავქარიანები?“ — გუნებაში იყითხა დურუმ, თავს  
სამსჯავროს წინ გრძნობდა და არ იცოდა, ხელები სად წაეღო.

— არტისტები! — ზიზღით წარმოთქვა ძმათაგან ერთ-  
მა, დათომ.

— დაჯე, შვილო, დაჯე! — დაფაცურდა კატო, სკამი  
გამოუჩინა. ხელები უკანკალებდა და ამის დამალვას ცდი-  
ლობდა.

დურუ დაჯდა, ხელები მაგიდაზე დააწყო, თვითონაც  
ისეთივე მსხვილი და კოტიტა ჰქონდა, როგორც სიორდიებს.

„რას იბრიქებიან! — გული მოეცა. — გამოვიდნენ თი-  
თო-თითოდ, მივაწვენ ერთიერთმანეთზე!“

ცისანა კედელს მოწყდა, მეუღლის უკან გაჩერდა, მხრე-  
ბზე ხელები დააწყო და ჩოქოროს მიაჩერდა:

— რა ვქნათ, ახლა, მამა?

— რა ვქნათ, რა ვქნათ! — ბრაზით წამოენთო ჩოქორო.

— ახლა მეკითხები ჭკუას? ქუჩა-ქუჩა ტანტალს ისა სჯობდა,

წესიერად გესწავლათ! არიქა ძაძუას რომ აჰყევით, რაიმე ხე-ირს შეგყრიდათ? იმას ლუკმა ვერ უშოვია, ქვეყნის ბედ-ილბ-ლის გადაწყვეტას კი ლამობს! ვინ მოგცემთ მაგის ნებას? მე თქვენ გეკითხებით, ვინ მოგცემთ მაგის ნებას? არ იცით, რომ მთავრობას გრძელი ხელები აქვს, ჯარიც მისია და ცეკაც, ისე გაგაქრობენ, ვაი დედას დაძახებას ვერ მოასწრებთ!

— ვაი, შვილო! — გულზე მუშტი შემოიკრა კატომ.

— ღირსი კი ხარ, გაგაციმბირონ, ოლონდ სიძე ხარ და, რამე რომ მოგივიდეს, ეს ჩემი ცოდვით სავსე შვილი სადღა წავიყვან!

დურუს იმედი მიეცა, სიმამრს ქვეშ-ქვეშ ამოხედა, ცისა-ნა კი განითლდა, ლოყები დაებერა.

ჩოქორო წინ გადმოიხარა, სიძეს თვალი თვალში გაუ-ყარა და ჩურჩულზე გადავიდა:

— ჭკუით იყავი! შინ წყნარად იჯექი, გარეთ ცხვირი არ გაყო! თუ ყველაფერმა იოლად ჩაიარა, ხომ კარგი, არადა, კაცი მყავს იქ, ისე მოიქეცი, როგორც ის გირჩევს, არ გაჯიქდე, იცოდე!

დურუს ხერხემალზე თითქოს ჭიანჭველებმა დასუსხე-სო... ვის რა უნდა დაუჯეროს? — ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონ-და, თუმცა მოფიქრებისათვის დრო საკმაო რჩებოდა, მაგრამ, სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, კარზე დაუკაუნეს.

გვიანი ღამე იყო. კატო თავის ოთახში იწვა, ძილი არ ეკა-რებოდა. ახალგაზრდები თავიანთ ოთახში შეიმალნენ, ლეიიბი იატაკზე დააგეს, ცოტა ხანს იჩურჩულეს, მერე ღონივრად იჯაჯგურეს და დაღლილებს და გაოფლილთ ჩაეძინათ.

ვიღაცამ კარზე რამდენჯერმე მორიდებულად წაჰკრა. სხვა დროს ამას, ალბათ, ვერავინ გაიგონებდა. ახლა კი დუ-რუს არსებაში შიში ჩაბუდებულიყო, უფრო სწორად, ზამბა-რასავით შეკუმშულიყო და უცბად გაიხსნა, გული შეუხტა და წამოკვდა.

ცისანასაც უმალ გამოეღვიძა:

— რა იყო?

— აკაკუნებენ!

ყური მიუგდეს.

— მოგეჩვენებოდა!

წინა ოთახში შუქი აინთო და კატომ შიშიანად გამოსძახა:

— მგონი კართან დგანან!

დურუმ პერანგი სასწრაფოდ გადაიცვა, კართან მივიდა და ხმაგაბზარულმა იკითხა:

— ვინ ბრძანდებით?

— კარი გააღეთ, — ხმადაბლა შეეპასუხა ვიღაცა, — უმჯობესია, ქვეყანას ნუ შევყრით!

დურუს თითქოს შესცივდაო. კატოს ფერი ეცვალა, ცისანამ კი უსიტყვო ზმუილი მორთო.

— ნუ გვალოდინებთ, კარი გაგვიღეთ! — გაუმეორეს აივნიდან.

დურუმ ურდული ძლივს გასწია, ღონე მთლად წართმეოდა.

აივანზე სამნი იდგნენ. ოთახიდან გამოსული შუქი მხო-ლოდ ერთს ეცემოდა, იმასაც შლაპა თვალებზე ჩამოფხატო-და და დურუმ ვერ იცნო.

— დურუ გეგია ბრძანდებით?

— დიახ!

— ჩაიცვით და გამოგვყევით!

დურუმ უმნეოდ მიმოიხედა, თითქოს გაქცევას აპირებ-სო, თუმცა, უმაღ მიხვდა, ვერსად გაიქცეოდა.

— იჩქარეთ, იჩქარეთ! — მკაცრად თქვა უცნობმა. — თქვენ კი შეწყვიტეთ! — ცისანას მიუბრუნდა. — ხმაური და ალიაქოთი არას გარგებთ! არაფერი ამ ყმანვილს არ დაუ-შავდება!

დურუმ პერანგზე კურტაკი მოიხურა, ფეხებზე ბათინკებს კარგა ხანს ვერ იკრავდა. ცისანამ დაუჩოქა და შეუკრა, თან ცრემლებს ყლაპავდა.

— რა იყო, შვილო, რა დავაშავეთ? — ხმა ამოიღო კატომ.

— ამას გავარკვევთ! — ზრდილობიანად უთხრა უცნობმა.

აივანზე დურუს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, მანქანამდე მიიყვანეს და უკანა სავარძელზე შუაში ჩაისვეს. ერთიც საჭეს მიუჯდა.

საკმაოდ გრილოდა, ცივი ჰაერი ყელში გადასცდა და კარგა ხანს ახველებდა. როცა დაწყნარდა, მაშინდა იგრძნო მეტად უცნაური, გულისამრევი სუნი.

— წინააღმდეგობა ხომ არ გაუწევია? — ჩახრინწული ხმით იკითხა მეოთხემ, მძღოლის გვერდით, წინა სავარძელ-ში რომ იჯდა.

ბნელოდა, მაგრამ დურუმ მაინც გაარჩია, წინ მჯდომს თითქოს ბენვის ქულაჯა ეცვა და ეს უსიამოვნო სუნიც მისგან მოდიოდა.

— უსიტყვოდ დაგვნებდა! — უპასუხა მძღოლმა.

— მისი ბედი... — ჩაიდუდუნა წინ მჯდომმა და დურუს გულისცემა მოუხშირდა, რადგან იმ კაცს არაადამიანურად წაშვერილი პროფილი ჰქონდა...

4

ეს ბიკენტის კაბინეტი იყო. დურუ აქ ადრეც ყოფილა, როცა სახელოვანი კომკავშირული სამეული ბიკენტიმ თავის-თან მოიწვია სასაუბროდ.

ახლა ბიკენტი თითქოს აორთქლდა, მის სახელს ტაბუ დაედო. ისე უჩუმრად ჩაფლეს კაცი მინაში, თითქოს ჭიანჭველა ყოფილიყოს. ხმა დაირხა, მთავრობამ აკრძალა მისი ღირსეული დატირებაო, ისე მოექცნენ, როგორც განდგომილსა და მოღალატეს ეკუთვნოდათ. რატომ იყო ბიკენტი განდგომილი და მოღალატე, არავინ იცოდა.

— ეს რა დამმართა მამაჩემმა! — შესჩიოდა მოგვიანებით ლესტამბე დურუს, უპირველეს ძმაკაცსა და მეგობარს.

— ძალიან დიდ უხერხულობაში ჩამაგდო...

დიახ, ლესტამბე მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ჯერ კარიერის პირველ საფეხურზე არც ჰქონდა ფეხი შედგმული, ახლა წაადგებოდა სწორედ ბიკენტის მხარდაჭერა (თუმცა იქნებ უარესიც ყოფილიყო ეს მხარდაჭერა, ხომ წათქვამია, ძნელია ერთ საკიდარზე ორი ქუდის დაკიდებაო!), იმან კი უგანა... ისიც ცხადია, თვითმკვლელის შვილს ეჭვით შეხედავდნენ, დაიწყებდნენ ჩაძიებას, თავი რატომ გაიმეტაო, ოჯახურმა ტრაგედიამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი თუ პოლი-

ტიკური კლიმატის შეცვლამო... რამე უნდა ეღონა ლესტამბეს, რამენაირად უნდა ჩაეფარცხა გაფუჭებული საქმე.

იღონა კიდეც!

ქალახდილ მამას რომ დახედა, მოთქმა და ვაება დიდ-ხანს არ გაუგრძელებია. ზინაიდა პეტროვნა დაამუნათა, ტირილით რამდენიც გინდა იტირე, მაგრამ მონოლოგებს ნუ და-ინყებო, ჩათვალე, რომ საყვარელი მეუღლე ტვინის ჩაქცევით დაგელუპაო. ზინაიდა პეტროვნას ჯერ ერთი უბედურება ვერ მოენელებინა, მეორის მოაზრება გასჭირვებოდა, იჯდა კუთხის ტაბურეტზე და უაზროდ შეჰქონდა კედელს.

ბიკენტის სული, ალბათ, ჯერ კიდევ ეთერში მილივლივებდა, ქალაქის ცნობილი პათოლოგონანატომი წიპა უკვე აქ ბრძანდებოდა, სავარაუდოზე მეტი ჰონორარით ჯიბე დამძიმებოდა და დიდი მონდომებით მუშაობდა. ოსტატი იყო წიპა, შეუძლებელს შეიძლებდა, ბიკენტის დანგრეული თავ-პირი მოაწესრიგა, სისხლიანი ტანსაცმელი ცეცხლს მისცა, განბანა და ახლები ჩააცვა. სხვა უცხო თვალს მოერიდა ლესტამბე და ასისტენტობა თვითონვე იკისრა, ცხელი წყლითა და საპნიანი ტილოთი აქრობდა სისხლისა და ტვინის შეფეხს...

ცნობაც ისეთი დაიწერა, როგორიც ლესტამბეს სურდა, ბიკენტი თოლორაიას ტვინში სისხლი ჩაექცა და ბოლო იმან მოუღოო. ვინ იყო სიმართლის დამდგენი? სისტემის ძველი კადრები ახლებით იცვლებოდა და ბიკენტის უცაბედი გაუჩინარება საქმისათვის სასარგებლო ჩანდა.

თბილი დღეები იდგა. მიცვალებული მთლიანად გაშავდა. ისეთი სუნი დადგა, გაძლება ჭირდა. ამიტომაც დაუჩქარეს დაკრძალვას, რუსის წესისამებრ მესამე დღეს გადაწყვიტეს. სამძიმარზე ბევრი არავინ მოსულა. ძველი კოლეგებიდან თითო-ოროლამ თუ გაბედა, სხვები სოროებში ისხდნენ გასუსულნი. რაიონის ადრინდელი თავკაცები, ადრე რომ მუხლების კანკალი ედგათ, დროის მონაბერს გადაჰყვნენ, ახლებს კი „ძველი სტალინისტის“ სახელის გაგონებაც არ სურდათ. მეზობლებიდანაც ბევრს არ შეუწუხებია თავი. თოლორაიებს კეთილმეზობლური ურთიერთობა თანაუბნელებთან არც ადრე ჰქონიათ და, ალბათ, ამიტომ. კუბოს მხოლოდ ზინაიდა პეტროვნა

უჯდა, ხმადაბლა ზმუოდა და სიტყვებს ერთმანეთთან ვერ აკავშირებდა... ნატაშა არც რძლებში ეწერა და არც სტუმრებში. თვითონაც ვერ გაეგო, ამ ოჯახურ ტრაგედიაში რა როლი უნდა ეთამაშა. კეკე გულწრფელად დაენანა. ბიკენტიც სხვაზე მეტად მოსწონდა. თუმცა ტანზე ძველებურად ჭრელი ხალათი ეცვა, თავი შავი მანდილით წაიკრა და ხანდახან ზინაიდა პეტროვნასთან ჩამოჯდებოდა, ოღონდ უხმოდ და უცრემლოდ.

მხოლოდ ეფრომ დაიტირა ბიკენტი გულიანად, კუბოს თავთან ჩამოჯდა და რეჩიტატივით მოჰყვა ძველ ამბებს... თავისი გერა გაიხსენა, მერე ტატაჩისა და მართას ამბავი ჩამოაგვირისტა, ცაცანას სული მოიხსენია, კეკეს ხსენებას მდუღარე ცრემლი მოაყოლა და ბოლოს ისიც დაუმატა, ბევრი ცოდვა მიგაქვს, ბიკენტი, მინაში, სულდამძიმებული მიღიხარ, მაგრამ უფალს შევთხოვ, გაპატიოს, მე, ჩემი მხრიდან, მიპატიებიაო...

გაცოფდა ლესტამბე, სულ კბილები აღრჭიალა, მაგრამ დედაბერს მოთქმა-ტირილი ვერ შეაწყვეტინა. საკუთარ თავზე მოსდიოდა ჯავრი, მართალი თოდუას გამზრდელი შინ როგორ შემოვუშვიო. კიდევ კარგი, მსმენელი არავინა ჰყავდა ზინაიდა პეტროვნას გარდა, ამას კი სიმწრისაგან სმენა დაქვეითებოდა და ენის ბორძიკიც დასჩემდა.

კუბოს ამწევი ძლივს იშოვა ლესტამბემ, ორიოდე პენსიაზე გასული „ძველი ბოლშევიკი“ და ტუჩია ძიგუა, ეს ქურდი და მამაძალლი, აქეთ მხარი რომ სასახლისთვის შეუბჯენია, იქით კი ფარულად ნატაშას თვალს უპაჭუნებდა.

დამარხეს ბიკენტი საგვარეულო სასაფლაოზე, მამამისის, ძლვიბი თოლორაიას და კეკეს საფლავებს შორის. ძლვიბის საფლავს წითელი ვარსკვლავი ამშვენებდა. კეკეს საფლავზე დაფენილი ყვავილები ჯერაც სიცოცხლით ხასხასებდა. ბიკენტის საფლავზე კი მინა დააზვინეს და ლესტამბეს სინდისზე დარჩა მისი მომავალი...

— დაგვიბერდი, მგონი, ბატონი, — ყურში ჩამჩურჩულა იესემ, ჩემმა მკითხველმა, — წუთის წინ დურუ გეგიას დაპატიმრებაზე გვესაუბრებოდით, მერე კი ბიკენტის დაკრძალვაზე გადაერთეთ...

— აჲ, მაპატიეთ, გეთაყვა, — მოვუბოდიშე ერთგულ მკითხველს, — აგერ, ლესტამბე თოლორაია მშობლების სა-

დღეგრძელოს სვამდა და იმან გამიყოლია... რაც შეეხება დურუს...

დურუ გეგიამ, ჩვენი სუფრის თამადამ, მუშტი მაგიდაზე დადო (მინდოდა, დამეწერა „დასცა“ ან „ხეთქა“, მაგრამ მაშინ ჭურჭელი ზრიალით დაიფშვნებოდა). იმოდენა ჰქონდა, წყნარად დადებულიც საშიშ შთაბეჭდილებას ახდენდა. სასმელი-საგან წამოჭარხლდა, თვალებს მრისხანედ აბრიალებდა, ისე სუნთქავდა, ჰაერს ბათმანობით ისრუტავსო.

— ესენი სად იყვნენ მაშინ? დიახ! სად იყვნენ მაშინ, როცა ჩვენ ტანკებით გადაგვიარეს, როცა ვავა ზარქუას ტყვიით შუბლი გაუხვრიტეს, როცა ბიკენტიმ, აგერ, ძმაკაცის, ვალიკოს მამამ პროტესტის ნიშნად ტყვია ჰირში იკრა... ჩვენ კი, მაშინდელი მიტინგების სულისჩამდგმელებს და ლიდერებს, დიახ, ლიდერებს, ღამდამობით გვიჭერდნენ... დიახ, კარზე გვიკაკუნებდნენ... დიახ, გვიკაკუნებდნენ... ესენი სად იყვნენ მაშინ?.. აბა, გენახათ იმ კაცის სიფათი...

მართლაც ვირთხასა ჰგავდა! ჩია კაცი იყო, სული რომ შეგებერა, კედელს ააკრავდი. არადა, ისე მყარად იჯდა ბიკენტის სავარძელში, ისე საფუძვლიანად, გეგონებოდა, ტყვიის-განაა ჩამოსხმული და ძვრას ვერ უყოფო. პატარა, ვიწროშუბლიანი თავი ჰქონდა, უხეში ჯაგარი წარბებს ზემოთ ორი თითის დადებაზე ეზრდებოდა. თვალები შავ წერტილებს მიუგავდა. დრუნჩი წინ წამოეგდო, ცხვირ-პირი სოლივით გაეშვირა, ნიკაპი გაჰქირობოდა და ვირთხას ამიტომაც თუ მიამსგავსა დურუმ.

ხმადაბლა, აუღელვებლად უხსნიდა:

— შენ არ იცი, რა არის ბოთლზე დაჯდომა? შენ ეს არ გამოგიცდია... რამდენი კილო ხარ? ოჲ, ოჲ, ასი მაინც იქნები!.. წარმოსახვა გიმუშავებს? აბა, წარმოიდგინე, ამ ჩვენს პრიალა პარკეტზე დავდგამთ ბოთლს, ჩვეულებრივ, წახმარ ბოთლს... გარეცხვაც არ სჭირდება... რად უნდა გარეცხვა, მაინც ტრ...ში უნდა შეგეტენოს... დავდგამთ ამ ბოთლს პარკეტზე და დაგსვამთ ზედ, არა, დუნდულებით არა, უკანა ხვრელით... ამ სიმძიმე კაცი რომ დააწვება, ბოთლი თანდათან შევა იქა. იმედია, პედერასტი არა ხარ, ამან რომ გასიამოვნოს...

ჰაპაპა... სკოლაში ანატომიას ცუდად სწავლობდი? იქ ნერვების დაბოლოებაა, კედლები ჩაგხევა, შენ საშინლად გტკივა, იწყებ ღრიალს, ის კი თანდათან შედის, შედის... სწორ ნაწლავში... წარმოიდგინე?

დურუს ოფლმა დაასხა, დაცხა, აურუოლებს... ფანტაზია მართლაც გაუცხოველდა, სკამზე ცქმუტავს, ვერ ისვენებს, მაგრამ წამოდგომის უფლება არა აქვს. სკამი იატაკზეა მიღურსმული და დურუს ეჩვენება, რომ თვითონაც ზედაა მიწებებული.

— თუმცა ბოთლი რად გვინდა? — ქირქილებს ვირთხა. — კი ხარ თუნთი, მაგრამ ხომ იცი, შენზე ღონივრებიცა გვყავს, ღონივრებიცა და ახვრებიც! გაგქაჩავენ, მაგიდაზე ბანრით მიგაბამენ, მერე ჩაგხდიან, რიგში ჩაგიდგებიან... კაი ამბებს მიუტან შენს ცისანას!

დურუს თვალთ დაუბნელდა, საფეთქლებზე სისხლი ჩაქუჩივით ურტყამდა... ნეტა სად წავიდა მისი ქებული ვაუკაცობა, მისი უზომო ძალ-ღონე. ახლა მომჩვარული იჯდა, ბავშვიც მოერეოდა. თავი ჩაექინდრა, ზევით ვეღარა სწევდა.

ნაბიჯის ხმა ჩაესმა. შიშიანად აიხედა. კაცვირთხა გამქრალიყო. ბიკენტის სავარძელში სხვა იჯდა, მოხდენილი ვაუკაცი, დავარცხნილი, გაპარსული, ჰალსტუხიანი... სანდომიანი...

გაუღიმა. პაპიროსის კოლოფი წინ დაიდო, ერთი ღერი ამოაძრო და გაბოლა.

— ენევი?

დურუმ თავი გაუბედავად დაუქნია.

ახალგაზრდამ კოლოფი მისკენ მისწია.

— შეგაშინეს? სისულელებს გეტყოდნენ! ჩვენ რა, მხეცები ვართ? ჩვენს სისტემაში სულ უმაღლესგანათლებული ხალხი მუშაობს. მიხაილიჩი გვირევია ერთი, ძველი კადრია, ვერაფრით მოვაშლევინეთ... მაგრა შეგეშინდა?

დურუმ საცოდავად გაუღიმა.

— ჩვენ ხომ ინტელიგენტები ვართ! — ახალგაზრდამ ბოლი მოხდენილად გამოუშვა. — რად გვინდა კატათაგვობანა? ძალიან კარგად ვიცით, ვინცა ბრძანდები! შენ შენს კომუნისტურ მრნამს, ცხადია, არ უღალატებ, მაგრამ ჩაგითრიეს...

დურუმ უნდოდ დაუქნია თავი, ბოლო სიტყვებმა შეაყოფანა.

— ხომ გვეთანხმები, რომ, რაც მოხდა, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედება და არ შეიძლება, დაუსჯელი დარჩეს!

დურუს გული კვლავ ჩაუვარდა.

— ვიცით, პირადად შენ არაფერი დაგიშავებია! არც სხვების დასჯას ვაპირებთ ძალიან. ძველი დრო კი არაა, ახლა სხვა ვითარებაა, აღმზრდელობითი ღონისძიებები უნდა ჩავატაროთ და ეგაა... შენ ახალგაზრდა ხარ, მთელი ცხოვრება წინა გაქვს...

დურუმ ნერწყვი გადაყლაპა, უნებლიერ თავი დააკანტურა.

— იფიქრე, იფიქრე! — ახალგაზრდამ, რაკი დურუ ვერ ბედავდა კოლოფიდან პაპიროსის ამოღებას, თვითონვე მოუკიდა და მიაწოდა. — ისე მე მიხო მქვია!

დურუმ ნაფაზი სიამოვნებით დაარტყა, ერთი ღერი სიგარეტი თავისუფლების ტოლფასი მოეჩვენა.

მიხო წამოდგა, იფიქრე, იფიქრე, დაუბარა და გავიდა.

უმალ მიხაილიჩი გამოჩნდა. გაფარჩეული ფრჩხილები წაატანა, პაპიროსი პირიდან წაგლიჯა და საფერფლეში ჩაჭყლიტა.

— აქ ჩვენ სანატორიუმი კი არა გვაქვს, სკამზე გაიტყლარჭო და გემოზე აბოლო! აქ შენნაირები საკუთარი ფეხით შემოდიან, მაგრამ აქედან საკაცით გააქვთ. მიხვდი? ზიხარ ჩუმად და აბოლებ, ვითომც უცოდველი კრავი იყო... აი, ჩაგიყვანენ კარცერში... მერე იცი, რა საამო რამე?.. ბეტონის კარადაა, მუხლებამდე ტალახიან წყალში ჩადგები, ისე ვიწროა, ღიპი თუ არ შეიგდე, რეინის კარს ვერ ჩაკეტავენ... ბნელა, შიშველ თავზე კი წვეთი გეცემა... ტკაც! მერე ისევ ტკაც!.. ჯერ არ გსიამოვნებს, მერე მოგეჩენება, რომ თავში უროს გირტყამენ. ორი საათი ორ დღე-ღამედ გაგიხდება, ტკივილისაგან აღრიალდები... ცოტაც და საგიჟეთი გამოწერილი გექნება...

სიტყვას ზოზინით წელავს მიხაილიჩი, თავი ოდნავ შეუბრუნებია, თითქოს დურუს გულისცემას აყურადებსო. ხე-

დავს დურუ ვირთხის პროფილს და მის გულს ისეთი ბრაგუნი გააქვს, ალბათ, კარს მიღმაც ისმის.

კვლავ მიხომ შეცვალა მიხაილიჩი, სიგარეტი გააბოლა, საქმიანად შეხედა, დასამშვიდებელი სიტყვები დაუგდო:

— რისი კარცერი, ჩვენი კარცერი მხოლოდ საშიშ ბოროტ-მოქმედთათვისაა განკუთვნილი, თანაც იგი ჩვეულებრივი, მშრალი ოთახია, ოღონდ კომფორტის გარეშე... ან შენ რა დაგი-შავებია ისეთი! ახლა ქალალდებს გავაფორმებთ და ვფიქრობ, შინ გაგიშვათ, რა თქმა უნდა, ჭკუით თუ იქნები...

დრო გადის, ღამე ნელინელ თავდება. დურუს ტვინში ერთმანეთს ეცილება ორი ხმა — მიხოსი და მიხაილიჩისა. ისინი გვერდიგვერდ გაისმის, როგორც რეჩიტატივით ნათქვამი დურეტი და შავ-თეთრის სწრაფი მონაცვლეობისაგან თავში დომხალი აქვს, ვერაფრით გაურკვევია, რა უნდათ მისგან, რას მოითხოვენ...

დაღლილობისაგან სკამზე ძლივსა ზის, ლამისაა, იატა-კზე გაწვეს... „რა გინდათ, რა გინდათ ჩემგან?“ — ფიქრში წამ-დაუნუმ იმეორებს, მაგრამ ხმამალლა რამენაირი პროტესტის გამოხატვას ველარა ბედავს.

გამთენისას კარი გაიღო. დურუ ზურგით იჯდა, შემო-სასვლელს ვერ ხედავდა. ვიღაცამ ისე გაისრიალა, თითქოს იატაკს ფეხს არ აკარებსო. დურუ შემობრუნებასაც ვერ ბე-დავს. ამასობაში სტუმარი მიხაილიჩის ყურთან იხრება, რა-ლაცას ჩასჩურჩულებს, თან დურუს მოსჩერებია, მზერას არ აცილებს.

ლესტამბე თოლორაია!

ეს შეუძლებელია, აქ რა უნდა ლესტამბეს? ასე შინაუ-რულად, ასე თავდაჯერებულად შემოდის, ამ საშინელ კაცს ძველი ნაცნობივით ეჩურჩულება და ის, მეორეც, მიხო, ყურა-დლებად ქცეული მისკენ გადმოხრილა.

— მიხაილიჩ, ეგ დურუ გეგია, ხომ იცი, ჩვენია! — ხმამა-ლლა ამბობს ლესტამბე.

— ვნახოთ, ვნახოთ! — თქვა მიხაილიჩმა და მტაცებლის წვრილი და გრძელი კბილები გამოაჩინა.

უკან, კარისაკენ გასრიალდა ლესტამბე. გვერდით რომ ჩაუარა, დურუს მხარზე ხელი გამამხნევებლად მოუთათუნა და გაქრა.

დურუმ ღრმად ჩაისუნთქა, ფილტვები დაებერა. შიშიანი შვება იგრძნო, ობლისა და მიტოვებულის განცდამ გადაუარა.

— მე... — ენის ბორძიკით წამოიწყო.

— ჰო, შენ... — შეაშველა მიხაილიჩმა, წინ გადმოიხარა, მიხომ კი თეთრი ქალალდი მოიმარჯვა და საწერკალამი მე-ლანში ჩააწო.

ალაპარაკდა დურუ, ენას კლიტე აეხსნა. სიტყვები წყა-ლივით მოედინებოდა. მის ტვინში თითქოს რაღაც მექანიზმი ჩაირთო, არ შეეძლო, გაჩერებულიყო, არ შეეძლო, ნათქვამი აეწონა, წისქვილივით ფქვავდა და ფქვავდა... უფრო სწორად, ძაფივით ართავდა, უფსკრულში ჩასაშვებ თოკსა წნავდა, იმ თოკს კი იგი ბერები ფსკერიდან დღის სინათლეზე უნდა ამო-ეყვანა.

არავინ აწყვეტინებდა, ჩუმად უსმენდნენ.

ამასობაში მზემ ფანჯარას მოანათა, ეტყობა, საკმაოდ ამოგორებულიყო, რადგან მეზობელი შენობა უშლიდა და, რაკი შემოიხედა, ალბათ, დღის თერთმეტი იქნებოდა.

დურუ უცებ შეფერხდა, ბოლო სიტყვა რამდენიმეჯერ გაიმეორა, თითქოს წყარო ამოენურაო და დადუმდა, თავის ფრჩხილებს დაუწყო თვალიერება, საკუთარ მჭევრმეტყ-ველებას დაერეტიანებინა.

მიხაილიჩმა და მიხომ ერთმანეთს რაღაცა გადაუჩურ-ჩულეს, ქალალდები ააშრიალეს, მერე ერთი გავიდა, მეორე დარჩა... კარი კვლავ გაიღო, ოთახი ფეხის ხმით აივსო, სკამე-ბი მისწი-მოსწიეს და დურუმ მხოლოდ მაშინ აიხედა, თვალე-ბი გაუფართოვდა.

მის წინ მართალი თოდუა და არიქა ძაძუა ისხდნენ.

რაღაცამ იფეთქა დურუს სულში, რაღაც გორგალი ყელ-ში გაეჩირა, თითი ჭაბუკებისაკენ გაიშვირა და ჩაიხრიალა:

— თქვენ... თქვენ... — მერე ახველა და ახველა, ყელი ძლივს ჩაინმინდა, თვალებაცრემლებულმა უკვე გამართუ-

ლად იყვირა: — მე ხომ გეუბნებოდით!.. ხომ გირჩევდით!.. არ მომისმინეთ, ხომ?.. ყველაფერი თქვენი ბრალია!

არიქას პირი ზიზლისაგან მოექცა:

— დიახ, ყველივე ჩემი ბრალია!

მართალიმ სიბრალულით შეხედა ძმაკაცს:

— ჩემიც, რა თქმა უნდა... — მერე დურუს მიუბრუნდა და ლმობიერად უთხრა: — დაწყნარდი, შენ არავინ გაბრალებს!

დურუ ნერვულმა ცახცახმა აიტანა. თვალებზე ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდა, საწერკალამი ხელიდან უვარდებოდა. მის წინ დებდნენ რაღაცა ტექსტით შევსებულ ქაღალდებს, იგი კი ტიროდა და აკანკალებული ხელით ძლივს ანერდა.

არ შეეძლო თავის აწევა, არ შეეძლო, მზერა გაესწორებინა არიქას ზიზლიანი და მართალის ლმობიერი თვალებისათვის.

ოთახიდან მთვრალივით გავიდა, მუხლები ეკეცებოდა. გარეთ, მზეზე ლესტამბე თოლორაია ელოდებოდა...

## 5

— დაივიწყე, რაც ნახე და გაიგე! — უთხრა მაშინ ლესტამბემ დურუს. — ვითომ გესიზმრა!

— ხელი არ უნდა მომენტრა! — ყბა უკანკალებდა დურუს.

— რომ არ მოგენერა, ახლაც იქ იქნებოდი, თანაც ვინ გაიგებს ამის შესახებ, მე ვიცი და შენ!

დიახ, ორმა იცოდა, დურუმ და ლესტამბემ... და კიდევ იმათ, იმ კაბინეტში რომ ისხდნენ.

მიხო და მიხაილიჩი... რა უცნაურობა! რას წიშნავდა ეს სახელები? თვე თვეს მისდევდა, ის კი ვერა და ვერ ივიწყებდა ამ სახელებს. მრავალი თვის შემდეგ, როცა შიში გაუნელდა, როცა სამსახურებრივი მდგომარეობა უფლებას აძლევდა, თათბირზე სწვეოდა ამ დაწესებულებას, ტელეფონზე დაერეკა, საჭიროდ თუ ჩათვლიდა, თითო მკაცრად დაექნია (ეს უკვე მრავალი წლის შემდეგ), მაინც ახსოვდა კაცვირთხის არსებო-

ბა და იმ ახალგაზრდისა, თავის თავს რომ მიხო უწოდა. ეტყობა, ერთიც და მეორეც მერეთის სივრციდან გამქრალიყვნენ, იმიტომაც ვერსადა ხვდებოდა და ბოლოს, როცა ორნი, ის და ლესტამბე, ძმურად შეჭიკივებულნი, უცხო ყურს არიდებულნი, მაგიდას უსხდნენ, გაახსენდა ის ბნელი ღამე, ბიკენტის კაბინეტი, მიხო, რომელიც უქონავდა და მიხაილიჩი, რომლის სიტყვებისაგან აძაგძაგებდა...

— ვინ მიხო? — გაიკირვა ლესტამბემ. — შენ რაღაცა გეშლება! მიხაილიჩი? არც ასეთი ვინმე გამიგონია. ჩემი ამბავი ხომ იცი, მერეთში ყველა ძალლსა და მამაძალლს ვიცნობ, ასეთები კი არც მინახავს და არცა მსმენია!

დურუ უცბად გამოფხიზლდა.

— მაშ, არც გინახავს და არც გსმენია? — ჰკითხა.

ლესტამბე უცოდველი და მართალი თვალებით შემოჰყურებდა.

დურუს ტვინში ეჭვი აფუთფუთდა. ძმაკაცსა და მეგობარს, იმდამინდელ მის გადამრჩენელს, თურმე გამოჭერილი ჰყოლია. მისთვის ობობის უხილავი ქსელი მოუქსოვია, ბოლო მაგრად უჭირავს და, როცა მოისურვილებს, მაშინ გამოძლება მისი სისხლით.

— დაივიწყე-მეთქი, ხომ გაგაფრთხილე! — ლესტამბეს უწამნამო ქუთუთოებიდან ყინულმა გამოანათა. — ის ღამე მოთავდა და მეტი არ გამეორდება, წინ იყურე!

— მაგრამ მართალი და არიქა... — გაუბედავად ჩაიწუნენა დურუმ.

— იმათ ის მიიღეს, რაც დაიმსახურეს! — ლესტამბეს ხმა გაუმკაცრდა. — საზოგადოება მაშინდა იქნება ჯანმრთელი, როცა წყლულიდან ჩირქს ამოირნყავს! იმათთან ძმაკაცობა შენ არაფერს გარებდა, დაღუპვით კი დაგღუპვავდნენ! — უცებ გაიცინა, მხარზე ხელი დაჰკრა. — ჭორი დასარსალებს ქალაქში, შენზე ამბობენ, კომკავშირის მდივნად გაქაჩივენო. ძმაკაცს უმალავ თურმე, ძმაკაცმა კი ყველაფერი იცის.

დურუ ბავშვივით განითლდა. დიახ, იყო ასეთი ლაპარაკი სათანადო ინსტანციებში. ჩოქოროს პურ-მარილებს ნამდვილად სწყალობდნენ ზევიდან. ქალაქში სტუმარი არ ჩამოვი-

დოდა, ლეოპოლდინას ჭერქვეშ ლხინი რომ არ გამართულიყო.  
ბუნებრივია, სიორდიების სიძე არ დაიჩაგრებოდა.

— ჰო! — მოკლედ წამოისროლა დურუმ, აქაოდა, ეს  
უმნიშვნელო ამბავია.

ეს ყოველივე ორმოცი წლის წინ მოხდა. ახლა დიდი დროა  
გასული. წარსულს ჩაბარდა კომკავშირული ასაკიცა და თანა-  
მდებობებიც. კარიერის კიბე ხანგრძლივი და წარმატებული  
აღმოჩნდა, რომ არა ძმა და მეგობარი, ლესტამბე თოლორაია,  
რომელსაც აბლაბულის ბოლო მუდამ ხელში ეჭირა.

— აი, ის განსხვავებული მომართვით! — ბრძანა დურუმ.  
— ძალიან დიდი არ არის, სულ ორი ჭიქა ჩადის, მაგრამ ჩვენს  
ოჯახში ამ სასმისით ტრადიციულად ისმება ჩემი უპირველე-  
სი მეგობრის ვალიკოს სადღეგრძელო! — ბოლო სიტყვა წაიმ-  
ლერასავით, ბროლის სასმისი შეავსო და, რაკი მე ჩემს ჭიქას  
ხელისგული დავაფარე, წნევიანი ვარ და მეტს ვერ დავლევ-  
მეთქი, მეორე ასეთივე სასმისი სიძეს, თენგიზ დიხამინჯიას  
გადაულოცა.

ვალიკო ვინდაა-მეთქი, კინალამ წამოვიძახე, მაგრამ  
ჩემმა მკითხველმა იესემ (თურმე ზურგსუკან აჩრდილივით  
მედგა!) მხარზე ხელი დამაჭირა და ყურში ჩამჩურჩულა:

— უხერხულია, ბატონო, უნდა ამ კაცს, რომ ვალიკო  
იყოს და იყოს ვალიკო!

საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, „ფანტა“ დავისხი და  
მოვწრუპე... იმას ჩავუფიქრდი, თუ ამ ხნის მანძილზე რატომ  
ჰყავდა მეგობარს დურუ ძაფის ბოლოს გამობმული? ნუთუ მან  
ისეთი ვერაფერი მოიაზრა, იქით გამოეჭირა ლესტამბე -ლეს-  
ტან-ვილენ-ვალიკო... ეგეც ხომ არ ცხოვრობდა ამ წუთისო-  
ფელში წმინდანის ცხოვრებით?.. და მაშინ მეხსიერებაში  
კვლავ ნატაშას მივუბრუნდი!

— სულ ვირთხა, ვირთხა, ვირთხა... — უჟმურად დაიჭყა-  
ნა იესე. — ქოსა ძლვიბია ვირთხა, მიხაილიჩი ვირთხა, ახლა  
კიდევ ერთი ვირთხა...

ჩემს მკითხველს აშკარად არ მოვწონდი, მაგრამ, რა მექ-  
ნა, სიმართლეს ხომ ვერსად გავექცეოდი!

დიახ, ნატაშას უდროოდ ატკივდა მუცელი... თავდაპირ-  
ველად მუცელი რომ წამოებურცა, ატირდა, იფიქრა, კიბო  
მჭირსო და თავი შეებრალა. ბიკენტის დასაფლავებიდან ერთი  
კვირის შემდეგ მოხდა ეს ამბავი. ანერვიულდა ლესტამბე, ექი-  
მის მოყვანა ცუდად ჰქონდა დაცდილი და ახლაც დაუგვიანდა.  
ექიმზე ადრე ცისანა და დურუ ესტუმრნენ ავადმყოფს, ხილი-  
თა და კამფეტებით მოიკითხეს.

ლესტამბემ კონიაცი გახსნა, სასტუმროს სიგრილეში  
ისხდნენ, წრუპავდნენ და თხილს აყოლებდნენ.

ცისანამ კაცები მიატოვა და ნატაშას ააკითხა. თვითო-  
ნაც ხომ ახლადგათხოვილი იყო, ბევრი გამოცდილება არც მას  
ჰქონდა, მაგრამ ლეოპოლდინას გაკვეთილებს მთლად უქმად  
არ ჩაუვლია და ავადმყოფს რომ შეხედა, უმალ ეს იფიქრა,  
ფეხმძიმედააო.

ნატაშა საწოლზე იჯდა. ზურგით ბალიშს მიყრდნობო-  
და, საბანი წელამდე აეზიდა და მუხლებზე წიგნი ედო. ღამის  
პერანგში გაბუშტული მკერდი იკვეთებოდა, მუცელი საგრ-  
ძნობლად წამოზრდოდა.

ფერი გასცურეცოდა, უპეები ჩაღამებული ჰქონდა.

— გეთაყვა, კარგად უნდა ჭამო! — დაუყვავა ცისანამ.  
— ხომ იცი, ბავშვს ვიტამინები არ უნდა მოაკლდეს!

ეს, რა თქმა უნდა, ლეოპოლდინას სიტყვები იყო, თუმცა  
თვითონ ცისანა უმადობას დიახაც არ უჩიოდა.

— Отчего я могла обрюхатиться, если мужика год не видела!

— უცბადვე მოუჭრა ნატაშამ.

ცისანას უხერხულობისაგან ლოყები აეწვა.

— Не видела? — უაზროდ იკითხა.

ნატაშას ნათქვამიდან საჭიჭმანო დასკვნის გამოტანა  
შეიძლებოდა: ერთი, რომ ლესტამბეს ახლოსაც არ იკარებს  
და ფეხმძიმედაც არ უნდა იყოს, მეორე — მანამდე სხვა კაცი  
ჰყოლია და...

ცისანას ლესტამბე სულაც არაფრად ეპიტნავებოდა, გუ-  
ნებაში უხსენებელს ადარებდა და, ქმრის რიდი რომ არა, მინ  
საერთოდ არ მიიღებდა. გაუხარდა კიდეც, ეს ლამაზი ქალი იმ  
უხსენებელს რომ არ იკარებს, მაგრამ მაშინ ნატაშას მართლაც

რაღაცა სჭირდა. ხანდახან ისეთი ტკივილები მომივლის, თითქოს შიგნიდან ნაწლავებს მაგლეჯენო, — შესჩივლა.

საწოლზე ჩამოუჯდა ცისანა, ხელისგული მუცელზე დაადო, შიგნით თითქოს რაღაცა ამოძრავდა, მსუბუქი ბიძგი იგრძნო.

— ერთი წელიო, იძახი! — გაეცინა. — ალბათ, ძილში თუ წამოგეპარა!

ნატაშა საშინლად გაფითრდა, ტუჩები აუკანკალდა.

შეშინებული ცისანა ფეხზე წამოხტა.

ნატაშამ თითი კარისაკენ გაიშვირა და ამოიჩემა:

— ვირთხა, ვირთხა!

მისი ხმა კაცებმა გაიგონეს, ერთმანეთს გადახედეს. დურუს ყელში თხილი გაეჩხირა, ხველება აუტყდა. ნირნამხდარმა ლესტამბერ ხელები გაკვირვებით გაშალა:

— რამ გააგიუა ნეტავი?

ფეხაჩერებით აძუნძულდნენ ზევით. ლესტამბე გზა-გზა იმეორებდა, „გაგიუდა ეს საცოდავი, რა უნდა ნეტავი!“ დურუ კი კვლავ ახველებდა, თუმცა სპაზმამ გაუარა და ყელში ელიტინებოდა მხოლოდ.

ოთახში შესულ ლესტამბეს თითქოს სილა გააწესო, მოწყვეტით ესროლეს:

— ვირთხა!

— გრცხვენოდეს, ნატაშა, სტუმრებში თავსა მჭრი? — შეტევაზე გადასვლა ამჯობინა ლესტამბერ. — შენ სხვა ექიმზე მეტად ფსიქიატრი გჭირდება! ბოლოს და ბოლოს, ამ გაუგებ-რობებს წერტილი უნდა დაესვას!

— აჲ, წერტილი უნდა დაესვას? — იკითხა ნატაშამ. — მაშ, ვინ იყო ის ვირთხა, ბნელ კუპეში, გულწასულს რომ მჯიკ-გნიდა?

— შენი გიუური სიზმრები შენთვის შეინახე! — ხმა გაებზარა ლესტამბეს.

— მაშ, სიზმრისგან ფეხმძიმდებიან, ხომ? საცოდავი დედაბერი, ცხადია, ჩემმა სიზმრებმა გამოასალმა სიცოცხლეს!

— ახლა მატრენაც მე ამკიდე!

— უბისა! — წამოიძახა ნატაშამ, ბალიშზე დაეცა და ისტერიულად აქვითინდა.

გეგიებს თითქოს ყურისძირში მატარებელმა გადაიგუ-გუნაო, დაყრუებულნი იდგნენ.

პირველად ცისანა მოეგო გონს, ნატაშას დამშვიდებას შეეცადა:

— ნუ, ნუ, გეთაყვა, გულს ნუ იხეთქავ, ყველაფერი გა-დაივლის!

ცოლის ხმამ დურუც გამოაფხიზლა, კაი საქმე იყნოსა. ძაფის წვერზე კი იყო ჩამოკიდებული, მაგრამ თვითონაც ძაფს წაავლო ხელი, რომლის წვერზეც ამჯერად ლესტამბე ეკიდა.

— გავიდეთ, ჯიმა, ქალი ქალს უკეთ დაამშვიდებს! — ჩასჩურჩულა.

კვლავ ქვევით დაემვნენ. ერთხანს უხერხულად დუმდნენ, მერე ლესტამბემ ჩივილი მორთო: ხომ ხედავ, რა ლამაზია ეს ოხერი, მთელ ქალაქში ეგეთს ვერ იპოვი, ნამდვილი ჩრდილოელი მზეთუნახავიაო... მოსკოვში ყოფნისას გულში ჩამივარდა და ველარ ამომიგდიაო... ისედაც ხომ ნახევრად რუსი ვარო... მამამისი, სანამ დაიქვერდნენ, დიდი კაცი იყო, თუ მოინდომებდა, ხელს წამკრავდაო... ამიტომ წამოვიყვანე, მისი ცოლობა მსურდაო... ეს კი, ეტყობა, ცოტათი აფრაკადაა, ჰალუცინაციები აწუხებსო... მამის დაპატიმრებამ ტვინი აურიაო... არ ვიცი, რა ვქნაო... ცოლად შევირთო, ჰატიმრის შვილია და სამსახურში ხელს შემიშლისო... გავაგდო, ისეთი ლამაზია ეს ოხერი, რანაირად შეველიოო... თანაც შვილს გამიჩენს და რა ვუყოო... ეჲ, საყვარლობაზე რომ დამთანხმდებოდეს, სადმე „სეკრეტნი“ ბინას დავუქირავებდი და დედოფალივით ვაცხოვრებდიო...

ასე არეულად ლაპარაკობდა ლესტამბე და ვერ გრძნობდა ხაფანგს, დურუს ტვინში რომ გაჩხაკუნდა...

უხმოდ უსმენდა დურუ, შეწუხებული შეჟყურებდა და შიგადაშიგ ოხვრას ამოუშვებდა. მერე ხმას გულითადობა შესძინა და უთხრა:

— ხელი ხელს ბანს, ჯიმა! შენ ხომ ნამეხმარე, ახლა მე წაგეხმარები. ხვალეც ასე ვქნათ, ზეგაც და ვიაროთ წინ!

— ეს როგორ?

— ცისანას მოვეთათბირები. ქალს დროებით ჩვენთან გადავიყვანთ, დავამშვიდებთ, დავაწყნარებთ, ექიმს მოვუყვანთ... ფეხმძიმობისას ქალები ნევრასტენიკები ხდებიან... თანდათან ეჭვი გაეფანტება, მერე ანგელოზი გაჩნდება და, ხომ იცი, თოთო ბავშვი წამალია... დანარჩენი მერე მოვიფიქროთ...

ასეც ქნეს! ნატაშამ მანქანიდან ერთი მოიხედა თოლორაიების სახლისაკენ, ფუიო, მიაძახა და მეტი იქითკენ არ მიბრუნებულა...

6

დურუ გეგიამ მოზრდილი სასმისი შეივსო, მოიჩოჩა, გადმოგვხედა და უცებ ჭერზე ნათურებმა წკაპანი გაადინა, ჩაქრა.

— გაგიხმეს გამომრთველი ხელი! — მიაწყევლა ქალბატონმა ცისანამ.

— ასანთი, ნეტავი ასანთი სად დავდეთ? — მოისაკლისა ეთერმა.

თენგიზმა სანთია გააჩხაკუნა. მკრთალმა ალმა გაანათა სახეცები.

დურუსა და ცისანას აღაუღაუებული სიფათები მრუმე სიბნელემ ჩააშავა. მხოლოდ კონტურებს ვხედავდი მასპინძლებისა. სიბნელეში თითქოს თივის ორი ზვინი წამომართულაო ანდა ორი ბაყბაყდევი, ერთი ცოტათი მეტი, მეორე ცოტათი ნაკლები, მაგრამ ორივენი დევები, კაცთა ხორცით გამოკვებილი, როგორც ზღაპრებში წერია. ეს არცთუ ორიგინალური შედარება ტვინში დაბადა მოულოდნელმა უკუნმა, თუმცა თვითონაც არ ვიცი, რას ვერჩოდი ჩემს ბუთქუნა პერსონაუბს, დიდტანიანი ადამიანები ხომ უფრო ხშირად კეთილმოსურნენი არიან.

ეთერქალმა ასანთი იპოვა და ლამპა აანთო. სიბნელე ნანილობრივ გაიფანტა, მაგიდაზე ახორავებული თეფშები გამოაჩინა, სახეებზე ჩრდილ-ნათელი აათამაშა, ირგვლივ კი მრუმე კარავი გადმოგვემხო და კედლები ჩაინთქა.

დურუს ფართო და ლამაზი სახე დამახინჯდა, ბნელმა ჩრდილებმა ბოროტი ორაზროვნება შესძინა.

— უდროოდ წასულები უნდა მედეგრძელებინა და, ალბათ, ამიტომ ჩამოწვა წყვდიადი! — თქვა პათეტიკურად.

— იმათ სახელებს რა ჩამოთვლის, ვინც გული გვატკინა, მაგრამ მე დავიწყებ იმ პირველი და დაუვიწყარი სახელით — კეკე...

ჩემი უპირველესი ტკივილიც ხომ კეკე იყო. იგი მე შევქმენი, რუდუნებითა და სიყვარულით აღვზარდე. მერე მოულოდნელად არსებობის ბნელ ლაპირინთებში დავკარგე. ახლა, ამ სუფრაზე მომეჩვენა, რომ კეკე კვლავ ჩვენთანაა, მისი სული თავს დაგვტრიალებს და გვლოცავს.

ხმადაბლა ვიკითხე:

— კეკეს შვილი ხომ დარჩა?

მდუმარება ჩამოწვა. ყველა ლესტამბეს მიაჩერდა, იგი კი თევზე დახრილიყო და მონდომებით ატრიალებდა შავად მბზინავ ზეთისხილს.

— ქრისტეშია... — თქვა მცირე დუმილის შემდეგ. — მამაჩემს თავი რომ არ მოეკლა, კეკეს ნაშიერს არავინ დაუთმობდა თოდუებს! ჩვენ თავზარდაცემულნი ვიყავით... კეკე, მერე ბიკენტი... დედა ავად გახდა, ნატაშას ფეხმძიმობამაც მოგვისწრო, მეც ხომ შვილს ველოდებოდი... იმ დედაბერმა, ეფრომ კი თავისი გაიტანა — ქრისტეშია შეარქვა...

საკუთარს ელოდებოდა და მართალი თოდუას ნაბიჭვარი შეიძულა. მართალი ციხეში იჯდა, უდღეური ჩვილი ამიტომ შეატოვეს ეფროს, იფიქრეს, დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებსო. შეუძლებელი შეძლო დაჩაჩანაკებულმა დედაბერმა... ქრისტეშია თოდუა კაცად გაზარდა...

საკუთარი ნაბიჭვარი? ისიც ბიჭი!

ბედისწერაა ყველაფერი!

— უცნაურია, უცნაური! — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია რაიონული მასშტაბის ყოვლისმცოდნე ექიმმა ბულისკერიამ.

რა იყო უცნაური? მელოგინე ქალი დროზე ადრე დაზომაზე მეტად რომ იტანჯებოდა? ან ის, რომ ნაყოფი ხან თავს

მოიმკვდარუნებდა, ხან კი ისე იქცეოდა, თითქოს დედის საშო სათარეშოდ და საჯიჯგნად მისცესო?

ცისანა ღონეს არ აკლებდა სტუმარს, მუდამ პიტკინა თეთრეულში ეწვინა, ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებით კვებავდა, მოსაფერებელი სიტყვებით უნანავებდა... ნამდვილი დიასახლისი დადგა ცისანა, დარბაისელი და ოჯახის მოყვარე. დურუს გული, ამის შემხედვარე, სიამაყით ივსებოდა, თუმცა ხანდახან ცისანას მნიფე ატმისფერი ლოყებიდან მზერა ნატაშას გაცრეცილ, სლავი მზეთუნახავის ნაკვთებზე გადაენაცვლებოდა და უნებლიერ თხვრა აღმოხდებოდა... ფეხმძიმეც ლამაზი იყო ეს ოხერი! ფიქრთა მდინარებაში დურუს ზოგჯერ შეეპარებოდა უთქმელი აზრი, თუ „სეკრეტნი“ ბინაზეა ლაპარაკი, ლესტამბეზე მოხდენილი ჯეელი ხომ ვარ და ვარო... ეს ნაადრევი ფიქრი მომავალი სამზადისის ბუნდოვანი მაუწყებელი იყო, ჯერჯერობით კი, როცა თავისი თანამეცხედრის ძვალმაგარ სხეულს ეჯაჯურებოდა, წარმოსახვაში რუსეთის ქორფა ასული წამოუტივტივდებოდა და უნებლიერ კვნესა დასცდებოდა, რისი შინაარსიც, ბუნებრივია, ოჯახზე და ქმარზე თავგადადებულ ცისანას ვერ ამოეკითხა.

არადა, მასშიც უკვე ბუუტავდა ახალი სიცოცხლის სუსტი ლამპარი! ცისანაშიც ჩასახულიყო მომავალი, ბეჭნიერი სამყაროს მაცხოვრებელი.

— კომუნიზმის მოქალაქე! — იტყოდა დურუ, რადგან დარწმუნებული იყო, ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ მართლაც კომუნიზმი ამოყოფდნენ თავს.

„კომუნიზმის მოქალაქე“ გახდებოდა, ალბათ, ნატაშას ნაბუშარიც, რა თქმა უნდა, სააქაოს თუ შეეწყობოდა... ოქროს-ფერი შემოდგომა იდგა მერეთში. სიცივების მოახლოება იგრძნობოდა, მაგრამ ჯერჯერობით ცა გადასარკულიყო და მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. მოილია ლელვი და ყურძენი, აქა-იქტოტებს შერჩენდა ბია და ზღმარტლი, ყვითლად მნიფდებოდა ხურმა... ნატაშა მეშვიდე თვეში იდგა და არავინ ფიქრობდა, ბავშვი რომ უდროოდ დაიძვრებოდა. ცისანამ ქმარს სამსახურში დაურეკა, იტანჯება და რა ვუყო, ხელებში არ ჩამაკვდესო. დურუს სტუმარი ჰყავდა თბილისიდან, თავისი კბი-

ლა ნომენკლატურულ-კომკავშირული ლანირაკი, რესტორანში უპირებდა დაპატიუებას... ლესტამბეს დაურეკა. ამან, მეც თათბირზე ვარო და ბულისკერიას შეეხმიანა, მე ვიცი და შენი პატივისცემა, ქალი ჩემი კი არა, მთელი მერეთის სტუმარია და თავი არ უნდა შევირცხვინოთო. ამას ვითომ ხუმრობით ლაპარაკობდა, გული კი საგულეს არა ჰქონდა. ბულისკერიამ სასწრაფო გააგზავნა, კარგი გინეკოლოგი გააყოლა.

ცისანა პარმალთან დახვდა ექიმს, მღელვარებისაგან თითებს იმტკრევდა.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ტკივილებისაგან ჭერს ასკდება!

ექიმმა დახედა და, არიქა, სასწრაფოშიო, იყვირა.

სააკაცით ჩარბენინეს სასწრაფო მანქანაში. სამშობიარო განყოფილებაში თვით ბულისკერია დახვდა. მელოგინის ტანჯვას ჩვეულნი იყვნენ, მაგრამ წყალი ადრე დაიღვარა, იქნებ ნაყოფი ცოცხალი აღარააო, ერთმანეთს გადაუჩურჩულეს...

ლესტამბემ გუნებაში შეიგინა, ერთი მაგისი ისტერიკიანი დედაცო... ეტყობა, თვითონაც ვერ განესაზღვრა საკუთარ გულისთქმათა სიღრმე. თათბირზე ყურადღება დაეფანტა, სიტყვებს ვერ იგებდა, რაც სხვებმაც შეამჩნიეს, რა გჭირს, რა გტკივაო... ამან კოლეგებს ვერაფერი აუხსნა, მოიბოდიშა და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა.

სამშობიაროს კართან ცისანა დახვდა, სახე წამონთებოდა, თურმე მეკარე დედაკაცს წაეკინეკლავა. ვერაფერი გამიგია, შესჩივლა ლესტამბეს, თითქოს აუღებელი ციხესიმაგრე იყოს, პირში წყალჩაგუბებულნი დადიან და შეკითხვებზე აღარც მპასუხობენო. მაგათ ათ შეკითხვას ერთი მანეთიანი ურჩევნიათო, გაათვითცნობიერა ლესტამბემ, თუმცა თვითონ ჯიბეში კი არ იკრა ხელი, ისე დაუცაცხანა, ისე შეპლრინა, მეკარეს ფერი ეცვალა და კოჭლობით წაჩლახუნდა, უკან მობრუნებულმა კი ამბის მაგიერ თვით ბულისკერია მოიყვანა... ომგადახდილსა ჰგავდა ექიმი ბულისკერია.

— გადარჩა... დედა! — ჩაიბურტყუნა ამჯერად და ლესტამბეს ისე შეხედა, თითქოს მისგან დამსახურებულ სილაქებს მოელოდა.

ლესტამბემ ენა გადაყლაპა, მომლოდინედ შეჰყურებდა. ცისანაც გამტკნარებული იდგა, მერე ხელი ხელს შე-მოჰკრა:

— მთავარია, გენაცვალე, დედა რომ გადარჩა! ახალ-გაზრდები არიან, შვილს კიდევ გააჩენენ... — უცებ შეშინებულმა შეწყვიტა ეს ტირადა, თან ხელები მუცელზე შემოიწყო, ჩემს წიაღში ჩასახული შემთხვევით არ დავთარსო.

ბულისკერიამ ცისანას მოუბოდიშა, ლესტამბეს მკლავზე ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

— ბევრი სისხლი დაკარგა, ვიღენ ჩემო, რეზუს უარყოფითი აღმოაჩნდა, თანაც პირველი ჯგუფისა. დონორი ძლივს ვიპოვეთ, ხომ იცი, ვერავის დააძალებ... ადამიანის გადარჩენა ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა და, იცი, ვინ გამოავლინა ნამდვილად მაღალი ზნეობა? ტუჩია ძიგუა გამოგვეცხადა, ასე გვითხრა, ექიმო, სისხლი იმდენი მაქვს, ლამისაა ძარღვები და-მასკდესო... ცოდნია თურმე, რა სისხლიც ჰქონდა, ციხეში დამჭრეს და იმ დროს შემიმოწმესო... კი ბაქიბუქობდა, მაგრამ გული წაუკიდა. ეს, ხომ იცით, ძლიერ ადამიანებსაც მოსდით. ჰმ, ტუჩია ძიგუა... იცი, ვიღენ ჩემო, ეს რაღაც უჩვეულო იყო, ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა... ჰმ, ჩემს პრაქტიკაში კი არა, მეცნიერების პრაქტიკაში...

— რას გულისხმობთ? — მოთმინება დაეკარგა ლესტამბეს.

— დედა გადავარჩინეთ... ჰმ, ჩვენი დროული ჩარჩვა რომ არა, ნაყოფი მოკლავდა...

— მოკლავდა?

— ჰო! ნაყოფს, წარმოიდგინე, პატარა მხეცუნას თავი ჰქონდა, მტაცებლის კბილები, იგი შიგნიდან გამოჭამდა დედას!

— ექიმო, ავად ხომ არ ხართ? — უპეები დაუწვრილდა ლესტამბეს. — იქნებ გადაიღალეთ?.. ან იქნებ... — ეჭვი გაკრთა მის მზერაში. — იქნებ ჩვილი ხელებში ჩაგაკვდათ და იმიტომ იგონებთ!

— ნეტავი ვიგონებდე! — მხრები აიჩეჩა ბულისკერიამ. — ეჭვები რომ გაგიფანტო, ვიღენ ჩემო, იძულებული გავხდე-

ბი, ნაყოფი გაჩვენო... ოღონდ გაუძლებ კი?.. თანაც ამისი გა-ხმაურება...

— ჰო, დავხედავ! — ოდნავ მოლბა ლესტამბე, ცნობის-მოყვარეობამ შეიპყრო და ცისანას მიუბრუნდა: — შენგან და შენი ქმრისაგან უზომოდ ვარ დავალებული. აგერ, ამხანაგ ექიმს ვთხოვ, თეთრი ხალათი მოგცენ. ნატაშას ააკითხე, დააწ-ყნარე, ალბათ, გაგიუებულია... მე კი აქ რაღაცებს გავარკვევ!

ბულისკერიამ ექთანს ორი ხალათი მოატანინა. ერთი ცი-სანამ გადაიცვა და ექთანი პალატისაკენ წაუძღვა. მეორე ლე-სტამბემ მხარზე მოიხურა და ის და ექიმი სარდაფში ჩავიდ-ნენ. ჩაბელებული და ცივი დერეფნით იარეს. აქ წესტისა და წამლის სუნი იდგა და ლესტამბეს გულს აზიდებდა. თავი სიზ-მარში ეგონა ისევე, როგორც ადრე, სიზმრის ლიფტში გადა-ვარდნილი, ჭაში რომ მიქროდა, ფსკერზე კი ვირთხის წყვილი თვალი ბზინავდა.

დერეფნის ბოლოს რეკინის კარი ზერელედ იყო მიხურუ-ლი. უანგისაგან დეფორმაცია მიეღო და ჩარჩოში ვერ ჯდე-ბოდა. ბულისკერიამ გამოსწია, კარი უშნო ულრიალით დამორ-ჩილდა, თან ქვის იატაკი დაფხაჭნა.

ოთახს სუსტი, მოწითალო ნათურა ანათებდა. რამდენ-იმე დამტვერილი მაგიდა იდგა, ერთიც დიდი, საოპერაციო.

„მკვდრებს ფატრავენ!“ — ზიზლით გაიფიქრა ლესტამბემ, თუმცა ამ ზიზლს რაღაც სუსტი სიტკბოებაც ახლდა, როგორც შორეულისა და სიყრმისადროინდელის გამოძახილი. ჰაერი თითქოს შედედებულიყო, საყასბოს სუნს დაემძიმებინა...

ბულისკერია საოპერაციო მაგიდასთან გაჩერდა.

— აგერ! — მის მზერაში დაღლილობა იკითხებოდა.

მაგიდაზე მძორი ეგდო, სიდიდით ჩვილისოდენა, მაგრამ ეს არ იყო ადამიანის ნაშიერი... სველი ბენვი მოსავდა, პატარა კუდიც მოუჩანდა. ცხვირ-პირი წანვეტებული ჰქონდა, ღიად დარჩენილ პირში მტაცებლის ორრიგი კბილი ჩამწკრივებოდა.

ლესტამბეს ურუანტელმა დაუარა, თავზარდაცემული ფეხზე ძლივს იდგა.

— არა! — სასოწარკვეთით წამოიძახა. — არა! რატომ, რატომ მატყუებთ?!

— სამწუხაროდ, ეს დაიბადა! — ცივად თქვა ბულისკე-  
რიამ.

— ეს ხომ ვირთხაა! ეს არ არის ჩემი შვილი!.. ექიმო, რა-  
ნაირად უნდა მომხდარიყო?

— რთულია ბუნების კანონზომიერებანი! — ფლეგმა-  
ტურად დაასკვნა ბულისკერიამ.

— ეს შეუძლებელია, შეუძლებელია! — ამოიხავლა ლეს-  
ტამბემ.

ბულისკერიამ მხარზე ხელი მოჰვია და ოთახიდან გა-  
იყვანა.

ლესტამბე მთლად მოირღვა, ძლივს მოდიოდა, ტიროდა  
და გაუგებარ სიტყვებს ლულლუდებდა:

— ეს შეუძლებელია!.. არა და არა!.. ვირთხავ, შენ საიდან  
შემომიძვერი? იმან ქრისტეშია დაბადა, მე კი ვირთხა?.. იმისი  
ლდინი ვატირე! ვინ გამარინა ამ ქვეყანაზე, ვინ მომიგონა?  
ლმერთმა თუ ზურგი შემაქცია, მაშინ ეშმაქს შევეკვრები და  
შურს ვიძიებ!.. მე ნაღმი ვარ, ექიმო, ვიღაცის ხელში სათა-  
მაშოდ გადავიქცი, ვიღაცა წერას აუტანია და ჩემით ერთო-  
ბა, მაგრამ დრო მოვა, ავთეთქდები და იმ ჩემს გამამწარებელს  
ერთიათად ვაზღვევინებ... ვირთხა?.. ასე რატომ დამცინე  
ლმერთო, რატომ გამიმეტე...

ეზოში გამოალწია და ცისანა დაინახა. გონს მოეგო, თვა-  
ლები ცხვირსახოცით ამოიმშრალა და უკვე დამშვიდებულმა  
ჰკითხა:

— ნატაშას ელაპარაკე?

— სძინავს, არ გავაღვიძებინე! ჩვილი ნახე?

— ვნახე! — ამოიხვენეშა ლესტამბემ. — სამკილოგრამი-  
ანი ბუთხუზა ბიჭი იყო, მაგრამ რას ვიზამთ! — ხელები უსა-  
სოოდ გაშალა.

შინ მიდიოდა და ფიქრობდა: „ტუჩია ძიგუამ, კანონიერმა  
ქურდმა სისხლი გაიღო და სიკვდილს გადაარჩინა... ყოჩალ,  
ტუჩია, მაგარი ბიჭი ყოფილხარ, ამ გულკეთილობას სიკვდი-  
ლამდე არ დაგივიწყება... ყოჩალ, ძმაო! ცოტა გონს მოვალ,  
დავწყნარდები და ხვალ-ზეგ ვიმუსაიფოთ ამ თემაზე ძმუ-  
რად...“

ხვალ-ზეგ, უფრო სწორად, მესამე დღეს, ტუჩია ძიგუა,  
კანონიერი ქურდი, ანონიმური „დანოსის“ საფუძველზე მიღი-  
ციამ აიყვანა და იქ გაამწესა, სადაც ჯერ არს...

ნატაშამ გამოიღვიძა და უჩვეულო ამჩატება იგრძნო.  
გარეთ დარი იდგა. ცა წმინდა, შეურყვნელი სილურჯით შე-  
ფერილიყო, კაბადონზე ერთადერთი, თეთრი და ფუმფულა  
ღრუბლის ქულა ეკიდა... ნატაშაც განწმენდილად და სუფთად  
გრძნობდა თავს. იგი განთავისუფლდა ჭუჭყისა და ბინისაგან.  
მისი ახალგაზრდულად ჯანსაღი სხეული დატოვა ტკივილმა,  
მისი სული განერიდა ბნელ ლანდებს, მისი მწუხარება დაიძ-  
ლია... თითქოს გუშინღა დაიბადა და ის, რაც აქამდე გადახდე-  
ნოდა, სხვისი ცხოვრების ნაწილი იყო... არ არსებობდა გუ-  
ლაგში გატარებული ბავშვობა, არ არსებობდა მამილო, არ  
არსებობდა ლესტამბე თოლორაია, ბინიერი ფეხმძიმობა და  
სასჯელი — მკვდარი ნაყოფი...

ჩაფიქრდა... ნუთუ ძველი ყოფიდან ვერაფერს წამოი-  
ღებდა მომავლის გზაზე? იმ ბნელ ლაპირინთშიც ხომ აღწევ-  
და ხოლმე მზის შუქი, ჰქონდა მხიარულებისა და სიყვარულის  
ნუთები. მისი მამილო იქნებ სხვისთვის „შკაფი“ და „სიკვდილი“  
იყო, ნატაშასთვის კი — „დათუჩი“ და „ბამბურა“... ახლა ის  
ციხეშია, სასჯელს იხდის დანაშაულისთვის. „უდანაშაულონი  
ციხეში არ სხედან!“ — ეს მამილოს სიტყვებია... მამილოდან  
აქ, მერეთში გადმოინაცვლა. არც მოსკოვში ყოლია მეგობრე-  
ბი, მაგრამ იქნებ ეს მისი ბრალიცაა, აქაც ხომ ვერ შეიძინა  
ვერავინ... აგერ ლოყებლაჟდაჟა, ბარაქიანი ცისანა და მისი  
ქმარი დურუ... თან გადაჟყვნენ, პატივისცემის ყველა ზღვარი  
გადალახეს... ნეტავი რისთვის ირჯებიან ასე? ებრალებათ და  
იმიტომ? იქნებ სხვა აზრი დევს იმ მაამებლურ კრუტუნში,  
ცისანას რომ აღმოხდება, ან იქნებ ამოცანის გასაღები დუ-  
რუს თვალებშია, რომელიც ხანდახან ისე მიაცივდება, თით-

ქოს ტანზე ხდიდეს... აგერ ტუჩია ძიგუა!.. რა უცნაური გვარ-სახელია! ძლივს დაიმახსოვრა... შავთვალნარბა, მომხიბლავი ჯიგიტი! ესეც ცხოვრებისეული პარადოქსია, სხვებზე მეტი სულგრძელობა და ვაჟკაცობა ქურდმა გამოავლინა. იმ დროს, როცა ნატაშას სისხლი და, მასთან ერთად, სიცოცხლე ტოვებდა, ტუჩიამ უშურველად გაუხსნა თავისი ძარღვები, მისი სხეულიდან ნატაშას სხეულში სიცოცხლე გადადინდა... მადლობელი იყო გადარჩენისათვის. ელოდა თავის მხსნელს, რათა მადლობა ეთქვა, მაგრამ ორი კვირა გავიდა და ტუჩია არ გამოჩნდა... რა უცნაურია ადამიანის ბედისნერა! მისი ბავშვობა ქურდებს შორის დაიწყო და ცხოვრების უმძიმეს წუთშიც მის გვერდით ქურდი აღმოჩნდა. ტუჩია ძიგუა ქარმა მოიყვანა და, ეტყობა, ქარმა წაიყვანა... გუშინ აქ იყო, დღეს კი იქნებ ციმბირის სივრცეებისაკენ მიემართება და, ვინ იცის, მისი ახალგაზრდული სიცოცხლე რომელ ყინულეთში ჩაიმარხება...

ნატაშას ფიქრი ციმბირის დიდი ტრაქტისაკენ გასრიალდა და გული უცნაურად შეუხტა... რა იყო, რა მოხდა? ნუთუ ის დაბინდული, მტვრითა და ლორლით სავსე კარიერები გაახსენდა, სადაც თვით ბუნება კლავდა ბედნიერების შესაძლებლობას... „ბებერო ტურავ!“ — ეს სიტყვები ამოტივტივდა ნატაშას გონებაში და გული ამან აუთრთოლა. „ტურა“, რა თქმა უნდა, მოფერებით ითქმოდა, სინამდვილეში კი იგი ჰეგავდა სახელმძღვანელოში ჩახატულ ანტონ ჩეხოვს... „ბებერი“? კი იყო ბებერი, მამის ტოლა კაცი, მაგრამ ნატაშას გზაზე არსად შეხვედრია სხვა ადამიანი, ვისი სულის წიაღში ამდენი სინათლე ენთო...

ოთახი მზის სხივებით აივსო. ნატაშამ მეზობლებს გახედა. მის გარდა კიდევ სამი ქალი იწვა პალატაში, სამი ბედნიერი დედა, ერთს ვაჟიშვილი ჰყავდა, ორს — ქალიშვილები. ცოტა ხანში კარი გაიღებოდა და დედებს თავიანთ პარია ჩვილებს მოუყვანდნენ ძუძუს მოსაწოვებლად. ნატაშასაც ედგა რძე ძუძუში, თვალზე ცრემლმორეული შეენაცვლებოდა ხოლმე სხვა დედებს...

ლოგინზე წამოჯდა, ზამბარამ დაიჭრაჭუნა. რაკი ერთმა გაიღვიძა, სხვა დედებმაც წამოყვეს თავი, მოიკითხეს ერთმა-

ნეთი. ნატაშას ეფერებოდნენ უფრო, საალერსო, გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდნენ, თვითონ ბედნიერებს შვილდალუბული ებრალებოდათ. თუმცა ამ მოფერებას მსჯავრის კილოც ახლდა, რადგან ამათთვის რუსის ეს ქალი დიდად არ გამოირჩეოდა იმათთაგან, ვინაც თბილ ქვეყანაში დროის სატარებლად ჩამოეხეტება და ფეხმძიმბას ისე აიკიდებს, თვითონაც ვერ გაურკვევია, ვინაა ბავშვის მამა. „მეც ასეთი ვარ, — სევდიანად ფიქრობდა ნატაშა, — წესიერად არც კი ვიცი, ვინაა ბავშვის მამა... ამიტომაც დავისაჯე, ღმერთმა წამართვა!“

კარი დაუკაუნებლად გაიღო. მხიარული მოკითხვებით შემოვიდნენ ექთნები, დედებს თავიანთი პანაწუნები ჩამოურიგეს. გაისმა საალერსო სიტყვები, აღტაცებული წამოძახილები, უცნობი ენის ადვილად მისახვედრი, მოსაფერებელი ბგერები...

გულმოკლული ნატაშა იჯდა თავისთვის და აუჩქარებლად იცვამდა.

ექიმი ბულისკერია შემოვიდა, საერთო სალამი თქვა, ჩამოუარა ქალებს, ბავშვებს დახედა, მერე ნატაშას მიაჩერდა:

— Hy-c! ერთმანეთს დღეს ვემშვიდობებით! ჩაიცვით, მეგობრებს გამოემშვიდობეთ და ძირს ჩაბრძანდით, მისაღებში გეგიები გელოდებიან!

ისევ გეგიები! ნეტავი რა ვალი აძევთ ნატაშასი?.. ანდა ლესტამბესი?

ნატაშამ ჩაიცვა, მოწესრიგდა... მორცხვად ჩამოუარა თავის ახალ წაცნობებს, თოთო ბავშვებს მოეფერა — „kakая прелесть!“ დაავლო ხელი ფუთას და დანაღვლიანებული წამოვიდა.

ცისანამ წაძალადევი მხიარულებით მოიკითხა, მანქანა გველოდებაო, აცნობა. ნატაშამ, გმადლობთ, არ მინდა, ზედმეტად შეგაწუხოთო, თუმცა არ იცოდა, სხვაგან სად წასულიყო. რა შეწუხებაა, ჩვენ ხომ შინაურები ვართო, — ცისანამ მიუგო.

მანქანაში დურუ დახვდა (ეს სიმამრის „პობედა“ გახლდათ და დურუმ სულ ახლახან ისწავლა ტარება), თვალი ხარბად შეავლო ნატაშას. ქალს დედობრივი სისავსე შერჩენოდა,

თუმცა ამასწინანდელი ფეხმძიმობის კვალი თითქმის არ ეტყობოდა. ნატაშამ კაცის მზერა დაიჭირა, არ ესიამოვნა, თავი ცივად დაუქნია.

— მძიმე დღეები გადაგხდა, გეთაყვა, ჩვენთან სწრაფად მოკეთდები! — აჭიკიკდა ცისანა. — დაისვენებ, ნერვებს დაიწყნარებ...

— ტუჩია დზიგუამ სისხლი გადამისხა, იმან გადამარჩინა! — მოჭრით თქვა ნატაშამ. — ვერ გამიგია, მერე სად გაქრა!

ამ სიტყვებში გარკვეული ქვეტექსტი იგულისხმებოდა, რასაც ცისანა ვერ მიუხვდა, მაგრამ დურუმ კი ამოიკითხა და ოდნავ გაღიზიანებული შეეპასუხა:

— ქურდის გზა ერთია — ციხე!

— ციხე?

— ჰო, აიყვანეს და, რამდენადაც ვიცი, აქაურობას მოაშორეს!

ნატაშამ სიტყვა გადაყლაპა, ერთხანს დუმდა.

დურუმ მანქანა აამუშავა, ფრთხილად დაძრა. ჯერაც ეშინოდა. სხვა მანქანას რომ გადაეყრებოდა, მარჯვნივ ისე გადაიწევდა, ლამისაა, გზისპირა თხრილში გადავარდნილიყო.

— ბერი ზაქარაია თუ გაგიგონიათ? — იკითხა უცებ ნატაშამ.

— ზაქარაია? — გაუკვირდა დურუს. — შენ საიდან იცნობ?

— ისე, შემხვედრია! საავადმყოფოში ვიკითხე და არავინ იცოდა...

— მუზეუმის დირექტორი რომ იყო?

— კი, მგონი დირექტორი იყო!

— ძველ ბარაკებში ჰქონდა ბინა, აგერ, გზად ჩავუვლით!

— ძალიან დამავალებთ, თუ წუთით გამიჩერებთ! მინდა, გავიკითხო!

დურუმ მხრები აიჩეჩა, უარი არ უთქვამს. არც ცისანას ამოულია ხმა, ლესტამბემ თუ გააცნო ბერიო, გაიფიქრა.

დიდი დრო გავიდა, რაც დურუს და ცისანას ბერი ზაქარაია არ ენახათ. მათი ბავშვობის ხანაში ბერი ქალაქში გამორჩეული კაცი იყო, თითოთ საჩვენებელი, მთავრობასაც უყვარდა და მოქალაქებსაც, მაგრამ, ეტყობა, წმინდანი არავინა

ამ ცისქვეშეთში, სტაცეს ხელი და ციმბირის გზას გაუყენეს. მაშინ ქალაქში უამრავი ჭორი დატრიალდა, ზოგი ჯაშუშობას აბრალებდა, ზოგი მექრთამეობას, ზოგი ანტიკომუნისტობას, კაცის კვლას და კიდევ რაგინდარას... ვის რა ფანტაზია ჰქონდა, ისე სჯიდა ბერის საქმეს... რამდენიმე წელი საკმარისი აღმოჩნდა, დავიწყების ნიავმა წაიღო მისი სახელი...

დიდი ბელადის სიკვდილის შემდეგ, პატიმართა პირველი ნაკადი რომ გამოუშვეს, მატარებელმა ავადმყოფი და მოტეხილი ბერი ჩამოიყვანა. თურმე მის ოთახში რომელიღაც ბითურული დაწესებულება შეესახლებინათ და დარჩა ბერი უთავშესაფროდ. სიცხიანი კაცი ეფრო თოდუამ შეიფარა, მოუარა, ფეხზე დააყენა. ამასობაში მართალი თოდუამ რაიკომსა და რაიალმასკომში ირბინა, მაღალ ინსტანციებში საჩივრით იმუქრებოდა და ბერის რის ვაი-ვაგლახით დაუბრუნეს თავისი ოთახი თაგვებითა და ტარაკებით სავსე ჩაჟამულ ბარაკში.

ამ ამბებს გზა-გზა იხსენებდა დურუ, ოღონდ დანამდვილებით არ იცოდა, კიდევ ცოცხლებში თუ იყო ბერი ზაქარაია...

ნესტით ჩამავებული ბარაკი გრძლად განოლილიყო დაბალ ბოძებზე. ყავარს ალაგ-ალაგ ხავსი მოსდებოდა. ეზოგარემო ნარეკალსა და კატაბალახს დაეპყრო. ეზოს შუაგულში, საერთო ჭასთან, ალბათ, სარეცხსაც რეცხავდნენ, ღორებისა და ქათმების სათარეშოც იქ იყო და მის ირგვლივ აზუნზლულ წუნწუხში ბალახს ვერ ეხარა.

ჭასთან რუსის დედაკაცი იდგა, ცხვირ-პირი დასიებული ჰქონდა, გასაგებია, რის გამო. ასეთებს კარგად იცნობდა დურუ. ადრე, დაოჯახებამდე ჩუმჩუმა ურისკია კიდეც ორასი გრამი ჭაჭის საფასურად. ახლა უკვე დარბაისელი კაცი ერქვა, ქალაქის მასტების კომკავშირული მოღვაწე იყო და ეგეთებს ალარ კადრულობდა.

— ბერი თუ ცხოვრობს აქ, ზაქარაია? — მანქანიდან გასძახა.

დედაკაცმა თავი დაუქნია და ამ დროს წაიფორხილა, ჭის გვიმზე იმაგრებდა აქამდე თავს.

— შეხე, დილიდანვე როგორ მოთავებულა! — უკმაყოფილოდ თქვა დურუმ და ნატაშას მიუბრუნდა: — რა ვქნათ?

— ვინახულოთ!

დურუ და ნატაშა გადმოვიდნენ, ცისანა მანქანაში დარჩა.

კიბის ფიცრები მომპალი იყო და ფრთხილად ავიდნენ.

დერეფანი ბნელი და ოლროჩოლრო აღმოჩნდა, იატაკის ფიცრებიც ლპებოდა.

— დასანგრევია! — მობოდიშებასავით გამოუვიდა დურუს და ყასიდად დაუმატა: — რაიკოში საკითხს დავსვამ...

რატომაც არა! კომკავშირულ ინიციატივად ჩაუთვლიან. ასეთ სანაგვეში ადამიანი არც უნდა ცხოვრობდეს, თუმცა ამ სოროს ისინი შეჰქედლებიან, ვისაც ადამიანად ვერც ჩათვლი. ნორმალური ბინის ლირსნი ისინი არ არიან, მაგრამ ქუჩაში მაინც ვერ გაყრი. „ამათ რომ ბინები დაურიგო, დაყიდიან და არაყში გახარჯავენ!“ — ფიქრობდა თავისთვის.

ერთგან კარზე წარწერას წააწყდნენ, თეთრ ქალალდზე ლამაზი ქართული კალიგრაფით ეწერა: „ბერი ზაქარაია“.

დურუმ თამამად დააკაკუნა.

მცირე ხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა, მერე რაღაც გაფაჩუნდა, ალბათ, საწოლი შეინძრა, ვიღაცამ ხანგრძლივად, გაჭირვებით ამოახველა და ჩახლეჩილი, განამებული ხმით გამოსძახა:

— კარი ღიაა!

დურუმ შეაღო, ნატაშას წარუძღვა.

ეს იყო მარტოხელა კაცის ოთახი, ადრე იქნებ კარგად მოვლილი (რუდუნებით გაკეთებული წიგნის თაროები, კოტა მაგიდა და სკამები, ლამაზად მოჩუქურთმებული კარადა...), მაგრამ ამ ოთახის მდგმურს ახლა ან ძალა არ ერჩოდა, ან სურვილი აღარა ჰქონდა და ყოველივეს მტვერი დასდებოდა, ოთახში თაგვის სუნი დაგუბებულიყო.

მაღალი ბალიშიდან თავი ასწია ასაკოვანმა კაცმა. თითქმის გამელოტებულიყო, რაც შერჩა, ერთიანად გასჭალარავებოდა. პირზე ბაჯველი მოსდებოდა, ხელი ჩაექნია და აღარ იპარსავდა. ნაცნობი, ლმობიერი თვალები მოაპყრო სტუმრებს.

— მე დურუ გეგია ვარ, პატივცემულო, კომკავშირის მდივანი, გაგონილი გექნებათ, ალბათ! — განუცხადა დურუმ.

— აგერ, უცხო სტუმარი მოვიყვანე!

— დურუ? ჴო, გიცანი! — დაბნეულად შეეპასუხა ბერი.

— ბოდიში, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ავად გავხდი რაღაც და

თვითონაც ხედავ, რა დღეში ვარ... სტუმარი? ვინ უცხო სტუმარი?

შეჰქებდა ნატაშას და ოთახის ბინდში ვერ გაერკვია, ვინ იყო. სახეზე მოუთმენლობა და ეჭვი გამოეხატა.

— ვინ სტუმარი, კაცო? შემარცხვინე, დურუ, გენაცვალე, უცხო ადამიანი შემომიყვანე ამ ჩემს სოროში?

— თვითონ ამიჩემა და... — უდარდელად შეეპასუხა დურუ, მასპინძლის დაბნეულობა ართობდა.

ნატაშამ წინ გამოიარა, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და ხმადაბლა უთხრა:

— ვერ მიცანი, ბებერო ტურავ?

ბერის პირკატა ეცა, თვალებდაჭყეტილი შეჰქებდა ქალს. უცებ ხველება აუტყდა. დიდხანს, წვალებით ახველებდა. ბალიშიდან ჭუჭყიანი პირსახოცი გამოაძვრინა, პირზე აიფარა... თვალზე ცრემლი მოაწვა, თან ცალი ხელით სტუმარს ანიშნებდა, იქით გადაჯექიო... პირსახოცზე სისხლიანი ლაქა გაჩნდა...

ლონედაღეული ბერი ზურგით ბალიშს მიეყრდნო და ამოილუდლუდა:

— ნატაშენკა!

— ჴო, მე ვარ! გეგონა, ვერ მოგაგნებდი? — ნატაშასაც თვალზე ცრემლი მოადგა. — როგორ დაუჩაგრიხარ მარტობას და ავადმყოფობას, ნუ გეშინია, აგერა ვარ, ამოგიყვან მაგ უფსკრულიდან!

— არა, არა! — სასოწარკვეთით ამოიგმინა ბერიმ. — ჩემი საქმე წასულია, ეტყობა, რაც მეკუთვნოდა, იმაზე მეტს შევრჩი ამ წუთისოფელს! შენ კი ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, შენს გზას ეწიე!

— მაგდებ? — ნატაშამ ხელები მხრებზე დაადო, პირისახე ახლოს მიუტანა. — მე არ მეშინია შენი ავადმყოფობისა და შენი სიბერის!.. შენ მარტო ხარ, მეც მარტო ვარ... რომც მოინდომო, მაინც ვერ გამაგდებ!

— ნატაშენკა... — ბერის ლონე არ შერჩა, შტერივით აყუდებულ დურუს ახედა. — უთხარი, გენაცვალე, ამ შენს სტუმარს, ჩემთან დარჩენა, ხომ გესმის, საშიშია.

— Нატაშა, тუ შეიძლება, ერთ წუთით დაგელაპარაკო! —  
ქალისა და კაცის დიალოგმა დურუს ბევრი რამ უთხრა, მაგრამ  
საიდუმლოს ბოლომდე ვერ ჩასწვდა და ეს უბნევდა თავგზას.

დერეფანში გაიპატიუა ქალი, ცხარე ჩურჩულით ჰკითხა:  
— რას ნიშნავს ეს?

— ეს ავადმყოფი კაცი ჩემი ახლობელია!

— გაგიუდი? ხომ ხედავ, ჭლექიანია, მასთან რა უნდა  
აკეთო?

— Буду лечить и судно таскать! — მკვახედ შეეპასუხა  
ნატაშა, ხელი შეაშვებინა და ოთახში შებრუნდა.

დურუ ყოყმანით შეჰყვა, არ იცოდა, რანაირად მოქ-  
ცეულიყო, ნატაშამ კი უკვე წყნარად სთხოვა:

— მანქანაში ჩემი ფუთაა, თუ არ დამზარდები, აქ მომი-  
ტანე!

— სტოპ, — ჩამესმა.

ეს ისევ იესე იყო, ჩემი ძვირფასი მკითხველი. სავარძლის  
უკან მედგა და პროტესტის ნიშნად ორივე ხელი აღეპყრო.

ჩემ გარდა აქამდე მას თითქმის ვერავინ ამჩნევდა, ახლა  
კი ყველამ გაკვირვებით შეხედა. ცისანამ პირი დააღლო. დუ-  
რუს და ლესტამბეს ღვინო ტვინში გასჯდომოდათ და თვა-  
ლებს უაზროდ ახამხამებდნენ.

— ეს შეუძლებელია! — დამარცვლა იესემ.

— რა არის აქ, ბატონო იესე, შეუძლებელი? — ვიკითხე  
გაკვირვებულმა. — ის თუა ჩემი ბრალი, რომ იოლი გზა ვარჩიე,  
სამშობიაროდან ქალი პირდაპირ „ბებერ ტურას“ მივგვარე?  
ცხოვრებაში იმდენი უცნაურობანი ხდება, რომ ეს ყველაზე  
ნაკლები უცნაურობაა. თანაც გზადაგზა ხომ მივანიშნებდი,  
რატომ ეწადა ნატაშას მაინცდამაინც მერეთის დალაშქრვა?  
იმიტომ, რომ აქ ცხოვრობდა მისი „ბებერი ტურა“! რა თქმა  
უნდა, რომელიმე ჩემი თანამოკალმე, უფრო ფართო ფანტაზი-  
ითა და ნიჭიერებით დაჯილდოებული, ვიდრე მე გახლავართ,  
აქედან უამრავ სვლას გამოწუნებიდა და ორმოცდაათ თაბახს  
მაინც შეავსებდა. რად ღირს თუნდაც დურუ გეგიას ვნებებზე  
ყურადღების გამახვილება! ულაყივით ატროკებული დურუ  
ჩრდილოეთის სიფრიფანა დედოფალს ვერაფერს უბედავს და

თავის ხანძარს საკუთარ ჯანმაგარ ცისანასთან აქრობს... ცი-  
სანას ეჭვიანობაზეც შემეძლო გამეხურებინა... ოჭოპო, ნავ-  
იდოდა ინტრიგების გრიალი... მე კი, მაპატიეთ და, მოკლე გზა  
ვარჩიე, რადგან ვიცოდი, რა ვარიანტიც უნდა შემერჩია, ნატა-  
შას გზა ბერი ზაქარაიას ბარაკამდე მაინც მივიდოდა...

— მე თქვენ წესიერი კაცი მეგონე! — ტრაგიკულად  
ამოიკვნესა იესემ. — პირველად ეჭვი მაშინ გამიჩნდა, როცა  
გულაგში პატარა გოგონა ხელში ჩაუგდეთ ამ ასაკოვან, ვით-  
ომდა წესიერ კაცს! იმას ხომ შვილად ეკუთვნოდა და გულში  
უკეთური ზრახვები არც უნდა დაპადებოდა. ეს დანაშაული  
თქვენ კიდევ უფრო დაამძიმეთ, როცა ჭლექიან, ხრონც  
ბერიკაცთან ტოვებთ ასეთ ტურფა ქმნილებას!

— ვინაა, ბოლოს და ბოლოს, ეს ინტრიგანი, რას ჩამციე-  
ბია? — ვიკითხე გაგულისებულმა.

— მამაჩემი გახლავთ! — ზრდილობიანად შემახსენა  
თენგიზ დიხამინჯიამ, ცოტას სვამდა და ფხიზელიც იყო...

## 8

თავი მოვითოკე. იესე ნაწილობრივ მართალი იყო და იმი-  
ტომ. ტექსტს მეტი სიღრმე და დეტალიზება მოუხდებოდა.  
ისიც სათქმელია, ჯერ კიდევ ბევრი მქონდა მოსაყოლი, ხელ-  
ნაწერის მოცულობას კი უსასრულოდ ვერ გავზრდიდ. სქელ-  
ტანიანი წიგნები მოდაში არ არის და ვაითუ იესესნაირი მკითხ-  
ველიც დამკარგვოდა. ნატაშას ამბები იმიტომ მივაფუჩიე,  
დურუ გეგიასათვის მეტი დრო დამეთმო. ამოცანა მით უფრო  
მძიმე მეჩვენებოდა, რომ დურუს გზა სწორხაზოვანი და აღ-  
მავალი გახლდათ. მუდამ უმართლებდა დურუს, სამსახურშიც,  
ოჯახშიც... ძნელი და მოსაწყენია სწორხაზოვანი ამბების  
მოყოლა. მკითხველი რანაირად გინდა დააინტერესო ისეთი  
კაცის ცხოვრებით, რომელიც კიბეზე მუდამ აღმა ადის და  
ფეხი ერთხელაც არ დაუცდება. ასეთი სიუჟეტი იესესაც არ  
მოეწონება, ტუჩის ამიბზუებს, მაგრამ სხვა რა გამოსავალია.

დურუმ ხომ ისეთ ეპოქაში იცხოვრა, ხუთწლედებისა და დაფ-  
დაფების გრიალის მეტი არაფერი რომ არ ხდებოდა.

ჭეშმარიტი კომუნისტი იყო! სწორედ ასეთ ადამიანებზე,  
სკრუპულობურად პატიოსან პირვენებებზე იტყოდნენ, ნამ-  
დვილი კომუნისტია, რაშიც ისიც იგულისხმებოდა, რომ ცო-  
ტათი დარტყმულიცაა, რაკი იმდენად სჯერა მაღალი იდეალე-  
ბისა, ნინ დადებულ ოქროსაც ჯიბეში არ ჩაიდებს, უმაღ ხაზი-  
ნისენ გააქანებსო... ერთ საწყალ პედაგოგს დაემართა ასე,  
„ნამდვილ კომუნისტს“. ქუჩაში ფული იპოვა, მთელი ტომარა.  
თურმე სამხედრო ნაწილის ხელფასი იყო. დამთვრალან ეს  
ბედოვლათები, არაყს სვამდნენ მანქანის ძარაზე, მღეროდ-  
ნენ, ღლაბუცობდნენ და ტომარა გადმოუვარდათ. რა უნდა  
ექნა „ნამდვილ კომუნისტს“, შინ ხომ არ წაიღებდა? მოიგდო  
ზურგზე და მილიციაში მიარბენინა. ეს რა არისო, პირი დააღეს.  
ფული ვიპოვეო, აუხსნა. ალბათ, მოიპარე და ახლა შეგეშინ-  
დაო, კარგადაც აგინეს, კარგადაც ბრეგვეს და ლამაზად გამო-  
აპანდურეს. ის ფული, ცხადია, აორთქლდა და, „ნამდვილმა  
კომუნისტმა“ ჩივილი რომ მოინდომა, არავინ დაუჯერა, გი-  
შიაო და კინალამ ფსიქიატრთან გააქანეს.

ქრთამი?.. აჲ, აჲ, არა და არა! თავის დროზე ჩოქორომ  
გააფრთხილა, ქრთამს არ გაეკაროო, თუმცა გაფრთხილება  
რად უნდოდა, მისი იდეალები — მარქსი, ენგელსი, ლენინი,  
საერთოდ, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები ქრთამს  
ხომ არ გაიკარებდნენ?

არა, ქრთამი არა, მაგრამ საყვარელი ბიჭი იყო, ბოთვერა,  
ჯანიანი, მოქიფე, ენამახვილი, მოსიყვარულე, ტაქტიანი...

აი, მაგალითად, ტაქტი ყველას როდი ჰყოფნის, ცხადია!  
ერთ დროს გეგიების მეზობლად რაიკომის ახალი მდი-  
ვანი ილარიონ ჭედია დასახლდა. ამხანაგი ილარიონი მერეთე-  
ლი არ იყო, საკუთარი სახლი არ ჰქონდა და ქალაქის ბალანსზე  
არსებულ ამ სახლს შეაფარა თავი. ამბობდნენ, ისეთი მკაცრი  
კაცია, არათუ ქრთამი, პურ-მარილზე რომ დაპატიუო, სამსა-  
ხურს დაეთხოვებიო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, წმინდანი  
გახლდათ და მისმა გამოჩენამ მერეთის ელიტას ზაფრა დამა-  
რთა, არავინ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, არადა, მუხლის  
კანკალის გარეშე მასთან კაბინეტში ვერავინ შედიოდა.

ილარიონი დილაუთენია მიდიოდა სამსახურში, გვიან  
დამით ბრუნდებოდა. ძალიანაც უნდოდა დურუს, კეთილმე-  
ზობლური ურთიერთობა დაემყარებინა ჭედიებთან, მაგრამ  
საამისო შემთხვევა არ მიეცა. რაიკომის მდივნის პირმშვე-  
ნიერი მეუღლე ვენერა თავიდან უცხოობდა მეზობლებს, მერე  
ცისანას გამოელაპარაკა, რაღაც კულინარული რჩევა ჰკითხა.  
ცისანამ, ცხადია, არ დაიზარა და რჩევას საქმე მოაყოლა. ხა-  
ჭაპური როგორ ცხვებაო თუ ჰკითხავდნენ, წუთში გემრიელ  
ხაჭაპურებს დააცხობდა და მიურბენინებდა... კაია კაი მეზობ-  
ლობა! მდივნის ოჯახში ორი გოგონა იზრდებოდა, ანცი, მოუს-  
ვენარი ბავშვები. ვენერას წამოსცდა, საიდანაც ჩამოვედით,  
იქ გოგონები მუსიკაზე დამიდიოდნენ, აქაც შევიყვანე, მა-  
გრამ ჯერჯერობით სავარჯიშოდ პიანინო ვერ შეგვიძენიაო.  
გეგიებს ჰქონდათ ახლად ნაყიდი პიანინო. ცისანამ გულმართ-  
ლად შესთავაზა, იარონ ბავშვებმა ჩვენთან და ივარჯიშონ  
რამდენიც უნდათო, რა უჭირს, აბა, რისი მეზობლები ვართო.  
მორიდებული ქალი იყო ვენერა, ქმრისა ეშინოდა, მაგრამ და-  
ყაბულდა. დაიწყეს გოგონებმა გეგიებთან სიარული. საღა-  
მოობით დიდხანს ისმოდა გულისგამანვრილებელი „ნანუშკა  
კიზლიკა იუნია...“ სანამ გოგონები ვარჯიშობდნენ,  
ცისანა და ვენერა სამზარეულოში ისხდნენ და ენას ილესავდ-  
ნენ, ქალებს სალაპარაკოს რა დაულევს. დურუ კმაყოფილი  
იყო, თუმცა ამ ურთიერთობას ჯერ ხეირი არაფერი მოჰყო-  
ლია, მაგრამ ერთხელ ელირსა ილარიონისაგან რაღაც მადლო-  
ბის მაგვარს. გაგაწვალეს ხომ ჩემმა ეშმაკის ფეხებმა, — თქვა  
და მეტი არაფერი, მაგრამ ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იყო.  
იმდენს ახერხებდა, წამდაუწუმ თვალებში ეჩხირებოდა,  
იჩვევდა... საჭირო იყო თუ არა, რაიკომში ტრიალებდა, სწრაფი  
და ფართო ნაბიჯებით დღეში ათჯერ მაინც აივლიდა კიბეს,  
გაირბენდა დერეფნებს, ხან ერთ კარში შეყოფდა ცხვირს, ხან  
მეორეში, ისეთ ვინმესაც მოიკითხავდა, იმ წუთას იქ რომ არ  
ეგულებოდა. სახეზე საქმიანი იერი ედო, ფუჭი საუბრისათვის  
არავის უჩერდებოდა. ამიტომაც დაიგდო ენერგიული ორგანი-  
ზატორის სახელი... შინიდან ისეთ დროს გადიოდა, როცა მდი-  
ვანი მანქანაში ჯდებოდა. ილარიონმაც ისინდისა, მაინც ერთი

გზა გვაქვსო, და მანქანაში ჩაისვა. არავინ უწყის ამ მგზავრობის დროს ისეთი რა თაფლი წაუცხო, რითი ასიამოვნა, მაგრამ იმ დილიდან მოყოლებოლი სამსახურში სულ მდივნის მანქანით მიემგზავრებოდა. ამას ზედ საღამოს შეხვედრებიც დაერთო, დურუცხომ იმ დროს ბრუნდებოდა შინ, როცა ილარიონი. მერე ისეთი დღეც დადგა, როცა ილარიონმა შინ შეინვია, ჩაი დავლიოთო. ვენერას კულინარული ნიჭიერება ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა ცისანას ნიჭიერებას, მაგრამ დურუუმა ამ ვახშამს ისეთი გემო ჩაატანა, თითქოს ამაზე უგემრიელესი არაფერი გაესინჯოს.

ჭადრაკის ეს პარტია ბოლომდე ოსტატურად გაათამაშა დურუუმ. გადამწყვეტი სვლაც უნდა მოეფიქრებინა და ქიში იქნებოდა. ჰოდა, გარისკა, ვაბანუზე ჩამოვიდა. ქუჩის მუტრუკებს მოუხმო და ეს თავისი სანაქებო პიანინო მეზობელს გადაუტანა. ვენერა, ბუნებრივია, გადაირია, ხელები უმწეოდ გაასავსავა, ჩემი ქმარი მომკლავს, შინ არ დამაყენებსო... ქმარი სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა პიანინოს კიბეზე მიათრევდნენ.

— რა ხდება აქ? — იკითხა ილარიონმა.

— კარგახანია ამ ჯლანის გადაგდებას ვაპირებდი! — ფამილარული უდარდელობით აუხსნა დურუუმ, ხმას გულწრფელობა შესძინა. — თქვენი ანგელოზები იმდენს უპარტყუნებენ, თავის ქალა ამეხადა. რაღა მე ავიტკიო თავი, მიდით და თქვენვე უსმინეთ, მე კი მის ადგილას ახალ კარადას დავიდგამ!

ილარიონმა ჩაიცინა, არც ავი უთქვამს, არც კარგი, ისე შევიდა შინ.

გავიდა ერთი-ორი კვირა, დურუ გეგია რაიკომში დაიბარეს და უთხრეს, ახალგაზრდა კადრი ხარ, მასებთან ურთიერთობა გეხერხება, აგერ შენ პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილება, ჩაიბარე და იმუშავეო...

ასე გადაერთო დურუს მატარებელი კომკავშირულიდან პარტიულ გზაზე...

— თქვენ იმ პიანინოს საჭიროზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებთ! — მორიდებით განმიცხადა დურუუმ, თავისი უზარმაზარი, ბუნჩულა თათი ღვინით სავსე ჭიქაზე ედო და ოდნავ შესამჩნევად უთრთოდა. — მე მართლაც არაფერში მჭირდებოდა, მისი ცუგრუმელები კი იმდენს უტყაპუნებდნენ, გაძლება ჭირდა. თანაც ილარიონი ისეთი კაცი როდი იყო, ვინმესგან

პიანინოს რომ იჩუქნიდა. მაშინ არაფერი თქვა, მაგრამ მეორე დღესვე ფული გამომიგზავნა...

— მაშ, მიგიყიდია და ეგ არი!

— ეგრე გამოდის, თუმცა არც მე ვარ ის კაცი, შინიდან რომ გასაყიდად პიანინოს გაიტანს. თავი იატაკს ვახალე, რესტორანში შევიტყუუ, სულ დარჩეული ვაჟუკაცები დავახვივ და ის ფული მთლიანად ჩავუშვი. სხვათა შორის, იმ დღიდან ილარიონი მაგრა შეიცვალა, ეგეთი ღურთა არ იყო, ჩემი მეშვეობით უამრავი ამხანაგ-მეგობარი შეიძინა, ქალაქიც ააყვავა და არც თვითონ დარჩენილა დაზარალებული...

დაზარალდა კი არა, გაკეთდა კაცი! ილარიონს დურუს პიანინო რა ეშმაკად უნდოდა, ილარიონს თვითონ დურუ სჭირდებოდა — სანდო, პერსპექტიული ახალგაზრდა... ეს იმიტომ, რომ ილარიონიც ნამდვილი, ჭეშმარიტი კომუნისტი იყო, იგი ქრთამს არ გაიკარებდა, სხვისას ჯიბეში არ ჩაიდებდა, მაგრამ ვერა საქმე უფულოდ რომ ვერ იძვრის? ილარიონის ხელფასი ბაზარსაც კი ვერ განვდებოდა, არადა, ოჯახს გარდა სხვა უამრავი ხარჯიც ჰქონდა. ეს „ზემდგომიო“, ეს „მეგობარიო“, ეს „სტუმარიო“, ყველასათვის პატივი უნდა ეცა, კეთილი გული ეჩვენებინა, ჯადოსნური სუფრა გაეშალა და ჯიბეშიც ჯადოსნური ქისა ჩაედო... როგორც ზღაპარში ხდება, შეუთავსებელი უნდა შეეთავსებინა, ქისა მუდამ სავსე უნდა ჰქონოდა, სუფრა მუდამ უხვი და ამასთან თვითონაც პატიოსან კომუნისტად დარჩენილიყო.

ჰოდა, საჭიროზე საჭირო კაცი აღმოჩნდა დურუ გეგია, თვითონაც ნამდვილი, ჭეშმარიტი კომუნისტი. ქრთამს, რა თქმა უნდა, ისიც არ აიღებდა, მაგრამ გულწრფელი სინდისით შეეძლო ერთისათვის გამოსართმევი მეორისათვის მიეტანა და, თუ გზად პანას თვითონაც მოტეხავდა, ეს ხომ თავისთავად ეტეოდა სამართლიანობის საზომში, რადგან სულელი იქნებოდა, თუ რისკის საფასურს ვერ მიიღებდა. ნამდვილი კომუნისტისათვის პარადოქსული არაფერი ხდებოდა. მექრთამე ისაა, ვისაც ქრთამზე იჭერებ. პატიოსნად და ფარულად თუ ვერაფერი იძოვე, კარგ ადგილზე ვინ გაგაჩერებს. როცა ხელფასი ასი მანეთია, ხარჯი ათი ათასი, ჭკუა და გონება ალ-

მასივით უნდა გიჭრიდეს, რომ დეფიციტი პატიოსნად დაიფაროს და თან კვალიც არ დარჩეს...

ერთს ართმევ, რათა სხვას მისცე, აძლევ, რათა მოგეცეს, აი ცხოვრების დაუწერელი კანონი!

— უცოდველნი ვინა ვართ? — დურუმ ბროლის შუშა ასწია, ქარვისფერ ღვინოში გამოიხედა. — მაგრამ ქრთამი არა და არ ამიღია, ჩვენ პრინციპულნი ვიყავით!

## 9

პარტიულ კარიერისტებზე საუბარი მოსაწყენია, იგი ჩაყვითლებული გაზეთების ქექვას მაგონებს. მათი ლექსიკა, დიქცია, აზროვნების სტილი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ყველაზე ამაღლებული და პოეტური იდეალი საყველთაო ძმობასა და თანასწორობაზე გადაიქცეს ყველაზე გულისამრევ და მოსაბეზრებელ დოგმათა კრებულად, რომლის ხშირი გამეორება ადამიანის ტვინს ფიტავს.

უფრო საინტერესო და ფერებით სავსეა სიცოცხლის სხვა ასპექტი, რაც ბუნების კანონებს ემორჩილება, რასაც ჩვენი ბიოლოგიური არსებობა განსაზღვრავს. ხომ ცხადია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქრის დაუღლელ ჭიდილს შედეგიც შესაბამისი უნდა მოჰყოლოდა.

ცისანა კიდევ უფრო დამრგვალდა, კიდევ უფრო გაღაუღდა, ლოყები თითქოს საზამთროს წვენით შეეღება, მკერდი ისე გაევსო, დუშინ ტყუპისცალს გამოკვებავდა, მისი ძლიერი, ბუთქუნა ტორსი დიდ შესაძლებლობებს ამჟღავნებდა. დრომ მოუწია და ზედმეტი ტკივილისა და გართულებების გარეშე ღაბუა ბიჭი გააგორა. ოჯახის კეთილი მფარველის პატივსაცემად ბიჭს მეტრიკაში ჩოქორო ჩაუწერეს, თუმცა შინაურობაში ჩოქოთი იხსენიებდნენ.

აკვანში გაკოჭილი დევის დანახვაზე ჩოქორო-ბაბუ ჭკუაზე არ იყო, სულ თავზე დასტუტუნებდა, მაღალ, ქათქათა მკერდზე ეფერებოდა, მკლავის ღონეს უსინჯავდა, ტაკუნებზე კოცნიდა, მოკლედ, სულში იძვრენდა.

გავიდა დრო-ხანი და ცისანამ პირველს მეორე ბიჭი მიუსწრავა, ესეც კაი დევუკა აღმოჩნდა. მეტრიკაში ელგუჯა ჩაუწერეს, შინაურულად კი გუჯას ეძახდნენ. როგორც ზღაპრებშია ხოლმე, ჩოქო მზეს აბნელებდა, გუჯა მთვარეს უყენებდა თვალებს.

ზღაპრის გმირებივით დაბაჯბაჯებდნენ, დათვის ბელებს დაემსგავსნენ, სულ ჭამასა და ჭიდაობაში იყვნენ, ყოველი დღე წონა და ღონე ემატებოდათ და მშობლებს, ამათზე მეტად კი ჩოქოროსა და ლეოპოლდინას, თავი ღრუბლებში ჰქონდათ გაყოფილი.

პატარა დევგმირების ბუღრაობაში კატო-ბებო მთლად ჩაიკარგა, დაიღია, ნისკარტივით ცხვირი უფრო დაუგრძელდა, ლოყები ჩაუცვიდა და გაყვითლდა. მისი კაპიკიანი ხელფასი უკვე არავის სჭირდებოდა და შინ დასვეს, ბედნიერი ბებია ხარ, იჯექი და შვილიშვილებს მოუარეო. მოვლისა რა მოგახსენოთ და საცოდავი კატო-ბებო შეშინებული შეჰყურებდა ამ მორგვებს, რომლებსაც იოლად შეეძლოთ მისი გადათელვა და კუთხეში მიგდება. მთელი დღე კანკალსა და შიშში ატარებდა. ხან ერთ კედელს იყო აკრული, ხან მეორეს, ვინძლო, ამ მოუსვენარ ყაჩაღებს ფეხებში არ ჩაუვარდეო. ამ წვალებასა და წვალებას შორის სიკვდილის ბედნიერებამაც მოაკითხა, ისე დასწეულდა, სავსე სუფრას ჩიტის საკენკის ოდენას ვერ აკლებდა.

სიკვდილის წინ შვილი მოიხმო, საწყლად ახედა და უთხრა:  
— სიცოცხლე, ალბათ, შეცდომაა, შვილო... გტოვებ და მეცოდები, რაღაც ვერა გაქვს კარგად აზყობილი...

დურუს სმენას ეს სიტყვებირიკოშეტით ასხლტა და ჰაერში გაქრა. რა ჰქონდა შესაცოდებელი, ცხოვრება საათივით აეწყო, მის ცოლ-შვილს არაფერი აკლდა და დედაც ისე დაიტირა, მთელი ქალაქი აალაპარაკა, როგორ ყვარებია, ბედნიერი დედამისიო, კაცს ასეთი სიკვდილი მოენატრებაო...

კატო- ბებოს წლისთავზე დაიბადა დიტო. დახედა ჩოქორომ და უდღეულიაო, ჩაიდუდუნა. მართლაც, არც წონა ჰქონდა დიდი, არა ღონე. გამჭვირვალე კანში ღურჯი სისხლძარღვები გამოკრთოდა. სულ წუხდა და ღნაოდა. ბაბუ მისკენ არც იხედებოდა, მაგრამ დედას უფროსებს ერჩივნა, ამას გადაჰყვა

და იმათ ყურადღება მოაკლდათ. ერთხელაც სტაცეს ჩოქომ და გუჯამ პანანა დიტოს ხელი და გააქანეს. სად მიარბენინებთო, დედამ ჰქითხა. ფანჯარაში უნდა გადავუძახოთ, არ გვინდა ასეთი ძამიაო, ენის მოჩლექით თქვა გუჯამ. ძლივს წაგლიჯეს! გადარჩა დიტო, ნაზი და ნერვული ბავშვი გაიზარდა.

ცხოვრება ნელი ტაატით გაგრძელდა. დურუ შოულობდა, ცოლ-შვილი ჭამდა. გაცივდა საერთო ლოგინი, იმას მოვალეობის გრძნობალა ინარჩუნებდა. დურუ თავისთვის ხვრინავდა, ცისანა თავისთვის. გული უკვე არ მიუდიოდა დურუს, ცოლის ბარაქიანი სხეული არ იზიდავდა. მისი წარმოსახვა სიფრიფანა, გამჭვირვალე გოგონებს დასტრიალებდა... ათასში ერთხელ თუ მიუწვებოდა ცოლს, ისიც სიმთვრალეში ანდა გულჩვილობის ხანს... ასე უნებლიერ ჩაისახა პატარა ეთერიკო, ცისფერი ანგელოზი, გეგიების სახლი რომ კვლავ სიხარულით აავსო და ცოლქმრულ ყოფას აზრი შესძინა.

ამასობაში ჩოქორო დაბერდა, ძველებურად ვერ ააღლეტდა ფულს ასფალტს, რკინა-კავეულიდან ადრინდელივით ოქროს ვერ ადნობდა. მისმა ვაჟიშვილებმა დათომ და ვახომ საქმე თანდათან გადმოიბარეს, მამაზე ბევრად ხელმომჭირნენი აღმოჩნდნენ, არათუ დურუს, თვით ჩოქოროს გაუხდა სადარდებელი იაფფასიანი წეკოს ფული. ოლონდაც დურუ უკვე არ იყო სხვების ხელების შემყურე, უკვე იცოდა ფულის ყადრი და ის მანქანაც გამოწვლილვით შეისწავლა, დღემუდამ ფულის ჭრით რომაა დაკავებული, თუმცა პროკურორის თვალი ამას ვერასოდეს ამჩნევს. შესანიშნავი ალლო და ქუდბედიანობა დაანათლა შემოქმედმა დურუს, საქმეს ისე მოაგვირისტებდა, ვერავინ ვერაფერში დაადანაშაულებდა. ფული და შეძლება თავისით, ბუნებრივად მოედინებოდა ხელმძღვანელი ძიებისკენ. ამ მდინარის პატარა ტოტი, დროულია ამის გამხელა, ლესტამბეს ჯიბისკენაც მოწანენ კარებდა, რა თქმა უნდა, არცთუ ქველმოქმედების გამო...

ერთი ბიძგი სჭირდებოდა, ერთი ხელის წაკვრა და ბედმა ესეც განუმზადა!

ხრუშჩოვი ჩამოპრძანდა, ნიკიტა სერგეიჩი, ორმოცდა-თექვსმეტის რბევა ყველას დავიწყებოდა და იმიტომაც გაბედა.

სამთავრობო მატარებლით მოდიოდა, სადგურებზე ჩერდებოდა და მოქალაქეთა ორგანიზებული, ვითომც სტიქიური კრებული ხვდებოდა. დროშებს აფრიალებდნენ, ტაშს უკრავდნენ, ქართველთა უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავდნენ „К нашему дорогому Никите Сергеевичу!“ ბუნებრივია, ახლოს არავის მიუშვებდნენ, ბრძო შორიდან ხელის ქნევითა და ვაშას ძახილით კმაყოფილდებოდა, ნიკიტა სერგის ძე კი ფანჯრის მიღმა შლაპას თუ ააქნევდა და, ალბათ, გულწრფელად სჯეროდა, რომ ქართველებს, როგორც ფუქსავატ ხალხს ეკადრება, მეხსიერებიდან ყოველივე წაშლოდა.

მატარებელი მერეთის სადგურზეც შეყოვნდა. ბაქანი სავსე იყო საგანგებოდ შერჩეული სანდო კომუნისტებით, კომკავშირლებით და წითელყელსახვევიანი პიონერებით. ქალაქის ხელმძღვანელთა დეპუტაცია რაიკომის პირველი მდივნის კანდიდად კურცხალიას ხელმძღვანელობით (ამ დროისათვის ილარიონ ჭედიას სახელი დავიწყებას მიეცა!) ვაგონისაკენ გაემართა და საპატიო მანძილზე ყოყმანით შეჩერდა.

ნიკიტა სერგის ძე ვაგონის საფეხურზე გამოჩნდა. შლაპა ხელში ეჭირა და მელოტი ულაპლაპებდა. ერთიანად გაჭარბებულიყო, ალბათ, ეხუხა კიდეც. ორ საფეხურზე ჩამოეშვა და ამ დროს სიხარულისაგან გრძნობამოზღვეული დურუ გეგია დეპუტაციიდან გამოვარდა, ნიკიტას მიეჭრა, პირდაპირ ჰაერშივე დაიჭირა და ასე ჩახუტებული ძირს დაუშვა. წამით დაბნეულ სკეპ პირველ მდივანს ესიამოვნა სიყვარულის ეს საჯარო გამოვლენა და თითო მკერდზე ატაკა:

— Ты секретар?

— Нет, дорогой Никита Сергеевич. вот наш секретар, товарищ Кандид Курцхалия! — ყოჩალად უპასუხა დურუმ და საბჭოეთის ლიდერს მერეთის ლიდერი წარუდგინა.

— Ax, ты, сукин сын, ты наверное председатель?

ახლალა მიხვდა დურუ, რომ სტუმარს დილაუზმოზე მართლაც ეხუხა და თვალები შესაბამისად უჟუჟუნებდა.

ამხანაგი კანდიდი არ დაიბნა და მოწინებით მოახსენა:

— Да, это председатель райсовета!

ნამდვილ „პრედსედატელს“ მღელვარებისაგან ყბა მოეცა, მაგრამ ნიკიტა სერგის ძეს მიხვედრილობას ორჯერ ვე-

რავინ დაუწუნებდა და წუთში დურუს იღბალმა კოჭი ალჩუზე დასვა...

— ანეკდოტია და მეტი არაფერი! — ამრეზით განაცხადა იქსემ. — თანამდებობის კაცს მტერს ვინ დაულევს, ჭორი გაუ-ვრცელეს და მეტი არაფერი... ნიკიტა ხრუშჩოვი მერეთში არა-სოდეს ჩამოსულა!

— მატარებელი მერეთის სადგურს ხომ ვერ გადააფრინ-დებოდა? — ღიმილით შევეპასუხე. — მე თუ მკითხავთ, ანეკ-დოტი ზედგამოჭრილი საშუალებაა პირველი ბიძგისათვის. ანეკდოტი თუ არ მოგწონთ, მრჩება სხვა ვარიანტი — მოზ-რდილი „დიპლომი“, რომელშიც ტკიცინა ასმანეთიანებია ჩაპ-რესილი!

ფრიად საინტერესო ვერსია! ვერავის ვერაფერს და-ვუმტკიცებ, მაგრამ თამამად შემიძლია წამოვაყენო ასეთი ჰიპოტეზა: ჩემოდანში ასმანეთიანებია ჩაპრესილი! საიდან? ნოქრების, დირექტორების, ქურდების ჯიბეებიდან. სამაგი-ეროდ ვერავის მოხსნი და ვერავის დაიჭერ! სად მიდის ეს ჩე-მოდანი? დურუ გეგია მატარებელს არ ენდობა, იგი საკუთარი მანქანით მიემგზავრება. მანქანაში მხოლოდ ცოლისძმებს ისვამს, ერთი საჭეს უზის, მეორეს წინა სავარძელი უჭირავს. თვითონ დურუ უკან მოყუჩებულა, ჩემოდანს იდაყვით ეყრდ-ნობა და ცოცხალი თავით არავის დაუთმობს. გზად არსად ყოვნდებიან. მანქანას სამთავრობო ნომერი აქვს და საგზაო ინსპექცია მწვანე შუქს უჩევენებს. აი, დედაქალაქში ჩაალწიეს, მანქანას მთავრობის სასახლის მომიჯნავე ქუჩაში აჩერებენ. დათო მანქანაში რჩება, ვახო საშვთა ბიუროში შედის და იქი-დან მავანს ურეკავს. იმანო მისამართს ეუბნება, აქა და აქ მიდ-ით და დამელოდეთო... პოლობენ იმ ადგილს და ელოდებიან. აი, მოდის შავი „ვოლგა“, პირისპირ ჩერდება. იქიდან გადმო-დის რესპექტაბელური, ჭაღარაშერთული კაცი. „აჟ, დურუს ვე-ნაცვალე, მპამპუ!“ „აჟ, გიოს ვენაცვალე, მპამპუ!“ „ა, შენ დიპ-ლომატი!“ „ა, შენ საშვი! ხვალ ამა და ამ საათზე ამა და ამ კაბი-ნეტში ესა და ეს დაგელოდება!“ ღამე გრძელია და მოსაწყენი, დღე მოკლე და სწრაფი... კაბინეტში კეთილი კაცი ზის, მწყაზარი პირი უცინის... „დიახ, დიახ, საბუთებს გავეცანი! საკითხი გაგვა-

ქვს! დაგველოდეთ!“ ელოდებიან... გადის მოსაწყენი წუთები, საათები... საათის ისარმა უკვე ნახევარი წრე მოხაზა... „დიახ, მოგილოცავთ, გადაწყვეტილება მიღებულია!“

დურუ გეგია მერეთში ბრუნდება, ბრუნდება კი არა, მოფ-რინავს... იგი თავმჯდომარეა!

— პროტესტს ვაცხადებ! — ყურში ჩამდახის იქსე.

— ჩემო იქსე, ეს ხომ მხოლოდ ვერსია! — დაყვავებით ვუხსნი. — შემიძლია სხვანაირი ვარიანტებიც მოვიაზროთ, გარდა ერთისა, რომ დურუ გეგიამ თავისი ზნეკეთილობითა და ნიჭიერებით მიაღწია მაღალ სავარძელს!

დურუ გეგიას ფრთები მოესხა და მერეთისაკენ მოფრი-ნავს! ცემუტავს, ვერ ისვენებს, სიხარულს გულში ვერ იტევს, ოღონდ იცის, ზედმეტი აცეტება არ მოუხდება, სოლიდური თანამდებობის კაცს ქცევა, სიტყვა-პასუხი, მიხრა-მოხრა დარბაისლური უნდა ჰქონდეს. მანქანაში უცხო არავინაა, მხო-ლოდ ცოლისძმებია, მაგრამ ამათთანაც თავდაჭერილობა აჯობებს...

დათოს და ვახოს უხარიათ სიძის წარმატება, თუმცა ამას ვერ გამოხატავენ. უჩუმრად სხედან და ხანდახან ხვნეშიან. აი, სუფრამდე რომ ჩააღწევენ, სტომაქში ღვინოს რომ ჩაისხ-ამენ, გაღალდებიან და სიხარულის ზმუილს მიეცემიან. ახლა კი მხოლოდ ხვნეშიან და გუნებაში ორივე ერთნაირ სარგე-ბელს ანგარიშობს: ანი ხომ მაგრად ვიქნებით! „უჩასტკოვის“ პანლური, ფინგანს პანლური, კონტროლს პანლური, ბაზრის დირექტორს პანლური... ე, რამდენი პანლური გამოვიდა, კა-ცო, რამდენი ეკონომია გამოდნება აქედან?!

გზისპირა ფირნიშზე გამოჩნდა ქართულ-რუსული წარ-ნერა — „მერეთი“. აქედან გზა დაბლა ეშვება. დურუმ მანქანა გააჩერებინა, გადმოვიდა და ქალაქს გადახედა: არც ისე დიდ-ია, თუმცა რაცაა, ხალვათად გაშლილა ხურჩას გალმა-გამოლ-მა. სახურავთა მწკრივები ქუჩებსა და უბნებს გამოჰკვეთს. ეზო-ბალები მწვანეში ჩაფლულა. ზამთრის მსხლის მწვანე ვარჯები აქა-იქ წამომართულა. ბულვარის ჭადრები კედლა-და დგას. ბოტანიკურის ასწლოვანი ხეები მთის ძირებს წვდე-ბა. მაცხოვრისგორის მწვანე ფერდობი ზევიდან დაჰყურებს

ქალაქს და იქ, სადაც კომკავშირული სამეული სტალინის ძეგლს აგებდა, ახლა წაკვეთილი კვარცხლბეკი შერჩენილა.

„ლენინის ძეგლი უნდა დავდგათ!“ — გადაწყვიტა გუნებაში.

მაცხოვრისგორას „ლენინის გორა“ დაერქმევა! ეს იქნება პოლიტიკურად გამართლებული სვლა, ანტირელიგიური აზროვნების შესანიშნავი მაგალითი.

მანქანაში ჩაჯდა, დამტვრეულ ასფალტზე ნელა მიდიოდნენ.

„ასფალტი დასაგებია!“ — ჩაინიშნა გუნებაში.

ტრასიდან შემავალი ქუჩა, რომელსაც ადრე „სტალინისა“ ერქვა, ბულვარისაკენ ისარივით გაჭიმულიყო.

„ამას ლენინისა დაერქმევა ანდა ოქტომბრისა!“ — აწონდანონა.

წინ იხედებოდა!

ოქტომბრის მოედანზე წრე დაარტყეს. რაიალმასკომის შენობაც რაიკომის გვერდით იდგა.

„ამხანაგ კანდიდს დავურეკავ უპირველესად, მადლობას მოვახსენებ!“ — დიახაც, რაიკომის მდივნის კეთილგანწყობამ დიდი როლი ითამაშა მისი ბედის გადაწყვეტაში. დრო მოვა, ამხანაგი კანდიდი მაღლა გადაინაცვლებს და მისი სავარძელიც განთავისუფლდება.

ტანში სასიამოვნო ურუანტელმა დაუარა.

რაიალმასკომის შესასვლელთან ხალხი ირეოდა. თანამშრომლები ელოდნენ. მანქანა რომ გაჩერდა, მქუჩარე ტაში შეაგებეს. უფრო თამამნი ებდოვნენ, კინალამ ხელი მოაგლიჯეს, მორიდებულნი შორიდან ულიმოდნენ.

დურუმ უყურადღებოდ არავინ დატოვა, ყველას სათითაოდ ხელი ღონივრად ჩამოართვა, გმადლობთ, გმადლობთო, მელოდიური ხმით პასუხობდა მოლოცვის სიტყვებს და მერე ენერგიული ნაბიჯით კიბეს აუყვა.

წინ შეფეთებული მოქალაქენი რიდით და კრძალვით კედელს ეკვროდნენ და გზას უთმობდნენ.

დერეფანში მძლოლი ელოდებოდა, საშა, — უფროსო, აგერა ვარო.

დურუმ მხარზე ხელი მოუთათუნა, დამჭირდებიო, დაუგდო. სამდივნოში ამხანაგი დაგმარა, აღმასკომის უბერებელი მდივანი ფეხზე შეეგება.

ახალგაზრდა და ლამაზი ერჩია, მაგრამ დაგმარას აქედან ბევრი თავმჯდომარე გაუსტუმრებია და ჯერ კიდევ არაერთს გაისტუმრებდა.

— ამხანაგ კანდიდთან დამაკავშირეთ! — დაუბარა და კაბინეტში შევიდა.

ეს იყო უშველებელი ოთახი. მძიმე საწერი მაგიდა, სხდომის მაგიდები, მაღალზურგიანი სკამები, ჩინური ფაიფურის ვაზა კუთხეში, ფანჯრებზე ტალღოვანი ფარდები... ლენინის პორტრეტი გვერდითა კედელზე, ხრუშჩოვისა — ზურგსუკან.

დინჯად, დარბასისლურად ჩაეშვა სავარძელში. შემოსასვლელისაკენ გაიხედა. კარი ისე შორს იყო, იქიდან შემოსული კაცი, ალბათ, უფრო პატარა გამოჩნდებოდა, ვიდრე სინამდვილეში გახლდათ.

მარჯვენა ტელეფონების მომცრო მაგიდაზე დაასვენა, ზარს დაელოდა.

მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ტელეფონის წერიალი. ნამით ფიქრში ჩაიძირა და გამოთიშულიყო. კინალამ წამოხტა, ყურმილი მოხდენილად ასწია და ჩასძახა:

— გისმენთ!

— რბილია სავარძელი? — იკითხა უცხომ.

— რომელი ხარ?

— გატყობ, ხმაზე ვერ მიცანი! დრო ადამიანის მეხსიერებას აქვეითებს, ძველი მეგობრები ლანდებად იქცევიან!

— ამხანაგო, სახუმაროდ არა მცალია, — რატომლაც გული შეუთრთოლდა დურუს, — ახლა თათბირი მეწყება! — საკუთარ თავზე გაბრაზდა, რას ვეთითლიბაზები, რამ შემაკრთოო.

— ეჲ, — ამოიხვენება უცხომ, — დრონი იცვალნენ, შენ კი იგივე დარჩი!

— ვითომ როგორი?

— მუნდი რდი დო მუნდი რექ\*! — ხმადაბლა წარმოთქვა უცხომ და ყურმილი დაკიდა.

დურუს თავ-პირი ჭარხალივით გაუხდა, აღშფოთებამ ენა დაუბა:

— შენ... შენ!.. — უაზროდ ჩასძახა ტელეფონს, პასუხად კი ზუმერის წყვეტილი სიგნალი ჩაესმა...

10

სკოლის ძმაკაცები არასოდეს დავიწყებია, მისი ფიქრები ხშირად დასტრიალებდა მართალი თოდუასა და არიქა ძაძუას. ბიჭებისთვის ბევრი არ მიუსჯიათ, სამ-სამი წელი აკმარეს. და მაინც, რაღაც წინკნიდა გულის გულში, რაღაც ქენჯნიდა. გულწრფელად ინანიებდა, თუმცა წესიერად ვერ მოეაზრებინა თუ რას ინანიებდა. სურდა, რამენაირად დახმარებოდა. თავდაპირველად საამისო ძალა არ შესწევდა, საკუთარი ბედ-ილბალი სასწორზე შეგდებულად ეჩვენებოდა.

მერე და მერე, შიში რომ გაუქრა და ღონეც მოეცა, ერთი-ორჯერ ფრთხილად ჩაეძია ლესტამბეს, ხომ არ იცი, სასჯელს სად იხდიანო. ლესტამბე მუდამ უხემად აწყვეტინებდა, მათი ხსენებაც კი ალიზიანებდა, ცოტა აკმარესო, ბოლმას ასკდებოდა. დურუ საუბარს უმალ სხვა თემაზე გადაიტანდა, ლესტამბეს გულის ცეცხლს გაუნელებდა. ყველაზე იოლი და ბუნებრივი, რა თქმა უნდა, ის იქნებოდა, ეფროს სწვეოდა შინ ანდა ფუცუს, ქალებს ხომ უკეთ ეცოდინებოდათ პატიმრების ასავალ-დასავალი... მოვალეც კი იყო, რომ სწვეოდა, მოეკითხა, ხელი გაემართა, მაგრამ რაღაცა ბორკავდა, ხელ-ფეხს უკრავდა. გულის სიღრმეში შიში ფაჩუნობდა, ქალების შემოხედვას უფრთხოდა, მათთვის თვალის გასწორება უჭირდა... მუდამ თან სდევდა ეს შიში, არ შორდებოდა. ამიტომ ვერა და ვერ გადაწყვიტა, ვერა და ვერ მოიკითხა...

დრომ გაირბინა... რაც მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო უძნელდებოდა ვალის აღსრულება. არავინ საყვედურობდა, არავინ ეკითხებოდა, სად არიან შენი ყოფილი მეგობრებიო...

ქალაქს, მის ნაცნობთა წრეს თითქოს დავიწყებოდა ისინი, მეხსიერებიდან ამოეგდო და დურუ გეგიას ფიქრშიც თანდათან მკრთალდებოდა მათი ხატი, თანდათან შორი ხდებოდა ბავშვობის ფერადოვანი მოგონებანი, ბლაგვდებოდა დანაშაულის გრძნობა, წყნარდებოდა სინდისი, თვლემა ერეოდა და უხერხულობის განცდა ქრებოდა. ახლა უკვე აღარ ახსოვდა ეს ქალები, მათი სახლებისკენ არც იხედებოდა... დიდი კაცი გახდა და წვრილმანი შეცოდებანი მის სინდისს ვერ დაამძიმებდა...

ადრე არაერთხელ უფიქრია, როგორ გავიხარებ, ძმაკაცები რომ ციხეს თავს დააღწევენო. ისე, სხვათა შორის უფიქრია, მაგრამ სინამდვილე სულ სხვანაირი აღმოჩნდა. ზარის ერთი დარეკვა და ურთიერთთანალმობის მწვერვალიდან ბოლმის ნარწყვეში მოადინა ძნეულა, გააფთრებულმა გულში გაიფიქრა: „ამას არ გაპატიებ, არიქა ძაძუა!“ ცხადია, ასეთ შეურაცხყოფას ვერავის აპატიებდა, ვერც არიქას და ვერც მართალის, თუმცა ამას არ დაურეკავს და არც რამენაირად მოუკითხავს, ეს დუმილი იმას ნიშნავდა, რომ იგი გუნებაში არიქას ეთანხმებოდა.

დურუს პირში ნერწყვი გაუქრა, გული აჩქარებით უცემდა და, როცა ამხანაგმა კანდიდა დაურეკა, წარმატება მიულოცა, რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა თავმჯდომარე ხარო, მოეფერა, პასუხად ხმა ძლივს დაიმორჩილა, სიხარულის ოპტიმისტური განცდა ვეღარ გამოხატა, უფერული და ნაღვლიანი კილოთი პირველი კაცი გააკვირვა, თუმცა რა ეპირველკაცებოდა, როცა ბოლმა ახრჩიობოდა და არ იცოდა, რა ეღონა.

ლესტამბეს დაურეკა, თოლორაიას.

— ჩამოხვედი? — საქმიანად იკითხა ლესტამბემ.

— გაიგე, ისინი რომ ჩამოსულან?

— ვინ ისინი?

— ჩვენი ძმაკაცები, სტალინისტები!

— რაო, გეახლნენ თუ?

— არიქამ დამირეკა წუთის წინ, გამომლანდა!

— გამოგლანდა? — შეიცხადა ლესტამბემ.

დურუმ დუმილით უპასუხა.

\*(ქვერ) ტრაქა იყაფი და ტრაქა ხარ!

— გამოგლანძღვდა! — ლესტამბეს ხმაშიც ბოლმა გა-  
უღერდა. — იქ, ციხეში, ეტყობა, ვერაფერი ისწავლეს... ნაა-  
დრევად გამოუშვიათ!

— ჰო, ნაადრევად გამოვიდნენ!

— ადრე გამოვიდნენ და კისერსაც ადრევე წაიტეხენ! —  
ნაძალადევად ჩაიხითხითა ლესტამბე. — ეგეთები გვინახავს?

დურუმაც ნაძალადევი ხითხითით უპასუხა. თბილისური  
ამბები ორი სიტყვით უამბო, მოლოცვა მოისმინა და ყურმილის  
დადება უნდოდა, როცა ლესტამბემ ჰქითხა, მაინც რანაირი  
სიტყვებით გამოგლანძღაო. „ისე, რა!“ — ბანზე აუგდო დურუმ,  
ყურმილი მოწყვეტით დააგდო, რადგან ახლალა იაზრა, რა სა-  
შიში იყო იმ სიტყვების გამეორება. ვერავისთან იჩივლებდა,  
რაკილა ვერავისთან გაამხელდა თუ რა შეპბედა არიქა ძაძუამ.  
ჭორად მოედებოდა ქალაქს, აცინებდა დიდ-პატარას, მეტსა-  
ხელად მიეკერებოდა და მისი მომავალი და კარიერა სწრაფადვე  
გაცამტვერდებოდა... აჯობებდა, ისე მოქცეულიყო, ვითომტ  
ტელეფონში ნათქვამი სიტყვები საერთოდ ვერ გაიგონა, ჰაერს  
შერჩა და ჰაერშივე განქარდა... ოდესმე მაინც შემოჰკრავდა  
შურისძიების ზარი და სწორედ მაშინ შეახსენებდა დურუ ამ  
სიტყვებს არიქას, ასწილად შეუბრუნებდა.

„მუხლებზე ჩიქვით მომაკითხავენ!“ — გაიფიქრა და  
გახედა შემოსასვლელ კარს, რომელიც მისი მაგიდიდან ისე  
შორს იყო, მომსვლელი კაცი თითქოს პატარავდებოდა.

„აბა, ჰე!“ — შეუძახა თავს, გული გაიმხნევა და დაგმარა  
მოიხმო... ქედზე რა უღელიც შემოიდო, ის უნდა გაექაჩა...

\* \* \*

მრავალი წელი ათრია დურუ გეგიამ ეს უღელი. საქმი-  
სათვის ძალას არ იშურებდა, სხვაზე ნაკლები არაფრით იყო.  
ქალაქში ზომიერი წესრიგი სუფევდა, ქუჩები დროულად სუფ-  
თავდებოდა, წყალსადენი გაჰყავდათ, თეატრი და სტადიონი  
შენდებოდა, ბაზარი ვაჭრობდა, სპეკულანტებს იჭერდნენ,  
ზოგან ასთალტი ეფინებოდა, რამდენიმე „ხრუშჩოვკა“ აშენდა,  
პატარ-პატარა, ფუტკრის ფიჭასავით ოთახებით, ძირითადად  
რუსეთიდან ჩამოხეტებულ პროლეტარებს რომ დაურიგდათ...  
მისი ყოველდღიურობა ივსებოდა ათასი წვრილმანით, ერთი  
დღე არ ჰერდებოდა მეორეს, მაგრამ, გონების თვალით როცა გახე-  
დავდა გასულ დღეებსა და თვეებს, ვერაფერ მნიშვნელოვან-  
ზე ვერ ჩერდებოდა... დრო წყალივით მიედინებოდა ფუჭად...  
უწყვეტი ნაკადი მთხოვნელებისა, ულევი წვრილი პრობლე-  
მა, როგორც წერვის ბოჭკო, ისე რომ სტკივა ქალაქს... მას კი,  
მკურნალს, არც დრო ჰქონდა, არც საშუალება, სენისათვის  
ემკურნალა. შეეძლო მხოლოდ მიეფუჩეჩებინა სატკივარი,  
თვალსაშირიდან მოეშორებინა, რადგან, რასაც ვერ ხედავ-  
და, ის არ არსებობდა... ოჯახი ხომ უძირო ქვევრს დაემსგავსა,  
ასხი რამდენიც გინდა, ვერაფრით გაავსებ! ჩიქოს და გუჯას,  
ლამისაა, დედ-მამა გადაეყლაპათ, მათი ლონიერი ყბები შეუს-  
ვენებლივ ტკვერავდნენ ძვალსა და რბილს, მათ სურვილს წინ  
ვერაფერი დაუდებოდა... დიტო იზრდებოდა უჭმელი, მაგრამ  
ნერვული და ნაზი, იმდენ წამალს ხარჯავდა, იმდენმა ექიმმა  
შეავლო ხელი, მისი წონის ოქროს ბიჭუნა უფრო იაფი დაჯდე-  
ბოდა... ეთერიკო იზრდებოდა დედის გულის ვარდი და მამის  
თაფლის კვერი, მისთვის ხომ ფულს ვერავინ დაინანებდა...

„საკუთარი თავისთვის ვერა ვცხოვრობ!“ — დალონებით  
ფიქრობდა ხანდახან. თუმცა რას ნიშნავდა „საკუთარი თავი-  
სთვის ცხოვრება?“ აბა, ვის მუცელში ჩადიოდა ის ღვინო და  
ხორაგი, რასაც თითქმის ყოველდღე ნთქავდა სხვადასხვა სუ-  
ფრაზე...

ნეტავი საიდან გაჩნდა ამდენი ძმაკაცი და პირზე კოცნის  
მოსურნე? მარტო ხომ აბანოშიც ვერ მიდიოდა. უმალ იქ გაჩ-  
ნდებოდნენ ხორციანი, ძვალმსხვილი მუშაკები არყით, კონია-

კით, შამპანურით, ნესვითა და საზამთროთი... თეთრ ზენრებ-ში გახვეულნი ისხდნენ ხის სკამლოგინებზე, ეხვეოდნენ ცხე-ლი ორთქლის ბურანში, ყვებოდნენ ანეკლოტებს, გაჰქონდათ ერთი ხორხოცი და ტკარცალი და, რა თქმა უნდა, ამ დროს დურუს ყოველნაირად უხრიდნენ ქედს.

ქალი მოუნდებოდა და... აჲ, ამაზე არ ღირს ლაპარაკი. მაგოდენა ჯანიან ხვადს ისედაც არაერთი ქალი ინდომებდა, თუმცა სანადელი მხოლოდ ისაა, ვინც ხელიდან გეცლება, იოლად ვერ მიწვდები, ვისი ხატებაც სიზმარში ჩაგყვება.

„საკუთარი თავისთვის ვერ ვცხოვრობ!“ — ეს იმიტომ, რომ ვერ შეძლო, ალყა შემოერტყა იმ ჩაუამებული ბარაკი-სათვის, ირგვლივ საფორტიფიკაციო ნაგებობები ველარ ალ-მართა და შტურმით ვერ აიღო... არ ეცალა და იმიტომ? ან შიშის გამო, ვაითუ ეს ჩემი გულის ნადები გახმაურდეს, ქალაქმაც გაიგოს და ჩემს ოჯახშიც შემოაღწიოსა... ნატაშა! ქალი, რომ-ლის სახელი სიზმარშიც და ცხადშიც თანა სდევდა... ჩუმად ხარობდა, რადგან ლესტამბესაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ნატაშას ყველა ხიდი დაეწვა და იმ პატარა ოთახში ჩაბუდებულიყო, ავადმყოფ, სიქაგაცლილ ბერი ზაქარაიასთან, რომელზე ეჭვიანობა ამცირებდა ლესტამბესაც და დურუსაც...

და მაინც, მის ცხოვრებას წარმატებული ეთქმოდა, თუმცა ამ წარმატებას თან ახლდა ჩრდილი, უკურნებელი სენი, მეტასტაზების ნიშნები... ფარული შიში, რომელიც ყველა შიშ-ზე უფრო შიშია, შიში, რომელიც ტელეფონის ზარით დაიწყო. „მუნდი რდი დო მუნდი რექ!“ — ეს სიტყვები ვერა და ვერ დაივიწყა. იმ დღის შემდეგ არავის დაურეკავს, არავის გაუმეორებია, მაგრამ ეჭვები ღრღნიდა, ეჩვენებოდა, რომ მისი პირველკაცობა, მისი გამორჩეულობა სრული არ იყო, რადგან სადღაც, ქალაქის რომელიღაც უბანში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო ასეთი სიტყვებით შეემკო... ცხოვრობდა მეორე კაციც, რომელიც ამ სიტყვებს ჩუმად ეთანხმებოდა... სიტყვა კი, პაერში გაშვებული ჩიტივითაა, დაფრინავს, დაფრინავს, სანამ ვინმეს სმენას არ მისწვდება... რაც დრო გადიოდა, დურუ უფრო და უფრო უგდებდა ყურს შორეულ ფაჩუნს, მავანთა გადანალაპარაკევს, ხმადაბალ ჩაცირებას.

დიახ, ეს ჭორი ფაჩუნობდა, ეს მის ზურგსუკან ლაპარაკობდნენ, დასცინოდნენ, მას კი ძალა არ ჰქონდა, წინ აღდგომოდა საიდანდაც მორღვეულ ზვავს, რომელიც ლამის თავზე გადასვლოდა...

ცდილობდა, თავი დაეცვა. ვითომ სასხვათაშორისოდო, ლესტამბეს შეაგულიანებდა, რათა იმას ეფხიზლა, ინტრიგის ქსელი გაება, იქნებ შიგ გახლართულიყვნენ მისი ადრინდელი ძმაკაცები, ან „საზოგადოებისათვის საშიში პირნი“. ოღონდ თვითონ არ უნდა გამოჩენილყო, მის ჩაურევლად უნდა მოეშორებინათ ისინი ქალაქისათვის, ქვეყნისათვის, რათა მშვიდად სძინებოდა, მშვიდად ეღვანა სამშობლოს საკეთილდღეოდ... ბოლომდე ღიად ვერ ამჟღავნებდა ამ გულისწადილს, ლესტამბეც ვერ ჩასწვდენდა ძმაკაცის სურვილთა სიღრმეს. ანდა ლესტამბეს რა წახალისება უნდოდა, ისედაც იზამდა საქენელს, ოღონდ რა ინტრიგა უნდა მოექსოვა, როცა არიქა ძაძუა ვერა და ვერ ასცილებოდა ცხოვრების ფსკერს, წესიერი სამსახური ვერსად ეშოვა, არავის სჭირდებოდა მისი რეჟისორული ნიჭიერება და, თუ თეატრში ცხვირი შეაყოფინეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყაბულს იყო სცენის უბრალო მუშად ემუშავა ანდა გამნათებლად, მიეღო თავისი მათხოვრული სამოცდაათი მან., რაიც ღვეზელისა და ჩაის გარანტიასლა აძლევდა... ეს იყო მისი ადგილი და იქ უნდა ჩაბერებულიყო სამუდამოდ!.. მართალი თოდუას, ამ ჩუმჩუმელასა და ქვეშ-ქვეშას, არც უფიქრია სამსახურის ძებნა. თავისი სახლის ღია სარდაფი ფანერით შემოჭედა, „სამხატვრო“ გახსნა და შიგადაშიგ ხატავდა ლაუვარდოვან პეიზაჟებს, რომლებზეც ოცნების მირაჟი დანანავებდა, უფრო ხშირად კი ფოტოსურათებიდან მიცვალებულთა ცვილისფერ სახეებს, რითაც ჭამდა პურს და რის გამოც ფინგანი სიქას აცლიდა... ეს იყო მისი ჭეშ-მარიტი ადგილი: მათხოვრული ანაზღაურების საფასურად ეხატა მიცვალებულები, ეღრიჭინა ფინგანთან და შიმშილით არ მომკვდარიყო...

დიახ, ცხოვრება თვითონ უჩვენებს, ვინაა ქვეყნისთვის გადაგებული კაცი და ვინაა „მუნდი“!

ცხადია, სასწორი მის მხარეს იხრებოდა, მაგრამ მაინც ხომ ჰქონდა სულში ხინჯი, ხომ ფუთფუთებდა მასში შიში და ეჭვი?.. ერთადერთი გზა, რაც მას დაიხსნიდა, ეს იყო უფრო მაღლა აფრენა, იმ ეშელონებში შეღწევა, სადაც მავანი სცენის მუშაკისა თუ პროვინციელი მჯღაბნელის სიტყვებს საპნის ბუშტზე მეტი ძალა აღარ ექნებოდა... უკვე ვერ ეტეოდა დურუ თავის სავარდელში, კაბინეტი ეპატარავებოდა. მართალიც იყო! მთელ მერეთში ერთიც არ დაიძებნებოდა მასზე იდეური მარქსისტი, გულანთებული ლენინელი... კანდიდ კურცხალიაც კი, პირველი მდივანი, ხანდახან ისეთ ანეკდოტებს ყვებოდა პარტიასა და ლენინზე (ცხადია, ახლობელთა ვინრო წრეში!), რომ მიუჩვეველ დურუს სიფათი ჩამოუგრძელდებოდა და ლოყები უცოდველი ქალიშვილივით აუღვივდებოდა...

ალბათ, კვლავ ბატონი შემთხვევა უნდა მობრძანებულიყო და დურუს ბეჭ-ილბალი გადაეწყვიტა... ოჰ, ეს „შემთხვევა“!.. ერთგული მეითხველი იესე ამას ნამდვილად არ დამიჯერებს. ჯერ ხრუმჩოვის ჩახუტება რა იყო, წარბებს აწკიპავს, ახლა ესეცო... ამდენ ხალხში, დურუ გეგიას ოჯახურ ვახშამზე, მშეერ ოთხმოცდაცამეტში რომ შემემთხვა, საჯაროდ გამომაჭენებს და თავს მომჭრის... თუმცა უკან მაინც ვერ დავიხევ, მე რაც ვიცი, იმას ვკვები და, ვინც არ დამიჯერებს, იყოს თავისითვის... იესე, ვატყობ, უკვე ხვდება, კალამი საითკენ გამირბის და პროტესტის ნიშნად ხელები მაღლა აუნევია, როგორც დატყვევებულ მეომრებს ჩვევიათ.

მერეთში ლეონიდ ილიჩმა ჩამოიარა... თქვენ ეს არ გჯერათ? თქვენ გინდათ ჩაყვითლებული გაზეთები თვალწინ ამიფრიალოთ, აბა სად წერია? დაგინერდნენ სწორედ! კაცი გემოზე ისვენებდა, ამას დაწერა რად უნდოდა! ეს ის დრო გახლდათ, როცა ლეონიდ ილიჩი ჯერ კიდევ არ ისველებდა. დაცინვად წურავინ მიიღებს, რა სჭირს ამოდენა კაცს ჩვენი დასაცინი. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, იმ პერიოდში ლეონიდ ილიჩი არც ისველებდა და არც ისე მგზნებარედ კოცნაობდა... ბოლო წლებში ყველამ ისედაც იცის, რა როგორ ხდებოდა...

ზღვისპირეთში დასასვენებლად იყო ჩამოსული და ლეონიდ ილიჩმა მერეთში ინება გამოსეირნება. წარმოიდგინეთ,

აღფრთოვანებულ მერეთელთა ორრიგი მწკრივი ქუჩების გასწვრივ, წითელი დროშები, პორტრეტები, ყვავილები, „ვაშა“, ცნობისმოყვარეთა მოუთმენელი ცმუკვა... სკოლებში სწავლა შეწყდა, წარმოება-დაწესებულებებში — მუშაობა... რა პატივი იყო, რა ბედნიერება!.. ათასობით წითელყელსახვევიანი გოგონა და ბიჭუნა, უთვალავი კომკავშირელი, პარტიელი და, რა თქმა უნდა, მკერდდაჯინჯილებული ვეტერანები... რაიკომის მენობის ფასადზე სახურავიდან ტროტურამდე გადმოფენილ ტილოზე ახალგაზრდულად შემართული, ენერგიული ბრეჟნევი (პატარა ბაია შეშინებული ღრიალებს: „დედიკო, ამუნია!“).

აგერ შავი ლიმუზინების კოლონა. მერეთელებს თვალი გადმოვარდნაზე აქვთ, იქნებ მზერა როგორმე შევასწროთო. ზოგი იძახის, ვნახეო, ზოგიც — ვერაო. ლიმუზინები ოქტომბრის მოედანზე ჩერდება. რიგით მეორე მანქანიდან დინჯად გადმოდის გენსეკი — უხვექორიანი, ბანჯგვლიანი წარბებით, მუქნაცრისფერ შარვალ-კოსტიუმში, მკერდზე ოქროს მედლებითა და ორდენებით (მაშინდელი მკერდი ჯერაც არ იყო ზეუხვი!).

— ვაშა! — გრიალებს მოედანი.

— ვაშა! — ტკარცალებენ ბავშვები.

— ურა! — ბლავიან პარტიელი კარიერისტები.

სწორედ ახლაა საჭირო თავის გამოჩენა, მთელი სხეულით უნდა იგრძნო წამის სიდიადე.

დურუ გეგია აღენთო, მის სულში ვერ ჩაეტია სიყვარულის მძლავრი კოცონი, მოსწყდა მორიდებით მდგარ ქალაქის დეპუტაციას, უკან მოიტოვა ამხანაგი კანდიდ კურცხალია, გვერდით ჩაუქროლა რესპუბლიკური მასშტაბის გვამებს და აღფრთოვანებით შესძახა:

— Дорогой Леонид Ильич!

გენსეკმა დაინახა მისკენ გამოქანებული პირმშვენიერი ვაჟკაცი, დათვის ბელი, უფრო სწორად, ჯეელი დათვი, მკლავები რომ ფართოდ გაუშლია, სახე კი უზომოდ გაფურჩქნულ ვარდს მიუგავს.

მოსიყვარულე კაცი იყო ლეონიდ ილიჩი და გული აუჩუყდა. თვითონაც გაშლილი მკლავები შეაგება.

ლეონიდ ილიჩი და დურუ გეგია ერთმანეთს გადაეჭდნენ, ბაგე ბაგეს შეაგებეს და ერთურთი ღრმად ჩაკოცნეს.

აგრ კორესპონდენტებიც, ჩხაე-ჩხუკ, „ჩაკარტოჩე-ბულია“!

ხვალ ქალაქის ცენტრში, სტენდზე წამოიმართება უზარ-მაზარი ფოტოპანო — „ლეონიდ ბრეუნევი და დურუ გეგია“.

აცრემლებულმა ლეონიდ ილიჩმა ყურში ჩასჩურჩულა დურუს:

— А где здесь мавзолей Ленина?

აჲ, პარდონ, შემეშალა! ეს იყო მოგვიანებით, როცა ლე-ონიდ ილიჩი ფეხზე ძლივს იდგა და მკერდით უთვალავ ოქროს ეზიდებოდა.

ჩემს მკითხველს, იესეს, ცხადია, არ სჯერა ეს სარწმუნო ამბავი, ამიტომ შემიძლია შევთავაზო უკვე ნაცნობი ვერსია ფულებით სავსე „დიპლომატის“ თაობაზე: კანდიდ კურცხალიას აქვეითებენ მაღლა აწევით (ე.ი. ნიშნავენ სახელიან უფულო თანამდებობაზე!). ქალაქის ნომენკლატურა აგროვებს ლენინისთავიან კუპიურებს, ლამაზად ალაგებენ გაცილებით ღრმა და ფართო ჩემოდანში, ვიდრე გვახსოვს ადრინდელი ვერ-სიიდან... ეს ჩემოდანი მიდის იქ, სადაც უნდა მიდიოდეს ასეთი ჩემოდნები და დედაქალაქიდან მოფრინავს დურუ გეგია — ამჯერად მართლაც თვითმფრინავით („კუკურუზნიკით“!) და ამ ეტაპზე მერეთის კპ რაიკომის პირველი მდივანი...

11

— აღარ გინდოდათ, ხომ, კომუნისტები? იჯექით ახლა ამ სიბნელეში! — ნიშნისმოგებით დააგდო დურუმ.

წინ უზარმაზარი კათხა ედო. თორმეტი სადლეგრძელო ერთმანეთს გადააბა, თორმეტივე ღვინის ჭიქა ამ კათხაში ჩაცალა. მეცამეტე გვერდით მიუდგა. ალბათ, ღენინის სად-ლეგრძელო უნდოდა ეთქვა ან კომუნისტური პარტიისა, ვეღარ გაბედა და მაშინ დააგდო ეს სიტყვები... შესვა ეს მეცამეტე

ჭიქა, ამოიხვნეშა და თორმეტჭიქიანი კათხაც მოიყუდა, სტო-მაქში ჩაიცალა.

დიახ, „მგზნებარე ლენინელი“ იყო და მისი სულიდან ბოლომდე ვერ ამოირეცხა ლენინელობის სინდრომი. ამ მრგვალი თავის ტვინის ხვეულებში ცოცხლობდა ფრაზები და ლოზუნგები, რომლებსაც ფერი არა ჰქონდა რა, გარდა ფარა-ჯის ფერისა, მის ნაოჭებში, როგორც ტალახიან სანგრებში, ჩამსხდარიყვნენ შაშხანიანი პროლეტარული ჯარისკაცები, მსგავსი იმ სალდათისა, სმოლნში ჩაიდნით ხელში ლენინს რომ ეძებდა... ღვინისა და ნოსტალგიისაგან მისი ტვინი თით-ქოს ბურუსში გაეხვია, მეხსიერების მერეთს რუხი ფერი გადა-ეფინა და გაუგებარი გახდა თუ წელიწადის რა დრო იყო ის ბედ-ნიერი დღეები, როცა მის არსებობას აზრი მიეცა...

მაცხოვრისგორაზე დიდი ბელადის ძეგლი უნდა აღმარ-თულიყო და ამ საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი დურუ გეგია გახლდათ.

— ამხანაგო ბენედიქტე, თავი მეტად მსხვილი მეჩვენება რაღაც! — ჭოჭმანით შეათვალიერა დურუმ ბრინჯაოს უზარ-მაზარი გოგრა.

— ჭკუა ჰქონდა ბევრი, ამხანაგო დურუ, მაგოდენა ჭკუა პატარა თავში რანაირად ჩაეტეოდა! — მოქანდაკეს დაასწრო არქიტექტორმა თეოფანემ.

ისინი დედაქალაქიდან მოიწვია დურუმ, ბიუჯეტიდან კაი ძალა თანხა გააიმასქნა და ახლა მაცხოვრისგორის თავზე გაცხოველებული მუშაობა მიდიოდა.

— რა ბედნიერებაა, აქ ჩამოსვლა რომ მოგვიხერხდა! — აუღურტულდა თეოფანე. — მომენატრა მერეთი, მისი პეიზა-ჟები, ალალი ხალხი... — ხმაში ყალბი პათეტიკა შეეპარა, თვი-თონაც გრძნობდა ამას და მოქანდაკეს იმოწმებდა: — ხომ მართალია?

— ოპოპო! — ოხრავდა ბენედიქტე, რაღაც არ მოსწონდა, რაღაც თვალში არ მოსდიოდა.

— ამ ცისქვეშეთში არაფერია მარადიული! — თეოფანეს ხმაში სევდა გაკრთა. — მახსოვს, მახსოვს ის ნათელი დღეები! ნეტავ სად არიან ყმანვილები, მაშინ თქვენთან ერთად რომ

მოღვაწეობდნენ? პატივცემული ხელოსანი რა იქნა?.. ჰმ, მგონი ქირია გვარად, ბესარიონი ერქვა, თუ არ ვცდები!.. ეჭ, ამ ცისქვეშეთში არაფერია მარადიული!

ეს მისი სიტყვები კი არ იყო, მისი სევდა კი არ უღერდა, ბენედიქტეს აზრს ახმოვანებდა თეოფანე, მისი გულიდან კითხულობდა. ბენედიქტე ძალიან ცოტას ამბობდა, მაგრამ თეოფანემ მუდამ იცოდა, მისი მეგობარი რის თქმასაც ეპირებოდა და სიტყვათა დალაგების მძიმე შრომისაგან ათავისუფლებდა.

— მაგას ნუ იტყვით! — მკვირცხლად ჩაერია დურუ. — დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძეგლი, ჩვენს თვალწინ რომ ნამოიმართება, მითაუამს გაუძლებს! სანამ იარსებებს სოციალიზმი, — აქ დურუმ გულზე სასოებით მიიღო ხელი, — სანამ იარსებებს სესერეკა, ეს ძეგლიც იქნება და იქნება!

დიახ, ლენინი მოპრძანდებოდა მერეთში, ვლადიმერ ილიჩი... მისი უზარმაზარი თავი აგერ ჯერაც ფილაქაზე იდო, მაგრამ უთავო ტორსი უკვე კვარცხლბეკზე ეყენა და კეპჩაბლუჯული მარჯვენა წინ გაეტყორცნა...

თბილისიდან პირველმა მდივანმა დარეკა. თბილად მოიკითხა, როგორ მიდის საქმეო. თავიღა აკლიაო, ყოჩალად მოახსენა დურუმ. იმას ხველება აუტყდა. დურუ მიხვდა, ორაზროვნად გამომივიდაო და შიშისაგან კინალამ გული შეულონდა. შეეცადა, შეცდომა გამოესწორებინა, მიკნავლებული ხმით დაუწყო ახსნა-განმარტება, დღეს-ხვალ დავამთავრებო და საზეიმო გახსნას ზუსტად საიუბილეო დღეებს დავამთხვევთო. მდივანი, ვინ იცის, მავთულის ბოლოს როგორ იცინოდა, მაგრამ დინჯად კი შეეპასუხა: აბა, თქვენ იცით, დროზე უნდა მოასწოროთ, გახსნაზე, თუ მოხერხდა, თვითონ ჩამოვალო, მოსკოვიდან მეყოლება მაღალი სტუმარი, არ შევრცხვეთ, დავანახოთ რა მასპინძლობაც შეგვძლებიაო... საიუბილეოდ იქნებ ლენინის ორდენსაც კი გამოჰკრა ხელიო...

დურუს სიხარულისაგან ენა დაება და, სანამ სამადლო-ბელო სიტყვას შეაკონინებდა, იმ ბოლოს ყურმილი დადეს.

მთელი ქალაქი ლენინის ძეგლზე ლაპარაკობდა. მოედანზე ხომ აქამდე პატარა ლენინჩიკი იდგა, ვერცხლისფერი სტანდარტული თოჯინა. ერთ ღამეს გააქრეს, საღამოს იყო

და დილით უკვე აღარ იყო. სერიოზული პროექტი ხორციელდებოდა და ძველი ძეგლი თითქოს ამცრობდა უკვდავ სახელს, ორლობის ანეკდოტის საბაბად აქცევდა. თუმცა ჰაიპარად, სახელდახელოდ დადგმული ბელადის ძეგლის მოხსნაც კი მკრეხელობად ჩაითვლებოდა, ამაზე მავანი თავს იოლად წააგებდა, მაგრამ ამჯერად ყველამ თვალი მოუხუჭა, ვითომც არაფერი მომხდარაო... იმ ადგილას დროებით უზარგაზარი ქოთანი დაიდგა, რომელშიც ყვავილები იყო ჩარგული. ოდესმე სერგო ორჯონიკიძეს წამოვჭიმავო, ვარაუდობდა დურუ... მერეთელები სიამაყით ხარშავდნენ ტვინში აზრს, ლენინის ისეთი ძეგლი იდგმება, საბჭოეთში ეგეთი ორი არ მოიძებნებაო. ცნობისმოყვარეთა ნაკადი არ ილეოდა მაცხოვრისგორის კიბეზე, თუმცა სამუშაო მოედანი მაღალი ღობით იყო შემოზღუდული და რიგით მოქალაქეებს არავინ აკარებდა... ცისანა სიორდია, ბუნებრივია, რიგით მოქალაქეებში არ ეწერა, ქალაქის გამორჩეული მატრონასათვის აკრძალვები არ არსებობდა. ამიტომაც თავისი უფროსები, ჩოქო და გუჯა წაასხა.

ბიჭებს ჭკუა უკვე მოეკითხებოდათ, მომცრო კარადის ფორმისანი, მხარბეჭიანნი, დიდთავიანნი წამოიზარდნენ. მაცხოვრისგორის მაღალ კიბეზე ისე აირბინეს, გული არ აჩქარებიათ. ცისანას კი თავისი მძიმე სხეული ქოშინითა და ვაი-ვიშით აჟქონდა, თან წუნუნებდა და, რაკი მისი ნათქვამი არავის ესმოდა, ლენინსა და მთელ მის ჯილაგს გულიანად წყევლიდა, დაგიდგეს გვერდებიო, გაფშეკილი მენახე ერთ დღესო, ძარღვები მენასკენება, შენ გაგნასკვა ჯოჯოხეთმაო და ამგვარებს გაიძახოდა, თითქოს მაგ დროისათვის ილიჩი ზომაზე მეტად არ ყოფილიყოს გაფშეკილი. გულსგარეთ იწყევლებოდა, თორემ ცისანა უპირველესი ლენინელი იყო დიასახლისებში და წიგნიც კი ჰქონდა წაკითხული ახირებული სათაურით — „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკანო“, თუმცა იქიდან ვერაფერი ისეთი ვერ ამოიკითხა, რაც მის ჭკუას ცოტათი მაინც წაადგებოდა.

გადალახა ბოლო საფეხური ცისანამ, გაიხედა და პირვატა ეცა. ლენინის უზარმაზარ თავს კეფა ფილაქანზე ედო და ცისკენ იყურებოდა. ზედ მისი ონავრები აფოფხებულიყვნენ. ჩოქო პირდაპირ ილიჩის ულვაშზე იჯდა, ხელები ცხვირისათ-

ვის ჩაევლო და აჩუ-აჩუს იძახდა. გუჯა ცხვირზე შემჯდარიყო, უკანალით უპეებში ჩასრიალდებოდა ხოლმე, რათა ისევ ცხვირის წვერზე ამძვრალიყო... ცისანამ ენა კინალამ გადაყლაპა, ხელები გაასავსავა და მისი წონისა და ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით გაქანდა, უფრო სწორად, თვითონ ეგონა, რომ გა-ქანდა, თორემ ძლივს მიქლოშინებდა.

ამასობაში კვარცხლბეკთან შეკრებილნიც შემობრუნდნენ. დურუ ემუსაიფებოდა ბენედიქტესა და თეოფანეს, უნებლიერ მოიხედა და გაშრა. როგორც სიზმარი წამში უამრავ მოვლენას მოიცავს, წარმოსახვაში დურუს ხელები დაგრძელდა, მისწვდა ონავრების ყურებს და ორივენი ძირს ჩამოათრია. რეალურად, რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა, ცისანა ქმარზე უწინ აღმოჩნდა ბიჭუნებთან, ყურებში ხელები ჩაავლო და მტკივნეულად მოქაჩა. ჩოქო და გუჯა შეხმატკბილებულად აჯღავლდნენ, დურუმ კი ცისანას დაუსისინა:

— ამოწყდა თქვენი ჯიში, გინდათ, რომ პარტიიდან გამრიცხონ?

თეოფანემ მოთაფლული ხმით მიუსწრაფა:

— ისეთი არაფერი მომხდარა, ლენინს უყვარდა ბავშვები!

ამ შემთხვევამ დურუს არიქა ძაძუა გაახსენა, ის დრო, როცა სტალინის თავმა არიქას ფეხი მოატეხა. ეს გახსენება შხამივით ჩაეწვეთა ტვინში... ვერაფრით დაევიწყებინა ტელეფონში ნათქვამი სიტყვა, ბედნიერ წუთებს უნამლავდა ხოლმე... სიტყვა უკვდავია! ეთერში გაფრენილ სიტყვას უკანვერ გააბრუნებ, ის მარადის ლივლივებს სივრცეში ან ჩამალულია ტვინის რომელიმე ნაოჭში, რათა კვლავ და კვლავ ამოტივტივდეს დავიწყების სილრმებიდან.

„ხომ შეიძლებოდა ლენინის თავიც გადაგორებულიყო?“ — ძრწოლით გაიფიქრა, როცა ამწემ ბრინჯაოს გოგრა ფილაქანს მოსწყვიტა, ჰაერში ააცურა და აქამდე უთავო ტორსს ზუსტად მოარგო.

„მე მგავს, ხომ იცი შენ!“ — გაუელვა დურუს. მართლაც ჰეგავდა! ისეთივე მკვრივი და ღონიერი ფიგურა აღმოჩნდა, დიდთავა... კეპი ბანჯველიან ხელს ჩაებლუჯა.

უნებლიერ სივრცისაკენ ხელი გატყორცნა დურუმ.

— რა იყო? — თეოფანემ ეშმაკურად ჩაიცინა.

— ეგერ ზღვა მოჩანს! — უთხრა დურუმ, ვითომც ხელი იმიტომ გავიშვირე, ზღვა რომ მენახვებინა.

— მერე რა?

— გახსოვთ, პირველად რომ ჩამობრძანდით? აქედან ჩანდა ერთი პატარა დაბა, უფრო სოფელი, ვიდრე ქალაქი... დასალიერში მიმოფანტული ჯარგვლები და მომცრო ყანები, უფრო კი თხმელის ტყეები და ვერანა ჯაგები, სადაც საღამოობით ტურა კიოდა... ახლა გახედეთ! ეგერ ჩაის ფაბრიკა!.. ეგერაც!.. ეგერაც!.. ვრცელი პლანტაციები... ავტოტრასები... შარაგზა ზღვისკენ ისარივით გატყორცნილა... ილიჩი იქითკენ მიგვითითებს! მერეთი გაიშლება და ოდესმე ზღვისპირსაც დაიპყრობს, იქ ნავმისადგომი აშენდება... ამ გზას ილიჩის გზა დაერქმევა!

დურუ გეგია წყვეტილ ფრაზებს ისროდა, თვალებში ფანატიკური ცეცხლი ენთო, ენერგიულ სიტყვებს დუშის წინწკლები მოჰყვა... არქიტექტორმა და მოქანდაკემ ერთმანეთს გადახედეს.

დაცხრა დურუ, დაწყნარდა. პირი ცხვირსახოცით მოიწმინდა. მიხვდა, რომ გადაამლაშა. იქაურობას უხმოდ გაშორდა. კიბეზე დაეშვა, მანქანაში ჩაჯდა. ერთხანს ყოყმანობდა, მერე მძღოლს მიუგდო:

— კომუნარების ქუჩაზე!

ნასესხები ახლახან ჩათავდა. გაზაფხულის მზემ დააცხუნა, სველი ქუჩები გააშრო. ეზო-კარი ხასხასა ბალახით შეიმოსა. ტყემალი თეთრად დაიპენტა. ტრიფოლიატის ღობეებში თეთრმა ყვავილებმა გამოიხედა. ჰაერი დაიწმინდა. დურუ გეგიას სულშიც გაზაფხულის გამჭვირვალებამ შემოაღწია. შუბლზე ხელი მოისვა, ტრიუმფატორის გვირგვინი იგრძნო... თუმცა დიდების სიხარულს მოუშორებელი ხინჯი ახლდა. „რა დავუშავე ისეთი?“ — თავის თავს ეკითხებოდა, პასუხს კი უფრთხოდა.

მანქანამ კომუნარების ქუჩისაკენ გაუხვია. ადრე ტალახაძის იყო ეს ქუჩა, მაგრამ ძველი სახელი პიროვნების კულტს

გადაყოლეს და ახალი დაანათლეს, თანაც ისეთი, დრო-ჟამი  
რომ ვერ მოშლიდა.

— გააჩერე! — ხმადაბლა უბრძანა მძღოლს.

წინასწარ მოიფიქრა, გადმოვალ მანქანიდან, ჭიშკარს  
შევაღებ და მეორე სართულზე შინაურულად ავბრაგუნდებიო.

ვეღარ გაბედა!

ფანჯრის მინა დასწია და სახლს გახედა. ბევრი არაფერი  
შესძენიათ თოდუებს. დამპალი ყავარი გამოუცვლიათ, ში-  
ფერით გადაუხურავთ, თუმცა ისიც ნესტისაგან გაშავებულა.  
ღია სარდაფში კი „სამხატვრო“ ამოუშენებიათ... ესაა და ეს!

— დაუსიგნალე!

მძღოლმა კლაკსონს დააჭირა.

ჭიშკართან უმაღლ ბიჭი გამოჩნდა. ალბათ, მანქანა იცნო,  
იქნებ მანქანის პატრონიც. მორიდებით გაჩერდა, დაელოდა.

ათი-თორმეტისა იქნებოდა. სხარტი, სპორტული აღნა-  
გობისა იყო... წაბლისფერი თმა, ნუშისფერი თვალები... წარბ-  
ნამნამი მართალის მიუგავდა, ტუჩ-კბილი კეკეს...

— შენ ქრისტეშია ხარ? — მაინც ჰკითხა.

— დიახ!

— მამიკო შინაა?

— ნწუ! წავიდა!

— ლექსები თუ იცი?

ქრისტეშიამ თავი მორცხვად დახარა, ამოიოხრა.

— აი, ლენინზე თუ იცი ლექსები?

ბიჭმა თავი ისე დაუქნია, ზევით არ აუხედავს.

— მაშ, ოცდაორში ლენინის ძეგლი უნდა გავხსნათ და  
შენ იქ ლექსი უნდა თქვა ლენინზე... მომიკითხე ეფრო ბებია!  
დურუმ მძღოლს ანიშნა და მანქანა დაიძრა.

უხაროდა, რომ მართალი შინ არ დახვდა, არ მოუწია პირ-  
ისპირ თვალის გასწორება. ვერ იტანდა ყოფილი მეგობრის  
მიმტევებელ მზერას, უნებლიერ შიში იპყრობდა...

12

აპრილი სანდო არ არის, აი, გუშინ მზე ათბობდა მერე-  
თის სანახებს, დამე კი ქარმა დაუბერა, ღრუბლები მოაყარა  
და წამოვიდა წვრილი, გულის გამაწვრილებელი წვიმა. დურუ-  
რომ შინიდან გამოვიდა, ქარი ჩამდგარიყო, მაგრამ უხილავი  
ღვაფი ეფინებოდა ციდან, ნესტით გაეჯერებინა ჰაერი...

საფეოქლებზე თითქოს სალტე უჭერდა. სიჭარმაგეში  
ისე შევიდა, თავი არ ასტკიებია, ახლა კი ნაცემივით იყო, ძვალ-  
რბილი დაბეჭილს მიუგავდა. მთელი დღე ხომ ფეხზე ტრიალებ-  
და, დამეც ვერ იცლიდა დასაძინებლად. მისი ჩარევის გარეშე  
ფიჩხი არ გადაბრუნდებოდა მერეთში და ეს, თუმცა ეამა-  
ყებოდა, მაინც დამღლელი აღმოჩნდა. ერთი კაცი არ ეგულე-  
ბოდა, თუნდაც ფიორა პასუხისმგებლობა ეტვირთა. არადა,  
ბელადის ძეგლის გადამკიდეს პრობლემები არ ელეოდა. ჯარ-  
თის ამ გროვამ შესანსლა ქალაქის მთელი ბიუჯეტი, ულევი  
სტუმრის დახვედრამ და გასტუმრებამ ყოველგვარ მოლო-  
დინს გადააჭარბა და სახელმწიფო ძროხას უკვე საგაისო რძეს  
წველიდნენ... სულის სიღრმეში ნანობდა, რას ავიკიდე, ვინ  
მრჯიდაო, ბელადის სახელის ხსენებაზე გულისრევის სუსტი  
შეგრძნება მოადგებოდა, მაგრამ ამას, ცხადია, ვერავის გა-  
უმხელდა... პირზე სიხარულის ნიღაბი აეკრა და ცისანასაგან  
დაფარულად ენის ქვეშ ვალიდოლს იდებდა...

მატარებელი ზუსტად ცხრა საათზე ჩამოდგა. დურუმ  
სწრაფად მიმოიხედა. ზურგსუკან კედელივით იდგნენ მისი  
აპარატის მუშავები. მოქუფრულ ამინდს მათი სიფათებიც  
ჩამოეუმარებინა და ნაძალადევი, შიშნარევი ოპტიმიზმით იმხ-  
ნევებდნენ თავს. ესენი ლაჩრები იყვნენ. ცალ-ცალკე ყოველ  
მათგანს თვალი ეჭირა მაღალ სავარძელზე, მაგრამ რისკიანო-  
ბა და გაბედულება არა ჰყოფნიდათ ისევე, როგორც მხდალი  
ტურა ვერ გაერევა მგლის მარაქაში.

შორიახლო პირველი სკოლის დირექტორი იზოლდა მარ-  
შანია იდგა და დურუმ ანიშნა, ბავშვები წინ წამოსწიეო. პიო-  
ნერები მთელი საათით ადრე მოიყვანეს, მათ თეთრი ჰერანგე-

ბი ეცვათ, წითელი ყელსახვევები ეკეთათ, გოგონებს თხელი, ლურჯი ბოლოები უხდებოდა, ბიჭებს — მოკლე, ლურჯი შარვლები... სიცივით დალურჯებულნი იდგნენ (გახსოვთ, ალბათ, „მწერალთა ბრიგადის“ „ვიზიტი!“), ხელში ვარდები ეჭირათ, ბუტკოები უვას დაეწინწკლა. „დავხოცეთ ბავშვები!“ — გაიფიქრა დურუმ, მაგრამ ახლა დარდის დრო აღარ რჩებოდა, სამთავრობო ვაგონიდან სტუმრები ჩამოდიოდნენ.

რესპუბლიკის პარტიის ლიდერმა შორიდან ხელი დაუქნია, პირზე მწყაზარი ლიმილი დაეფინა. დურუს სიხარულისაგან გული შეუხტა, წამში დაავიწყდა წუხილი, თავის ტკივილი და ენის ქვეშ ამოდებული ვალიდოლი კინაღამ ფილტვებში გადაუშვა. მუშტში ჩაიხველა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვიდა და პირველ მდივანს მიაშურა, თან ცდილობდა ყელში მოწოლილი ღიტინი ჩაეხშო, უადგილო ხველების სურვილი დაეძლია.

მდივანმა შეჭაღარავებულ თმაზე ჩვეული ენერგიულობით ხელი აღმა აისვა და გამოქანებულ დურუს მარჯვენა შეაგება.

— ჩამოგიყვანე სასურველი სტუმარი, შენ იცი, როგორ გვასახელებ!

— ბედნიერი ვარ... — ჩაილუდლულა შეკავებული ხველებით განამებულმა დურუმ.

ამასობაში სხვა სტუმრებიც გადმოლაგდნენ, ყველაზე უწინ მოსკოველი მაღალი სტუმარი, რომელიც მთლად რუსს არცა ჰერცავდა, უფრო მოლდაველი ბომბასი და სლავის ნაჯვარი უნდა ყოფილიყო. საკმაოდ ჩამრგვალებულ, მხარბეჭიან კაცს არწივით ცხვირი ჰქონდა, გამჭრიახ თვალებზე ფუნჩულა ნარბები ჩამოფარცხოდა, თავი უხვ, შავ ჯაგარს შეემოსა.

— ამხანაგი ლეონიდ ზახარიჩი! — წარუდგინა პირველმა და დურუმ ორივე ხელი შეაგება, სტუმრის ხელის მტევანი მოიმწყვდია და გულითადობით აღსავსე, მეგრული აქცენტით გაჯერებული რუსულით მოეფერა:

— ლეონიდ ზახარიჩ, ჩვენ მერეთელები, დიდი თუ პატარა, მოხუცი ვეტერანით დაწყებული და ბაგა-ბალის აღსაზრდელებით დამთავრებული, გიცნობთ, როგორც ქართველი ერისათვის მოამაგე პიროვნებას. ამინდი ვერ დაგახვედრეთ მზიური, მაგრამ იმედია ჩვენი გულის მზით გაგათბობთ!

— ო, თქვენი მდივანი პოეტი ყოფილა! — ჩაირობროხა ნასიამოვნებმა ლეონიდ ზახარიჩმა, ლონივრად ჩაეხვია დურუ გეგიას და ახალი ტრადიციისამებრ სამჯერ გემრიელად ჩაკოცნა.

ამ დროს მოცვივდნენ გამოცოცხლებული პატარები, სტუმრებს ვარდები მიართვეს, ლეონიდ ზახარიჩმა და პირველმა მდივანმა თითო ბავშვს სიმბოლურად აკოცეს და საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ ლიმუზინში ჩასხდნენ.

დურუც ამათთან მოთავსდა, ოლონდ მძლოლის გვერდით, ნახევრად შებრუნებულად, რათა საპატიო სტუმრებისათვის ახსნა-განმარტება არ დაეყოვნებინა. დანარჩენებიც „ვოლგებში“ მოთავსდნენ და კავალკადა ადგილს სწრაფად მოსწყდა, ტალახიანი წინწკლები მიაყარა მობუზულ ბავშვებს.

ტროტუარებზე ხალხი იდგა, ხელში წითელი ალმები, ლენინისა და პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები ეჭირათ. რათემა უნდა, მათში ლეონიდ ზახარიჩის პორტრეტიც ბლომად ერია. დურუ გუნებაში აღრიცხავდა: „პირველი საშუალო გამოსულა... ავეჯის ფაბრიკა აგერა... ჩაის მეორე ფაბრიკა არა ჩანს, დირექტორს ყურს ავუწევ... ინსტიტუტი აქაა, ოლონდ შეთხელებულან, რექტორი ჭკუაზეა მოსაყვანი, ხომ გავაფრთხილე...“ ეს ფიქრი ტვინის ერთ ფენაში მოძრაობდა, დანარჩენი კი სრულ მზადყოფნაში იყო მოყვანილი...

პირველს ხელში სტამბურად დაბეჭდილი პროგრამა ეჭირა, თვალი წამში ჩაავლო და ქართულად თქვა:

— მუზეუმი გამოვრიცხოთ, სტუმარს რამე რომ მოეწნოს, ჯიბეში ჩაიდებს და ვერ გამოგლეჯ! — მერე სტუმარს მომხიბლველად გაუღიმა და აქცენტიანი რუსულით უთხრა:

— ძვირფასო ლეონიდ ზახარიჩ! ამინდს ხელი არ შეუშლია მერეთელთათვის, რათა თავისი ჭეშმარიტი გრძნობა გამოეხატათ დიდი ბელადისადმი! რა თქმა უნდა, მათ იციან, რომ თქვენ ჩამობრძანდით და ამით მთელი ქალაქი ზეიმობს...

— დიახ, დიახ! — ანრიალდა დურუ, სიტყვის ჩართვა ეწადა, მაგრამ პირველისა ეშინოდა, რამე არ წამოვროშოო.

— აქ სადმე ტუალეტი გაქვთ? — იკითხა პასუხად სტუმარმა. — იცით, მთელი ღამე ვსვამდით, ბუშტი ისე გამებერა,

ლამისაა, მანქანაში მივუშვა! — ამ თავის ხუმრობაზე ისე აროხობდა, მძღოლი დააფრთხო, ემანდ მანქანა მართლაც არწამინებიდოსო, სიჩქარეს მოუმატა.

კავალკადამ სწრაფად გადაჭრა ქალაქი, ჭუჭყიანი წუნკული გზისპირებზე მომლოდინე ხალხს მიაყარა და ჩხერიის ხიდთან გაჩერდა. ადრე აქ პატარა სალუდე იყო, ქალაქის ლოთების თავშეყრის ადგილი, მერე დურუს ბრძანებით აიღეს და მის ადგილას წამოიჭიმა რესტორანი „ჩხერია“, რომლის ხაში და კუპატი მთელ რეგიონში სანაქებოდ ითვლებოდა.

— მსუბუქად წავიხემსოთ! — დურუ მღელვარებისაგან ერთიანად გაღაულაჟდა.

მანქანა გაჩერებულიც არ იყო, ლეონიდ ზახარიჩი არავის დალოდებია, სწრაფად ჩამოხტა და შენობისაკენ გაქანდა, დურუ და პირველი, ცხადია, უკან მიჰყვნენ.

— სადაა აქ ტუალეტი, ჰა?! — გზა-გზა კითხულობდა ლეონიდ ზახარიჩი და შეშინებული ოფიციანტები ფარასავით გარბოდნენ მის წინ.

— წესრიგშია მაინც ეგ თქვენი ტუალეტი? — იკითხა პირველმა.

— სულ ჩეხურ კაფელშია, პატივცემულო, უნიტაზი ავსტრიულია! — ხმა აუკანკალდა დურუს.

სანამ ესენი მიეწეოდნენ, ლეონიდ ზახარიჩი უკვე ხელსაბანთან იდგა და ხვანჯარს იკრავდა.

— უფ, ძლივს არ ამოვისუნთქე?! — ბედნიერი გამომეტყველებით ბრძანა და ხელი ონკანს შეუშვირა.

პირველმაც მოუშვა ონკანი და ხელები საპნით დაიბანა. დურუმ ვერ გაბედა, მიებაძა, იფიქრა, თავხედობად ჩამითვლიანო, თუმცა მისი ეს მოკრძალება სტუმრებმა ვერც შენიშნეს და მეგობრული მასლაათით საბანკეტო დარბაზისაკენ გაემართნენ. საუბრის თემა ძირითადად ისევ ასაკსა და გაბერილ ბუშტებს შეეხებოდა. ეს იყო ლეონიდ ზახარიჩის საყვარელი თემა.

დარბაზში ისეთი სუფრა იყო გაშლილი, კაცს ნერწყვი მოადებოდა. ერთმანეთზე ახოხოლავებულ თეფშებს გაბრწყინებული თვალებით დაჰყურებდნენ ელიტის დამშეული წარ-

მომადგენლები და საპატიო სტუმრების დაბრძანებას ელოდნენ.

ლეონიდ ზახარიჩმა გადახედა სუფრას, ტუჩები კმაყოფილებით გააწკლაპუნა და უცებ იკითხა:

— ბორშჩი გაქვთ? მე საუზმეზე ბორშჩს გეახლებით!

პირველმა დურუს შეხედა, დურუ გაფითრდა, კედლის გასწვრივ სტარტზე დამდგარ ოფიციანტებს თვალი დაუბრიალა. ნირნამხდარი შეფშარეული მოიკუნტა, არ იცოდა, სად შემძვრალიყო.

— წუხანდელი ჩაგვრჩა ქვაბში მგონია! — წასჩურჩულა დურუს.

— არიქა, იჩქარე!

ოფიციანტთა ლაშქარი ისე გაცვივდა, თითქოს ხელისგულებით აპირებდნენ წვნიანის გაცხელებას. საპატიო სტუმრები გამორჩეულ ადგილებზე დასვეს. სხვებიც დასხდნენ, ოღონ ვერავინ ბედავდა პურის გატეხას, რაკი მოსკოველი სტუმარი თბილისელ სტუმარს გატაცებით უყვებოდა წვერმოშვებულ ანეკდოტს.

გამოჩნდა შეფშარეული, ლანგარზე მოზრდილი მათლაფა ედგა, ბორშჩით მოპირთავებული.

ლეონიდ ზახარიჩმა მისწი-მოსწია ცხელი ხაჭაპურები, ნიორნყალში თუ მაყვალში ჩაწყობილი დედლები, შემწვარი გოჭი, ინდაურის საცივი, ადგილი გაათავისუფლა მათლაფი-სათვის და, როცა მოწინებით წინ დაუდგეს, კოვზი მოურია და აღტაცებით წამოიძახა:

— ჩიხუა დოხუა ხაუяჩილი!

გაისმა ზრდილობიანი, აღვირამოდებული სიცილი, აჩხაუნდა დანა-ჩანგალი, შეივსო სასმისები...

დურუ გეგიამ ყანწს დაავლო ხელი.

— Я только чачу, — განაცხადა ჭირვეულმა სტუმარმა, — домашнюю!

— მოუტანეთ, ჩახეთქოს! — ქართულად ჩაურთო პირველმა.

„ბორჯომის“ ბოთლით უმალ მოურბენინეს შინნახადი, ვინ იცის, რისგან, არაყი.

ლეონიდ ზახარიჩმა ჩაის ჭიქაში ჩააყუდა, სამი მეოთ-  
ხედით შეავსო.

— Вино это бабье дело, а чача — мужское! — мурж დურუს  
ყანწე მიუჭაბუნა. — Будь здоров!

პირში გადაუშვა და დამდუღრულივით კარგა ხანს ივიშ-  
ვიშა.

ჭიქა საცივით აივსო, ყლუპყლუპით შესვა, კვლავ ივიშვი-  
შა და ბორშჩის ხვრებას შეუდგა.

პირველს თვალები უციმციმებდა, ბაგესთან წამდაუწუმ  
ორაზროვანი ღიმილი უნათდებოდა. ღვინიან ჭიქას ოდნავ  
მიადო ტუჩი, ქათმის ფრთა მონინკნა და მეტი არაფრისთვის  
უხლია ხელი.

დურუს კვლავ სავსე ყანწი ეჭირა, წინასწარ ჰქონდა მო-  
მზადებული სადღეგრძელო-ფეიერვერკი, ფორმით ვრცელი,  
შინაარსით ჭრელი, მაგრამ პირველი მისკენ დაიხარა და ხმა-  
დაბლა უთხრა:

— მოკლედ და ბუნდოვნად, სტუმარი თუ დაგვითვრა,  
ღონისძიებას ჩაგვიშლის!

დურუ აირია, მთელი თავისი ფანტაზიები ტვინიდან ამო-  
ეხვეტა და მართლაც მოკლედ მოარტყა:

— Будь здоров, дорогой Леонид Захарич!

იმას მათლაფიდან თავი არ აუწევია, დააქიცინა მხოლოდ,  
უმალ ძირამდე დაიყვანა, კოვზი დააგდო, ზე წამოიჭრა და  
ბრძანა:

— Поехали!

ყველანი წამოცვივდნენ. პირველი კვლავ იღიმებოდა.  
სუფრის ზოგიერთ წევრს ლუკმის გატეხაც ვერ მოესწრო,  
ზოგს სავსე ჭიქა ეჭირა და უკანვე დადგა, ზოგს ხაჭაპური ყელ-  
ში გაეჩირა, მაგრამ, მეტი რა ჩარა იყო, სუფრა აიშალა.

რამდენიმე წუთში კვლავ მანქანებში ისხდნენ და მაც-  
ხოვრისგორისაკენ მიემართებოდნენ.

ქვედა მოედანზე ზღვა ხალხს მოეყარა თავი. ყველას  
შავი ქოლგა ეჭირა და ზევიდან ისე ჩანდა, სამგლოვიარო მი-  
ტინგიაო. არადა, სასულე ორკესტრი ყოჩალად გრიალებდა.  
სპილენძის საყვირებზე ვერცხლისფერი წვეთები წურნურით

ჩამოდიოდა, თავზევით ორთქლის ჭავლი იდგა. უამრავი წითე-  
ლი ალამი ფრიალებდა.

პირველ საფეხურთან ფართოდ გაჭიმულ ტრანსპარან-  
ტზე იკითხებოდა: „თვითონ მზე არის ლენინისთვის პირველი  
ძეგლი და კვარცხლბეკია პლანეტა ჩვენი!“

ლეონიდ ზახარიჩმა ახედა:

— ეგ რა ანერია?

დურუმ ენის ბორძიკით უთარგმნა.

— ჰმ! — ლეონიდ ზახარიჩმა პირველს იდაყვზე ხელი  
ჩაავლო და კიბეს შეუყვნენ.

ყოველი ათი საფეხურის შემდეგ ჩერდებოდა, წელანდე-  
ლი ჭაჭა ამძიმებდა და უკმაყოფილოდ ჩაიდუდლუნა:

— ეგ რა სიმაღლეზე აგიშენებიათ!

— ლენინი მაღალია! — მიუქარაგმა პირველმა.

— მაღალი კია, მაგრამ იქამდე სამანქანო გზა უნდა გა-  
გეყვანათ!

ცოტაც და ახალი ტრანსპარანტი გამოჩნდა:

„ეს ზეცა — ლენინის ფიქრივით მაღალი, ეს დილა —  
ლენინის შუბლივით ნათელი!“

— ეგ რა ანერია? — კვლავ იკითხა ლეონიდ ზახარიჩმა.

დურუმ ესეც უთარგმნა.

სტუმარმა თავი გააქნია.

— კარგი ხალხი ხართ ქართველები, კარგი ჭაჭა იცით,  
მაგრამ, გამაგებინეთ, რას წვალობთ ამ თქვენი აჩხაბაჩხა ასო-  
ებით, დიდებული კირილიცა არ სჯობია, ერთმანეთს ხომ უკე-  
თესად გავუგებთ!

პირველს შუბლზე თითქოს ღრუბელმა გადაურბინაო,  
ოლონდ ეს იყო მხოლოდ წამიერი მოღრუბლვა, პირზე ძველე-  
ბურად მწყაზარი ღიმილი დაეფინა:

— დადგება დრო, მსოფლიოს ყველა ხალხი ერთ ხალ-  
ხად გადაიქცევა, მაშინ კირილიცა ყველგან იბატონებს!

ლეონიდ ზახარიჩმა გამომცდელად შეხედა, ალალი ღი-  
მილის მიღმა ვერაფერი ამოიკითხა.

კიბის თავზე მესამე ტრანსპარანტი გაეჭიმათ:

„დგას ლენინი, ყოველ მწუხარშე მისი ზრუნვით მთაც ჰყვავის, აპრილდება!“

დურუმ თვალი მალულად შეავლო პირველს. ეს პოეტური ტრანსპარანტები ხომ მისი ინიციატივა იყო. პირველს ლიტერატურული პრეტენზიებიც ჰქონდა და ცნობილ პოეტებს იახლოებდა. მეორე მხრივ, ეს სითამამე შეიძლება ძვირად დაჯდომოდა დურუს, ლოზუნგების ტექსტები ხომ უმაღლეს დონეზე მტკიცდებოდა და საზეიმო დღეებში ქვეყნდებოდა. მაღალ პარტიულ ელიტაში პირველი თეთრი ყვავივით ჩანდა და ეს სითამამე მას თუ მოეწონებოდა.

მაცხოვრისგორის თავზე ქალაქის რჩეული საზოგადოება შეყრილიყო — წარმოების დირექტორები, ომის ვეტერანები, სოციალისტური შრომის გმირები და მისთანანი.

ტაშის ტყაპატყუპით შეხვდნენ საპატიო სტუმრებს, ტრიბუნისკენ გზა გაუხსნეს.

ტრიბუნა ზედ გადასახედზე, თეთრ ტილოგადაფარებული კოლოსის გვერდით იდგა. წითელი ქსოვილის ფანჩატური ყვავილებითა და ნაძვის ტოტებით მოერთოთ.

ღირსეულნი შიგ შელაგდნენ.

დურუ გეგია მიკროფონთან მივიდა, ჯიბიდან თეთრი ქალალდი ამოილო და გაშალა. უცებ მეხსიერებიდან ამოტივ-ტივდა ოდინდელი ამბავი, როცა მიკროფონთან მიიყვანეს, ხელში თეთრი ქალალდი მისცეს და ზედ სიტყვები ვერ დაინახა. ზურგზე ოფლის წვეთები ჩაუგორდა. მოეჩვენა, რომ ქალალდზე დაბეჭდილ ტექსტს ამჯერადაც ვერ ამოიკითხავდა... ნებისყოფას მოუხმო, სისუსტეს ძლია და ხმას მეტალისებური ჟღერადობა შესძინა:

— ამხანაგებო!

ამ წუთიდან კაბინეტებში წინასწარ შედგენილი, ათას-ჯერ ანონილ-დანონილი ტექსტის მონა გახდა, ზედ მიება, ხედავდა მხოლოდ მკვეთრად მოხაზულ ასოებს, კითხულობდა სიტყვებს, აზრი კი უმაღლ ეკარგებოდა.

მისი მჭექარე ხმა, უამრავი რეპროდუქტორით გაძლიერებული, კიდიდან კიდე ეფინებოდა მთელ ქალაქს, აზანზარებდა ფანჯრის მინებს.

— დიდება დიდ ლენინს! Слава Ленину! — ბოლო სიტყვები მკვეთრად, მოწყვეტით წარმოთქვა დურუმ, მთელი თავისი გზნება ამ სიტყვებში ჩაქსოვა და თითქოს ღონისაგან დაიცალა.

სწორედ ამ დროს მიკროფონიდან საკმაოდ შორს, კომუნარების ქუჩის ერთ სახლში, რომლის პირველ სართულზე „სამხატვრო“ ენერა, აივანზე მჯდარმა დედაბერმა მჯილი გულზე დაიკრა და უხილავ მტერს ქოქოლა მიაყარა:

— დაწყდით ერთ დღეს, დაწყდით!

მისი ხმა არც არავის გაუგონია... მიკროფონთან პირველი იდგა, ტაქტით, გამოზომვით, თითქოს მოფერებითო, აქცენტიანი რუსულით ლაპარაკობდა ზოგადმარქსისტულ ჭეშმარიტებებს და მის ხმას გულწრფელობისა და სილალის ხიბლი ახლდა, თუმცა დედაბრის სმენას მისი კრუტუნი ვერ შეაცდენდა და ამან ერთხელაც მიაყოლა:

— დაწყდით!

დურუ გეგია თანდათან გონს მოეგო, დაწყნარდა. ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული, ადრევე გათვალისწილდა, რაკი საკუთარ თავს მოერია, შიშმა საბოლოოდ გაუარა.

მოსკოველმა სტუმარმაც ილაპარაკა, მოკლედ და ზოგადად, მერეთელებს ახარა, დიდი ბელადი მობრძანდაო „В ваш прекрасный город“, რასაც, რა თქმა უნდა, ტაში და ჩურჩული მოჰყვა:

— მოეწონა, ჩვენი ქალაქი მოეწონა!

ლეონიდ ზახარიჩი მიკროფონს გაშორდა, დურუს პიჯაკის ღილს თითები ჩასჭიდა და ჰკითხა:

— აქ ტუალეტი გაქვთ? ისეთი ამინდია, ბუშტი გამებერა! დურუ გაშრა, დაბნეული ახამხამებდა თვალებს.

— Ай-ай, что за руководитель, даже туалетов не построил! — უკმაყოფილოდ ჩაიბუზლუნა ლეონიდ ზახარიჩმა.

დურუმ მხლებლები მოიხმო, განზე გაიყვანეთ, მოფარებულში და აქნევინოთო.

სწორედ ამ დროს მაკრატლით ხელში პირველი მიეშურებოდა წითელი ლენტისაკენ, მიკროფონიდან კი ბავშვის ხმა ჭექდა:

— „ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი,  
ლენინი იდგა განვდილი ხელით,  
მან გამარჯვება ხალხებს ახარა,  
მან მოაპრუნა მზისკენ გულები,  
მას შემდეგ მინაც ბრუნავს სხვაგვარად —  
ლენინის ხელის მიმართულებით!“

ტილო შხუილით ჩამოეფინა და გამოჩნდა პროლეტარიატის დიადი ბელადის ბრინჯაოს მონუმენტი. ლენინი მრისხანედ გაჰყურებდა შორეულ სამანებს, კვარცხლბეკის უკან კი, სადაც ჯერ კიდევ ეყარა მშენებლობის ნარჩენები, მოფარებულში დიდი სტუმარი საშარდე ბუშტს იცლიდა და შიგადაშიგ მორიდებით ქარებს უშვებდა...

13

— თქვენ შეურაცხჰყოფთ დიდ რუს ხალხს! — განმიცხადა ჩემმა მკითხველმა იესემ.

ვახშამი გაგვიხანგრძლივდა.

ქალები ადრევე გაიკრიფნენ.

სიძემაც მოგვიხოდიშა, არ სვამდა და გაგვეცალა.

ლესტამბე თოლორაიას სკუთარ მკლავზე ეძინა.

დურუ გეგიას ლვინო ყელში ამოსვლოდა, უაზროდ მიყურებდა და შიგადაშიგ აბოყინებდა.

— რუსი ხალხი რა შუაშია! — ცივად მივუგე. — ლეონიდ ზახარიჩი რუსი კი არა, პომო სოვიეტიკუსია, მას ეროვნება არ გააჩნია!

მეც დავიღალე. თავის ტკივილი შემიბრუნდა. კეფაზე თითქოს სალტეს მიჭერდნენ, ალბათ, ისევ წნევამ ამინია. იესე კი საკამათოდ იყო მომართული, იესესნაირნი ოღონდ აკამათე და პურს ნუ აჭმევ.

— უმჯობესია, გეთაყვა, ლოგინამდე მიმაცილო!

იესემ ლამპას დაავლო ხელი, წინ გამიძღვა, თან ენა არ გაუჩერებია. მიძებნიდა შეცდომებსა და უზუსტობებს, ტენ-

დენციურობაში მდებდა ბრალს, გმირს ობიექტურობის კრიტერიუმით უნდა მიუდგეო, მასნავლიდა. ერთი მხრივ, რეალისტი რატომ არა ხარო, მედავებოდა, მეორე მხრივ — რომანტიკული ბურუსი რატომ არ მიუშვიო, იმას მსაყვედურობდა.

მეორე სართულზე ავედით. მდიდრულ, ორადგილიან სარეცელზე ქათქათა თეთრეულში ჩავგორდი და საბანი თვალებზე წამოვიფარე, ვინძლო, აბეზარი მკითხველი თავიდან მომეშორებინა.

ის კი ცოტა ხანს კიდევ ზუზუნებდა, მერე იფიქრა, ჩაეძინაო და დამტოვა...

არ მეძინებოდა! იმდროინდელი, ლენინისადმი მიძღვნილი ბანკეტი გამახსენდა.

სუფრა ჩოქოროს სახლში გაიშალა. ორსართულიანი ოდის უკან, ეზოს სიღრმეში ფართო ფარჩატური ჰქონდა ჩოქოროს მიშენებული, ორასი-სამასი კაცი ხალვათად დაეტეოდა. უკეთესი ადგილი მოსალხენად მერეთელებს არ მოეპოვებოდათ და, ბუნებრივია, მაღალი სტუმრებისათვის თავმოსაწონი ტაშ-ფანდური აქ უნდა გამართულიყო... ქალაქი და მთელი რაიონი ფეხზე დადგა, იმდენი ხორავი მოზიდეს, თვით ვლადიმერ ილიჩს მთელი თავისი ცხოვრება სიზმრადაც არ დაესიზმრებოდა. დურუს განკარგულებით ჯამ-ჭურჭელი მუზეუმის დახურული საცავიდან გამოიტანეს. მთავართა და თავადაზნაურთა ოჯახებიდან ექსპროპრიირებულ სერვიზს ფსკერზე ნომრები ჰქონდა მიწებებული და ქალბატონ მრავალს, მუზეუმის დირექტორს, ყოველი თევზის გაჩხაკუნებაზე ფერფური მისდიოდა.

დურუსაც მისდიოდა ფერფური, აქამდე ყველაფერი დანერილივით მიდიოდა, ყოველი ნაბიჯი თითქოს ფრთებს ასხამდა, საკუთარ ქმედებათა მასშტაბს თვალნათლივ ზომავდა, სტუმართა კეთილგანწყობას იხვეჭდა და მოულოდნელად, მეხსიერების სიღრმიდან ამოტივტივდა სიტყვები, ოდესლაც მაცხოვრისგორის კალთაზე ბესა ქირიამ რომ წარმოთქვა: „გახსოვდეთ, ბიძიებო, ბოლო საფეხური! კიბეს აღმა აჰყავეარ, მაგრამ ყველა კიბე ბოლო საფეხურით მთავრდება!“ მაშინ ვერ ამოკითხა დურუმ შერეკილის ეს ქარაგმა, ახლა გაახსენდა და გულმა რეჩხი უყო.

პირველს სახეზე თითქოს ჩრდილმა გადაურბინა. თასი ასწია, ფსკერზე აკრული ნომერი წაიკითხა, თუმცა იქნებ დურუს მოეჩვენა მხოლოდ, პირველმა უბრალოდ ქარვისფერ სითხეს გახედა, შიგ რომ ლიცლიცებდა, სასმისის კიდეს ბაგე ოდნავ მიადო და დადგა. ხმადაბლა მოუბოდიმა მოსკოველ სტუმარს, დალლილობა მოიმიზეზა და სუფრას გაერიდა. დურუ გაეკიდა, მანქანამდე ჩაცილა, ვერ გაძედა, შეხვეწნოდა, დარჩით, ჩვენთან მოილხინეთ, პატივი გვეცითო...

— სტუმარს მიმიხედე! — მისკენ არც შემობრუნებულა, ისე დაუგდო პირველმა. — აქედან კმაყოფილი უნდა წავიდეს, ოღონდ მაინცდამაინც ჭურჭელს ნუ ამტვრევინებთ! — მანქანაში ჩაჯდა და უცბად ჩაიცინა: — მეტისმეტი ბრეტისბრეტიო, ჩემო დურუ, ამხანაგო!

ამ უცნაურმა მინალექსმა დურუ დააფრთხო, მიხვდა, რაღაცაში წააგო, რაღაცა ვერ გათვალა, სადღაც ახალი სიო უბერავდა და ეს ქროლვა მისმა ეგომ ვერ აღიქვა.

გულდამძიმებული შებრუნდა, სტუმრის გვერდით დაჯდა და თავს ძალა დაატანა, რათა ჭკუამხიარულობის სტადიაში შესულ ლხინში თვითონაც ბუნებრივად შეეტოპა.

ლეონიდ ზახარიჩს არყის ბოთლი უკვე ნახევრამდე დაეყვანა.

დურუ ბროლის ლიტრიან ყანწს დასწვდა. ყანწს ძირი გახვრეტილი ჰქონდა, მსმელს იგი ხელისგულზე უნდა დაეყრდნო და სანამ არ დაცლიდა, ძირს ვერ დადგამდა. დურუმ ნიჩაბივით ხელისგული ამოსდო, მერიქიცეს შიგ ლიტრა ჩაცლევინა და სადღეგრძელო სჭექა:

— ამით, ამხანაგებო, ამ განსაკუთრებული სასმისით, ვადლეგრძელოთ და ვადიდოთ ჩვენი შეკრების მიზეზი, უფდიადესი ადამიანთა შორის, ბუმბერაზი ბუმბერაზთა შორის, პროლეტარიატის დიდი ბელადი...

— ლეონიდ ზახარიჩი... — დაასლოკინა სტუმარმა.

დურუმ შეჭიკვიკებული ლეონიდ ზახარიჩის სიტყვა ვითომ ვერ გაიგო და ყანწი ვაჟკაცურად დაცალა.

ამ დროს მოგოგმანდა დურუს თანამეცხედრე. ცისანას ხავერდის ლურჯი კაბა ეცვა, ყელამდე დახურული, თუმცა

ამით ვერ მალავდა თავის სხეულებრივ სიმდიდრეს. სტუმარს თავაზიანად გაუღიმა. ლეონიდ ზახარიჩი რაინდულად წამოდგა და თუმცა ცოტათი დაბანცალდა, ეგ არაფერი! გვერდით მჯდომი თანაშემწე გააგდო, სკამი ქალბატონს მიუჩინა.

ცისანას ხელში ლანგარი ეჭირა, სუფრას ცხელ ხაჭაპურებს ამატებდა და სტუმრის შემოთავაზება ვითომც ვერ შეამჩნია.

— ძალიან ჩამორჩილები ხართ... ველურები... — წაიბუზღუნალეონიდ ზახარიჩმა. — მარტო კაცები ქეიფობთ, ქალები კი... — მთვრალი მზერა მიმოავლო. — ხოდა ვითომც ხართ რა რა ხოლუ!

— ლეონიდ ზახარიჩ, ძვირფასო, ქალები ფეხზე დგანან თქვენს პატივსაცემად!

— დაჯდეს! — ბრძანა ლეონიდ ზახარიჩმა და ცარიელ სკამზე მიუთითა.

დურუმ ცისანას თვალი უყო. იმან მხრები ზიზღით შეარხია, გაანყალეთ გულიო, დაჯდა და შეეცადა, ტაქტიანად დაეძლია სტუმრის ახირება.

— მიირთვით, ძვირფასო სტუმარო!

ლეონიდ ზახარიჩმა სკამი მოხერხებულად მოაჩინა. სანამ დაჯდებოდა, ცისანას ბეჭზე ხელით დაეყრდნო და, როცა დაჯდა, ხელი არც მაშინ აუღია.

— ამ კაცს ხელი ააღებინე ჩემი ბეჭიდან, თორემ ვრეკე ახლა ეს ლანგარი თავში! — პირზე ღიმილი არ გაქრობია, ისე უთხრა ცისანამ დურუს.

ქართველებს გაეცინათ, ოღონდ შიშიანად, მორიდებულად.

— Что она говорит? — იკითხა ლეონიდ ზახარიჩმა.

— Просто шутит! — აუხსნა აჭარხლებულმა დურუმ.

— „შუტიტ“ არ ვიცი მე! — განაცხადა ცისანამ, სტუმრის ხელი მხრიდან უხეშად გადაიგდო, წამოდგა და გოგმანით გაეცალა იქაურობას.

— Ох, женщины. Женщины.. — ამოიოხრა ლეონიდ ზახარიჩმა და ბოთლში ჩარჩენილი ჭაჭა ჭიქაში ჩაისხა...

არაყი სწრაფად მოერია. წუწუნებდა, რაღაც გაუგებარს ჩიასავდა, ცრემლიც კი გადმოაგდო... ის ქალი სად წავიდა,

რად მიმატოვაო... დურუ გულს ასკდებოდა, ისეთი ღონე ერჩოდა, შეეძლო, ტორის ერთი მოქნევით დაერეტიანებინა თავისი შეურაცხმყოფილი, მაგრამ მაგიდის ქვეშ მუხლები უკანკალებდა და ვერაფერი გაუბედა. გუნება ყველას მოეშხამა, არც ჭამა ენადა ვინმეს, არც დალევა, ისხდნენ გულგანყალებულნი და ელოდნენ, თამადა ბოლო ჭიქას როდის ასწევდა და ამ სასჯელისაგან გაათავისუფლებდა...

დილით, თავატკიებული დურუ ტელეფონმა გააღვიძა, პირველი რეკავდა:

— რა იყო, წუხელ ის კაცი მთლად არაყში რომ ჩაგიხრჩვიათ!

დურუმ დაასლოკინა, პასუხად ვერაფერი მოიაზრა, პირველმა კი ყურმილი დადო.

„ალბათ, მომხსნიან!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა დურუმ.

აივანზე გავიდა, ვლადიმერ ილიჩს გახედა, მაცხოვრის-გორის თავზე რომ გადმომდგარიყო და ქვეყანა მიჰყავდა, არავინ იცის, საით.

„მღუპავ?“ — გუნებაში შეეკითხა დურუ, თავი შეეცოდა, უპეში ცრემლი დაუგროვდა.

ოღონდაც, ბედის სასწორი არ დაქანებულა. ვლადიმერ ილიჩი თავის ერთგულ ლენინელს ბოლომდე არ გასწირავდა. ცხადი იყო, ამ საფეხურიდან დურუ ვერსაით აიწევდა, მაგრამ ჩამოწევასაც არავინ უპირებდა და ამაზეც ბედის მადლიერი უნდა ყოფილიყო...

14

არ მახსოვს, რა დროს ჩამეძინა, მაგრამ, თითქოს ხელი მკრესო, მოულოდნელად გამომეღვიძა. ბნელოდა. თავს საღად ვგრძნობდი, მოკლე და ღრმა ძილმა საფეხლის ტკივილი დამიამა. ამ ოთახში გაცილებით თბილოდა, ვიდრე ჩემს თბილისურ ბინაში. „ნეტავი რომელი საათია?“ — გამიელვა. თვალი დავხუჭე, იქნებ ძილი გამეგრძელებინა, მაგრამ მივხვდი, მეტს ვერდავიძინებდი. „რატომ? — შევეკითხე საკუთარ თავს და პასუხი

თვითონვე გავეცი: — იმიტომ, რომ მარტო არა ვარ!“ დიახ, ქვეცნობიერმა მიკარნახა, რომ მარტო არ ვიყავი.

— მარტო არა ვარ! — ხმამაღლა წარმოვთქვი.

— მაპატიეთ, უნებლიერ გაგაღვიძეთ, არ მინდოდა თქვენი შეწუხება!

— რომელი ხარ?

— თენგიზი ვარ, დურუს სიძე!

წამით ჯიბის ნათურა აინთო. სინათლემ შედედებული უკუნი გახვრიტა, კედელზე წრე მოხაზა და ისევ ჩაქრა.

— იცით, შემოვლაზე ვარ!

— რა შემოვლა, კაცო? — მოუთმენლად ჩავეძიე.

— ფანჯრის საკეტებს ვამონმებდი. ეშმაკს არ სძინავს, ბოლო დროს ყაჩაღური თავდასხმები გახშირდა, ახალი სიტყვაც კი შეთხზეს — „დაყაჩაღება“. ახლა სწორედ ქურდის საათია, ასეთ დროს იციან თავდასხმა. შენ ლამაზად და მშვიდად გძინავს, ავტომატიანი კაცი კი ფანჯარაში მოძრება...

— ნუ მაშინებ, თუ კაცი ხარ! — გულგრილად შევეპასუხე. — ავტომატიანი კაცი მე არ მომაღება, რაც არა მაქვს, ჩემგან რას წაიღებს!

— ხუმრობა გყვარებიათ! — ჩაიცინა თენგიზმა. — ისე, ჩემგანაც ვერავინ იხეირებს, რაც მიცხოვრია, სხვებს ვლლეტდი ხოლმე. ვინც ჩემს გახდას მოინდომებს, დედიშობილას გავუშვებ!

— ბიჭოს, შენ არ ხუმრობ, მგონია! — გავიოცე. — საინტერესოა, საინტერესო! მანდ ფეხზე ნუ დგახარ, თუ ძმა ხარ, დაჯეეპ და ისე მელაპარაკე! — სკამის გამოჩინჩების ხმა გავიგონე, ეტყობა, ლამის სტუმარი სკამზე დაეშვა. — პროკურატურაში სულ შენნაირები თუ მუშაობენ, კარგად ყოფილა ღლეტის საქმე!

თენგიზმა კვლავ ჩაიცინა.

— ხომ ვთქვი, ხუმრობა გყვარებიათ-მეთქი! ნუთუ დაიჯერეთ, რომ პროკურატურაში ვმუშაობ? იმ ბანდებთან რა მინდა? ჩემმა სიმამრმა წაიტრაბახა და მეც ხმა არ ამოვიღე. მთელი ცხოვრება პროკურატურასა და მილიციას გავურბოდი და იმათ სამხრეებს დავიკერებ? კანონის ანაბანა კი მესმის და ესეც საკმარისია...

— კანონიერი ქურდი ხომ არ ბრძანდები?  
— ქურდი? ქურდის ადგილი ციხეა, მე კი ციხის რეჟიმს  
ვერ ვიტან!  
— თაღლითი?

— თაღლითობა რა შუაშია? ეს ჩვენი ქართული ენა უძი-  
რო ქვევრივითაა, სიტყვებით ვერ ამოავსებ! ჩემს საქმეს  
მოხერხებულობა და ჭკუა სჭირდება. თაღლითობას ნუ ვუწო-  
დებთ, ამას მეგრული „გინორაგვაფა“ უფრო მოუხდება...

— ესე იგი, გადამგდები ხარ!

— როგორც გენებოთ! ყოველ შემთხვევაში, რაც მე რუ-  
სებს ზიანი მივაყენე, საცა სამართალია, ეროვნულ გმირად  
უნდა გამომაცხადონ! ერთი ასი მანქანა მაინც შევაწერე,  
ვალუტასა და ოქრო-ბრილიანტზე რომ არაფერი ვთქვა. ჩემზე  
კაი წიგნის დაწერა შეიძლება...

— წიგნი მერე იყოს, ის ამიხსენი, როგორ ხერხდება ეს?

— ამაზე იოლი რაა! ერთმა ცხვირპაჭუა რუსმა, მაქსიმ  
პერეპელიცას რომ ჰეგავდა და ცხოვრებაში ასმანეთიანი ხელ-  
ფასის გარდა არაფერი ლირსებია, „სპრინტით“ ახალთახალი  
„ნოლშესტი“ მოიგო. ჭკუაზე არ არის სიხარულისაგან, დგას და  
იძახის — „იო-მაიო!“ ვეუბნები: „ზემლიაკ, ამ ბილეთს არ ყიდი?“

„რამდენს მომცემ?“ — მეკითხება. „რამდენს დააფასებ?“ —  
ვეკითხები. ვაჭრობა გავმართეთ, ის ვითომ ჭკუით მჯობნის,  
მე ვითომ ბითური ვარ, სოფლელი ტეტია. შევთანხმდით. გავხ-  
სენი „დიპლომატი“, კაპიკ-კაპიკ ჩავუთვალე, რაც ეკუთვნო-  
და. ოღონდ-მეთქი, ვეუბნები, შენ კი ჩანხარ პატიოსანი კაცი,  
მაგრამ რომ ვერ მომატყუო, — იჭერ? ვითომ აქეთ მეშინია,  
რომ არ გამაცუროს, — ეს დათვლილი ფული ამ სეიფში კოხტად  
ჩავკეტოთ! წავიდეთ, მანქანა გავაფორმოთ, შენ შენსას წაი-  
ღებ, მე ჩემს გზას ვეწევი... წავედით, მანქანა გავაფორმეთ,  
დავ-ბრუნდით... გავაღე სეიფი, „დიპლომატი“ ჩავაბარე, ხელი  
ენერგიულად ჩამოვართვი და „ნოლშესტით“ წამოვქაქანდი...

— მერე? — გამოცანა ვერ ამოვხსენი.

— მერე ის, რომ ის უკვე სხვა „დიპლომატი“ გახლდათ,  
ფულის ზომაზე დაჭრილი ქაღალდით გატენილი, ასე ვთქვათ,  
ლოვკოსტ რუკ, ნიკაკოვო მოშენსტვა! მივა სახლში, გახსნის

„დიპლომატს“ და პირს დააღებს... აი, ოინი! თხუთმეტ ათასს  
ელოდა და თხუტმეტი თუმანი შერჩა. მეტი რაღა უნდა, სამ-  
მანეთიან „სპრინტში“ ასორმოცდათი მანი...

— რომ გიჩივლოს?

— მიჩივლოს? საქმეს ისე ვაფორმებ, ვერავინ შემომე-  
დავება. ხომ გითხარით, კანონები ვიცი-მეთქი!

— ვთქვათ, შეგხვდა, მოგნახა, რას გეუბნება?

— შემხვედრიან კიდეც! „აფერისტო!“ — დამიძახა ერთ-  
მა. „სპეკულიანტო!“ — მივაძახე. ჩაჯდა ქუჩის პირას და მუშ-  
ტისსიმსხო ცრემლი ყარა...

— ინფარქტი რომ დაემართოს, არ შეგეცოდება?

— რა ვიცი, გაცუცურაკებულის სახლთან რომ ჩავიარე,  
სამგლოვიაროდ დახრილი დროშები არ შემიმჩნევია, — გულ-  
ცივად შემებასუხა.

მინდოდა მისი მზერა დამეჭირა, მაგრამ ბნელში შავი  
კუნძივით იდო და ვერაფერი გამერჩია.

— იცით, რა მიკვირს! — უნებლიერ ამოვიოხერე. — ქალ-  
ბატონი ეთერი, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დახვეწილი და  
განათლებული პიროვნებაა, ექიმი, ასე ვთქვათ... — გამიჭირ-  
და აზრის დასრულება.

— მესმის, რისი თქმაც გსურთ! — მის ნაძალადევ სი-  
ცილში წყენა გაუღერდა. — გინდათ, მითხრათ, რომ ასეთი  
კარგი ქალის ღირსი არა ვარ. პროკურატურის ჩმორი თანამ-  
შრომელი რომ ვყოფილიყავი, მაშინ ვიქნებოდი ღირსი... მწე-  
რალ კაცს ასეთი რამ როგორ გემლებათ? ჯერ ერთი, ლამაზი  
ქალი თავხედისაა, მეორეც — არჩევანს კაცი აკეთებს და არა  
ქალი. ყველა ქალი უფლისწულზე აპირებს გათხოვებას, მაგ-  
რამ მერე თანახმანი არიან, ჯიბის ქურდს დაუჯდნენ ხასად,  
ოღონდ იმან ზიზილ-პიპილები არ მოაკლოს. არც ერთი ქალი  
არ კითხულობს, სად შოულობს ქმარი ფულს, მთავარია, იშო-  
ვოს... სიყვარული მერე მოვა, მოვა თავისითავადა... — წაუმღე-  
რა. — თუ ქალი აშიმშილე, ოქროც რომ იყო, ვერ შეგიყვა-  
რებს... მე იმდენს ვშოულობდი, რომ ჩემი სიმამრი, მთელი  
ქალაქი რომ გადაძოვა, ან გამეჯიბრება, ან ვერა...

— მაინც როგორ შედგა... ჰმ... თქვენი შეუღლება?

— რატომ პმ? ცხოვრებაში სიყვარულის უთვალავი ხრიკია. თქვენ, მწერლები, შეარჩევთ მაინცდამაინც ისეთ წყვილს, მზესა და მთვარეს რომ ედრებიან, რომეოსა და ჯულიეტას რომ ჰგვანან... რომეოსა და ჯულიეტას ვარიანტი ერთადერთია და თავიც იმიტომ მოიკლეს... ჩემი რომეობა უფრო პროზაულია, რაკი ჯულიეტა თავდაპირველად სულაც არ გიუდებოდა ჩემზე. იქნებ არც ახლა გიუდება, მაგრამ სხვა სიყვარული მას არ განუცდია, ქმარი ვარ მისი და ჰგონია, რომ ვუყვარვარ. წყვილების დიდი უმრავლესობა ხომ ასე იტყუებს თავს, ერთმანეთს ვერ იტანენ და მაინც ერთურთს სიყვარულს ეფიცებიან ან საკუთარ თავს უმტკიცებენ, მეუღლე მიყვარსო, თითქოს სიყვარული რაღაც ოფიციალური ვალდებულება იყოს... ეთერი მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მეც იქ ვჩალიჩობდი, დედაქალაქს ვგულისხმობ, მანდ ფული ყრია, ოღონდ მოხვეტე... მოგეხსენებათ, ფულით ცხრაკლიტულს გახსნი, მე კი ჯიბე მუდამ სავსე მქონდა, გარეგნობითაც არა მიშავდა და ქალებშიც გვარიან წარმატებას მივაღწიე. განსაკუთრებით „მედიჩიკები“ მხიბლავდა, სამედიცინოს ლამაზ-ლამაზი სტუდენტები... კრიალა, დაბანილი რუსის გოგოები... ამათში ჩემი ეთერი მონაზონივით გაბრწყინდა. უმაღ მივხვდი, ნამდვილი, წესიერი ქართული ოჯახიდან იყო და ფულით ვერ შევაბამდი. დღესაც არ ვიცი, რა ერქვა ჩემს გრძნობას... სიყვარული? რა არის ბოლოს და ბოლოს სიყვარული? შევხედე და მეტად სექსუალური მომეჩვენა. ეს თუ ლოგინში არ ჩავიგორე, მოვკვდები-მეთქი, გავიფიქრე. სხვა გზა არ მქონდა, ცოლად უნდა შემერთო. თუმცა იმის იმედი რატომ უნდა მქონდა, რომ გამატანდნენ. ვიფიქრე, იურისტის დიპლომს ვიყიდი და ისე გავეცნობი-მეთქი. ხომ იცით, ჩვენი ხალხი იურისტის დიპლომზე ჭკუას კარგავს... ამასთან, ნამდვილი გამომძიებელივით გამოვჩინოვე, ვინ არის, რა ოჯახის შვილია, მოსკოვში ვინა ჰყავს. თურმე ძმებ-თან ერთად ცხოვრობდა, ისინიც სამედიცინოს ამთავრებდნენ — ჩვენი ჩოქო და გუჯა, მერე ამათ დიტოც დაემატა. ექიმობა მოდაში იყო, ძვირიც ღირდა და გეგიების მთელი ოჯახი სამედიცინოსაკენ დაიძრა. ჩემი სიმამრი საჭირო კაცებს შეეკრა, კაი ფული და

პურ-მარილი ზიდა. ხომ იცით, როგორ ხდებოდა და ახლაც ხდება ეგ ამბავი!.. გეგიებს ხანგრძლივი სამხედრო ალყა შემოვარტყი და ძმების გაცნობა მოვახერხე. ქართველი ქართველს სადღაც რუსეთში რომ შეხვდება, ბუნებრივია, გამარჯობისა და მოკითხვის გარეშე ვერ ჩაუვლის. გავიცანი თუ არა, თავი გამოვიდე, არიქა შამპანური, რესტორნები, გოგოები-მეთქი... მალე შევატყვე, ამათ გოგოებსა და რესტორნებს ერთი ჩეკი ურჩევნიათ, იჩხვლიტებოდნენ რა... თვითონ ამისაგან შორსა ვარ, ცხადია, არ მევასა, მომავალი ცოლისძმები თავს რომ იღუპავდნენ, მაგრამ კაცი თუ უფსკრულში ვარდება და შენს გამოწვდილ ხელს ზედაც არ შეხედავს, რითი დაეხმარები? აცალე ვარდნა, ცოტა ხანს მაინც ხომ იფრენს! ბოლო გარდუგალია, მაგრამ ადამიანი არჩევანს თვითონ აკეთებს და ჩვენ სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, ხელი დავუქნიოთ — „ადიოს!“ ეთერი რომ გავიცანი, ლანირაკივით მანჭიაობა არ დამიწყია, ჩემს გულისთქმაზე კრინტი არ დამიძრავს. ძმების მეგობრად მთვლიდა. რაკი მე თვითონ არ ვიჩხვლიტებოდი, კარგი თვალით მიყურებდა და ხანდახან შემომჩივლებდა, რა ვქნა, ძმები მელუპებიან, იქნებ შენი სიტყვა მაინც შეისმინონ. ჩემი შეგონება მგლის თავზე სახარების წაკითხვას ედრებოდა და თავს რატომ შევიწუხებდი. ჩუმად ველოდებოდი, საკითხი როდის მომწიფებოდა. ერთხელ შევატყვე, არც ფული აქვთ, არც წამალი. ჩოქოს და გუჯას ისეთი სიფათები გაუხდათ, შეგეშინდებოდათ... სიმწრისაგან კედლებს ეხლებიან. მე ვითომ არიფი ვარ და ვერა ვხვდები, რა სჭირთ. „ნაგლად“ ვეუბნები, ძმებო, უნდა გამოგიტყდეთ, თქვენს დაზე გული შემვარდნია და ცოლად მინდა-მეთქი. რაო, რა გაბედეო, — ისე შეპლმუვლეს, ლამისაა კარში გავვარდე. არადა, ორი გაავებული დათვი რომ წამოვა, რითი ვინდა, თავი დაიცვა. დავვარდი ძირს, გავნექი ზურგზე და ამოვძახე, კაცები არა ხართ, წაქცეულს ხომ არ მცემთ-მეთქი. ერთი პირობა, შეყოყმანდნენ, მაგრამ ვიაზრე, ამათ ჭკუა არ მოეკითხებათ, ფეხებით რომ შემდგნენ, ჭიასავით გამჭყლეტენ-მეთქი. დავაძრე ჯიბიდან ოპიუმის ორი ჩეკი და თავს ზევით ავწიე... ეშმაკ-საც წაულია მაგათი თავი და ტანი, ხელებიდან გამომტაცეს...

იმ დღიდან მეწველ ძროხად მაქციეს, როგორც კი მოისურვი-ლებდნენ, ფულიც ჩემი ჯიბიდან ამოდიოდა და წამალიც... ამოდენა მოდდლეზილი კაცები გოშიებივით სულ თვალებში შემომციცინებდნენ. ერთხელ ვითომ წავეხუმრე, მომავალი ცოლისძმები რომ ხართ, ხელს იმიტომ გიმართავთ-მეთქი, მაგრამ ამჯერად ხმა არ ამოულიათ. მივხვდი, ხელს არ შემიშლიდნენ და ხაფანგი მაშინ დავაგე. ერთ დღეს ეთერის და-ვურეკე, ჩემთან შენი ძმები არიან, უმცროსი, დიტო ცუდად გაგვიხდა და სასწრაფოდ გამოიქეცი-მეთქი. ნახევარი საათი არ გასულა, ტაქსით მოვარდა. სირბილისაგან ძლივს სუნთქავდა, ფერი დაჰკარგვოდა. შემეცოდა, მაგრამ უკან დასახევი გზა თვითონ მოვიჭერი.

„სად არიან ჩემი ძმები?“ — მკითხა, მე კი ზურგს უკან კარი ჩავუკეტე და გასაძები ჯიბეში ჩავიდე.

„რას ნიშნავს ეს?“ — გაოგნებულმა შემომხედა.

„ეს იმას ნიშნავს, ძვირფასო, რომ ამ წუთიდან ჩემი ცოლი ხარ! ყოველ შემთხვევაში, სანამ შენს თანხმობას არ მივიღებ, ამ ბინიდან ვერ გახვალ!“

„გაგიშდი?“

„ჰო, გავგიშდი, სიყვარული, ამბობენ, სიგიშის სენიაო!“

„იცი, რას გიზამენ ჩემი ძმები? ჩოქო და გუჯა ხომ იციო...“

„როგორ არ ვიცი, ძვირფასო! ვიცი და მეტი არა? მათ უკვე ვთხოვე შენი ხელი!“

„სთხოვე?“

„გადამკოცნეს და გზა დამილოცეს! ასეთ სიძეს, სანთლით რომ გვეძებნა, ვერსად ვიპოვიდითო. მგონი დეპეშაც გააგზავნეს მერეთში...“

„დეპეშა?“

„ჰო, მშობლებს მიულოცეს, ასე და ასე, ჩვენი ეთერი გაგვითხოვდა, სიძე შესანიშნავი ახალგაზრდაა, ჯიგარია, მომავალი იურისტია და ასე შემდეგ! ჩემს სიდედრ-სიმამრს მეზობლებმა კარი აუტალახეს მილოცვებით!“

„მამასხარავებ? მამიკო რომ ჩამოვა, ვეტყვი, რომ ყოველივე სიცრუეა!“

„დაგიჯერებენ? კაცთან ლამეს რომ გაათევ...“

„მე არ ვაპირებ აქ ღამისთევას... თანაც რატომ არ დამიჯერებენ, ჩემი პატიოსნების დამტკიცება მე არ გამიჭირდება!“

„აქედან რომ გახვალ, შენ უკვე ქალწული აღარ იქნები, ძვირფასო!“

„თავხედო, როგორ მიბედავ?! არ მომეკარო, თორემ ფანჯრიდან გადავხტები!“

„ლიფტით რომ ამოდიოდი, სართულები ხომ გადათვალე?“

„არ მომეკარო!“

„რომ არ მოგეკარო, ხვალ ციხეში უნდა წავიდე, ამიტომ დასაკარგავი მე არაფერი მაქვს!“

ქალმა თუ მოინდომა, მამაკაცი ვერ მოერევა! ქალი საკუთარ თავს ებრძვის, მას საკუთარი თავი ამარცხებს.

ბევრი იწუნუნა ჩემმა ეთერიკომ, ბევრი ივიშვიშა, მაგრამ ის ღამე სულ ფერება-ფერებაში გავატარებინე, ნეტარების მწვერვალზე ავიყვანე და დაღლილსა და მოთენთილს ანგრეულ ქვეშაგებში რომ ჩაეძინა, პირზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა...“

ძმები?

დილითვე თავს დამესხნენ, ისე შემოცვივდნენ, ჩემს გადაყლაპვას აპირებენო.

ლოგინზე წამომჯდარმა ეთერიკომ მორცხვად დახარა თავი.

„ჩვენთვის ეს არ უნდა გეკადრებინა!“ — ბოლმით თქვა ჩოქომ.

შამპანური გავხსენი, ჩამოვასხი და სირჩა ღიმილი ავწიე:

„ჩვენი ეთერიკოს ბედნიერებისა იყოს!“

— არის ბედნიერი? — ვკითხე.

— ჰყავს ქმარი, შვილები, აცვია და ახურია, არ შია და არ წყურია, მეტი რაღა უნდა? — ხმაში გაკვირვება შევატყვე. — ეჱ, ძილი დაგირღვიეთ, წავედი, აბა! ყაჩალები ამაღამ, ეტყობა, არ მოგვაკითხავენ!

კარგა ხანს ვინექი თვალგახელილი, უკუნს მივჩირებოდი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, მეზმანა ყოველივე თუ წუთის წინ მართლაც ვისმენდი დურუს სიძის მონოლოგს...“

ჩიტმა ამბავი მოიტანა, ეგ შენი ბიჭები, ესკულაპეს მონაფეობას რომ ჩემულობენ, ლამისაა თვითონ გახდნენ პაციენტები, სწავლაზე კარგა ხანია გული აიყარეს და „წამალს“ მიეძალნენო...

დურუს თავზარი დაეცა, ჯავრისაგან არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

მოწყდა ადგილს, ჩაფრინდა ვნუკოვოში, დაიქირავა ტაქსი და თავზე წამოადგა ყმანვილებს.

— მღუპავთ, თქვე ნაბიჭვრებო?! — თითქოს მეხი დაატეხაო.

სავარძლებში ნებიერად მთვლემარე ჩოქო და გუჯა წამოიზლაზნენ, სიმალლითაც და ღონითაც მამას ტოლს არ დაუდებდნენ.

ნაბოლარა დიტო, ქალიშვილივით ლამაზი და წრიპა, კი-სერზე ჩამოეკიდა დურუს, ცხვირი ლოყაზე ატაკა.

— რატომ, მამა, რა დაგვიშავებია?

— რას ჰქვია, რა დაგვიშავებიაო? — აღშფოთებისაგან ხმა ჩაუწყდა დურუს, უნებლიერ მწარე ჩურჩულზე გადავიდა.

— ამდენი შრომით გავთავდი კაცი, წელებზე ფეხს ვიდგამ, ვინძლო არაფერი მოგაკლოთ, ოჯახიშვილებს რომ ეკადრებათ, ისე გაცხოვროთ. მთელი ქალაქი შურით სკდება, გეგიების ოჯახს ოთხი ექიმი ეზრდებათ. თურმე ნუ იტყვით, ექიმები კი არა, ნარკომანები მეზრდება!

— გეტყობა, ცხოვრებას ჩამორჩი, მამაჩემო! — ჩაახველა ჩოქომ. — ცოტა ანაშა მოვქაჩეთ, ეს იყო და ეს! დიდი ამბავი! შენ რომ იცოდე, ექიმმა ესეც უნდა გასინჯოს, აბა რანაირად გაუგებს ავადმყოფს...

— არ გამაგიშოთ, ახლა, მე თქვენ!

— ნუ გადაირევი, მამა! — ჩაურთო გუჯამაც. — რა მოხდა ისეთი, მთელი თანამედროვე ახალგაზრდობა, გოიმების გარდა, აქეთკენ მიდის!

— საითკენ მიდის, ბიჭო, ახალგაზრდობა?! — დურუს თითქოს ყელში წაუჭირესო, სახე ჭარხლისფერი გაუხდა.

— მაგი არაფერი, — მოულოდნელად დაარეხვა ჩოქომ, შენ ის იყითხე, ეთერი რომ წაგვართვეს!

— რა?! — თვალები გადმოუცვივდა დურუს.

— გაგვითხოვდა, გაგვითხოვდა! — ჩასძახა ჩოქომ.

აქამდე დურუმ არ იცოდა, გული სად ჰქონდა. სადღაც გულმკერდის შიგნით ბათქუნობდა კარგად დაზეთილი დგუშივით, პატრონი არასოდეს შეებია დურუს მკერდს ამ მანქანის რიტმის შესამონმებლად. სიტყვა „წნევა“ გაუგონია სხვებისაგან, მაგრამ თვითონ მას წნევა მუდამ ერთნაირი ჰქონდა და წნესიერად ვერც გაერკვია, რას ნიშნავდა ადამიანისათვის „წნევის აწევა“.

ახლა კი, ამ „ნაბიჭვრების“ გადამკიდემ, უცებ იგრძნო, თავზე როგორ მოუჭირა სალტემ, ყურში თითქოს პიონერული დოლი აბრაგუნდა, გული საგულედან ლამობდა ამოხტომას.

„ალბათ, ინფარქტს მივიღებ!“ — შიშით გაიფიქრა დურუმ, ხელები გაასავსავა და კედელთან მიდგმულ საწოლზე წამონვა.

— მე თქვენი დედა მოვ...ან, გინდათ სული გამაცხებინოთ?

ჩოქომ და გუჯამ ერთმანეთს გადახედეს, დიტო კი ჩიკორივით დაბზრიალდა, წნევის აპარატი მოარბენინა, თან საქმიანობდა, თან ენა არ გაუჩერებია:

— ნუ გეშინია, მამა, ოლონდ შენ დაწყნარდი! გულის გასახეთქი არაფერი გვჭირს. პატარა წნევა ვის არ ჰქონია... ახლავე გაგისინჯავ! დაწყნარდები, მშვიდად განსჯი და მიხვდები, საქმე მოსალოცადა...

ასე ლაქლაქებდა, თან შეკალას უყურებდა. ვერცხლისწყალმა მაღლა აინია, მერე ნელ-ნელა ჩამოეშვა. დურუს ძლიერი გული ცოტათი აჩქარებულიყო, წნევა კი ჩვეულებრივ ნორმას ათიოდე ხაზით აჭარბებდა.

— დედაა, — შეიცხადა დიტომ, ძმებისაკენ მოიხედა, თვალი ეშმაკურად ჩაუპაჭუნა, — წნევა ცაში აფრენილა! ოლონდ შენ ნუ შეშინდები, მამა, წყნარად ინექი! ისეთი წამალი გაგიეთო, სულ სიხარულის ფრთები ამოგეზარდოს!

— რა წამალი, ბიჭო! — შეეჭვიანდა დურუს, ბავშვივით ეშინოდა ნემსის ჩხვლეტისა.

— ოღონდ ნუ დელავ, შენთვის ნერვულობა არ შეიძლება, ერთი ნაბიჯი დაგრჩენია ინფარქტამდე! ჰე, ძმებო, ჩოქო, გუჯა, რას აყუდებულხართ, დატრიალდით, შპრიცი, წამალი და მისი ჯანი...

მართლაც დაფაცურდნენ დურუს ვაჟები, მოარბენინეს შპრიცი, გაწაფული ხელით ნემსი კანქვეშ შეუყვანეს და შეუშებაუნეს სითხე, რომელსაც ურეცეპტოდ აფთიაქში არ იძლევიან და მისი სახელი, ბუნებრივია, დურუს გაგებულიც არ ჰქონდა.

— რა მიქენით ეს, თქვე ნაბიჭვრებო! — ინერციით განაგრძობდა ჩხუბს დურუ, მაგრამ გრძნობდა, რომ გული მოლბობოდა, მისი აგრესიულობა კლებულობდა, ოთახის კედლებმა თითქოს განზე გაიწიეს, ჭერი ამაღლდა და უამრავ ნაწილებად დაიმსხვრა. ვაჟიშვილები აგერ თავზე დასდგომოდნენ და სახეზე შიშნარევი მოლოდინი ეხატა.

დურუმ ჩაიხითხითა, ძმებმა ერთმანეთს გადახედეს.

დურუს მათი მდუმარება და მოლოდინი მეტად სასაცილოდ მოეჩინა.

— გათხოვდა, ჰა, — იკითხა, — ჩემი ეთერიკო გათხოვდა? უცაბედი სიცილი აუტყდა, მოუზომელი, ისტერიკული...

ვაჟიშვილები აჟყვენენ, ცხენებივით ჭიხვინებდნენ, ფლოქვების თქარუნით პარკეტზე გარბოდნენ... თვითონაც ცხენად ქცეულიყო დურუ გეგია, ფაფარაშლილი ჭენებით მიგელავდა, თან მწარედ ჭიხვინებდა, ცდილობდა, წინ გაჭრილ შვილებს მისწეოდა.

„ოპოპო, გათხოვდა, გათხოვდა!..“ — კიდეც უხაროდა და კიდეც ეტირებოდა...

მერე უცებ დავიწიყდა, რა უხაროდა და რა ატირებდა... ირგვლივ ცისფერი მირაჟები ლივლივებდა და თავს ბედნიერად გრძნობდა... მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა. თავის სტკიოდა და გულისრევა ტანჯავდა. ბავშვივით უღონოდ ეგდო, ფიქრის ძალაც არა ჰქონდა.

მხოლოდ მესამე დღეს გადაუარა სისუსტემ, ჩვეული ჯანი იგრძნო და გონებაც გაუნათდა.

მუშტი მაგიდაზე დაჰკრა და ასე ბრძანა:

— თქვენ, ჩოქო და გუჯა, ხელიდან წასულხართ, შვილოსა! ფული და პატივისცემა კი არა, ჩემგან არ მოგაკლდებათ როზგი და მათრახი! ამ ნაბოლარა ლანირაკს კი, დიტოს, თქვენ ვერ გაგაფუჭებინებთ. ვიცი, შევცდი, ჯარში უნდა მეკრა თქვენთვის თავი, ინსტიტუტში კი არა...

მოკიდა ხელი დიტოს და მიჰვარა სამხედრო კომისარს, მე ვერ მოგერიე, შვილო, იქნებ ჯარის მარწუხებმა მოგათვინიეროსო.

ჩასვეს დიტო რუსის ბიჭბუჭებთან ერთად საქონლის ვაგონში და გაუყენეს გზას მოქურუშებული ქალაქისაკენ, რუკაზე რომ არცაა აღნიშნული.

— ეй, ჩერნიჟოპია დაი პროკურით!

ეს ხდებოდა ჯარისკაცურ სასადილოში. მორიგე სალდათები კარტოფილს ფცქვნიდნენ. ზემდეგის სამხრეებიანი „სტარიკი“ თვითნაკეთ პაპიროსს ახვევდა, თან ლაშები დამცინავად ეღმიჭვბოდა.

დიტოს ხელში ცხელი შჩით სავსე მათლაფა ეჭირა და მაგიდის კუთხესთან მიჯდომას აპირებდა.

— Сию минуту! — უპასუხა, თვალი გაუსწორა და ეს ცხელი წვნიანი შიგ სიფათში შეასხა, მათლაფა კი თავზე გადააფშვნია.

— უბლ გად! — საშინელი ხმით ილრიალა ზემდეგმა, თვალებზე ხელები იტაცა და ძირს გაგორდა.

სალდათები წამოცვივდნენ, მაგრამ დიტომ არ დაახანა, პურის უზარმაზარ დანას დაავლო ხელი და მძულვარედ შეუძახა:

— Кто хочет крови?!

„სტარიკის“ გამოსარჩლება „სალაგებს“ არ ეწადათ. დიტომ დანა მაგიდაზე დაავდო და აუჩქარებლად შებრუნდა.

კარს გასცდა თუ არა, შეძახილი მოესმა:

— Рядовой. почему вы гуляете в неурочное время?

ოცეულის მეთაური იყო, კაპიტანი სერებრიაკოვი.

— Разрешите обратится товарищ капитан!

— Разрешаю!

— Ёёё на почту, хочу телеграфировать своему деду, что здесь оскорбляют мое национальное достоинство!

— Чемже тебя оскорбили?

- Сержант черножопым обзываются!
- Ах, Кавказская горячая голова... — таэви гаајбнаа სერებრიაკოვმა, — сразу же деду жаловатся... и кто-же такой твои деды?
- Мой дедь герой советского союза Мелитон Кантария!
- Дааарეხვა უცებ დიტომ.
- კაპიტანმა გაკვირვებისაგან პირი დააღო.
- Даа! — სიტყვა გაჭიმა და კარგა ხნის ფიქრის მერე ჩაეძია: — ты кажется Гегиа? — „გ“ს მაგივრად „ჰ“ს ამბობდა, „ჰე-ჰია“ გამოსდიოდა.
- А он дедь по материнской линии! — იხტიბარი არ გაიტება დიტომ.

— Успокойся дорогой, — დაუყვავა კაპიტანმა, — не надо телеграм, мы этого сержанта накажем!

იჩივლა ზემდეგმაც, სახეში ცხელი შჩი შემომასხაო. მაგრამ იმ ბედოვლათს რაპორტი თავზე გადაახიეს და იქაურობას მოაშორეს. დიტოს დაუდგა ბედნიერი დღეები. „კაპტიორკაში“ გაამწესეს და მთელი დღე გორაობდა შინელებისა და ჩექმების გროვაზე. გეგიების ნაშიერს არც საჭმელი აკლდა და არც სასმელი, საფოსტო უწყება გადაიღალა ამანათების ზიდვით. მოწყენილობისაგან ხან დომინოს უხათქუნებდა, ხან „ლევად“ ნაშონებ ანაშას მოქაჩავდა... მოკლედ, არავინ აკადრებდა ჯარისკაცური ცხოვრების მძიმე და დამღლელ იწილო-ბინილოს. ხანდახან თუ გამოიყვანდნენ დღის სინათლეზე, ჩააცმევდნენ საპარადო ფორმას, დიდის ამბით დააყუდებდნენ ტრიბუნაზე, რათა ჯარისკაცთათვის მოეთხოო გულისამაჩუყებელი ამბები ბაბუა მელიტონის ცხოვრებასა და გმირობაზე. რა თქმაუნდა, კინოში ნანახს საკუთარი ფანტაზიით შეთხზულ ზღაპრებს დააგორგოლავებდა და ფონს იოლად გადიოდა, რადგან აზრად არავის მოსვლია მისი ნაამბობის გადამოწმება.

ასეთი ბედნიერი დღეები უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდებოდა და განსაცდელის უამიც დადგა. მოახლოვდა 23 თებერვალი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის დღე. სამხედრო ნანილის მაღალმიწონსნებს მავანმა ჭკუისკოლოფმა ჩააწვეთა, ჩვენთან ხომ რაიხსტაგის გმირის მელიტონ ქანთარიას ნა-

გრამი მსახურობსო. იქნებ „დედუშკა მელიტონს“ მოესურვილოს შვილიშვილის მონახულება და თავისი დასწრებით ზეიმს მეტი პენი შესძინოსო. დაიბარეს დიტო ნაწილის შტაბში და უთხრეს: აპა, ზემდეგო გეგია (უკვე სათანადო სამხრეებიც დაიკერა, ცხადია!), დაფაცურდი და მოახერხე, რომ 23 თებერვალს ბაბუაშენი უსიკვდილოდ ჩამოვიდეს, ისეთ პატივსა ვცემთ, სულ გრიალი გაჰქინდესო...

„დავიდუპე!“ — თავში ხელი შემოიკრა დიტომ, მაგრამ სხვა რა ჩარა ჰქონდა და საყვარელ მამიკოსთან გრძელი უსტარი აფრინა, ასე და ასე, როგორმე ჩვენი სახელოვანი გმირი შეაბით და გამომიგზავნეთ, თორემ ციხეში მიკრავენ თავს და მეყოლეთ კარგადო.

გულზე შემოეყარა დურუს, შენი გამზრდელი დედის დედასაცაო... ისე შეიგინა, კედლებს ზანზარი გაჰქინდა. ცისანამ მოთმინებით უსმინა, მერე კი წყნარად უთხრა:

— გული ხომ მოიოხე, დაწყნარდი ახლა, რამეთი უნდა მივეშველოთ ბავშვს!

რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელი გახლდათ დურუ გეგია, მის თხოვნას ვინ არ შეიწყნარებდა. შეეძლო, კაბინეტში დაებარებინა გმირი, მაგრამ არ აკადრა, ადგა და შინ ეწვია, ჯვარში.

თოვლიანი ზამთარი იყო იმ ნელს, მანქანებს მოძრაობა უჭირდა და „ნივით“ გაემგზავრა. მთელი გზა თავისთვის ილანდებოდა, იმას წუხდა, გმირისათვის სათქმელი რანაირად ეთქვა. კი სმენოდა, მელიტონ ქანთარია დახმარებაზე უარს არავის ეუბნებაო, ხშირად გამგზავრებულა თურმე შორეულ რუსეთში, რათა მართლმსაჯულების ბადეში გახვეულ მართალ თუ მტყუან მსხვერპლთათვის დახმარება გაეწია.

ახლაც ამისი იმედი ჰქონდა დურუს.

ბარდნიდა, მსხვილ-მსხვილი ფანტელები ეფინებოდა მინისპირს და ორ ნაბიჯზე გზა არ ჩანდა.

ლიის დაღმართს რომ მიაღწია, თოვა შეწყდა, გამოისარკა.

აქედან ფართო პანორამა იშლებოდა, — ენგურის ხეობა თვით სამეგრელოს ქედამდე. სივრცე თეთრად გადასუდრულიყო. სახლებს მაღალი, თეთრი ქუდები ეხურა. ხეებზე ჯი-

ღასავით იდგა მსუბუქი, ქათქათა თოვლი. თეთრ კალაპოტში მოედინებოდა ენგური და მისი ძალუმი შხეული აქამომდე აღწევდა. თეთრი, ბუმბერაზი მთები შემოგრაგნოდა ჩრდილოეთიდან ხეობას.

წამით გაირინდა დურუ, დაივინყა საწუხარი, მზერით მიეწება სახილველს.

გონს მოეგო და მძლოლს მიუგდო:

— წავიდეთ!

სოფლის შარაგზაზე დურუს „ნივა“ პირველი ავლებდა კვალს.

ჭიშკართან შეჩერდნენ, დააპიპინეს. სახლიდან თავში-შველი მასპინძელი გამოვიდა, მხრებზე ბამბურა მოეგდო, შეცივნული გამოეშურა.

დურუმ იცნო, გმირმა რკინის კარი გასწია.

— მობრძანდით, დურუ ბატონი!

დიტო მოუთმებლად ელოდა პასუხს მერეთიდან. უფრო-სობა ცოტათი შეფიქრიანდა, ამ ეშმაკმა კავკასიელმა ხომ არ გაგვაცურაო. ჭაბუკის თავზე ღრუბელი იკრიბებოდა, თუმცა დიტო იხტიბარს არ იტეხდა, „კაპტიორკაში“ ძმაკაცებთან დო-მინოს უჭახუნებდა ანდა, თვითონ უკვე „სტარიკი“, „სალა-გებს“ ჩექმებს აპრიალებინებდა.

და აი, დეპეშამ ამბავი მოიტანა, ოცდასამის დილის მა-ტარებელს „დედუშკა“ ჩამოჰყვებაო...

ატყდა ერთი ალიაქოთი, დივიზია ფეხზე დადგა, ვინმეს განგაში ეგონებოდა. ოფიცრობას საქმე გაუჩნდა. ჯარის-კაცებს ლანჩები გასძვრათ ჩექმების ბრაგაბრუგით, მწყობრად დაატარებდნენ ალმა-დალმა, საპატიო ალლუმის ცერემონიალისთვის ამზადებდნენ. სასულე ორკესტრი მარშებს აგრიალებდა, საყვირები სჭექდნენ, დოლებს ბრაგუნი გაუდიოდა.

აჲა, გათენდა ოცდასამი თექერვლის ყინვიანი დილა. მზემ აღმოსავლეთიდან თოხისტარზე აინია და გაჩერდა. ვერცხლისფრად აბრჭყვიალდა ყინულის უთვალავი კრისტალი... ვაგზლის ბაქანზე საპარადო ფორმაში გამოწყობილი ასეულები ჩამწკრივდა.

აი, გამოჩნდა მატარებელი, ნელა შემოცურდა. გაჩერებული არც იყო, როცა კაპელმაისტერმა ჯოხი ასწია და სასულე ორკესტრმა საზეიმო მარში დასცხო.

ვაგონებიდან ცნობისმოყვარე მგზავრები იყურებოდნენ, ვერ გაეგოთ, ვის ხვდებოდნენ ასეთი ზარზეიმით.

გაიღო ვაგონის კარი, კიბეზე კავკასიური გარეგნობის წარმოსადეგი კაცი გამოჩნდა. თბილი ჯუბა ეცვა, თავზე ყურებიანი ქუდი ეხურა.

შეჩერდა, ჯუბის ღილები შეხსნა, კალთები გასწია, პიჯაკის ლაცკანზე ოქროს ვარსკვლავმა გაიბრწყინა.

დიტო აქამდე ჭოჭმანობდა, ვაითუ ვერ ვიცნო და სხვა ვინმეს ვეტაკოო, მაგრამ, რაკი იქროსვარსკვლავიანი კავკასიელი იხილა, ეჭვი გაეფანტა და ორკესტრის გრიალი მისმა აღტაცებულმა შეძახილმა დაფარა:

— დედუშკა!

გაქანდა და კისერზე შემოეჭდო.

— კაი, კაი, შე ყურუმსალო, ზედმეტი არ მოგივიდეს! — უხერხულად ჩახუტებულმა მელიტონმა ზურგზე ხელი მოუტყაპუნა.

— რაიმე სისულელე არ წამოროშო, იცოდე! — ჩაუმეგრულა დიტომ.

— უყურე ამ ყურუმსალს, ვიტყვი ახლა, რომ არ გიცნობ და უყარე კაკალი!

— არ დამღუპო, მელიტონ ბიძია!

ამასობაში მაღალი ჩინოსნებიც მოვიდნენ, ხელი საფეთქელთან მიჰერნდათ და მერე ენერგიულად ართმევდნენ.

ამას მოჰყვა სამხედრო აღლუმი, მარშითა და ჩექმების ბრაგუნით ასეულების ჩავლა.

საზეიმო მიტინგი, სადაც გმირთაგმირი ჩიქორთული რუსულით ახალგაზრდა სალდათებსა და ოფიცრებს მოძღვრავდა...

მხიარული ბანკეტი, რუსული არაყითა და ცხელი პელმენებით, ასაკოვანი ლამაზმანებისა და ოფიცრების ცეკვით... გმირს სქელგავიანი დედაკაცები გასაქანს არ აძლევდნენ, დიტო კი ცქრიალა რუსის გოგოებში ტრიალებდა, თან ცალი თვალით „დედუშკას“ უყურებდა, ვინძლო იმას როლი არ დაჲვინებოდა.

მოკლედ, დრო ატარეს „დედუშკამაც“ და „ვნუკმაც“, ბოლოს საზეიმო გაცილებაც მოეწყო და, ვაგონის კიბესთან შვილიშვილი რომ გადაეხვია, ყურში ჩასჩურჩულა „დედუშკამ“:

— შენნაირი სამასორმოცდაათი შვილიშვილი მყავს მე!  
კაი აფერისტი ეზრდები მამაშენს, შე ყურუმსაღო, შენა...

16

გარიურაუზე მანქანის ხმამ გამომაღვიძა. სადღაც ახლოს გადმოუხვია. ძრავა მძლავრად გუგუნებდა, თან შიგადაშიგ თითქოს ხველებით იხრჩობოდა. მოურიდებლად მოასიგნალა, ჰაერი გასერა გამჭოლმა კივილმა.

„თავს ხომ არ გვესხმიან?“ — გავიფიქრე და ლოგინიდან წამოვხტი, ფანჯარასთან მივირბინე.

უშველებელი „ფურამანქანა“ ორლობეში მოცურავდა, თითქოს ბინდიდან ისტორიამდელი ურჩხული მოიწევსო, ფარებს აბრდლვიალებდა.

აგერ ჭიშკარს მოადგა, ერთხელაც შეჰქივლა, ადექით, რა ძილებუში დაგეცათო და კაბინიდან ავტომატიანი ახალგაზრდა გადმოხტა.

„ბიჭოს, არ ხუმრობენ, მგონია!“ — გამიელვა და სკამზე გადაკიდებულ ტანისამოსს დავავლე ხელი.

თან ვიცვამდი, თან ფანჯარაში ვიყურებოდი.

კაბინიდან მეორე ავტომატიანიც გადმოხტა.

შალითად ჩაცმული იესე გაეგება.

— დროზე ვერ გამოხვალ? გაალე ჭიშკარი! — უხეშად შეულრინა პირველმა.

— ახლავე, ახლავე! — იესე ჭიშკარს დაეჯაჯგურა, ჯერ ერთი კარი გასწია, მერე მეორე და მანამ ეჭირა, სანამ მანქანა ფრუტუნითა და ხველებით ეზოში ტანს შემოიტანდა.

ჩვენი „ზაპოროჟეცი“ მის გვერდით მთლად მოიცუცქნა.

ძრავა გამოითიშა, ფარები ჩაქრა, მიდამო გაიცრიცა, მდუმარება ჩამოწვა... ბნელი იფანტებოდა და მანქანა უზარმაზარ, თეთრ ლაქად დააჩნდა ეზოს, კაცები კი, ისინი სამნი იყვნენ, სიფრიფანა ლანდებს დაემსგავსნენ, თუმცა ხმები ისე ისმოდა, აქვე, ყურისძირში ლაპარაკობენო.

— შინ არიან?  
— ჰო, სტუმრებიცა გვყვანან! — იესე პასუხობდა.  
— ვინ ოხრებია?  
— თოლორაია გვეწვია.  
— ვალიკო ბიძია? მაგი უცხო არ არის!  
— თან მწერალი ჩამოიყვანა... — ხმას დაუწია იესემ, ეტყობა, ჩემი სახელი ყურში ჩასურჩულა.

— ეგ ვინდა ოხერია? — უკმეხად ჩაილაპარაკა უცნობმა.  
— ეგლა გვაკლდა!

— ფეხებზე მკიდია! — შეეპასუხა მეორე. — გაბედავს რამეს და... — რაღაც გააჩხაკუნა, ალბათ, ავტომატის საკეტი.

უმჯობესი იქნებოდა, კვლავ ლოგინში ჩავწოლილიყავი, სულაც არ მეპიტნავებოდა შარში გახვევა, მაგრამ უკვე ჩაცმული გახლდით და ტანისამოსის ხელახლა გახდა ზედმეტ ლაჩრობად მომეჩვენა. „თვითონ ვინ ოხერია!“ — გავიფიქრე და კარს მივაშურე.

კიბეზე ლესტამბე შემხვდა, ისიც თავისი ოთახიდან გამოვიდა. გზა-გზა ლილებს იკრავდა. სიფათი დაბუჟული ჰქონდა, დასიებულ უპეებში წვრილი თვალები მთლად ჩაჰკარგვოდა. „ლვიძლი!“ — დავასკვენი.

— მგონი ბიჭები ჩამოვიდნენ! — სიცივისაგან შეაძაგძაგა.  
— ვინ ბიჭები?

— დურუს ვირები, ჩოქო და გუჯა... ნაომარი კაციჭამიებია, მთავრობის სამსახურში დგანან!

— ოო! — ნეიტრალური ბგერა აღმომხდა, ორხელისუფლებიანობის უამს ჩემი ჭეშმარიტი განწყობა ვერ გავარკვიე.

წუხანდელი ნასუფრალი უკვე აელაგებინათ და დიასახლისები — ქალბატონი ცისანა და ეთერი სუფრას ხელახლა შლიდნენ, უფრო სწორად, ცისანა აუჩქარებლად ალაგებდა დანა-ჩანგალს, ეთერი კი მაგიდასა და სამზარეულოს შორის დარბოდა.

— სტუმარი არ მოგასვენეთ, ნამეტანი ხმაურიანი ოჯახი გვაქვს! — მომიბოდიშა ქალბატონმა ცისანამ. — ძილი დაგაკელით, ბატონო ჩემო! რა ვქნათ, ჩემი არწივები ჩამოფრინდნენ, დედა ენაცვალოს მაგათ, ჩემს ჩოქოსა და გუჯას...

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, გარედან ვიღაცამ კატე-  
გორიულად თქვა:

— გვშია!

— მერედა, რას დაეთრევით კარდაკარ, ეყარეთ შინ! —  
ჩახლეჩილი ხმით შეეპასუხა დურუ.

— შინ რომ ვეყაროთ, შენი ხელის შემყურებს, შიმშილი-  
საგან სული გაგვძვრება!

დურუ ოთახში შემოგორდა, ზურგით კარი მიხურა, ჩემს  
დანახვაზე ნირი ეცვალა, დამნაშავესავით ჩაიწუნება:

— ახალგაზრდებს, ხომ იცით, ღონეუზღვავი აქვთ, ჭუა  
და ზრდილობა კი ნამცეცი!

თვალის უპეები ამასაც დასიებოდა, წუხანდელი სიმთ-  
ვრალის კვალი აჩნდა.

— რა მოაქვთ? — ხმადაბლა ჰელითხა ლესტამბემ.

— ვინ შეგახედა! — ბაზზე აუგდო დურუმ, ალბათ, ჩემთან  
არ ისურვა ამაზე სიტყვის გაგრძელება და მოწინებით მო-  
მიბრუნდა: — უთენია გაგაღვიძეთ, ბატონო! რამდენჯერ  
გავაფრთხილეს ნაბიჭვრები, შინროცა ბრუნდებით, მთელუბანს  
ნუ აიკლებთ-მეთქი. ამათგან ძილი და მოსვენება არა გვაქვა!

ხმაში ყალბი კილო შეეპარა, თავს მიქონავდა და პასუხის  
ლირსად არ ჩავთვალე.

კარი მოურიდებლად გაიღო და ოთახში სამი ახალგაზ-  
რდა შემოლაგდა. ისე მოაბოტებდნენ, ისეთი მოდლლეზილე-  
ბი იყვნენ, მთელი ოთახი აავსეს.

თენგიზიც შემოვიდა თვალების ფშვნეტით და მოსუ-  
ლებს ჩამოუარა, უხმოდ ართმევდა ხელს.

— ა, ბატონო, ჩემი ვაჟიშვილები! — ხელები თეატრალუ-  
რად გაშალა დურუმ. — ჩოქო და გუჯა, ეს ახალგაზრდა კი  
მძღოლია!

— მიშიკო! — თქვა მძღოლმა და თავი დამიქნია. შავი,  
ბანჯგვლიანი ტიპი იყო. თვალები აღმოსავლურად დავიწროე-  
ბოდა და ზედ ეტყობოდა, ამქვეყნად მის მოვლინებაში უფლისა  
და დედის გარდა ჩინგიზ ყაენის გენიც მონაწილეობდა. ამას  
სასხვათაშორისოდ აღვნიშნავ, თორემ მძღოლის ვინაობა არც

მაინტერესებდა... დურუს ვაჟიშვილები შევათვალიერე ყურა-  
დლებით.

მამასავით ზორბა კაცები გამხდარან, მხრებგანიერნი,  
მსხვილნაკვთებიანები, ჰელვდნენ კიდეც ერთმანეთს და არცა  
ჰელვდნენ. ჩოქოს ბრიალა თვალები ძალასა და დაუნდობლო-  
ბას ანათებდა. ყურები მწევარივით აეცქვიტა. გაპარსულიც  
გაუპარსავსა ჰელვდა, რადგან პირი უმალ შავი ეკალნარით  
ეფარებოდა.

ხელი არც გამოუწვდია, თუმცა არც მე მკლავდა ხელის  
ჩამორთმევის სურვილი. ისეთი თათები ჰელნდა, ერთი დარტ-  
ყმით ხარს წააქცევდა. კანში ჭუჭყი ჩაზრდოდა, ფრჩხილები  
ძირამდე დაეკვიტა... ტანთ ჭრელი კომბინეზონი ეცვა.  
მოკლე ავტომატი სათამაშოსავით ეჭირა.

სკამი ფეხით გამოსწია, მოუბოდიშებლად, ზედ მძიმედ  
დაეცა და კერძი მოიჩოჩა.

— დამაცა, დედა, ახლავე გაგიწყობ! — უთხრა ცისანამ,  
მაგრამ ჩოქოს თავი არც აუწევია.

გუჯაც უფროს ძმას ჰელვდა, მისი ალიკვალი იყო, თუმცა  
მასში იგრძნობოდა შინაგანი სისუსტე, მორდვეულობა. თვა-  
ლები აცაპაცა გაურბოდა, თითქოს დანაშაული ჩაუდენია და  
რცხვენიაო.

— მწერალი გვესტუმრა? — ფართოდ გაიღიმა, თვალე-  
ბი აუჟუჟუნდა, ალბათ, ნასვამი იყო ან სულაც ნაჩხვლეტი. —  
ძალიანაც კარგი! იქნებ ჩემზეც დაწეროთ რამე, ისეთ ამბებს  
მოგიყვებით...

— ჴო, რა თქმა უნდა, ოღონდ ახლა მაპატიეთ, ხელ-პირი  
მინდა დავიბანო!

თენგიზმა მკლავზე ხელი წამატანა, აპაზანისაკენ გამიძღვა.

— აქეთ მობრძანდით!

მადლობის ნიშნად თავი დავუქნიე და ონკანს ხელები  
შევუშვირე. ბოლომდე არ ვიყავი გამოძინებული, ცივმა წყალ-  
მა გამომაფხიზლა.

ათ წუთში მოვწესრიგდი და სასტუმროში შევპრუნდი.

ყველანი სუფრას უსდნენ. წუხანდელი თანამეინახენი  
უგემურად წინწიდნენ საჭმელს, ახალმოსულნი კი გამეტე-  
ბით ეძერნენ და ენერგიულად ნთქავდნენ.

ჩოქომ ღვინო დაისხა და უთქმელად შეხვრიპა. გუჯამ ზიზღით შეხედა სასმისს, ყავა მომიდუღეთო, ითხოვა. მიშიკო ჩუმად მიირთმევდა. დანარჩენები ამათ შევყურებდით...

— ბნელი ღამე იყო, ეჰეჰე... — დააგდო უცებ გუჯამ.

— ქურდს რაუნდა და ბნელი ღამეო! — იხუმრა ლესტამბერ.

ჩოქომ თავი ასწია, ლუკმა ბოლომდე დაღეჭა და მხოლოდ მაშინ თქვა:

— ვიცი, სული მიგდით, ხმას როდის ამოვიღებ! ამ ჩიტი-რეკიას, — გუჯაზე გვანიშნა, — ენაზე მაინც არაფერი დაადგება! — მზერა მომაყინა. დანარჩენებს საიდუმლოს, ალბათ, არც უმალავდა, მე ვჩანდი უცხო და საშიში. თვალებში ქუფრი ჩაუდგა, მუქარანარევი კილოთი დასძინა: — სპილენძია მაგ მანქანაში, თექვსმეტი ტონა, ბიჭებმა ჩამოხსნეს რკინიგზაზე...

დურუს პირისახე ერთიანად დაუფორაჯდა, სქელი ბაგე ჩამოეფლაშტა, უკანკალებდა.

— ხომ გაგაფრთხილეთ, ასეთ წამხდარ საქმეებში ნუ გაერევით-მეთქი! — ხმა დიაცივით დუწვრილდა. — მილიცია რომ მომადგეს, რა ვუთხრა მერე?

— მილიცია, ჰმ... — აგდებით ჩაიცინა ჩოქომ. — ორი თავი არავის აბია! მილიცია ნაწყლშია შერეკილი და ისლა ადარდებს, იქით არავინ მიუვარდეს! მანქანა საღამომდე აქ ეყენება, ღამე ახალციხის გზით გავალთ...

— თავს იღუპავთ, თავს! — ჭიჭინს არ ეშვებოდა დურუ. — ზედმეტმა თავხელობამ ზომიერება დაგაკარგვინათ, გგონიათ, ქვეყანა სულ ასე საპარპაშო იქნება, მოვა დრო, ყველას მოვვეკითხება...

— ყვავივით ნუ დაგვჩხავი, მამა! — კვლავ მოიღრუბლა ჩოქო.

— მეშინია, შვილო, ხელში რომ გიჭირავს, იცოდე, იგი მარტო ერთ მხარეს როდი ისვრის!

— დაწყნარდი ახლა, დურუ, რა მოხდა, ანგლობს ბიჭი!

— თვალი ჩაუპაჭუნა ჩოქოს ლესტამბერ.

— კაი ანგლობაა, მე და ჩემმა მზემ! — ახლა ამას მიუბრუნდა დურუ. — გული საგულეს არა მაქვს, აგერ ცოცხლებსა ვხედავ, გაიხედავ და საკაცით მოათრევენ!

— რას ამბობ, შე კაცო, ხომ არ გაგიჟდი! — ჩაერია ცისანა, ამ წუთას შემობაჯბაჯდა სამზარეულიდან, ცხელი კერძი შემოიტანა და ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური. — რას იტყვის ბატონი სტუმარი!

— სტუმარი? — კბილებში მძიმედ გამოცრა ჩოქომ. — სტუმარი თუ მწერალია, კაი მასალას მივცემთ, აგერ გუჯას მოაყოლეთ, მაინც არაფერი გაუჩერდება ენის წვერზე.

გუჯამ სულსწრაფად ჩაიხვიხვინა, მის ამ სიცილს ნაძალადობა და ფარული შიში შევატყვე.

— მაგას ვყვებოდი სწორედ, ბნელი ღამე იყო-მეთქი... ძმაკაცი დაგველუპა, „წაკოლკა“!

— ვინ „წაკოლკა“, კაცო? — ვერ ისვენებდა დურუ.

— ძმაკაცი-მეთქი, ხომ ვთქვი, მამა, კაი კაცი იყო, ქურდი კაცი! სახელი რად მინდა მისი და გვარი, პასპორტში ხომ არ ჩავუხედავდი? „წაკოლკას“ ვეძახდით, რა! ისეთი ცხვანტი იყო, მაიმუნივით დაძვრებოდა ანძაზე...

— რა ანძაზე? — ისევ იკითხა დურუმ.

— გადამრევს ეს კაცი! მავთული ანძაზეა მიბმული, ჩამოსახსნელად ზედ ხომ უნდა აძვრე!.. ისიც აძვრა, დენი გამორთული ეგონა...

— როგორ... ეგონა?! — იყვირა დურუმ.

— კაი, რა, მამა, ნერვები ნუ დაგვაწყვიტე! დენი არსად არ იყო, რაღა სწორედ იმ დროს ჩართეს მაგ ახვრებმა! ეგონა, აბა, სიკვდილი უნდოდა?.. სტაცია ხელი და ბუჳ...

— რა „ბუჳ“, კაცო?!

— დაიწვა, დანახშირდა, შენი ჭირი წაიღო! — მაგიდას მუშტი დაჲკრა და უცებ ბავშვივით ცრემლები წამოუვიდა. — მაგათი ოხერი დედა... რაღა მაინცდამაინც იმ დროს ჩართეს... სადგური სულ დავცხრილე, დავლენე იქაურობა, მაგრამ „წაკოლკას“ რას ვუშველიდი...

მეტის ატანა ვერ შევძელი, ავდექი და მაგიდას უსიტყვოდ გავშორდი.

დუმილი ჩამოვარდა.

ავტომატის საკეტმა გაიჩხაკუნა, ეს ჩოქოს ავტომატი იყო.

მოვიხედე.

ჩოქოს თვალებში მძულვარება იდგა.

„ნუთუ ეს თქვენი სამშობლო არ არის?!“ — მინდოდა მეყვირა, მაგრამ პათეტიკური წამოძახილი სასაცილო გამოჩნდებოდა.

ჩოქო თითქოს მიხვდა ჩემი აზრის მდინარებას და მძიმედ მოჭრა:

— ომია!

არაფერი მითქვამს, ავედი საძილე ოთახში და ცივ სანოლზე ტანსაცმლიანა წამოვწექი.

„ომია! — ვფიქრობდი ჩემთვის. — რანაირი ომია ეს ომი? მტერი სადა დგას და მოყვარე სად?“

მსგავსი კითხვები დიდხანს მიტრიალებდა თავში. უნებლიერ წამოვლიმე. არ მახსოვს, რამდენი ხანი გაგრძელდა ძილბურანი.

დამიკაკუნეს.

— ჰა? — სწრაფად წამოვხტი.

შემცივნობდა, სახსრებში მამტვრევდა.

კარის ლილიდან ლესტამბე მიყურებდა.

— მივდივართ, პატივცემულ!

— ჰო, ჰო, ახლავე!

თავს ძალა დავატანე, წავივარჯიშესავით, — ხელები გავაქნიე და ჩავბუქნე. ალბათ, სასაცილო სანახავი ვიყავი, მაგრამ ლესტამბეს არც გაულიმია.

დაბლა ჩავედით.

კუთხის ფარდაგიან ტახტზე თავფეხშექცევით, გაუხდელად გაშელართულიყვნენ გუჯა და მიშიკო, შენყობილად ხვრინავდნენ.

დიასახლისები კვლავ სუფრას დასტრიალებდნენ, აახლებდნენ, მაგრამ გული საჭმელზე არ მიმდიოდა და თავაზიანად ვიუარე.

ქალებს დავემშვიდობე. თენგიზმა გარეთ გამოგვაცილა. ჩენი „ზაპოროჟეცი“ უკვე ჭიშკართან თუხთუხებდა, თბებოდა.

იესე ჭიშკარს ხელით ამაგრებდა, თავს მიქნევდა, თან მიცინოდა. კრიჭაში კი მიდგებოდა, მაგრამ ეს მისი ბრალი არ იყო. სხვა მწერალს იგი არ იცნობდა და ამიტომაც ჩემ გარდა კრიჭაში ვერავის ჩაუდგებოდა.

მანქანის კარი გამოვალე და შევიხედე. ჩემთვის წინა სავარძელი დაუთმიათ. საჭესთან ჩოქო იჯდა, უკანა სავარძელს დურუ და ლესტამბე მთლიანად ავსებდნენ. ასაკი რომ არა, ამათთან პატარა ბიჭად გამოვჩნდებოდი.

ჩავჯექით და დავიძარით. დილის სიცივისაგან მაურულებდა, ხელებს ვისრესდი. ხმას არავინ იღებდა. არც მე ვიყავი ენის ლესვის გუნებაზე. ქუთაისი უკან მოვიტოვეთ და, კოპიტნარს რომ გავუსწორდით, ჩოქომ პირველმა დაარღვია სიჩუმე:

— ჭკუა მოგეკითხებათ ახლა თქვენ? ამდენი ბიძაკაცი დაძრულხართ ასი წლის დედაბრის სატირალში! არც ნათესავია თქვენი, არც არაფერი... რა დროს ქელეხია, ქვეყანა თავზე გვენგრევა!

— შენი ამბავი რომ ვიცი, ჩემს დაკრძალვაზეც არ მოხვალ! — ფხუკიანად შეეხმიანა დურუ.

— ეჱ, ჩემო ჩოქო, ცოცხალმა კაცმა წმინდა ვალი უნდა მოიხადოს, დაკრძალვის საქმე არ გადაიდება! — დამოძღვრა ლესტამბემ.

— ჰმ, ვალი... — ჩაახველა ჩოქომ, — არავისი ვალი არა მაქვს მე, მიცვალებული კი იმდენი მინახავს, მაგენი რომ მეტირა, აქამდე გავთავდებოდი... მაინც ვისი იდეა იყო, პირველად ვის აუჩიუდა გული? — ალმაცერად გადმომხედა, ალბათ, დაასკვნა, გულაჩუყებული იდიოტი თუ ვინმეა, მაინცდამაინც მე უნდა ვყოფილიყავი.

— ვალიკომ დამირეკა, წამოსვლა მთხოვა! — ცერით მხარუკან მივუთითე.

— ვალიკომ? — ჩოქომ პირი მოაღო, მოურიდებლად ახვიხვინდა.

— რა ცხენივით ჭიხვინებ? — ვერ მოითმინა დურუმ.

— თუ ვალიკო ბიძიამ მოიფიქრა, იდეა სამფენოვანი ტორტივით იქნება, ზევიდან ჭრელია, მაგრამ, ქვედა ფენებში რა დევს, მის გარდა არავის ეცოდინება... ბნელა? ჰა, ვალიკო

ბიძია, იქნებ იმ ახვრებს შეეკარი და ახლა გინდა, მამაჩემი და ეგ მწერალი შეაჩერო?

— რეებს ბოდავ, ყმანვილო? — იწყინა ლესტამბეჭმ.

— ისე, კაი ჩანაფიქრია, დავყიდოთ ესენი, მაყუთი გავაკეთოთ! ჰაპაჰა, მაინც რამდენი ბაქსი შემოგთავაზეს, ვალიკო ბიძია?

— გააჩერე ენა, შე ნაბიჭვარო, თორემ დაგაგლეჯ ყურებს! — გაცეცხლდა დურუ.

— ეგეთი ხუმრობა არ ვარგა, ბიძია! — ლესტამბეს სახე წითელი ლაქებით დაეტეტკა, მაგრამ ცდილობდა, გარეგნული სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— ჸო, კაი, ვიხუმრე! — სიცილი ჩაუქრა ჩოქოს. — თქვენ, სამი დარბასისელი ბიძა გაღმა რომ მიემგზავრებით, იმაზე თუ დაფიქრდით, რომ შეიძლება ვინმე ახვარმა გადმოგილოთ და დაგზილოთ, ჰა?

— ჩვენ ხელს ვერავინ გვახლებს, — გულდაჯერებით განაცხადა დურუმ, თუმცა წელანდელი შფოთისაგან ჯერაც არ იყო დამცხრალი. — ბოლო-ბოლო, იმათ შორის ჩემი ბიჭიც ურევია!

— ჸო, თავი ქუდში გაქვთ! — მოიღუშა ჩოქო. — გაღმაც თქვენა ხართ და გამოლმაც! ჩვენ კი ლამისაა ერთმანეთს შევაწყდეთ! ისე, იმ ხისთავიანს გადაეცი, დიტოს, სადმე თუ გადამეყარა, მაგას მოვუ...ნავ თავის წილ დედას!

— ეჸ, სამი ვაჟი გამიზრდია და სამივე ხისთავიანი! — ამოიოხრა დურუმ.

დადუმდნენ. მეც ჩუმად ვიყავი. ვუსმენდი მანქანის თუხ-თუხს და გავყურებდი იმერეთის მწირ ველებს.

ცას თხელი ღრუბელი ეფინა, მზე ოდნავდა ბჟუტავდა.

აი, სამტრედიაც!

გარეგნულად თითქოს არაფერი შეცვლილიყო, თუმცა იგრძნობოდა ფრონტისპირა ქალაქის ჩუმი ფორიაქი.

სადგურის წინ ერთადერთი, თბილისისკენ მიმავალი ავტობუსი იდგა.

დასავლეთიდან ფეხით მომავალი მგზავრები მძიმედ მოათრევდნენ ბარგს, მოცუნცულებდნენ პატარები, დასიებულ ფეხებს ძლივს ადგამდნენ ხნიერი დედაკაცები.

— დღისით სიწყნარეა, — თქვა ჩოქომ, — მგზავრებს გავატარებთ და მერე ვიწყებთ ბათქაბუთქს.

არაფერი გვითქვამს.

ქალაქის განაპირას, ტრასაზე ბეტონის მძიმე ძელაკები ელაგა... ჭრელკომბინეზონიანი ახალგაზრდები ქვემეხებთან ისვენებდნენ...

## ნაწილი 3

### ჭრელი

1

ხიდზე შევყოვნდი, ცხენისწყლის სანახებს გავხედე. მშრალი, უთოვლო ზამთარი იდგა და ფერებს სიხასხასე აკლდა. წყლის ნელი შხუილი ჩემს განწყობილებას დიახაც ესალბუნებოდა. ნისლისფერი ციდან მზე დეკემბრისათვის უჩვეულო სითბოს აგზავნიდა და კისერი უსიამოვნოდ ჩამიოთლიანდა.

— აქ ნუ ვჩერდებით, პატივცემულო, გაჩერება საშიშია.  
— ჩამჩურჩულა ლესტამბემ, ვალიკოდ წოდებულმა.

ვერ დამეჯერებინა, რომ გაჩერება საშიში იყო, თუმცა გონებით ვიცოდი, სიკვდილის შესაძლებლობა სულაც არ გახდათ გამორიცხული.

აღმოსავლეთ ნაპირზე ბეტონის ძელაკებიდან ქვემებთა ლულები ჩანდა, ტყვიამფრქვევები და ავტომატები დუმდნენ... დასავლეთ ნაპირზე, ასევე ბეტონის ძელაკებს მიღმა ჯავშნოსანის რუხი კონტური იკვეთებოდა და იქაც ჩასაფრებულიყო საპასუხო ცხელი ტყვია.

მათ შორის ხიდის გაშლილი სივრცე იდო, ზედ ერთი ნეკნებამოჩრილი ზერდაგი მსუბუქ „ტაჩკას“ წინ და უკან დააბუნდულებდა, გარკვეული საზღაურის წილ გამვლელთა ტვირთი მკვდარ ზონაზე გადაჰქონდა. რისკიანი გამვლელი კი სწრაფად მიტუსტუსებდნენ, რათა ხანმოკლე შესვენებით ესარგებლათ და ხიდზე გადაესწროთ.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე შევესწრებოდი ასეთ სურათს — ორად გახლეჩილ ქვეყანას, რომელსაც მკვდარი ზონა ჰყოფდა, მცირე ხნით მდუმარე, რათა მერე შემაძრნუნებლად აფეთქებულიყო.

გულდამძიმებულმა მიმოვიხედე. წუთის წინ დავტოვეთ ჩვენი „ზაპოროჟეცი“ და ფეხით წამოვედით. დურუ და ლესტამბეც შეყოვნდნენ, მიცდიდნენ.

— ავჩერადეთ, თორემ საცაა სროლა განახლდება! — გამიმეორა ლესტამბემ.

მისი ისედაც ერთ ფერში დახატული პირისახე მთლად გაფერმკრთალდა, მხრები დაუვიწოვდა და დაბლა ჩამოეშვა, ინსტინქტურად პატარავდებოდა, რათა სამიზნედ ნაკლებ მოსწონებოდათ.

აგრ შესანიშნავი სამიზნე — დურუ გეგია. ორთქლმავალივით ქშინავს, საფეთქლებზე ოფლის წვეთები უბრნყინავს, ქვედა ყბა ნერვულად უთორთის... ხმას ვერ იღებს, მაგრამ თვალებში მუდარა იკითხება, — ოლონდ აქ ნუ გავჩერდებით, ჩქარა გავეცალოთ აქაურობასო...

ამოვიოხრე, თქმით არაფერი მითქვამს, დასავლეთისაკენ დავიძარი.

ხიდი სწრაფად გადავიარეთ და ბეტონის ძელაკების წინ აღმოვჩნდით.

პირველად მე დავინახე ლულა, რომელიც პირდაპირ თვალებში მიმიზნებდა. ვიღაცას სასხლეტზე ედო თითო და იმისი ნება იყო, გამოჰკრავდა თუ არა. რამდენიმე მეტად არასასიამოგნო წამი განვიცადე. იმ ვიღაცას არც სახელი ჰქონდა, არც გვარი, არც გარეგნობა. მე ვერასოდეს გავიგებდი, მის სულში რა სიმი ჟღერდა. მისთვისაც მე ხომ ვიღაცა ვიყავი, ვინაც მოულოდნელად, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, მის სამიზნეზე აღმოვჩნდი. სხვა ვითარებაში, რა თქმა უნდა, ეს არაფერს წიშნავდა, მაგრამ ახლა მან კარგად იცოდა, გამოჰკრავდა თითო თუ არ გამოჰკრავდა, გამკითხავი არავინ იყო, გარდა საკუთარი უკვდავი სულისა, ცხადია, ასეთი სული მის გვამში თუ სახლობდა.

ისიც კარგად შევამჩნიე, როგორ შეკრთა ლესტამბე, თითქოს შიგნიდან რაღაც ჩაწყდაო, წამიერ როგორ შეაძაგდა-გა, თუმცა ნაბიჯი არ შეუნელებია... დურუ კი ოხვრასა და ქშენას მოუხშირა, ზენრისტოლა ცხვირსახოცი კისერზე მოისვა, ოფლი მოინმინდა და ამ დროს შეყოვნდა კიდეც, მეტხანს შერჩა სამიზნედ...

ძელაკებს გავცდით და მხოლოდ მაშინ მოვიხედე უკან. ხიდი დაცარიელებულიყო, სადღაც გაქრა ცხენიანი „ტაჩიაც“, ჩამოწვა მძიმე და ბოროტი მდუმარება.

აქაც, ამ ნაპირზეც ისეთივე ბიჭები დაგხვდნენ, ზოგი წვეროსანი, ზოგი მთლად პირტიტველა, ამათაც ავტომატები და ტყვიამფრქვევები ეპყრათ. ჯავშნოსანს საზარბაზნე ლულა აღმოსავლეთისაკენ მიემართა.

წამმზომი სწრაფად ითვლიდა დროს.

— ჩქარა, ჩქარა გაიარეთ! — დაგვიძახა მავანმა.

უცებ დაიკავნა ავტომატმა, ხის ტოტებში გაიბზილეს უხილავმა ბზიკებმა. თავზე ფიჩოჩი და დაფლეთილი ფოთლები გადმოვგეყარა. უნებლიერ წაკუზულები გზისპირა თხრილში ჩავიძურნენით და სახიფათო ადგილს გავშორდით. სროლას საპასუხო სროლა მოჰყვა, ამას ტყვიამფრქვევის უწყვეტი „ტრატატა“ დაერთო. ცოტა ხანში ქვემეხებმაც გაცვალეს გაღმა-გამოღმა ჭურვები.

ალბათ, სასაცილონი ვჩანდით, სამი ზრდასრული კაცი როგორ დაოთხილი სცილდებოდა ბრძოლის ასპარეზს, მაგრამ ფიქრისა და განსჯის დრო აღარა გვქონდა. ქოშინი რომ აგვიტყდა, მაშინდა გავჩერდით. შევხედე ჩემს თანამგზავრებს. ლესტამბე ცინიკურად ილიმებოდა, თითქოს თვითონ არ იყო, თავქუდმოგლეჯილი რომ მასწრებდა. დურუ უაზროდ აყვლიპინებდა თვალებს, ფილტვებს პაერისაგან შხუილით ცლიდა და ბათმანობით ისრუტავდა, მსხვილი თათი გულზე მიედო, მის აჩქარებულ ბათქუნს იოკებდა.

— აასი წელი არ მიირბენია! — ენის ბორძიკითა თქვა.

შემრცხვა, ოლონდ არა იმისი, რომ გამოვრბოდი, ბრძა სიკვდილი თუ გემუქრება, უნდა გამოიქცე კიდეც. იმიტომ შემრცხვა, რომ გავიფიქრე: იქნებ იქ ბიჭები დაიჭრნენ ან, უარესი, დაიღუპნენ... მნიშვნელობა არა ჰქონდა, ბრძოლის დასაწყისს გაღმა შევესწრებოდი თუ გამოღმა, მაინც უნდა დავრჩენილიყავი, დახმარების ხელი უნდა გამეწოდებინა.

ამ ფიქრსა და ყოყმანში ვიყავი, როცა მოსახვევიდან სირბილით გამოვარდა წვერმოშვებული ახალგაზრდა. მაღალი და ტანადი იყო, ისე მოძრაობდა, მუხლებში ზამბარები აქვს

ჩაყოლებულიო. ჭრელად დაფოთლილი გიმნასტურა ეცვა, ამფერისავე შარვალი.

— მამა!

მოვარდა ეს ამსიგრძე ვაჟკაცი და ბავშვივით გადაეფსკვნა აქოშინებულ დურუს.

— ჰო, დაწყნარდი, სული მომათქმევინე! — ძლივს მოიშორა დურუმ და მე მომიბრუნდა: — მესამეა ჩემი!

— მივხვდი, რომ დიტო! — მივუგე, გამახსენდა ჩოქოს მუქარა და ცნობისმოვარედ შევათვალიერე. — რა ხდება, ვინმე ხომ არ დაიჭრა?

— ვინ უნდა დაჭრილიყო? — გაეცინა, პირისახის წვრილი ნაკვთები ჰქონდა და შავი წვერი მეტ სოლიდურობას ანიჭებდა. — ჯერჯერობით პაერში ვისვრით, ნერვებზე ვთამაშობთ!

— მერედა, რამდენ ხანს აპირებთ ასე? — გულმოსულად იკითხა დურუმ.

— იმდენ ხანს, რამდენსაც გვეყოფა ნერვები და ტყვიანამალი! ისინი დიდხანს ვერ გაგვიძლებენ, მოკურცხლავენ და ჩვენც სულ სირბილით ჩავგრიალდებით თბილისში!

— თქვენ თვითონ არ მოგიწიოთ უკულმა ტლინკების ყრა! ნუ გავიწყდება, შვილო, იმ მხარესაც შენი ძმებია — ჩოქო და გუჯა!

— მერე სამართლიანობის მხარეს რატომ არა დგებიან? ურჩევნიათ, დროულად გადმოვიდნენ აქეთ, თორემ გვიან იქნება თითზე კბენანი! — უცებ ლესტამბესაკენ შეტრიალდა, შინაურულად გადახვია ხელი. — რავა ხარ, ვალიკო ბიძია, შე ძველო, ადრინდელივით სუკის აგენტი ხარ თუ გადახვედი ხუნგის სამსახურში?

ლესტამბემ ჭაბუკის მკლავი მხრიდან მოიშორა და დურუს ბრაზით დაუსისინა:

— ზრდილობა ვერ გისწავლებია შენი ვაჟებისათვის, არც უფროსი, არც უმცროსი...

დიტოს სიცილი აუტყდა, პირზე ხელი აიფარა და ცოტა ხანს კუჭკუჭებდა, თან თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

— დაწყნარდი ახლა! — უბრძანა დურუმ. — მართლაცდა, ზრდილობა ისწავლეთ ახალგაზრდებმა. რას იტყვის სტუ-

მარი, მწერალი კაცია, ბავშვობაში ამის ზღაპრებს გაკითხებდი, თუმცა თქვენს ტვინში ანგლობა-ეშმაკობის მეტი არც არაფერი ჩარჩა.

— პრივეტ, ხუნტა! — დიტომ რევერანსი გამიკეთა. — მწერლოკლატურა-ნომენკლატურა... სხვათა შორის, მამაჩემის პატივისცემა მაიძულებს, თქვენს უსაფრთხოებაზე ვიზრუნო, ამიტომ გირჩევთ, ნურავის გაუმხელთ თქვენს პროფესიას!

— არ მესმის!

— კომუნისტურ საწოვარას მიჩვეულმა მწერლებმა იფიქრეს, არიქა, ძროხის უფასო ცური გვეცლებაო და უმაღლ გვიგანეს!

გზისპირას, ტყვიის ზუზუნში დისკუსიის გამართვა სისულელედ მივიჩნიე, თანაც ასეთი ტიპის ადამიანებთან კამათის ხალისი კარგა ხანია დამეკარგა და ცივად შევეპასუხე:

— თქვენს რჩევას ვერ მივიღებ, გენაცვალე! რაც შეეხება ნომენკლატურას... — მინდოდა მეთქვა, ნომენკლატურულ საწოვარას დურუს ხელიდან კარგადაც ნოვდი-მეთქი, მაგრამ დურუს რომ შეეხედე, ისე საბრალოდ აპარპალებდა წამწამებს, სიტყვა არ გამიგრძელებია. ეგლა მაკლდა, ამ ლანირაკს ავყოლოდი.

— ვატყობ, აქედან არ დავიძვრებით, სანამ რომელიმეს ტყვია არ მოგვეწვა! — უკმაყოფილოდ თქვა ლესტამბერ.

სროლა მართლაც ძლიერდებოდა, ჭურვებმა გადაიწვლეს თავზევით. ქვემეხი ხაფი ხმით ჰკიოდა, თითქოს ცივსის-ხლიანი დინოზავრების ჯოგი გვიპირებდა თავდასხმას.

გამოვექეცით ამ ხმას, დიტო ლაღად და მსუბუქად, ჩვენ კი — ხანდაზმული და დალლილი კაცების ძუნძულით.

გზა უხვევდა და იქ, მოფარებულში ახალთახალი, კრიალა „შიგული“ ეყენა, „ნოლშესტი“.

დიტომ კარი გააღო, მოპატიუების ნიშნად ხელები გაშალა:

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, ძვირფასო ერის მოღალატეებო!

გეგიების ნაშიერთ მეტად თავისებური წარმოდგენა აქვთ იუმორზე, ეტყობა, სიამოვნებთ, როცა გულს გიხეთქავენ.

— მიდი, მიდი! — ქიმუნჯი წაჼერა დურუმ. — დაღუ-პულია ის ერი, ვისაც შენნაირი დამცველები ჰყავს!

დიტო კვლავ აკუჭკუჭდა.

ჩაესხედით და დავიძარით.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა. დურუ ვერ ისვენებდა, ოხრავდა, ცმუკავდა, თითქოს რბილი სავარდლის მაგიერ ხვინჭკაზე მჯდარიყოს. ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდა, ხველებით ჩაიწმინდა და იკითხა:

— ვისია ეს მანქანა?

— იყო სხვისი, ახლა დიტოსია! — უდარდელად უპასუხა დიტომ. — ქურდის ქურდი ცხონდაო, ხომ გაგიგონია? თქვენმა ყაჩალებმა შეაწერეს პატრონს, მე კი იმათ წავართვი, თან კაი-კაი პანლურები ჩამოვურიგე. მადლობელიც დამრჩნენ, ტყვიის ჯერი რომ არ მივუშვი!

— ყაჩალს თუ წაართვი, სახელმწიფოს რატომ არ ჩააბარე? — დურუმ ხმა გაიმკაცრა, თუმცა დიტოს მამის შიში მაინცდამაინც არ შეტყობია.

— სადაა მერე სახელმწიფო? — პირი ჩემკენ მოაბრუნა, თვალი ჩამიკრა. — გაწენეთ, გაძარცვეთ, მიანგრიეთ, მოანგრიეთ და ახლა იძახით სახელმწიფო?

— წინ გაიხედე! — ბრაზი მოერია დურუს. — თვითონ ნაქურდალ-ნაყაჩალარზე ზის, ჩვენ კი მორალს გვიკითხავს!

— პარდონ, თუ ნაქურდალ-ნაყაჩალარი არ მოგწონთ, გაგიჩერებთ და შეგიძლიათ აპაშამდე ფეხით ჩაისეირნოთ, სულ რამდენიმე კილომეტრია!

ჭაბუკის თავზედობას ზღვარი არ ედო, ამას ლაგამს ჩვენ ვერ ამოვდებდით და გავჩუმდით. ფეხით სიარულის პერსპექტივა დიდად ვერ გაგვახარებდა. არადა, მსგავსი ბედნიერება სულაც არ იყო გამორიცხული. მთელ გზაზე ორიოდე ველოსიპედის გარდა სხვა სახის ტრანსპორტი არც შეგვხვედრია.

— წახდა ქვეყანა! — ამოიოხრა დურუმ.

— თქვენ წაახდინეთ და ახლა გიკვირთ? — არ შეარჩინა დიტომ. — თბილისში ზარბაზნების გრიალი რომ ატეხეთ, მაშინ უნდა გეფიქრათ ქვეყნის წახდენაზე! ახლა ცერად მიყურებთ, ეს რა იკადრა დიტომ, სხვის მანქანაზე ზის, ნაყაჩალარზე, და სინდისიც არ აწუხებსო. პო, არ მაწუხებს! სინდისი ახლა, თქვენც იცით, იმვიათი ხილია, დებილებსა და კრეტინებს თუ შერჩათ...

თხამ ვენახი შეჭამაო, დაგავიწყდათ? სკოლაში გვასწავლიდით... აქაც იგივე ამბავია, ძლიერი ჭამს სუსტის. აგერ მწერალი კაცი გვიზის, თავისუფლად შეუძლია ამ „ნოლშესტის“ ცხოვრებასა და ფათერაკებზე გრძელი და საინტერესო პოემა დაწეროს, უმჯობესია რუსთველური შაირით. იტალიელი დედიკოსა და რუსი მამიკოს ეს ნაბიჭვარი ბიძია ვანიას აფხაზმა სომეხმა შეაწერა, არ ვიცი, რაფიკა ერქვა, კოტიკა თუ აფრანიკა... გადააგდო, რა! ჩამოიყვანა აფხაზეთში, პალმის ჩრდილში დააყენა და ქალიშვილივით უვლიდა. მერე ხმა დაირხა — გოგი მოდის, გოგი მოდისო! მართლაც გამოჩნდა ავტომატიანი გოგი. აფრანიკამ თავზე ხელი წაიშინა, ცრუმლი ყარა, მაგრამ გოგის გული ვერ მოალბო. წამოქაქანდა ეს მზეთუნახავი, მაგრამ, დახეთ იღბალს, ხურჩასთან, ხიდზე დიტო-ბიჭი დგას...

— დანარჩენი გასაგებია, მსგავსი სიუჟეტები შენმა სიძემაც მიკარნახა! — გავაწყვეტინე, ამის რატრატისაგან ლამისაა თავი ამხდოდა.

— ჩემმა ზრდილობიანმა და წესიერად გადამგდებმა სიძემ? — ჩამეძია დიტო.

ფანჯარაში ვიყურებოდი და არაფერი ვუპასუხე.

— ერთი ეს მითხარი, ბიძიკო, — ალაპარაკდა აქამდე მდუმარე ლესტამბე, — ეს რანაირად გამოგივიდათ? ორი ძმა იქითაა, ერთი აქეთ! გეტყობათ, მაგრა პოლიტიკოსები ხართ, მაგრამ რა ვერ გაიყავით, თუ არ ჩავთვლით რაიმე წასავლეჯს?

— წერტილში მოარტყო, ვალიკო ბიძია! — დიტოს ნირი არ შეცვლია. — პოლიტიკისა პოლიტიკოსებს არა გაეგება რა, მაგრები ჩვენ საიდან ვიქნებოდით! ეს ცოდვის კალო რომ დატრიალდა, მე ბუნკერში ვიყავი, ჩიქო და გუჯა თბილისის ზღვაზე, ეტყობა, იქ უკეთ თოხლაობდნენ. რაც შეეხება წაგლეჯას, მთავარი ყაჩაღი თავზე გაზით და ჩვენისთანა წვრილფეხბა გიკვირთ? ცუდად რაცა დევს, ხელი თუ არ წავატანე, სულელი ვიქნები! მე არ წავილებ, სხვა წაილებს...

ამ ლაპარაკში მარანი გავიარეთ და აბაშას მივუახლოვდით.

ნოლელას ხიდთან ჯავშნოსანი შემოგხვდა. ახალგაზრდებით იყო დახუნძლული. სამხედრო და სამოქალაქო ტან-

საცმელი, ვის როგორც ეშოვა, ისე ეცვათ. უმთავრესად „კალაშნიკოვები“ ჰქონდათ, თუმცა ერთი-ორი სანადირო თოფიც ვნახე.

გაგვისწორდნენ თუ არა, დაამუხრუჭეს. ოცდაათს მიტანებულმა წვეროსანმა გამჭოლი მზერა გვესროლა, დიტო იცნო და გაუკვირდა.

— დიტო, შენა? საით გაგინევია, ძმავ?!

— აგერ მამაჩემს დავსვამ სადგურზე და წუთში მოვბრუნდები!

— არ დაგაგვიანდეს, შეიძლება დღეს შეტევაზე გადავიდეთ!

— ჰო! — მოკლედ უპასუხა დიტომ და ჯავშნოსანი ღმულით დაიძრა.

— შეტევა? — წამოიძახა დურუმ. — გაგიფრენიათ და ეგაა! არსადაც არ გაგიშვებ, მამა ვარ შენი და უნდა დამემორჩილო! კეთილი ინებე და მერეთამდე ჩაგვიყვანე!

— ბენზინი მაინც არ მისხია, დახე, წითელი ანთია! — გაიკრიჭა დიტო.

— დაჩუტულები რომ გამოიქცევით, გზად ხელი მაინც დაგვიქნიე! — დაცინვით შეაწია ლესტამბემ.

დიტო გაუჩუმდა, სადგურისწინა მოედანს წრე დაარტყა, ჩამოგვსვა და მაშინდა უპასუხა:

— იმასაც ვნახავ, ვინ დაიჩუტება!

მანქანა დაქოქა და გაქრა...

2

— ნაბიჭვარი ეგა! — გულიანად შეუკურთხა დურუმ.

იმედგაცრუებული იდგა. ჩვენი ეხათრებოდა და იმიტომ ბობოქრობდა, თორემ თვითონ ჩვენზე უკეთ იცოდა, რა შვილების პატრონიც იყო.

ლესტამბეს საყვედური არ დასცდენია. შეწუხებული იყურებოდა აქეთ-იქით, იქნებ რაიმე მანქანამ ჩამოიაროსო.

ყოფილი რაიკომის შენობის წინ ბრძო იშლებოდა. აქამ-დე, ალბათ, მიტინგი ტარდებოდა და წუთის წინ დამთავრდა. ჩვეულებრივი მოქალაქენი დაიფანტნენ, ხოლო ისინი, ვის ვნე-ბასაც მიტინგური ქაოსი იტაცებს, თავდავინყებამდე ჩაკირ-ულიყვნენ მიტინგურ სურამის ციხეში... ადრე მეც დავდიოდი ამგვარ თავყრილობებზე, ვუსმენდი ორატორებს, რომლებიც არ უფრთხოდნენ ზღვის ცხრაბალიან მღელვარებას. მერე და მერე მივხვდი, მიტინგზე შეუძლებელია ჭეშმარიტების დად-გენა, აზრის შეჯერება, კომპორმისი, მიტინგი ასპარეზია მარ-ტივი ლოზუნგისა, დოგმისა, განმარტება ან განვითარება რომ არ სჭირდება. მთავარია, მოძებნო ის სიტყვები, ბრძოს იმწუ-თიერ ინსტინქტებს რომ მიესადაგება, აღაგზნებს ანდა დაა-შოშმინებს... მიტინგებით არაფერი აშენებულა, რადგან იგი მინისძვრასა ჰგავს, რომელიც ყველაფერს არყევს, ბზარავს და ანგრევს... ერთი კაცი შესაძლებელია ბრძენთა ბრძენი იყოს, ათ ბრძენს, გაგიხარია, ჭუა მოეკითხება, მაგრამ ერ-თად, სამიტინგოდ შეყრილი ათი ათასი ჭუას კოლოფი უკვე ბრძოა, რომელზეც სტიქია ბატონობს. ამიტომ განვერიდე მიტინგურ მღელვარებას, მომიტინგებს ხომ ვერაფერს შეა-სმენ, გარდა იმისა, რაც თვითონ სწადიათ... ცხვარივით უწყი-ნარი ადამიანები ხანდახან მგლის ხროვად გადაიქცევა, რო-მელიც სისხლს არ მოერიდება. ისიც ხომ საცნაურია, რომ მიტ-ინგების დაუსრულებელი სერიალი არამდგრად, კრიზისში გა-დაჩეხილ საზოგადოებას ახასიათებს, მერე კი, როცა ქვაბიდან ორთქლს გამოუშვებს, საზოგადოება თითქოსდა ავადმყოფუ-რი ძილ-ბურანისაგან იღვიძებს, თანდათან ჯანმრთელდება... ჯანმრთელი საზოგადოება მიტინგებით არაფერსა წყვეტს.

ამას ვფიქრობდი, როცა მომიტინგებს კაცი გამოეყო, კოჭლობით წამოვიდა. შეჩერდა, კეპი მოიძრო და შავად ას-ვეტილ კოლოსს ახედა. ქალაქის ცენტრში აღმართული ეს ვი-თომცდა ხელოვნების ნიმუში, ზედ მიბნეული ფიგურებით, თავის დროზე ფულის მახედ გამოგონილი, ჩემში არცთუ სახ-არბილო ფიქრებს აღძრავს. ამიტომ გავხედე შეყოვნებულ კაცს, ვიფიქრე, ჩემნაირად შეხედა-მეთქი. ის კი კვლავ აქეთ-კენ დაიძრა.

ისეთი გამხდარი იყო, ჩიტის წონისა თუ იქნებოდა. ასაკ-ით სამოცს უკაკუნებდა. ადრე, ალბათ, ზომიერნაკვთებიანი, დაწყობილი სახე ახლა ხშირ ღარებს დაექსელა, თანაც უამსა და ცხოვრებისეულ ქარიშხლებს უანგისფერი გაეხადა. ოდეს-დაც პუმკინივით დახუჭუჭებული თმა ახლა გასცვენოდა, რაც კეფაზე შერჩა, ისიც მოყვითალო ჭალარით შეიფერა.

გულმა რეჩხი მიყო, თითქოს მეცნობოდა და ვერცა ვცნობდი.

დურუმ პირი დააღო, სახეზე წითელმა ტალღებმა გადა-ურბინა.

ლესტამბემ მხარზე ხელი შემახო და ჩურჩულით მკითხა:

— იცანით, პატივცემულო?

ლმერთო ჩემო, როგორ შეცვლილა! მახსოვს, ანგელოზს ვამსგავსებდი. თავზე ოქროს ხუჭუჭა თმა გვირგვინივით ეხურა... სახის ნაკვთები — დაწყობილი, სათუთი, კანის ფერი — ნაზი, ქალური, ტან-ფეხი — სხარტი, მოქნილი... მერე იყო ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელსაც ღიმილის გარეშე ვერ გაიხსენებ, როცა სტალინის ბრინჯაოს თავი ფეხზე დაუგორ-და და დააკოჭლა...

ნაბიჯი გადავდგი, ხელები გავშალე და გულწრფელი სიხ-არულით მივმართე:

— არიქა, ძმაო, როგორ გამახარე!

გაუღიმარი სახე ასწია, დამაკვირდა, მივხვდი, რომ მიც-ნო. ხელი გამაფრთხილებლად შეარხია, შეჩერდიო, მანიშნა და თითქოს მესროლა:

— მე თქვენ ხელს ვერ ჩამოგართმევთ!

გამრი, ხელები ჩამოვყარე და ენის ბორძიკით ჩავეძიე:

— რატომ, გენაცვალე, რა დამიშავებია?

— თქვენ და თქვენისთანებმა დაღუპეთ საქართველო!

— მკაცრად მომიგდო, დურუს და ლესტამბეს ზედაც არ შეხე-და და კოჭლობით გაგვმორდა.

მხრები ავიჩეჩე და დაბნეულად წავილულლუდე:

— ბიჭოს, მე დამიღუპავს საქართველო!

დურუმ შესაბრალისად დაახამხამა თვალები, ლესტამ-ბემ კი შუბლზე მიიკაკუნა:

— აფრაკადაა, პატივცემულო, მაგის სიტყვებს გულთან  
ნუ მიიტანთ!

ამ ფარისევლურმა თანაგრძნობამ უფრო გამაღიზიანა,  
შევეცადე, წყენა დამემალა და სიტყვა ბანზე ავაგდე:

— ჩანს, მატარებლით მოგვინევს გამგზავრება!

სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო. მატარებელი აგერ,  
პირველ ლიანდაგზე იდგა, წუხელ შუალამეს ჩამოდგა და უდე-  
ნობის გამო ჯერაც არ დაძრულა. არც არავინ უწყოდა, რო-  
დის დაიძვრებოდა.

ოთხმოცდაცამეტის მატარებლები! საკმარისი აღმოჩნ-  
და ნგრევის ორიოდე წელი და საუკუნის დასაწყისში გადავი-  
ნაცვლეთ, დროის იმ განზომილებაში, როცა რუსეთის მონარ-  
ქია სულს დაფავდა. ახლა საბჭოეთი დაფავდა სულს და რკინიგ-  
ზებზე დაიძრა ზუსტად ისეთივე მატარებლები: ჩალენილი ფან-  
ჯრები, მოგლეჯილი ან მთლად შეშად გახმარებული სკამლოგ-  
ინები, ტუალეტის ბინძური სუნი, სიცივე, ნესტი, ბაღლინჯო...  
ტომრები, ბოლჩები, ვეება ჩემოდნები და კალათები... დაუბანე-  
ლი და უძინარი მგზავრები, სახეჩაღამებული დედაკაცები და  
გაუპარსავი მამაკაცები, ერთბაშად რომ დაძრულან სარჩის  
საშოვნელად... კიბეების შტურმი ყოველ გაჩერებაზე, უფრო  
ყოჩალნი ფანჯრებში მოძვრებიან... ვაგონი დახუნძლულია  
ადამიანებით, ზოგი სახურავზე ამძვრალა, ზოგს ფეხები ფან-  
ჯრებში გადმოუყრია და ისე მოგზაურობს... ყაყანი, გნიასი,  
ჩხუბი, წივილ-კივილი... აგერ ტამბურში ძროხა ამოუყვანიათ,  
აუდელვებლად იცოხნება...

თბილისი-მერეთის მატარებელი — გრძლად ჩამორიგე-  
ბული ჭუჭყიანი ვაგონები, აქა-იქ უშუშო ჩარჩოებით... ლოდ-  
ინისაგან გაბეზრებული მგზავრები ბაქანზე მიმოდიან, ეძე-  
ბენ წყალს, საპირფარეშოს, პურის ნატეხს... მზეზე გარინდე-  
ბულნი წეკოს ეწევიან... ჩაცუცქულან და თავისას ფიქრობენ...  
ჩხუბობენ, კამათობენ, ერთმანეთს ეკითხებიან, იქნება თუ  
არა დენი... საბოტაჟია? ვინ გვაჩერებს? ვისი ბრალია? როდის  
გვემველება?

ყოყმანით ჩამოვუარეთ ვაგონებს, დადუმებულ ელმავ-  
ლამდე მივედით. ლესტამბემ მემანქანეს ასძახა, რაიმეს იმე-

დი თუ გაქვსო. იმან მხრები აიჩეჩა და ზურგი გვიჩვენა, ალ-  
ბათ გული გაუწყალეს შეკითხვებით.

ერთი ვაგონი შევარჩიეთ, შუშები მთელი ჰქონდა და უკე-  
თესი მოგვეჩევენა. გამყოლი კიბესთან ჩაცუცქულიყო და მზე-  
სუმზირას აკანატუნებდა, ირგვლივ ჩენჩი მოეყარა ბლომად,  
ზედ ეტყობოდა, კარგა ხანია მოწყენილობის ჭიას კლავდა.

— ადგილები გაქვს? — ჰკითხა ლესტამბემ.

თავი კიბისაკენ გააქნია, რაც იმას ნიშნავდა, ნახეთ, თუ  
არ გეზარებათო.

ტამბურშივე იგრძნობოდა, რა ჭუჭყიან სოროში მივდ-  
ვრებოდით. საპირფარეშოდან ფეკალურ წყალს გამოეჟონა,  
სველი ნაფეხურები დერეფნის იატაქს გასდევდა. საპირფარე-  
შოს სუნში გაზავებული იყო ბაღლინჯოს, თაგვის ცურცლის,  
ათწლეულების მანძილზე იატაკზე, ჭერსა და კედლებზე ჩაზინ-  
თული მრავალფენვანი ნაკვალევი უსასრულოდ ცვალებადი  
მგზავრისა, რაიც, ალბათ, ერთ პლანეტას გაძეძგავდა მავნე  
ბაქტერიებით.

გრძელი დერეფნანი პლაცკარტების რიგს გასდევდა. გა-  
სასვლელები ჩაეხერგათ უამრავი ტვირთით, უმთავრესად  
პოლიეთოლენის ტომრებით, ტომსიკებით და ტოპრაკებით. ამ  
ქონების პატრონები, უფრო მეტად ასაკოვანი დედაკაცები,  
ძველმანებში ჩათბუნებულნი, უძილობასა და დაუბანლობას  
მიჩვეულნი, მოთმინებით ელოდნენ, როდის მიაღწევდა მატა-  
რებელი დანიშნულ სადგურს. ესენი ბოლო დროს გაჩენილი  
მოვაჭრენი იყვნენ, ადრე სპეცულიანტებად წოდებულნი, ახლა  
ამ გაჩერებული ქვეყნის ამოძრავებას ლამობდნენ თავიანთი  
წაღმა-უკულმა სიარულით, წალებ-წამოლებით, უხარისხო,  
მაგრამ აუცილებელი საქონლის გადანაწილებ-გადმონაწი-  
ლებით. ვაჭრობა ხომ ეკონომიკის ლოკომოტივია, მაგრამ  
ჯერჯერობით რეალური ლოკომოტივი დადუმებულიყო და  
სავაჭრო ლოკომოტივიც, ამ ქალების სახით, ისევე, როგორც  
ქვეყანა, დროს უქმად კლავდა.

ერთგან კუპეში მარტოკაცი დაგვხვდა. მკლავებზე თავი  
ედო და თითქოს ეძინა. ვაგონი მგზავრებით იყო სავსე და  
კუპეს სიცარიელე უნდა გაგვკვირვებოდა. დანარჩენი მგზა-

ვრები ალბათ იცნობდნენ ამ კაცს ან რიდი ჰქონდათ მისი, მაგრამ ჩვენ ამაებზე არ გვიფიქრია და კუპეში უხმოდ განვლაგდით. მე კაცის პირისპირ დავჯექი, კეპი ოდნავ გავაჩოჩე, რათა ჩემი სვანური ქუდიც დამედო და იდაყვები დავაწყვე. დურუ და ლესტამბეც დასხდნენ.

უცნობმა თავი ასწია, მაგიდას მკლავები მოაშორა და გამწარებით მოიფხანა.

— ეშმაკმა წაიღოს, იდაყვები მომაჭამეს მგონია!

არიქა იყო, ძაძუა!

მაგიდის კიდეს კანტი მიჰყვებოდა და ჭრილში, კანტსა და მაგიდის ფიცარს შორის რომ დარჩენილიყო, ბალლინჯოს პანაწა ბარტყები ცმაცურობდნენ.

იდაყვები მეც სწრაფად ავიღე, კედელს ზურგი მოვაცილე და მონაფურად გავსწორდი. ცხადია, ბალლინჯოთა შემოტევა გველოდა და ამ ვაგონში მაინცდამაინც ვერ გავლალდებოდით.

— ასეც ვიცოდი, რომ თქვენც გასვენებაში მოდიოდით!

— შეგუბებული მღელვარებით თქვა არიქამ. — თქვენც ეფრო ბებიას უნდა გამოემშვიდობით და მეც, თქვენ იქ გაღმიდან მოდიხართ, მე — გამოლმიდან! კუბოსთან მართალი თოდუა დაგვხვდება, კაცი წესიერი, სინდისიანი, მაგრამ დაბნეული, რადგან ჰერინია, რომ ჭეშმარიტების მოძიება შესაძლებელია!

— მე არც გაღმიდან ვარ და არც გამოლმიდან, თუ, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზეა ლაპარაკი! — შევეცადე, წყნარად მეთქვა. — კატეგორიულად უარვყოფ ასეთ დაყოფას, მით უფრო, ჩემს თავს ვერ ჩავსვამ ამ ორგანზომილებიან სქემაში. მე საქართველოს შვილი ვარ, ესაა და ეს!

— ნეტავი ასე მარტივად იყოს საქმე! — არიქამ თავი უკმაყოფილოდ გააქნია. — დღეს არჩევანის უამი დადგა. ვინც ჩუმადაა, ისიც დამნაშავეა! როცა ტყვიას ისვრიან, თუ არ ძალგიძს, ჩახმახს თითო გამოჰქორა, სიტყვით მაინც უნდა უპასუხო, რადგან ხშირად სიტყვა ტყვიაზე ძლიერი იარაღია. იქნებ თქვენმა დუმილმა მეტი უბედურება მოიტანა, ვიდრე მავანის აშკარა ამბოხმა... ნათქვამია, პირველად იყო სიტყვა!

— თქვენ, არიქა ბატონო, გადაჭარბებით აფასებთ ჩემს ძალას!

— გადაჭარბებით? — გაიკვირვა არიქამ. — მაშ, რა უნდა მოვთხოვო ნარაიკომისმდივნალს, რომელსაც ერთი სული აქვს, მოესწროს ძველი დროის რესტავრაციას და ჩაეფლოს ჭაობში, აქამდეც რომ ყელამდე იჯდა; რა უნდა მოვთხოვო ძველ ნასუკარს, რომლის ოცნებათა ჭერი წვრილმან ინტრიგათა ასპარეზია. მან მთელი ცხოვრება უნდა ქსოვოს ხრიკის ბადე, თუმცა თვითონაც არ იცის, რისთვის, რატომ...

— რესტავრაცია? — აღელდა დურუ. — თორემ თქვენც არ გენატრებათ ის დალაგებული და წყნარი დრო!

— ნასუკარი? — ინყინა ლესტამბემ. — მე მუდამ სახელმწიფოს სამსახურში ვიყავი და ახლაც ვიცი, სად უნდა ვიდგე!

არიქამ ყური არ ათხვა მათ პროტესტს და განაგრძო:

— ამბობენ, შვილები პასუხს არ აგებენ მამათა ქმედებაზეო, მაგრამ მამებმა თავიანთ ქმედებაზე ხომ უნდა აგონ პასუხი? აი, თქვენ — მამა, ხომ უნდა აგებდეთ პასუხს?

მე — მამა!

— საცაა სამოცს მივუკაკუნებთ! — ნაღვლიანად შევეპასუხე. — ვიცი, რომ რთულად იცხოვრეთ და აქამდეც უნდა გქონოდათ კითხვებზე პასუხი, თქვენ კი კვლავაც მე მთხოვთ ამ პასუხს! თურმე დღემდე ბენელი ლაბირინთებით გივლიათ და ახლა გსურთ, ისევ მე გამოგიწოდოთ ხელი, გატაროთ სწორი გზით, ლამპრით გაგინათოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლამპარი არც მე მიპყრია ხელთ! აიღეთ ხელჯოხი და კაკუნ-კაკუნ განაგრძეთ სიარული, ვინძლო ხრამში არ გადაიჩეხოთ! იცოდეთ, მეც ასევე ვერ ვხედავ ჭეშმარიტ გზას, ლამპრის შუქი არც მე მიციმციმებს თვალწინ, მეც ხელების ფათურით მივიწევ წინ, ან მივაღწევ ალთქმულს, ან ვერა... ეს ბედისწერაა!

ესა ვთქვი და ბიძგი ვიგრძენი. ელმავალმა გაბმით იკივლა, ქვეყანას ამცნო, დენი მოვიდაო... ვაგონი აჭრაჭუნდა, ჯახუნით მიეხალა მეორეს...

რა სწრაფად გადის დრო? იქიდან მოყოლებული ოცდაათ წელზე მეტი გადაგორდა, მაგრამ ვერაფერი მოესწრო. კვლავ უკავშიროდა და დაბნეულობის გრძნობა, კვლავ ბნელეთში ბორიალი, ერთადერთი, სწორი გზის უსასრულო ძებნა...

პო, ოცდაათი წლის წინ იყო, მოსკოვი-თბილისის მატარებელში ერთმანეთს რომ შეხვდა ორი ჭაბუკი — მართალი თოდუა და არიქა ძაძუა, ერთმა აღმოსავლეთიდან ჩააღწია თურმე დიდი საბჭოეთის სატახტო ქალაქს, მეორემ — ჩრდილოეთიდან.

მართალი ვაგონ-რესტორანში სადილობდა, ტრადიციულ შნიცელს მიირთმევდა და, მზერა უნებლიერ რომ ასწია, ნაცნობ თვალებს შეეფეთა.

ჩანგალი ხელიდან გაუვარდა, ფეხზე წამოიჭრა, არიქა კი მაგიდებს შორის მოიჩაროდა, ხელები გაეშალა.

უთქმელად გადაეჭდნენ ერთიმეორეს, სიტყვა ყელში გაეჩირათ, თუმცა მალევე დამშვიდნენ, შერცხვათ თავიანთი ჭარბი მგრძნობიარობისა, მოერიდათ რესტორნის სტუმართა ცნობისმოყვარე მზერისა.

შეათვალიერეს ერთმანეთი, ორივეს ნაცრისფერი, შელახული ტანისამოსი ეცვა, ორივე გაუპარსავი იყო, ერთნაირად გამხდრები, ოღონდ არიქას ცვილისფერი დასდებოდა, მართალის — უანგისფერი.

— ვიცოდი, თავს მშვიდობით დააღწევდი! — გულაჩუყებით თქვა არიქამ.

— მე კი შენი სიფიცხე მაშინებდა! — უპასუხა მართალიმ.

— რამდენი რამე გვაქვს მოსაყოლი, ჩემთან წამოდი, კუპეში! — არიქა ოფიციანტს მიუტრიალდა, ფული გაუწოდა.

— შემიხვივ, გეთაყვა, არაყი, პური, ძეხვი და ყველი!

მანამდე, როცა ამის საშუალება მიეცემოდათ, სამკუთხა ბარათებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. ამ გაცრეცილ, ყვითელ ქალალდებს ანდობდნენ იმას, რისი ნდობაც შეიძლებოდა... მართალი ცენტრალურ ყაზახეთში გადაისროლა ბედმა, სად-

ღაც ყარაგანდის დასავლეთით, უკიდეგანოდ გაშლილ მშრალ და ხორშაკიან ველზე, სადაც დღისით მწველი მზე უხვრეტდა ტვინს, ღამით სიცივისაგან აძაგდაგებდა... ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაპყავდათ, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ისარივით გაჭიმული, ვერ გაიგებდი, საიდან საითკენ სერავდა იგი ჩაყვითლებული, ხეშეში ბალახით დაფარულ ბრტყელ სივრცეს... უცხო აქ არავინ გაჭაჭანებულა, გარდა ხვლიკისა და უხსენებლისა; ცაზე სტეპის არწივი ჩამოეკიდებოდა ხანდახან გაკვირვებული იმით, ეს ვინ ფუსფუსებს მანდ ქვევითაო... ათასში ერთხელ ჩაივლიდა ცხენზე შემჯდარი ყაზახი, მიიკვანებოდა თავის გზაზე, ყვითელ თვალებს ისე გადაატარებდა სხვა ჯილაგის ადამიანებს, თითქოს აჩრდილებს გადაეყარა ანდა შუშისანი არიან და ვერ შეამჩნიაო... სიცხისაგან ენაგადმოგდებული ძალლები შეინკმუტუნებდნენ ზოგჯერ, თავგაბეზრებული ჯარისკაცები ბოლმიანად შეიგინებდნენ, გაპყურებდნენ შორეულ მირაჟებს და ენატრებოდათ თავიანთი თეთრხატებჩამნკრივებული მწვანე სანახები... მართალი, მეწყვილესთან ერთად, დილიდან საღამომდე შავად მოთუხთუხე მაზუთში ავლებდა შპალებს. კაუჭებს ამოსდებდნენ თეთრ მორებს, ჩაძირავდნენ მდუღარე სითხეში და განზე მოისროდნენ. სხვა პატიმრები შტაბებებად აწყობდნენ. მერე, როცა გაშრებოდა, ვიწროდ განოლილ რკინიგზის ყრილზე დაალაგებდნენ და ზედ რელსებს დააჭედებდნენ... ბუყბუყებდა მაზუთი ქვაბში, ცხელი ოხშივარი ასდიოდა, შავი კვამლი ბოლქვა-ბოლქვა ხრჩოლავდა. მართალი და მისი მეწყვილე იხარშებოდნენ ამ კვამლსა და ორთქლში, ციდან კი მზე აჭერდა, მწველი, და მართალის ეჩვენებოდა, სადაცაა, თვითონაც ცეცხლის სვეტად გადავიქცევით... წყურვილისაგან ტუჩები უსკდებოდა, ირგვლივ კი, თვალის განვდენაზე, წყალი არა დიოდა არსად. მხოლოდ ცის კიდეზე იგულისხმებოდა ტასუატის მომლაშო ტბები ანდა წყალმარჩხი მდინარე ნური, ოცნებათა სფეროს რომ განეკუთვნებოდა...

„მთელი დღე შპალებს ვავლებ!“ — ნერდა მართალი უბრალოდ და არიქა უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ სიტყვებში იმალებოდა გაუსაძლისი შრომა, ოფლი, მური, სიცხე... წუთე-

ბის თვლა, რომლისაგან შედგება საათები, დღეები, თვეები და წლები...

„აქ ზამთარში ყინავს სასტიკად, ზაფხულში კოლო და ქინქლა გამნარებს, ჩვენ კი ულრან ტყეებს პირნმინდად ვკაფ-ავთ!“ — პასუხობდა არიქა... იქნებ სწორედ ეს მორები იყო, რისგანაც იხერხებოდა მართალის შპალები...

ამ ქვეყანას კომი ერქვა. ვიწრო, დაკლაკნილ ხევში ყინულს მდინარე ულა შეეკრა, წყალი სადღაც ყინულქვეშ მიიპარებოდა, ზედაპირი კი თეთრად მოესწორებინა ნამქერს და ყინულის სწორ მოედანზე უზარმაზარ შტაბელებად ლაგდებოდა ფიჭვის მორები, რათა გვიან გაზაფხულზე, წყალი რომ მოვარდებოდა, აიპოპრებოდა, დაამსხვრევდა ყინულის სატუ-სალოს, აიტატებდა ტვირთს და ჩაზიდავდა უფრო წყალუხვლუზაში, ის კი, თავის მხრივ, ჩრდილოეთის დვინაში, თვით ქალაქ არხანგელსკამდე... ეს გზა მხოლოდ წარმოსახულ-რუკაზე არსებოდა, გეოგრაფიის გაკვეთილის მწირ ნალექად ტვინში რომ ჩარჩენილიყო, რეალურად კი არიქა ხედავდა საან-ძე ფიჭვების სწორ კედელს... ერთნაირად, სწორფრად ჩამწკ-რივებულიყო ვეება ფიჭვები, შიგადაშიგ ჩამუქებდა დედო-ფალივით გაშლილი ნაძვი, დანარჩენი სამყარო კი მხოლოდ თოვლს ეპყრა... თოვლსა და ყინულს, რომელიც იდო და იდო... ჩრდილოეთიდან მოდიოდა სუსხიანი სუნთქვა, მშრალი ყინ-ვა, რომელიც ისე უჭერდა წყალსა და ჰაერს, ცასა და მიწას, ყოველივე ცოცხალსაც და უსულოსაც, რომ თვით ბუნებას გაჰქინდა ჭახანი... არიქა კი, ძილნაკლული, სიზმრებიდან ძლივს გამოსული, ბნელი და შეცივნული ბარაკიდან ყინვიან ჰაერში გამოვარდებოდა, თავის წილ ნელთბილ ბალანდას შეხვრებდა და ხერხითა და ნაჯახით ხეს შეებმებოდა... ხე, მძლავრად ატყორცნილი, ძლიერი, ამაყი... ავტოხერხი, რომელ-საც ირონიით „დრუჟბა“ ერქვა, ზუზუნით შეერქობოდა ხის ძირს, ჩაალწევდა გულისგულში, ხე შეტორგმანდებოდა, ჩამოლენავდა სხვა ხეთა ტოტებს, ლანალუწით დაეხეთქებოდა, გაიშხლართებოდა მთელ სიგრძეზე და თითქოს კარგა ხანს ისმოდა დედამიწის გუგუნი...

— ვეღარა ვთბები! — დაიჩივლა არიქამ. — შენ კი, როგორც გატყობ, მზეზე იხრუკებოდი!

ისინი ვაგონიდან ვაგონში გადადიოდნენ, გვერდიგვერდ სიარული შეუძლებელი იყო და საუბარი ამიტომაც ჭირდა.

ბოლოს არიქას კუპეს მიაგნეს.

— შემოდი, ნუ მოგერიდება! — არიქა მეგობარს შეუძლ-ვა, სანოვაგე გახსნა და მაგიდაზე დააწყო. — კუპეში ოთხნი ვართ, ერთი ბეყე კაცი და ეს გოგონები. ზონიდან გამომუშავების ფული გამომყვა და ჩემს გემოზე ვხარჯავ! შენთან არ ვიცი და ჩვენთან, ჩრდილოეთში, ქალის უნახავი გავხდი, პატიმრებისათვის კი არა, აბორიგენთათვის არ იშოვებოდა. ჰოდა, მოსკოვიდან ხელს გამოვაყოლე ორი მზეთუნახავი, სტუ-დენტები, ალია და გალია, ტყუპისცალებივით გოგონები. ლამებნელში ხან ერთი შემომიგორდება, ხან მეორე, ვეღარ ვარჩევ, რომელი რომელია. ეს კასრი კი, ზემოთ რომ შეზვინულა, ლიონია, ერთი ბუნჩულა ვინმეა, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს. დაუსხი არაყი, მერე, თუ გინდა, თავში ჩაარტყი. მთელი დღე ასე გდია თაროზე და ხვრინვით ჭერს აზანზარებს. ჩვენს ოინებს ან ვერ ამჩნევს, ან ფეხებზე ჰკიდია... შემოდი, შემოდი!

სანამ იგი ამ მონოლოგს ჩაათავებდა, მართალი ზღურ-ბლზე იდგა. ქერა, ცისფერთვალება გოგონები — ალია და გა-ლია, ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ. ბუნჩულა ლიონია ზევით, თაროზე იდო, როხო თავი წამოყო, ვიწრო თვალებით გამოხედა და ისევ ბალიშს მიენდო, ხვრინვანარევი ფშვინვა განაგრძო.

— Привет, девочка! — Милеса лама маრтали. Ариქასი არ იყოს, იმ გადახრუკულ სტეპებში, ხვატსა და ხორშაქში ქალს ვინდა მიაშავებდა და ახლა სუფთა, ლოყებტკიცინა, სანდო-მიანი გოგონების დანახვაზე ძარღვებში მხურვალება იგ-რძნო, თუმცა უნებლიერ ლტოლვას აღვირი ამოსდო, ფარული ტაბუ დაადო.

გოგონებმა ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს და სი-ცილი მორთეს.

— მოეწონეთ, ქალებში ბედი გაქვს! — დაასკვნა არიქამ. — ლიონია ბიძია! — კაცი შეაჯანჯლარა. — სტუმარი მოვიყვანე, სიყრმის მეგობარი, ჩამოდი, თითო ჭიქა დავურტყათ!.. ამდენი წოლისაგან მთლად გასივდება ეგ უბედური! ჭამს და ასე გდია, მეტი არაფერი უნდა. ეგეც ნაციხარია, ახლალა გამოუშვეს, ოღონდ ვერ გამაგებინა, რისთვის იჯდა. ალბათ, ბუღალტერი იყო სადმე, თუმანი შეატეხა. ასეთებით სავსე იყო ლაგერი, ვერ უძლებდნენ და ბუზებივით იხოცებოდნენ...

— მაგას ნაციხრობისა რა ეტყობა? — გაეცინა მართალის, ლიონიას ახედა.

ბოთვერა კაცი ხვენშა-ხვენშით დგებოდა. ფეხები რომ გადმოყარა, გოგონები კუპედან გამოვიდნენ, რათა ჩამოსვლის საშუალება მიეცათ. ძლივს ჩამოფოფხდა, ისე ჩანდა, თითქოს მისი უზარმაზარი სხეული ნაწილ-ნაწილ ჩამოლაგდაო. ბოლოს „ოპოკო!“ დააყოლა და ნახევარი სკამლოგინი მარტოკამ დაიკავა, პუტკუნა ხელი მართალის გამოუწოდა, გამჭოლი მზერით ერთხელაც დაზვერა.

— ლეონტი! შენს მეგობარს ვერ ვასწავლე ჩემი ნამდვილი სახელი.

— სულ ერთია! — ხელი ჩაიქნია არიქამ. — ჩემთვის ნახევარი რუსეთი ლიონიაა, რუსის ქალი კი ალია და გალია!

— მაშინ ყველა ქართველი ჩემთვის „კაცო“ და „გენაცვალე“ იქნება! — არ დათმო რუსმა.

არიქა ქართულად ლაპარაკობდა, შიგადაშიგ რუსულსაც გაურევდა, მსმენელებს, მართალის გარდა, აზრი ბოლომდე ვერ გამოეცნოთ და დაბნეული სიცილითდა პასუხობდნენ.

— ხედავ, ეს ბუშტი მიჯანყდება კიდეც. — დაასკვნა არიქამ. — აბა, ლეონტი-ლიონია, შესვი ეს ჭიქა! ჩქარა, ჩქარა! გოგონებო, შემოდით, დასხედით, არაყი არ გამიციოთ!

გოგონებიც შემოლაგდნენ და ხუთივემ ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნა.

— Будь здоров! — უთხრა ბოთვერა კაცმა მართალის და არაყი ხახაში გადაუშვა.

გოგონებმაც კაცებივით შესვეს, თქმით არაფერს ამბობდნენ, ჟღურტულით იცინოდნენ.

არიქამ ჯაყვით ძეხვი და ყველი დაჭრა, პური დატეხა, თითოჯერაც ჩამოასხა, თან რუსულ-ქართულად განაგრძო:

— მიირთვით, მიირთვით, შენც, ქონის გუდავ, და თქვენც, ბოზებო, ნუ მოგერიდებათ! ქართველები პურმარილიანი ხალხია, ქართველებს სტუმარი უყვართ, გამორჩეულად კი რუსის გოგოები...

ვითომ ხუმრობდა, სახის კუნთები კი ნერვულად ეძაგრებოდა, ხელი უკანკალებდა, ეტყობოდა, სიღრმისეული მხურვალება წვავდა, უჭირდა საკუთარი ვნებების მოთოკვა.

არ ეჭაშნიკა მართალის მეგობრის ნაძალადევი მხიარულება, „ავად თუა!“ — იგუმანა.

— კი, ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია, ბევრი აქვთ და ბევრს ხარჯავენ! — ლეონტი სიტყვებს ალაგებდა, თითქოს ლურსმნებს აჭედებდა. — აგერ, დააკვირდით თქვენს მეგობარს! — მართალის მიმართა. — ხარჯავს, რაც ზონაში უშოვია, არ ენანება, შინ, ალბათ, ფული ეგულება! ახლა ისიც ვთქვათ, რატომ ხარჯავს? მე რა, შევეხვენე? უნდა მასიამოვნოს და იმიტომ ხარჯავს? თვითონ სიამოვნებს მხარჯველისა და კაი ბიჭის როლი, თორებ სულ ფეხებზე ჰკიდია, მის კუპეში ვინმე ლიონია ზის თუ ლეონტი! აქედან მოკლე დასკვნა: მას სიამოვნებს, რომ მე მათხოვრად გამომიყვანოს, თუნდაც იმიტომ, რომ რუსი ვარ. ამას ჰგონია, რაკი ქართველად დაიბადა, უკვე ამით მჯობია... ეშმაკმა დალახვროს, თანახმა ვარ, ოღონდ კიდევ დამისხას! ავიღებ და დავლევ! ამით ჩვენ ორში ვინ უფრო სულელი აღმოჩნდება, იმასაც ვნახავ!

ამ ღაულაჟა, კეთილი ჰირისახის სიღრმეში სულ სხვა ქვაბი ბუყბუყებდა, ვინრო თვალის ჭრილიდან ფოლადის ელვარება გაკრთა.

— ესეც შენ! — ქართულად უთხრა მართალიმ არიქას. — ესაა, ბიჭო, ჭიანჭველას ფეხს ვერ დაადგამსო? ეგ ისეა ბუღალტერი, როგორც მე ჩინეთის ბოგდიხანი! — მერე ლეონტის მიუბრუნდა: — თქვენ, გეტყობათ, ქართველებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გაქვთ!

— მერგო ეს ბედნიერება! — კაცის ბაგეზე დამამცირებელი, ლიზღური ლიმილი გაკრთა. — ბევრჯერ მქონია ეს

ბედნიერება! უფრო სწორად, ამ უზარმაზარ ქვეყანაში ისე შე-მეძლო მეცხოვრა, ერთ ქართველსაც ვერ შევყროდი, თუ არ ჩავთვლით იმ პირველ კაცს, ზურგზე რომ გვაჯდა და სახე-დრებსავით თავის ჭურაზე მიგვერეკებოდა. მერწმუნეთ, ამით იმაზე მეტს არ დავკარგავდი, რამდენადაც არაფერი დამიკარგავ იმის გამო, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე ერთი ბუშმენიც არ გამიცვნია ანდა რომელიმე ვიწროთვალება ნანაელი. ოღონ-დაც, ჩემი ბედი ისე აეწყო, ყოველ ნაბიჯზე თქვენს ჯილაგს ვაწყდებოდი. დიდ რუსეთთან შედარებით ერთი ციცქნა ხალხი ხართ, მაგრამ წამდაუწუმ თვალში ეჩხირებით ადამიანს. გაიხე-დავ და, აგერ, ქართველი წამოსკუპებულა, გინდა ბაზარი იყოს, გინდა პრეზიდენტი. ადრე ჩემი ურთიერთობა ორჭოფული იყო, ხან ქართველი აგებდა საჭადრაკო პარტიას, ხან მე... ახლა ფეხებზე მკიდია, დამისხი და დავლევ, ესაა ჩემი ფილოსოფია!

ამ ხუმრობანარევ მონოლოგზე არიქას უგულოდ გაეცი-ნა, მართალი კი მიხვდა, სიტყვებს მიღმა ძველთაძველი, ტვინ-ში კიბოდეცეული და სულში მეტასტაზებად მოდებული სიძუ-ლვილი იმაღლებოდა.

— ვთქვათ, ფეხებზე არც ახლა გვიდიათ! — უთხრა ცი-ვად. — ღონე თუ მოგეცათ, ახალ საჭადრაკო პარტიას დიდი სიხარულით გაითამაშებთ!

— ვნახოთ, ვნახოთ! — ლეონტი მიხვდა, რომ გადააჭარბა და თავი მოიკატუნა. — მგონი, წინ კიდეც მელის ერთი პარ-ტია, ოღონდ იქ, სადაც მივემგზავრები, არა მგონია, დიდი ვინმე გროსმაისტერი დამხვდეს!

— შედგე უნდა ფეხით და გაჭყლიტო ეს გომბეშო! — მძუ-ლვარედ მოუქართულა არიქამ მართალის, მერე რუსს მიუბრუნდა: — დალიე, დალიე, ლიონია, სანამ ბოთლში არაყი ასხია. ამ-სიგრძე სადღეგრძელოებს ქართველებიც კი არ ვლაპარაკობთ... გოგონებს მიბაძე, ხმას არ იღებენ, ისე ყლურწავენ!

გოგონები, მართლაც, წინანდებურად სვამდნენ და იცი-ნოდნენ.

მართალი ფეხზე წამოდგა, არიქას წაეტანა.

— დერეფანში გავიდეთ, უნდა დაგელაპარაკო!

უბოდიშოდ გავიდნენ კუპედან, ღია ფანჯარასთან გაჩ-ერდნენ. არიქამ პაპიროსი ამოიღო და გააბოლა, მართალისაც მიაწოდა. მართალი იშვიათად ეწეოდა, მაგრამ ახლა ღერი პა-პიროსი წუთშესვენების საშუალებას იძლეოდა და თვითონაც მოუკიდა.

უკვე ბინდდებოდა. რკინიგზის გასწვრივ მწვანე ნაძ-ვნარი გარბოდა, ხედს კეტავდა.

— ყელში ამომივიდა! — ბოლმით ჩაილაპარაკა არიქამ, პაპიროსი ნაძვნარისაკენ გაიშვირა.

მართალიმ ამოიოხრა, თვალი მეგობრისაკენ გააპარა, ფარულად შეათვალიერა.

შერჩა და შერჩა სიკოჭლე, ახლაც ერთ ფეხს უფრო მყარ-ად ეყრდნობოდა, მეორეს ასვენებდა.

— შეცვლილი მეჩვენები, არიქა ჩემო, კეთილი ბიჭი...

— უკვე აღარ არის! — წინადადება ნერვული სიცილით დააბოლოვა არიქამ. — რომელ კეთილ ბიჭზე ლაპარაკობ, თუ ძმა ხარ! ტრაქტორის მუხლუხებით ხერხემალზე რომ გადა-გივლიან, ყოველგვარი სიკეთე დაგავიწყდება!

— ჰო, მაგრამ ესენი რას გიშავებენ? ერთი ბებერი, საკ-უთარი ტანის ტარება რომ უჭირს და ორი უჭკუო გოგო... შენ თითქოს გსიამოვნებს, ამათ რომ აპამპულებ!

— იცი, მე სად ვიყავი? იმის თქმა არ მინდა, ყველაზე მეტად მიჭირდა-მეთქი. ალბათ, არც შენ ყოფილხარ უკეთეს დღეში. ყინვამ თითქოს ჩემი სული კრისტალებად აქცია და შიგნით ყველაფერი დამიფლითა. მძიმე შრომამ ძალ-ღონე გამომწოვა, სიცოცხლის სურვილი წამართვა. აყროლებული თევზის წენიანისაგან თითქოს მეც ავყროლდი. იქ ადგილი არ იყო თანაგრძნობისათვის, სიყვარულისათვის, ყვავილები-სათვის... და მაინც, მე ყველაზე უარესად არ ვყოფილვარ! რაც ჩემამდე იყო, სწორედ ის იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი და იმისი კვალი ჯერაც არ წაშლილა... ჩვენ რისთვის დავისაჯეთ? დიდი ბელადის სახელის გადარჩენა გვინდოდა და იმიტომ!.. ჰმ, დიდი ბელადის... შენ კიდევ გჯერა დიდი ბელადის?

— ეჭვი მღრღნის, — მართალის ხმაში სევდა გაუღერდა,

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მოგვატყუეს, თუმცა ვერ

გამირკვევია თუ სად დევს ის ძირითადი, მთავარი სიცრუე, თავგზა რომ აგვიპნია! ჩვენ ხომ ვირწმუნეთ, რომ ღმერთი აღარაა და ჩვენვე, ადამიანებმა უნდა განვაგოთ ჩვენი ბედი; ვირწმუნეთ, რომ სოციალიზმი ერთადერთი სწორი წყობაა და, თუ სიკეთის სამსახური გვწადია, სწორედ სოციალიზმს უნდა ვემსახუროთ, მკერდითა და სიცოცხლით უნდა დავიცვათ, ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ყველა დანარჩენი სისტემა კვდება, ჩვენი გზა კი ვარსკვლავივით წინ კაშკაშებს! მაშ, სად შევცდით? სტალინის სიყვარული ხომ ჩვენ იმთავითვე, აკვანში ჩაგვა- გონეს! მაშ, სადაა დანაშაული, რისთვისაც აი, თუნდაც შენ, არიქა ძაძუა დაისაჯე...

— დავისაჯე? — ჩაიცინა არიქამ. — რაც მე მოვიმო- ქმედე, იმისათვის ადრე ტყვიას დამახლიდნენ! მადლობა, რომ ცოცხალი დამტოვეს... მე ბუნტისთავი ვიყავი, ჩემით დაინყო ამბოხი, მე ვთქვი პირველი სიტყვა...

— ჰო, მაგრამ სიტყვა განა დანაშაულია? თანაც სიტყვა, რომელიც თვითონვე ჩაგვიჭედეს თავში!

— სიტყვა ყველაფერია! — თქვა არიქამ. — ისინი, ვინც ჩაიხოცნენ კომის უსიერ ტყეებში, სწორედ სიტყვის გამო გაი- წირნენ! თუმცა იყვნენ უნებლიერ მსხვერპლნიც, როგორც შენ, მაგალითად...

— მე? ჩემთვის მეტად მცირეა ეს სასჯელი! გრძელი სამი წელი მოკლე აღმოჩნდა ჩემი დანაშაულის გამოსასყიდად. სი- ცივე თუ სიცხე, მკაცრი ყინვა თუ ცხელი ქარაშოტი ძნელად განკურნავს სულის ჭრილობას... იცი, პატარა ვიყავი და ჩემს თვალწინ, ჩემს ეზოში ტატაჩი მოკლეს, მამაჩემი... ვავამ ესრო- ლა, მაგრამ, ხომ ცხადია, ვავას ხელს ბიკენტი წარმართავდა... და მაინც, როცა წამოვიზარდე, ორივეს მივუტევე, ჩემს გულ- ში შურისძიების წაპერნკალი არ ღვიოდა... ოღონდაც, მოვლე- ნების ლოგიკა ისე წარიმართა, უნებლიერ იარაღი აღმოვჩნდი შურისძიებისა! იმ დღეს მე ჩავსვი მანქანაში გიუი ვავა და, ხომ გახსოვს, როგორ მიეჭედა ტყვია... კეკე!.. ნეტავი სულაც არ გავკარებოდი თოლორაიების ოჯახს, რა ძალა მეზიდებოდა იქითვენ, ცოდვა ავიკიდე და სასჯელმაც არ დააყოვნა... არა, სამი წელი რა სათქმელია, მთელი სიცოცხლე არ მეყოფა მო- სანანიებლად... კეკე... ჯულიეტა...

— ცხოვრების ის ნაწილი დამთავრდა! — მკლავზე შეეხო არიქა. — დაწყნარდი, გული გადაიწმინდე! ამიერიდან სულ სხვა გზას უნდა დავადგეთ, უნდა ვიპოვოთ არსებობის მიზანი...

— არსებობის მიზანი? ჰმ, კომუნიზმს ვაშენებთო, მა- გრამ იმ კომუნიზმში კეკე ხომ აღარ იქნება!

არიქამ უცნაურად შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს ან იქნებ ვერც მოასწრო შეპასუხება, რადგან კუპედან ლეონ- ტიმ გამოსძახა:

— ჰეი, ბიჭებო, რა მოგივიდათ?! გოგოებმა მოიწყინეს! ჩემი იმედი ნუ გექნებათ, საბჭოეთის ყველა გოგოს ჭიქა არაყი და მუავე კიტრი მირჩევნია!

— ხედავ, რა მაგარია ეს გაბერილი ტიკი? — გაეცინა არიქას. — შენ კი, ჩემო ძმაო, წინ გელოდება ბედნიერი დღეები!

— ღამეა, — თითქოს შესცივდაო მართალის, გააურუ- ლა, — ბნელა და სინათლეს ვერ ვხედავ!

— გათენდება! — ნაძალადევი ოპტიმიზმით შეეპასუხა არიქა. — ეშმაკმა წაიღოს დარდები და გულისტკენანი, აგერ, გოგოებს მივხედოთ!

— მე ჩემს კუპეში წავალ, დავისვენებ! — მართალიმ მხარზე მსუბუქად წაჰკრა ხელი მეგობარს, გაშორდა.

ვაგონის ბოლოს გოგო წამოენია.

— რა მოხდა ალია-გალია? — ხუმრობით ჰკითხა.

— იმ გიუმა გამომაგდო, იმას გაყევიო!

— ხომ იცი, კუპეში ჩემ გარდა სამი მგზავრია!

— როცა დაიძინებენ, შევიპაროთ!

გოგო საკმაოდ სახიერი და მოხდენილი იყო, კაცი წუნს ვერ დაუდებდა. მომლოდინე, მზადმყოფი გამოხედვა ჰქონ- და. ამისათვის, ალბათ, სულ ერთი იყო, ვის ჩახუტებოდა, არსებობის მიზნადაც ეს ჩახუტება აერჩია.

— ცოტა ხანს რესტორანში დავსხდეთ! — შესთავაზა მართალიმ.

წინ წარუძლვა. რამდენიმე ვაგონი გაიარეს. მგზავრებს ჯერაც არ ეძინათ, კუპეებიდან ხმები გამოდიოდა. დერეფან- შიც, ფანჯრებთან წყვილები იდგნენ, ტამბურებში მწევლები... მართალის დათრობა მოუნდა. გულის კუნჭულში შიში ბუუტავ-

და და იმის გაქარნყლებას ცდილობდა. ვისი ეშინოდა? ვისი რიდი უნდა ჰქონოდა? იქ, სიცხიან ტრამალებში, ერთადერთი, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა რომ კვეთდა, ხშირად დაფიქრებულა არსებულზე თუ არარსებულზე. ირგვლივ უკიდეგანო პორიზონტი საზღვრავდა სამყაროს, სამხრეთის დაბალი მაღლობების წყება ოდნავადაც ვერ არღვევდა ამ გეომეტრიულ სისწორეს. თავზევით ლურჯი ცა ეკიდა და იმ ცის გუმბათზე (ვითარცა ფრესკა ტაძარში!) თითქოს ილანდებოდა მაღალი ტახტი და სიკეთით აღსავსე მზერა უბერებელი ბერიკაცისა. მუდამუამს გრძნობდა მართალი ამ მზერას, ვერსად დაემალებოდა, ვერ დაფარავდა თავის მცირე და დიდ შეცოდებებს...

რესტორანი თითქმის ცარიელი დახვდათ, კუთხის მაგიდას მიუსხდნენ.

გოგონა პირმრგვალი იყო, ცისფერთვალება, ცხვირ-პაჭუა, ქორფა დაწვები და საკოცნელი ტუჩები ჰქონდა... კბილებში გაკრთა კენტი ოქრო...

— დალევ, ალია?

— მე გალია ვარ!

— დალევ?

— უკვე თითქმის მთვრალი ვარ! — ჩაიხითხითა გალიამ.

მართალიმ ოფიციანტს ანიშნა, არაყი და მცირე მისაყოლებელი შეუკვეთა.

— მეც თითქმის... — ექოსავით გაიმეორა. — ოღონდ მე სხვა სასმისი მათრობს, გალია! შენ იქნებ არც იცი, რომ შეიძლება ადამიანს ტკივილები ათრობდეს... მე აქ, — გულზე ხელი მიიდო, — ყველაფერი მტკივა, აქ ცეცხლი მინთია და ვერ ვაქრობ...

— ავადა ხარ? — შიშით დაეკითხა გოგო. — ჯანმრთელად კი გამოიყურები, მზეზე გარუჯულხარ!

— ეჱ, შენ რა გესმის მსგავსი დაავადებისა, ექიმებმაც მასზე არაფერი იციან! — მართალიმ ხელი ჩაიქნია, ჩაის ჭიქები არაყით პირთამდე შეავსო.

— ბევრია! — ჩაინუნუნა გოგომ.

— მით უკეთესი! მოდი, იმ ცეცხლს გაუმარჯოს, ჩვენს სულებში რომ ანთია!

გალიას სულში არანაირი ცეცხლი არ ენთო, გარდა ალკო-პოლის ცისფერი ალისა, და ჭიქა ენერგიულად მიუჭახუნა:

— ხალა-ხებია!

მართალის გულმუცელი ჩაეთუთქა. პატიმრობისას იშვიათად თუ რგებია შინნახადი არაყი, ისიც მცირედ. თავისი შესაძლებლობები აქამდე არც შეუმონმებია. ჩაის ჭიქა თავდაპირველად ეცოტავა, მაგრამ ცოტა ხანში მოითენთა, თავბრუდაეხვია, თვალებში უორდებოდა და გაუჭირდა სიტყვათა ერთმანეთზე მიბმა.

უჩიოდა ბედს, ნარსულს... ობლობას, გაჭირვებას, მარტობას, დაღუპულ სიყვარულს, ტრამალებში გატარებულ გრძელ და უსიხარულო დღეებს, უმომავლობას, სიბერეს, რომელმაც აგერ ოცდაორი-ოცდასამი წლის ასაკში მოაკითხა.

გალიამ მისი სიტყვებისა ვერაფერი გაიგო, ხმის მუსიკა კი უნანავებდა, მატარებელი თანაბრად მიირწეოდა, რესტორანში თბილოდა და ჩასთვლიმა კიდეც.

ვერც გაიგეს, რა დრო გავიდა, თავზე ოფიციანტი წამოადგა და, იკეტებაო, ბრძანა.

მართალიმ ფული დაუთვლელად ჩაუკუჭა, „Сдачи не надо“-ო, ნაილუდლულა, გალიას ხელი გადახვია და კუპესაკენ გაემართნენ.

გოგო უმიზეზოდ ხითხითებდა, ზედ ეკვროდა, ცდილობდა, როგორმე ეკოცნა და ამ დროს ოქროს კენტი კბილი ცივად უბრჭყვიალებდა, მე შენი ძუკნა ვარ, შენ კი ჩემი ხვადიო, ეჩურჩულებოდა.

ტამბურში ციოდა, ნესტისა და ჭუჭყის სუნი იდგა. მართალი თანდათან გამოფხიზლდა, თავი ასტკივდა.

ეს რას ვაკეთებო, არეულად სჯიდა, ეს რა წუმპეში ვიძირებიო. მისი ცხოველური არსი სულს უჯანყდებოდა, აფორი-აქებულ მეს კირცხვენოდა მარადი მოყურადისა... იგი, მარადი მოყურადე, ახლაც, ამ ბნელ და ჭუჭყიან ტამბურშიც უმზერდა როგორც აცელებულ ბავშვს, რომელიც, ალბათ, თავადვე მიხვდება თავის დანამაულს და დატუქსვას გადაურჩება.

კუპეს კარი ფრთხილად შეაღო, იქიდან ცხელი, დახუთული ჰაერი გამოვარდა, სუნთქვა შეუკრა...

მგზავრებს ეძინათ.

— აი, აქ, ოლონდ ჩუმად! — ჩასჩურჩულა გალიას, ქვედა საწილზე წამოაწვინა, საბანი გადაახურა. — მე ახლავე, — ხმის კანკალით უთხრა და უკან, დერეფანში გავიდა.

კარი ფრთხილად მიხურა. ფანჯარასთან პაპიროსი აან- თო და ბნელ შუშაზე საკუთარ გამოსახულებას დააკვირდა.

„კეკე! — ფიქრი აფორიაქებდა. — როგორ დაგიცვა ჩემსავე უნებისყოფნისაგან, ჩემს არსებაში ჩასახლებული მტრისაგან... როგორ შევინარჩუნო სულის ის უბინო თრთოლ- ვა, შენს გახსენებაზე რომ თანა მდევს... კეკე! ნეტავი მეც შენთან ერთად გავფრენილიყავი ლაშვარდისაკენ, მიმეტო- ვებინა ხორცი, სულს რომ უჯანყდება და თავის წილ სიამეთ მოითხოვს...“

იდგა ფანჯარასთან, ფიქრობდა, პაპიროსი კი იფერფლე- ბოდა და მხოლოდ მაშინდა გაახსენდა, როცა თითებზე მწვე- ლი შეხება იგრძნო...  
მატარებელი შეუჩერებლივ მირბოდა სამხრეთისაკენ...

4

მერეთში სამნი ჩავიდნენ, ჭაბუკები და ლეონტი. გოგო- ნები გაგრაში დარჩენ, სიცილ-სიცილით დაშორდნენ თავიანთ კავალრებს, რათა ლაშვარდოვან ზღვისპირეთში ახლები მო- ეძიათ.

ლეონტიმ მხოლოდ აქ, მერეთის სადგურის ბაქანზე ჰკითხა ბიჭებს, „რიში“ რომ არის, „ტოლორაია“, იმას თუ იც- ნობთ და სახლსაც თუ მიმასწავლითო. კი გაუკვირდათ არიქას და მართალის, მაგრამ, რატომ დაზარდებოდნენ და, მიასწავ- ლეს კიდეც.

— უხსენებელი უხსენებლის ნათესავია! — მიაყო არიქამ.

— რას ერჩი, მიდის კაცი თავის გზაზე! — უწყინრად შეე- პასუხა მართალი.

დიახაც, მიდის! მოკლე, სპილოსავით მსხვილ ფეხებს ძლივს მიაქვთ ლეონტის გაფიუვინებული სხეული, ხვემის, პირით ჰაერს იჭერს, ჭუჭყიანი ცხვირსახოცით გაოფლილ შუბლსა და კისერს ინმენდს.

ვერც ამჩნევს მერეთის ხილნარით დახუნდლულ ეზო- კარებს, აივნიან ოდებს, მზის სინათლით გამსჭვალულ სივრც- ეს, ჩრდილოეთით ლურჯად აღმართულ ქედებს და თავზევით ჩამომხობილ მელნისფერ ცას. მას ეს ლირიკა ოდნავადაც არ აღელვებს, მისთვის გინდა ნენეცთა ტუნდრა, გინდა მეგრთა სუბტროპიკები ერთიანი საბჭოეთის ლანდშაფტებია მხოლოდ და ერთი სურვილითლა მიგვანგვალებს მერეთის ხვინჭკიან შარაზე, როგორმე პერანგზე ღილები დააწყვიტოს იმ მახინჯ „რიუკიას“.

გზადაგზა ჩერდება, გამვლელთ ეკითხება, სწორად თუ მივდივარო. გამვლელი გაოცებით შეათვალიერებენ უცხო რამ არსებას, ამისი წონისას ხომ არასოდეს უვლია მერეთის ქუჩებში და, სადაც ფეხს დაადგამს, იქ, ალბათ, დინოზავრის ნაკვალევს ტოვებს... მუხლებდაბერილი შარვალი ჩამოჩაჩვია, ბამბაზის პერანგი ტანზე ასკედება, ჭიპზე ღილი შეხსნია და ტიტლიკანა, გადმოვარდნილ ღის პერანგის კალთები ვერ ფარავს. ოფლისა და ჭუჭყისაგან კისერგაგლესილი ბამბურა და ნაცრისფერი, ყურებიანი ქუდი იღლიაში ამოუჩრია.

ქუჩები უკვე ხალხითა სავსე, მოქალაქენი სამუშაოდ მიეშურებიან. ცნობისმოყვარე ბავშვები ასდევნებიან უცხო ძიას, თუმცა მათი ჟივილ-ხივილი და ტკარცალი ლეონტის არ ესმის. ის გამვლელებს აჩერებს, „ტოლორაია“, „ტოლორაიაო“, — კითხულობს... თითით უჩვენებენ...

აგერ თოლორაიების ქურუში სახლი, ციხესიმაგრე, კაზე- მატი... შეხედა ლეონტიმ და უმალ შეაფასა რაიონული მასშტა- ბის ჩეკისტის ძლიერება... სიფიცხე შეუნელდა, ცეცხლი ჩაუქ- რა და ჭიშკარი აუჩქარებლად შეალო.

პარმალზე ჭარმაგი ქალი იდგა, ხასხასა წითელი ხალათი ეცვა. ადრე ტანმსხვილი, ჯანიანი დედაკაცი იქნებოდა, მაგრამ ახლა ერთიანად ჩამომდნარიყო და თავი უცანცარებდა.

— ზინაიდა პეტროვნა? — ჰკითხა ლეონტიმ.

ქალს შეეშინდა, ნერვული, მკივანა ხმით მშველელს  
მოუხმო:

— ლესტან, ლესტან!

— რამდენჯერ გაგაფრთხილე, ლესტანი არ დამიძახო, ვა-  
ლიკო ვარ მე, ვალიკო! — გაისმა შიგნიდან ბუზღუნი და, თუმცა  
ლეონტიმ აზრი ვერ გაიგო, ხმა იცნო და წამოღაულაუდა.

ლესტამბე თოლლორაია სწრაფად გამოვარდა, იქნებ სულ  
სხვა ვინმეს ელოდა და იმიტომ. გონს რომ მოეგო, დაუპატიჟე-  
ბელი სტუმრის პირისპირ აღმოჩნდა, ელდა ეცა, გაფითოდა,  
გაფითოდა, ქალალდისფერი დაედო.

ლეონტიმ საკინძეზე ორივე ხელი ჩაავლო, ზე ასწია და  
მუქარით შეეკითხა:

— გде, мерзавец, моя dochь!

ლესტამბეს სუნთქვა შეეკრა, სისხლი სახეზე მოაწვა და  
ძლივს ამოილულუდა:

— მე რა შუაში ვარ... მე რა შუაში ვარ!..

ლეონტიმ ძირს დაუშვა, თუმცა ხელებით მისი საკინძე  
მაინც ეჭირა.

— ამხანაგო, ეს უკანონობაა! — ტირილის ხმით აწუნუნ-  
და ლესტამბე. — ნატაშა მე არ წამომიყვანია, თვითონ გამო-  
მეკიდა... კი, ბატონო, მიყვარდა, პატივი ვეცი, ვასვი, ვაჭამე,  
მაგრამ არ დამიფასა, დაკრა ფეხი და სხვასთან გადაბარგდა!

— სხვასთან? — ლეონტიმ ხელი შეუშვა.

ლესტამბე გონს მოეგო, ღრმად ჩაისუნთქა, დაჭმუჭნი-  
ლი პერანგი შეისწორა, ღილები შეიკრა.

— თქვენ კი მომვარდით, შეურაცხყოფა მომაყენეთ!  
დიახ, თქვენმა ნატაშამ ხელი მკრა, ვიღაც გადაღრძუებული,  
ჭლექიანი ბერიკაცი მარჩია, შიმშილით სული სძვრებათ...

— ჭლექიანი ბერიკაცი? — ლეონტიმ დარეტიანებული  
იდგა, მერე ვინრო თვალებში ეჭვი გაკრთა. — მატყუებ, ცდი-  
ლობ, ხელიდან დამიძვრე!

— ჰმ, ხელიდან დაგიძვრე! — გულმოცემული ლესტამ-  
ბე გამხიარულდა. — თქვენ ეს, ამხანაგო, მოსკოვი ხომ არა  
გგონიათ? აქ ხელისუფლება ჩვენა ვართ. თქვენ რამდენიმე  
დღის წინ ციხიდან გამოხვედით და ჭკუა მაინც ვერ ისწავლეთ,

ხულიგნურად მომვარდით, ლამისაა მცემეთ... მაგრამ მე კეთილი  
ვარ, შურისძიებას არ ავყვები... რაც შეეხება ნატაშას, სამწუხ-  
აროდ, იგი დაგვიქვრივდა... დიახ, ვიზიარებ თქვენს მწუხარე-  
ბას, ახლა იგი მარტოა!

— რას მიედ-მოედები, ბლიად, ჰა?

— აბა, აბა, ხულიგნობის გარეშე! — ლესტამბემ ცხვირ-  
ნინ თითი დაუქნია. — არ გჯერა და ახლავე დაიჯერებ. შენ აქ  
დამელოდე!

ნამით გაქრა, სტუმარი კიბესთან დატოვა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ზინაიდა პეტროვნა პარმალზე  
იდგა და თავს აკანტურებდა.

— ზინაიდა პეტროვნა, მე ნატაშას მამა ვარ! — უთხრა  
ლეონტიმ.

— ნატაშა, ნატაშა... — გაიმეორა ზინაიდა პეტროვნამ.

— აჲ, ნატაშა! — ეტყობოდა, რომ ვერ იხსენებდა.

ლეონტიმ შეეშვა.

ლაფაროდან მანქანის ხმა მოისმა, ლესტამბემ მწვანედ  
გადაღებილი „გაზიკი“ გამოაგორა.

— დედა, შინ შედი! — შეუყვირა ზინაიდა პეტროვნას და  
ლეონტის მიუბრუნდა: — დაჯექი, მეც სამსახურში მეჩქარება!

ლეონტიმ ხვენეშითა და წვალებით აფოფხდა, გვერდით  
მიუჯდა და დათრგუნვილმა ერთხელაც ჰკითხა:

— ჭლექიანი ბერიკაცი? რაღაც არ მჯერა!

— თავად ნახავ! — გაიცინა ლესტამბემ, მის ამ სიცილში  
შურისძიების სიხარული ამოიკითხებოდა.

ათი წუთიც არ დასჭირვებიათ ბარაკამდე მისვლას. ლეს-  
ტამბემ მანქანა დამპალ კიბესთან მიაყენა და სტუმარს აგდებ-  
ით შეხედა:

— ფრთხილად ადი, არ ჩაგიტყდეს! ხელმარცხნივ მე-  
ხუთე კარზე დააკაკუნე!

— შენ? — ლეონტიმ დაიბნა, უმწეოდ მიმოიხედა.

— სამსახურში მაგვიანდება! — ცივად თქვა ლესტამ-  
ბემ. — ასაკოვანი კაცი ხარ, ხულიგნობა არ გიხდება, ფრთხ-  
ილად უნდა იცხოვრო!

ხმაში მუქარის კილო შეეპარა.

ლეონტიმ უხმოდ შეხედა, გულში ბოლმა ჩაიმარხა, მანქანიდან ჩაფოფხდა და კიბესთან მანამ იდგა, სანამ „გაზიკი“ თვალს მიეფარებოდა.

მერე საფეხურზე ფრთხილად შედგა ფეხი, მოსინჯა, დერეფანშიც ასევე ფრთხილად მიდიოდა, ბინდში კარებს ძლივს არჩევდა.

— ღია! — გამოსძახა ქალის ჩახლეჩილმა ხმამ... ჩახლეჩილი იყო, მაგრამ იგი ნატაშას ეკუთვნოდა.

კარი შეალო ლეონტიმ, ზღურბლს გადასცილდა და გაჩერდა, რათა ბინდიანი ოთახისათვის თვალი შეეჩინა.

ნატაშას სილუეტი ფანჯრის შუქზე გამოიკვეთა, ჭრელი ხალათი ეცვა, თავი შავი მანდილით წაეკრა.

ერთხანს ჩუმად იდგა, მერე წამოვიდა, კაცს ჩაეხუტა და ჩურჩულით თქვა:

— პაპოჩა!

ლეონტის თვალები დაებინდა, კინალამ ჩაიკეცა.

კედლიდან სურათი შემოჰყურებდა, სათვალიანი კაცი ჩეხოვს მიამსგავსა და იცნო...

გარეთ კი, ივლისისა და აგვისტოს შესაყარზე იმატა მზის მცხუნვარებამ.

— გავთბი მგონია! — წამოიძახა არიქამ.

მცირე ფუთები ზურგზე მოეგდოთ და ორლობეს მიჰყებოდნენ.

თითქოს ახლახან გააშორეს ისინი ქალაქს, მაგრამ არაფერი შეცვლილიყო. ნაცნობი ტრიფოლიატი და აკაციის ღობეები, რკინის თუ ხის ჭიშკრები, ოდა-სახლები, ეზოების მწვანე კოინდარი...

ხეთა ფოთლები სიცხისაგან გახუნებულიყო, ტოტები ხილს დაეხუნდლა...

ჰაერი გაჯერებული იყო ყვავილთა სურნელებით, დილის სიოს მოულოდნელი სიგრილით, მზის დაწმენდილი, მჭვინვარე სხივით... ღამეული სიზმრებიდან გამოყოლილი ხმებით... მეგრული გადაძახილ-გადმოძახილი, უბრალოდ დაგდებული სიტყვა... მეგრული ჩალილინება... ბგერები, არც ერთ სხვა ენაზე რომ არ წარმოითქმება...

ძაძუების პატარა სახლაკი გამოჩნდა, არაფერი მიმატებია, პირიქით, უფრო დაბეჩავებულა, დაუშნოებულა. ეზოს ხეხილმა მაღლა აიწია, ტოტები ყავარს გადააწვდინა და ამიტომ თუ ჩანდა სახლი დამცრობილი.

შეყოყმანდა არიქა, ჭიშკრის შეღება გაუჭირდა.

— იცი რა, — თავი არ აუღია, ისე უთხრა მეგობარს, — შენც მოუთმენლად გელოდებიან.

მართალი უხმოდ გაშორდა... აგერ კომუნარების ქუჩაც, აგერ ზამთრის მსხლის დიდი ვარჯი, მაღალ ბოძებზე წერო-სავით შემდგარი ოდა.

ჭასთან დედაბერი ცოდვილობდა. სათლი სანახევროდ გაავსო და კიბისაკენ წამოილო. თავჩაღუნული მოდიოდა, ვინ-ძლო ფეხი არ წამოვკრა და ჭიდან საცოდაობით ამოღებული წყალი არ დამექცესო.

პირისპირ შეეჩება მართალი, სათლს ხელი წაატანა. ეფრომ ამოხედა და პირკატა ეცა.

როგორ დაპატარავებულა, ღონისაგან დაცლილა, და-ჩამიჩებულა!

მკერდამდე ძლივსა სწვდებოდა შვილიშვილს, მკერდზე სასოებით აკოცა, საფეთქლით მიეყრდნო და გაირინდა.

ერთ ხელში სათლი ეჭირა მართალის, მეორე მოხუცს მო-ჰევია, თვალთ ცრემლი მოსდგომოდა და თვითონაც ხმას ვერ იღებდა.

თავს ძალა დაატანა, ყელში გაჩერილი სიტყვა ძლივს ამოღერდა:

— შინ შევიდეთ, ბებია, ანი წყალზე მე გაგეგზავნები!

კვლავ აკოცა მკერდზე მოხუცმა, ჭაბუკის ნებას დაჰყავა. ნელა წავიდნენ კიბისაკენ და, როცა ადიოდნენ, როგორც ცოცხალთ, ისე უთხრა კიბეს და საფეხურებს ეფრომ:

— კიბევ და თქვენც, საფეხურებო, მოვიდა თქვენი პატ-რონი!

ავიდნენ აივანზე და კვლავ გაიმეორა:

— აივანო და შენც, ზალის კარო, მოგვიბრუნდა თოდუების წაშიერი!

სათლი ძირს დადო მართალიმ, მოხუცისათვის ხელი არ უშვია, გადახედა მერეთის ჩვეულ პანორამას, ჩხერის ფართო სანახებში რომ განფენილიყო და მაცხოვრისგორას, რომ-ლის თავზეც წვერმოჭრილი კვარცხლბეკი იკვეთებოდა.

— მა თაქ ვორექ! — გასძახა ქუჩას, მერეთს, მაცხოვრის-გორას.

„მე აქ ვარ!“ დიახ, აქ იყო! დაუბრუნდა თავის სახლს, გა-რემოს... თითქოს გუშინ იყო, აქაურობას რომ მოაცილეს და წაიყვანეს იმ ტრამალებისაკენ, სადაც ჩაიკარგა ცაცანას ნა-კვალევი... არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, არაფერი შემატებულა და არაფერი დაკლებია. თუმცა არა! აგერ, ბანარზე გასაშ-რობად ჩამორიგებულა დედაბრის ხელით შეკერილი თეთრი საცვლები — პანია ვაჟუაცის შესამოსი.

— სამისა უკვე გახდებოდა! — თქვა მართალიმ.

— სამისა უკვე გახდა! — დაუდასტურა ეფრომ და კარი-საკენ წარუძღვა.

კარი ღიად იყო დატოვებული, იმის იქითა კარიც, უკანა ოთახში რომ გადიოდა. ფანჯარასთან საწოლი იდგა, ადრე რომ მართას სარეცლად ითვლებოდა. კედელზე ახლაც ეკიდა ოდნავ გაყვითლებული სურათი — სქელნაწნავა, სიხარულისა-გან გასხივოსნებული მართა, როგორიც იყო ოდესლაც, სანამ ორი ძმაკაცი — ტატაჩი და ბიკენტი შეიყვარებდნენ.

საწოლზე, ფუმფულა ბალიშებს შორის ჩამჯდარიყო სამი წლის ქრისტეშია, თეთრი, ქათქათა, ბუნჩულა. მოხუცს შემოს-ცინა და აუღურტულდა:

— ბები, ბები!

უცხოს დანახვაზე გაჩუმდა, თვალები დაჭყიტა, თითი პირში იტაკა.

მართალიმ საწოლთან ჩაიჩიქა, იდაყვებით საბანს დაეყ-რდნო, ხელები გაუწოდა და მღელვარებით მოუხმო:

— ქრისტეშია, მოდი ჩემთან!

ბავშვმა იუცხოვა, მოიფშხალა და ასლუკუნდა.

— ნუ გეშინია, ბებო გენაცვალოს, — უმალ ჩაერთო ეფრო, — ეს მამიკოა, კარგი მამიკო!

აი, აქ ჩემი ფხიზელი მკითხველი იესე რომ გვერდით მყოლოდა, ალბათ, მხარს გამკრავდა, შემახსენებდა ჭიშკარ-

თან მიტოვებულ პერსონაჟს... სიკვდილსაც დავიწყებიხარ, ჩემო არიქა, შენს თავს რა დამავიწყებს! აგერ, ოთხმოცდაცა-მეტის არეულ დეკემბერს ვზივარ ბალლინჯორებით სავსე კუპე-ში, ცივი მატარებლის ცივ ვაგონში და ნელი ტაატით ვშორდე-ბი აბაშას, ხოლო ჩემს წინ იდაყვებს ეყრდნობა და თვალებით ზიზდსა და მძულვარებას აფრქვევს არიქა ძაძუა, პატრიოტი, სამშობლოს ტრფიალი და მოღალატეთა მოძულე კაცი.

იმ დღეს კი, როცა კაცი იგი ჭიშკართან დაშორდა თავის მეგობარს, მორიდებით შევიდა საკუთარ ეზოში, კუტიკარი ისე მიკეტა, ჩხაკუნიც არ გაუღია. მუხლები უკანკალებდა, ეგონა, მდელოში სუსტად გაკვალულ ბილიკზე დავარდებოდა, მაგრამ გაუძლო ამ გზას, ოდა-სახლის სამადსამ საფეხურსაც სძლია. უხეშად გარანდულ ფიცრის კარს მიუკაუნა. მოეჩვენა, პასუ-ხი დამიგვიანესო, სახელურს გამოსწია, ალბათ, საჭიროზე მეტადაც, რადგან მსუბუქი საკეტი ამინვარდა, კარი არიქას ღონეს დამორჩილდა და გაიღო.

შეაბიჯა არიქამ და დაბნეულად თქვა:

— მოვედი, დედა!

ჭალარააჩეჩილი ფუცუ ლოგინზე წამომჯდარი დახვდა, გაშტერებული მიაჩერდა მის წინ მოულოდნელად წამომარ-თულ შვილს, მერე ხელები გაშალა და ხავილი ალმოხდა... ამ უცნაურ ბეგერებში არიქამ გაარჩია ერთადერთი, ყველა დე-დის მიერ თანაბრად აჩემებული სიტყვა — „შვილო!“ არიქა მკლავებში ჩაუვარდა და გაიტრუნა. ფუცუმ გულში ჩაიხუტა მისი ხუჭუჭა თავი და მდუღარე ცრემლებით დაალბო...

5

ბერი ზაქარაია ერთი კვირით ადრე დაასაფლავეს და ლე-ონტის პატიმარყოფილის სურათილა დახვდა.

ნატაშას მამილოს ვეება მკერდზე მიედო თავი და უხმოდ ტიროდა.

ლეონტიმ აცახცახებულ მხრებზე ხელი მოუთათუნა... ძლივსა ცნობდა. მისი ლამაზი, სიცოცხლით სავსე, გიუმაჟი გო-

გონა გაჭირვებას თითქოს ჩამოედნო. უთქმელადაც გასაგები იყო თუ რა უბედურება გადახდენოდა გრძელი სამი წლის მანძილზე, სანამ ღეონტი რომელიღაც მიყრუებულ ზონაში, ადრე, საკუთარი ხელით ჩამოგვირისტებული კანონების თანახმად, მლაშე ქაფშიას წვნიანით ირჩენდა თავს და გული იმედებითა და შურისძიების წყურვილით ევსებოდა.

სხვანაირი გახლდათ ნატაშას ციხე, მისი პატიმრობის სამი წელი — ეს პატარა, ჩაბნელებული ოთახი, რომლის გარეთ, მზიანეთში მას ჩასაფრებოდა ურჩხული ტირანოზავრი — ღესტამბე თოლორაია, შიგნით კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხველებასა და ხველებას შორის, სიცხისაგან ითანგებოდა და თანდათან ქრებოდა ბერი ზაქარაია, ერთადერთი კაცი, რომლის ნათესავად და ახლობლად გრძნობდა თავს, რა თქმა უნდა, მამილოს შემდეგ. უჭირდა, მაგრამ ვეღარ ღალატობდა, ვერ გაეცლებოდა, ახალგაზრდულ, თვითგადარჩენის ინსტინქტს ვერ დაემორჩილებოდა, რადგან ეს იქნებოდა საკუთარი მეს, საკუთარი მრნამსის უარყოფა.

ბევრჯერ შეეხვენა ბერი, წადი, გამეცალე, ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, ჩემი საქმე ისედაც წასულია, შენ კი ბედნიერება მოგელისო... ალბათ, მართლაც წავიდოდა, ბედს ეწეოდა, რომ არა ბერის საწყალი და ლამაზი თვალები, რომლებიც ამ სიტყვებს უარყოფდნენ, რომ არა შორეული ციმბირეთის ის მოგონებანი, რომელთაც მხოლოდ ბერი ზაქარაიას არსებობა ათბობდა და მოგონების ლირსად ხდიდა.

— ჰო, წავალ, — ლიმილით შეეპასუხებოდა, — ბაზარში ჩავირბენ, შენნაირ ავადმყოფს ბევრი ჭამა სჭირდება, სულ რძე და კარაქი უნდა მიირთვა!

— ნეტა სად შოულობ ფულს? — უღონო კაცის ეჭვიანობით ეკითხებოდა ბერი.

— ეჭვიანობ, ბებერო ტურავ? — ნაძალადევი სიცილით გაეთამაშებოდა ნატაშა, შუბლზე ოფლს შეუმშრალებდა. — რაკი ეჭვიანობ, მაშ, ძველებურად გიყვარვარ!

ბერი ამაზე ვერაფერს პასუხობდა, თვალს არიდებდა, ნატაშა კი მეათასედ უხსნიდა:

— ხომ იცი, რომ სამსახური მაქვს, ხელფასს მაძლევენ!

— კვირაში ერთხელ დადიხარ, — მოუთმენლად აწყვეტინებდა ბერი, — კვირაში ერთხელ, ისიც შაბათობით...

— ჰო, შაბათობით... რუსულ წერილებს ვასწორებ, ამ თქვენს აღმასკომში არავინ იცის, სად დასვას რბილი და მაგარი ნიშნები!

— რბილი ნიშანი? — ექოსავით იმეორებდა ბერი.

— ჰო, დაწყნარდი, ბაზარში გავრბივარ!

ბაზარში თითქმის ყოველდღე ჩარბის, ესაა მისი ერთადერთი გასეირნება, სუფთა ჰაერზე გავლა. მუდამ სხვადასხვა გზას ირჩევს, რათა ლესტამბეს არ გადაეყაროს. მთელ ქალაქში მას უფრთხის, სძულს და ეშინია მისი.

ბაზრის რიგებს ხალისით ჩამოუვლის... მერეთის მუდამ უხვი და ხალხმრავალი ბაზარი უყვარს, გამორჩეულად პარასკევსა და კვირას, როცა ბაზრობაზე თითქმის მთელი რაიონი იყრის თავს, გავლა ჭირს... აგერ, მისადგომებთან მდუმარედ იცოხნებიან კამეჩები, იქვე მორჩილი ძროხები ელოდებიან მყიდველს, მოწყენილი ხბორები შეზმუვლებენ ხანდახან... გაისმის თხის პეტელი, გოჭების ღრუტუნი და ჭყივილი, დედლების კრიახი და წიოკობა... ურმებითა და მანქანებით ეზიდებიან თეთრ და ყვითელ სიმინდს, მუშტარი ყაყანით ევაფრება სოფლის გომებს... დახლების დაუსრულებელი რიგი, ხორცისა და თევზზეულისა, ხილისა და ბოსტნეულის ნაირფერობა — ვაშლი და მსხალი, ოქროსფერი კომში და წითლად დახლებილი ბრონეული, გაბუტჭული ლელვი და ხორცისავსე ქლიავი, გატიტინებული ატამი და ზღმარტლი... გორებად ყრია საზამთრო და ყვითელი, არომატული ნესვი... ხასხასა, დარეცხილი ქინძი და ოხრახუში, პომიდორი და შუშა კიტრი... თამბაქოს რიგში სურნელი დგას, გამვლელს თავბრუება... ღევევა... ღვინისა და არაყის რიგი... სინჯვა-სინჯვით ჩამოვლის ლოთი, რიგს ჩაათავებს და თვითონაც გათავდება... სულუგუნი და იმერული ყველი, რძე და მანონი... თხის რძეს ეძებს ნატაშა, თხის რძე მარგებელია ბერისათვის... იცის, რა როგორაა, მოშინაურდა უკვე, საყველპური მეგრული ისწავლა, იმდენი, შაოსან დედაკაცებსა და გაუპარსავ მამაკაცებს რომ შეევაჭროს... ისიც ესმის, ქალებთან ვაჭრობა უფრო ძნელია,

კაცები კი ჩრდილოელი მზეთუნახავის ღიმილით იბრიდებიან და სარჩოს იაფად თმობენ...

დატვირთული ჩანთით ბრუნდება შინ, მოიჩქარის, აქეთ-იქით ისე იყურება, თითქოს ეშინია, არ გამომიჭირონო.

რისიც ეშინია, იმას ვერ აცდება. პირისპირ შეეჩებება სა-განგებოდ დადარაჯებულ ლესტამბეს, გული გადაუქანდება.

— მე ხელი მკარი, ბოზო, სხვას კი ეძლევი, ხომ? — მკლა-ვში წაეტანება ლესტამბე, მუქარით ჩასჩურჩულებს, თუმცა მის ამ ნერვულ ჩურჩულში ისიც იგულისხმება, რომ თვითონაც ეშ-ინია, გამვლელთა ყურადღება არ მიიქციოს, შარში არ გაებას.

— დიახ, სხვას ვეძლევი! — უტეხად შეჰყურებს ნატაშა, მკლავს უხეშად გააშვებინებს და ამაყად თავალერებული წა-ბაკუნდება, ერთხელაც დაამარცხებს თავის მტერს, თუმცა ამ გარეგნულად აუღელვებელი ქალის მკერდში შიშისაგან დაპატარავებული, ფორიაქმებული გული გამალებით სცემს, სისხლი საფეთქლებზე უკაკუნებს, ლამისაა წაიქცეს...

ფეხს უჩქარებს, უჩქარებს, შინისაკენ თითქმის მირბის, თითქოს ვიღაცა უხილავი მოსდევსო, თუმცა ლესტამბე კარ-გა ხანია გაქრა, ნატაშას სადევრად არა სცალია, სამსახურის ხაფანგშია გაბმული და დრო აღარა რჩება. დერეფანში ნატა-შას აჩქარებული ფეხისხმა ბერისაც ჩაესმის, ბალიშიდან წამ-ონევა, კარს მიაჩერდება.

ნატაშა შემოვარდება, კართან რომ სკამია, იმას და-ასკდება და ჩანთას ფერხთით დააგდებს.

— რა იყო, ვინმე მოგდევს? — შეშფოთებით ეკითხება ბერი.

ნატაშას პირზე ოხშივარი ასდის, ხელით მოინიავებს.

— ცხელა, ძლივს მოვქლოშინდი! — არ ჩამეძიოსო და არატრატდება: — სული მომათქმევინე! ახლავე რძეს მოგი-დუღებ, დაგალევინებ!.. ვაშლი გიყიდე, ვაშლი სასარგებლოა... ქლიავი, ცოტა ატამი, მაგისი სარგებლობისა არაფერი ვიცი, მაგრამ ხომ გიყვარს?.. რძეს ახლავე მოგიდუღებ, დაგალე-ვინებ!.. ღომი მოგვიანებით შემოვდგათ, ისეთი სულუგუნი ვიყ-იდე, წვენი გასდის...

ამ ლაპარაკში სკამიდან დგება, ოთახში დაბორიალებს, ხან რას ედება, ხან რას.

— რა მოგდის?

— არაფერი, არაფერი, მთლად დავიბენი!

ნავთქურას აანთებს, პატარა ქვაბუნათი რძეს შედგამს, თან თავისთვის იმეორებს:

— თხის რძე კარგია, მოგიხდება... დიახ, მოგიხდება...

მერე ცხელ რძეს დაალევინებს, რათა ყელი ჩაიწმინდოს და იქ, სადაც ბერის არსებობას კოხის ჩხირები ემუქრება, სი-ცოცხლის გალავანი აღმართოს.

ოღონდაც, ბერი ზაქარაიას მთავარი მტერი კოხის ჩხირე-ბი კი არა, ისევ ბერი ზაქარაია, მის სულში დალექილი საწამლა-ვია... იმ სამსალის შედეგია, რაც შორეულ სიყმანვილეში ჯერ კიდევ ქოსა ძღვიბიამ ასვა.

ჰატიმრობიდან ახალი დაბრუნებული იყო და მაღალმა სიცხემ დაასუსტა, გაუთავებელმა ხველებამ ღონე წაართვა, ნახველს კი სისხლი ამოჰყვა და განამებულმა მამა ახსენა — სოლომონი, რომელმაც შეუნდო... მამის ხსენებამ თითქოს უშველაო, სიცხე დაუცხრა, დაწყნარდა, სოლომონი კი სიზ-მარში გამოეცხადა, ღმობიერი თვალებით შემოხედა და ჰკით-ხა: „იპოვე, რასაც ეძებდი?“ „ვერა, ვერაფერი ვიპოვე!“ „მაშ, იქ რა დაგრჩენია, რა გაჩერებს? დიდი ხანია, გელი!“

მამა ელოდებოდა, სოლომონი, და აქ რაღა აჩერებდა?.. „რისთვის ვიცოცხლე?“ — თავისთავს შეეკითხა ერთხელ და უცებ გაახსენდა: იქ, მუზეუმის ერთ ოთახში, პატარა სეკრე-ტერის უჯრაში იდო ქალალდის დასტა, რომელშიც აღინუსხა ბერი ზაქარაიას პირუთვნელი და მართალი ღალადისი... იმიტ-ომ ვიცხოვრე, სიმართლე ერთხელ მაინც მეთქვაო, ეს გაიფიქრა, თუმცა ის სიმართლე იქნებ ახალგაზრდა კაცის გუ-ლუბრყვილო ნააზრევია მხოლოდ, ჭეშმარიტების დიადი სვე-ტის მცირედი ანასხლეტი...

ამ ფიქრმა დაიპყრო მისი გონება, იმაზე ოცნებობდა, უკეთ შევიქნები, მუზეუმში წავალ, „პალიმფსესტს“ ვიპოვი და გამოვამზეურებო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ღონე ელეო-და და იმედი ენურებოდა... დრო კი, გრძნობდა ამას, თანდა-თან ელეოდა...

ღამე, სიზმარში, სოლომონი კვლავ გამოეცხადა, ხელი გამოუნდა და მოფერებით უთხრა: „წამოდი, ჩემო ტანჯულო

შვილო, შორი გზა მოგელის!“ „მოვდივარ, მამა!“ — უპასუხა ბერიმ, მაგრამ ველარსად წავიდა, რადგან უცაბედად ნატაშა გამოეცხადა, შემოცისკროვნდა, მისი დაბინდული და მხუთრი საცხოვრისი გაანათა... ნატაშამ გამოუწოდა მაშველი ხელი, ბნელი გვირაბის შესასვლელთან შეაჩერა... „ვის უჩერდები მანდ, ვინ არ გიშვებს სატანჯველიდან?“ — გაკვირვებით ეკითხებოდა სიზმრის სოლომონი. „ნატაშა არ მიშვებს, ნატაშამ მიმაბა წუთისოფელს!“ — პასუხობდა ბერი...

ნატაშა მოევლინა მხსნელად და დასტაქრად, მოახლედ და მომვლელად, დედად და მეუღლედ... ნატაშა ყველაფერი იყო და ყველას ცვლიდა... შეუბოვრად იბრძოდა ასპარეზზე, სადაც გამარჯვება შეუძლებელია, რადგან სიკვდილი გარდუვალია... ჯიუტად აქრობდა სისხლის, ოფლის, ჩირქის ნაკვალევს, ზიზღის გარეშე დაარბენინებდა ღამის ქოთანს, ურეცხავდა და ბანდა, აჭმევდა და ასმევდა და, რაკი ყოველივე ეს ფული ღირდა, თავს აიძულებდა, სამსახურში ბეჯითად ევლო...

სამსახური უფრო ეზიზღებოდა, ვიდრე კოხის ჩხირები. შაბათის ნაშუადღევს მიდიოდა რაიალმასკომში. ნაცრისფერ, უსახურ კაბას იცვამდა, რათა მისი მოხდენილი ტან-ფეხი ნაკლებ მოხდენილი გამოჩენილიყო. თავზე უფერულ მანდილს წაიკრავდა, რათა ოქროსფერი თმა შიგ დაემალა. კოპებს შეკრავდა, თვალს დაბლა დახრიდა, საქმიან იერს მიიღებდა. გზად არავის ესალმებოდა, კარში შესხლტებოდა, კიბეს სწრაფად აირბენდა. ამნაირ საქმეებში გამოჯეკილი მდივანი დაგმარა თუ მარტო იყო, იქედნურად ჩაიღიმებდა, თუ მისაღებში მომლოდინენი იცდიდნენ, კუშტად შეხედავდა, მოიცადეთ, ამხანაგი თავმჯდომარე დაკავებულიაო. მერე კარს მიღმა გაუჩინარდებოდა, კონვერტები და ქაღალდები გამოჰქონდა, აქაოდა, რუსის ამ გოგოს სამუშაოს ვაძლევო, გვერდითა კარს შეუღებდა და იქ, თავმჯდომარის მოსასვენებელ ითახში ჩაკეტავდა.

დურუ გეგიას, რა თქმა უნდა, ან თათბირი ჰქონდა, ან მიღება... დაგმარა ყურში რომ ეტყოდა, მოვიდაო, დურუს უმალ თავგზა აებნეოდა, თათბირს ნაჩქარევად ჩაათოხარიკებდა, მთხოვნელებს სწრაფად დაითხოვდა. მისაღებში მომლოდინეთ დაგმარა აცნობებდა, ტელეფონით თბილის ეთათ-

ბირებაო. დურუ კი, აცუნდრუკებული, ტაოაშლილი, მოსასვენებელ ოთახში შეიძურნებოდა. „Наташа, красавица!“ — აკრუსუნდებოდა... ნატაშა აუჩქარებლად, გულცივად იხდიდა, კაცისაკენ არც იხედებოდა... დურუ ქალის ფერხთით დაიჩოქებდა, მუხლისთავებს უდორბლავდა, კოტიტა, ბანჯგვლიანი ხელებით საცვლებს აძრობდა, გონებადაბნეული წამოაქცევდა და ზედ შეახოხდებოდა. ქალი გაყინული თვალებით ჭერს მიშტერებოდა, ითიშებოდა, თითქოს ეს სულაც არ იყო მისი სხეული, ვიდაც გომბეშოსავით კაცი ჯიჯგნიდა ისევე, როგორც იმ ტკივილიან, შეურაცხმყოფელ სიზმარში, ზიზღის ლორწოვან მოგონებაში რომ ეძინა. ახლაც გული ზიზღით ევსებოდა, ხვადის ჟინიან მოძალებას არანაირად არ პასუხობდა, გვამივით ეგდო, მორჩილი და ყოვლისმთმენი, რათა ამ შენირვით ბერის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა, ბერისათვის თხის რძე, თხის ყველი, თხის ხორცი ეყიდა.

მერე უკან მოიჩქაროდა, შერყვნილი, შებლალული, ჭუჭყიანი... გზად აბანოში შეივლიდა, მთელი საათი იხეხავდა, იბანდა, ვინძლო გომბეშოს ლორწო ჩამოერეცხა, თუმცა გრძნობდა, ამ ჭუჭყს ვერა წყალი ვერ ჩამობანდა... ცხელი შხაპის ნაკადს მისი ცრემლებიც მიჰქონდა და ბოლოს, დაწყნარებული, წელანდელ თავგადასავალს დავიწყების ბეჯეთში ჩაუშვებდა... ვითომც არაფერი გადახდენოდა, ვითომც ბენელი სიზმარი ყოფილიყოს მხოლოდ. ცხადი კი, აგერ, ჯიბეში ედო, ზუსტად იმდენი, თავიც და ბერიც ერთი კვირა ერჩინა...

სამი წელი აცოცხლა ნატაშამ ბერი ზაქარაია, სამი წელი ზიდა ეს საშინელი ტვირთი, სამი წელი იარა მსახურების სიწმინდესა და სიძვის ჭუჭყს შორის, სამი წელი გაუძლო ნებაყოფლობით მონობას... დაილია, გახდა, გაიცრიცა...

— განთავისუფლებ! — უთხრა ერთ დღეს ბერიმ.

სოლომონი, მამამისი იხმობდა დაჟინებით... იცოდა ბერიმ, სიცოცხლის ნაწილი წაართვა ყმაწვილქალს, მისი სიცოცხლით იცოცხლა თვითონ, საკუთარი ტანჯვის ნაწილი მასაც უწილადა და მადლიერებით ახედა:

— განთავისუფლებ! იმ ქვეყნად უფლის ტახტან თუ მიმიშვეს, მაღალ მსაჯულს მოვახსენებ, რომ საწუთროში

დავტოვე წმინდანი, რომელმაც დავრდომილის გადასარჩენად ყველაფერი გაიღო! შენს ნათელ ხატებას თან, მარადისობაში წავიყოლებ! ნატაშა, მზის სინათლევ, განთავისუფლებ!

ამას იგი ფიქრში ლაპარაკობდა, რაკი არ შეეძლო ხმის ამოღება... სოლომონი, მამამისი კარიბჭესთან ელოდებოდა, ხელს უწვდიდა... მამის ზურგსუკან ბერიმ დალანდა ნაცნობი სახეები — გერა კვარაცხელია, ნესტორ თოდუა, მართა... „მოდი, შვილო!“ — სიყვარულით მოიხმო სოლომონმა. „მოვდივარ, მამა!“ — უპასუხა ბერიმ და წავიდა...

## 6

თითქოს უცხო ქალაქში ჩამოსულიყოს, ადგილი ვერ ეპოვა არიქას. მისი თანაკლასელ-თანაკურსელები ან მიმოიფანტნენ, ანდა თავს არიდებდნენ ქუჩაში კოჭლობით მიმავალს. იქნებ თვითონ ეგონა ასე, იქნებ სულაც ველარა ცნობდნენ და იმიტომ არ უჩერდებოდნენ. ეჩვენებოდა, გამვლელთა ეჭვიანი თვალები ზურგს მიბურღავენო და ქუჩიდან გაქრობას ესწრაფოდა. ოლონდაც, შინაც ვერ ჩერდებოდა. დედა ერთ ჩაბნელებულ სახინკლეში ჭურჭელს რეცხავდა, დაღლილი, მისავათებული შინ გვიან ბრუნდებოდა, მორჩენილი ქაბაბი და ხინკალი, დაჭრილი პურები მოჰქონდა, ამას თვის ბოლოს მწირი ხელფასი ემატებოდა და ამით ირჩენდნენ თავს. რცხვენოდა, რაკი ძველებურად დედის ხარჯით ცხოვრობდა, ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდა და პაპიროსის ფულიც ისევ და ისევ დედისათვის უნდა ეთხოვა... მართალისთან თუ შეივლიდა ხანდახან, ეფროს მოწინებით მოიკითხავდა, პატარა ქრისტეშიას მოესიყვარულებოდა, უღიტინებდა, ააკისკისებდა. ეფრო სადილზე ეპატიუებოდა, მაგრამ არიქა უარობდა. ამზუთას ვისადილეო, ცრუობდა, რადგან ხედავდა, ამათაც რომ უჭირდათ, ეფროს კაპიკიანი პენსია რამდენ რამეს უნდა გასწვდენდა. სოფლიდან მაროს მიერ ხანდახან გამოგზავნილი ჭირნახულით თუ ითქვამდნენ სულს. მართალისაც ვერ ეშოვა

სამსახური, თუმცა მართალის კაი ხელი ჰქონდა და, პირველად შოთა რუსთაველის პორტრეტი წიგნიდან რომ გადმოხატა, თან ფერებით გააცოცხლა, ბაზრის მოვაჭრე შალიკო ურიამ ხუთი თუმანი არ დაიშურა და ისიც უთხრა, დაგენაცვლე, შენ ხატე და მე გაგისაღებო...

— მერედა მოსულიყავით ჩემთან! — როყიოდ თქვა დურუ გეგიამ.

— შენთან მოვსულიყავი? — ამრეზით ახედა არიქა ძაძუამ, პირი ფანჯრისაკენ მიაბრუნა.

მატარებელი აუჩქარებლად მიჩოჩავდა. გარემოს სადა ფერებში ხანდახან სუროშემოხვეული, ბებერი თხმელა გაერეოდა ანდა ოქროსფერი ნაყოფით დახუნდლული ხურმა. სოფლები მიტოვებულსა და გაძარცულს ჰგავდა. იშვიათად თუ გაიელვებდა კენტი ძროხა ან შეცივნული ბავშვი, ჭიდან შინისაკენ წყალს რომ მიარბენინებდა.

მეზობელ კუპეში პატარა ტიროდა, ბალლინჯოს ნაკბენი ექავებოდა და ვერ ითმენდა.

მოკლე გზა აპაშიდან სენაკამდე კარგა ხანს ვერ მოილეოდა...

არც არავისთან მისულა მაშინ არიქა, ვერ იკადრა, რადგან მის გულში ზიზღის ტალღა მიმოირხეოდა და დიაგნოზი, რაც მან დურუს დაუსვა, საბოლოო და უცვლელი იყო.

მართალი კი მივიდა, მაგიდაზე განცხადება დაუდო. ნებართვას ითხოვდა, თავისი სახლის ლია სარდაფი ამოეშენებინა და „სამხატვრო“ გაეხსნა. მივიდა არა იმიტომ, ძველი მეგობრობის უფლებით ესარგებლა, არამედ თანამდებობის პირთან, ვისაც ევალებოდა სათანადო ნებართვის გაცემა... დურუ გეგია საშინლად განითლდა, დაიბნა... თვალს ვერ უსწორებდა, რაღაცას ეძებდა მაგიდის უჯრებში და საუბარი ვერ აეწყო. განცხადებას რეზოლუცია დაუხანებლად დაადო, ტექსტი წესიერად არც წაუკითხავს, მერე ფინგანს დაურეკა, ესა და ეს კაცი, ჩემი თანაკლასელი „სამხატვროს“ ხსნის და, შენ იცი, ზედმეტად ნუ შეაწუხებ, კანონის მინიმუმით დაკმაყოფილდიო. მერე კულტურის განყოფილების გამგეს შეეხმიანა, ამა და ამ კაცს ამა და ამ საქმეში ხელი გაუმართე, საჭირო

მასალა და დახმარება აღმოუჩინე, თანაც გაიცანი, ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვარია, ნიჭიერებას კი სანთლით ვეძებ-თო... მთელი ამ ფაციფუცის დროს მართალი უხმოდ იჯდა და გული საცოდაობით ეწვოდა, რადგან კარგადაც ხვდებოდა, დურუს რა სნებაც შეჰყუროდა... დურუს ქალალდიდან თავი არ აუღია, ხელი ისე გამოუწოდა, ყველაფერი, როგორც შენ გინ-და, ისე გაკეთდება, ოღონდ ახლა მომიტევე, რაიკომში გავრბი-ვარ, თათბირზე, სხვა დროს შემოიარე, ვიჭუკჭუკოთ, ძველი ამბები გავიხსენოთ.

სხვა დროს იქ მართალი არ მისულა, ისედაც ნათელი იყო, რომ რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა აღმასკომის თავმჯ-დომარე საჭუკუკოდ ვერ მოიცლიდა. მისმა დარეკვებმა კი კეთილი შედეგი გამოიღო, ფინგანი კანონიერების არტახებში ჩაეტია (სანამ ფინაგენტი მიხვდებოდა, რომ მართალი საჩივ-ლელად არსად გაიქცეოდა!), კულტურის განყოფილება კი ამ საეჭვო მხატვარს იმითვე ეხმარებოდა, რითაც სხვებს, რომელ-თა ლოიალობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, რადგან მათი ფუნჯებიდან მხოლოდ და მხოლოდ ჭრელი ყვავილნარი და ჩაის ზურმუხტოვანი პლანტაციები იღვრებოდა...

— უნდა წავიდე, დედა! — არიქამ ქვეშქვეშად გახედა ფუცუს. — რამდენ ხანს უნდა ვეგდო უსაქმოდ, შენი ხელფა-სის შემყურე!

— სად უნდა წახვიდე, შვილო? — ხელები შიშიანად გაასავსავა ფუცუმ. — შენმა ლოდინმა დამღალა, ახლა კი ისევ მიდიხარ! იქნებ სცადო, ინსტიტუტში აღიდგინო თავი...

— თოთხმეტი წლისა, კომკავშირში რომ მღებულობდნენ, ბედნიერი ვიყავი. მეგონა, კაცი ვხდებოდი, დიადი საქმეების შემოქმედთა რიგში ვენერები-მეთქი. პირველმა კომკავ-შირულმა კრებამ იმედი გამიცრუა, იქ ყოველ სიტყვას სიყალ-ბის დაღი ესვა... ამ განწყობილებით ინსტიტუტში ვინ შემიშ-ვებს? არა, დედა, მე ნაციხარი ვარ, ბოროტი ხულიგნობის მუხ-ლით გავდიოდი. შენც ხომ კარგად იცი, რა ხულიგანიც მე ვიყავი. პოდა, გამისკადა გული ბოლმისაგან! ინსტიტუტში ამ ბოლმიანი გულის პატრონი უნდა ვიჯდე და ვუსმინო, პარტის-ტორიის ლექტორი ლაუვარდოვან მომავალს როგორ მიმომიხ-

ატავს... დამეკარგება მოთმინება, წავეკინკლავები და ისევ იქ მიკრავენ თავს, საიდანაც ჩამოვედი...

— ეჱ, შვილო, რატომ არ შეგიძლია, იცხოვრო ისე, რო-გორც ყველა ცხოვრობს?

— ამისთვის ინსტიტუტი რა საჭიროა, დედა? ადამიანთა უმრავლესობა თავისი მარჯვენით ირჩენს თავს. წავალ აგერ, ხურჩაჲესი შენდება, აქედან ორი ნაბიჯია. ხომ იცი, ვირის მუშა ყველგან საჭიროა. მეც ვიმუშავებ, ცოტათი ფულს გავაკეთებ, შენც შეგიმსუბუქებ მდგომარეობას. ამასობაში იქნებ მეც გად-ამიაროს წყენამ, გული გადამენმინდოს და, ვინ იცის, იქნებ მთლად ცეკას მდივანიც კი გავხდე!

ხურმობა ნაძალადევი გამოუვიდა, ღიმილში ტანჯვა იკითხებოდა.

ფუცუმ დარდი გულში ჩაიმარხა, იცოდა, ვერ გადა-ათქმევინებდა, მცირე საგზალი და საცვლები გაუმზადა.

— ნაპატიმრალის ბამბურათი გავემგზავრე იქ, სადაც ხურჩა გამოედინება ვინრო კლდეებიდან. პროექტი გრანდიო-ზული იყო, დიდი ფული იყრებოდა და მუქთამჭამელიც ბუზი-ვით ეხვია. რამდენი რკინა და ცემენტიც კაშხალში იდებოდა, სამი იმდენი აქეთ-იქით მიედინებოდა. ერთხელ რესპუბლიკის პირველი პირი ჩამოვიდა. პირმრგვალი, პუტკუნა კაცი იყო. ხელები ზურგსუკან შემოეწყო, მოკლე ფეხებით დარბაისლუ-რად დააბიჯებდა. ჩინოსანთა ლაშქარი ფეხდაფეხ მისდევდა. ვიღაცამ ჩასჩურჩულა — „იპარავენ, ამხანაგო მდივანო, მთე-ლი რეგიონი აქაური მასალით აშენდა!“ გულკეთილად გაიღი-მა პირველმა — „ამ სახლებს ზურგზე ვერავინ მოიკიდებს, საფლავში ვერავინ ჩაიტანს, შთამომავლებს დარჩებათ!“ მა-შინ მე გავიფიქრე: „გეშინოდეს გულკეთილი ბატონის, იგი თავისი გულკეთილობით კანონზე მაღლა დგება, რათა ერთე-ულებს აამოს, ამით კი ყველა დანარჩენი ზარალდება!“

ბრეჟენევის ეპოქა დადგა, ეპოქა გულკეთილი კაცისა...

მანამდე ხომ სამი წელი ზონაში იჯდა, მომდევნო სამი წელი აქ გაატარა, ხურჩაჲესის მშენებლობაზე და ეს ცხოვრება ოდნავ თუ სჯობდა პატიმრისას. ყოველდღე ქუჩაში მიმა-ვალს უბნის რწმუნებული გელანტია შემოყრებოდა და თითს

დაუქნევდა: „ჭკვიანად იყავი, იცოდე!“ კომკავშირის ქოთქოთა მდივანი ვასიკო წერეთელი, საქმიანი იერით რომ გარბი-გამორბოდა, გზა-გზა დააგდებდა: „დაწერე განცხადება, კო-მკავშირში აღგადგენთ! არ გინდა კომკავშირი?“ „ნაპატიმრა-ლი ვარ!“ — უპასუხებდა. „მერე რა? ხომ გამოსწორდი?“ ანდა „ხომ გამოსწორდები?“ ამან კი არ იცოდა, როგორ გამოსწორებულიყო... კადრების უფროსმა ისიდორე ეხვაიამ, პარტკო-მობასაც რომ ითავსებდა და ლენინის ტომების შტუდირებით მოჰკონდა თავი, ამრეზით ახედა, ყველა სიკეთესთან ერთად კოჭლიც ყოფილხარ, სად გაგამნესო, რა საქმეში ივარგებო... არიქამ პავკა კორჩაგინის შემართებით უპასუხა, სადაც ყვე-ლაზე ძნელიაო. „გაუძლებ?“ — ეჭვით ახედა ეხვაიამ. „ცვილ-ისა არა ვარ!“ ჰოდა, ბეტონში უკრა თავი, უფრო სწორად გვი-რაბში, ბეტონის სამუშაოზე.

სამი წელი იმუშავა სამ ცვლად. დღისით კიდევ არა უშავ-და რა! დილაუთენია ადგომას ჩვეული იყო, ზონაში მიაჩივეს. ზაფხულობით მზეს ასწრებდა. ზამთრობით ყიამეთ ბნელში ჯდებოდა ავტობუსში. ძილი არა ყოფნიდა და გვირაბის ხახას მოთენთილი და უღონო მიადგებოდა. რა ამინდიც უნდა ყო-ფილიყო გარეთ, აქ სულ ერთნაირად, თბილად უნდა გცმოდა, რადგან ნესტით გაჯერებული ჰაერი ურულას გგვრიდა... მანქანებს მოჰკონდა აზელილი ბეტონი, ნიჩბებითა და ჯალამ-ბრებით უნდა ჩაესხათ კედლებსა და გუმბათზე და მკლავის ღონე ძლივსა ჰყოფნიდა, მტკივანა ფეხი ვეღარ უძლებდა, სა-ხსრები უბუულდა... და მაინც გაძლება შეიძლებოდა, რადგან ხუთ საათზე უკვე შინ ბრუნდებოდა, საერთო საცხოვრებელ-ში, ხელ-პირს დაიბანდა, ტანისამოსს გამოიცვლიდა. თუ ძა-ლიან იყო დაღლილი, ლოგინზე ნამონვებოდა და წიგნს გადაშ-ლიდა, უფრო შექსპირის პიესებს, არადა, საკმარისი დრო რჩე-ბოდა კინოსთვის, ბიბლიოთეკისათვის, მეგობრებისთვის...

საღამოს ცვლა ხუთ საათზე იწყებოდა და ღამის თორ-მეტზე მთავრდებოდა. დღისით კი რჩებოდა მცირე დრო წიგ-ნის ნასაკითხად, თუმცა ბეტონთან ნაომარს რა ეწიგნებოდა, ძილად მიეგდებოდა და ატკივებულ სახსრებს იშუშებდა. დრო ისე სწრაფად გაირბენდა, ტკივილების გაყუჩებას ვეღარ ასწრებდა.

ღამის ცვლა სასჯელად და ჯოჯოხეთად იყო მოგონი-ლი. დაძინებას ვეღარ ახერხებდა. როცა თვალი ეხუჭებოდა, მანქანის პიპინი მაშინ ნამოაგდებდა ლოგინიდან. სწრაფად იცვამდა, გულამოვარდნილი, ბნელში მირბოდა ავტობუსისაკ-ენ, მოიკუნტებოდა ცივ სკამზე და აძაგაგებდა... მერე ისევ ნიჩაბი, ისევ ჯალამბარი, ისევ ბეტონის მძიმე ხსნარი, წელის წყვეტა, ხელ-ფეხის ტკივილი... და ასე გათენებამდე, როცა გინდა სადმე მიეგდო და ერთხელ და სამუდამოდ მოკვდე. შინ მიმავალს ავტობუსში ძილი თავს წაგართმევს, ლოგინში ჩაწვები და გაგიფრთხება. აგტკივდება თავი, კეფაზე სალტე გიჭერს, საფეთქლებზე გადმოდის და იწყებ ჩუმ კვნესას... ადგები, გაისეირნებ, ჰაერს ჩაყლაპავ და უკვე დაღამებულა, საათის ისარი მიიჩქარის, დაღლილი, უძინარი კვლავ ელოდე-ბი ღამის ცვლის მანქანას...

სამი წელი, როგორც სამი დღე, ამოიხვეტა, გაქრა ცხოვ-რებიდან... კომის ტაიგაში გატარებულმა დღეებმა მეტი ხნუ-ლი გაავლო მეხსიერების ყამირზე. იმ პირველ საპატიმროში უფრო ბედნიერი იყო არიქა, რაკი დღეებს ითვლიდა და ფიქ-რობდა, თავისუფლებას ვეღირსებიო. ელირსა კიდეც და აღ-მოჩნდა, თავისუფლების ეს საათები და დღეები თითებშუა სილასავით დაილია და არაფერი დარჩა, გარდა ზიტასთან გა-ტარებული მოკლე და ნაჩქარევი წუთებისა...

მეტად უცნაური გოგო იყო ზიტა. გამორჩეულად ლამა-ზიაო, არ ითქმოდა, მაგრამ მიმოხრა ჰქონდა — რაღაც გა-იზმორასავით და ამ დროს თვალები ჩაებინდებოდა, ლოყები წამოეფაკლებოდა და დიდი მიხვედრა არ იყო საჭირო, რომ ზიტას წარმოსახვაში კაცი შიშვლდებოდა. ოღონდაც, ასე მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ზიტა ვინმეს თვალს დაად-გამდა. არადა, მავანს თავისი წონა ოქრო ფეხქვეშ რომ დაეპ-ნია, ზედაც არ შეხედავდა. ვერავინ ხვდებოდა, რა საზომით ზომავდა კაცებს, რატომ იწუნებდა ვაჟკაცებში გამორ-ჩეულებს და არ იწუნებდა თუნდაც არიქასნაირ კოჭლსა და ხეიბარს.

გაცნობა ადრე შედგა, მერეთული არეულობის წელს. მართალიმ წარუდგინა მოელმო გოგო, დაასაქმეო, სტალინის

პორტრეტების აღმა-დაღმა ტარება იგულისხმებოდა, ხოლო ზიტამ უმალვე შინაურულად მკლავზე ხელი გამოსდო არიქას, თვალი ჩაუკრა და ჩასჩურჩულა: ვეცადე, ეგ შენი უკარება ძმაკაცი შემება, მაგრამ, ალბათ, ბერად აღკვეცას ეპირებაო, და გულიანად ჩაიკისეისა. არიქას ძარღვებში მხურვალებამ დაუარა, თუმცა ქალისათვის ეს არანაირად არ უგრძნობებია. მუშათა პატარა დაბაში სასადილოს ოფიციანტად რომ იხილა, ის ხანმოკლე გაცნობა გაახსენდა, ქალის გამომწვევმა კისეის-მა მეხსიერებაში გაიუღერა და გაიფიქრა, ბერად აღკვეცას ნამდვილად არ ვაპირებ და შანსს ხელიდან არ გავუშვებო.

უთქმელად იყო მიღებული ჩხერიაჰესის მშენებლებში, ზიტა თვითონ ირჩევდა ვინაც ეპრიანებოდა და ამას ვერავინ დაუშლიდა. ამჯერად არჩევანი არიქაზე შეჩერდა და, ბუნებრივია, როგორც კი თავისუფალი საღამო გამოჩნდებოდა, ჭაბუკი ქალის ერთოთახიანი ბინის კარზე აკაკუნებდა. იმ კარს მიღმარაც ხდებოდა, არავისი საქმე არ არის, თუმცა იმის აღნიშვნა შესაძლებელია, რომ ბედნიერებისათვის ცოტა რამაც კმარა, მაგრამ ბედნიერ წუთებს არავინ გაგვიხანგრძლივებს, მით უფრო იმათ, ვისაც სამი წლის მძიმე შრომის წილ ჯილდოდ ბრან-ნი ერგო, მანეთი მანეთს ვერ მიაწება, თუნდაც იმისთვის, ხან-დაზმული დედა რომ ერჩინა... ამაზე ფიქრი შხამად ეწვეთებო-და ტვინში და ერთხელ, საყოველთაო ქურდობისა და ტაციო-ბის უამს, როცა სალაროსთან მივიდა და ხელფასი დაითვალა, ბრიგადის ბიჭებს უთხრა: „როდემდე უნდა ვითმინოთ ასე? იქნებ ხმა მაინც ამოგველო?“ გაკვირვებით შემოხედეს: „ვი-ჩივლოთ?“ „არა, გავიფიცოთ!“

გაფიცვა? ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში? იქ, კრემ-ლის დიდ კაბინეტში ლეონიდ ილიჩი ღამებს თეთრად ათე-ნებს, რათა ბედნიერი მომავალი გამოგვიჭედოს და ამ დროს გაფიცვა?

ეს იყო მხოლოდ სიტყვა და მეტი არაფერი! ითქვა და ჰაერში გაფრინდა. ყველამ თავისი მათხოვრული ხელფასი ჩაიდო ჯიბეში, ყველა თავისი გზით წავიდა — მოტყუებული, გულგასიებული და ამავე დროს უტყყი... მაგრამ მათ შორის ერია ერთი, მავანი, უსახელო, რომელმაც სიტყვა ძირს არ

დააგდო, უბეში შეინახა და სათუთად მიიტანა იქ, სადაც მსგავ-სი სიტყვების ფასი იციან.

ეს დღე იყო და გართულდა ცხოვრება, მომრავლდა ოფო-ფები... გრძნობდა, რომ აედევნა უჩინარი ლანდი, პირდაპირი გაგებით კი არა, მსტოვარი თვალითაც არ უნახავს, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა საიდანდაც განუწყვეტლივ უთვა-ლთვალებდა. არადა, სად დადიოდა? ვეირაბში, საერთო საც-ხოვრებელში, სადაც ოთახში მასთან ერთად სამი ამხანაგი ცხოვრობდა, სულ დარჩეული ბიჭები, მისი გულისათვის თავს რომ განირავდნენ, და კიდევ ზიტასთან...

ერთხელ ქალთან შეაგვიანდა, კიბეზე კოჭლობით და-ეშვა. ცოტათი ნასვამი იყო, სულ რაღაც ორი-სამი ჭიქა და-ლია. ანეულ, მხიარულ გუნებაზე დადგა და გზიდან ახედა ფან-ჯარას იმ ოთახისა, სადაც წუთის წინ ეფერებოდნენ.

მთვარიან, კაკაჩა ღამები ასფალტი პრიალებდა, ხეებზე ფოთლები ვერცხლით ბრწყინავდა და, როგორც ყვავილნარი-დან უხსენებელი, ვერცხლისფერი ტოტნარიდან ლანდი გა-მოძრა, წინ გადაუდგა.

— ჰაპიროსი გაქვს, ჯიგარო?

ცუდი იგუმანა არიქამ, შინაგანად დაიძაგრა. ჰაპიროსი გაუნოდა, იმან კი ხელი აუკრა და ბოროტად დაუსისინა:

— ბოზებში დაიკვანწები, ჯიბეში კი „პრიმა“ გიდევს, შე ახვარო?!

თავი ინსტინქტურად გასწია და ზედ ყურთან უროსაცით მუშტმა გაიშხუილა. ნაბიჯის უკან გადადგმა ვერ მოასწრო, ორნი ამოუდგნენ აქეთ-იქით, გაქაჩეს, იმ ჰირველმა კი ამჯე-რად მიზანში მოარტყა, ცხვირ-პირი მოუნგრია... დარტყმა და ხელის შეშვება ერთი იყო, არიქა ზურგით ღობეს შეელენა, საშინელმა ტკივილმა თხემით დაუარა, იგრძნო, გონებას კარ-გავდა.

ზევით, მეორე სართულზე ფანჯარა გასკდა და ზიტას კივილმა ღაფებრინა:

— მილიცია, მილიცია!

მერე მართლაც დაკარგა გონი, ცხადი და სიზმარი ერთ-მანეთში აერია. ზიტას ხმას სხვათა ხმები გადაეწნა... სტაცეს

ხელი და სადღაც მიათრევდნენ, ის კი უძალიანდებოდა... მანქანა ღმუოდა და ჯაყჯაყებდა... ისევ მიათრევდნენ და ბოლოს კაშკაშა სინათლე თავზე გადმოეღვარა, გამოფხიზლდა.

სკამზე ეგდო ჩვარივით.

— გონს მოხვედი?

გაკვირვებით მიმოიხედა... კედელზე ლეონიდ ილიჩის პორტრეტი ჰკიდია, მაგიდას უბნის რწმუნებული გელანტია უზის და თანაგრძნობით ათვალიერებს.

— აი-აი-აი!.. — თავს აქნევს გელანტია. — ამორალური ქცევა, ლოთობა, დებოში... ვინმემ რომ შემოგხედოს, ჭიანჭველას არ აწყენინებ! იმის მაგიერ, რომ იშრომო, ისწავლო, კაცი გამოხვიდე, ქუჩას იკლებ, ჩხუბობ, მოქალაქეებს სცემ არ გინდა, კაცი გამოხვიდე?

არიქამ თავი ასწია (ნაცემი სახე უხურდა!), გელანტიას თვალი გაუსწორა:

— არ მინდა!

— რა არ გინდა?

— კაცი გამოვიდე!

— არ გინდა და ნუ გინდა! არ დაგავიწყდეს, უკვე იჯექი ბოროტი ხულიგნობისათვის! საქმეს რომ მსვლელობა მივცე, ოჟო, იცი, რამდენს მოგაკერებენ? მიმადლოდე, თხუთმეტ „სუტკას“ რომ გაკმარებ! წადი ახლა და ეჩხუბე ცოცხს მერე-თის ბულვარში!

არიქამ თვალი დახუჭა. გულ-მუცელი ეწვოდა, პროტესტის გრძნობა ყელს აწვებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, ახლა, ამწუთას აზრი არ ქონდა ამბოხს, ამ ქვეყანაში პროტესტი არაფრად ფასობდა, მხოლოდ დუმილით შეიძლებოდა თავის გადარჩენა.

დადუმდა, თავის ნაჭუჭჭი ჩაიმალა. ეკითხებოდნენ, ის არ პასუხობდა, ემუქრებოდნენ, დასცინოდნენ, ის მაინც ჩუმად იჯდა, კბილს კბილზე აჭერდა.

მილიციის მანქანით მერეთში ჩაიყვანეს და საკანში ჩააგდეს. არახალი იყო მისთვის ეს ამბავი და უთქმელად იტანდა.

მეორე დღეს, ხელში რომ საგველი მისცეს, მისნაირ პატიმართა მწკრივში ჩააყენეს და ნეშოს დასაგველად ბულვა-

რის გზას გაუყენეს, წინ მიმავალი ბერიკაცი შეათვალიერა და მაცხოვრისგორის „სტალინიანა“ გაახსენდა.

— ბესა ბიძია, ისევ პატიმრებში ითვლები?

ბესამ ჩაიცინა, ეჰეჰე, გამოუსწორებელი ხულიგანი ვარ, ჩემი ენა მღუპავსო.

ცხადია, ვერ ცნობდა ჭაბუკს და ამას არ ამხელდა. გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ ბილიკს, ნეშოს ხვეტავდნენ და სიცილ-სიცილ ტუტუნებდა ბესა:

— ისა ვთქვი, ჩემო იმანო, ეს ქვეყანა საპყრობილეა, გინდა გარეთ იყავი, გინდა შიგნით, ციხეში, მაინც ერთი ფასი აქვს-მეთქი. მაშ, თუ სულ ერთია, თხუთმეტი დღით ჩაგვიჯექიო, მოწინებით მთხოვეს... უფრო იმიტომ, ქალაქში მენაგვეები შემოაკლდათ, ბულვარი წესიერად ვერ დაუგვიათ. არადა, ყური მოვკარი, ჭორი დასარსალებს, დიდი კაცი აპირებს ჩვენკენ გამოსეირნებასო. რაკი დიდი კაცი ჩამოვა, სხვა რა გზაა, უნდა ვხვეტოთ! რა ეშველებოდა ქვეყანას, ჩემნაირი ხულიგნები რომ არა ჰყოლოდათ, ნეხვში ჩაეფლობოდა...

სწორედ იმ ისტორიული მოვლენის წინა დღეები გახლდათ, როცა ქალაქში მართლაც ჩამოვიდა დიდი სტუმარი და ლეონიდ ილიჩმა და დურუ გეგიამ ბაგე ბაგეს შეაწებეს...

7

— ჩვენნაირი ხულიგნები რომ არა ჰყავდეთ, ნეხვში ჩაეფლობოდნენ, ალბათ! — გაიმეორა ბესა ქირიამ და ხის ფოთლები, პაპიროსის ნამწვი, ქალალდის ნაგლეჯები საგველით წინ გაიყოლია.

არიქა გვერდით მისდევდა.

— შენ ახალგაზრდა ხარ! — განაგრძო ბესამ. — გატყობ, გერცხვინება, საგველი რომ გიჭირავს და მთელი ქალაქის თვალწინ ატრიალებ! ამაზე გეტყვი: ბულვარის დაგვა სულაც არაა სამარცხვინო, ბულვარი ყველასათვის სუფთა და გაკრიალებული უნდა იყოს. ადამიანი რომ გამოისეირნებს, თვალს

გაახარებს. ისიც საკითხავია, ჩვენი მდგომარეობა ჯობს თუ იმათი, აგრე, იმ კაბინეტებში უკანალს რომ ისქელებენ და მხოლოდ იმაზე არიან დაგეშილნი, ქვეყანას რა წაგლიჯონ. ადამიანები ორნაირი უქნია ღმერთს, ერთში მეტია ცხოველი, მეორეში მეტია უფლისა. ის, ვინც მხოლოდ საკუთარ უკანალზე ზრუნავს, ცხოველების განსახიერებაა, ის კი, ვინც კაცობრიულზე ზრუნავს, ვინც თავის არსებობას მარადიული ზნეობრივი თარგით ზომავს, ვინც უფალს მიელტვის, ჭეშმარიტი ადამიანია. პირველი მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური არსებებია, რომელიც იმისათვის ცხოვრობენ, რომ იცხოვრონ. ასეთები უნდა შეიძრალო, რამეთუ არ უწყიან მიზანი საკუთარი არსებობისაა...

— ჩვენ ეს მიზანი ვიციოთ?

— ჩვენ? — ბესა საგველის ტარს დაეყრდნო, სიბერისა-გან დაჩამიჩებული, მიწისაფერი სახე თითქოს შიგნიდან გაუთბა. — ჩვენი მიზანი უბრალოა — სამყარო უკეთესი გავხადოთ!

— როგორ?

— აი, ამწუთას ბულვარს დავგვით და იგი უკეთესი გახდება! — გაიცინა ბესამ და მუშაობა განაგრძო.

— იტლიკინე, იტლიკინე! — ზანტად გამოეხმაურა მილიციელი, ჭადრის ტანს რომ მიყრდნობოდა და მოწყენილობის ჭია მთქნარებისაგან ყბებს უნგრევდა. — ენა რომ გაქვს ლაქარდივით, იმიტომ გიჭირავს ეგ ცოცხი! გატყობ, ისე შეეგუებატიმრობას, გარეთ გასვლა გიძნელდება!

— სწორი ხარ, ჯიმა! — ბესამ პატიმრებს თვალი ჩაუკრა.

— ისე, კი მეკუთვნის ერთი მედალი, მე ხომ ვეტერანი პატიმარი ვარ, ჩვენთან კი ვეტერანები დიდ პატივში არიან!

— ჰოჰოჰო, მედალი ხანგრძლივი და ბეჯითი პატიმრობისათვის! — აროხრობდა ერთი.

— წარჩინებული პატიმრობის სიგელი! — ჩაურთო მეორემ.

— სოციალისტური შრომის პატიმარი! — გასძახა მესამემ.

— პატიმრობის ორდენის კავალერი! — შეაწია მეოთხემ.

პატიმრებს სიცილმა გადაუარა.

— იცინეთ, იცინეთ! — თქვა ბესამ. — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ჰუმანური და კეთილი გახდა ჩვენი ქვეყ-

ანა. ამ ჩემი ამოსაგლეჯი ენის გამო პირველი პატიმრობა რომ მომაკერეს, ოჟო, ასეთ სიცილს ვინ გაბედავდა, გაიცინებდი და შენი მტერიც გაიცინებდა. აი, მაშინ იყავი პატიმარი, თუ იყავი! აბა, თხუთმეტი „სუტკა“ რა პატიმრობა? თფუ! ეს კურორტია, დასვენებაა, იდექი და ისუნთქე სუფთა ჰაერით! — ბესამ ღრმად ჩაისუნთქა და თვალები ნეტარებით მოჭუტა.

ქალაქი კი ამ დროს ჩვეული რიტმით ცხოვრობდა. ქუჩებში ხალხი მიმოდიოდა. ვაჭრები ვაჭრობდნენ და გეგმებს ასრულებდნენ. პროლეტარები ფაბრიკებში მუშაობდნენ და, ცხადია, ესენიც გეგმებს ასრულებდნენ. მეჩაიები ჩაის კრეფენ და, რაღა თქმა უნდა, თუ ვინმე ასრულებდა, სწორედ ესენი ასრულებდნენ გეგმებს გადაჭარბებით (ტაში მათ!)... უსაქმური პენსიონერები ბულვარში ჩაისეირნებდნენ ანდა ისხდნენ ბალის სკამებზე და „კომუნისტს“ ჩაჰკირკიტებდნენ, ხანდახან პატიმრებისაკენ ალმაცერად გამოიხედავდნენ, უკვირდათ, რომ ამ დალაგებულ, ბედნიერ ქვეყანაში ვიღაცა არ ისვენებს, ხულიგნობს, საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს... ბებიები და დედიკოები პატარებს დაატარებენ, თან, ალბათ, ყურში ჩასჩურჩულებდნენ, ფრთხილად იყავით, ეს ძიები ამუნიებიაო... კინოთეატრ „ოქტომბერის“ შესასვლელთან ხორხოცი ისმოდა. აქ თავს იყრიდა ქალაქის ახალგაზრდობა, ყველა თავის ჭიას ახარებდა, დროს კლავდა... კინოაფიშის გვერდით ყრუ კედელზე ჩამინული სტენდი მოეწყოთ. ხელნაწერი გაზეთის თავზე მსხვილი, ფერადი ასოებით ეწერა: „ვინც ჩვენ გვარცხვენს!“ კომკავშირულ სამკერდენიშნიან პირმრგვალ ახალგაზრდას კალამი შუბივით მოუმართავს და მრისხანედ გამოსდევნებია თავზარდაცემულ ხულიგნებს, რომელთა ფოტოსიფათებისათვის მხატვარს ჭრელი ტან-ფეხი მიუხატავს. სწორედ ამ ტან-ფეხით უნდა გამოხატულიყო „შიში“ და „თავზარდაცემა“, რაკი მილიციის უნიჭო ფოტოგრაფის მიერ წაწვალებ შავ-თეთრ ფოტოზე ვერც ბესა ქირიას ლმობიერი სახე ამოიცნობოდა, ვერც არიქა ძაძუას ბრაზიანი გამოხედვა.

— „ვინც ჩვენ გვარცხვენს!“ — ხმამაღლა ჩაიკითხავს ყოვლისდამჯერე გამვლელი. — „ამათ კიდეც ელოლიავები-

ან, დახვრიტო უნდა!“ — გულში გაივლებს, რადგან იცის, დახვრეტის გარეშე საზოგადოებრივ მუნუკს ვერ ამორწყავ, კომუნიზმის დიად მომავალში ვერ შეგრიალდები... მაგრამ არიან მცირედნიც, ურნმუნო თომანი, რომლებიც ჩაიცინებენ, მხრებს აიჩეჩენ და შინ მიეშურებიან. ამათ მაშინაც არა სჯერათ, როცა მთავრობა ცამდე მართალია. მთავრობამ რომ განაცხადოს, დღე ნათელია, ღამე ბენელიო, ამასაც არ დაიჯერებენ, თუმცა არას იტყვიან, რადგან არავინ უნყის, რა არის ბნელი და რა არის ნათელი, მთავრობის მუშტი კი მძიმე და დაუნდობელია.

„ვინც ჩვენ გვარცხვენს!“

აგერ მოიკვანნება ზიტა, რომელიც კი გვარცხვენს, მაგრამ საამოდ საცქერია. ამ სასიკვდილეს ისეთი გამჭვირვალე კოფთა აცვია, თეთრი ლიფი გამოანათებს, ქვედანელი კი მუხლებზევით აუქაჩავს, ათი წლით ასწრებს მოდაში მოგვიანებით შემოსულ მინის... გამვლელი დედაკაცები, თვითონ რომ ქალის ფორმა დაუკარგავთ და შავებში ჩაჯავშნულ კასრებს უფრო გვანან, ქოქოლას აყრიან, ციხეში მიათრევენ და ასაკუნად იმეტებენ, რა თქმა უნდა, ფიქრში. სამაგიეროდ კინო „ოქტომბერთან“ თავმოყრილ უსაქმურ ბიჭებს თვალები გადმოცვენაზე აქვთ, ნერწყვებს ყლაპავენ და კისერი ატროკებული ულაყებივით ელრიცებათ... ზიტას სულაც ფეხებზე ჰკიდია (ხორცისფერ ნინდებში კოხტად გამოსკვანჩულ ფეხებზე!), ვინ რას იტყვის და ვინ რას იფიქრებს, ერთსაც და მეორესაც ორაზროვნად გაუღიმებს და მიდის. მისი მზერის თვალსაწირზე ყველანი უფერულ ლანდებად თუ ჩაივლიან, ჩრდილებივით გაქრებიან... მიდის და გულში ქაღალდის პარკი ჩაუხუტებია, შიგ ბაზრის ხილი უწყვია, პაპიროსის რამდენიმე კოლოფი, ასანთი, ძეხვი და ფუნთუშა.

მერეთი პატარა ქალაქია. სტენდიც რომ არ იყოს, წამში ყველა იგებს, ვინ დაიჭირეს და ვინ გამოუშვეს, ვინ მართლაც ხულიგანია და ვინ ვითომ ხულიგანი, „სუტკიანობა“ პატიმრობად არც მიაჩინათ, — სასაცილოდ აგდებაა, არასერიოზული სასჯელია. იმიტომაც მოიკვანნება ზიტა, თავის რჩეულს ნობათი მიართვას, რათა იგი ზედმეტად არ დაიჩაგროს, მის ბედ-

ში მყოფთა შორის უპატრონოდ არ იგულონ... არც სხვანი გახლავან უპატრონოდ! აგერ, ბულვარის ბოლოს ქალიშვილი გამოჩნდა. სიფრიფანა, გამჭვირვალე გოგოა. ტანად არც ისე მაღალია, მაგრამ, რაკი სუსტი და მოხდენილია, მაღალი გეგონებათ. პირისახე სუფთა და მწყაზარი აქვს, ბაგები ოდნავ ამობურცული, თვალების ირიბი ჭრილი უცნაურ იერს აძლევს, იქ დარდი მინავლულა... სადად აცვია, იაფი ჩითისა, შინ შეკერილი... ამასაც ხელში ქაღალდის პარკი უჭირავს, ოლონდ, რაც შიგაა, სულ დედის ხელითაა გახაზირებული ანდა საკუთარ ეზო-ბალში დაკრეფილი.

— აპა, ჩემი ცირაც მობრძანდა! — ღიმილმა მთლად დაუჭმუჭნა ბესას პირისახე.

„ეგერ ზიტაც!“ — გაიფიქრა არიქამ, საგველი ნეშოზე დააგდო, ხელები დაიფერთხა.

საიდანლაც მართალი გამოვარდა, თოდუა. გაზეთში შეხვეული რამ უჭირავს. მილიციელს გვერდი აუქცია, არიქას ხელებში ჩაუდო.

— პური, ყველი და სიგარეტებია!

თან ზიტას გახედა, მერე ცირას და ფარული მღელვარება დაეტყო.

— პო, გმადლობ! — დაბნეულად პასუხობს არიქა, ყურადღება ეფანტება, რადგან ზიტა მოუახლოვდა, თან დაბანილი ქალისა და „კრასნაია მასკვას“ სურნელი მოაფრქვია.

— ქალები დაგლუპავენ შენ! — წასჩურჩულა მართალიმ.

არიქამ არაფერი უპასუხა, რადგან ზიტა უკვე მის წინ იდგა და პარკს უკვდიდა.

— როგორა ხარ, საყვარელო? — თამამად შეეკითხა, მერე იქვე აყუდებულ მილიციელს მიმართა: — უსამართლოდ ხომ არ ექცევით?

მილიციელი უშნოდ დაიღმიჭა.

— სულ სამართლითაა ეს ქვეყანა გადახურული! — ჩაიბუზღუნა არიქამ.

— გელანტიას ჩამოვახევ პაგონებს, თუ ქალი ვარ! — რიხით თქვა ზიტამ, სიცილადქცეულ მილიციელს თვალი დაუბრიალა: — ცხენივით ნუ დაგიკრეჭია კბილები! შენი დასა-

ცინი ვინ არის, შე მათხოვარო, გირჩევნია, შენს ბოზ ცოლს  
მიხედო!

მილიციელს ნირი ეცვალა, წამოენთო, მაგრამ მართალი  
ჩაერია:

— გეყოფა, ზიტა, ამ კაცს თავისი საქმე აბარია და არაა  
იგი შენი გასარჩევი!

— ოჟ, გამომიჩნდა მშვიდობის მაძიებელი! — ჩაიკრუ-  
ტუნა ზიტამ და, ალბათ, რაიმე მწარეს მოაყოლებდა კიდევ,  
მაგრამ შეკრებილთ ცირა გაუსწორდა, მამის დამჭენარ ლო-  
ყას ლოყა მიადო, ამოიოხრა და პარკი გაუწოდა.

— ნუ მიწყრები, შვილო! — თვალი აუწყლიანდა ბესას.

ცირამ სუსტად გაუღიმა, სახეზე სინათლემ გამოაშუქაო.

— ეს რა ცქრიალა გოგო გამოგვეცხადა! — ნაძალადევი  
ხალისით თქვა ზიტამ.

— თუ გავაცინეთ, მართლაც ცქრიალაა, მაგრამ ჩემი  
შვილი გაუღიმარ პრინცესას უფრო ჰეგავს! — იხუმრა ბესამ და  
მილიციელს მიუბრუნდა: — შესვენება გამოვაცხადოთ, ჩემი  
უორა, აგერ ჩეროში წავიხემსოთ, შენც ალბათ დაიმშეოდი!

— მე უორა არა მქვია!

— უორას რას უწუნებ, ჩემო კარგო, წესიერსაც მაგი  
ჰქვია და ხელმრუდსაც. მიდი, მიდი, ლუკმა გავტეხოთ!

იქვე ჩეროში შეჯგუფდნენ, დაინაწილეს, რაც პარკებში  
იდო... ცირა და ზიტა შორიშორ შეჩერდნენ. ერთმანეთი უნ-  
დოდ შეათვალიერეს. ზიტას ტუჩზე დამცინავი ლიმილი გაუკ-  
რთა, ცირას კი კოპზე ნაოჭი დააჩნდა, თვალებში ელვამ გაკვე-  
სა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

არიქა შორიდან უთვალთვალებდა ორივეს, გული უცნ-  
აურად უხტოდა, ბუნდოვანი ფიქრები და სურვილები აფორი-  
აქებდა, თვითონაც ვერ გაერკვია, რა ენადა.

— წავედი, მამა! — თქვა ცირამ.

— მეც მივდივარ! — უბრალოდ, ქვეტექსტის გარეშე  
შეეპასუხა მართალი. — ბარემ გაგაცილებ!

მართლაც გააცილა!

არიქა სარგადაყლაპულივით იდგა და საკუთარი გულის-  
ცემა ყურში ყრუდ ჩაესმოდა.

— რას გაშტერებულხარ? — ძლივს გაიგონა ზიტას ხმა.  
— ხუთჯერ შეგეკითხე, შენ კი თითქოს დაყრუვდი!

— რა?

— ქირხემ, მგონი, მეხი დაგცა, აი! — ზიტას ხმაში წყენა  
გაკრთა.

— არაა შენი საქმე! — უხეშად შეეპასუხა არიქა.

ფანერის ნიჩაბს ხელი დაავლო, რათა მოხვეტილი ნეშო  
მანქანის ძარაში ჩაეყარა.

8

— მართლაც გააცილა? — ექოსავით გაიუღერა კითხვამ.  
მოვიხედე. თავზე იესე წამომდგომია, ხელში მოზრდილი  
კალათა უჭირავს, წვრილ ტუჩებს ვერ იმორჩილებს, თითქოს  
ცდილობს შიგნიდან მოწოდილი ხითხითი ჩაიხშოსო.

არიქამ თავი ასწია, გაკვირვებით ახედა:

— ეს ვინ არის?

— იესეა, ჩემი მკითხველი! — წარვუდგინე, თან ხმადაბ-  
ლა, სხვებს რომ არ გაეგონათ, ისე ავუხსენი: — ამეკიდა, თა-  
ვიდან ვერ ვიცილებ!

არიქამ ინტერესით შეათვალიერა.

— ნამეტანი გამხდარია!

მართლაც რომ! თავი ტყავგადაკრულ ქალას მიუგავს, თვა-  
ლის უპეები ღრმად ჩასცვენია, ცხვირი წაწვეტებია... მორიდებ-  
ით დაჯდა, კალათა მუხლებზე დაიდგა... ხელის მტევანს თითქოს  
სინათლე გასდიოდა.

— დიეტაზეა! რევიზორივით მიკირკიტებს, მაგრამ რა  
მაბადია და ჩემგან რას წაიღებს...

იესეს ყურის დიდონი ნიჟარები ჩემკენ მოეპყრო, ცდი-  
ლობდა, ნათქვამის აზრი დაეჭირა, მაგრამ ჩვენს ხმას მატარე-  
ბლის ბორბლის რაკუნი ახშობდა და ვერაფერს იგებდა.

დურუ ზურგით კედელს მიყრდნობოდა, თავისთვის  
ფშუტუნებდა. ხანდახან კისერში ჩაიყოფდა ხელს და იფხან-  
ცემა ყურში ყრუდ ჩაესმოდა.

და. ალბათ, ბალლინჯო ჩაუძვრა და სისხლსა წოვდა. დურუს იმდენი სისხლი ჰქონდა, ერთი ბალლინჯო რას დააკლებდა.

ლესტამბე ბნელ ფიქრებს ჩაღრმავებოდა. პირბუტალ სახეზე სიყვითლე გადაჰქონდა. აშკარად ლვიძლი აწუხებდა. შემეძლო, ცეროზის დიაგნოზი დამესვა, მაგრამ თავი შევიკავე. დე, იცხოვროს და მიიღოს ის, რისი ლირსიცაა, უფლება არა მაქვს, მოვლენები დავაჩეკარო.

— ქალბატონი ცისანა ძალიან შეწუხდა, — იესემ თქვა, — ჩემი სიკვდილი, ეს რამ გამომაშტერა, ჩვენი კაცები ხომ გზაში შიმშილით დაიხოცებიანო... დიახ, ასე თქვა, ჩვენი კაცებიო. ამ კალათაში მცირე სანოვაგე ჩამილაგა და გამომისტუმრა. დიახ, ორთვალა დავიქირავე, ცხენის, ჩქარა ვიარეთ და წამოგენიეთ... დიახ, ვაგონებს ჩამოვუარე, დიახ...

— ცხენის ორთვალათი წამოგვენიე, კაცო? — გაუკვირდა არიქას.

— დიახ, ამ მატარებელს ცხენით კი არა, ქვეითად წამოენევა ადამიანი... ე, ახლაც ჩერდება, მგონია!

სიტყვა დამთავრებულიც არა ჰქონდა და ვაგონმა ჯახანი გაადინა, აჭრიალდა მუხრუჭები, გაბმით აკივლდა ელმავალი... დურუ გეგია შექანდა, თავი კედელს რეხვა. დანარჩენებიც შეგვაჯანჯლარა... გაჩერდა მატარებელი, ისევ აჭრაჭუნდა, დაიძრა, ისევ ბიძგი... გაჩერდა, აკივლდა, აგუგუნდა, გზა დამითმეთო... ისევ დაიძრა... ასე რამდენიმეჯერ...

— რა ხდება? — ვიკითხე.

ერთმანეთს გადავხედეთ.

არიქა წამოხტა, გასასვლელს მიაშურა.

მეც გავედევნე.

კიბესთან შევყოვნდით, თვალის ერთი გადავლებითაც წათელი გახდა თუ რა ხდებოდა.

პარალელურ ლიანდაგზე გრძელზე-გრძელი სატვირთო შემადგენლობა გაჭიმულიყო და უთვალავი ხალხი შესეოდა ყაყანითა და აურზაურით. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა გახელებულნი ძარცვავდნენ კარებმოგლეჯილ ვაგონებს... დასწრებაზე იყო! ვის მანქანა მიეყენები-

ნა, ვის ურემი, ორთვალა, დროგი... უმრავლესობა ურიკებით ანდა საკუთარი ზურგით კმაყოფილდებოდა.

მიეზიდებოდნენ მხრებით, მიაგორებდნენ ტალახში.

ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ... იყო ჩხუბი, გნიასი, ნივილ-კივილი, განევ-გამოწევა...

— რას შვრებით, თქვენი?!? — ნერვული დისკანტით იკივლა არიქამ, ძირს ჩამოხტა და მძარცველებისაკენ გაქანდა.

უკან დავედევნე, მკლავზე ხელი წავავლე.

გიშივით მომხედა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა.

— ვერ გააგებინებ, ბევრნი არიან! — დავუყვავე.

— დავხვრეტ, ამათი... — ხმა ჩაუვარდა.

— წადი, ბიძია, გაიარე, საქმე ნახე! — მოუბრუნდა ვიღაც ახმახი, ტომრებით რომ საქმიანად ტვირთავდა თავის „ტაჩიას“.

მიგხვდი, ყვირილით აქ ვერას გავხდებოდით, ბრბო გადაგვთელავდა, დაყვავებას ძალაც მივაყოლე და არიქა იმ ახმახს გავაშორე.

ხელჩამოყრილნი ვუყურებდით და ჩემთვის მწარედ ვფიქრობი: ესაა კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ბრბოს ზნეობა არ გააჩნია. ცალ-ცალკე ეს ადამიანები ძარცვა-ყაჩალობის ცოდვას ვერ აიკიდებდნენ, მაგრამ ყველას ერთად დაავიწყდა წესიერების უმარტივესი მცნებანი და აგერ, სოფლის თავმოყვარე მასწავლებელი, თაობები რომ გამოუზრდია, ახლა იზინქება თურქული ფქვილის ტომრის ქვეშ, შუბლი ოფლითა აქვს დაცვარული, ოლონდ ეს არ გახლავთ სირცხვილის ოფლი... აგერ, საპატარძლო გოგონა, ბიჭის დანახვაზე ალმური რომ ასდის, ახლა წელზე ვიდეომაგნიტოფონის კოლოფი შემოუდვია და შინისაკენ გახარებული მიცუნცულებს... სასიძო ბიჭებს, ბუზს რომ არ აიფრენენ, „სამსუნგის“ ტელევიზორისათვის ჩაუვლიათ ხელი და თავისითვის მიაციმციმებენ... ზორბა კაცები მიაგორებენ ზორბა შინებს, მერე ტრაქტორის მისაბმელზე ტვირთავენ. „სადაურები ხართ, მეგობრებო?“ — ვეკითხები. ეჭვით მათვალიერებენ, თუმცა სასჯელისა ამათ არ ემინიათ და პასუხსაც არ აყოვნებენ: „მთიდან ჩამოვედით!“ „მერედა მთაში ტროლეიბუსს რა უნდა, ამ ში-

ნებს რისთვის მიათრევთ?“ ერთმანეთს გადახედეს, უკმეხად მომიგდეს — „გამოგვადგება!“

არიქას ყმა უკანკალებს, ხმა ვერ ამოულია.

პატარა, დაჭმუჭნილი დედაბერი ქვევიდან ამოხედავს, უკბილო პირით უღიმის.

— შვილო, გენაცვალე, ბოლო ამინიე და ურიკაზე დამადებინე!

არიქა უნებლიერ წაიხება, შაქრის ტომარას აქაჩავს, ურიკაზე დაადებინებს.

— ღმერთმა დალოცოს შენი ოქრო ხელები! — დალოცავს დედაბერი და ურიკას ყოჩალად მიაგორებს.

არიქა თვალებს ვერ მისწორებს, თითქოს თვითონ იყოს დამნაშავე... კოჭლობით მიემართება ვაგონისაკენ. მეც ვბრუნდები, ჩარევას აზრი არა აქვს, სტიქიას ვერაფრით შეაჩერებ.

კუპეში დავბრუნდით.

— წახდა ქვეყანა! — ამოიოხრა დურუმ.

ლესტამბემ მხრები შეარხია და მეტი არაფერი, ალბათ, ადასტურებდა არცთუ ორდინარულ აზრს.

— ცხოვრება გაძნელდა! — აჭიკიკიდა იესე, ცმუკავდა, ვერ ისვენებდა. — იმდენ სიგლახეს დაინახავ, სად გინდა გაექცე! სად შეიძლება ადამიანმა თავშესაფარი იპოვოს? წიგნში, ლიტერატურაში! ამიტომ, — ნიშნისმოგებით გადმომხედა, — ლიტერატურა უნდა გავცხრილოთ ცხოვრებისეული სისაძაგლებისაგან, წიგნის ფურცლებზე მაინც მომათქმევინეთ, ბატონო, სული, არ უნდა მოგვაკლოთ სუფთასთან, ამაღლებულთან მიახლოების სიამოვნება...

ალარ მეწადა იესეს მოსმენა, ფანჯრისაკენ მივბრუნდი და სინანულით გავყურებდი სურათს, რომელშიც არაფერი იყო „სუფთა და ამაღლებული“.

მატარებელი კვლავ დაიძრა, ჩოჩიალით განაგრძო მოძრაობა, ფრთხილობდა, არ გაეტანა ერთი დღით ყაჩალები. თანდათან დავცილდით ადამიანთა წარყვნის ასპარეზს, მიჩუმდა აურზაური, რკინიგზის გასწვრივ გაიშალა ჩვეული პეიზაჟი მშრალი ზამთრისა: ტიტველი ხეხილი, დაფნის რიგები, ევკალიპტის თავაღერილი მწკრივები, ოქროსფერი ხურმით დატ-

ვირთული ტოტები, შეცივნული ოდები, სუსტი, ცისფერი ბოლი ბუხრის ყელიდან, წყნარი, სევდიანი სურათი, ასეთი განსხვავებული იმ რია-რიასა და ხმაურისაგან, რასაც წუთის წინ გავშორდით...

— რა გიკვირთ? — ალაპარაკდა ლესტამბე. — როცა სამყარო ინგრევა, ინგრევა ცნობიერებაც. ადრე უზნეობას კანონი ადებდა ბორკილს, ახლა კანონი არ არსებობს, არც ბორკილია და ხალხმა აიშვა...

— დიახ, კანონი იყო... — წამოიწყო დურუმაც.

— თქვენი ბოროტი კანონები!.. — გამოსცრა არიქამ, მუშტი მოკუმა. — იმ კანონებით ცხოვრობდით, ხომ? სამაგალითო, კრისტალური ზნეობის ადამიანები — დურუ და ლესტამბე... — დამარცვლით ამბობდა. თხელი ბაგეები ებრიცებოდა, ნერწყვს აშხეფებდა.

ვითარება დაიძაბა, ვიგრძენი, ჩხუბი მზადდებოდა და ამ დროს იესემ მუჭში ჩაიკუჭკუჭა:

— მართლა გააცილა?

არიქას ენა ჩაუვარდა, ამრეზით ახედა იესეს.

დურუმ და ლესტამბემ დუმილი არჩიეს, ვითარება განიმუხტა...

9

მერე რა მოხდა, რომ გააცილა? პროვინციული ქალაქის ქალიშვილები, მართალია, ვერ განებივრდებოდნენ მსგავსი „გაცილებებით“. ჯერ ერთი, გზა ყველამ კარგად იცოდა, მეორეც, ყველა გზა ერთნაირად უსაფრთხო იყო, მესამეც, უსაქმო დედაკაცების თვალს არაფერი გამოეპარება, ამათ კი ყოველთვის მეტი ეჩვენებათ, ვიდრე ამისი საფუძველი არსებობს.

არიქამ წამიერ დახუჭა თვალი, ხელი შუბლზე მოისვა, თითქოს თავის ტკივილებს იამებსო.

ერთხელაც გახედა ბულვარის ბოლოს მიმავალ ქალვაჟს. იმ გზას ჭრელი ჩრდილი ეფინებოდა და იმ სიჭრელეში ახალგაზრდა წყვილი თითქოს მილივლივებდა, მიცურავდა.

მართალი ხელების ქნევით რაღაცას გატაცებით უმტკი-ცებდა ქალიშვილს, საეჭვოდ აღგზნებული ჩანდა. ცირას თავი მორცხვად დაეხარა, უფრო სწორად, არიქას ეჩვენებოდა, მორცხვადო... იმის შემდეგაც, როცა წყვილმა გზას გადაუხ-ვია, არიქას გონების თვალსაწირზე კვლავ განაგრძობდნენ მოძრაობას, თუმცა ზაფხულის ხასხასა ფერები გამქრალიყო, კადრები შავ-თეთრად მონაცვლეობდა, ცირა, როგორც თეთრი ლაქა, მართალი, როგორც ბნელი კვამლის გრაგნილი და თეთრი ლაქა ხან ქრებოდა იმ კვამლში, ხან გამოანათებდა, თავის არსებობას ადასტურებდა.

— რა მოგდის? — გაკვირვებით შეეკითხა ზიტა.

განსაკუთრებული არაფერი! ეჭვის სენი იბუდებდა ტვინში, ეჭვის ხურვება შეჰქმროდა.

თვითონაც კარგად უწყოდა, ეჭვიანობის არანაირი უფლე-ბა არ ჰქონდა, მაგრამ უფლებას ხომ არც არავინ ითხოვს. ეჭვი ქიმერაა, ავადმყოფობაა, ადამიანს სტიქიურად მოევლინება და მკუნალი მხოლოდ საღი გონების სინათლეა. მერე და მერე მისი ფიქრი ხშირად უბრუნდებოდა იმ დღის მოლანდებას, ცდილობდა, განედევნა, მაგრამ ვერ დევნიდა. „მართალი ჩემი ძმა! — თავისთვის წონიდა. — ჯიმა!“ დედისერთას მასზე ახ-ლობელი არც ვინმე ჰყავდა და ვერ თმობდა ამ ძმობას.

მოკლე სასჯელის იმ დღეებიდან შინ ეს ფიქრები წამო-იღო და კიდევ უბნის რწმუნებულის გელანტიას უსასყიდლო რჩევა-დარიგება:

— შინაურულად გეუბნები, შორს გაიხედე, თორემ და-იღუპები! ვიცი მე, დანაშაული არ ჩაგიდენია, მაგრამ, ყოვ-ლისმხილველის თვალსაწირზე რაკი მოხვდი, იოლად ვერ და-უძვრები, შენს ყოველ ნაბიჯს გაზომავს. ჭიანჭველასავით იც-ხოვრე, რქებით, იცოდე, კედელს ვერ გაანგრევ! მიხვდებიან, საშიში რომ არა ხარ და შეგემვებიან! მოვა დრო, შენი ბიოგრა-ფია ისე გასუფთავდება, პარტიაშიც მიგიღებენ და თანამდე-ბობასაც დაირტყამ! წიგნიერი ახალგაზრდა ხარ, წიგნიერება მომნონს მე და იმიტომ გეუბნები ამას!

მადლობის მეტი რა ეთქმოდა არიქას. სწორედ ჭიანჭველის ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, რაკი სხვა გასაქანი არა ჰქონდა.

დედამ შესტირა, ფუცუმ, შენ რომ კვლავ ციხეში ჩაჯდე, თავს მოვიკლავ, მეტი გზა არ დამრჩენია.

ზიტამაც სიხალისე გაითამაშა:

— ჩერიაჲებზე აღარ გედგომება, შარს აიკიდებ! მეც, ხომ იცი, გადმოვდივარ მერეთში, აქაურ რესტორანში ვი-მუშავებ. ბინა გადავცვალე, ბარაკში მექნება ერთი ოთახი. კისერზე არ ჩამოგეკიდები, მაგრამ, თუ გაგიჭირდა, პაპირო-სის ფულსა და სადილს არ დაგაყვედრი!

იმის თხოვნა ვერ გაუბედა ზიტამ, ცოლად დამისვიო. იცოდა, უფლება არ ჰქონდა, არადა, გული შევარდნოდა ამ კოჭლ ქერუბიმზე, მარად ბიჭურ სახეს რომ მუდამ ნერვული აღგზნების კვალი აჩნდა. თუმცა ის ვერ ამოეკითხა, თუ რა ცეცხლი ენთო ვაჟის სულში, უსახსრობის გარდა კიდევ რა წუხილი ანუხებდა არიქას.

შინიდან თოდუებთან მიმავალმა არიქამ ვარსკვლავე-ბით მოჭიქულ ცას ახედა, თავი უსასრულობაში ჩაკარგულად იგრძნო და შეშინებულმა იკითხა:

— სადა ვარ?

არსად იგი არ იყო, ადგილი ვერ ეპოვა — ნავსაყუდელი დაკოჭლებული სხეულისათვის და სივრცე სულის სანავარდ-ოდ. ბრმასავით მიაბიჯებდა მშობლიურ ქუჩებში და წამდაუ-ნუმ კითხულობდა: „სადა ვარ?“ თავის თავს ეკითხებოდა ან ვიღაცა სხვას, ვისი სახელიც არ იცოდა... აბნეულად ჩაუარა თოდუების ჭიშკარს და უკან მიბრუნდა, ბნელში ურდული იპო-ვა, სახელოსნოს კარი ლია დახვდა, შეაბიჯა.

მართალი თოდუას „სამხატვრო“! ადრე ეს ლია სარდაფი იყო, შეუაში ბუხარი ჰქონდა ამოყვანილი. წითელი აგურის სვეტ-ები ოთხრიგად იდგა და ზედ ოდა-სახლი წამომჯდარიყო. მარ-თალიმ გარეთა კედლები ამოაშენა, ძირს იატაკი დააგო, ეს იყო და ეს!.. ზამთრობით ბუხარს ანთებდა, ახლა ეს, ცხადია, საჭირო არ იყო... კარის პირდაპირ, სიღრმეში ასვოლტიანი ნათურა ენთო... ობობას ქსელზე მტვერი ბრჭყვიალებდა, აქაურობას ნაღდად აკლდა ქალის ხელი... სიღრმისეული სივრცე თანდა-თან ბინდდებოდა, იქ ერთმანეთზე მიხორხლილიყო დამთავ-რებული თუ დაუმთავრებელი ნამუშევრები, ცარიელი ჩარჩო-

ბი, ტილოს გრაგნილები, მუყაოს დასტები, წიგნები და რაგინ-დარა... აგურის სვეტებზე და კედლებზე სხვადასხვა ზომის ტილოები ეკიდა, ადრინდელი, ვარდყვავილოვანი პერიოდისა და გვიანდელი, როცა ავტორი აბსტრაქციის საგიურეთში შეიჭრა, ეძებდა რაღაც გაუგებარსა და მიუწვდომელს... აქ, სხვა ნამუშევრებს შორის, ძნელად ამოსაცნობი „არიქაც“ ეკიდა, ლაჟვარდში გაფრენილი, საყვედურით აღსავსე უზარმაზარი თვალებით... ცოცხალი არიქა მზერას არიდებდა ექსპერი-მენტით შობილ არიქას, ვერაფრით გაეგო, საიდან ამოიკითხა მართალიმ მისი ასეთი ჰიპოსტასი, იყო თუ არა ეს მისი პირისახე, მისი თვალები... დედანს ოდნავდა ჰეგავდა და სიღრმიდან ტკი-ვილიანი სული გამოანათებდა, თუმცა არიქას თვითონაც ვერ შეეცნო საუთარი სული და ამიტომაც არ იცოდა, პორტრეტის არიქაში მისი სულის ანარეკლი იყო თუ არა.

— სალამი, სალამი! ესაა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი არიქა ძაძუა? — ბარიტონით წაუმლერა ვიღაცამ სახელოსნოს სიღ-რმიდან.

არიქა შეცდუნებული გაჩერდა.

ნათურის შუქი მოლბერტს ეცემოდა. ჩარჩოზე ფართო ტილო გადაეჭიმა მხატვარს, ზედ გამოსახულ კაცს ცვილის-ფერი სახე ჰქონდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

მართალი ზურგით იდგა, არიქას მოსვლა არ უგრძვნია, ფუნჯი ეჭირა. ეტყობა, კარგა ხანს იყო ასე, ყოყმანობდა, ფუნ-ჯზე საღებავი ჯერაც არ ეცხო.

სკამიდან წამოდგა წარმოსადეგი, ხანდაზმული კაცი, ტილოზე გამოსახულის ალიკვალი. ძალა და ღონე ალპათ ამას არ აკლდა, კარგა ხანს არ აპირებდა საიქიოს გამგზავრებას, მაგრამ ფერი დაჲკრავდა რაღაცნაირად უსიცოცხლო, რაიც სიკვდილსა და სასაფლაოზე ფიქრს აღუძრავდა ადამიანს... ეს გახლდათ მერეთის თეატრის დიდება, მთავარი რეჟისორი ვალერიან დოდიკაძე, კაცი ავტორიტეტით შემოსილი, სხვა-დასხვა ღონისძიებზე რაიკონის მდივნის გვერდით თუ არა, აღმასკომის თავმჯდომარის მეზობლად მჯდომი, გახმაურე-ბული სპექტაკლების „კიკიდისა“ და „კოლმეურნის ქორწინებ-ის“ დამდგმელი, ღრმა მარქსისტი და სცენაზე სოციალის-ტური რეალიზმის თანმიმდევრული გამტარებელი.

— კარგ დროს შემოგვისწარი, დიდებულ კაცს გაგაც-ნობ! — მართალიმ შვებით ამოისუნთქა, თითქოს ტვირთისა-გან განთავისუფლდაო, პალიტრა და ფუნჯი დადო. — დღეს რაღაც არ გამომდის! — მოიბოდიშასავით. — არიქა ძაძუა!.. ვალერიან დოდიკაძე, ჩვენი ქალაქის სასახელო მოღვაწე და დიდებული კაცი!

— აჲ, კოლეგა, ძალიან მაინტერესებდა თქვენი გაც-ნობა! — დოდიკაძემ ვერცხლისფერი კბილები გამოაჩინა. — აგერ, პატივცემულ მართალისთან მქონდა თქვენზე საუბარი... დიდებულია, დიდებული! მახსოვს თქვენი საყმანვილო სპექტაკლები. მერე რატომლაც ზურგი შეგვაქციეთ, თეატრს გაუნაწყენდით!.. აგერ, მართალი დიდებული რომეი იყო, ახლა შესანიშნავი მხატვარი გახდა... თუმცა ჩვენ ვკამათობთ, დიახ, არ ვეთანხმებით ერთმანეთს. მე ვეკითხები, აბა, ეს ჰეგავს არიქა ძაძუას-მეთქი, იცინის, ნამდვილი არიქა ესაა და არა ის, ვისთვისაც ქალაქში თვალი მოგიკრავსო.

— თუ არ მოგწონთ, თქვენს პორტრეტს რატომ ახატ-ვინებთ? — მოურიდებლად ჩაეძია არიქა.

— რატომ? აბა, რა ვიცი, რატომ! ვერავინ მხატვას. ფოტო-გენური კი ვარ, მაგრამ ტილოზე ვერ გამოვდივარ. დააკვირდით ჩემს ფოტოს!

გულისჯიბიდან ფოტოსურათი დააძრო, გამოუწოდა. ზედ გამოსახული ვალერიანი გაჯგიმული იდგა, მკერდი წინ წამოეწია, მხრები გაეშალა, მედიდურად იმზირებოდა, კმაყ-ოფილი და ვალმოხდილი კაცის იერი ჰქონდა.

— ვეუბნები, ფოტოდან დამხატე-მეთქი. არაო, წატური-დანო... უკვე მერამდენედ იწყებს, წვალობს, დავხედავ, მიც-ვალებულსა ვგავარ. მეუბნება, რა ჩემი ბრალია, ასეთსა გხე-დავო... — დოდიკაძე ცდილობდა, ნათქვამისათვის ხუმრობის კილო მიეცა, მაგრამ სიტყვებში წყენა უღერდა და სიცილი ნაძალადევი გამოსდიოდა.

— გულთან ნუ მიიტანთ! ხომ იცით, მხატვრები დარებ-ვილები არიან. აგერ, მე მიწაზე ძლივს დავჩანჩალებ, ამან კი ცაში ამაფრინა!

სანამ არიქა მთავარ რეჟისორს ამშვიდებდა, მართალიმ დაბალი მაგიდა გადაფერთხა, ზედ ძველი გაზეთი გადააფარა,

არაყი შემოდგა, ყველი და პური დაჭრა, ჯორკოები მისწია და სტუმრები გულლიად მიიპატიჟა:

— აბა, ჰე, თითო ჭიქით დავილოცოთ, მუზა გაგვეხსნება და იქნებ ამ პორტრეტსაც სული შთავბეროთ!

— ეჱ! — ამოიოხრა დოდიკაძემ.

არაყი უყვარდა და თუმცა პურ-მარილი არ აკლდა, არც ასე მცირედზეც იტყოდა უარს.

დასხდნენ, დაილოცეს, გადაპერეს... მეორეც, მესამეც...

დოდიკაძეს ლოყები შეეფაკლა, პორტრეტი გადაავიწყდა და თეატრზე გადაერთო, წაიტრაბახა, ლენინზე უნდა დავდგა სპექტაკლი, ნამდვილი ლენინი უნდა გამოვიყვანო, ვლადიმერ ილიჩი, ცხოვრებიდან პირდაპირ სცენაზე გადავსვა, თეატრალურ მოვლენად უნდა ვაქციოო...

„ვინ იცის, როგორი იყო ნამდვილი ლენინი? — გაიფიქრა არიქამ. — არც დოდიკაძემ იცის, ცხადია!“

თვითონვე შეაკრთო ამ მკრეხელურმა აზრმა, ეჭვებს რომ უხსნიდა გზას. ამას ხმამაღლა ვერ გააცხადებდა, დოდიკაძეს უხმოდ დაუქნია თავი, პატივცემულმა ვალერიანმა კი მზერა მიაშტერა და ანაზღად შესთავაზა:

— გინდა, ვითანამშრომლოთ?

არიქა გაშრა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

— ვითანამშრომლოთ?

— ჴო, ადგილი მაქვს თეატრში, სცენის მუშად გაგაფორმებ, კაპიკებია, მაგრამ მაინც ხელფასია, სამოცდაათი მანი...

— სცენის მუშა... — მაშინალურად გაიმეორა არიქამ, თავში კი ექიდ გამეორდა: „სცენის მუშა... სცენის მუშა...“ სიხარულისაგან გული შეუსტა, სული შეუგუბდა, დოდიკაძემ კი ეს დაბნეულობა ყოყმანში ჩაუთვალა.

— ვიცი, ნიჭიერი ყმაწვილი ხარ! შენი სტუდენტური სპექტაკლი მინახავს, მაგრამ, ჩემი კარგო, ყველაფერი გამართლებაზეა. ვინმემ ხელი თუ არ გამოგინოდა, ჩაიმარხები მაგ ჩხერიაჲესის ბეტონში. ბეტონი რა შენი საქმეა, თეატრია შენი საქმე!

— ჩემი ნარსული... — ძლივს ამოღერლა არიქამ.

— მაგიც ვიცი! ახლა სტალინის დრო ხომ არ არის, დემოკრატიაა... თუმცა არც ახლა მომითათუნებენ მხარზე ხელს, მაგრამ გავუძლებ. სცენის მუშაო, რომ გითხარი, მართლაც სცენის მუშად როდი მინდიხარ. ასეთი საშტატო ერთეული მაქვს და იმას გთავაზობ, სინამდვილეში კი მე და შენ შეგვიძლია სპექტაკლი ერთად დავდგათ... ვნახოთ, ვნახოთ!

— მაშ, გაუმარჯოს სცენის მუშას! — ჭიქა ასწია მართალიმ.

— პატივცემულო ვალერიან, შევეცდები, სიკეთე არ დაგივიწყოთ! — თავშეკავებული მღელვარებით თქვა არიქამ და მარჯვენა გაუწოდა.

დოდიკაძემ ხელი შეაგება, ულონო და მომჩვარული ჰქონდა.

ბოთლი უკვე დაცლილი იყო და დიდმა სტუმარმა სირჩა დადო.

— ამაზე დღეს გვეყოფა ლაპარაკი, დანარჩენი სხვა დროს იყოს! — არიქას თვალი ჩაუპაჭუნა, თუმცა სახეს ფერი მაინც ვერ შესძინა. — იმედია, ქანდარიდან პროკლამაციებს არ გადმოგვაყრი თავზე!

გაიცინეს და წამოდგნენ. სიმთვრალემდე შორი იყო, მაგრამ არაყმა მაინც თავისი ქნა, შეხურდნენ. დოდიკაძე ჭიშკრამდე მიაცილეს, დიდის ამბით გამოემშვიდობნენ და შემობრუნდნენ.

არიქა ტახტზე შინაურულად წამოგორდა, ხელები თავკვეშ ამოიდო, ჭერის ნათურამ თვალი მოსჭრა.

— ვინ არის ეს დოდიკაძე? — ეჭვიანად იკითხა მართალიმ. — ფოტოსპექტაკლების ავტორი! — ფუნჯი აიღო და შავი ფერი სახეზე ჯვარედინად გადაუსვა. — ამას ვერ დავხატავ!

არიქას საუბარი ეწადა, მაგრამ არაყმა მოთენთა და მოულოდნელად ყურყუმში ჩაიძირა, გაითიშა. თვალი რომ გაახილა, ვიწრი სარკმელში მზე იყურებოდა.

მართალი ჯორკოზე ჩაფიქრებული იჯდა.

არიქამ მზერა დათხიპნილი ტილოდან კედელზე გადაიტანა. იქ, სარკმელთან, სარკის ნატეხი ეკიდა, გვერდით სავარცხელი ჰქონდა გარჭობილი. მართალი, ალბათ, ამ სარკე-

ში იკოხტავებდა თავს და ამ დროს თვალს შეავლებდა იქვე ჭიკარტით მიკრულ თეთრ ქაღალდს... ზედ მხოლოდ ირიბი თვალები და პირისახის ოვალი ეხატა... სახელდახელო მონახაზი იყო, შავი ფანქრით გაკეთებული, ხელის ერთი მოსმა, მაგრამ არიქამ უმალ იცნო — იმ ქაღალდიდან ცირა იყურებოდა, ქირხე...

ჯიქურ წამოხტა.

— წავედი, აბა! — ხმა გაბზარვოდა.

— მიდიხარ? — გაუკვირდა მართალის. — სად მიგეჩქარება? საცაა ეფრო ბებია მოგვიხმობს, ღომი უკვე შეზელილი აქვა!

— არა, არა, მეჩქარება! — არიქამ ხელები გაასავსავა და კოჭლობით კარს მიაშურა...

10

ჩემზე გამოცდილი მწერლებისაგან გამიგონია, პერსონაჟი მე არ დამყავს, პერსონაჟს დავყავარო. აქაოდა, რომანის სივრცეებში სახეტიალოდ რომ მივუშვებ, ტიპი საკუთარი ლოგიკით მოძრაობს და ხშირად ავტორმაც არ იცის, საითკენ გაუხვევსო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს აზრი, რადგან მე მუდამ ყოყმანისა და არჩევანის წინაშე ვდგავარ. ადამიანის მოძრაობის ტრაექტორია ხომ მრავალვარინანტიანია და ხანდახან თვითონაც არ უწყის, რატომ დაადგა ამ გზას და არა იმას. ამ გზაზე ხომ იგი მავანს შეეყრდნოდა, იმ გზაზე — იმანოს და ორსავე შემთხვევაში ბედ-ილბალი სულ სხვა გეზს აიღებდა... აგერ, არიქა მიიჩქარის კოჭლობით, თვითონაც ვერ მოუაზრებია, რას გაურბის და საითკენ მირბის... მე, ავტორს, შემიძლია კამათელი გავაგორო და რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან ერთი შევურჩიო. ყველაზე უპრიანი, ალბათ, ის იქნება, შინ დავაბრუნო, დედასთან. ქალბატონი ფუცუ შეუძლოდაა, წინა კვირას იმ დასაწვავ სარდაფში, სადაც ცივი წყლით თეფშებს რეცხავდა, გაცივდა, სიცხე მისცა, ახლა ჩა-

წოლილა და მეზობლის იმედადაა, ხან კისელს შემოურბენინებს სამადლოდ, ხან ასპირინს... ოლონდაც, ამზუთას არიქას დედა არ ახსოვს, გული სხვა მხარეს ექაჩება. იქ, რკინიგზის მიღმა ქირიების პატარა ოდაა. ბესა დაუბრუნდა ოჯახს და არიქას უფლება აქვს, მოიკითხოს, ისინი ხომ ერთად ისხდნენ „სუტკი-ანებში“, ერთად გვიდნენ ბულვარს, კედლის გაზეთს თუ და-ვუჯერებთ, ერთად არცხვენდნენ ქვეყანას... ცხუტაც, ბესას მეუღლე, ცხადია, თბილად მოიკითხავდა, მაგრამ ცირას ვერ მოატყუებდა, ცირა შეხედავდა თავისი ირიბი, ეჭვიანი თვა-ლებით და აქედან თავის დაღწევა მეც და არიქასაც, ორივეს გაგვიჭირდებოდა... მესამე ვარიანტიც მქონდა მარაგში, შემე-ძლო არიქას ფიქრი მთლიანად თეატრზე გადამერთო. მოუთ-მენლობა დაეუფლებოდა, ის დღე და ის ღამე ქუჩა-ქუჩა იყი-ალებდა, რათა უთენია ჩასძინებოდა დოდიკაძის კაბინეტის კართან... თუმცა იქნებ სულაც არაა საჭირო ზედმეტი სულიერი დატვირთვა, იქნებ წუთშესვენება გამოვაცხადო და იქით გაუ-შვა, სადაც ეჭვისა და ბოლმისაგან დაიცლებოდა, გული გადა-ეწმინდებოდა და დაწყნარებული შეუდგებოდა კიბეზე აღმას-ვლას, ამჯერად თეატრალურ კიბეზე... ამიტომაც გზაჯვარედ-ინზე შეყოყმანებულს ოდნავ ვუბიძებ და იქითკენ შევაბრუნე, საითაც მოკლე ორლობე ჩერიისაკენ ეშვებოდა, ბონდის ხიდ-ით გზა გაღმა გადადიოდა და საფაპრიკო უბნის მიღმა ჩაშვე-ბული ბარაკი იდგა... იქ ზიტა გვეგულებოდა მე და არიქას... დერეფნის ბოლოს ნატაშაც ცხოვრობდა და მამილო ლეონ-ტი, რომლის არსებობა არიქას უკვე დავიწყებოდა, მე კი დი-ახაც რომ მახსოვდა და, როგორც ნებისმიერი სხვა პერსონა-ჟის, არც ამის მიტოვებას ვაპირებდი შუა გზაზე...

არიქა ბონდის ხიდზე შეყოვნდა, ბაგირს ჩაეჭიდა. ხიდი ტორტმანებდა, არიქას ტვინშიც დომხალი იდგა და შეეცადა, დაწყნარებულიყო... ჩერიია დალეულიყო, ძლივს მიიპარებო-და მწვანე ლეყით დაფარულ ლოდნარში. მისი ადრინდელი ნამოქმედარი, გაღმა-გამოღმა გაშლილი ქვიან-ლორლიანი ნა-პირები მზეზე თეთრად ბრწყინვავდა. წყალს უამრავი ნაგავი მოეტანა და მიმოეფანტა. არიქას ახსოვდა ჩერიიას წყალი, სუფთა და კამკამა, წყურვილს დაგიოკებდა კიდეც. ახლა კი,

ინდუსტრიული ქალაქის პირობაზე, ჩხერიის კალაპოტი ნაგავსაყრელსა ჰგავდა, მძიმე, გაზინთული სითხე მდორედ მიედინებოდა.

ჩაის ფაბრიკების ყრუ კედლებს შორის იარა. მზე თითქოს დაიღია, მაგრამ მაინც აცხუნებდა და არიქა ცდილობდა, გახურებული კეფა ხელისგულით დაეცვა.

სიცხემ ხელი მოუთავა, ძალა წაართვა და ბარაკამდე რომ მიაღწია, ჩრდილში, კიბეზე ჩამოჯდა.

— გატყლარჭულა აქ, გვერდი ვერ ამივლია! — წყრომით მოურუსულა ვიღაცამ.

არიქა ფიქრებიდან გამოერკვია, თავი ასწია.

ლეონტი იდგა მის წინ, იმოდენა იყო, ხედს მთლიანად ფარავდა. სიცხისაგან ქშინავდა, შუბლზე ოფლის წვეტები ზოლებად ჩამოსდიოდა. ხელში ბადურა ეჭირა, შიგ პომიდორი, კიტრი და მწვანე ხახვი ეწყო, ეტყობა, ბაზარში გამოევლო.

მზერა რომ შეაგება, მაშინდა იცნო მატარებლის თანამგზავრი.

— აპა, ესეც ძველი ნაცნობი! — კმაყოფილი კილოთი დაასკვნა. — მოგენატრე და გამომეცხადე? ანდა კუპეში საფულე მოგპარეს და ჩემზე იეჭვიანე? თუ მართლაც ეგრე მოხდა, მაგი შენს ბოზებს მოკითხე!

— ლიონია... — ზანტად გაწელა არიქამ. — ასი წელი არ გამახსენდებოდი. ჯერაც აქა ხარ?

— აქა ვარ და აქვიქნები! — მოუჭრა ლეონტიმ. — სადაც ჩემი შვილია, იქ უნდა ვიყო!

— ჰო, რა თქმაუნდა, — სარკაზმი გაუღერდა არიქას ხმაში, — რუსისთვის სულ ერთია, სადაც ჩაფრინდება, კვერცხს იქ დადებს!

— ყველგან საბჭოთა კავშირია! — ამოიქშინა ლეონტიმ. — ყველანი საბჭოელები ვართ!

არიქამ თვალით გაზომა, ლეონტის ზვინივით სხეულს იოლად ვერ დაძრავდი.

დიახ, ლეონტი „სოვეტსკი ჩელოვეკი“ იყო და ამას ვერაფერი შეცვლიდა. არიქაც იყო, ალბათ! უნდოდა კი არიქას „სოვეტსკი ჩელოვეკობა“? — ბალის ასაკიდან ტვინში ჩაუჭედეს,

თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე ხარო, „შიროკა სტრანა მოია როდნაია“-ო, აგერ ლეონტი, აგერ შენ და კიდევ ორას ორმოცდათი მილიონი... დამანებეთ თავი, — ფიქრობდა ხანდახან არიქა, — გავკარი თქვენს სოვეტსკობასო... ოღონდ ვერაფრით მიმხვდარიყო, რა მოხდებოდა მაშინ, თუ სოვეტსკობას უარყოფდა. წინ სიცარიელე იდო, არარა, უმომავლობა, რადგან კომუნიზმის მირაჟი ნისლივით იფანტებოდა.

— ლიონია, შემოდი, არაყს დაგალევინებ! — თითოთ ზიტას კარი უჩვენა. — შენი შვილიც გამაცანი, შევხედო ერთი, რითი მეტრაპახებოდი!

ლეონტის შვილი რატომლაც კაცი ეგონა, მგზავრობის დროს მის მიერ დაგდებული „დიტია“-დან გამოიტანა ასეთი დასკვნა, დიდად არც მაშინ დაინტერესებულა და ამიტომაც არ ჩასძიებია და როგორ გაოცდა, როცა ჩრდილოეთის მზე-თუნახავი იხილა, მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, მანამდე კი ზიტა ჩამოეკიდა კისერზე, ყურისძირში კოცნიდა ვნებიანად. არიქას საპასუხო კოცნას ცეცხლი აკლდა, თითქოს კიდეც უნდოდა და კიდეც არა. ქალის მხურვალე სხეული იზიდავდა, მაგრამ სხვა ქალი-იდეა, ვისი მხურვალებისა არაფერი გაეგებოდა, შუაში ჩამდგარიყო და ხელს უშლიდა... თანდათან „იდეა“ ტვინიდან გაფრინდა, შიმველმა ვნებამ შეიძყრო და მორევში გადაეშვა. ამიტომაც დაავიწყდა, საათის წინ რომ ლეონტი დაპატიჟა ჭიქა არაყზე. კაკუნი უდროო დროს გაისმა. ფაცხა-ფუცხით ჩაიცვა, თან ზიტას ეხმარებოდა ვითომ, კაბის კალთაზე ექაჩებოდა, ანგრეულ ქვეშაგებს ორივე ერთად ასწორებდა, თან კაკუნს გაღიზიანებულნი პასუხობდნენ ხმაშენებობით — „ახლავე, ახლავე!“

ლეონტი კარში ძლივს შემოეტია, ისე ხვნეშოდა, მძიმე რამ ტვირთს მოათრევსო. პირდაპირ მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია, დაჯდა.

ზიტა გაკვირვებული უყურებდა, არიქამ კი საყვედურით უთხრა:

— სულსწრაფი ხარ, შენ, ლიონია!

ბინა ყირაზე იდგა. დიასახლისი, ეტყობოდა, ოჯახის საქმეებს თავს არ აკლავდა. ნესტით გაჯერებული ბარაკის ბუნე-

ბრივ სუნს იაფფასიანი სუნამოებისა და კრემების სუნი შერწყ-  
მოდა და ლეონტის არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ უძვე-  
ლესი პროფესიის ქალბატონის ბინაში იმყოფებოდა.

— ჰო, სულსწრაფი ვარ, ჯიგარი შიგნით მიხურს და ჭიქა  
არაყი მომიხდება!

არიქამ „მოსკოვური“ გახსნა და მაგიდაზე დადგა.

ზიტა დატრიალდა, მკერდი ჯერაც მღელვარებით აუდ-  
ჩაუდიოდა, ლოყები ვარდისფრად ულაპლაპებდა, გუნებაში  
ლანძლავდა თავხელურად შემოთრეულ სტუმარს.

ლეონტიმ დაისხა და გადაკრა.

— რაც მართალია, მართალია, ქართველები უშურველნი  
ხართ, კაცისთვის სასმელი არ გენანებათ!

— შენი „დიტია“ სადაა? — ჩაეძია არიქა. — რატომ არ  
ნამოიყვანე? — თან იმას ფიქრობდა, ამისი შვილი ასეთივე  
ბეჟე „რუსაპეტა“ იქნებაო.

— გამოვეპარე! — ვითომ გაიცინაო, ლაში ჩამოუვარდა  
ლეონტის. — აიჩემა, არაყი მოგკლავსო. წნევა მაქვს, ორას ოცამ-  
დე არბის, თუ მოვკვდი, ჯანდაბამდის გზა მქონია. მთელი შეგ-  
ნებული ცხოვრება ამათ ვემსახურე, ამ ხუხულას ვაგებდი, მა-  
გრამ მადლიერი ვინაა! ერთი ატომი მომცა, ვბუთქავდი და ტარ-  
ტაროზში ჩავიტანდი!

— ასე რამ გაგამწარა? — არიქამ ჭიქა მიუჭახუნა.

ლეონტიმ მეორეს მესამეც მიაყოლა, თვალების ვიწრო  
ჭრილი ოდნავ გაუფართოვდა, დაენისლა.

უმაღური ქვეყანაა და იმანო, უპასუხა. ერთგულების  
წილ ზონაში საპირფარეშოს რომ გახეხინებენ, ჯერ მეფურ ხე-  
ლფასს მოგცემენ და მერე ულუკმაპუროდ დაგაგდებენ, ან-  
გელოზივით სუფთა შვილს, უბიწო კომკავშირელს გაგაზრ-  
დევინებენ და მერე გაგიბოზებენ, რა უნდა მოსთხოვო ასეთ  
ქვეყანას?

„გაგიბოზებენო!“ — ტვინში ჩაეჭედა არიქას, მაგრამ  
ფიქრის საშუალება არ მიეცა. ზიტამ ცხელ-ცხელი სოსისები  
შემოიტანა და მიირთვით, მიირთვითო... ოღონდ ლეონტი  
ლუკმას პირს არ აკარებდა, არაყი ისხამდა და სვამდა, ისხამ-  
და და სვამდა...

— მაშ, შენ „სოვეტსკი ჩელოვეკი“ ხარ? — ახლა აქედან  
შეუჩნდა არიქა, მასხრობდა.

— შენ რა, არა ხარ?

— რა ვიცი, აბა! — დანაღვლიანდა არიქა. — მომბეზრ-  
და ეს ჩიჩინი, „სოვეტსკი“ და დიადიო, ყოველ ნაბიჯზე ერთი  
და იგივეა. იქნებ მე ლიმპოპოში მინდა ვიცხოვრო, ტიტლი-  
კანამ ვირბინო და ლომბებზე ვინადირო...

— ერთი ლომბებს შეეკითხე! — სიცილით ჩაურთო ზიტამ.

— შენ თურმე დისიდენტი ყოფილხარ! — ალმაცერად  
ახედა ლეონტიმ, თვალის ჭრილში ეშმაკური ციმციმი ჩაუდგა.  
— დისიდენტი რალაა?

— ანტისაბჭოთა ელემენტია, საბჭოთა კავშირი არ უყ-  
ვარს და ამიტომაც ყურყუტებს ციხეში!

— შენ ხომ არ იყავი ანტისაბჭოთა ელემენტი, მაგრამ  
კარგადაც გაყურყუტეს ციხეში! — ნიშნი მოუგო არიქამ.

— მე, დოროგო, სისტემის შეცდომა ვარ, ინტრიგების  
მსხვერპლი. დადგება დრო, გაირკვევა მტყუან-მართალი და  
იქნებ ბოდიშიც მომიხადონ!

— ელოდე, ელოდე! — თქვა არიქამ, მაგრამ ლეონტის  
სახე უცებ გაუქვავდა, „ეწყინაო“, იფიქრა არიქამ და მოურბი-  
ლა: — მე არ მითქვამს, მტყუანი ხარ-მეთქი. შენ ხომ არ მოგიყ-  
ოლია, რისთვის იჯექი. ისე, მაგი ნაკლებ მაინტერესებს, თუ  
საჭიროდ ჩათვლი, მოყვები კიდეც, არადა, ყველამ თავისი  
საიდუმლოებებით იცხოვროს! უმჯობესია, ძია ლიონია, ის  
ამიხსნა, დისიდენტი რა ხილია და ეგეთები რას ამბობენ?

ლეონტის ბევრი არაფერი უთქვამს, სიღრმეებში არ  
შეუტობავს, მაგრამ, რაკი თქვა, არიქასათვის ის გვირაბი აღ-  
მოჩნდა, რომლის ბოლოს მისთვის აქამდე უხილავი შუქი აკი-  
აფდა... დისიდენტი, საწინააღმდეგო აზრის კაცი, სინდისის პა-  
ტიმარი... ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება, საკუთარი აზრი  
აქვს და ამას არ მალავს... ამისათვის მზადაა, გვემა მიიღოს,  
ციხეში წავიდეს, სამშობლოს მოწყდეს... რა თქმა უნდა, ლე-  
ონტის ენაზე ეს აზრი უკუღმა ჟღერდა, იქ უფრო დაცინვის  
ნოტები ისმოდა, ლეონტის ხომ ასეთი ადამიანები ან გიჟებად  
მიაჩნდა (ამიტომაც ამათ საგიუეთში ბოლომდე ასულელე-

ბენო!), ანდა უცხო სპეცსამსახურების აგენტებად (ამიტომაც ტყვიას იმსახურებენ!)... პროკლამაციებს ავრცელებენ, არა-ლეგალურ უურნალებს ბეჭდავენ, საჩივრებს წერენ საზღვარგარეთის რადიოსადგურებს, სამშობლოს ჩირქსა სცხებენ და აბიაბრუებენ („რომელ სამშობლოს?“ — გუნებაში იკითხა არიქამ). ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი „სოვეტსკი ჩელოვეკის“ ვალია ამხილოს ეს მუწუკები და ამით განამტკიცოს მშობლიური ქვეყანა („მშობლიური?“ — კვერსასავით აღმოხდა არიქას).

— შენ თვითონ თუ წავიკითხავს?

— რა?

— ეგეთი უურნალები!

— რამდენიც გინდა! ვკითხულობდი, მაგრამ რაც ისე-დაც ვიცოდი, იმაზე ჭკვიანური ვერაფერი აღმოვაჩინე!

— მაინც რა აღმოაჩინე?

— დათვს, რომელსაც „სოვეტსკი საიუზი“ ჰქვია, ნუ დაეჭიდები, თორემ ქვეშ გაგიგდებს და ისე დაგბუბნის, ძვალსა და რბილს გაგიერთიანებს!

— ეს მხდალი კაცის ნათქვამია, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე დიდ საშინელებად სიკვდილი მიაჩნია! — არიქამ სირჩა ზიზღით გასწია. — ამასწინათ უურნალში წავიკითხე. ავტორი წიგნიერი კაცი ჩანდა, მარქსი სულ ზეპირად იცოდა და ამით თავს იწონებდა. აქეთ წიცშეს მოსდგა, იქით ჰეგელს გადაპკრა, ჰერმან გაკენწლა, ფრონდი მოთხარა... მე კი ამათი წიგნები თვალითაც არ მინახავს, ჩვენს ბიბლიოთეკებში „ყაყიტას ქურდებს“ თუ მოიძიებ... ეს ისეთი ამბავია, ორი კაცი ერთმანეთს უჩიოდეს, ერთს მოუსმინო და მეორეს არა... ანდა ერთი ხეზე იყოს მიბმული, მეორე მუშტებს ურტყამდეს. ეს ახმახი, გაკოჭილს რომ უბრაგუნებს, ვერასოდეს იქნება მართალი.

— ოპო, — ჩაიხვიხვინა ლეონტიმ, — ცხოვრება წინა გაქვს, იმდენ რამეს წაიკითხავ, გასულელდები. რაც მეტი გეცოდინება, დარაგო მოი, მით ნაკლებ ბედნიერი იქნები, მეტ-საც გაგასილაქებენ... ერთი იდეოლოგია როცა გწამს, მყარად დგახარ, მაგრამ საკმარისია სხვადასხვა იდეათა სისტემაში დაიწყო ცურვა, თავგზა აგებნევა და ერთ დღეს ან ციხეში ამოყოფ თავს, ან საგიშეთში!

— ისედაც ციხესა და საგიშეთში არ ვცხოვრობ? — იკითხა არიქამ და ამ დროს კარზე მოაკაკუნეს.

— ზიტოჩკა!

— ეჱ, მაინც არ ყოფილა ჩემი საშველი, მომაგნეს! — ამოხვნება ლეონტიმ და სკამიდან ადგომის პროცედურას შეუდგა.

ხელებით დაეყრდნო მაგიდას, ფეხის ღონეს მკლავის ღონეც დაახმარა და ისე წამოდგა, ზიტამ კი ამასობაში კარი გააღო.

პარმალზე ნატაშა იდგა, ლეონტის ქალიშვილი, ოქროს-ფრად ანათებდა.

— მამილო, ხომ გთხოვე? — მუდარით აღმოხდა.

— ახლავე, ახლავე, ნატაშენკა, აქ ძველი ნაცნობი აღმოჩნდა, კაი ბიჭია, გაიცანი!

— შენ რომ დალევა მოგინდება, კაი ბიჭები იქვე გამოჩნდებიან! — ნატაშამ მტრულად შეხედა არიქას.

არიქამ ხელები გაშალა, გაუღიმა, აბა, რა ჩემი ბრალიაო, თქმით კი არაფერი უთქვამს.

„უყურე შენ ამ ბეყეს!“ — ესლა გაიფიქრა.

11

თეატრი სტადიონთან იდგა. სტადიონსაც და თეატრსაც ერთნაირი დანიშნულება ჰქონდა — კულტურული. ერთგან თუ კუნთებს ავარჯიშებდნენ, მეორეგან — ტვინს. ოღონდაც, არც კუნთების ვარჯიშით გამოზრდილა ამირან დარეჯანისძე და არც ტვინის ჭყლეტით — უილიამ შექსპირი... და მაინც, მერე-თის თეატრი ტოლს არ უდებდა სხვა თეატრებს, პროვინციულ ცენტრებს რომ ამშვენებენ, ჰქონდა დიდებული კოლონადა, მძიმე კარები, ლამაზი ფოიე, ოქროსჩარჩოიანი სარკეები, ჭაღები, რომლებშიც შუქი ნელინელ ქრებოდა, მბრუნავი სცენა და ხავერდის შინდისფერი, ოქროსფორჩიანი ფარდა... დაცლილ თეატრში მონასტრული სიცარიელე და სიგრილე ისადგურებ-

და, სავსეობისას კი (როცა რაიკომი და აღმასკომი მოსახლეობის ძალათი გაკულტურებას ცდილობდნენ) იგი მოსაწყენ კრებას ემსგავსებოდა, თავის თავმჯდომარით, მდივნითა და ოქმით, იშვიათად — ბალაგანს, სადაც უკბილო ლაზლანდარობა სატირა ჰქონიათ, ფარისევლობას ტრაგედიად ჩაითვლიან, ხოლო დრამა გულს ვერავის აუჩქროლებს, რადგან აქ არავის არავინ უყვარს, სიყვარულს მხოლოდ თამაშობენ და ამით ნიღბავენ ჭეშმარიტ გრძნობას — სიძულვილს, რაც ციცქა სულის ადამიანთა ერთადერთი საკვებია... თუმცა მერეთის თეატრს ახსოვდა უკეთესი დროებაც, თუნდაც უამი იროდიონ რიგვავას რეჟისორობისა, როცა შექსპირი და შილერი ნამდვილი შექსპირი და შილერი იყვნენ... მერე და მერეც გაკაშკაშდებოდა ხოლმე ნიჭიერების ვარსკვლავი, გადაიქროლებდა, გაქრებოდა, რადგან იდეონნებში მოქცეულს გალადება არ ეწერა.

არიქამ სკამს ხელი დაავლო, ავანსცენაზე დადგა და ჩამოჯდა. გული ძალუმად უძგერდა, პროჟექტორების სიკაშკაშეში სცენის ვეებერთელა სივრცე თითქოს მხრებზე აწვებოდა, ნინ კი თეატრალური დარბაზი — ვეშაპის ხახა განოლილიყო. იგი უფრო საკონფერენციოს ჰგავდა, სიმკაცრე და სიღარიბე ეტყობოდა, მაგრამ ადამიანს, ვინაც განებივრებული არა უფრო მდიდარი თეატრების ხილვით, საკმაოდ პომპეზური მოეჩვენებოდა. პარტერს უკნიდან ორი ლოუა ჰქონდა მიდგმული, კედლების გასწვრივაც სამ-სამი, დაბალი ლოუა მიჰყვებოდა, მთავრობისა და პარტიულ მოხელეთათვის, თუმცა ესენი მხოლოდ იერარქიულ მინიშნებად აღიქმებოდა, რადგან ბევრი ვერაფრით სჯობდა პარტერის სავარძლებს. დარბაზს ზურგიდან „ბალკონიც“ გადმომხობოდა, უფრო ხშირად დაბალი კლასის მოსწავლეთა სათარეშო, საიდანაც პატარა მაყურებლების გაუთავებელი ჭივჭავი ისმოდა და რესპექტაბელურ საზოგადოებას თავზე მზესუმზირის ჩენჩი ეყრებოდა... ახლა თეატრი ცარიელი იყო, ყინულის მდუმარება იდგა და არიქას შიში მოეძალა, თუმცა შეეცადა, უკუეგდო ეს გრძნობა.

დარბაზის ბოლო კარიდან ვალერიან დოდიკაძე შემოვიდა, თავაუდებლად გამოჰყვა მწვანე ფარდაგს და პირველი რიგის სავარძელში მოკალათდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეხე-

და სცენაზე ფეხიფეხადადებულ არიქას, რომელსაც ჭოჭმანი შესდგომოდა, ავდგე თუ ასევე ვიჯდეო.

დოდიკაძემ ერთხანს უყურა და მერე ხმა ჩაიწმინდა:

— ჰემ! მოგწონს სცენაზე?

— სცენა საშიშია, — გაელიმა არიქას, — შეიძლება გადაგყლაპოს!

— მომიჯექი გვერდით, ვილაპარაკოთ!

არიქა სცენიდან ჩამოხტა, დოდიკაძის გვერდით ერთი სკამი გამოტოვა და დაჯდა.

— რა ჯანდაბით გინდა, ამოყორო ამოდენა ხახა! — ორივე ხელი სცენისაკენ გაიშვირა დოდიკაძემ და გაკვირვებულმა არიქამ მის ამ ამოძახილში ზიზღი და სასოწარკვეთა ამოიკითხა. — შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, მომავალი წარმატებების იმედი გასულდგმულებს, — განაგრძო დოდიკაძემ, — მე კი დავიღალე, მთელი ჩემი სიცოცხლე ვცდილობ, უფსკრული ამოვავსო, მაგრამ უძირო ყოფილა ეს შობელძალლი!

— თქვენ კარგი სახელი გაქვთ, პატივსა გცემენ! — ხმადაბლა უთხრა არიქამ, თან მზერა მოარიდა.

— ვინ მცემს პატივს, ეს კრეტინები, თეატრისა რომ არაფერი გაეგებათ? კარგა ხანია, ჩემო კარგო, საკუთარი თავის ფასი ვიცი. ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, ცხოვრების გარიურაზე ვინმეს სწორ გზაზე დავეყენებინე. ახალგაზრდა თავქარიანია, ყოველი ყმანვილი ლექსითა და თეატრით აბოდებს. მეც ორიოდე სპექტაკლი რომ ვნახე, გიუს დავემსგავსე, ვიფიქრე, ამ საქმეზე იოლი და საინტერესო რა უნდა იყოს-მეთქი... რა ხელობაა ბოლოს და ბოლოს ეს რეჟისორობა? პიესას შენ არ წერ, თამაშით არ თამაშობ, არ ხატავ, მუსიკას არ თხზავ, თითს იქნევ მხოლოდ, ასე ქენი, ისე ქენიო... მეც ვიქნიე თითი — ორმოცი პიესა მაინც მექნება დადგმული... გინახავს ჩემი სპექტაკლები? — არიქამ თავი დაუქნია. — გამიზიარებ შთაბეჭდილებას? — არიქა განითლდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ დოდიკაძემ ხელი უიმედოდ ჩაიქნია და მოწყვეტით დააყოლა: — არ გინდა და ნუ მეტყვი!

არიქამ ეჭვით შეხედა, ხომ არ მცდის ეს კაციო. გაპევირვებოდა თითქმის უცნობი კაცის ეგზომი გულახდილობა. მართალია, არც თვითონ იყო მაღალი წარმოდგენისა დოდიკაძის

შემოქმედებაზე, მაგრამ ამ კაცის სიტყვები თვით რეჟისორობის პრესტიჟს ამცრობდა და ხმათროლებულმა შეჰქედა:

— არა მგონია, სწორი ბრძანდებოდეთ! ვიღაცა წერს, ვიღაცა ხატავს, ვიღაცა როლს თამაშობს, მაგრამ რეჟისორის ჯადოსნური კვერთხის გარეშე ყველაფერი ეს სცენაზე ვერ გაცოცხლდება!

— სადაა, ბიჭო, მერე ის ჯადოსნური კვერთხი?

არიქა გაუჩიუმდა, თავდახრილი ფრჩხილებს იმოწმებდა, ხანდახან სწრაფად ახედავდა დოდიკაძეს და ისევ არიდებდა თვალს. რა უნდა ეთქვა კაცისათვის, რომელიც ბედს სულ სხვა ხომალდზე გაემწესებინა და საკუთარი საქმიანობის არსს ბოლომდე ვერ ჩასწვდენოდა.

— ჯადოსნური კვერთხი რომ მომცა, ამ მიყრუებულ, შმორიან პროვინციაში ჩავლპებოდი? — ერთხანს იყუჩა დოდიკაძემ, სცენისათვის მიეპყრო უსიცოცხლი მზერა. — იცი, ყმანვილო, ადრე მბჟუტავი ლამპარივით როდი ვიყავი, პატივ-მოყვარეობის სენი მეცა მხრავდა, გულში ცეცხლი მენთო და მეგონა, რომ ნიჭიერებაც შესაბამისი მქონდა. თითქოს დუ-ელში ვიწვევდი თბილისის სახელგანთქმულ თეატრებს. დადგამდნენ ისინი საეტაპო სპექტაკლს, თვეც არ გავიდოდა, ჩვენს სცენაზეც პრემიერა ვექონდა. სხვაზე ნაკლები არაფრით ვიყავით, მაგრამ ჩვენი ქალაქელებისა ვერაფერი გამიგია, მათი გულის მოგება ვერ შევძელი, დარბაზი მუდამ ცარიელი გვაქვს და ტაშის ნელთბილი პარტყუნის შემდეგ მორიგი სპექტაკლი ისტორიას ბარდება.

— ალბათ, ესეც შეცდომაა, — წყნარად თქვა არიქამ, — სხვათა სპექტაკლების ასლების გადმოღება. შეიძლება ასლი ოსტატურად შესრულდეს, მაგრამ ის ხომ იმთავითვე მეორადია!

— არჩევანის დიდი საშუალება არა მქონია. — დოდიკაძემ საფეთქლებზე ხელები ჩამოისვა, თითქოს ტკივილებს იყუჩებსო. — რეპერტუარს კულტურის სამინისტრო გვიმტკიცებდა. ერთი და იგივე რეპერტუარი ტრიალებს თეატრებში, ყოველი ახალი პიესის შემოგდება რისკია...

— რისკი? სპექტაკლი ყოველთვის რისკია! ამასთან დაკავშირებით აზრი გამიჩნდა, თქმა მერიდება...

— კაი რამეს თუ მოიფიქრებ...

— ჩვენს მაყურებელს შექსპირი, ცხადია, არასოდეს მოსწყინდება, მაგრამ კარგი იქნებოდა, ერთხელ მაინც შემოგვეგდო რაიმე ჩვენებური, მერეთული... იქნებ ცოტათი სკანდალურიც, საზოგადოება რომ ავალაპარაკოთ, თეატრისაკენ შემოვაბრუნოთ.

— ადგილობრივი შექსპირი? — უგემურად დაიჯლანა დოდიკაძე. — ყოველთვის მინდოდა ორიგინალური პიესა ჩამვარდნოდა ხელთ. საკუთარი დრამატურგი თუ გვეყოლებოდა, მთლად უკეთესი, მაგრამ ჯერჯერობით მერეთული პრუტუნ-პრუტუნის მეტი ვერაფერი წავიკითხე!

— ახალგაზრდა ავტორია, გვარად ქ...

— ბესას ბიჭია?

— ბესას გოგო ჰყავს მხოლოდ! — არიქა განითლდა. — უმამოა, თუ არ ვცდები, სტუდენტობა მოილია. ასაკით ჩემზე ორი-სამი წლით უმცროსი იქნება. პიესა დაუწერია...

— ვარგა მერე?

— რომ გითხრათ, ციდან ვარსკვლავებს წყვეტსო, იმედს გაგიცრუებთ! სატირული პიესაა. ლირსებად ის ჩავუთვალოთ, მერეთელთათვის ნაცნობი თემაა, ჭორი გავარდება და ქალაქი თეატრს მოაწყდება. დაწერილია კაი ქართულით, ინტრიგაც არის, ხასიათებიც... ავტორი, ეტყობა, თეატრს მაინცდამაინც კარგად არ იცნობს, მაგრამ, გამიგონია, გამოცდილი რეჟისორი ტელეფონების წიგნსაც კი დადგამსო.

— რისკია, ხომ იცი შენ! მაინც რაზეა პიესა?

— „ლიფტი მეორე სართულამდე“, ასე ჰქვია. მთავარი პერსონაჟი ქეთუშა არამი ფულით ისე გამდიდრებულა, მეორე სართულამდე კიბით ასვლას არ კადრულობს, ლიფტი უნდა დაიყენოს. როგორც იტყვიან, „სოციალური ხორცმეტია“.

— სოციალური ხორცმეტი? კაია, დროის მოთხოვნას მოუხდება, ხორცმეტებს უნდა დავცხოთ!.. მოიტანე, წავიკითხოთ, ვნახოთ!

მოიტანეს, წაიკითხეს...

სწორედ აქ, ოთხმოცდაცამეტის მატარებელში შემახსენა არიქამ ეს ამბავი, კი არ გაყვედრიო, ესეც დასძინა, თუმცა გაუცხოებული შემომყურებდა.

ახალგაზრდა ავტორი ვიყავი მაშინ, პიესებს ბლომად ვკითხულობდი, მაგრამ ნამდვილი თეატრის კულისებში არც შემიხედავს და გამოცდილება მაკლდა.

კუთხეში დამნაშავესავით მუხლებმიტყუპებული ვიჯექი და მღელვარებისაგან თითებს ვიმტვრევდი. რამეს თუ შემეკითხებოდნენ, შეშინებული ამოვძახებდი — „ა?“

ტექსტს წამყვანი მსახიობი ამბერკი ჭითავა კითხულობდა, ისე ჩქარობდა, თავი და ბოლო ერთმანეთს მიაწყო. ბოლომდე ჩაარიხინა და გაკვირვებით დაასკვნა:

— დი, ეს ქეთუშა ჩვენს კატუშას არა ჰეგავს?

ქალაქში ცნობილი ქალი იყო კატუშა, დაფნის დამამზადებელი და, აქედან გამომდინარე, ფულის ხვავრიელად მომხვეჭელიც. ყველამ კარგად იცოდა ფულის კეთების კატუშასეული მეთოდები, მაგრამ, ვინც მის ნასუფრალზე იკვებებოდა, ის კრინტს არ დაძრავდა, დანარჩენები კი, ვისი ბედოვლათობითაც კატუშა კეთდებოდა, ხმის ამოღებას ვერც გაბედავდნენ. გაძლა ეს ჩვენი კატუშა და დააძლო თავისი ახლობლობა. სამოცი წლისა მაინც იქნებოდა ოცდაათწლიანი საქმრო რომ გაიშანსა, ჩააცვა, დაახურა, ჯიბე ფულით გამოუტენა, ახალთახალ „ვოლგაზე“ დასვა, ოღონდ უმაღლური აღმოჩნდა კატუშას შეყვარებული, ქალის ამაგს ზურგი აქცია და შინ ახალგაზრდა ცოლი დაისვა. კატუშამ, ეგრე არ უნდაო, „ვოლგიდან“ ჩამოაბრძანა, რაც ჩააცვა, ჩახადა და უკანალზე ჭიტლაყი ამოჰკრა...

— აუჟ, მაგან ეგ ამბავი რომ გაიგოს, თეატრის კარს ჩამოგვიღებს! — დაფრთხა თეატრის დირექტორი.

— მე ვიცი მაგისი წამალი! — ბრძანა ვაღლერიან დოდიკაძემ. — თუ ავტორი დაგვთანხმდება, პირადად წავიმუშავებ პიესაზე, სადაც დაფნის დამზადება წერია, წინაკა ჩავწეროთ და თავი ქუდში გვექნება!

თვალებდაჭყეტილი ვუსმენდი ამ საუბარს. ჯერ კიდევ არ მეგონა, უარის თქმა თუ შეიძლებოდა. კატუშას არც კი ვიცნობდი და სიუჟეტისა და ხასიათის დამთხვევა უნებლიერ გამომივიდა.

სულ მალე დაფნა წინაკით შეიცვალა, ხოლო ტიტულზე ერთი ავტორის ნაცვლად ორი გაჩნდა: ქ. და დოდიკაძე. კულ-

ტურის სამინისტროში გასაგზავნ ვარიანტში მცირე კორექტივი შევიდა, ავტორები ალფაბეტის მიხედვით დავლაგდით: დოდიკაძე და ქ. აფიშას კი სიმოკლისათვის ერთადერთი გვარ-სახელი ამშვენებდა — ვალერიან დოდიკაძე.

— კარგად ვიმუშავეთ მე და შენ, ბევრი ოფლი ვლვარეთ!

— მითხრა ვალერიან დოდიკაძემ და ლოყაზე ხელი მომითა-თუნა.

თავგზააბნეული ვიდექი თეატრის წინ, გული ამოვარდნასა მქონდა, მინდოდა, მწარ-მწარე სიტყვები მეთქვა, მაგრამ ხმა ყელში გამეჩხირა, დოდიკაძე კი შებრუნდა და ლილინ-ლი-ლინ, თავანეული შეუყვა კიბეს.

— უნდა გეჩივლათ! — მითხრა არიქამ, აქ, დეკემბრის ცივი ვაგონის კუპეში. — ეს თავხედობა და უტიფრობა არ უნდა შეგერჩინათ, მაგრამ, ალბათ, მაშინაც თქვენში მებრძოლი სული ჩამკვდარი იყო. ბავშვივით გაგაცურეს, თითზე დაგიხვიეს, თქვენ კი ისიც ვერ მოახერხეთ, სილა მაინც გაგეწნათ ან შეგეგინებინათ!

მატარებელი უცნობ ადგილას გაჩერილიყო. ფანჯრიდან ჩაის მოსაწყენი რიგები ჩანდა და მეტი არაფერი.

— რა აზრი ჰქონდა! — გამეღიმა. — დღევანდელი თვალსაწიერიდან მთელი ის ფაციფუცი სასაცილო ჩანს. პიესა ჩემი ლიტერატურული მოწაფეობის ხანისაა, უმნიშვარი კალმის ცდაა. რომ მეჩივლა, იქნებ მომეგო კიდეც, მაგრამ ამით მხოლოდ იმას დავამტკიცებდი, რომ ავტორი ვარ ტექსტისა, რომელსაც დახარბდა ვაღლერიან დოდიკაძე, კაცი-ასლი. თანაც იმ წუთისათვის მე უკვე მეტი პრეტენზიები მქონდა, ვიდრე ამ პიესას შეეძლო ეზიდა! აი, შენც ხომ გაგაცურეს, რეჟისორი, რომელსაც ძალუდა სუსტი პიესიდანაც წარმატებული სპექტაკლი შეექმნა.

არიქას გადაავიწყდა, რომ მხოლოდღა სცენის მუშა იყო, რეკვიზიტის გატანა და შემოტანა ევალებოდა. პიესა მართლაც სუსტი მოეჩვენა, მაგრამ, ეგზალტირებული ბუნების წყალობით, მწირ სცენურ ხასიათებს ხორცით ავსებდა, ვნებებით ძაბავდა. თითიდან გამონოვილი პრობლემები ფეთქებადი ხდებოდა, უწყინარი სიტუაცია დისიდენტურ უღერადობას იძენდა. მსახიობები, ისინიც კი, ვისაც აქამდე ხარისხები და

წოდებები არ დაჰკლებია და თავი ღრუბლებში გაერჭოთ, ახალგაზრდა კაცის ენერგიას ემორჩილებოდნენ, პლასტელინის ფიგურებივით იძერწებოდნენ... ქეთუშას როლის შემსრულებელი თავისი გარეგნობითა და ტემპერამენტით კარგად ესადაგებოდა პერსონაჟს, სცენაზე ისე ჩხუბობდა და კაპასობდა, უკეთესს კაცი ვერ მოიგონებდა, მაგრამ წარმოშობით გურულს ვერაფრით დაეძლია კუთხური კილო, თუმცა ეს ნაკლი რეჟისორმა ღირსებად გადაუქცია, კოლორიტის ხიბლი შესძინა.

რეპეტიციების დროს ვალერიან დოდიკაძე მუდამ არიქას გვერდით იჯდა, ხვენეშოდა და ოხრავდა, ყურში წამდაუნუმ ეჩურჩულებოდა — დასს შთაბეჭდილებას უქმნიდა, ახალგაზრდა კაცს ვმოძლვრავ, გზს ვაძლევო. მართლაც ცდილობდა, გეზი მიეცა, მაგრამ მისი ყოველი წინადადება სპექტაკლს შტამპების ჩარჩოში აქცევდა, უგემური და დაღეჭილი ტრაფარეტებით ამკობდა. არიქა უძალინანდებოდა, ბრაზობდა, ხმადაბლა ეკამათებოდა და თავისი გაპქონდა. დოდიკაძე წყენით ქშუტუნებდა, მაგრამ საკუთარ თავში ბოლომდე არ იყო დაჯერებული და კამათის გამწვავებას ერიდებოდა. უყურებდა სცენაზე გათამაშებულ კოლიზიებს და სიმწრით გაიფიქრებდა: „ამას მეც ხომ მივხვდებოდი!“ „ამას მეც ხომ გავაკეთებდი!“ გული ბოლმით ევსებოდა, რადგან მუდამ მეორე იყო, პირველობა ყოველთვის სხვას ერგებოდა... კაცი-ასლი, დიახ, ასლი!.. ერთხელაც გული ყელში მოებჯინა, გაუსივდა და ამ დროს თეატრში მოვარდა კატუშა...

ვიღაცამ ენა მიუტანა, შენი ამბავი კალმის წვერზე წამოუგიათ, თეატრის სცენაზე გაუთამაშებიათ, თავს უშველე, თორემ ლაფი გადაგესხმება და ვეღარც ჩამოიბანო. კატუშამ კიბიდანვე ისეთი კივილი მორთო, მრავლისმნახველი კოლონადა ლამისაა შეტორტმანდა... კივილ-კივილით გაიარა ფოიე და დერეფანი. თეატრში თავის სიცოცხლეში არ ყოფილა, მაგრამ გზა უშეცდომოდ გაიგნო. მელპომენას დამფრთხალი მსახურნი თხებივით დაიფრინა... სცენიდან ქეთუშამ იკივლა, პარტერიდან კატუშამ და ისეთი ამბავი დატრიალდა, ცოტა დააკლდა, კედლები დაიბზარა... ამასობაში კატუშამ თავის მსხვერპლს,

ვალერიან დოდიკაძეს მიაგნო, ყელში ჭანგებით მისწვდა და, დროზე რომ არ მიშველებოდნენ, დარბაისელი და სახელოვანი კაცი სულს გააფრთხობდა.

— ესა ვარ მე?! — პირიდან ცოფსა ყრიდა კატუშა, სცენისაკენ ხელს იშვერდა. — ეს ნაბოზარ-ნაჩათლახარი ვარ მე?! ამ ძურნამ როგორ უნდა გამათამაშოს თეატრში?!

„ძურნამ“ ვერ გაუძლო ამ უსამართლო შემოტევას, გული შეუღონდა და ლამაზად განვა სცენაზე, მართალი თოდუას მიერ დახატული ორსართულიანი სახლის პარმალთან. მთელი დასი მიესია, წყალს აპკურებდნენ და ყურებს უზელდნენ.

— ქალბატონო კატუშა! — ძლივს გააგონა არიქამ. — თქვენ ორსართულიანი სახლი გაქვთ?

— რავა, ვინმეს წავართვი თუ? — ამრეზით შეაგება კატუშამ.

— ლიფტი გიყენიათ? პირველიდან მეორე სართულზე ლიფტით ადიხართ თუ ფეხით აბრძანდებით?

— ვინ გგონივარ, წიე, მე შენ? კუტი კი არა ვარ, მეორე სართულზე ლიფტი დამჭირდეს!

— აბა, რას მოგვიხტი აქ და აგვაწიოკე? ვერ ხედავ, ამ სახლში ლიფტია!

კატუშას ნირი ეცვალა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, დოინჯი შემოყვარა და მუქარით დააგდო:

— მთავრობას შევყრი, იცოდეთ, ცას ჩამოვიდებ!

თეატრიდან ისე გავარდა, მეხსი გადაგრიალებასა ჰგავდა.

ვალერიან დოდიკაძე აქამდე მომჩვარული ეგდო სკამზე, ახლადა გამოცოცხლდა, წამოხტა, ფეხები ბრაზით დააბაკუნა, ცხვირწინ თითი აუქნია არიქას.

— სულ შენი ბრალია ყველაფერი! შენ ჩაგვაგდე ასეთ დღეში! მე ხელები დამიბანია, შენ აგე პასუხი! დიახ, შევცდი შენში! მუშად მიგიღე და სერიოზული საქმე არ უნდა დამევალებინა! დიახ, შევცდი! ჩაიშალა, გაუქმდა სპექტაკლი! დიახ, გაუქმდა! მე ჩემს პრესტიუს სასწორზე ვერ შევაგდებ!

კიდევ რაღაცები ამოიყვირა, ფეხები აბაკუნა და სავარელში უღონოდ ჩაესვენა.

არიქამ არაფერი უპასუხა, გულის სიღრმემდე შეურაცხ-  
ყოფილი იყო.

შებრუნდა და პარტერიდან გავიდა.

კიბესთან კატუშა კვლავ ქოთქოთებდა, თეატრის შე-  
ნობას ქოქოლას აყრიდა. ირგვლივ ცნობისმოყვარენი შეყ-  
რილიყვნენ.

არიქა აუჩქარებლად გაშორდა იქაურობას. საქმეს ისე-  
თი პირი უჩანდა, მისი ლიფტი მეორე სართულამდეც ვერ ააღ-  
წევდა.

ცხადია, ეს თეატრალური აყალმაყალი უყურადღებოდ  
არ ჩაივლიდა, მთავრობის მახვილ სმენას აუცილებლად მის-  
წვდებოდა. დურუ გეგია (არ მახსოვს, ჯერაც აღმასკომის  
თავმჯდომარე იყო თუ უკვე პირველი მდივანი) თავისი მხლე-  
ბლებითურთ თეატრს ეწვია და დოდიკაძეს, — გვანახე ერთი,  
რის გამო ხოცავთ ერთმანეთსო, — უბრძანა.

უარს ვინ შეჰქედავდა? სცენის მუშა არიქა ძაძუა შინ  
იჯდა და იბუტებოდა, მაგრამ სხვები ხომ აქ იყვნენ და ათ წუთ-  
ში დეკორაცია ააწყვეს: ქეთუშას ორსართულიანი სახლი, ლიფ-  
ტის კარი, ფართო კიბე და ეზო... ერთხანს უსმინა დურუმ სცე-  
ნაზე ქეთუშას გურულ-მეგრულ წიოკობას, მეტად სასაცილ-  
ოდ მოეჩვენა და ხმამალლა აროხროხდა:

— შენ რა გითხრა, ეს რა გაგიკეთებია! — თან სიცილის  
ცრემლს იწმენდდა, თან დოდიკაძეს მხარზე მოფერებით  
ურყყამდა მძიმე თათს (კინალამ ძვლები ჩაუმტვრია, ცხადია,  
უნებლიერ). — მართლაც კატუშასათვის არ დაგიმგვანებია ეს  
უბედურის გაჩენილი?

მთავრობის გამხიარულებას მაინცდამაინც დიდი იუ-  
მორი არ სჭირდებოდა და სახეჩამოლამებულმა დოდიკაძემ  
თავის მართლება დაიწყო, კატუშა რა შუაშია, ჩვენი სოცი-  
ალისტური სინამდვილის ხორცმეტი ვამხილეო.

დასტური მისცა დურუ გეგიამ, პოლიტიკურად სწორიაო,  
განაცხადა, ჩვენი ცხოვრების მახინჯ მხარეებს აქიაქებსო.

გაიხარა დოდიკაძემ, კინალამ პარკეტზე გახოხდა, კვი-  
რის თავზე პრემიერა გვექნებაო, დაპირდა.

პრემიერამ ტაშის გრიალსა და ხორხოცში ჩაიარა.

სარეკლამო ტუმბოებზე გაკრული აფიშები დიდი წითე-  
ლი ასოებით იტყობინებოდა: „პიესის ავტორი და დამდგმელი  
რეჟისორი ვალერიან დოდიკაძე“.

— შენ რაღა მოიმოქმედე? — ნიშნისმოგებით შევეკითხე  
არიქას.

მის სახეზე ოდინდელი მრისხანების კვალმა გამოანათა.

— პროკლამაცია დავწერე და გავავრცელე, პირველი  
პროკლამაცია საბჭოთა პერიოდის მერეთში.

12

სიტყვა ნაღმია, სიტყვას იმპერიების დანგრევა ძალუძს!

— მაშინ ვინ იცოდა, რომ ის, რაშიც ჩვენ ვცხოვრობდით,  
იმპერია იყო, ჩვენ აკვანშივე ჩაგვაძხოდნენ, რომ ჩვენი დია-  
დი ქვეყანა, ესაა ხალხთა მძლე კავშირი ძმური...

— მე ვიცოდი! — მტკიცედ თქვა არიქამ. — მერეთში  
ჩვენ ვიყავით პირველი დისიდენტები, მე და კიდევ ის გოგო,  
ბესას ქალიშვილი! მეჩემით მივხვდი, იმას კი მამამ ასწავლა... მოგვი-  
ანებით მართალიც მიხვდა, მაგრამ იგი მუდამ ყოყმანობდა.

— ქირხე, პატარა ცირა? — ჩავფიქრდი, მეხსიერება შევი-  
მოწმე. ციცქნა, გაცრეცილი გოგონა მახსოვდა, ჩხინკა, მარ-  
თალისა და არიქას სტუმრობისას ყმაწვილები ბუხრისპირას  
რომ ასადილა. მაშინ არიქას თვალი ზედ შერჩა, მართალი კი ამ  
თემაზე ქილიკობდა, მეგობრის დაბნეულობით ერთობოდა.

ეს იყო ადრე! დრონი იცვალნენ. ჩხინკა გოგო აიშოლტა,  
მისი ტანი — ლერნამი, მისი ხმა — სალამური, თმა — ჩანჩქე-  
რი, თვალები — უძირო ტბა... ქრესთომატიული, ლიტერატუ-  
რული ხატი, პოეტები რომ ათასნლეულობით იმეორებენ.

მეგობრები სახელოსნოში იკრიბებოდნენ ხოლმე. მარ-  
თალი მოლპერტს უჯდა. ჭიკარტით დამაგრებულ ქაღალდზე  
ფანქრის ერთი მოსმით სახის ოვალს ავლებდა და დაფიქრე-  
ბით გახედავდა დედანს. მხატვრის გამომცდელი მზერა გოგ-  
ოს აკრთობდა, უხერხულობის გასაფანტავად ჩაიცინებდა,

თავს ენერგიულად გაიქნევდა, თითქოს ცხლად შეწითლებულ ლოყებს ინიავებდა. არიქა მოუსვენრად დაკელანაობდა წინ და უკან, არარსებულ მტერს მუშტებს უღერებდა, სიძულვილის ნიაღვარს აფრქვევდა... სიკოჭლე დავინყებოდა, ძალუმად ვარდებოდა მტკივან ფეხზე, ტორტმანებდა და ცირას სიბრალულისა თუ შიშისაგან სიცილი პირზე ადნებოდა, სურვილი უჩნდებოდა, ხელი გაეწვდინა, წასაქცევად განწირულ ახალგაზრდას შეშველებოდა.

ვალერიან დოდიკაძეს ლანძღავდა არიქა, პანოპტიკუმის პერსონაჟს უწოდებდა, საფლავიდან ამოსულა და ჩვენს ქალაქში სიკვდილის სუნი დააყენაო, ამტკიცებდა. დოდიკაძისა რა გვიკირს, ჩვენი უკიდეგანო ქვეყანა კუბოში ჩასაწვენი ტიპებით იმართება და, ხელისუფლებას ისე ებლაუჭებიან, ლამისაა ჩვენც უფსკრულში ჩაგვითრიონო...

გაახურა და გაახურა, პოლიტიკური კამათის უინი სჭირდა, ოღონდ სიტყვა შეგეგდო და აყვირდებოდა, აბობოქრდებოდა, სიტყვათა ჭურვებს ალალბედზე ისროდა, საკუთარის გარდა არავისა აზრს არ იკარებდა. რაც უნდა გეთქვა, ყველაფრის ალტერნატივას დაძებნიდა და, თუ ერთხელ ჩაეჭიდებოდა, ნათქვამს ვერავინ გადაათქმევინებდა.

კამათში ჭეშმარიტება იბადებაო, არადა, ჭეშმარიტება ქვავდებოდა, კვდებოდა, ტრაფარეტად გადაიქცეოდა. არიქას სიმართლე ყოველთვის უკიდურესი იყო, ყოველთვის ზღვარს გადადიოდა, იმაზე მეტს მოითხოვდა, ვიდრე დრო-უამს შეეძლო მოეცა. ტვინი გამოტენილი ჰქონდა იდეებით, გული ავსებოდა ვნებებით, ვერც ერთს იმორჩილებდა და ვერც მეორეს.

მართალი აუღელვებლად ისმენდა მეგობრის დამდლელ ქადაგებებს, ხანდახან თუ ჩაურთავდა ორ-სამ სიტყვას, თავის ყოფილნა და დაეჭვებას გამოხატავდა. პასუხად არიქა ფეთქდებოდა, ყოველ შენიშვნას მტრობად აღიქვამდა და ნერვებს იგლეჯდა. რა თქმა უნდა, დღესაც უყვარდა ძველებური, ბავშვური სიყვარულით, სხვა უკეთესი მეგობარი არცა ჰყავდა, მაგრამ გულში ერთხელ შემოპარული მეტოქეობის გრძნობა მუღავნებოდა მოულოდნელ მძვინვარებაში, სიტყვათა მტრულ კილო-

ში, თუმცა თვითონაც ვერ გაერკვია, რა აღიზიანებდა ძმაკაცის ქცევაში, ხასიათში, ნათქვამში.

ცირა იდგა ამათ შორის, ცირა მიმოირხეოდა აქეთ-იქით, ფერთა სიჭრელეში თავისი ფერი შეჰქონდა. კაცთა ნერვულ კამათში გრილი ნაკადივით შემოიჭრებოდა მისი ხმის უცნაური კილო, თავისი დედის, ცხუტასაგან გამოყოლილი ღუღუნი, როცა მკაცრად და შეუვალად ნათქვამიც ალერსად აღიქმება.

— სიტყვები, სიტყვები!.. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, ასი წელი ლაპარაკის მეტი არაფერი გვიკეთებია. ნუთუ ვერა გრძნობთ, ამ ვიწრო სივრცეში ჰაერი არ იძვრის, ჩავიხუთეთ! თეატრში კატუშას აქიაქებთ და ესა გგონიათ საქმე? მართალი ჩემი უწყინარი პროფილით ერთობა და ამითა სურს მარადისობის კარებს მიუკაცუნოს?

— რა ვქნათ? — ყრუდ იკითხა მართალიმ (მისმა მეხ-სიერებამ კეკეს სიტყვებთან მსგავსება დააფიქსირა, გული შეეკუმშა).

— მე რა ვიცი! პასუხი რომ მქონდეს, თქვენზე ჭკვიანი ვიქნებოდი. მხატვარი რომ ვიყო, სამყაროს ისეთს როდი დავხატავდი, როგორიც ისაა. აი, ამ ფუნჯით სამყაროს ავაფეთქებდი და ნამსხვრევებიდან ახალ სამყაროს შევქმნიდი! რეჟისორი რომ ვიყო, დოდიკაძის თეატრალურ ჭაობში ცხვირსაც არ შევყოფდი და ისეთ სპექტაკლს დავდგამდი, რომელშიც მთელი ქალაქი ან იქნებ მთელი ქვეყანა ითამაშებდა! დრამის ავტორი — დრო, რეჟისორი — არიქა ძაძუა, როლებში — მართალი, მე, ყველა, ვინც არ შეშინდება და ჩვენს გვერდით დადგება... სტატისტები — ჩვენი თანამოქალაქენი... სპექტაკლიაპოკალისი, რომელიც ამ ძირმომპალ შენობას შეარყევს და საბოლოოდ მოფშვნის...

— და იმ ნანგრევებში ჩვენც მოვყებით!

— ვინც თავგანწირვისთვის მზად არაა, ის სამყაროს ვერ შეცვლის! — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ბესას ასული ოცისა თუ იქნებოდა, არიქა და მართალი ასაკით გაცილებით უსწრებდნენ.

— დიახ, — ხმაში სარკაზმი გავურიე, — საჭირო გახდა, არიქა ბატონო, თქვენი ზედმეტი მგზნებარებისა და მძულვა-

რების მოთოკვა, ზომიერ სადინარში მიშვება, საჭირო გახდა მართალის ყოფილისა და ინერტულობის ძლევა. ერთიც დამღუპველი იყო და მეორეც! დრომ მოითხოვა თავისი ლიდერი და ისიც გამოჩნდა — ცირა, ბესას ასული, ქირხე!

— ესეც მწერლური ეშმაკობაა! — ნამოიძახა იესემ, ერთგულმა მკითხველმა. — ავტორს მოეპრიანა და მეორებარისხოვანი, შემთხვევით გაელვებული პერსონაჟი შემოგვიგდო, ტახტზე დაგვისვა...

— რა სიტყვაა „შემოგვიგდო“? — ზიზლით დაიჭყანა არიქა. — ქალზეა ლაპარაკი!

„ქალი კი არა, ალქაჯია! — ბოლმით ფიქრობდა ლესტამბე თოლორაია, პირბუტალი სახე შესიებოდა, ჭარხლისფერი გამხდარიყო. — სისხლი გაგვიშრო, არაქათი გამოგვაცალა! ჯერ კიდევ ცხონებული მამაჩემის ბიკენტის დროს ბესა ქირიაზე იმდენი საქმე შეივსო, კარადის ერთი თარო ეჭირა. ქალაქში კაცი არ დადიოდა, ვისი საქმიანობის წვრილმანებიც ეგრე აგვენუსხა. რამდენჯერ დავაყენე საკითხი, ფსიქიატრიულში ჩაგვეკეტა, არ დამიჯერეს, ლაზარანდარაა, პოლიტიკოსად ნუ გადავაქცევთო. არადა, შვილი აღზარდა, მტრისას, წალმა გეთქვა, უკულმა შეაბრუნებდა. ხრუშჩოვის დროს ციმბირს უკან მოატოვებინებდნენ, მაგრამ ახლა დემოკრატიას ვთამაშობდით და მხოლოდ აღმზრდელობით მეთოდს ვიყენებდით. მახსოვს, კომკავშირული ბერკეტი ავამოქმედე, თოთხმეტი წლისას ხომ კომკავშირში ვიღებდით. ვერაფრით შემოვიტყუე! მამამისი მორიგ ხულიგნობაზე იჯდა. კარგი იქნებოდა, პავა მოროზოვის ვარიანტი გაგვეთამაშებინა. ტკბილად ველაპარაკე, მან კი ისეთი პასუხები მომცა, კედელთან მიმაყენა, სულ მარქსისა და ლენინის ციტატები დამიხვავა. რამ აკითხა, კაცო, ამ ერთ ციდა ბავშვს ეს პოლიტიკური ლიტერატურა? წინასწარვე ვიცოდი, პრობლემებს რომ შეგვიქმნიდა და არც მოვტყუებულვარ! დაიწყო მიტინგების დრო და ეს ერთი შეხედვით მორიდებული გოგონა პასიონარიად გადაგვექცა, დოლორეს იბარურად... რაც იმან ჩერიაპესის გამო ჩვენ გვაწიოკა, ეკოსისტემას ანგრევთო... დალახვროს ეშმაკმა, ვინმე ლოგინში თუ იწვენს მაგ ურჩეულს...“

„რომ მახსენდება, ტანში მბურძგლავს! — ეს უკვე დურუ გეგიას ფიქრთა მდინარება გახლდათ. — კაბინეტში მივარდებოდა, პატარა მუშტს მაგიდაზე ურტყამდა, მე, რაიკომის პირველ მდივანს, ლამისაა მცემდა... ან რა ძალა ჰქონდა ისეთი?.. ახალგაზრდობა აიყოლია, ინსტიტუტში სწავლა არავის უნდოდა, წამდაუწუმ რაიკომის წინ საშიმშილოდ სხდებოდნენ, არც ხვეწნა-მუდარა ჭრიდა, არც მილიცია... აფრიალებდნენ შინდისფერ დროშებს, არადა, მანამდე მისი არსებობისა არაფერი მსმენოდა, მუზეუმშიც კი არა გვქონია... 25 თებერვალს აღმასკომის შენობიდან წითელი დროშა ჩამოხსნეს და საჯაროდ დაწვეს...“

„ჩემთვის ის იყო სინათლე ბნელში! — ფიქრობდა არიქა. — მართალისათვის ის იყო მკვდრეთით აღმდგარი კეკე, მისი სიცოცხლის გაგრძელება ახალ ჰიპოსტაში!“

ჩვენი ვაგონი ნელი ტაატით მიცურავდა უთოვლო დეკემბრის ნესტიან და ცივ სივრცეში. სამეგრელოს მშობლიური სანახები სევდიანი ფერებით შეჯერებულიყო: ნაცრისფერი, ჩალისფერი, ტალახისფერი და ზევიდან ცის გაცრეცილი თავანი. ვიჯექი კუპეში სამ დაბოლმილ პერსონაჟთან და ერთ მკითხველთან, გულს ნოსტალგიური ტკივილი მიკუმშავდა — ცირა, ამათ მეხსიერებაში შერჩენილი და ჩემს წარმოსახვაში გაცოცხლებული.

სახელოსნოდან ერთად გამოვიდნენ, შუაში — ცირა, მარჯვნივ — მართალი, მარცხნივ — არიქა. ცირას ხმა — წყლის დახშული დუღუნი, მართალის მეტყველი მდუმარება, არიქას ხელების ნერვული მოძრაობა, თითქოს უხილავ ჯოხს ეყრდნობათ...

ქალაქი — საქართველოს ნაგლეჯი, საქართველო — საბჭოეთის ნაწილი, საბჭოეთი — ბრეუნევულ ჭაობში ჩაძირული, ლეთარაგიულ ძილში მთვლემარე ავადმყოფი, თავი რომ ჯერაც ჯანმრთელი ჰერნია, ყვინთავს, სლოკინებს და ვერ მიმხვდარ, რომ ეს სლოკინი ურემის ნიშანია... ოლონდაც, ქალაქი — სამხრეთის ლურჯი ცის ქვეშ, მზით გამთბარი, მაცოცხლებელი წვიმით მორწყული, ხასხასა მწვანე ფოთლებით მოსილი და ყვავილების სიუხვით აჭრელებული... ქუჩებში

ახალგაზრდობა — ჯინსები, მინი ქვედაკაბები; რადიოში — ჯაზი; კინოში, შიგადაშიგ — ამერიკული ფილმები... რიგი, ჯერაც მოსათმენი — პურზე, ხორცზე... კარაქი და შედედებული რძე იმოვება... „სვეტური“ ტანისამოსი — სპეკულანტთან... მანქანა და წიგნი — აღმასკომის სიით... სასაუზმის უზარმაზარ კასრში ადგილობრივი ლუდი, კათხა ქაფით ივსება, ცივი წვეთებით იწინწკლება... ინსტიტუტში ლექტორი ჯღამაძე უშიშრად აცხადებს, ილიას მკვლელობაში ოხრანების კი არა, სოციალისტების ხელი ურევია, მთავარი მკვლელი მთლად მთაწმინდას ჩაუხუტებიაო... პროვინციული ჭაობი ზანტად ბუყბუყებს, აქა-იქ სიღრმისეული ნაკადები ჩნდება, ანკარა წყაროები ეძებენ გამოსავალს...

სამეული ბოტანიკური ბალის სიგრილეში მისეირნობს. სამივე ერთსა და იმავეს ამბობს, მოვლენებს ერთნაირად ხედავენ და მაინც კამათობენ. არიქას მოუთმენელი ხმა ფალცეტზე ადის, მართალი ჩუმდება, ჩეუბსა და კინკლაობას თავს არიდებს. ცირას მონოლოგები, წყლის ჩქერალის თანაბარი ხმა, ხან ერთმანეთთან აპირისპირებს, ხან აერთიანებს ვაჟებს, თითქოს აფეთქების ზღვარამდე მიჰყავს და მაშინდა განმუხტავს...

ჩხერის ხიდზე დგანან, წყალში იყურებიან. ჩხერია დაშრეტილა, ღონისაგან დაცლილა, ორივე ნაპირი თეთრ ქვებს დაუპყრია, შუაში კი გამჭვირვალე წყალი მორიდებით მიუღურტულებს, მიიპარება, რათა უფრო ქვემოთ, საფაბრიკო უბანში ჭუჭყიანი კოლექტორები მიიერთოს...

კიბე, ქალაქისაგან გარიყული და თან საამაყო, ლეგენდების ბურუსში გახვეული... თავზევით დიდი ლენინი გადმოყუდებულა, კოლოსი, რომლის სიმძიმისაგან მაცხოვრისგორა თითქოს დაიმცრო, დაპატარავდა.

ცირამ საფეხურებზე აირპინა, ვაჟებისკენ მოტრიალდა.

აბრეშუმის თეთრი კაბა ეცვა, ლურჯზოლებიანი, ნიავისაგან უფარვატებდა. ჩიტივით მსუბუქი ჩანდა და თითქოს აფრენას ესწრაფოდა.

— ამას ზურგი ვაქციოთ და ქალაქს გავხედოთ! — კოლოსისაკენ ხელი გაიქნია.

ვაჟები მხოლოდ მას უყურებდნენ, გული ძალუმად უძგერდათ, ესმოდათ ერთმანეთის გულისთქმა და თან ერთმანეთს უმაღლავდნენ ამ გულისთქმას, სახეზე გულგრილობის ნიღბებს ირგებდნენ... ოჲ, გული, გული!..

— რა გემართებათ? — იკითხა ცოტათი შემცბარმა ცირამ, კიბეზე ჩამოირბინა, მეგობრებს ხელები გაუწოდა და საზეიმოდ მიმართა: — ამასწინათ კუბელი ხოსე მარტის სიტყვები ნავიკითხე და მომენტია, გენერალ გომესს მიმართავს და თქვენც მინდა გაგიმეოროთ: „ჯილდოდ ვერაფერს შემოგთავაზებთ, გარდა თავგანწირვის ბედნიერებისა!“

13

პათეტიკა მღელვარე ეპოქის შვილია, პათეტიკას ცხოვრების მიტინგური წესი ბადებს. იქ, სადაც დროშები ფრიალებს, სიტყვა თავისთავად იძენს ამაღლებულ უდერადობას, მაგრამ ადამიანებს არ ძალუდო ყოველწუთიერად ლოზუნგებით ცხოვრება, ამაღლებულ სიტყვებს მხოლოდ ამაღლებული გრძნობები შობს. ჩვეულებრივ, ყოფით ვითარებაში მსგავსი სიტყვები ყალბად გახმიანდება...

იმ დღეს კიბესთან მართალიმ გაიფიქრა:

„თავი კაცმა უნდა განწიროს, ქალის თავგანწირვა ოჯახი და შვილებია!“

არიქას, კალმახივით აფართქალებული გოგოს შემხედვარეს, პათეტიკური იდეები ტვინიდან ამოებვეტა და ერთადერთი სურვილია შერჩა — გულში ჩაეკრა.

— რა გემართებათ? — იკითხა გაკვირვებულმა ცირამ. მართალიმ ხელი წაავლო.

— წავიდეთ! — მოკლედ, ბრძანების კილოთი უთხრა. „თავგანწირვის ბედნიერებამ“ მის გულს ერთხელ უკვე მიაყენა საშინელი ჭრილობა და კარგად იცოდა, სიტყვა ის სათამაშოა, სავსებით რეალურ ქიმერებს რომ წარმოშობს.

— ჴო, წავიდეთ! — ამოიოხრა არიქამ.

უხმოდ, დაუბრებულებივით მიაცილეს ცირა შინ, უხმოდ გაიყარნენ. მართალიმ შინისაკენ გასწია, სადაც ეფრო ბებია, პატარა ქრისტეშია და ფუნჯი ელოდებოდა. არიქაც შინ წავიდა, სადაც დედამისი ფუცუ ლოგინად იწვა, რადგან ახლახან მაღალი სიცხე გადაიტანა და ცოტცოტაობით ღონეს იკრებდა...

დედა ეცოდებოდა არიქას, დედაზე ახლობელი ან ვინა ჰყავდა, ოღონდ პატარა სახლის ვიწრო ოთახებში სული უგუბდებოდა. გარეგნულად თითქოს წყნარად იყო, მაგრამ მისი მოუსვენარი სული ამ უფერულ კედლებს ეხლებოდა, გარეთ გაღწევას ცდილობდა... ხვდებოდა ფუცუ შვილის წუხილს, თვითონაც მარტოობით გულგამოჭმულს შვილის მარტოობა ადარდებდა. ამიტომაც ეტყოდა, წადი, შვილო, გაისეირნე, თვალს წყალი დაალევინე, იქნებ ერთი კაი გოგო მომგვარო, გული გამიხალისომ, თუმცა კენტად დარჩენილს, თავისი მაღალი ბალიშიდან კარს მიჩერებულს, მოწყენილობისაგან ყმუილი უნდებოდა.

— ჰო, ცოტა ხანს გავისეირნებ, დედა, შენ ნუ დამელოდები, დაიძინე! — მოფერებით ეტყოდა არიქა, საკუთარ გულისთქმაში ჩალრმავებულს დედის გულის ზარი აღარ ესმოდა, კარს მიხურავდა და ხუთიოდე წუთით შინ მისული სხვაგან მიდიოდა... ოღონდ სხვაგან სად წახვალ ამ პატარა ქალაქში, რომელსაც ფეხაჩქარებით ერთ საათში შემოურბენ?.. არც არსად ჰქონდა წასასვლელი და ისევ და ისევ ზიტასკენ მიჰყავდა თავის დაკოჭლებულ ფეხებს, ისევ ზიტას კარს უკაუნებდა — უსიყვარულოდ, გულის მოწოდების გარეშე.

გული საითკენაც მიუწევდა, იქითკენ გზას მეგობრის ხატი და პროვინციული ქალაქის შეუვალი კანონები უკეტავდა, ხოლო ზიტამ კარგა ხანია თავისი თავი თვითონვე ჩაიყენა დაუწერელი კანონების მიღმა. ამიტომაც ყოველნაირი უფლება წართმეული ჰქონდა, გარდა ერთისა, რა უფლებაც ყოველ ქალსა აქვს — დედობისა, თუმცა ამაზე არიქამ არც არაფერი იცოდა.

ამიტომაც მიუკაუნა კარზე, მაგრამ ოთახიდან პასუხი ვერ მიიღო, მოიხედა და დერეფნის ბოლოს წატაშა დაინახა.

— სად წავიდა? — ზიტა იკითხა არიქამ.

— მე არ მითანხმებს! — მხრები აიჩეჩა ნატაშამ.

— ლიონია სადღაა?

— არც ის მეკითხება, გავიდა სადღაც „კეთილ მეგობრებთან“!

— მე ზიტა დავკარგე, შენ ლიონია დაკარგე, დავრჩენილვართ აბა ორნი — მე და შენ, მე და შენ! — წაუმლერა ჯერ ქართული, მერე რუსული სიტყვებით.

წატაშას გაეცინა. თვალში მოსდიოდა ეს კოჭლი ბაირონი, მომცრო ნაკვთებიან ნერვულ სახეს ხუჭუჭა თმის გვირგვინი რომ უმშვენებდა.

ქალის სიცილმა არიქა წაათამამა, აუჩქარებლად მიეახლა, კედლელთან მიიმწყვდია.

— რას აკეთებთ? როგორ შეიძლება? — გაოცდა წატაშა.

— რას ვაკეთებ და გხევევი! — უტიფრად უპასუხა ვაჟმა და ქალის დრეკად წელს მკლავი შემოავლო, მიიზიდა.

წატაშა სუსტად გაუძალიანდა, თან სიცილს ვერ იკავებდა.

— თავხედო, ახლავე გამიშვი!

— შენისთანა ლამაზს თავხედი თუ დაიპყრობს! — არიქამ ყურისძირში აკოცა.

— მამილოს... — წატაშა უნდოდა ეთქვა, მამილოს ვეტყვიო, მაგრამ არიქამ არ აცალა, ტუჩებზე დააცხრა.

ქალს კვნესა აღმოხდა, არიქას კი თითქოსდა ქაჯი შეუჩნდაო, ზედ მიენება და, თუ ტვინში აზრის წატამალი შერჩენდა, ეს იყო ფიქრი იმაზე, კარი როგორ შეეღო და ლოგინამდე როგორ მიეღწია.

ოღონდაც, დერეფანში ფეხსაცმელების სწრაფი ბაკუნი მოისმა და არიქას ისეთმა ურჯოლამ დაუარა, თითქოს სიცხით გათანგულს კისერში ცივი წყალი ჩაათხლიშესო. წატაშას ტკბილ ბაგეს ჯერაც არ იყო მოწყვეტილი და ქალის ოქროსფერი თმა ვიღაცამ ღონივრად დაითრია.

— ზიტა?!

ზიტამ მოგუდულად, ბრაზიანად წაიკივლა და მეტოქის ქვეშ მოგდება მოინდომა, მაგრამ წატაშა უფრო ახალგაზრდა იყო, ღონეც მეტი აღმოაჩნდა, თვითონაც თმაში წაეტანა. შუბლებით ერთმანეთს მიყრდნობილნი ქშენით დაეძიძგილავენ ერთმანეთს.

— ზიტა, მოშორდი! — უყვირა არიქამ.

— თვითონ მოშორდეს აქაურობას ეს ჩამოთრეული ჩათლახი! — ფალცეტით შეჰქნავლა ზიტამ.

ნატაშას ხმა არ ამოუღია, ცდილობდა ამ დამცირებისა-გან თავის დაღწევას.

— ზიტა, შეეშვი, თორემ ფეხებით შეგდგები, იცოდე! — არიქამ მაჯებში ხელები სტაცა, ღონივრად მოუჭირა.

— მეტკინა, ვირო! — ზიტას თითები გაეხსნა, ნატაშა კარში შევარდა და შიგნიდან ჩაიკეტა.

— ვინ მოგცა უფლება, რომ დაგვეტაკე! — მძულვარედ შეუტია არიქამ. — მე ვისთანაც მინდა, იმასთან წავალ, ქმრობის პირობა კი არ მომიცია შენთვის!.. ჰა, დაგპირდი რამეს?

ზიტა ატირდა, შუბლით კედელს მიეყრდნო, მხრები უცა-ხცახებდა.

— მორჩი ბლავილს! — არიქა დათრგუნვილი და შერცხვენილი იყო და ამიტომ უფრო ბობოქრობდა. — თავისუფალი კაცი ვარ, რაც მომეპრიანება, იმას გავაკეთებ! უბინო გოგონა კი არ ჩამბარდი, აქრომ სცენებს მიწყობ! დიდი ამბავი, ვაკოცე, მეტი ხომ არაფერი მომხდარა. იმას არ უნდოდა, იგი არა-ფერ შუაშია, ძალით ვაკოცე! ამისი ხოში მქონდა და იმიტომ... მორჩი ბლავილს და შედი შინ!

დერეფანში ლეონტი შემობაჯბაჯდა. ძლივს მოპერანდა თავისი მძიმე ტანი, ხვნეშოდა და ცხვირსახოცით კისერს იმ-შრალებდა.

— ოჟო, რა ხდება? — იკითხა.

— გაიარე, სანამ მრთელი ხარ! — შეულრინა არიქამ.

ლეონტის წვრილ თვალებში ნაპერნკალმა გაიელვა. არანაირი შიში არ შეტყობია, არიქას მუქარა არაფრად ჩაუგდია, მაგრამ ზურგი აქცია, კარზე დააკაკუნა და შვილს გასძახა, გამიღეო.

— ქვეყანა ნუ შემიყარე! — დაუსისინა არიქამ ზიტას.

ქალი კედელს მოშორდა, ოთახისაკენ წალასლასდა.

არიქა ბუზღუნით მიჰყვა, უფრო იმიტომ, ზიტასთვის ხმის ამოღების საშუალება მოესპო.

ზიტამ კარი შეაღო, ცრემლიანი თვალებით მოხედა.

— რა უფლებითო?.. — ჩურჩულით ჰკითხა. — ჰო, მე არანაირი უფლება არა მაქვს, მაგრამ შენს პატარას რამენაირი უფლება ხომ ექნება?

თქვა და კარი მოუხურა.

არიქა გაშრა, ამ სიტყვათა შინაარსი კარგა ხანს ვერ ამოხსნა.

„შენი პატარაო? ვისი პატარა? რა პატარაზეა ლაპარაკი?“ კარზე დააბრაგუნა.

— ზიტა, გამიღე! მითხარი, რომ მომატყუე! არავითარი პატარა არ არსებობს! ეს შეუძლებელია! მე არ მინდა, პატარა მყავდეს! მაგისათვის სად მცალია? ზიტა, გამიღე, ამიხსენი, რისი თქმა გინდოდა!

ხვდებოდა არიქა, რომ ზიტა კართანაა გასუსული და ხმას განგებ არ იღებს.

— უჳ, შე ნაბოზარო, ვინ იცის, ვისგან აიკიდე!

გულიანად შეუძახა და მოულოდნელად იგრძნო, რომ ხელი ქეჩოში წავლეს, ჰაერში გადააყირავეს და ციმციმ წა-იდეს.

უნებლიერ შეჰქირა:

— გამიშვი, შენი, გამიშვი!

ნამიც და ხელი უშვეს, მაგრამ ის უკვე ჰაერში მიფრინავდა, კიბეზე მტკიცნეულად დაგორდა და მიწაზე გაიშელართა.

აიხედა. კიბის თავზე ლეონტი იდგა და ვიწრო თვალებიდან აკად უმზერდა.

— ჩემი ტყვიის კერძი გახდები, რუსო! — ბოროტად წაისი-სინა არიქამ, წელი ძლივს აზიდა და იქაურობას გაშორდა.

ფეხაჩქარებით, კოჭლობ-კოჭლობით მიდიოდა, გამნარებული ილანძლებოდა — ეს რა გამიბედა, ეს რა მიქნაო, გულს ასკდებოდა. მერე ფიქრით ზიტას სიტყვებზე გადაერთო: „პატარა? რა დროს პატარა!“ უცოლო კაცი ვარ, თავისუფალი, ათასი საქმე მწენავს... პატარა კი არა, ჩემი თავი ვერ მირჩენია... მერე ზიტასგან?.. რად მინდა ზიტას პატარა ან თუნდაც ნატაშასი?.. უჳ, თქვენი, ნაბოზრებო, ნაბიჭვრები გინდათ ჩამომეტი კისერზე, ხომ?.. ცირა, აჳ, ცირა!..“ — ტვინში ქაოსი ჰქონდა, აზრებს თავს ვერ უყრიდა და, ნახევარი გზა რომ

მოილია, მაშინდა მიხვდა — შინ მიისწრაფოდა, დედისაკენ, იქ ეძებდა თავშესაფარს, იქ ეგულებოდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უანგაროდ უყვარდა, ის დაიცავდა ხელყოფისაგან... პატარის ხელყოფისაგან... „ვინ პატარა?“ — ახლა უკვე ეზიზლებოდა, სძულდა ჯერ არდაბადებული, ამქვეყნად არგაჩენილი არსება...

„ვაიძულებ, აბორტი გაიკეთოს! — ბრაზიანად გაიფიქრა. — მე არ მცალია! მე ერთი გზა მაქვს — „თავგანწირვის ბედნიერება“!“

კიბეზე ავარდა და შორიდან დაუძახა:

— დედა, ხომ ხარ კარგად?

— უშენოდ კარგად რანაირად ვიქნები, შვილო! — საწყლად გაუღიმა ფუცუმ.

პირზე სიყვითლე დასდებოდა...

ხანდახან მართალი შემოირბენდა, ავადმყოფს დახედავდა, ფულს დაუტოვებდა, მიცვალებულთა პორტრეტების ხატვით რომ შოულობდა. კარგად იცოდა, ამ საქმეს რომ ხალტურა ერქვა, მაგრამ შინ მოხუცი ბებია ჰყავდა, შვილი ეზრდებოდა — ქრისტეშია და მაღალი იდეალებით ვერ გამოკვებავდა.

უთხრა კიდეც არიქას:

— მიდი დურუსთან, დარწმუნებული ვარ, სიხარულით მიგიღებს. ოღონდ ჩვენ შევურიგდეთ და სამსახურს ნაღდად არ დაგამადლის!

— არასოდეს! — ურყევად თქვა არიქამ და მეტი ამაზე კრინტი არ დაძრულა.

ცირა მოვიდა ერთხელ, ხილი და კამფეტი მოიტანა. ოთახში მძიმე სუნი იდგა, განიავება არ შველოდა და არიქამ ტაქტი-ანად აივანზე გაიყვანა, სკამზე დასვა, თვითონ აივნის რიკულზე ჩამოჯდა და მიაჩერდა.

ლამაზი იყო და სიფრიფანა, ჩასახუტებელი... სუფთა და გაკრიალებული... ვაჟი კი თავს ისე გრძნობდა, თითქოს დაუბანელი ყოფილიყოს, თითქოს ავადმყოფობისა და ღამის ქოთნის სუნი გამოჰყოლოდეს.

ერთად იყვნენ აივანზე, ხელის გაწვდენაზე, მაგრამ მათ შორის უზარმაზარი მანძილი იდო და არიქამ იცოდა, რომ მას, უპერსპექტივოს, უქონელს, მარტოსულს არ შეეძლო ამ მანძილის დაძლევა.

ცირას ფიქრები ამ დროს სხვაგან დაფრინავდა, პოლიტიკური სურდო შეჰყუროდა და ცხვირს ლამაზად აცემინებდა.

— ნახე, გენერეტი რასა ჰგავს, მოთავებულია, დაბერდა, ძლივს ლაპარაკობს... მთელი პოლიტიკურო დაბერდა, სუნი აუვიდა... ესენი ქვეყანას ღუპავენ... უურნალი წავიკითხე, „სამიზდატია“... იცი, რეიგანს რა უთქვამს?

იცოდა, ცხადია, არიქამაც, უურნალიც წაკითხული ჰქონდა, მოფამფალებულ პოლიტიკიუროსაც კარგად ხედავდა ტელეეკრანზე, სწამდა და იცოდა, რომ ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანებოდა... მაგრამ აქ, ამწუთას სხვა წუხილი აწუხებდა: ეს მწყაზარი გოგო, ია-ვარდის სარეცელში მისაძინებელი, თავისი საკოცნელი ბაგეებით ამბობდა სიტყვებს, რომლებიც სულ სხვა ფირფიტაზე უნდა წერებულიყო...

იმედი გადაწურულუ იყო, სიცოცხლიდან წასვლა ხანგრძლივი და მტანჯველი აღმოჩნდა. „მკურნალობას აზრი არა აქვს, მთავარია, ტანჯვა შევუმსუბუროთ!“ — ექიმი უხსნიდა არიქას... ფუცუ თვალდახუჭული იწვა, უფრო ხშირად უგონოდ. ზოგჯერ გამოიხედავდა, თვალებში გაკვირვება გამოეხატებოდა, ათვალიერებდა თავის ოთახს, უცხოობდა, გახსენებას ცდილობდა და ვერ იხსენებდა.

დედის საცოდაობით გული ეწვოდა არიქას, წუთითაც ვერ ტოვებდა, სასთუმალთან ეჯდა, არადა, სახსარიც ხომ საჭირო იყო, რაიმე ხომ უნდა ეჭამათ, წამლები ხომ უნდა ეყიდა... ყოველდღე ექთნის გამოძახება ძვირი ჯდებოდა და თვითონ ისწავლა ნემსის გაკეთება. ავადმყოფს კვნესა თუ აღმოხდებოდა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ შიგნით ჩაბუდებული ურჩხული ხრავდა, ამას კი ძალა არ ჰყოფნიდა ჩივილისა... რისთვის იტანჯებოდა, რა დაეშავებინა? ფუჭი იყო არსებობის უსამართლობაზე გოდება!

დიახ, დალპა, სუნი უდის... ქვეყანას, საბრალო დედას, არიქას... ოღონდ ცირას — არა... ცირა, სუფთა და უმწიკვლო, მსუბუქად დაფარფატებდა პოლიტიკური ზღაპრების სამყაროში, სადაც ნგრევაც და აშენებაც კვერთხის ერთი აქნევით ხდება... „ნადი, ცირა!“ — გულისტკივილით ფიქრობდა არიქა, რადგან ცირა იყო სიცოცხლე და იგი უნდა გაშორებოდა ადგილს, სადაც სიკვდილის სუნი იდგა...

ცირა წავიდა, არიქა კი ოთახში შებრუნდა... ლამის ქოთანი უნდა გაერეცხა, ავადმყოფისათვის თეთრეული უნდა გამოეცვალა, მისი გამხდარი, ჩონჩხადქცეული სხეული სპირტიანიტილოთი გაეწმინდა, სხეული, იგირომ შვა და ამით თავისი მისია ამოწურა, ახლა კი მინაში ჩასასვლელად ემზადებოდა...

— ვინ იყო? — იკითხა ფუცუმ.

არიქამ გაოცებისაგან კინალამ ენა გადაყლაპა. დედა უგონოდ ეგულებოდა, მას კი თვალები გაეხილა და შვილისათვის აზრიანი მზერა მიეპყრო.

— ამხანაგია ჩემი!

— არიქა, შვილო! — ჩურჩულით თქვა ფუცუმ. — ვიცი, ვეღარ წამოვდგები! ისე ნუ მომკლავ, ვინმეს შენი თავი არ ჩავაბარო!

ჩურჩულებდა და თანდათან იძირებოდა უხილავ სამყაროში, რომლის არსი არიქას ჯერაც არ ესმოდა.

— ჰო, დედა! — გასამხნევებლად ჩასძახა, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ გააგონა.

— კარგი გოგო იყო, — ნიავივით გაიფაჩუნა ხმამ.

— ჰო, დედა!

„ისე ნუ მომკლავ!.. ისე ნუ მომკლავ!..“ — აივანზე კოჭლობით ბოლთასა სცემდა არიქა, ფიქრში ეს სიტყვები მრავალგზის უმეორდებოდა.

თავს დამნაშავედ გრძნობდა.

„თავგანწირვის ბედნიერება!“ — ესმოდა კი ამ სიტყვების არსი? თითქოს მზად იყო თავგანწირვისათვის, ოღონდ რისთვის უნდა გაეწირა თავი? რაღაც აბსტრაქტული, მოუხელთებელი, ცაში მოლივლივე მირაჟისათვის? აგრ დედა კვდება...

უფიქრია კი ოდესმე, რომ მისხალი თავგანწირვისა დედისათვის გაეღო?.. არასოდეს! მუდამ ისე ირგებდა დედის მორჩილ მზრუნველობას, თითქოს ასეც იყო დაკანონებული, ფუცუ ხომ მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ არიქა გამოეზარდა, მისთვის ხიდი გამხდარიყო უსასრულობიდან უსასრულობაში მიმავალ გზაზე...

„ისე ნუ მომკლავ!“ — ეს უკვე მოთხოვნა იყო, მართალია, მორიდებული, მაგრამ მაინც განცხადება თავის უფლებაზე, ამ წუთისოფელს კენტად არ შეატოვოს ერთადერთი შვილი... დედის გული გაიტანჯება, დედის გული ვერ მოითმენს, — თითქოს ამის თქმა ენადა ფუცუს, — რომ შენც მარტოობამ შეგქამოს, კიბოს მეტასტაზებად მოგერიოს და დაგლუპოს, ადამიანი ცალად ვერ იქნება, ადამიანის გვერდით სხვა ადამიანი უნდა იდგეს.

შებრუნდა არიქა, გონდაკარგულ დედას დახედა. სუსტად სუნთქავდა ფუცუ, იყო და არც იყო, ჩუმჩუმა მიიპარებოდა...

— ჰო, დედა! — ამოიოხრა არიქამ და სწრაფად გავიდა... ჩქარობდა.

მტკივანა ფეხი ცუდად ემორჩილებოდა და სირბილზე გადასვლისას ცალ ფეხზე მიხტოდა, მეორეზე ვარდებოდა, ვერ მალავდა ხეიბრობას.

ასე გადაირბინა ბონდის ხიდი, მზით ამომწვარი შარაგზა საფაბრიკო ზღუდეებს შორის და ბარაკს მიაღწია. გაოფლილმა, გულაჩქარებულმა წუთით კიბესთან შეისვენა. უხერხულობა იგრძნო, უნებლივ შიში... დერეფანს სწრაფად გახედა, არც ნატაშა ჩანდა, არც ლეონტი... ზიტას კართან მივიდა და, სანამ დაკაცუნებდა, ყური მიადო...

თეფში გაჩხაკუნდა, ზიტა ჭურჭელს რეცხავდა, ალბათ. მორიდებით დააკაცუნა...

ეგონა, ვერ გავაგონეო, მაგრამ შიგნიდან ფეხის ხმა მოისმა და ზიტამ კარი გააღო.

არც გაკვირვება გამოუხატავს, არც შიში ან სიხარული, ნაბიჯი უკან გადგა, გაატარა.

არიქა შევიდა, სკამზე მძიმედ დაჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

ზიტამ გზა-გზა წინსაფარი მოიძრო, ხელისგულში ჩაიჭ-  
მუჭნა.

პირისპირ ჩამოუჯდა.

არიქამ თვალი აარიდა, ხმადაბლა, თითქოს საკუთარ  
ხელებს ელაპარაკებაო, ისე თქვა:

— დედა მიკვდება.

ზიტამ ამოიხრა.

— მითხრა, ისე ნუ მომკლავო... — ხმა გაებზარა, ქალს  
შეხედა და საწყლად ჰკითხა: — წამოხვალ?

15

საათის ისარი თითქოს გაჩერდაო, ზამთრის მოკლე დღე  
უსაშველოდ გაიწელა. ცას თეთრი ნისლი ბურავდა, მზე  
ერთხელაც არ გამოჩენილა და, შებინდება რომ დაიწყო, ამ ცივ  
კუპეში, ბოლმით გასიებულ თანამგზავრთა შორის გაძლება  
გამიჭირდა... ეს გზა, ადრინდელ ჩვეულ ცხოვრებაში სულ რამ-  
დენიმე საათით რომ გაიზომებოდა, ახლა არა და არ გათავდა.  
მატარებელი ისე ნელა მიზოზინებდა, იესეს თუ დავუჯერებთ,  
მონდომებული კაცი ქვეითად გაასწრებდა კიდეც... ტელე-  
გრაფის ყოველ ბოძთან ჩერდებოდა, ყოველ ჭიშკართან სა-  
დაც ბოლჩებითა და კალათებით სავაჭროდ გაკრეფილი დედა-  
კაცები მოისურვებდნენ, სამუხრუჭეს ძირს ჩამოსწევდნენ და  
ელმავალი უმალ გაეპასუხებოდა — უუ, ჩადი, ჩადიო...

კეფა ამტკივდა, წნევა კვლავაც მითამაშებდა, ჯიბეში კი  
რაუტინის გარდა არაფერი მედო. კუჭის წვაც ვიგრძენი, გუ-  
ლის კოვზთან მწიწკნიდა და გამახსენდა, დილის აქეთაა, ხემ-  
სი არ ჩამსვლია პირში... ცხადია, სხვებიც დაიმშეოდნენ...  
არიქა ძაძუა ისეა გაძვალტყავებული, შარშანდელს აქეთ არ  
უჭამიაო; ლესტამბე თოლორაიას ფერი არ ადევს, მაგრამ  
დურუ გეგიასი არ იყოს, ამ ორს იმდენი ხორცი ასხია, შიმში-  
ლობა ამათვის სასარგებლოცაა... დურუ ჩვენ არც დაგველო-  
და, კალათიდან ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი დაითრია,

ოღონდ კბილის გაკვრალა მოასწრო, უმალ ცხვირწინ ნახევ-  
რად ტიტველი პატარა ბოშები ამოეზარდნენ, საწყალი თვა-  
ლებით უყურებდნენ და ჭუჭყიან ხელებს უწვდიდნენ. დურუს  
ხველება აუტყდა, დამშეულ ბალლებს გაუწოდა. ხაჭაპურს  
რამდენიმე ხელი ერთად წაეტანა და წამში გადასანსლეს.

ხმა არავის ამოუღია, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.  
მოწყენილი თანამგზავრები ფანჯარაში იყურებოდნენ და ფიქრ-  
თა მდინარება არიქას ბედ-ილბალს უტრიალებდა. თუმცა ამ  
დინებას ამღვრევდა ცისანას მიერ გამოგზავნილი კალათა,  
რომელიც იესეს გაჩხინკულ მუხლებზე წამოსკუპებულიყო.  
ჩემს მკითხველს ზედ მკლავები შემოეწყო და სიტყვებს პირი-  
დან გვტაცებდა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე რამეს ვიტყოდით.

მოთმინების ფიალა პირთამდე რომ აღივსო, იესემ მო-  
რიდებით გაგვიღიმა:

— დროა წავიხემსოთ!

სიტყვიერი დასტური არ მიგვიცია, თუმცა პირზე მოუთ-  
მენლობა და ნატვრის აღვენებეჭდა, გარდა არიქა  
ძაძუასი, რომლის უანგისფერ პირისახეს ზიზღისა და ქედმალ-  
ლობის ნიღაბი მოერგო. წამოდგა, პაპიროსი და ასანთი მოიძია,  
ტამბურში გავიდა მოსაწევად, პურ-მარილზე აშკარად წიხლი  
გვიკრა, გვაგრძნობინა, „ხუნტელებთან“ ლუკმას არ გავტეხო.

იესემ კალათა თაროზე დადგა, იქ, სადაც აქამდე იჯდა.  
თვითონ კი, განაფული ოფიციანტის ჩვევისამებრ, მაგიდა გადა-  
ფერთხა და ზედ თეთრი, ქათქათა ხელსახოცი გადააფარა...  
ნამდვილად გველოდა ოჯახური სადილი, ცისანას კულინარუ-  
ლი შედევრი, იმისი იმედიც გვქონდა, ლუკმას ბალლინჯოს გა-  
ტიკულ მართვებს არ ჩავაყოლებდით, მაგრამ უცბად მოხდა  
მოსახდენი...

თითქოს მიმინომ ჩამოიქროლაო, რაღაცა ლანდისფერი  
გასხლტა დერეფანში. მე მხოლოდ ყმაწვილის მოცინარ სახეს  
მოვკარი თვალი, ფეხსაცმელის სწრაფი ბაკიბუკი გავიგონე,  
რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი კალათა სადღაც გარბოდა...

წამიც და კუპე აფეთქდა. აქამდე ხომ შხამიან ნაღველში  
ჩაძირული, მოწყენილობის ჭაობში ამებებივით ზანტად  
ვთვლემდით, ახლა კი, თითქოს მუჯლუგუნი გვითავაზესო,

წამოვცვივდით. მე ზედა თაროს ავარტყი თავი, დურუ და ლესტამბე, ქარმა ახვეტაო, დერეფანში გავარდნენ, წინ ლესტამბე, რა თქმა უნდა, უკან დურუ, ოღონდ დერეფანის ბოლოს კარი უკვე მირახუნდა. მეორე მხრიდან ავტომატებიანი ბიჭები გამოჩნდნენ, მატარებლის „დაცვა“, ქურდებისა და ყაჩალებისაგან ვითომც რომ გვიფარავდნენ, მაგრამ ან მათი ავტომატებისა არავის ეშინოდა, ან თვითონ გადიოდნენ წილში და ისე თვალთმაქცობდნენ, ვერ გაიგებდი, ვინ იყო ქურდი, ვინ ქურდის მადევარი...

აქამდე მთვლემარე მგზავრები ამ ამბავმა გამოაცოცხლა, ახმაურდნენ, აყაყანდნენ, წიოკობდნენ და იწყევლებოდნენ, რადგან ქურდობა და ყაჩალობა უკვე ყველას შეეხო, არავინ იყო მისგან დაზღვეული. უპირველესად, ცხადია, მთავრობას ლანძღავდნენ, თუმცა იქ, სადაც ჩვენ ვმოძრაობდით, არანაირი მთავრობა არ არსებობდა, ერთადერთი კანონი დარჩენილიყო — ავტომატისა და იმ ქურდს, სადილი რომ წარგვტაცა, გულიანად მისდევდნენ ლესტამბე, დურუ და ავტომატიანი ბიჭები, რომელთაც მორიგი გასართობი გამოუჩნდათ.

მატარებელი შეტორტმანდა, მუხრუჭებმა ზრიალი დაინუო და გავჩერდით... სენაკში ვართ!

ბაქანზე ხალხი გამოეფინა.

— მოკლავენ მაგ საცოდავს! — ამოიხრა იქსემ, ფანჯარას მინებებოდა, ორად გადატეხილ ძახილის ნიშანსა ჰგავდა.

ამ ამოხვერამ გამომაფხიზლა, თვალწინ გამიელვა ახალგაზრდა ქურდის მხიარულმა სიფათმა და გასასვლელს მივაშურე.

ვაგონიდან რომ ჩამოვხტი, ერთგან ყაყანი და ხმაური მომესმა, ბრძო შექუჩულიყო... ის, რაც დავინახე, ამაზრზენი და გულისამრევი იყო.

კალათა და საჭმლის ნარჩენები ძირს ეყარა, მტვერში ყმანვილი გორაობდა და გამძვინვარებული ლესტამბე და დურუ ფეხებით თელავდნენ, უფრო სწორად, დურუ ხვნეშოდა, ბაჯბაჯებდა, ფეხს კი ვერ უწვდენდა, სამაგიეროდ ლესტამბე იჩენდა ოსტატობას, პროფესიულად, განაფულად ურტყამდა, რათა ეს უჭკუო ბიჭი, თუ ვერ მოკლავდა, სამუდამოდ ინვალი-

დის სარეცლისათვის მაინც მიეჯაჭვა. ავტომატიანი ბიჭები კალიებივით ხტოდნენ და აღგზნებულნი, მთვრალნი ან დაუსჯელობის გრძნობით, ან ნარკოტიკით, ღრიალებდნენ:

— მიგვიშვით, გავასალოთ!

თუმცა გულის კუნჭულში შიშისა და დაუცველობის გრძნობა მიწრიალებდა, გავექანე და ლესტამბეს ვეცი, განზე მივაგდე.

— გაგიუდით?! — ისე შევკივლე, ჩემი ხმა შეშინებული ბავშვის კივილს უფრო ჰგავდა.

ყმანვილმა ფეხზე ხელი მომხვია და ამომხავლა:

— ბიძია, მიშველე!

დურუმ უკან დაიხია, სუნთქვას ვერ იოკებდა, ოფლად გაღვრილიყო. ლესტამბემ ბოროტად შემომხედა, მზერაში საშინელმა სიძულვილმა გაიელვა, მაგრამ თავი დროულად მოითოკა:

— თქვენთვის ვწვალობდით, ჰატივცემულო, მთელი დღე არაფერი გიჭამიათ!

ამ სიტყვებს, მერჩივნა, ვეცემე. მუხლები მიკანკალებდა და არ ვიცოდი, მეტი რა გამეკეთებინა, გარდა იმისა, რომ ქურდს ჩემი სხეულით გადავფორებოდი.

ავტომატიანები შეყოვნდნენ, ხან მე შემომხედავდნენ, ხან ყმანვილს და ბოლოს ერთმა მიბრძანა:

— გაინი იქით, ძიკაცო, ტყვია არ მოგხვდეს!

ავტომატი შემართა და წამით სიკვდილს თვალებში ჩავსედე... მისი მზერა უაზრო და ყინულიანი იყო... ჩემში ყველაფერი მოკვდა, მოვიმჩვარე... მხოლოდ გული ბრაგუნობდა, ჩემგან ცარიელი გულილა დარჩა...

არიქა ძაძუ მოჩლახუნდა კოჭლობით, შემართულ ავტომატზე ხელი დაადო, ძირს დააწევინა.

— ქურდს იცავთ? — შემეკითხა.

ხმა ვერ დავიმორჩილე, სიტყვათა დალაგება გამიჭირდა. ამ ძალაუფლებით დაბრმავებულთათვის უნდა ამეხსნა, რომ, ჩემი აზრით, დანაშაული ყველამ უნდა ზღლოს, მაგრამ სამართალის სასწორმა დანაშაულის სიმძიმე უნდა აწონოს. ერთი ფუნთუშის წილ ცხელი ტყვია სასჯელი კი არა, მკვლელობაა. ამდენი მსჯელობის თავი არა მქონია და მოკლედ ვთქვი:

— იქნებ არცაა ქურდი!

— თქვენ ხომ ამან წაგვლიჯათ ეს კალათა?

— ეს მხოლოდ კალათაა, მეტი არაფერი! — ხმა კვლავ  
მიკანკალებდა, მაგრამ შიში თანდათან მტოვებდა. — თანაც,  
თუ მოვისურვე, ვერავინ წამგლეჯს... ამ ბიჭს მე დავუთმე!

— დაუთმეთ? აჲ, რა კეთილშობილური უესტია! — ყბა  
დამცინავად მოექცა არიქას. — შიმშილით გული მიგდით, ამას  
კი დაუთმეთ!

— ეს ჩემზე მშიერია! — უკვე მტკიცედა ვთქვი და ნაცემს  
მივუბრუნდი: — ადე, შვილო, წამოკრიფე, რაც გადარჩა, და  
მოუსვი!

ქურდმა წელი ძლივს აზიდა, მაგრამ გაცლა ვერ გაბედა.

— რა ვქნათ? — არიქას ჰერთხა ავტომატიანშა და ახლა-  
ღა მივხვდი, რა ძალაუფლებაც ჰქონდა ამათზე.

— თავი დაანებეთ! რაკი ცნობილი მწერალი გვეუბნება,  
უნდა დავუჯეროთ.

„ცნობილი მწერალი“ ცოტათი აგდებულად წარმოთქვა,  
მაგრამ წელანდელ განცდას ჩემი თავმოყვარეობა ჩაეკლა და  
არაფერი მითქვამს, ქურდს მკლავში წავეტანე, ავაყენე, კალ-  
ათა შევაჩირე და ბრძოს გავარიდე.

ახია ჩემზე! რომანს წლები ვწერდი. პერსონაჟებს გარ-  
ეგნობა დავუხატე, პროფესია ჩამოურიგე, ბიოგრაფია შე-  
ვუკონინე, აკვანი არ დამირნევია, თორემ სხვა არაფერი  
დამიკლია, უმთავრესი კი გამომრჩა — კეთილშობილი გული!

ბინდი სწრაფად ჩამოწვა. უელექტრონოდ დარჩენილი  
ქალაქი შიგ ჩაიძირა და გამვლელებს ვეჯახებოდი. ფიქრის  
იღავიც წამერთვა. რის ვაივაგლახით მოვძებნე ჩემი ვაგონი.  
კუპეში იქსე დამხვდა. ასანთს მინათებდა, რათა გზა გამეგ-  
ნო. სანამ მე, სახელგანთქმული იდალგოს პირობაზე, ფათერ-  
აკებს ვეძებდი, ამან თურმე ერთი პური გაშანსა და ახლა წვრი-  
ლად დაჭრილი იდო თეთრ ხელსახოცზე.

თვალი ავარიდე, შიმშილის წუხილი შემიწყდა.

ყურუმ ბნელეთში ჩავიძირეთ, ფანჯრის მიღმა ლანდები  
ძლივს გაირჩეოდა, ხმებილა აღწევდა.

მერევაგონებში სუსტი, წითელინათურები აინთო, ელმავალ-  
მა გაბმით შეჰქივლა, მგზავრებს შეუძახა, აბა ჰე, ავიძარითო.

წელი ტაატით წავედით. ჩემი თანამგზავრები კუპეში  
შემოილალნენ, თავთავიანთ, ამოჩემებულ ადგილებზე დასხ-  
დნენ, გაბუტულებივით გაიტრუნენ.

ვიწრო წაპრალებიდან ბალლინჯო მოძვრებოდა. დურუს  
ფხანა აუტყდა და ყრუდ შეიგინა.

სახეებს მენამული დაეფინა. არიქა თითქოს კედელს შე-  
ერწყა, თვალებიღა უბრნყინავდა ცივად.

— თურმე გემორჩილებიან! — ავტომატიანები შევახ-  
სენე.

— ჯერჯერობით კი! — ცივად მიპასუხა. — ჩემი ბიჭე-  
ბია, მერეთელები! ქურდობა და მამაძალლობა უნდა აღიკ-  
ვეთოს, სხვა გზა არ არის! ისე კი, — ჩაიცინასავით, — უკვირთ,  
„ხუნტის“ ნომენკლატურასთან ერთად რატომ მგზავრობთო...

— მერედა, რატომ მგზავრობ? — უკმეხად შევეკითხე.

— თქვენი უსაფრთხოების გარანტი ვარ, — ხმას ირო-  
ნია ახლდა, — ძალიან არ უყვართ ჩემს ახალგაზრდებს ეგე-  
თი აცაბაცა ხალხი...

— ჰო, ცხადია, თქვენ არ გიყვართ, ვინც თქვენნაირად  
არ ფიქრობს! — პასუხი მეც სარკაზმით შევაზავე.

— იყო დრო, თითქმის ერთნაირად ფიქრობდით! —  
მევახედ თქვა ლესტამბემ. — ოღონდაც, დღეს ზოგი უფლის  
გზას ადგას, ზოგი — სატანისას, ზოგი თავს ისჯის, ზოგი კი  
უბედურების წყაროს მხოლოდ სხვაში ხედავს! დროა, ზოგი-  
ერთმა სარკეში ჩაიჭვრიტოს!

— მე? — აღმფოთებისაგან სუნთქვა შეეკრა არიქას. —  
ამას ძველი ნასუკარი მიბედავს?

— შენი შეცოდებანიც ახლა სუკს გადააბრალე! — ვერ  
დაცხრა ლესტამბე. — კარგადაც ვიცი, ძალაუფლების ცდუ-  
ნებებს რა ხეირიც მოაქვს!

არადა, მანამდე მართლაც ერთ ჭერქვეშ იკრიბებოდნენ...

ხუთი წლისა იყო ლელა, ზიტასა და არიქას ასული, როცა არიქამ უთხრა ზიტას:

— ისე ჩათვალე, ვითომც მოგიკვდი და უკვე გამომიგლოვე! მიხედე ბავშვსაც და შენს თავსაც, მე კი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას ვეკუთვნი!

ვერ გაეგო ზიტას, ვინ იყო მისი რეალური მეტოქე. ეჭვებთან ბრძოლამ დაღალა, უფრო იმიტომ, რომ მის ეჭვებს საგნობრიობა აკლდა, ხელიდან უსხლტებოდა. „მოძრაობას“ დედაკაცის ფორმა არა ჰქონდა, თმით ვერ დაითრევდა ისევე, როგორც რუსის ნატაშას, რომელიც წინანდელზე უფრო ლამაზი და ქორფა ჩანდა, დროის წამმზომი უკულმა ჩაერთო, თითქოს ასაკი კი არ ემატებოდა, აკლდებოდა, მაშინ, როცა ზიტას სიტურფე დედობამ და ნერვულობამ გაახუნა, ახალგაზრდული სინედლე დაკარგვინა.

ფუცუს დაკრძალვის შემდეგ მალევე იმშობიარა ზიტამ. ბავშვს დიდრონი, მწვანე თვალები გამოჰყა. მეტად სუსტი და აგზებული იყო, დღისით იძინებდა, ლამით კი ლნაოდა და ისედაც დინამიტივით მუდამ ასაფეთქებლად შემზადებულ არიქას ნერვებს აწყვეტდა, ლამისაა აკვნიანად კარში მოესროლა...

ზიტაუკან, თავის ბარაკში დაბრუნდა. ერთი იმიტომ, რომ არიქას ნერვები დაენდო, მეორეც იმიტომ, რომ არიქა არ შეეხვენა, დარჩიო, მესამე და მთავარი — ერჩივნა, რუსის ნატაშასთან ემეზობლა, რათა თვალწინ ჰყოლოდა და არიქას ეს დედაკაცი და „მოძრაობა“ ერთმანეთში არ შეშლოდა.

არიქას ნამდვილად ეშლებოდა — „მოძრაობაში“ ცირა უყვარდა, „მოძრაობის“ გარეთ — ნატაშა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ერთიც მიუწვდომელი ჩანდა, მეორეც და ძალაუნებურად ზიტას უნდა დასჯერებოდა. ამიტომ გული უკერპდებოდა, ზიტასა და ბავშვს აბრალებდა თავის უიღბლობას, ბორკილებად ეჩვენებოდა. ესენი რომ არა, მეტს მივაღწევდიო, ფიქრობდა, თუმცა მეტის ასპარეზს იმჟამინდელი ყოფა არ იძლეოდა... ზიტა, სხვასთან თამამი, შემტევი, ამასთან

უთქმელი და მორჩილი ხდებოდა, არაფერსა სთხოვდა და ყველაფერს აძლევდა... ბავშვიც არაფერს ითხოვდა, შემოსცეროდა მეტყველი, უძირო თვალებით და ეს იყო ის ბორკილი, არიქას რომ თავისუფლებას უზღუდავდა... თავს დავალებულად გრძნობდა და ამიტომ ღიზიანდებოდა. ქალი, მისი შვილის დედა, უდრტვინველად ეზიდებოდა ჭაპანს, მაგრამ არიქას სულის სიზმარეთში სხვა ბროლის კოშკი შენდებოდა, მისი ხორციელი ლტოლვა კი სხვა ასპარეზს მოითხოვდა. სწორად გათვალა ზიტამ, ბარაკში გადმოსვლით იმედი შეუკვეცა არიქას. აქ, ზიტას თვალწინ, შეუძლებელი ჩანდა ნატაშას დასაპყრობად ომის გამართვა, მსტოვრის თვალი ზურგს უწვავდა და დანაშაულის კომპლექსი სულს უმძიმებდა. მისი გული თითქოს ნაპრალებით იპობოდა და, სადაც სიყვარული უნდა დავანებულიყო, სულ სხვა გრძნობა ძლიერდებოდა — სძულდა ზიტა, ოღონდ სძულდა ნატაშაც — სანდომი და მიუწვდომელი... ლამღამობით, როცა ზიტას გვერდით იწვა, უსურვილო ქალის თანაბარ სუნთქვას უსმენდა და უძილობა ახრჩიბდა... ჩუმად დგებოდა, ფეხაკრეფით დერეფანში გადიოდა და ელოდა... რას? ნუთუ ეგონა, რომ ვნებით დამუხტული მისი ფიქრები კედელს გააღწევდა, ნატაშას ფეხზე წამოაყენებდა... იდგა და გაუსაძლისი სურვილისაგან აპაპანებდა... ნატაშას კი ამ დროს ღრმა ძილით ეძინა, მამილო ლეონტის ხვრინვა ჭერს აზანზარებდა და ეს ვერ აღვიძებდა... არიქას გულში წვეთწვეთობით უამრავ სხვა სიძულვილს ესეც ემატებოდა — სიძულვილი კაცისა, რომელიც მხოლოდ იმისთვის არსებობდა, ქონად ქცეულიყო და ამით თვით სიცოცხლის აუცილებლოდა საეჭვო გაეხადა.

მისი ასპარეზი — თეატრი სიხარულს ვერ ანიჭებდა. ახლა მართლაც სცენის მუშა იყო, მეტს არავინ არაფერს ავალებდა. წელმოწყვეტილი მუშაობდა, რათა მთელი საბჭოელებისათვის დაწესებული შემოსავლის მინიმუმი მიეღო. დოდიკაძე ვითომც ვერ ამჩნევდა, უსალმოდ ჩაუვლიდა. ამისი სალამი არც ანალვლებდა არიქას, ოღონდ თეატრი სავსე იყო ამგვარი დოდიკაძებით, ტექსტების უაზრო დამზეპირებლებით, წიგნის ფურცლებიდან რომ გადმოსახლდნენ და უსიცოცხლო

დეკლამაციას თუ ახერხებდნენ. აქ უნიჭობა ზეობდა, ნიჭიერება იშვიათი იყო, როგორც ასფალტზე ამოხეთქილი ბალახი, თუმცა ამ ბალახს უმაღ ასფალტის ახალ ფენას მოასხამდნენ და დროზე ადრე მოაშთობდნენ... გული უცივდებოდა არიქას, აქაური ობმოკიდებული სპექტაკლები ოდნავადაც არ აღელვებდა, გრძნობდა, რომ თვითონაც გემოვნება უჩლუნგდებოდა და ავ-კარგის გარჩევა უჭირდა...

მამუკა დაიამხანაგა ერთი, გვარად მიქავა. თეატრალურიდან დროზე ადრე გამოგდებულ ყმაწვილს დოდიკაძე სტატისტად იყენებდა, სცენაზე მაშინ გამოჩნდებოდა, როცა უსახო პერსონაჟი ვალდებულია, რაღაცა შემოიტანოს და გაიტანოს, ზარი შემოჰკრას და ტყვია დააქუხოს, საზოგადოებას მავანის მობრძანება ან სიკვდილი აუწყოს... საკმაოდ მოხდენილი ვინმე იყო ეს მამუკა, ქალური გარეგნობა ჰქონდა და სიზმარში რომეონბა ან ჰამლეტობა ეზმანებოდა, თუმცა ხვდებოდა, დოდიკაძის ხელში რომ ვერ გაიხარებდა, რადგან დოდიკაძეს ლამაზები და გამორჩეულები არ უყვარდა, მისი სპექტაკლები სავსე იყო „ჩვეულებრივი“, ე.ი. უსახური ტიპაჟით... ბუნებრივია, ახალგაზრდების გულისთქმა ერთმანეთს დაემთხვა, საქმეც ბევრი არა ჰქონდათ — ენას იქავებდნენ.

იდგა უამი უძრაობისა. უძრაობა ადამიანს სიცოცხლეს პარავს. დრო შეუმჩნევლად ჩაივლის, მოიხედავ, თითქოს ახლახან იყო, კალენდარზე კი წლები გასულა და ცხოვრების ეს გრძელი მანძილი არაფრითაა შევსებული, თითქოს ვიღაცამ ბიოგრაფიიდან მაკრატლით ამოჭრა და გადააგდო. ვითომც გიცხოვრია, მაგრამ სინამდვილეში არ გიცხოვრია... მოიხედა არიქამ და თავში ხელი შემოირტყა, რა დრო გასულა — ის კი ისევ სცენის მუშაა, ისევ ზიტას საყვარელია, ცირაზე ფარულად ოცნებობს... ძველებურად მამუკასთან ენას იქავებს, მასკი საფეთქლები შეუჭაღარავდა!

ენის ქავილი ისეთი სენია, ფხანით ვერ მოირჩენ, მას სჭირდება სივრცე და განსჯის ობიექტი; სივრცე — უამი „გარდაქმნისა“, განსჯის ობიექტი — გორბაჩოვი, დურუ გეგია, დოდიკაძე...

აგერ მამუკა მიქავას ახალი როლი აღირსეს — სპექტაკლის ფინალში სცენაზე უნდა გამოვარდეს და პერსონაჟს პან-

ღური ამოჰკრას — მეტი არაფერი! მამუკა ხალისით ასრულებს ამ როლს, სამაგიეროს პერსონაჟი ჩივის, პარტნიორი არ ხუმრობს, სერიოზულად მაპანღურებს, ლამისაა საჯდომი დამისივდესო. მამუკა ირნმუნება, რა ვქნა, ჭეშმარიტი არტისტი ვარ, როლში რომ შევიტრები, იმ რომაელსა ვგავარ, სცენაზე კოლეგა რომ შემოაკვდა (ქსენოფონტე ჰქონდა მამუკას წაკითხული)... ეს ამბავი ქალაქელთა ქილიკის საგანი გახდა... არიქა ძაძუა „მობრაობის ლიდერთა“ თავყრილობაზე წამდაუნუმ იმეორებდა — „ეს ხელისუფლება პანღურის ღირსია!“ „ეს მთავრობა უნდა გავაპანღუროთ!“ „რაიკომის მდივანს (ე.ი. დურუ გეგიას) — ერთი ჩვენებური პანღური!“

ეს მიტინგური სათამაშოები — „გარდაქმნის ყვავილები“ ერთბაშად არ გაფურჩქინდა. თავდაპირველად შიშით მიმოიხდავდნენ, ემანდ კუთხიდან სუკის აგენტი ხომ არ გვითვალთვალებსო. მაგრამ თანდათან, სითამამის ზრდის კვალობაზე, ხმამ ფოლადის ულერადობა შეიძინა და სცენის ერთი რიგითი მუშა ქვეყანას „ლიდერად“ მოევლინა, ბრჭყალებში არა იმიტომ, არიქასათვის ვინმეს ლიდერობა ენანებოდა, არამედ იმიტომ, რომ მერეთელთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა და ურიგებდა ყველას, ვინც კი არ დაიზარა და ჭაობი ოდნავ შეარხია... არიქა სხვებისგან სწრაფად გამოირჩა, სხვებზე თამამი, დაბოლმილი და ენამჭევარი, ტრიბუნას ისე მიენებებოდა, როგორც ხმელ შეშას ცეცხლი — დაენთებოდა, აგიზგიზდებოდა, აბრიალდებოდა, ფერფლად აქცევდა მავანთა იდეებს, შეხედულებებს, სისტემებს, თანამდებობებს, მუშტს უქნევდა რაიკომს — ქაჯეთის ციხეს, აღმასკომს — ცხრათავიან ჰიდრას... სასჯელი ამათთვის ერთი იყო — პანღური!

დურუ გეგიას ყოველივე ეს დროებითი ეგონა, ამ უზარმაზარი გველებაპის — საბჭოეთის წაქცევას წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა... წყალნი წავლენ და წამოვლენო, ხშირად იტყოდა, მაგრამ არც ქვიშანი დარჩა და არც არაფერი. ეს შემდგომ, მაშინ კი დურუ ზევით უფრო იყურებოდა, ვიდრე ქვევით. არიქას მუქარები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. მთავარი იყო დედაქალაქის გულის მოგება, პირველი თუ მაგიდაზე მუშტს დასცხებდა, ამით ყველაფერი კალაპოტში ჩადგებო-

და, ოღონდაც არც მუშტი იყო და არც მაგიდა... იგრძნო დურუები, ცენტრი სადავეებს ხელიდან უშვებსო და თვითონ რაიონული მასშტაბის სადავეებს მაგრად ჩაეჭიდა, ოცდახუთ თებერვალს, როცა ზეიმი ცეკასაც დავიწყებოდა, მერეთის ქუჩები და დაწესებულებები წითელი დროშებით ააჭრელა... პასუხმა არ დააგვიანა!

— ძირს, ძირს!.. — გაისმა მოწოდება.

ბაცაცა ბიჭები შეესივნენ ბოძებსა და ფასადებს, ფხრენა-ფხრენით ჩამოყარეს საბჭოეთის წითელი ალმები, მიწაზე ათრიეს, კოლონებად დაწყობილნი აღმა-დაღმა უვლიდნენ ბულვარსა და მომიჯნავე ქუჩებს.

მილიციის უფროსმა ჯორჯიკიამ სასოწარკვეთით წამოიძახა: „რა უნდათ, ნეტავ, ამათ?!“ ის დრო გაფრენილიყო, „ამათ“ რომ ქეჩიოში ხელს წაავლებდი და სათითაოდ მიაბრძანებდი, სადაც ჯერ არს. დურუ გეგიაც მიხვდა, რომ მისი სანა-აქებო სადავეები ქარს წაეღო და ტელეფონს შეღონებული ხმით ჩასძახა:

— გაიგეთ ერთი, რას ითხოვენ!

ესენი არაფერს ითხოვდნენ, ესენი მოითხოვდნენ და ეპატრონებოდნენ — ჯერჯერობით თეატრის შენობას.

უზარმაზარი ამალის თანხლებით არიქა ძაძუა თეატრში რომ გამოცხადდა, უორამ შესტირა, მეკარემ:

— მომხსნის დოდიკაძე!

არიქამ მხარზე ხელი დაარტყა, გაამხნევა:

— ნუ გეშინა, მომხსნელი და დამნიშვნელი ანი აქ მე ვიქნები!

საპარადო კარი გააღო, ზღურბლზე შეყოვნდა და ხელი ასწია:

— ბატონებო და ქალბატონებო! ეს თეატრია და ჩვენ, პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები შიგ დროებით განვთავსდებით, რათა პოლიტიკური სპექტაკლები გავმართოთ! ნამდვილი თეატრი ანი გვექნება, რაც აქამდე იყო, წარსულს ჩაბარდა!

თანმხლებნი, ნაირ-ნაირი პარტიისა და ორგანიზაციის პროვინციული ლიდერები და მომხრეები არიქას მიაწვინენ და ფოიეში შეტენეს. ყველამ ერთბაშად მოისურვა შემოსვლა,

საოფისე ადგილების განაწილება, მაგრამ ფართო კარში ვერ ეტეოდნენ, იჭყლიტებოდნენ, ერთმანეთს დედას უკურთხებდნენ, ჯგლეთაობდნენ... ბრძომ აავსო ფოიე, დერეფნები, კიბები, ოთახები... მსურველთა ნაკადი კი არა და არ წყდებოდა, მალე ლოჟებსა და ბალკონს დაეპატრონენ, დარბაზის სკამებს ინანილებდნენ, თავიანთი პარტიების სახელებს აწერდნენ...

იდგა ერთი აურზაური, გნიასი, განევ-გამოწევა, ყვირილი, ჩხუბი, მშვიდობის მოწადინეთა მუშტი-კრივი...

ამ დროს ქოშინით მოვარდა თვით ვალერიან დოდიკაძე, კაცი პროვინციული მასშტაბით სახელოვანი... ისედაც ფერმკრთალს მთლად ქაღალდისფერი დასდებოდა.

კარში ძლივს შემოაღწია, ფოიეში გაიჭედა და ხმააკანკალებულმა იკითხა:

— მღუპავთ?! ჩვენ დღეს პრემიერა გვქონდა!

— რა პრემიერა, კაცო?! — იკითხა ანტიკომუნისტური ლიგის პრეზიდენტმა უორუკიამ:

— „თებერვალი დადგაო“!

— ე, ეს სად ჩარჩენილა! — გაუკვირდა უორუკიას.

— პროვოკატორია! — განაცხადა ზომიერ დემოკრატთა კავშირის წარმომადგენელმა.

— სუკის აგენტია!

— გაყიდულია!.. კომუნისტების ტრ...კის მლოკავია!

დოდიკაძე ამ ხმების გაგონებაზე ხან აქეთ შემობრუნდებოდა, ხან იქით, ცდილობდა, ეპასუხა — „ამხანაგო... ამხანაგებო...“, მაგრამ ვერავის ვერაფერი გააგონა.

მამუკა მიქავა გაძვრა-გამოძრვა ბრძოში, მიეპარა ქალაქის საპატიო მოქალაქეს და პანლური ამოჰკრა, მართალია, მსუბუქები, მაგრამ მთლად ისე არა, დოდიკაძეს ვერ ეგრძნო.

მართალი და არიქა კედელთან იდგნენ. მართალის ფერი ეცვალა, არიქამ კი შესჭიხვინა და ცხენივით ადგილზე აბაკუნდა.

— არ ქნა მაგი! — შეუძახა მართალიმ და მკლავზე ხელი წაატანა.

არიქამ მკლავი გამოგლიჯა და წინ გაქანდა.

დოდიკაძე შეტრიალდა, რათა თავისი შეურაცხმყოფელი დაენახა, მაგრამ ამასობაში არიქა მიეჭრა კოჭლობით და ახლა ამან ამოჰკრა.

დოდიკაძე მეტი არ შემობრუნებულა, მუხლებზე დაეშვა და თავი ჩაქინდრა.

ფოიეში ხმაურმა იკლო, ზოგმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა, ვინც გაიგო, ახლა უხერხულად დუმდა.

— ეს უკვე ზედმეტი იყო! — თქვა ჟორუიკიამ.

მართალიმ წრე გაარღვია, დაიხარა, მკლავზე ხელი გამოსდო.

— აბრძანდით, ბატონო ვალერიან! — ხმადაბლა უთხრა.

დოდიკაძე მძიმედ წამოდგა, თავი არ აუღია, არავისთვის შეუხედავს, ისე გასწია. გზას ჩუმად უთმობდნენ, ის კი ნელა, უღონოდ მიდიოდა.

მართალი, არიქა, მამუკა, სხვებიც უკან მიჰყვნენ, თითქოს იმაზე მნიშვნელოვანი ამჯერად არაფერი იყო, ვიდრე იმის გარევევა თუ საით წავიდოდა მთავარი რეჟისორი.

დოდიკაძემ დერეფანი გაიარა, დარბაზში შევიდა. პარტერი, ლოუები და ბალკონი ურიცხვ ხალხს ეკავა, ჰაერში განუწყვეტილი ზუზუნი ისმოდა. ასე სავსე ეს დარბაზი დოდიკაძეს არც არასოდეს ენახა.

აუჩქარებლად მოლია გასასვლელში დაფენილი ხალიჩა. სცენაზე კუთხის კიბით ავიდა.

წამით მარჯვენა უბეში გაუჩინარდა, იქ, რეკვიზიტებს შორის ბორბლებზე შეყენებული კუბო იდგა (ამ კუბოში ჯულიეტა იძინებდა და რომეო ზედ თავს აკლავდა), სცენაზე გამოაგორა.

ვინც აქამდე სცენაზე ამძვრალიყო, თავი უხერხულად იგრძნო და გაეცალა, დარბაზში კი თანდათან ხმაური შეწყდა. ყველანი დოდიკაძეს მიაჩირდნენ.

— წავედი მე! — თქვა დოდიკაძემ, დარბაზს თავი მოხდენილად დაუკრა, მერე კუბოში ჩაძვრა, ზურგზე გაიშოტა, გულზე ხელები დაიკრიფა და თვალი დახუჭა.

— შესანიშნავად ითამაშა! — წამოიძახა არიქამ და ხელი ხელს შემოჰკრა.

აქა-იქ კანტიკუნტად აყვნენ.

მართალი სცენაზე ახტა, კუბოს მიუახლოვდა...

მთავარ რეჟისორს თითქოს ეძინა. მართალის გულმა რეჩხი უყო, ძლივს გაბედა, საფეთქელზე ხელი მიადო. მოეჩვენა, რომ ყინულს შეეხო.

დარბაზისაკენ შემობრუნდა და ჯერაც სახემოლიმარ არიქას საყვედურით გასძახა:

— ვალერიან დოდიკაძემ დაგვტოვა, იგი გარდაიცვალა!

17

ძველი თეატრი მოკვდა, ახალი ქუჩაში გავიდა...

დურუ გეგიას ხელისუფლება დადაბლდა, იგი საკუთარი მაგიდის იქით ვეღარა სწვდებოდა... ლესტამბე თოლორაიამ თავი მოიმკვდარუნა, ისე იქცეოდა, თითქოს კარგა ხანია თავის მამასა და მარჩენალს განდგომოდეს, ძველი თანაკლასელების სიყვარულის იმტაზე დამდგარიყოს და მათ შორის შავ კატას არასოდეს გაევლოს... მართალი თოდუა ჰაერში გამოეკიდა, თავს არამყარად გრძნობდა, ძველს გაეცალა, მაგრამ ახალს ვერ მიაღწია, ჭაობი გულს ურევდა, მაგრამ ზღვის მღელვარება, მეტისმეტი და მოუთოკავი, სიახლის ხიბლს კარგავდა, ქარიშხალი, თუ მას შტილი არ მოსდევს, ისევე მოსაწყენი და დამღლელი ხდება...

არიქა ძაძუა ალზევდა ანაზდეულად. თეატრის სცენა კი დაადუმა, მაგრამ მთელი ქალაქი მისთვის სცენა გახდა და რეჟისორის თანდაყოლილი ნიჭი სწორედ აქ გამოადგა. თანამდებობა არანაირი ჰქონდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალაუფლების უხილავი სადაცები ხელთ ეპყრა. თვითონაც ვერ მიხვდა თუ როდის მოხდა ეს გადასხვაფერება. ვერავინ გათვალი ის გზა, სცენის მუშამ რომ გაიარა. კრებიდან კრებამდე, მიტინგიდან მიტინგამდე, დემონსტრაციიდან მანიფესტაციამდე თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ იკრებდა ძალას. მუდამ მღლვარების პიკზე იდგა, მუდამ წინ მოექცეოდა და ეს ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, იმისთვის მოვლენოდა ქვეყანას, კოჭლობ-კოჭლობით ფარას

გაძლოლოდა, მასა ემართა, ბრბოს დამანგრეველი ენერგიისათვის კალაპოტი მოექებნა...

სამითამუამო კალაპოტში მოედინება ჩხერია, ალაგ გუბდება, ალაგ ლოდებს გვერდებს ურეცხავს, თავზე გადაუვლის, ლუკლუკებს, დუდუნებს, ჩხრიალებს, საამოდ სასმენია. ოღონდ ხანდახან მთისპირეთში მოიყრება შავი ღრუბელი, გადაიგრიალებს ჭექა-ქუხილი, მოსკდება კოკისპირული, ხევუვები ღვარცოფით აივსება და აქამდე წყნარი ჩხერია თავს მოიგიუიანებს, აქაფდება, აიფოფრება, ნაპირებს გადათელავს, რაც წინ დახვდება — ხეს, ღობეს, ჩეჩმას წაიღებს, პირუტყვს მოახრიობს, საფლავებს გადათხრის და კუბოს აატივტივებს, რათა ხიდისაკენ გააქანოს და ზედ მიახეთქოს...

ბრბოც ჩხერიასავითაა, სანამ კალაპოტში მოედინება, მხოლოდ ფარული მუქარითაა დამუხტული, საზეიმო, მხიარულ მსვლელობასა ჰგავს... მაგრამ საკმარისია, სადავეები აიწყვიტოს, კალაპოტიდან ამოვიდეს, ნაპირები გადალახოს, უმალ დამანგრეველ ძალად იქცევა...

დურუ გეგიას სურს, ბრბოს მდინარება კალაპოტში მოაქციოს... თვითონ საყრდენი გამოცლილი აქვს, ზევიდან ზურგს ვერა გრძნობს. სხვა ღონე აღარ შერჩა და დათმობებით აპირებს აფოფრილი ურჩხულის მოთვინიერებას, იმის გადარჩენას, რაც მთავარია, რაც აქამდე მისი არსებობის მიზანს წარმოადგენდა, რითაც ცხოვრობდა, რითიც ტრაბახობდა... სისტემის გადარჩენა სწადია დურუ გეგიას, მისი ძირითადი ატრიბუტებისა, მისი სიმბოლოსი — მაცხოვრისგორის თავზე წამომდგარი ბელადის ძეგლისა...

ლესტამბეგ მოაკითხა, თოლორაიამ, წინ დაუჯდა, უფერული თვალები მოაპყრო.

— დღეს ლენინს დააგორებენ!

დურუს ზურგზე ჭიანჭველები დაესია თითქოს, სავარელი ეკლიანი გაუხდა.

— ლენინსაც, კაცოო? — ტირილნარევი ხმით იკითხა.

— ჰო, არიქას უბრძანებია!

ორი კვირის წინ ორჯონიკიძის მომცრო ბიუსტი დაამსხვრიეს ბულვარში და არც არავინ დასჯილა. ბიუსტი თაბაშირ-

ისა იყო, ვერცხლისფრად შეღებილი, წარწერაც კი არა პქონდა... ჯერ იყო და რამდენჯერმე დათხიპნეს, ხან სალაფავი გადაასხეს, ხან წუნწუხი... მილიციამ ხულიგნებს ხელი ვერ ახლო, გაბედავდა, საკანში გამოამწყვდევდა და გუშინდელი ქუჩის ბიჭები უმალ პოლიტიკურ მოღვაწეებად გადაიქცეოდნენ... ამიტომაც მოუყრუეს... მოუყრუეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მავანმა ურო მოათრია და თავში რეხვა თაბაშირის სერგოს, ამასაც არ დასჯერდა, იმდენი ურტყა, ქვიჯაში დანაულივით მტკრად აქციად...

ლესტამბეგ აუღელვებლად იჯდა, დურუს დაწყნარებას ელოდა.

— მაგის აშენებას გადავყევი, მარტო პურ-მარილი რამდენი დამიჯდა! — ანუნწნდა დურუ. — კალისტრატესა და თეოფანეს ვალი ჯერაც ვერ გაგვისტუმრებია და ამ გიუებს დავანგრევინო? რა ხანია ქალაქს ვუძღვები და ესლა მეამაყებოდა, ასი წლის შემდეგ მომიგონებენ-მეთქი...

— დავასწროთ! — მოკლედ მოჭრა ლესტამბეგ.

— როგორ... დავასწროთ? — გრძელი ტირადა გაუწყდა დურუს. — რას ნიშნავს, დავასწროთ?

— არიქა მაღლა დაფრინავს, ფრთები ფართოდ გაშალა, ჰოდა, შევუკვეცოთ!

— დავიჭიროთ?

— ადრე მაგდენს ვინ შეარჩენდა, ახლა რომ დაიჭირო, ჰოხის კარებს მუშტებით ჩამოილებენ!

დურუს შეახურა.

— მოვაკვლევინოთ? — ჩურჩულით იკითხა.

— შენცა ხარ რა! — აგდებითა თქვა ლესტამბეგ. — ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიაზრე? მაგი რომ მოვაკვლევინოთ, უმალვე წმინდანად გადაიქცევა და მკვდარი უფრო დაგვაზარალებს, ვიდრე ცოცხალი! ძველებურად აზროვნებ, დურუ ჩემო, ამ კომუნისტური მენტალიტიდან ვერ გამომძვრალხარ!

დურუს შერცხვა, როგორ უნდა მჯობნიდეს ეს ნეხვის ჭიათ, მნარედ გაიფიქრა.

— მაშ, რას მთავაზობ? — ცივად დაეკითხა.

— ჩვენ თვითონ ავაფეთქოთ!

დურუს ნერწყვი გადასცდა, წამოჭარხლდა, ხველება აუტყდა... თან ახველებდა, თან ხელებს იქნევდა, თითქოს ამ მკრეხელურ აზრს თავიდან იშორებსო...

ძლივს დაწყნარდა, ერთხანს ჩუმად ათვალიერა მის წინ მშვიდად მჯდომი ლესტამბე და ჩაეძია:

— ჩვენ?.. მე და შენ უნდა ავაფეთქოთ?

— რატომ მე და შენ? — ცალყბად გაიცინა ლესტამბემ.

— ჯერაც არსებობს ჩვენი სამსახური! მომისმინე, დურუს ვენაცვალე, რისთვის სჭირდება არიქას ქვასთან ჭიდილი? ქვა იდეოლოგიაა, არიქაც იდეოლოგიას ებრძვის და ამით იხვეჭს სახელსა და ძალას. ყველას ყელში ამოუვიდა ეგ შენი ლენინი, იმდენი გვტენეს, ამოვიყორეთ მუცელი... დღეს იქნება თუ ხვალ, ეგ ძეგლები ძირს დაცვივა. დავასწროთ! ამით ჩვენ არიქას დროშას წავართმევთ და ჩვენ ავაფრიალებთ. ახალი სამყარო კარს მოგვადგა, წინ რომ გადავუდგეთ, გაგვიტანს, უმჯობესია, თავში ჩავუდგეთ და იქითკენ ვირბინოთ, საითკენაც ყველა გარბის. თუ ასე ვიზამთ, გადავრჩებით! არიქას ჩვენი განადგურება სწადია, მაგრამ შერჩება ხვიშტი! — და ლესტამბემ დურუს ცხვირწინ სამი თითის კომბინაცია დაატრიალა.

— მე არ შემიძლია! — ძლივს ამოღერლა დურუმ. — არ შემიძლია და რა ვქნა! შენ კი ქენი, რაც გინდა!

— მე უკვე ვქენი! — ორაზროვნად გაიღიმა ლესტამბემ.

სწორედ ამ დროს თეატრიდან გამოვიდა არიქა ძაძუა და კიბის თავზე შეყოვნდა. უკან მოჰყვებოდნენ მართალი, ცირა, მამუკა, სხვადასხვა პარტიათა ლიდერები... თეატრის მოედანზე თავი მოეყარა ქალაქის ნალებ საზოგადოებას. ეს ის ხალხი იყო, რომელმაც ბოლო თვეების მანძილზე ყოველნაირ საქმეზე აიყარა გული და მიტინგებსა და მანიფესტაციებზე სიარულს უნდებოდა.

ლიდერების გამოსვლას ტაშითა და „ვაშას“ შეძახილებით შეეგებნენ.

არიქამ ხელები ზურგსუკან შემოიწყო, შუბლი ჯიუტად წახარა და კოჭლობით წამოვიდა. ბრბო ორად გაიპო. არიქა

ცოცხალ დერეფანში მიდიოდა, ფეხდაფეს უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები მიჰყვებოდნენ.

მამუკა გზა-გზა ჩურჩულით ეუბნებოდა:

— ბაზრის მხრიდან ხუთი ათასამდე მოდის, ამათ კომბინატის ხალხი წაემატება, ჩაის ფაბრიკებიდან სამი-ოთხი ათასი, სკოლები ბოტანიკურთან გროვდებიან...

— ინსტიტუტელები ჩხერიას ხიდთან შემოგვიერთდებიან! — ჩაურთო ცირამ.

არიქამ თავი დააქიცინა.

სულ მალე კოლონად გაიჭიმნენ. მხატვრები, მსახიობები, რკინიგზელები, ვაჭრობის დარგის მუშაკები, ქალაქის უსაქმურნი და მოხულიგნო ელემენტები, ყველანი ამათ უერთდებოდნენ.

თავზევით ააფრიალეს შინდისფერი და თეთრი დროშები, პარტიათა სიმბოლოებით დამშვენებულნი, თუმცა ამ სიმბოლოებისა ბევრს არა გაეგებოდა რა...

ბულვარში კოლონას ახალი ტალღები შეუერთდა და სულ მალე, როგორც ეს ბოლო დროს ხდებოდა, მანიფესტანტებმა ქალაქის მთელი ცენტრი შეავსეს.

მამუკამ მიკროფონი გამოაჩინა და ხმა შეამოწმა:

— სამი, ორი, ერთი!.. სამი, ორი, ერთი!..

კოლონები მოედანზე განლაგდნენ (ოქტომბრისა უკვე არ ერქვა, თუმცა ახალი სახელი ჯერაც ვერავინ მოიფიქრა!), არიქა ტრიბუნაზე ავიდა და მეგაფონში ჩასძახა:

— ბატონებო! — არცთუ დიდი ხანი იყო, რაც ამგვარ მიმართვას მიეჩივნენ. — მამულის შვილნო! დღეს ჩვენს ქალაქში დიდი თავი დაგორდება! — თან ხელი მაცხოვრის-გორისაკენ გაიშვირა: — ამით დასრულდება ბნელი ეპოქა და იწყება ახალი, ნათელი მომავალი! ერთ მუშტად შეკრულნი ჩვენ თვითონ გამოვჭედთ ჩვენს მომავალს!

ტრიბუნიდან ჩამოირბინა და მხლებლებს დაუგდო:

— მომყევით!

აქვე „ჯიპი“ დაახვედრეს, გადახსნილი. არიქა ზედ სარდალივით შედგა. ცირა მძღოლის გვერდით დასკუპდა და ჩხერიის ხიდისაკენ დაიძრნენ.

უზარმაზარი ბრძოლების შემთხვევით გაიწელა. თავში შეკრებილიყვნენ უფრო აქტიურნი და აგრესიულნი, ავადმომზირალი, კუნთებდაბერილი ახალგაზრდები, ფსიქიკამოშლილი, აღზნებული ქალები, რომელთაც მორიდების ბორკილებიდან უყვიტათ და თავგანირვის ექსტაზის ეძლეოდნენ. ყველაზე მეტად ესენი ხმაურობდნენ, ტკარცალებდნენ, ისტერიკულად კისკისებდნენ, ფანატიზმის ცეცხლში იწვოდნენ... ამათ მოჰყვებოდა გრძელი რიგი გაურკვეველი წარმოდგენების ადამიანებისა — ზოგს გულწრფელი იმედი და გატაცება მიერეკებოდა, ზოგს — წამხედურობა, ზოგს — გონებადაბნეულობა... კუდში მოჩანჩალებდნენ ყოფილი შეპყრობილნი, წინმავალთა რიგში ჩადგომისა რომ ეშინოდათ, შინ დარჩენისა კი რცხვენოდათ. ახალ სამყაროშიც ენადათ მოხვედრა და ძველში დარჩენაც...

კარგა ხანს გუგუნებდა ჩხერიის ხიდი, ზურგზე რომ უთვალავი ფეხი გადაატარა.

ორლობიდან „ჯიპი“ გამოლოდდა და მანიფესტანტების თვალნინ წამოიმართა დიდებული მაცხოვრისგორა, რომლის მწვანე ფერდობზე თეთრი კიბე განწოლილიყო, მისი მისადგომები კი ხელკეტებით აღჭურვილ მილიციელთა რაზმს ეჭირა.

წესრიგის დამცველი ქურუშად გაჰყურებდნენ მოახლოებულ ბრძოს.

„ჯიპი“ ნელა მოძრაობდა. არიქა განგებ ანელებდა სვლას, რათა უკან მომდგარებსაც მოესწროთ, გორისპირა მინდორი შეევსოთ და მერე ერთიანი ძალით მოწინააღმდეგებ გადაეთელათ. მანამდე, მგზნებარება რომ არ ჩაჩუტულიყო, მეგაფონი მჭექარედ აახმიანა:

— არა გაქვთ უფლება! არა გაქვთ უფლება!

ბრძოს აღმა-დაღმა გადაუარა ტალღამ:

— არა გაქვთ უფლება! არა გაქვთ უფლება!

— საქართველო, საქართველო! — კვლავ ჩასძახა არიქამ.

— საქართველო, საქართველო, საქართველო!.. — ათასებზე ბანგივით მოქმედებდა ეს სიტყვა.

ამასობაში კოლონების გრძელი კუდი მინდორმა შემონვა და გორისძირი ზღვა ხალხმა გადაჭედა.

— მეგობრებო, პროვოკაციაზე არ წამოეგოთ! — არიქას სადავე მტკიცედ ეპყრა ხელთ. — ჩვენ მილიციასთან ჭიდაობას არ ვაპირებთ! მილიციელებიც ჩვენი შვილები და ძმები არიან, მაგრამ ჩვენ მათ პირდაპირ და დაუფარავად უნდა ვუთხრათ: გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ!

ერთხმა ღრიანცელი მთელ ქალაქს გადასწვდა:

— გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ!

მილიციელი შეჩქვიფდნენ, ადგილიდან მაინც არ დაძრულან, თუმცა ასეთ ზენოლას, ალბათ, დიდხანს ვერ გაუძლებდნენ.

ხმაური მანქანის გაბმულმა სიგნალმა გაჰყვეთა. ხიდზე შავი „ვოლგა“ გადმოვიდა, ორლობე გამოიარა, ცხვირი მომიტინგეთა შორის შემოყო და ახლა ასიგნალებდა, გზა მოითხოვდა.

არიქამ მეგაფონი ძირს დაუშვა, ყველანი იმ მანქანას მიაჩერდნენ.

სავალი გზა განთავისუფლდა, ცოცხალი დერეფანი გაკეთდა და „ვოლგამ“ თანდათან შუაგულში შემოაღწია, „ჯიპს“ მოადგა.

კარი გაიღო, ლესტამბე თოლორაია ხვნეშით გადმობობლდა, პატარა, უფერული თვალებით არიქას ახედა და თქვა:

— ისიც გასარკვევია, ვის უნდა რცხვენოდეს!

— აი, სუკიც გვესტუმრა საკუთარი ფეხებით! — არიქას ანგლობაში ზიზღი გაუღერდა, მეგაფონმა მისი ხმა მინდორს მოჰქონდა, მაგრამ პასუხიც ბევრმა გაიგონა:

— ეროვნული სუკი, მე ასე ვიტყოდი... — ლესტამბემ ხმას განგებ აუწია. — აქ ვინმე არის, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს სამშობლოს არ დასტირდება საკუთარი, ეროვნული სუკი?!

— „ეროვნული“! — გამოაჯავრა არიქამ. — როგორც ხედავთ, სუკი არ იშლის თავის გველურ-აგენტურ ხრიკებს, სუკის ცნობილი აგენტი გვეახლა თავისი ბელადის დასაცავად!

ბრძოს მუქარის გუგუნმა გადაუარა. არიქას ირგვლივ შეყრილ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს და ეგზალტირებულ ქალებს ღრენა აღმოხდათ, საშიში წრე შეიკრა და ლესტამბემ იგრძნო, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. აქა-იქ უკვე გაისმა

შეძახილები: „გავსრისოთ ეს ჭია!“ „სუკის აგენტი!“ „ერის მოღალატე!“ „პროვოკატორი!“ „სისხლი ვადინოთ მაგ ნაძირალას!“ — გაები ჩიტო მახეში?! — ეს მამუკა გაემზადა პანდურისათვის.

— აბა, უკან დაიხიეთ! — წინ მართალი გადაუდგა, თოდუა. — კაცი თავისი ფეხით მოვიდა, უზნეობაა მისი შეურაცხყოფა!

ლესტამბემ შიში არ დაიმჩნია, ვითომც ვერ ხედავდა, ირგვლივ როგორ დუღდა, ნამითნამზე ბრბო აღვირს აიწყვეტდა და მართალის თავგამოდებაც ვერაფერს უშველიდა.

— ახლავე გიჩვენებ, თუ როგორ ვიცავ ბელადებს! — არიქას შეუძახა, მანქანიდან ტელეფონის ყურმილი გამოიღო და იკითხა: — მზადაა? — მიიხედ-მოიხედა, არიქას მეგაფონს წაეტანა და ჩასძახა: — მოქალაქენო, ფრთხილად იყავით, თავზე ქვები არ დაგეცეთ! — ისევ ტელეფონს მიუბრუნდა: — მამ, ვითვლი! სამი, ორი, ერთი... მიდიო!

უცებ მაცხოვრისგორის თავზე იგრიალა. იქ, სადაც ლენინის ძეგლი იყო გადმომდგარი, ცეცხლის, ღორღისა და მტვრის მაღალი სვეტი წამოიმართა. ქანდაკების ნაწილები — ხელები, ფეხები, ტორსი ჰაერში მრავალგზის ამოტრიალდნენ და სადღაც ჩაიჩენენ... ბელადის დიდი თავი საშინელი სისწრაფით დაგორდა... იმ მხარეს, საითენაც იგი მიქროდა, ხალხი სწრაფად წამოიშალა და ხიდისაკენ უტია... ფერდობზე ქვების ბრაგაბრუგი მოისმა, წვრილი კენჭები თავებზე დაცვივდა და ბარე არა ერთ და ორ ახლადგამომცხვარ პოლიტიკოსს კოპი დააჩნდა... რა თქმა უნდა, ვინც შეძლო, თავს უშველა...

ამასობაში ბელადის თავი ძირს ჩამოგრიალდა, სწორზე გაირბინა, მინდორსგალმა მცხოვრები გაგუას ღობე შეანგრია, ჩეჩიმა გადალენა და ფეკალური შადრევანი ამოასხა, ბაღ-ბოსტანი გადატკეპნა და ეზოს ბოლოს, ყორეზე გადმოძენილ მაყვლის ბარდებში გაეჩირა...

ლესტამბემ გულიანად ჩაიხვიხვინა. არც მილიცია ჩანდა ახლომახლო, არც მანიფესტანტები და ლენინის ძეგლიც აორთქლდა... ფერდობზე ჯერაც ჩხაკუნობდა დაგორებული ქვები...

ორი მანქანა შერჩა ასპარეზს — „ვოლგა“ და „ჯიპი“. „ვოლგასთან“ სახეგაბადრული ლესტამბე იდგა, „ჯიპში“ არიქა და ცირა... იქვე მართალის დაეკრიფა გულხელი, ვერ მიმხვდარიყო, ეცინა თუ წუხილი გამოეხატა.

არიქას ბოლმისაგან სული შეუგუბდა.

— სუკის აგენტები, გველის წინილები... — დაისისინა.

— მე სუკის აგენტი კი არა, სუკის პოლკოვნიკი ვარ! — ლესტამბეს სიფათი ვარდივით გაეფურჩქნა. — თუმცა პოლკოვნიკი რა მოსატანია, როცა შენი მეგობრების სიაში უპირველესი ადგილი მთლად გენერალს უჭირავს!

— გენერალს? რეებს ბოდავ?

— ოჟ, პარდონ, ქალიშვილთან ბოდიშს მოვიხდი, საყვარლის მამიკოს მეგობართა სიაში, ალბათ, არ თვლი! იქნებ ვცდები და მაგ კაცთან რუსის ნატაშას ქვეშაგებზე მეტი გაკავშირებს, ჰა?

ცირამ სწრაფი მზერა ესროლა არიქას, მართალისაც ნირი ეცვალა.

არიქა პილპილისფერი გახდა, ხმა აუკანკალდა:

— დედას გეფიცები, ცირა, ეს კაცი პროვოკატორია!

ლესტამბემ მის ნათქვამს ყური არ ათხოვა, აზრი ბოლომდე მიიყვანა:

— კაცთან, ვისაც ქართველთა სისხლში იდაყვებამდე აქვს ხელები ამოსვრილი...

— რას ამბობს ეს ადამიანი? — ცირა გათეთრდა.

— ზედმეტი მოგდის, მგონია! — მართალიც ჩაერია.

— დედას გეფიცები, ცირა, მაგ ქალთან არაფერი მაქვს საერთო!

— შენი ქალები არ მაინტერესებს! — ცივად შეაწყვეტინა ცირამ. — ის გენერალი ვინაა?

— იქნებ სუკი არც ისე გძულს, როგორც შენს გარემოცვას უმტკიცებ! — ლესტამბე აშკარად ზეიმობდა. — ყოველ შემთხვევაში, შენს ძმაკაცს, ლეონტის თუ ღრმად ჩაეძიები, ის აგიხსნის, ნამდვილი სუკი რაც იყო! ჩვენ რა, ჩვენ პროვინციელები ვართ, ქალალდებში ვიქექებით და ეგაა. იმას მაინც

ვერავინ დამაბრალებს, რომ ლესტამბე თოლორაიას ნაჯახით დაეჩეხოს ვინმე!

— ნაჯახით? გააფრინე, შე ახვარო?! ცირა, არ დაუკერო, პროვოკატორია!

ცირამ ბაგე მოკუმა, მზერა აარიდა.

— მე ნუ დამიჯერებ, გენაცვალე! — ლესტამბეს სახე კუშტი გაუხდა, თვალები გველივით უბზინავდა. — სანამ ლოგინში შეუგორდებოდე მაგ კახპას, თქვენთან უკაცრავად ქალიშვილო, ყანყრატოში მოუჭირე ხელი, დარწმუნებული ვარ, მამიკოს საგმირო საქმები თვითონაც ემახსოვრება! — ჩაჯდა მანქანაში და ასე დაუგდო: — დაფიქრდი, სანამ გზაზე გადამიდგებოდე!

18

დაფიქრდა, რა თქმა უნდა! მისი ფიქრები ღამეში ბორიალსა ჰგავდა, რადგან გული ბოლმით ავსებოდა. ბოლმა საწამლავია, მისგან განკურნება ძნელია. ბოლმით სნეულის სულში სინათლე ვეღარ აღწევს. დაბოლმილი ადამიანის ქმედებებს შურისძიების სურვილი უდევს საფენად. ამიტომაც ვერ იქნება მისი ნამოქმედარი სამართლიანობის სასწორით აწონილი... არიქას აღგზნებული ტვინი ეძებდა პასუხს კითხვებზე: ვინაა ნამდვილი მტერი? ვინ უნდა სძულებოდა? ვის წინააღმდეგ მიემართა მეხთატეხა, დაუსჯელობის სინდრომით მოპოვებული მახვილი, რაიც საზოგადოდ სულიერების უძლურებას ეყრდნობა.

ლიონია, ლეონტი — ის ბოთვერა, ის ქონის გუდა თურმე სუკის თანამშრომელია, მეტიც, მთლად სუკის გენერალია. იგი ნაჯახია! კაცი, რომელსაც სასაცილოდ იგდებდა, როცა ენება, თავში უტყაპუნებდა და ამიტომაც ცოტათი უყვარდა კიდეც, გადაიქცა კაცად, რომელმაც ერთხელ მობუბნა, ქეჩოში ჩავლო, ჰერში ციმციმ ამოატრიალა და კიბეზე დაუშვა... დიახ, საშინლად შეურაცხყო!.. მამამაც და შვილმაც... დიახ, არიქას თვალი აეხილა და ნათლად დაინახა, ვინ ვინ არის! ლე-

ონტი, ერთი უწყინარი დათუჩის როლს რომ თამაშობს, სინამდვილეში სისტემის ანახლეჩია, წითელი რუსეთის სახეა, მისი ისტორია, რაც სწორედ გლეხური ნაჯახის სიმბოლოთი აღინიშნება... იგი თავად ვლადიმერ ილიჩია, მაცხოვრის თავზე რომ იყო გადმომდგარი... ილიჩს რომ ეცოცხლა, ალბათ, ლეონტის დაემსგავსებოდა... კოლოსი აფეთქდა, დაინგრა, მტვრად იქცა, მაგრამ, დახეთ, აგრ ქალაქში დადის მისი მეორე „მე“ და არიქას ზომავს თავისი ვინრო, მონგოლური ქუთუთოებიდან, მეჟყურებს მშვიდად, წყნარად, მოფლაშტულ ტუჩებზე ოდნავი ზიზღი ახატია, აშკარაა, არაფრად აგდებს ხეიბარს, დასცინის მის ციებცხელებიან სექსუალურ-პოლიტიკურ ვნებებს...

ოთახში ერთადერთი, მომცრო ფანჯრიდან აღწევს შუქი და ისიც ლურჯი ფარდით იცხრილება, ბინდში საგნების ფორმა წაშლილა. საცხოვრისი, ეტყობა, ნაკლებად ნიავდება, მძიმე ჰაერი ახლად წამოდულებული ბორშჩის სუნითაა შეზავებული. ფანჯარასთან პატარა, ვინრო მაგიდა დგას, ზედ ოხშივრიანი მათლაფაა, წვრილად დაჭრილი პური და გარჩეული ხახვი... მაგიდასთან ტაბურეტით ლეონტი მიმჯდარა, თეთრი მაისური აცვია, მძლავრი მხრები მოშიშვლებია, ზურგის კუნთები კუზებივით ამობურცვია... გარედან შემოღწეულ ხმაურსა და აურზაურს ყურადღებას არ აქცევს, წვნიანში კოვზით არა-ჟანს ურევს, სადილად ემზადება...

არიქამ კარი ღონივრად შემოხეთქა და ახლა ზღურბლზე დგას. ხელში რევოლვერი უჭირავს, უფრო დასაშინებლად, რათა მტერს შუბლზე სიმწრის ოფლი დასდინდეს. არიქას თანამებრძოლინი, ღონიერი, ტალიკ-ტალიკი ბიჭები ზურგზე აწვებიან, ღიობში ცნობისმოყვარედ იჭყიტებიან...

დერეფანი სავსეა ახალგაზრდებით, ისმის მხიარული ხორხოცი, სიცილი, შეძახილები... მომპალი იატაკი ჭრაჭუნებს, ლამისაა, სიმძიმისაგან ჩაინგრეს... ეზოში უამრავი ხალხი შეყრილა. დროშები, ტრანსპარანტები, პორტრეტები აღუმართავთ, ფანერებსა და მუყაოზე სახელდახელოდ გაკეთებული წარწერებია — „ძირს სუკი!“

კიბის თავზე მამუკა დგას, დირიჟორივით ხელს იქნევს  
და გაიძახის:

— ძირს სუკი!

ეგზალტირებული ბრძო ხმის სიმებს იხლეჩს:

— ძირს სუკი, ძირს სუკი!

— საქართველო, საქართველო!..

— საქართველო, საქართველო, საქართველო!..

აქ მოსვლამდე, საგანგებო თათბირზე მართალი შეეჯახა არიქას, გააფრთხილა — მოსამართლედ შენ არავის აურჩევიხარ, ცოდო-მადლის განკითხვა არავის დაუვალებია, თუ ის კაცი დამნაშავეა, ვისაც ევალება, იმან მოკითხოსო... „ჩვენ ერის ნებას გამოვხატავთ!“ — მიტინგზე გამომსვლელის პათოსით პასუხობდა არიქა, წინააღმდეგობას როცა ანყდებოდა, უფრო ჯიქდებოდა, უკან დახევა სირცხვილად მიაჩნდა... დიდხანს იდავეს... მუდამუამს წყნარი, დარბაისელი მართალი ახლა გაცოფდა, სახეზე სისხლმა მოასხა: „იცოდე, დადგება უამი, როცა ეს სიგიურ სანანებლად გადაგექცევა!“ „რას წამომიხტი! — აფეთქდა არიქაც. — ისე მექცევი, თითქოს კაცის კვლას ვაპირებდე! — მერე მომხრებს მიუბრუნდა: — გაეთრიოს ჩვენი ქვეყნიდან, რუსეთი დიდია!“ ართობდა კიდეც ძმაკაცთან შეჯახება, სადღაც გულის გულში გაუცნობირებლად მალამო ედებოდა, მეგობრობის მაღალ გრძნობებს ცოტცოტაობით ყელში ჭანგებს უჭერდა... „ასე თუ გააგრძელე, კაცის კვლამდე შორი გზა არ გიძევს!“ — ცხარედ მიუგდო მართალიმ. „დიდი საქმე უსისხლოდ არ გაკეთებულა! — შეუბრუნა არიქამ. — გამომიჩნდა მშვიდობის მაძიებელი!“ მართალი შეტრიალდა და წავიდა... „წადი, წადი, ხელები დაიბანე!“ — მიაყოლა არიქამ...

ახლა აგერ იდგა მომცრო ოთახის ზღურბლზე, ხელში რევოლვერი ეჭირა, ზურგსუკან მხარდამჭერთა ჩოჩქოლი ესმოდა. წინასწარვე მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა და როგორ ემოქმედა. ცხვირწინ რევოლვერს დაუტრიალებდა, თვალებში ჩახედავდა და ეტყოდა: „შე თესლო, თურმე მკლავები იდაყვებამდე ქართველთა სისხლში გაქს ამოვლებული და როგორ გაბედე, საქართველოში რომ ჩამოეხეტე!“ თავზარდაცემუ-

ლი ლეონტი მუხლებზე დაეცემოდა, მაპატიეთ, მაპატიეთო, იღრიალებდა და მხოლოდ მაშინ, როცა მიხვდებოდა, გადარჩენის შანსი არ იყო დარჩენილი, ბიჭებს ეტყოდა: „გაათრიეთ ეს ნეხვის გორა, ამოჟკარით ჭიტლაყი, დაე, ფეხშიშველამ იაროს თავის რუსეთამდე!“ აი, ასე აპირებდა მტრის დასჯას არიქა ძაძუა, მაგრამ ზღურბლზე მდგარს სათქმელი თითქოს დაავიწყდა, ხოლო მისი მოწინააღმდეგე აუღელვებლად ემზადებოდა ბორშჩის სახვრეპად.

— უთხარი, უთხარი! — ვიღაცამ ზურგზე ქიმუნჯი ჰკრა არიქას, წაახალისა, მაგრამ რაკი არიქამ დააყოვნა, იმან თავი გამოყო და ფალცეტით იყვირა: — ეй, შპიონ несчастный, мы знаем, что, это ты убывал наших!

ლეონტიმ თავი მოაბრუნა, ვიწრო თვალები უფრო ვიწროდ მოწეურა და დამარცვლით უბრძანა:

— Вон отсюда бляяд!

არიქას ტანში დააზრიალა, კბილის ცემინება აუტყდა, რაკარუკი გაპერნდა და სიტყვა სიტყვაზე ვეღარ მიაბა... ოღონდ ეს არ იყო შიში, ეს იყო წინათვრძნობა იმისა, რომ წუთის შემდეგ ისეთი რამ მოხდებოდა, რასაც ვერასოდეს ვერაფერი შეცვლიდა. მისმა გონიომა მზერამ უძირო უფსკრულს უნია და მიხვდა, ბნელეთში ვარდებოდა... ფეხი ზღურბლს მიაბჯინა, ინსტინქტურად უკან დაინია, მაგრამ ზურგიდან მჭიდროდ მიაწვნენ ახალგაზრდები, მოსალოდნელი შეჯახების სურვილით შეპყრობილი, რაკი თვითონ მრავლად იყვნენ და თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ, მოსანადირებელი მხეცი კი კენტად იჯდა, მშველელი არავინა ჰყავდა, ამიტომ, წესითა და რიგით, გაბრძოლებაც კი ვერ უნდა გაეხდა.

— Враг и убийца! — ძლივს ამოახველა არიქამ, თითო მიუშვირა, რევოლვერიანი მარჯვენა კი საკუთარ ფერდზე მჭიდროდ მიიკრა, თითქოს აქ ვინმე იყო, ვისაც ძალუძდა, თავდაცვის ერთადერთი საშუალება წაერთმია.

ლეონტი წამოიმართა და თავისი მსხვილი, კოტიტა თითებით ტაბურეტი თან აიყოლია, აიყოლია და ხელი მოუნაცვლა, ტაბურეტის ფეხს წაავლო და ბურდღუნით წამოვიდა.

— А ну посмотрим!

არიქას ერთხელაც შეაურუოლა, უსაშველო სისუსტე იყრძნო და მიხვდა, ცოტაც და მოულოდნელად დამძიმებული იარაღი ხელიდან გაუძვრებოდა, ძირს დაუვარდებოდა.

ლეონტი კი — უზარმაზარი, მძიმე, — ყალყზე შემდგარი დათვის მძულვარებით მოდიოდა, ტაბურეტიანი ხელი ზევით-ზევით აჰკონდა, რათა წამის შემდეგ არიქას თავზე მძლავრად დაეჭვა.

დარტყმის მოლოდინში არიქას თითქოს აზრი გაეყინა, მუხლები მოუდუნდა, დაბლა ჩაინია, დაპატარავდა, კისერი მხრებში ჩაუძვრა და მაშინ, როცა ზეაღმართული ტაბურეტი უნდა გამოქანებულიყო, ხოლო ზღურბლზე გაჩერილს უკან ძვრაც არ შეეძლო, სწორედ იმ წამს იქუჩა...

არა, არიქას არც უფიქრია, გაესროლა! არიქას არ უნდოდა გასროლა! არიქას ნამდვილად არ უნდოდა, კაცი მოეკლა, თუნ-დაც ის კაცი სუკის გენერალი ყოფილიყო! ვერც კი მიხვდა, საიდან, როგორ გაისროლეს, ვინ გაისროლა!.. გაოცებით დახედა რევოლუციეს... ლულიდან მსუბუქი ბოლი ამოდიოდა, გაიფანტა... ხელი კი, აქამდე არიქას მორჩილი, ახლა დამოუკიდებლად არ-სებობდა, არიქა მას სულაც ვერ გრძნობდა, საშინლად უთრო-და და ვეღარ იმორჩილებდა.

ლეონტი შეპარბაცდა, ტაბურეტიანი მარჯვენა კვლავაც თავზევით ეჭირა, მარცხენა თათი კი მკერდზე მიედო, ეწადა წითელი ორდენის დამალვა, ოღონდ წითელი ლაქა თავს არ იმაღლვდა, მაისურმა შეინვა, ფართოდ გაიდღაბნა, თითებ-შორის გამოურნა.

გასროლის ხმამ დერეფანში აურზაური გამოიწვია. უკანანი ამბის გასაგებად წინ მოიწევდნენ, მაგრამ წინანი გასასვლელს მიაწყდნენ... ზედახორა, ყვირილი, ლანძლვა, წიოკობა... არიქას ზურგზე უკვე არავინ აწვებოდა, დასახევი გზა თავის-უფალი იყო და უკანუკან წავიდა.

— Ax, ბლად! — ჩაიპურდლუნა ლეონტიმ და ნაპიჯი გად-მოდგა.

არიქა ზღურბლს გასცილდა.

ლეონტი გამოჰყვა, ბარბაცით მოდიოდა, იმ ტაბურეტს თან მოათრევდა, იმედს იტოვებდა, რომ მტერს თავზე დააფშვნიდა.

ზიტას ოთახიდან ბავშვის შიშიანი ტირილი მოისმა, ეზო-ში ჩოჩქოლი და დგანდგარი არ წყდებოდა.

ლეონტი გავეშებულ დათვას ჰგავდა. თუმცა ღონე აკ-ლდებოდა, ტაბურეტს მაღლა ვერ იჭერდა და მხარზე შემო-ედო, სისხლიან მარცხენას ხანდახან გამოიშვერდა, ცდილობ-და, არიქას მოპოტინებოდა, დაეჭირა, მაგრამ ამ მცდელობი-სას მკერდიდან სისხლი ლეკერტებად ეღვრებოდა და ყოვე-ლი ასეთი გაბრძოლება ასუსტებდა.

— Ax ცვილი, ხრომია! — ისევ და ისევ ბურდღუნებდა, მოდიოდა და გზა-გზა სისხლის ტპორებს ტოვებდა.

არიქამ ზურგით სინათლეზე გააღწია, კიბის თავზე ვიღა-ცამ ხელი შეაშველა.

პარმაღზე ლეონტი გამოჩნდა, ისეთი დიდი იყო, ისეთი ბუმბერაზი, თითქოს დერეფნის ჭრილში ვერ გამოეტევაო... მძიმედ სუნთქავდა, ჰარი აღარ ჰყოფნიდა... ტაბურეტს ძირს მოათრევდა... ერთიანად სისხლში იყო მოთხვრილი...

ეზო მდუმარებამ მოიცვა... შიში, თავზარდაცემა, სინანული...

ლეონტიმ გადახედა თავშეყრილებს, დანისლული მზერა მიმოატარა.

— Зачем это? — იკითხა და უცებ შექანდა... კიბეზე თავ-დალმა წამოვიდა, საშინელი ჭახანით ჩაამსხვრია და, როცა ამოაბრუნეს, ცოცხალი აღარ იყო...

— Папа, папенка! — იკივლა ნატაშამ, ბრბო გაარღვია, ზედ გადაემხო თავის მამილოს, ბომბორას, დათუჩის...

დერეფანში სუსტი წათურა წითლად ბუუტავდა და კუპეს ბნელ ფანჯარაზე ირეკლებოდა. გენერლის მკვლელი კედელს ზურგით მიყრდნობოდა. იმ ადგილს ზედა თარო ჩრდილავდა და ამიტომ მის გამომეტყველებას ვერ ვარჩევდი... მგზავრები დუმდნენ... დროშების ფრიალსა და მიტინგურ ხმაურს მდუ-მარება მოსდევს, ეგზალტირებულ ემოციებს აპათია ცვლის, ადამიანი თითქოს ღონიდან იცლება, უსასოოდ შეჰყურებს

ფერადი ოცნებების სასაფლაოს... ვიჯექი ჩაბინდულ კუპეში და თვალნათლივ ვხედავდი ჩემი იმედების მსხვრევასაც... ჩემი გმირები — არიქა, დურუ, მართალი, — თავდაპირველად იდეალურ ადამიანებად წარმომესახა ისევე, როგორც მშობელი შვილს აკვანში იმის იმედით ანვენს, ოდესმე საკუთარი ოცნებების განსახიერება რომ იხილოს. მოვლენათა ლოგიკამ კი აი, აქ მომიყვანა, ამ კუპეში... რა მოხდება ხვალ, ზეგ? ნათელმხილველის მზერით განვჭვრიტე მომავალი და ვიხილე უდაბნოში მავალი — არიქა ძაძუა: ფანატიზმის კუპრში ხარშვა, იმედების გაცრუება, ტყედ გაჭრა და სისხლი, უცხოეთიდან მუშტის ქნევა ან სამშობლოში ციხე და ჭლექი; დურუ გეგია: იანუსის მეორე სახე, მინირესტავრაცია, გამგებლის ან რნმუნებულის სავარძელი, უმადური ღვაწლი, ნამსხვრევების შეკონინება; ლესტამბე თოლორაია: მშობლიური სუკის ფარული ლაპირინთები... მართალი თოდუა: უსახსრობა, სევდა... ფუნჯი... გაქრობა...

— ფუჭია ამ წიგნის ფურცვლა, თუ ყველაფერი წინასწარაა განჭვრეტილი! — იესემ ბრძანა, ჩემმა აჩემებულმა მკითხველმა.

ამოვიოხრე... მომინდა ბედისწერის მოტყუება, რაიმე არაორდინალური სვლა, თუნდაც მოულოდნელი აფეთქება, კატასტროფა, ხრამში გადაჩეხვა... მაგრამ ჩვენს გზაზე ხრამი არსად იყო, რელსები სწორ ველზე ელაგა და მატარებელი აუჩქარებლად მირონინებდა, ვაგონი ირწეოდა, ბორბლებს რაკუნი გაპქონდა...

წითლად ბჟუტავდა სუსტი ნათურა. ბინდში ერთმანეთს დამსგავსებოდნენ მსხვილთავა დურუ და ლესტამბე... ძლივს ილანდებოდა იესე... გარედან ფანჯარას უკუნი მოსწოლოდა... არა, არაფერი შეიცვლებოდა, მოულოდნელი არაფერი მოხდებოდა მოულოდნელებით აღსავსე ამ ჩვენს დროში, როცა შორეული მომავლის განჭვრეტა კი არა, ვერავინ იმას ვერ იწანასწარმეტყველებდა, გაელვების, წამის შემდეგ რა მოხდებოდა...

და მართლაც... თითქოს კედელს შეეჯახაო, ვაგონი წინა ვაგონს შეასკდა, მუხრუჭებმა საშინელი ღრჭიალით რელსებს ნაპერწკლები აყრევინა, ელმავალმა გაბმით, თავზარდამცე-

მად შეჰვეგუნა. აქამდე მოჭიატე ნათურა თვალისმომჭრელად აკაშკაშდა, ლამისაა გასკდებაო და უცებ ჩაქრა... დაბნელდა, ისე დაბწელდა, თითქოს მოხუფულ კასრში ჩაგვსვესო...

მეზობელ კუპეში ქალმა შეჰკივლა, შეშინებული ბავშვი აჯღავლდა. ამას მოჰყვა კაცების შეძახილი, გინება, ოხვრა, თაროებიდან გადმოყრილი ტვირთის ბრაგუნი, ვაგონის ჭრიალი და ზანზარი... გაოგნებული კითხვები — „რა ხდება?!“ „ღმერთო, გვიშველე, რა ხდება?!“

— ხალხნო, გამოეტიეთ, ხანძარია! — იყვირა ვიღაცამ დერეფნის ბოლოდან.

ფანჯრებში წითლად შემოანათა. წამოვცვივდით და დერეფანს მივაშურეთ. გასასვლელი უმალ გაიჭედა. ვიღაცის ფართო ზურგს მივეხალე, გვერდიდან ჩამჭეჭყეს, ზურგზე მოზრდილი კალათა მომაბჯინეს. ფეხს იატაკზე ვერ ვაწვდენდი, ისე წამიღეს. ერთგან ვიგრძენი, გრძელმა ხელებმა ჯიბეში რომ მომიფათურა, მაგრამ რა მქონდა და რას ამომაცლიდა... ტამბურში ცივი ჰაერი მომხვდა... შევეცადე, როგორმე კიბეზე არ დავგორებულიყავი... აპა, პირველი საფეხური და მენამული ფერით განათდა გარემიდამო...

ტრიალ მინდორში ვიდექით. ვაგონებიდან ლიანდაგის ქვაყრილზე მგზავრები ცვიოდნენ. უამრავი შავი ლანდისა და წაგრძელებული ჩრდილების მოძრაობა ფანტასტიკურ ცეკვასა ჰგავდა. გაოგნებულმა შევხედე ამ სურათს, მაგრამ, სანამ გონს მოვეგებოდი, ზურგზე მომანვნენ და ძირს ჩამაგდეს. ქვალორზე ჩავხრიალდი, თხრილს ამჩატებული გადავევლე, ათიოდე ნაბიჯი ინერციით მდელოზე გავირბინე და მხოლოდ ამის შემდეგ გავხედე შემადგენლობის თავს — ელმავალი იწვოდა! უფრო სწორად, მოკლე ჩართვისაგან უზარმაზარი შადრევანივით ხმაურით ცვიოდა გავარვარებული ჩინჩხალი.

მართლაც საოცარი სანახავი იყო! ელმავლის მუცელი თვალისმომჭრელად ღუდღუდებდა. მერე შუშები ხრიალით ჩამოცვივდა. ცეცხლის ალი ღიობებში გამოძვრა, ელვისუსნრაფესად მოედო რკინის ურჩხულს და სახურავის თავზე შეიკრა...

— გაეცალეთ, გაეცალეთ!

მგზავრები მიმოიფანტნენ. ზოგი ხელცარიელი გარბოდა, ზოგი ბარგი-ბარხანას მიარბენინებდა.

ილტვოდნენ, ჩერდებოდნენ, რათა თვალი შეევლოთ ამ სასწაულისათვის და ისევ ილტვოდნენ...

იგრიალა... სოკოს ფორმის უზარმაზარი გორგალი ცად ავარდა... ფერფლი და ჭვარტლი ჩამოეფინა... დღესავით განათდა ტრიალი მინდორი, მის მიღმა ევკალიპტების მაღალი მწკრივი...

თითქოს უკანასკნელად ამოიოხრაო, ცეცხლი შენელდა, დაიჩუტა და ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ისმოდა თანაბარი, ზომიერი ბურბური.

კვლავ ბინდი ჩამოწვა, რომელსაც ოდნავლა ანელებდა ხანძრის გამონაშუქი.

— დამთავრდა! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემ გვერდით. ხმაზე ვიცანი, ლესტამბე იყო.

— რა მოხდა?

— რა ვიცი, მოკლე ჩართვაა ან დივერსია! კაცი-პატრონი ალარაა... რა სწრაფად იწვება ეს ოხერი!

— სხვები სად არიან?

— აქვე სადმე! — აუღელვებლად მპასუხობდა. — უმსხვერპლოდ გადავრჩით, მგონია!

— თუ ხვდები, სადა ვართ?

— რა მიხვედრა უნდა, მერეთამდე ათი-თორმეტი კილომეტრია!

— რა ვქნათ?

— საკუთარ ფეხებს დავენდოთ, პატივცემული, შარაგზამდე უნდა გავაღწიოთ!

— თორმეტი კილომეტრი... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტლუნა დურუმ, თავზე ზვავივით წამოგვადგა. — შიში-საგან მუხლებში ძალა წამერთვა, რა ივლის ამოდენა გზაზე!

სიბნელეს იესე გამოეყო, ყანჩასავით მოაბიჯებდა, არაფერი უთქვამს.

— არიქა სადაა? — ვიკითხე.

— სხვებთან ერთად ცეცხლს აქრობდა! — დურუმ თქვა. — ვაგონები გადაარჩინეს...

იქვე ახლოს ვიღაცამ ასანთი გააჩხაკუნა, პაპიროსს მოუკიდა. კაცს ჭვარტლისაგან ხელებიც და პირისახეც გამურვოდა, მშობელი დედა ვერ იცნობდა, მაგრამ მივხვდი, არიქა იყო.

ცივმა სიომ წამოუბერა. კურტაკის ღილები შევიკარი, ხელები ჯიბებში ჩავიწყე.

— აბა, წავიდეთ!

გზას დავადექით.

გადავკვეთეთ წყლით გაჟიუინებული მინდორი, ევკალიპტების გასწვრივ ვიწრო თირი ძლივსა ჩანდა და იმას გავყევით.

სულ მალე ორლობებში აღმოვჩნდით. სახლები გამოყრუებულსა ჰგავდა. კედლებს მიღმა იქნებ არც ეძინათ, მაგრამ უამი იდგა საშიში და ღამებნელში უცხოს კარს არავინ გაუღებდა.

ცოტა ხანიც და გზატკეცილზე გავედით. ადგილი ვიცანი, თბილისიდან მომავალს აქ არაერთგზის ჩამივლია... სწორი გეზი ავიღეთ. ასფალტზე სიარული, ცხადია, უფრო იოლი იყო, თუმცა მრავალი წელი არავის მოუწესრიგებია და ფეხი წამდაუწუმ ორმოში გვივარდებოდა.

ჩვენს წინაც და ფეხდაფეხაც მგზავრები მოდიოდნენ. ისმოდა ფეხის ხმა, გადანალაპარაკევი... ხან ვიღაცას ვასწრებდით, ხან ჩვენ გვასწრებდნენ...

ბინდი თანდათან გაიცრიცა, გარიურაჟმა მოაწია.

ეზოდან ლაფეტიანი „ბელარუსი“ გამორახრახდა. ლაფეტზე გრძელი სკამები იდგა გარდიგარდმო. ბოლო დროს ასეთი ტრაქტორი ცვლიდა ადრინდელ ავტობუსსა და მსუბუქ ავტოებს... ძლივს ავხოხიალდით, დავსხედით მაგარ ფიცრებზე და წავედით ჯაყვაყით.

ხელის ჩასაჭიდი არაფერი გვქონდა, ერთმანეთს ვეხლებოდით. კუდუსუნის ძვალი ისე ვიტკინე, ერთი სული მქონდა, როდის მოილეოდა ეს გზა.

გათენდა... მოქუფრული, უჟმური დილა დადგა...

აგერ წკონდანყარიც. ზაფხულობით არაფერი ჯობდა მის გამჭვირვალე ჩერალის ცქერას, ახლა კი მძიმე, ბლანტი

სითხე სიცივის შეგრძნებას ბადებდა... საყელოშიც სიცივე  
ჩამდიოდა, მაკანკალებდა...

ხიდი სანახევროდ მოერღვია ტანკსანინააღმდეგო ნაღმს.  
ბეჭონის მძიმე ფერმები ნაწილობრივ ჩაქცეულიყო...

გზისპირას ისტორიამდელი ურჩხულივით ეგდო დამწ-  
ვარი „კამაზი“.

დანგრეულ ხიდზე ფრთხილად გადავედით, აღმართს  
ავუყევით და ჩვენ წინ გადაიშალა მერეთის ფართო ხედი, რო-  
მელსაც ჩრდილოეთიდან მაცხოვრისგორა ემიჯნებოდა, ზედ  
თეთრი კიბე არბოდა, მწვერვალს კი ნაცრისფერი ნისლი ებურა...

## ნაწილი 4.

### მართვა თორმე

1

რუსთაველის ქუჩისა და ბულვარის გადაკვეთაზე ჩამოგ-  
ვსვეს.

დაბუჟებული ფეხები ძლივს გავმართე, წელკავმა ამაკ-  
ვნესა. მციოდა და ერთი სული მქონდა, თბილ ლოგინამდე რო-  
დის მივაღწევდი. იქნებ სევდიანი, მოწყენილი ცაც მიფუჭებ-  
და გუნება-განწყობილებას, უსიხარული ფერები მთრგუნავ-  
და და დიდი ხნის უნახავი ქალაქის მონატრებას მიქრობდა...  
სახლების კედლები ნესტის ლაქებს აეჭრელებინა, ჭადართა  
სველ ტოტებს შეთხელებული ფოთლები სათითაოდ წყდებო-  
და და ძირს შრიალით ეფინებოდა, ყვითელი და უანგისფერი  
ნეშო ფეხებში შარიშურობდა.

ქალაქი ნელა და მძიმედ იღვიძებდა. ქუჩებში იშვიათი  
გამვლელი თუ გაკრთებოდა. მოუამული პორტრეტების გაღე-  
რეა აშკარად მაგრძნობინებდა, რომ შემწყდარა ძველებური,  
სამხრეთის ქალაქისათვის დამახასიათებელი მხიარული ფე-  
თქვა.

არიქა ძაძუა უხმოდ გაგვეცალა, იქვე, შორიახლო წამო-  
ყუდებული პრეფექტურის შენობაში გაქრა.

დურუ და იესე გეგიების კარგა ხნით მიტოვებული სახ-  
ლისაკენ გაემართნენ. დურუ დათრგუნვილი ჩანდა, იქნებ  
ახლახან გაისიგრძეგანა, რომ აჯობებდა ნაცნობთა მზერას  
მორიდებოდა.

— წამობრძანდით, პატივცემულო, თქვენ ჩემი სტუმარი  
ხართ! — ლესტამბემ შემახსენა.

სანინააღმდეგო არაფერი მქონდა. გზას უხმოდ გავუ-დეკით. მანძილი შორი არ იყო და ტრაქტორის ლაფეტზე მო-გზაურობის შემდეგ ფეხით გასეირნება სასარგებლოდაც მო-მეჩვენა.

რა დრო გასულა, რაც მერეთში არ ჩამოვსულვარ? მახ-სოვს მხიარული, გიუმაჟი ყოფა, მუსიკითა და ყვავილებით სა-ვსე მზიანი დღეები და კაკაჩა მთვარით განათებული ღამეები... ბულვარი მუდამ სავსე იყო მოსეირნე ხალხით, პაზრის ჩოჩქოლი და ზუზუნი შორს გაისმოდა... რკინიგზის სადგურ-ში უწყვეტი გუგუნით შემოდიოდა მატარებლები, ქალაქიდან და ქალაქისაკენ მთელი დღე მოექანებოდა გადატვირთული „იკარუსები“... ტაქსისტები მგზავრებს ვერ აუდიოდნენ... სკო-ლებიდან ურიამულით გამოეფინებოდნენ წითელყელსახვე-ვიანი პიონერები... სტადიონზე ბურთს თავს აკლავდნენ „ჩე-რიის“ ფეხბურთელები, ტრიბუნები გადაჭედილი იყო აგზე-ბული ფანატებით („ინჯია, გარშოკ!“, „პელე, შე ძველო!“, „ძუკუ, შეუდე!“). იმართებოდა მარულა ან ცხენბურთი და ლამაზ იორ-ლებს თქარათქური გაჰქონდათ... ინსტიტუტში ენყობოდა კო-მყავშირული შაბათობები... ბოტანიკური ბალის ჩეროებში ცნო-ბისმოყვარე თვალებს გარიდებოდნენ შეყვარებული წყვი-ლები... ხიდკვეშ ქურდბაცაცა ბიჭები არჩევდნენ „საქმეებს“ ან აგორებდნენ ყომარს... თეატრისკენ წყვილ-წყვილად მი-ემართებოდნენ პროვინციელი თეატრალები, რათა ენახათ დოდიკაძის „კოლხეთის ცისკარი“ ანდა „გაზაფხული საკენში“... მაცხოვრისგორასთან, კიბის პირველ საფეხურზე მავანი დედ-აბერი სანთელს ანთებდა, პირჯვარს გადაიწერდა და გაეცლე-ბოდა, რათა მზერა აერიდებინა წმინდა მთის თავზე აღმართუ-ლი კერპისათვის... კინოთეატრ „ოქტომბერთან“ ახალგაზრ-დები ჩხუბითა და ჯგლეთით იღებდნენ სასურველ ბილეთებს ვიწრო სარკმლიდან, ხანდაზმულნი კი თვალს გულ-გრილად შეავლებდნენ უკვე გაყვითლებულ წარწერას — „ვინც ჩვენ გვარცხვენს!“ (კარგა ხანია, იქ არავისი კარიკატურა არ ეხატა!).

ეს ყოველივე იყო და უკვე აღარ არის! ბევრი სხვა რამეც იყო, ავიც და კარგიც, მაგრამ გაქრა!.. აწყმოს ბედნიერება უნდა მოეტანა, ჯერჯერობით კი ტკივილი, სიძულვილი და სინანული დათესა.

ამ ფიქრებით გულდამძიმებული მივყვებოდი ადამიანს, რომელიც, თუმცა მე შევქმენი, ჩემში ოდნავადაც ვერ აღძრავდა მამობრივ გრძნობას. პირიქით, ვნანობდი, რომ პირველ სტრი-ქონშივე შავი ხაზი არ გადავუსვი მის გვარ-სახელს, მაგრამ, რაც დროში მოხდა, იმას ჩვენ ვერაფრით შევცვლით და, ცხადია, მეც ვერაფერს გამოვასწორებდი. მორჩილად მივაბიჯებდი მოხრე-შილ გზისპირზე, ფეხს ვარიდებდი ტალახიან გუბეებს, ხეთა ტოტიდან მომწყდარი მსხვილი წვეთი ხანდახან კისერში მივარდ-ებოდა და ტანში სიცივის ურუანტელი მივლიდა.

თოლორაიების სახლი შორიდანვე ვიცანი. იმდენჯერ დავწერე ქურუში ციხეო, კაზემატიო, ახლა ჩემზე არცთუ სა-ხარბიელო შთაბეჭდილება მოახდინა, უფრო მომცრო და მყ-იფედ ნაგები მომეჩვენა. უფრო იმიტომ, რომ გაღმა-გამოღმა ძველი ფიცრული ოდების ნაცვლად ჩამწერივდა წითელი აგუ-რით ან სომხური ტუფით ნაგები საკმაოდ მდიდრული სახლე-ბი, რომლებმაც დაჩრდილეს ქოსა ძლვიბიას პატივმოყვარე-ობის დასარწყულებლად აგებული ძეგლი — უპროპორციო და უსახური კუბი, ადრე რომ ციხეკოშკად და სასახლედ აღი-ქმებოდა... აგრე ტუჩია ძიგუას სახლიც — აგურით ნაგები საზღვაო ხომალდი, რომლის ალუმინის სახურავი ზევიდან გადაჰყურებდა თოლორაიების ჩამავებულ შიფერს, კუნუბზე ალუმინისავე კრემლი იდგა, ოლონდ ვარსკვლავის ნაცვლად ვერცხლისფერ მამალს დაეღო ნისკარტი, სადაცაა იყივლებ-სო, ისე ჩანდა.

— ყოჩალ, ტუჩია, — თავი ვერ შევიკავე, — ნეტა სად იშოვნა უშოვნელი?

ლესტამბემ მხრები აიჩეჩა.

— მაინც სადაა? — არ მოვეშვი.

— როგორ ფიქრობთ, სად იქნება? — კითხვა შემომიბრუნა.

— ციხეში ან ჯანდაბაში! იმალება, ალბათ, როსტოვში ან კრასნოდარში, კანონიერები ხომ სულ იქ გადაიხვეწნენ.

— ეგრე გეგონოთ! — ცალყბად გაიღიმა ლესტამბემ. — ტუჩიას ხელში ავტომატი უჭირავს, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხვალ-ზეგ ჯავშანოზე შემოგრიალდეს ქალაქში.

რა უნდა გამკირვებოდა ამ არეულ დროში, როცა ყვე-ლაფერი ყირაზე დადგა, ვინც ქვევით იყო, ზევით ატივტივდა, ვინც ზევით იყო, ძირს დაენარცხა...

„ტუჩია ძიგუა — დემოკრატიის მებაირახტრე!“

ეს ფიქრი მოთავებული არ მქონდა, როცა ძიგუების ჭიშკრიდან ქალი გამოყელყელავდა. ხელში მოზრდილი კალათა ეჭირა, მსუბუქად მოპქონდა. საკმაოდ სქელი დედაკაცი იყო, მაგრამ არც სიმაღლე აკლდა. კუბოკრული პალტო ეცვა, კისერზე ხელოვნური ბეწვის საყელო შემოევლო, თავზეც ბეწვის ქუდი ეხურა.

სლავური ტიპის პირისახე შესიებოდა, კანი გაუხეშებოდა. ცისფერ თვალებს ადრინდელი სიკამკამე დაჰკარგვოდა. პაჭუა ცხვირი შესწითლებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მატრონა სასმელის მიმართ გულგრილობით მაინცდა-მაინც ვერ დაიკვეხნიდა.

ლესტამბემ თავი დაუქნია, იმან კი მედიდურად შეხედა და გზა განაგრძო.

— ვინაა ეს ქალი, ნუთუ ტუჩიას ცოლია? — თვალი გავა-დევნე.

ლესტამბემ პასუხის ნაცვლად რაღაც ჩაიზმუილა და ჭიშკარი შეაღო.

ნაცნობი ეზო გდავჭერით, ნაცნობი საფეხურებით ნაცნობ კარს მივადექით და ჩაბნელებული ზალით უკანა, სასადი-ლო ოთახში გავედით. ბუხარში ნაკვერჩლები ჩაფერფლილიყო და იქიდან არანაირი სითბო არ მოდიოდა. ახლა უფრო ვი-გრძენი, რომ სახსრებში ნესტი და სიცივე გამჯდომოდა.

— მარფუშა, შემა! — აყვირდა ლესტამბე.

— Сейчас, господи, сейчас! — ბუზღუნით შეეპასუხნენ და გამოჩნდა შელანდულხალათიანი არსება, რომელსაც დაჩეხილი შემა ამოელლიავებინა. — Чего вы рассказывали, господи, нету покоя ни откого!

— შეგვცივდა, მარფუშა, ძვირფასო! აბა, ჩაი და საუზმე მოგვიხერხე, მერე თბილი ლოგინი, ცოტას წავთვლემთ. ხომ იცი, შენს ხელში ვართ! — მოუთაფლა ლესტამბემ, თანაც ხელებს კმაყოფილებით იფშვნეტდა, აგრძნობინებდა, შენი წყენინება აზრადაც არ მომსვლიაო.

ქალმა (ამას თუ ქალი ეთქმოდა!) შეშა ძირს დაყარა და ჯუჯლუნით გასწია გაზეურისაკენ, რათა ჩაიდანი შემოედგა.

— ჩაი ამათ და ხეთქვა, კარაქი არ არის, არაუანი არ არის, პური გუშინდელია... — ერთი რუსული „კოლობოკ“-ი იყო, დაბალი, მრგვალი, უფორმო.

— ჰო, დაწყნარდი ახლა, რამე გაგვიხერხე! — შემრიგებლურად უთხრა ლესტამბემ. — დედა როგორაა?

— როგორც დატოვე! ტვინი შემიჭამა, ქოთნამდე მისვლას ვერ ასწრებს, აქეთ კი წერს და წერს!

ლესტამბემ სწრაფი მზერა მკიდა, ცხადია, ქალის ნათქვამი არ ეჭაშნიკა.

— ჰო, მიდი, საქმეს მიხედე, ცეცხლს მე გავაჩალებ!

მარფუშა კარისაკენ წაგორდა. ცოტა ხანს კიდევ გვესმოდა მისი ხმა და კიბის ჭრიალი.

— დაბრძანდით, პატივცემულო, ახლავე გავთბებით!

ლესტამბემ ნაცარი გაქექა, ჯერ ფიჩხები დააწყო, მერე შეშის მოზრდილი ნაჭრები, იქვე, ბუხრის ყურთან ნავთის ბიდონი იდგა და იქიდან მოასხა, ასანთი გაკრა.

აბრიალდა, აბურბურდა... ერთხანს დაინია ალმა, ხრჩოლვა დაიწყო, შემდეგ კი შეშას გაუჯდა, შემოევლო და სითბო მაშინდა გაიმეტა.

ცეცხლისკენ ზურგით შევტრიალდი, ხან ერთი გვერდი მივუფიცხე, ხან მეორე, მშრალმა შეშამ მცხუნვარებას უმატა და ერთბაშად გავთბი.

ძველი, ტყავგადაკრული სავარძელი მოვიჩოჩე და ჩავ-ჯექი.

ამასობაში გაზეურაზე ჩაიდანი ათუხთუხდა. ლესტამბემ დაფშვნილი, უხარისხო ჩაი პირდაპირ ფინჯანში ჩაყარა და მდუღარე დაასხა.

— ტაფამნვარს შევწვავ, პატივცემულო! — შემომთავაზა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ჩაის მეტი არაფერი მინდა!

ვიჯექი ცეცხლთან, ხელში ცხელი ფინჯანი მეჭირა. ჩაიში მტვერი და ნაგავი ტივტივებდა და სითხე ვერაფრით დანმენდილიყო. გამახსენდა დურუს ქუთაისური პურ-მარილი და გამიკვირდა ლესტამბეს სიღარიბე. არ მეგონა, გამოჯეკილი ჩეკისტი ჩაის მტვერს თუ იკმარებდა საუზმეზე.

კიბის ჭრაჭუნი და ფეხის ჩლახუნი მოისმა, მერე ბუზღუნი და მართუშა გამოჩნდა. ხელში ორი თევზი ეჭირა. ერთზე წვრილად დაჭრილი იმერული ყველი ეწყო, მეორეზე — პური.

მაგიდაზე დადგა, მწყრალად გადმოგვხედა და გავიდა.

კოვზით ვიჭერდი ჩაიში ატივტივებულ მასას და ბუხარში ვისროდი.

— ვინაა ეს მართუშა? — ყასიდად ვიკითხე.

დიდად არ მაინტერესებდა, მაგრამ სითბო გამიჯდა ძარღვებში, სხეულში სიზანტე ჩამეღვარა, მომთენთა და, მხოლოდ იმიტომ ვკითხულობდი, იქვე, სავარძელში არ ჩამძინებოდა.

— უპატრონო ქალია, ღმერთმა უწყის, საიდან მოწყდა, ქარმა საიდან წამოილო. შევიფარე და დედაჩემს უვლის!

არ ვიცი, მართლა უვლიდა ზინაიდა პეტროვნას თუ არა, მაგრამ ზევიდან ხმაური მესმოდა. მართუშა ლამაზი რუსულით იგინებოდა. საპასუხოდ ქალი, ალბათ, ზინაიდა პეტროვნა, წიკვინებდა, თავს თუ იმართლებდა.

ეს ხმები სულ ახლოს მესმოდა, მერე თანდათან შესუსტდა, სადღაც სივრცეში გადაინაცვლა, თან ლესტამბეს ხმაც წაიყოლია... რაღაცას ყვებოდა ლესტამბე, ალბათ, მართუშაზე, მაგრამ ნათქვამიდან აზრი ვერ გამოვიტანე.

ვიგრძენი, რომ დამძიმებული თითებიდან ფინჯანი ამართვეს, რაღაც წამომაფარეს... ჩავთბუნდი, ჩავთბუნდი და ლრმა ძილში ჩავიძირე...

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. მომეჩვენა, რომ ბუხარში ცეცხლი ძალუმად გიზგიზებს, ბუხრის შიდა სივრცე აავსო, ბუხრის პირიდან ალის ენები გამოვიდა ისევე, როგორც ელმავლის ფანჯრებიდან... ცეცხლი ფეხებზე მომწვდა, შარვლის ტოტს ამოჰყვა და, საცაა, მთლიანად შიგ გავეხვევი... მინდა, ვიყვირო, მშველელს მოვუხმო, მაგრამ ყელიდან ზმუილის მეტი არაფერი ამომდის...

უცბად თვალები დავაჭყიტე. გონს ძლივს მოვედი. ოთახში მარტო ვიყავი. ცეცხლი ჩანავლულიყო და ნაკვერჩლები წითლად ღვიოდა.

ისევ იმ სავარძელში ვიჯექი. საზურგე დაბალი ჰქონდა, ამიტომ თავი უხერხულად მედო. კისრის მალები და კეფა მტკიოდა.

გაჭირვებით გავიმართე, მკლავები ძლივს გავანძრიე.

ძველთაძველი შინელი მებურა. უნდოდ დავათვალიერე, ბიკენტი თოლორაიას ნაქონი ჩანდა, ოფლისა და ჩრჩილის სუნი ასდიოდა.

ზიზღით მოვიშორე და ვიგრძენი, ვიღაცა მომჩერებოდა.

კუთხეში დიდი, მსუქანი ვირთხა ჩაცუცქულიყო და თვალები — ორი მძივი უბრჭყვიალებდა.

იყო ამ ცხოველში რაღაც ამაზრზენი და საშიში. ბუხრის-პირას საცეცხლური მოვიძიე, რათა შორიდან მეტყორცნა.

ფეხებთან ეგდო, დავიხარე და შევმართე კიდეც... ვირთხამ აუჩქარებლად შემაქცია ზურგი და კუთხის ხვრელში შეძვრა, თან გრძელ კუდს კარგა ხანს მიათრევდა, თითქოს მაგრძნობინებდა, აბა, გაბედე და მტყორცნეო.

საცეცხლური ძირს დავაგდე და ლესტამბეს მოსაძებნად გავემართე.

სასტუმრო ოთახი ჩაბინდული დამხვდა. კედლის პორტრეტიდან თოლორაიები — ძლვიბი და ბიკენტი შემომცქეროდნენ. შვილი უფროსი ჩანდა მამაზე. სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოებიდან შეუკონინებია ადგილობრივ ფოტოგრაფს, რეტუშზე ბევრი უჯახირია, რადგან ქოსა ძლვიბიას მის დროს არარსებული გენერლის კიტელი ეცვა, ბიკენტის კი ის ორდენები ეკეთა, რაიც არასოდეს მიუღია.

წინათ აქ, მახსოვს, სტალინისა და ბერიას პორტრეტები ეკიდა, მერე ხრუშჩოვისა და ბრეუნევისა, მაგრამ წინდახედულ მასპინძელს ისინი ჩამოუხსნია და იმ ადგილებზე კედლებს ლაქები აჩნდა.

ვიფიქრე, ლესტამბეს კაბინეტში სძინავს -მეთქი და კიბეს ავუყევი. მახსოვდა, რომ ეს იყო ყველაზე მომცრო ოთახი მთელ სახლში, ფანჯარასთან ედგა პატარა მაგიდა, რომლის უჯრებში პიონერი ლესტამბე თოლორაია თავის „აგენტურულ მონაცემებს“ ინახავდა. მომაგონდა ეს კონვერტები და ცნობისმოყვარეობით ამჩატებულმა კარი ჯიქურ შევაღე.

ლესტამბეს ვიწრო, ბავშვობისდროინდელი საწოლიდან შეშინებულმა დედაბერმა შემომაჭყიტა და, კი არ შეჰქივლა, უღონოდ ჩაინკვიტინა... ცხადია, ზინაიდა პეტროვნა გახლდათ! ორი ბალიში ერთმანეთზე მიეწყო და მოხერხებულად მიყრდნობოდა. საბანი მკერდამდე აენია. ლოგინში, მის ნინ, უამრავი კონვერტი ეყარა. მივხვდი, რა კონვერტებიც იყო, დედაბერს ან უჯრებიდან თვითნებურად ამოულია, ანდა ლესტამბემ მათზე ხელი ჩაიქნია და გასართობად მიუყარა.

— გამარჯობათ, ზინაიდა პეტროვნა!

დედაბერს სქელტანინან წიგნზე ქალალდი ედო და ჩემს მოსვლამდე უზარმაზარი ბატიფეხურებით რაღაცას წერდა.

თავი ურაცრაცებდა ზინაიდა პეტროვნას, ხელებიც უთრობდა, მაგრამ შიშმა მალე გადაუარა, პირზე ღიმილი დააჩნდა და მკითხა:

— ამდენ ხანს რატომ დაგაგვიანდა, ბიჩო?

დავიძენი და მივუკიბ-მოვუკიბე:

— საქმეები, ზინაიდა პეტროვნა, საქმეები...

— იმან გამოგაგზავნა? — შეთქმულის გამომეტყველება მიიღო, თვალის ჩაპაჭუნება სცადა.

არ ვიცოდი, ვისზე მეკითხებოდა, მაგრამ თავი დავუქნიე.

— ველოდი, რომ მომაკითხავდი. აგერ, წერილი მოვამზადე, ჩემგან გადაეცი! — ფართო საკანცელარიო კონვერტი გამომიწოდა.

ზედ ოკრობოკრო, გადაყუნცულ-გადმოყუნცული ასოებით ეწერა: „ამხანაგ სტალინს, ამხანაგ ბერიას ზინაიდა პეტროვნა პობედონოსცევასაგან“.

სერიოზული გამომეტყველებით თავი დავუქნიე:

— Будет исполнено, Зинаида Петровна!

შევბრუნდი და ოთახში დავტოვე ქალი — ბედნიერი იმით, რომ სამუდამოდ ჩარჩა მისთვის სასურველ დროში.

ის კარი მოვძებნე, ადრე რომ ზინაიდა პეტროვნას ეკუთვნოდა. დიდი მიხვედრა იმას არ უნდოდა, რომ ოჯახში ხელისუფლება შეიცვალა და სართულზე ყველაზე დიდ ოთახში ლესტამბე გამეფდა. იმედი არც გამცრუებია, კარს მიღმა მრავლისმთქმელი ხითხითი და ღლაბუცის ხმა მოისმა.

წყნარად დავაკაკუნე. ხითხითი შეწყდა. ლესტამბემ ხმადაბლა შეიგინა რუსულად. ალბათ, ჩემი კაკუნი დროული ვერიყო.

კარი გაიღო. ზღურბლზე წამოიმართა. პერანგი აჩაჩვოდა, ლოყები წითლად უღვიოდა. კისერთან ნაჩემეტიც შევამჩნიე. რაც ოთახში ხდებოდა, გამოცანას არ წარმოადგენდა, მაგრამ ლესტამბეს ფრივოლური გატაცებანი სულაც არ მაინტერესებდა.

— მადლობელი ვარ მასპინძლობისათვის, ქალაქში უნდა გავისეირნო! — ვეუბნები და კონვერტს ვუწვდი.

თვალები განზე წაიღო, თან კონვერტს ხსნის, თან მპასუხობს:

— რა გეჩეარებათ, პატივცემულო, დარჩით სადილად! ჩვენი მარფუშა ვარენიკების დიდოსტატია...

მარფუშას მოკლე, დასიებული ხელები გულს მირევდა და მისი ვარენიკები რაღა ჯანდაბად მინდოდა.

ამასობაში ლესტამბემ კონვერტიდან ბავშვურად დაჩხაპნილი, მელნის ლაქებით აფრელებული ქაღალდი ამოაძვრინა.

ქვეყნიერების ბელადსა და მის მარჯვენა ხელს მიმართავდა ზინაიდა პეტროვნა: თვალი გაანილეთ, თორემ ჩემი შვილი ლესტამბე თოლლორაია, მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტი და ბურუჟუაზიის „პრისპენიკი“, ამ საბჭოეთს საბოლოოდ ძირს გმოუთხრისო.

ამას რომ კითხულობდა, ლესტამბეს ფართო სახეზე ღიმილი გაიფლაშტა:

— გიჟია და რა ვუყო?

მხრები ავიჩეჩე, ზურგი შევაქციე და წამოვედი.

სადარბაზოს კარი რომ მივხურე, გრილი ნიავი სიამოვნებით ჩავისუნთქე. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს აქამდე ნელ-ნელა მხუთავდნენ...

ნამუადღევის მზე ძლიერ ციური ნისლიდან. მხიარულების არავითარი საბაბი არ მქონდა, მაგრამ წყნარი ამინდი იდგა და სულშიც სიწყნარე ჩამეღვარა.

მიყვარდა ეს ქალაქი, ეს ქუჩები, ეს გარემო, — მაშინაც კი, როცა სევდითა და ტკივილით იყო შეფერილი. ჩემს სულ-

შიც უმიზეზო სევდა და ტკივილი განფენილიყო და ნატაშას ხილვამ ამ წყნარ ტკივილს ერთი წვეთი ბალდამი დაამატა.

ნეტავი სულაც არ მეხილა!

— ჰეი, ბიჩო, სემიჩა ჩამე! — ქალის ხმამ ფიქრიდან გამომიყვანა.

ბოტანიკურის შესასვლელთან ვიდექი. ეს ადგილი ერთ-ერთ „ბირუად“ ითვლებოდა. ახლომდებარე სკოლის თავნება და უსაქმური ახალგაზრდები გაკვეთილებიდან იპარებოდნენ და აქ თამაშობდნენ კალმების გადაბრუნებაზე ანდა შაური-ანებზე, თან ქუჩაში ნაპოვნი „ბიჩოკებით“ მოწევის ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

რკინის მაღალ მესერთან, ფირფიცრის ყუთზე, ის ჩასუქებული დედაკაცი იჯდა, უთენია ტუჩია ძიგუას ეზოდან რომ გამოვიდა. წინ მეორე ყუთი ედო. ზედ მოხალული მზესუმზირის ტოპრაკი და გახსნილი პაპიროსი ელაგა — პაპიროსს ღერობით ასაღებდა.

ფამილარული შეძახილი გამიკვირდა, რომელი მისი „ბიჩო“ ვიყავი, ანდა „სემიჩას“ მჭამელისას რა მიგავდა. ამიტომ მიმოვიხედვე, იქნებ პატარა ბიჭებს შეეხმიანა-მეთქი, თუმცა ამწუთას ირგვლივ არავინ იყო.

— მე დამიძახეთ?

დედაკაცს სიცილი აუტყდა, სახე წამოუღაუღაუდა, გულ-მუცელი აუთახთახდა.

თვალები მხიარულად მოეჭუტა, პაჭუა ცხვირი უფრო გაუწითლდა.

ახლაღა შევნიშნე, გვერდით ბოთლი ედგა, შინნახადი არაყი უკვე ნახევრამდე დაეყვანა.

მეხსიერება დავძაბე და უცბად გამინათდა.

— ნატაშენკა, შენა?

დედაკაცმა გაკვირვებით შემომხედა და უკმეხად მიპასუხა:

— ნატაშენკა მოკვდა! მე გახლავართ „გასპაუა“ ნატალია ლეონტიევნა! ახლა ხომ ყველანი „გასპაუები“ და „სუ-დარინიები“ გავხდით!

— ეს როგორ შეცვლილხარ, შე საცოდავო! — უნებლი-ეთ წამომცდა.

— შენ, ეი, ეშმაკთან წაეთრიე, შესაცოდებელი რა მჭირს, ქალი ვარ და ქმარიცა მყავს!

— მაშ, შენ ტუჩიას ცოლი გახდი?

— არაა შენი ჭუკის საქმე!

— ასე რომ გხედავს... — მინდოდა მეთქვა, „ნასვამს“-მეთქი, მაგრამ არ დავაზუსტე, — არაფერს გეუბნება?

— ოჳ, ოჳ, მძიმე მუშტი აქვს ჩემს ქმარს, გეგონება, ურო თავში გხეთქესო! — წყნარად კი თქვა, მაგრამ უცებ კვლავ გაბრაზდა და მიყვირა: — წადი, წადი, გამშორდი!.. არადა, ჰა, „სემიჩა“ ჩაიყარე ჯიბეში, ფული არ მინდა... ჩაიყარე და წადი!

თვალი აუნყლიანდა, მივხვდი, ახლა ბლავილს მორთავ-და და სწრაფად გავშორდი.

გული უფრო დამიმძიმდა... ჩემი ლამაზი ნატაშა, საოცნებო ქალი! რომ მცოდნოდა, საითკენ გაუხვევდა მისი ცხოვრების გზა, დიდხანს არც ვაცოცხლებდი... ტყვიას გავიმეტებდი მისთვის ან წყალს, ან მატარებლის ბორბალს, მაგრამ ფინალი ზედმეტად პროზაული და გულისამრევი აღმოჩნდა — არაყი!

ახლა უკვე ის საათი იყო, როცა თოდუებთან მისვლა უხერხული არ იქნებოდა!

2

აუჩქარებლად მივსეირნობდი და ხალხს ვაკვირდებოდი, ოლონდ ნაცნობი არავინ შემხვედრია. ბუღვარსა და მის გადამკეთ ქუჩებს აუარებელი ქალი და კაცი შესეოდა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ეგზალტირებულად იქნევდნენ ხელებს, მგზნებარე რეჩიტატივით ისევ და ისევ პოლიტიკაზე კამათობდნენ... უსმოდ და დარდიანად მდგომიც ბევრი იყო, ესენი ან მოლაპარაკეთ უსმენდნენ, ანდა აპათიაშეპურობილნი დაბინდული თვალებით სივრცეს მისჩერებოდნენ. ყველას თალხი ეცვა — დედაკაცებს სამგლოვიარო, მამაკაცებს უამისაგან გახუნებული... ცხადია, ესენი საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილნი იყვნენ. უთქმელადაც მესმოდა ამ ადამიანთა გულისტყივილი, არ ვიცოდი თანაგრძნობა რანაირად გამომეხატა, რადგან ამ ვითარებაში სიტყვა ფუჭია.

სასტუმრო „ჩხერიას“ შევავლე თვალი, სანახევროდ გა-  
მოუბუგავს ხანძარს. ამ შენობით ქალაქს თავი მოჰქონდა. ახ-  
ლა კი, რაც გადარჩა, ნაგვერდალი ფიცრებით იყო აჭედელი.  
დანარჩენი ცარიელ ჩონჩხად ქცეულა... აგრ მილიცის შენო-  
ბაც. აქ დაუნდობელი შეტაკება მოხდა, გვარდიელებმა მილი-  
ცის შეუტიქს, ატყდა ტყვიის ზუზუნი, რამაც შემთხვევითი  
გამვლელნიც შეიწირა. მილიციელები ცეცხლში ამოინვნენ და  
მათი დანახშირებული გვამები ძნელად ამოსაცნობი გახდა...

სადღაც აქ ადრე „საპატიო დაფა“ კრემლის კედელივით  
იყო გაჭიმული, ზედ ბელადების ჭრელი პორტრეტები ეკიდა.  
ახლა იმ ადგილას ფოსტის უსახური შენობა იდგა და ალაგ-  
ალაგ შუშაჩამტვრეული ფანჯრებით დაელმებულიყო...

ბაზრამდე ჩავალნიე. ბაზრისნინა მოედანზე იმდენი ხალ-  
ხი ტრიალებდა, გავლა ჭირდა. მეწვრილმანე ვაჭრები და დო-  
ლარის გადამხურდავებელნი, ავტომატიანი, თვალებდანით-  
ლებული გვარდიელები და ჯიბის ქურდები, — ვის არ შეხვდე-  
ბოდი, მთელი მილეთი ერთად ალუფხულიყო... მოედნის გაღ-  
მა, სადაც ადრე ქალაქისათვის თავმოსაწონი სავაჭრო ცენ-  
ტრი იდგა, ახლა ცეცხლით გალოკილი ნანგრევების გროვა  
ეყარა და გამვლელნი შორიდან უვლიდნენ.

გვერდი მეც ავუარე და დავადექი რკინიგზის სადგუ-  
რისაკენ მიმავალ ქუჩას. აქ თითქმის არაფერი შეცვლილა.  
ღობისპირას ჩაუდგამთ მეწვრილმანეთა დუქნები და ჯიხურე-  
ბი. გზაზე მანქანები არც შემხვედრია, მოქალაქენი უმთავრე-  
სად საკუთარი ფეხების იმედითდა იყვნენ.

სკოლასთან გადავუხვიე. ისეთივე დამხვდა, როგორიც  
მახსოვდა, თუმცა დრომ კედლებიდან ბათქაში ჩამოფშვნა,  
ონავრებს კი ფანჯრის შუშები ჩაულენიათ და უსახსრობის  
გამო მავანს ცელოფნები აუკრავს.

აგრ ყოფილი ტალახაძის, მერე კომუნარების ქუჩა...  
ახალი ფირნიში დავინახე — „მამუკა თავაქალაშვილისა“ ენ-  
ერა. სახელის შეცვლა, ალბათ, მართალი თოდუამ ითავა.  
ვფიქრობ, იმიტომ დათანხმდნენ, შეიძლებოდა მოკლედ ეთქ-  
ვათ: „მამუკას ქუჩა“, რადგან ვეფხისტყაოსნის გადამწერის  
გვარი აქაურებს ბევრს არაფერს ეუბნებოდა.

ამგვარ ფიქრებში გართულმა მივაღწიე ნაცნობ ჭიშკარს.  
ფართოდ იყო გახსნილი და დურუ და იესე მელოდებოდნენ.  
— ცივა ეს ოხერი! — შემომჩივლა დურუმ, თან ხელებს  
იფშვნეტდა.

თოდუების სახლს გავხედე. სამეზობლოში ამაზე და-  
ველებული არსად ჩანდა, თუმცა პატრონს საღებავი ბლომად  
უხარჯავს, თეთრში ლილისფერი შეურევია და ეს ჩიტის ბუდე-  
სავით სახლი მაინც გამოირჩეოდა აგურითა და ბეტონის  
ბლოკებით ნაგები მეზობლებისაგან.

— გადაყვა ამ სახლს! — უკამაყოფილოდ თქვა დურუმ.  
— ამდენი დანახარჯით ახალს ავაშენებდი!

ეზოში, ღობის გასწვრივ, ძელსკამებზე მეზობლები  
ისხდნენ, სიცივით მობუზულნი წეკოს ეწერდნენ და ხმამაღ-  
ლა ყაყანებდნენ — კამათის თემა, რა თქმა უნდა, პოლიტიკა  
გახლდათ. ქუჩის ერთი ბოლო თავს თუ ამისტებად თვლიდა,  
მეორე, უფრო მოკრძალებული, იმისტობას იჩემებდა და ერთ-  
მანეთის ან გადმობირებას, ან ჩაქოლვას ცდილობდნენ...  
არიქა ძაძუა უკვე აქ იყო! ხან ერთ ჯგუფთან ჩერდებოდა, ხან  
მეორესთან, ზოგს თვალს დაუბრიალებდა, ხმას გააკმენდ-  
ინებდა, ზოგს მხარზე ხელს მოუთათუნებდა, მოკლედ, მუ-  
შაობდა და ფაციფუცობდა.

— ლესტამბეს არ დაველოდოთ? — დურუმ მკითხა.  
— ვინ იცის, როდის მოწყდება მართუშას ვარენიკებს!  
დურუ არ ჩამძიებია, შეეტყო, არც მართუშასი სმენოდა  
რამე, არც მისი ვარენიკებისა.

— ხომ იცით, ნაომარია! — ჩამჩურჩულა.  
— ვინა, კაცო?  
— მართალი... ამ ასაკში... ფეხში დაჭრეს, მაგრამ მოურ-  
ჩა, მგონია!

როგორც წესი და რიგია, თავიდან ქუდები მოვიშვლი-  
პეთ და კიბისაკენ გავემართეთ.

შეკრებილნი ცნობისმოყვარედ გვადევნებდნენ თვალს.  
უკანა ეზოში ბრეზენტის ფანჩატური ჩანდა. კვამლი ხრჩო-  
ლავდა, ზედადგარზე ლობიოს ქვაბი იდგა.

არიქამ წამით მოიხედა, სწრაფად შეგვათვალიერა და  
ლაპარაკი განაგრძო.

კიბეს შევუყევი. დურუ და იესე ფეხდაფეხ მომდევდნენ, დურუ რაღაცნაირად მომტყდარი და დამორცხვებული, თითქოს ვინმე ძალისძალათი მიათრევდა, იესე კი გულგრილი ცნობისმოყვარეობით, — ამას აქაც წიგნის ფურცლებზე ეგონა თავი.

ყოველთვის, როცა სამძიმარზე მივდივარ, ერთნაირად ბანალური აზრი მიტრიალებს ტვინში — ეკლეზიასტეს პერიფრაზი ამაოებაზე... აპა, აგერ ეფრომ, თითქოს დარო მამიდას გაეჯიბრაო, საუკუნეს გადააბიჯა და მერე რა — მაინც მოკვდა. უკანასკნელად, ოთხი ათეული წლის წინ რომ ვიხილე, უკვე დამჭკნარი დედაბერი იყო. მთელი ეს დრო აივანზე პირქუშად მჯდარმა გაატარა, მაცხოვრისგორისაკენ ზურგშექცეულმა, არ სურდა, ზედ წამომართული კერპი ეხილა. იჯდა და ელოდა მიქელგაბრიელს, მაგრამ უფლის ანგელოზს ან დაავიწყდა, ან იმიტომ ინახავდა საწუთოში, რათა დედაბერს ბოლოს და ბოლოს თავისი თვალით ეხილა კერპის მსხვრევა. დაგორდა კიდეც ბრინჯაოს თავი, ეფროს სანახევროდ დაყრულებულ სმენას მისწვდა ის გრიალი და პირველად მაშინ შებრუნდა მაცხოვრისგორისაკენ — მთის წმინდა შუბლი ცას ერწყმოდა და ეფრომ პირჯვარი სასოებით გადაიწერა...

კიბე ავამთავრეთ...

ღია აივანზე ორი კაცი დაგხვდა. დურუ გადმოიხარა, უნდოდა, ჩურჩულით აეხსნა, ვინ ვინ იყო, მაგრამ ვანიშნე, საჭირო არ არის, ისედაც ვხვდები-მეტეი.

მართალით თოდუა საშუალო სიმაღლის, მკვრივად შეკრული კაცი აღმოჩნდა. უკან გადაყრილი ქოჩორი წმინდად გათეთრებოდა. ხშირ წარპებსა და ულვაშში ჭალარა ოდნავლა შერთვოდა. სახის ფერი ჯანმრთელ კაცს ამჟღავნებდა, თუმცა უპეებში და ბაგეთა კუთხეში ასაკს ნაოჭი გაუჩენია... თვალები — აზრიანი, ნათელი, მშვიდი... თხელი, ინტელიგენტური ხელი გამომიწოდა, გულითადად მომესალმა:

— მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმე!

წაბლის მოჩუქურთმებული ხელჯოხი მოაჯირისთვის მიეყრდნო, უკვე ნაკლებ სჭირდებოდა, ალბათ.

მეორე, უკვე ორმოცს მიტანებული ვაჟკაცი, რა თქმა უნდა, ქრისტეშია იქნებოდა. თმაში მცირედი ჭალარა ამასაც უკრთოდა. თხელი წვერ-ულვაში მოკლედ შეეკრიჭა. სახის ნაკვთები მამას მიუგავდა, თუმცა ტუჩ-კბილის წყობა კეკეს გენსაც ამჟღავნებდა.

ქრისტეშიამ თავი უხმოდ დამიკრა, ცხადია, ვერა მცნობდა. დურუს კი თავშეკავებით ჩამოართვა ხელი.

მიცვალებულის სასახლე ზალის სიღრმეში იდგა, პატარა კუბო ბავშვისას ჰეგავდა, ლურჯი სუდარა მთლიანად ფარავდა.

შავებში ჩაცმული ქალები წამოიშალნენ და ნაძალადევად აქვითქვითდნენ. ცხადი იყო, ამ ასაკის დედაბერს თავს არ დააკლავდნენ.

ამათგან არავის ვიცნობდი და კუბოსთან უხერხულად გავჩერდი.

უხელჯოხოდ შემოვიდა მართალი, მიცვალებულს სუდარა უხმოდ გადააცალა სახეზე.

ისევ ის ეფრო იყო, როგორიც აღმოსავლეთის ვრცელი ტრამალებიდან დაბრუნებული მახსოვდა. უკვე იმ დროს, წლებსა და ცხოვრების ხორმაკს მისი სახე დაეჭმუჭნა, დაეუანგა, მაგრამ სიჯიუტე და შეურიგებლობა აჩნდა. ახლა ამ სახეს სიმშვიდე ეფინა, ნაოჭები წანილობრივ წაშლილიყო და მასში მეტი ჩანდა ბავშვური და მიამიტური...

მართალიმ სუდარა კვლავ გადააფარა, მერე მკლავზე ხელი წამატანა და ისევ აივანზე გავედით.

მარჯვენა ფეხს ფრთხილად ადგამდა, ბოლომდე ვერ ენდობოდა.

ჩუმად გავხედე ქალაქის ფართო სანახებს — ნაცნობ ხედებს, ჩემს ბავშვობას რომ მაგონებენ და არაერთგზის აღმინერია.

— ჩვენთან გაჩერდებით? — ხმადაბლა მკითხა.

— დიახ, თუ არ შეწუხდებით!

მიხურული კარისაკენ მანიშნა:

— აქეთ მობრძანდით, აქ თბილა!

ოთახში თუნუქის ღუმელი იდგა, შიგ ცეცხლი გურგურებდა, მხურვალებისგან გვერდები შესწითლებოდა.

ტახტი, მაგიდა, ორიოდე სკამი...

ტახტზე ჩამოვჯექი, მაგიდას იდაყვით დავეყურდენი.

— აგაშენა ლმერთმა, ცოტათი გავთბები!

— აქ არავინ შეგაწუხებთ, შეგიძლიათ წამოწვეთ კიდეც!

— დამიბარა და გავიდა.

მარტო დავრჩი, ღუმელს მივეფიცხე... ზალიდან დედაკაცების ხმადაბალი ტუტუნი აღწევდა, ეზოდან მამაკაცების უნებლიერ როხროხი... ეს ხმები ვერა ძლევდნენ იმ მდუმარებას, რაიც მიცვალებულის მარადიულ გამგზავრებს ახლავს თან... ფიქრმა წამილო... ფიქრმა და ძილ-ბურანმა...

### 3

ზაფხულობით ეფრო მზეს აივანზე ეფიცხებოდა. სკამს გამოაჩინებდა, რიკულებთან მიდგამდა, ზედ დაგდებულ თექას გაასწორებდა და ჩამოჯდებოდა. მარჯვენა იდაყვს მოაჯირს დააყრდნობდა, ხელისგულს შუბლზე მიიღებდა და გახედავდა ეზო-გარემოს, ქუჩას, სამეზობლოს, ტალღისებურად ჯერ დაქანებულ, მერე ანეულ უბნებს... ღონე დიდხანს არ ყოფნიდა, ჩასთვლემდა, ჩაეშვებოდა განვლილი ცხოვრების შორეულ სიღრმეებში, როცა ცა უფრო ღურჯი ჩანდა, ხეთა ვარჯები უფრო ზურმუხტოვანი, გერა კვარაცხელია და ნესტორ თოდუა ჯელები იყვნენ, ტატაჩი პიონერულ ყელსახვევს მოაფრიალებდა, მართა სარკის წინ მაჯისიმსხო ნაწნავებს იწნავდა, ცაცანას მარქსის „კაპიტალი“ მუხლებზე ედო და ჩიფრით კითხულობდა... ეს იყო სულ ახლახან, გუშინ, გუშინწინ... დანარჩენი ცხოვრება კი გახუნებული ფერების უწყვეტ დინებად ეჩვენებოდა, სადაც დღე ჰგავდა დღეს, კვირა — კვირას, თვე — თვეს და მეხსიერებაში არაფერი რჩებოდა, გარდა მართალის ხატისა, რომელიც თანდათან ბერდება და ქრისტეშიას მკვირცხლი გამოხედვისა — გუშინ ბიჭუნა, დღეს ჭაბუკი, ხვალ კაცი...

აგერ კიბეზე ფეხსაცმელს მოაპრაგუნებს, მოიჩარის, უცინის:

— ბებო, ნუ გძინავს, აგრე სიცოცხლე ძილში შემოგეხარჯება!

სადაა სიცოცხლე, იგი კარგა ხნის გახარჯულია, არსებობის ასეთ ფორმას, თვლემიდან ძილში გადასვლას და პირუკუ, სიცოცხლე არცა ჰქვია... უამის ნელი მდინარებაა, როცა სამყარო დუმილშია ჩაძირული და შენს სმენამდე არ აღწევს ბრბოის უსაგნო ყაყანი... ერთადერთი, რაც ძარღვებში სისხლის ფეთქვას მოწმობს, საგანთა და მოვლენათა ფრაგმენტებია — ქრისტეშიას ღიმილიანი სახე, მართალის ფიქრიანი გამოხედვა... სტუმარი ქალის ქედნისებური ღუდუნი, ჩაცინება — ეუვნის ჩანკრიალება...

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეფრო?

— ბესას გოგო ხარ, შენ?

— ჰო, ბესას შვილი ვარ!

— ბესა როგორა გვყავს, ისევ ციხეშია?

— ეჱ, მამაჩემი სამუდამო ციხეშია, ქალბატონო ეფრო, დავმარხეთ სამი წლის წინ!

— ეგ რა მითხარი, შე ქალო, მეწყინა ძალიან! — გულგრილად ამბობს ეფრო. ვერავისი სიკვდილი მას უკვე ვერ გააკვირვებს, რაკი ისიც ვერ გაურკვევია, თვითონ ცოცხლებში წერია თუ უკვე მკვდრებში ირიცხება, იმიერის კარიბჭესთან მდგარი წუთით მოიხედავს და დააკვირდება თეთრყირმიზა სახეს.

— კარგი უქნიხარ ღმერთს, ნეტა რას უბერდები, ქალო, რატომ არ თხოვდები?

ლოყები შეეფაკლება ცირას, სწრაფ მზერას ესვრის მართალის.

კაცი მოაჯირზე ჩამოჯდება, მუხლზე თეთრ ალბომს დაიდებს, თეთრ ფონზე შავ ფანქარს მოატარებს.

— დაგხატო, ბებია?

ეფრო ბებიას პორტრეტებით მთელი დარბაზი აივსება. ეფრო გაქრება, ამ ქალალდებიდან კი შვილთაშვილებსაც კი გაადევნებს, კუშტ, მზერაჩამქრალ თვალებს.

— ხატე, ხატე, მეტი რისთვის ვარგიხარ! — საყვედური ისმის დედაბრის ხმაში, აქაოდა ცალულელა კაცი არაფრის მაქნისია, ხატვით ბავშვები ერთობიანო, ამ ნახატებში თავჩარგულს ცხოვრება გაგეპარაო, აჲა, ქრისტეშია წამოგეზარდა,

ცოლის მოყვანას დაგასწრებსო... ეს იყო ადრე ნათქვამი სი-ტყვები, ტვინის რომელიღაც ხვეულებში ჩაჩინერილნი...

დრომ აზრი დაკარგა, „ადრე“ და „დღეს“ ერთი და იგივე გახდა, ეფროს მეხსიერებაში ყველაფერი ერთ, ახლანდელ დროში მოთავსდა, უამის იერარქია გაქრა და ყოველი სიტყვა, ადრე ნათქვამი, ისევე ჟღერდა, როგორც „ახლა“.

კიბეზე ამოირბენდა ქრისტეშია, ფეხებს დააბრაგუნებდა და კვლავაც იმას იტყოდა:

— ბები, ნუ გძინავს, აგრე სიცოცხლე შემოგეხარჯება! ოლონდ ამის მთქმელი ქრისტეშია უკვე აღარ არის მკვირცხლი ყმანვილი, ფეხი ჭაბუკობაში შეუდგამს, იმის ინილობინოს შეუჭირვებია, ულვაშები დავიყენო თუ პირნმინდად მოვიპარსო.

— დაგხატო, ბებია? — ისევ ისე კითხულობს მართალი, მაგრამ თმა საგრძნობლად შევერცხლია, საფეთქლები სულაც დათოვლილი ... პირისახე დაუმრგვალდა, ნაკვთები დაუმსხვილდა, დაუმძიმდა, თვითონაც დამძიმდა — აღნაგობითაც და ქურუში მზერითაც... ამ მზერაში ცხოვრების გარკვეულობა და შორეული სევდის ანარეკლი ერთად სახლობენ.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეფრო?

ბესას გოგოს ის ოდინდელი, კამკამა სიყმაწვილე გაუქრა, ლამაზი ქალი ეთქმის, თუმცა თეთრყირმიზა ბავშვობა ზღაპრეთში ჩარჩენილა. კაცისა და ქალის ურთიერთლტოლვა, თუკი ის საერთოდ არსებობდა, წლების მანძილზე „ჰოსა“ და „არას“ შორის ჩამოეკიდა, დროში განელილმა ჭოჭმანმა ანკარა წყარო ამოაშრო, ჭის სილრმეში ერთი ციდა გუბე ვარკალებდა და იქ ათასში ერთხელ ან მზის სხივი იბრნყინებდა, ან ვარსკვლავი ჩააპაჭუნებდა თვალს...

თავიდან ისე ჩანდა, ვაჟის გულში კეკეს ადგილს ცირა დაიჭერდა. კეკეს შორეული ხატება თანდათან ქრებოდა. იარას პირი შეეკრა და მხოლოდ მარადიული ნაწიბურები დარჩენილიყო. ახლა ცირაში ეძებდა შვებას, მისი ღანვის ოვალი ხიბლავდა, მისი ტუჩ-პირი, ირიბად გაჭრილი თვალები, მისი თმის ჩქერალი და ტანის ავაზასებური მოძრაობა... ცირა იყო ვაჟის სიზმარიც და ცხადიც, მისი მკურნალი ექიმი, გულზე რომ სალბუნებს ადებდა... დღისით თან სდევდა ქალის ხატი, ღამით

ძილში ჩაჰყვებოდა... დღისით მზის სხივით იმსჭვალებოდა, ღამებნელში მისი კაბა გაიშრიალებდა... სიცხეში გრილი ნიავი — ცირას სუნთქვა იყო, ყინვაში — თბილი ნეტარება... მართალის ფუნჯზე მხოლოდ ცირა ცოცხლობდა... პორტრეტებიდან, პეიზაჟებიდან, აბსტრაქტულ ფერთა თამაშიდან მხოლოდ ცირა გამოიყურებოდა — ტალღებში მიცურავდა, ცის სილურჯეში მიღივლივებდა, ხმელზე მინარნარებდა...

— საბრალო ჩემი შვილი, — თქვა ერთხელ ეფრომ, როცა მისი დაბინდული მზერიდან ცხადმა გამოანათა, — ტანჯვი-სათვის გაჩენილი!

— ამას რატომ ამბობ, ბებია? — ჩაეძია მართალი, ვერ გაეგო, ვის გულისხმობდა დედაბერი: შვილს — ტატაჩის თუ შვილიშვილს — მართალის...

ეფრომ არაფერი უპასუხა, ის უკვე სხვა ზმანებებში, სხვა სივრცეებში გადასულიყო და წუთის წინ ნათქვამი არც ახსოვდა.

„ნუთუ მიხვდა?“ — გაიფიქრა მართალიმ.

თავისი უჩინო თვალებით ვერაფერს დაინახავდა დედაბერი, დაყრუებული სმენით ვერაფერს გაიგონებდა, მაგრამ იქნებ მისმა შინაგანმა სმენამ აღიქვა ცირას ხმის ჟღერადობა და ეფრომ ამოიკითხა ის, რაც ბოლომდე თვითონ მართალისაც ვერ ამოეკითხა.

— ამას ვერასოდეს გაპატიებ! — მიახალა ცირამ, თვალები ცრემლით აევსო და გამორდა, თან უთქმელი დარღის მძიმე ტვირთი წაიღო, მისი კენარი ტანი უცბად მოტყუდა, მოიხარა. ნაბიჯებს ძლივსა დგამდა, ხელები ისე მიჰქონდა, თითქოს საყრდენს ეძებსო.

უნდა გაპკიდებოდა მართალი, გზა მოეჭრა, მუხლებზე დაცემულიყო და პატიება ეთხოვა, მაგრამ ფეხები შეებორკა, სხეული დაუმძიმდა, ამასობაში კი ცირამ გზაჯვარედინზე გადაუხვია და გაქრა.

მართალი სახელოსნოში შებრუნდა, კარი ჩარაზა... სახელოსნოს სილრმის კედელზე უზარმაზარი თეთრი ტილო იყო გაჭიმული... იმის წინ დაჯდა, თავზე ხელები შემოიჭდო. ისე-ბუნებს ადებდა... დღისით თან სდევდა ქალის ხატი, ღამით

თი ტკივილი იგრძნო, თითქოს საფეხულებზე ლურსმნებს აჭე-დებდნენ, შუბლზე რკინის სალტეს უჭერდნენ...

ქრისტეშიამ დააკაკუნა, მაგრამ მართალი არ განძრეულა. არავისი ნახვა არ ეწადა, არავისი ხმის გაგონება არ სურდა. თეთრ ტილოს მისჩერებოდა, ამ სითეთრეში უხილავი ლანდები ლიცლიცებდნენ. გაიხსნა ჯოჯოხეთის ურჩხულეთი, უამრავი უხსენებელი ერთიერთმანეთზე იგორგლებოდა. ამ ამაზრზენ არსებებს ადამიანის თავები ებათ და მართალი გონის თვალით ნაცნობებს პოულობდა... აგერ, გორგლიდან ერთი უხსენებელი ამოყელყელდა, არიქა ძაძუამ შეშლილი მზერა მოაშტერა...

თვალები მოიფშვნიტა მართალიმ, ზმანება უკუაგდო. მის წინ მხოლოდ და მხოლოდ თეთრად დაგრუნტული ტილო იყო, ჭერიდან იატაკამდე ჩამოშლილი, კედლიდან კედლამდე განფენილი, მომავალი ბრძოლის ველი, სადაც მის ფუნჯს არარსებული არსებულად უნდა ექცია.

იმ დღეს (კალენდარი აერია მართალის!) შემოირბინა არიქა ძაძუამ, თვალებში სიგიჟის ცეცხლი უბრწყინავდა, ყბა ეღრიცებოდა.

— მოვიკლა უნდა თავი! — სკამზე დაებერტყა.

მართალი ტილოს დაგრუნტვას ამთავრებდა, წინსაფარი, ხელები, სახე თეთრში ჰქონდა ამოთხვრილი.

შეხედა არიქას, არ მოეწონა, ნეტა მთვრალი ხომ არააო, გაიფიქრა და შეხუმრება სცადა:

— აბა, შენ იცი, ქელეხი არ გამომაპარო!

— დამცინე, ხო, დამცინე! — ხმა დაუწვრილდა არიქას, კივილნარევი ჩურჩულით განაგრძო: — შენ რა გენალვლება, ანყობილი გაქვს ცხოვრება! მე მკითხე, მე, ლამისაა, გული გამისკდეს!

— მაგრამ ჯერჯერობით არ გაგსკდომია...

— დიახ, გამისკდება კიდეც, თუ ის ქალი ჩემი არ გახდება!

— ვინ ქალი? — გაუკვირდა მართალის, გულმარეჩი უყო.

— რა თქმა უნდა, ცირა!

მართალის თითქოს თავში ჩაარტყესო, თითქოს სისხლი-საგან დაიწრიტაო, ისედაც თეთრად დამტვერილი პირისახე ქალალდის ნიღაბს დაემსგავსა.

— ცირა? — ძლივს წარმოთქვა. — მერე წინ რა გიდგას... თუ ცირას უყვარხარ!

— ქალს რას გაუგებ, ქალის ჭკუა მოკლეა! — ჩქარი ფალ-ცეტით მოაყარა არიქამ. — გახსოვს, პირველად რომ დამცინე, ეგეთი ჩხინკა რამ მოგანონაო...

— ზიტა?

— ზიტა რა ცოლია ჩემი? — არიქას სახე ბოლმით მოექცა. — ძველი ნაბოზარი, კაცი არ დადის, მაგისი გემო რომ არ გაესინჯოს... ისედაც ქვეყნის დასაცინი გავხდი!

— ლელას რას ეუბნები?

— იქნებ სულაც ჩემი არაა! ეჭვი სულს მიწამლავს... ლელა...

— მაგას ნუ იტყვი, რაც შენთანაა, ზიტამ ბოლომდე გიერთგულა.

— მანამდე? კარგი, თუ ძმა ხარ, ზიტა შენ არ გამაცანი? არა, ზიტასაგან მე თავისუფალი ვარ!

— მაშ რას აპირებ?

— უნდა მოვიტაცო!

— მოიტაცო? — მართალის მუხლები მოუდუნდა, ჯორკოზე დაეშვა.

— ჰო, მანქანა, ბიჭები და მისი ჯანი...

მართალიმ ცალყბად გაიღიმა, ძლივს ამოღერდა:

— შენს ასაკში ეგეთი სიგიჟე სასაცილოა!

— ასაკი რა შუაში, შენ ფული ჩამასესხე და მოხალისეებს მე მოვძებნი!

მართალი თითქოს გამოითიშა, ტვინი გაეყინა. ერთი სურვილიდა შერჩა, თავიდან მოეშორებინა ტკიბასავით მიწებებული ძმაკაცი. გულისჯიბეში ხელი ჩაიყო. იქ დილით აღებული ჰონორარი ედო, ხუთასი მანეთი, სულ ტკიცინა ოცდახუთმანეთიანები. როცა ფულს უწვდიდა, ხელი უცახცახებდა.

არიქამ ვითომც ვერ შეამჩნია, ფული აიღო და მადლობის თქმა მოინდომა.

— წადი! — მოსხლეტით უბრძანა მართალიმ, გრძნობდა, რომ გული უჩერდებოდა.

არიქამ კარი გაიხურა. მართალი თეთრ, დაგრუნტულ ტი-ლოს უცქერდა და ვერაფერს ხედავდა, გარდა ქვეწარმავალ-თა დაგრაგნილი რგოლებისა.

მერე ცირამ შემოიხედა, ჯორკოზე მოკუნტულ კაცს და-ხედა, მხარზე ხელი შეახო.

მართალი შეკრთა, სწრაფად ამოხედა.

— შენზე თურმე არიქა გიუდება!

— ვიცი, მაგრამ მე მიყვარს? — კითხვა შეუბრუნა ცირამ.

— ის ძმაკაცია ჩემი! — ყრუდ თქვა მართალიმ.

— მე არაფერს მეკითხები? — ცირას ხმაში ცრემლი გაკ-რთა. — ძმაკაცი... ძმაკაცი... მე კი ვინა ვარ?

მსწრაფლ შებრუნდა და სირბილით გავარდა.

მართალი წამოხტა, ჭიშკარს მიღმა გაედევნა, ხელი წაატანა.

მაშინ უთხრა ცირამ:

— ამ ყოყმანს... ამას ვერასოდეს გაპატიებ!

წავიდა... გაქრა...

მართალი დაუბრუნდა თავის თეთრ ტილოს... თეთრ ღამეებს... სევდას...

ამოოხვრით თქვა ეფრომ, ბურანიდან წამით გამორკვე-ულმა:

— საბრალო ჩემი შვილი, ტანჯვისათვის გაჩენილი!

4

ღამე ფიქრისა იყო...

იჯდა ხოლმე მართალი ჯორკოზე, მისჩერებოდა თეთრ ტილოს, ელნათურის კაშკაშა ანარეკლი თვალსა ღლიდა...

ხელები მუხლებზე ეწყო, უღონო, უქმი...

პალიტრაზე საღებავი ხმებოდა... ფუნჯი გაშრა...

სადღაც, ნაშუალამევს, შუქი მიდიოდა, ტილოს მსუბუქი ბინდი დაეფინებოდა და იგი წარმოსახული, უფერული ლან-დებით სახლდებოდა.

ბინდი — ზმანებათა საუფლო... ფიქრი... ზმანება...

ფიქრთა უწყვეტი მდინარება დროის უხმო სვლას უერთ-დებოდა... ცოცხლდებოდა ის, რაც მანამდე იყო, რაც ახლა ხდება, რაც მომავალში უნდა მოხდეს...

მესიერებას შეენახა დრო, როცა ის მაცხოვრისგორის ნაწილი იყო, — ხელისძადება ქვა, რომელიც მთის კალთას მოწყდა და დაგორდა... დაგორდა და ჩავარდა... ჩავარდა და გაყუჩდა, გულის სმენა წყლის თანაბარ ლუკლუკს მიაცყრო... მასში ცოცხლდებოდა უამი, როცა მდინარის კუ იყო, — იქ, ჩხერიაზე უტუს ჯარმა ჩაიარა და თვალებში ჩახედა უტუმ, მართალიად წოდებულმა... ეს იყო ხანა, როცა იმპერია ვეღარ ძღებოდა საკუთარი შვილების ხორცით და თვითონაც ვერ შენიშნა, როდისღა შეეპარა მო-მავლის ფეხმძიმობა... საუკუნე წამია მარადისობაში! იმპერია მშობიარობას გადაჰყვა და დაბადა ახალი ურჩხული — იმედე-ბის მესაფლავე... დადგა ეპიქა — სისხლიანი და ბნელი, ქარიშ-ხლებმა შემოდგომის ყვითელი ფოთლებივით წააფრიალა გერა კვარაცხელიას, ნესტორ თოდუასა და ძღვიბი თოლორაიას და-უმორჩილებელი სულები... საყოველთაო ბნელეთში დაჭკნა ტატაჩისა და მართას სიყვარული... ღამის წყვდიადში დაიბადა მართალი თოდუა, ობოლი და უპოვარი, ხელისცეცებით მიჰ-ყვა ბინდიან გზას... ცაცანა, ეფრო, კეკე, ქრისტეშია — ეს იყო მისი ოჯახი, ამათი თავდადებული სიყვარული აძლებინებდა, მაგრამ იცოდა — ის მარტოდმარტო იყო, ის და ეს თეთრი ტილო... ეგერ აივაზზე იჯდა ეფრო, ბინდში ჩაძირული, მოგ-ონებების ტყვეობაში გამომწყვდეული, უაწმყო, უმომავლო... აგერ მშვიდად ეძინა ქრისტეშიას, საკუთარი სიზმრების სამ-ყარში ხარობდა, ცხადში მზიანეთს მიეღტვოდა, გარიურაჟზე კვიცივით დახტოდა და პორიზონტის გამონათებას ელოდა... იგი მომავლისაკენ მიექანებოდა და მართალის ტოვებდა აქ, აწმყოში... მარტოკა რჩებოდა მართალი, ის და თეთრი ტილო, მთელი კედელი რომ ეჭირა და ჯერაც ფუნჯი არ შეხებოდა...

სახელოსნოში აუმღვრეველი მდუმარება სუფევდა, მდუმარება ეფინა თოდუების ოდასა და კარ-მიდამოს, ქუჩას, ჩხერიისპირა სანახებს, მთელ ქალაქს... და ამ მდუმარებას მო-

ულოდნელად გაფხრენდა მამლის ყივილი, სადღაც მეზობლი-სას ქანდარაზე რომ შემომხტარა ეგ ტურის დასაგლეჯი, იყივ-ლებდა, გაიღვიძეთ, რას ჩაგდინებიათო და მართალის გააურ-ჟოლებდა, გაკვირვებული მიმოიხედავდა, ვერ იხსენებდა, რო-დის ჩამოცურდა ჯორკოდან, როდის გაწვა ძირს დაფენილ ფარდაგზე და ძილმა როდის წაართვა თავი...

ადგებოდა, გარეთ გავიდოდა... ვარსკვლავიანი ცა გად-მომხობოდა ქალაქს, გარიურაჟის წინ აურაცხელი მნათობი ჩახჩახებდა, თითქოს უკანასკნელად ანათებენ და სინათლეს იმიტომაც არ იშურებენო... დინჯად ჩაივლიდა მართალი ქუ-ჩას, ბრმად მიდიოდა, მაგრამ ხან არიქას ჭიშკართან აღმოჩ-ნდებოდა (ავ სიზმრებს თუ ებრძოდა ამ დროს ორგული ძმაკა-ცი!), ხან ბესა ქირიას პატარა, ხეთა ჩრდილში მიმალულ ოდას გახედავდა (იქ, ფიცრულ კედელს მიღმა, ალბათ, მშვიდად ეძ-ინა ცირას!), მერე უკან ბრუნდებოდა, თავის სახელოსნოში, რათა ისევ და ისევ თეთრი ტილოსათვის ეცქირა.

დღის სინათლე შემოაღწევდა ფანჯრებში, თანდათან ლონიერდებოდა, სანამ მზე ამოინვერებოდა და ოქროსფერი სხივების ოთხკუთხედები თეთრ ტილოს დაეფინებოდა. ღა-მეული ლანდები განიდევნებოდა და სახელოსნო შუქით პირ-თამდე აივებოდა... თავზევით ფეხის ხმას გაიგონებდა. შიშ-ველი ტერფების ტყაპატყუპით გაირბენდა ქრისტეშია... ეფრო გვიან დგებოდა, მისთვის დღე და ღამე ერთი იყო და მისი ფე-ხის იატაკზე გაჩოჩებას სმენა ვერც აღიქვამდა... ყმანვილის ფეხის ხმა კი ახლა ზალიდან მოისმოდა, მერე აივნიდან, მერე კიბეზე და ბოლოს სახელოსნოში შემოირბენდა ქრისტეშია, ლოგინიდან გამოყოლილი სითბოც მოჰქონდა და გაარიურა-შის სიგრილეც...

— ისევ არ გეძინა, მამა? რამდენჯერ უნდა გითხრა, უძი-ლობა დაგაბერებს-მეთქი! საქმეს მაინც აკეთებდე, ტილოზე ფუნჯიც არ დაგიკარებია! დაავადდები და ჩემი მოსავლელი გახდები! რას პგავხარ? ლოგინში, რა ხანია, არ ჩაწოლილხარ, წვერს არ იპარსავ, თმა ლამისაა კისერში ჩაგიძვრეს...

— ჰო, ჰო, ჭკუა დამარიგე!

— ჭკუა კი არა, წამო, წამო, პირზე წყალი შევისხათ და ვისაუზმოთ!

პირს ჭასთან იბანენ, ხმაურითა და ფრუტუნით წუნაობენ.

მერე სამზარეულოში ტრიალებენ, მათი საუზმე ტაფამ-ნვარია და ჭიქა ჩაი.

— უქალო ოჯახი ოჯახია? — კვლავ ბუზლუნებს ქრის-ტეშია. — დაბერდი და ცოლი ვერ მოგიყვანია! იცოდე, და-გასწრებ და შერცხვები!

— მიდი, მიდი! — მშვიდად პასუხობს მართალი. — მოიყ-ვანე, თუ რჩენას შეძლებ! მე კი ქალებს არ მოვწონვარ!

— უკეთესი რაღა გინდა, ეგერ ცირა დნება და იდაგება! დნება და იდაგება? მართალი ხუმრობაში უთვლის, გული კი საგულეში სივდება და სივდება.

მადა ეკარგება, წამოდგება.

— წავედი, აბა, საქმე მაქვს!

საქმე — უზარმაზარი ალბომი და ფერადი ფანქრები ან აკვარელის საღებავები, ან მოლბერტი, პალიტრა და ფუნჯები...

— დღეს მსუბუქად მიდიხარ! — ხმას შეაწევს კარის მე-ზობელი ანდა არაფერს ეტყვის, მაგრამ გაიფიქრებს — „და-იტვირთა სახედარივით“.

მისი გზა — ბაზარი ან მაცხოვრისგორა, ან ჩხერიის ნა-პირები...

აკვარელი — ჩხერიის ზვირთები... წყლის სარკისებური ზედაპირი, ცისა და ხმელეთის ანარეკლი, ხავსიან ქვებზე გად-მომდინარე ჩქერალები, ნარინჯისფერი, შინდისფერი, ღია მწვანიდან ზურმუხტისფრამდე ნაპირები... ლოდნარი, ქვათა გროვა, კენჭოვანი, შლამიანი უბე...

ზეთის საღებავი — მაცხოვრისგორა... დაქანებული ფერ-დობები, კენტი თხმელა მთის ძირას, კბოდეები, ბალახიდან ამომართული ბაზალტი, მინისპირს გართხმული სურო, ქარის-აგან დაგვაჯული ბზა... კიბის საფეხურები, კიბის მოზნექილი შუაწელი, კიბის ისარივით ატყორცნილი წვერი, მთის თავს რომ სცილდება...

ფანქარი — ბაზრის ულევი ტიპაჟი... კაცები, ქალები, ბავ-შვები... სოფლელი ყაძახები, გაუპარსავნი, თავშიშველნი, ბლუზ-

ითა და ძიქვით, ფეხებზე ქალამნებით. თვითკამაყოფილი, გასი-ებული ჩინოვნიკები, გაბლენდილი ნოქრები, ლუდისა და ხინკლის ლოვებლაულაშა გამყიდველნი... მეწვრილმანე ებრაელები, წყლით მოვაჭრე პირმშვენიერი ბიჭუნები, სკოლიდან გამო-პარული თეთრნინსაფრიანი გოგონები, ხელისგულზე მკითხავი ბოშები, ჯიბგირები, პირმრგვალი და გავასავსე დედაკაცები, უფულობითა და უჭმელობით გაჩჩინული ინტელიგენტები... ესკიზები, ესკიზები, ესკიზები...

— მამა, რაზე იკლავ თავს? — ეჩხუბება ქრისტეშია. — ესკიზების ტევა არაა! მშიერი და დაღლილი მოხვედი! დაიბანე და დაჯექი! კარტოფილი შევწვი, პური მოვიტანე, ბოლო მა-ნეთი გამეხარჯა!

— მანეთი? — კითხულობს მართალი. მოლბერტზე მოზ-რდილ, ქალალდგადაკურულ ფანერს ააყუდებს, დახედავს ფო-ტოს, რომელზეც ულვაშგანვართული, რიხიანი ბერიკაცია გამოსახული. ფანქრის რამდენიმე მოსმა და ბერიკაცის სი-ლუეტი ფანერზე გადაინაცვლებს.

— შევდებოთ? — თვალს ჩაუკრავს ქრისტეშიას.

— ჯერ ვჭამოთ და მერე შევდებოთ!

დიახ, ცოცხალ ადამიანს ჭამაც უნდა!

საღამოს სამივენი აივანზე სხედან — ეფრო, მართალი და ქრისტეშია.

ეფრო წარსულში ჩაძირულა.

ქრისტეშია თავის ლაჟვარდოვან მომავალზე ოცნებობს.

მართალი მარტოა და გაჰყურებს ქალაქს, რომელსაც თანდათან ბინდი ეფინება.

წინ ღამეა!

მართალი სახელოსნოში შედის, ჯორკოზე ჯდება... აგერ პალიტრა, აგერ ფუნჯი, აგერ თეთრი ტილო...

რომანის დროული სივრცე ზღვის ზედაპირს დაემსგავ-სა. ირგვლივ მხოლოდ წყლის სარკეა, ორიენტირი იშვიათია და მეხსიერებაში მხოლოდ ცალკეული ლაქები რჩება. მიჭირს მართალის ცხოვრების მდორე დინებაში ქრონოლოგიური პუნ-ქტირის აღნიშვნა. სვლა ფუნჯის ერთი მოსმიდან მეორემდე, ესკიზიდან ესკიზამდე კვალს ვეღარ ტოვებს და კითხვა „რო-დის?“ უპასუხოდ რჩება. აი, თუნდაც დრო, როცა არიქა ძაძუამ გადაწყვიტა ცირას მოტაცება, რაც ფუჭი ქადილიდა აღმოჩნ-და. რა ასაკისა იყვნენ მაშინ ჩვენი გმირები? ტვინალგზნებული ყმანვილის ქმედება ერთია, ორმოცს მიტანებული კაცის აც-ეტება კი სულ სხვანაირად გამოიყურება. არიქამაც იგრძნო, ალბათ, ეს შეუსაბამობა, გონს მოეგონ და კვლავ ეახლა ძმაკაცს. თვალს ვერ უსწორებდა, გან-გან იყურებოდა და თითქმის ჩურ-ჩულით ებოდიშებოდა, ნასვამი და ამ ცხოვრებით დაბოლმილი ვიყავიო. ჯიბიდან ფული ამოიღო, ხუთასი მანეთი, ტკიცინა ოცდახუთმანეთიანები და მაგიდაზე დადო...

მართალი ჯორკოზე იჯდა, იატაკს დასცექეროდა. იქნებ გულწრფელად ინანიებდა არიქა ან იქნებ ქალს ლაგამი ვერ ამოს-დო და ჩანაფიქრი ჩაეფუშა. ამას მართალისათვის უკვე არ ჰქონ-და მნიშვნელობა. თავი არ აუწევია და არიქა რომ გაეცალა, წამოდგა, იღლიამი ალბომი ამოიღო, ბაზრის გზას დაადგა.

ქრისტეშია ბავშვი მახსოვდა. წლები გავიდა, მე კი, როცა ქრისტეშია მაგონდებოდა, ისევ იმ ბავშვს წარმოვიდგენდი, დურუ გეგიას რომ ჭიშკართან დახვდა და ლენინზე ლექსი ვი-ციო, მორცხვად დაუდასტურა. ამასობაში იმდენი დრო გასუ-ლა, ვერც გამოვთვალე, რა ასაკისა უნდა ყოფილიყო ქრისტე-შია იმ დღეს, როცა მაგიდაზე დატოვებული ხუთასი მანეთი აიღო, ფულის მაგიერ კი ბარათი დატოვა — „მამა, მაპატიე, ფუ-ლი მჭირდება!“ ან რა ასაკისა იყო ლელა — ზიტას ასული. ის ხომ თვალთახედვიდან ადრევე დამეკარგა და, თუ რამე დამა-მახსოვრდა, მხოლოდ შეშინებული ბავშვის ტირილი კარს მიღ-მა... ეს გაანგარიშებები ერთგვარად მაბნევს, კალენდარული

არითმეტიკა ჩემი ხელობა არცაა და დაკვირვებული კაციც იოლად აღმოაჩენს შეუსაბამობებს, რასაც მუდამ მსაყვედურობს ჩემი უერთგულესი მკითხველი და გულშემატკივარი იქნება, რომელმაც თოდების ამ ოთახში მომაკითხა.

კარის ჭრილში თავი მორიდებით შემოყო, ხმას ვედრების კილო შესძინა:

— შეიძლება?

თუნუქის ღუმელთან მარტო ვიჯექი. ზალიდან ისმოდა მსუბუქი ჩირქოლი, ხმადაბალი მოთქმა და წატირება, წინა-დადებათა მოკლე ფრაგმენტები. იმ სიტყვებიდან რაიმე აზრის გამოტანა არ შემეძლო. ხმები მინანავებდა, თვლემასა მგვრიდა და იქნება გამოჩენა გამეხარდა კიდეც.

თავი დავუქნიე.

იესე ღუმელთან დაჯდა, ხელები მიაფიცხა:

— სიცივემ ძვალში გამატანა!

ერთხანს უხმოდ ვისხედით, ქალების ტუტუნს ვუსმენდით.

— დავიპერი, პატივცემულო! — მითხრა უცებ იესემ. — თხრობის ძაფს თვალი ვერ მივადევნე. თქვენ სრულიად უგულებელყოფთ თარიღებს. ტექსტში ქრისტეშია საცოლე პიჭია, დროა, ასაკი შევურჩიოთ და ათვლის წერტილი გვექნება!

დავფიქრდი და მცირე ხნის შემდეგ ამოვლერღე:

— ასეც ვქნათ, ჩემო იესე, ქრისტეშიას ქორწილს ნუ გავაჯანჯლებთ, ცოლი თექვსმეტისას შევრთოთ!

— ო! — წამოიყვირა იესემ. — თუ ასეა, ეს ამბავი 1972 წელს უნდა მომხდარიყო!

ანგარიშის სანაქებო უნარს ფლობდა.

— აბა? — წავახალისე.

— კაეკ, ქრისტეშიას დედა, 1956 წელს დაიღუპა. მიუ-მატოთ თექვსმეტი, გამოგვივა 1972. ამ დროს კი მართალი და არიქა ოცდათხუთმეტისა იყვნენ!

— იყონ მერე! — მხრები ავიჩეჩე.

— ლელა? — ჩამეძია იესე.

— რა ლელა? — ნირი შემეცვალა, რადგან მოვტვინე, რომ ლელა ამ წელს ცამეტისა ან იქნებოდა, ან არა.

იესე გაჩუმდა.

თვალი დავხუჭე და ფიქრით იმ დღეს მივუბრუნდი, როცა არიქამ მაგიდაზე ხუთასი მანეთი დადო, ხოლო ქრისტეშიამ დაუკითხავად აიღო, რაც გულშეჭირვებულმა მართალიმ თავიდან ვერც შენიშნა.

ახალი გათენებული იყო, როცა თავზე არიქა წამოადგა.

— შენ ადრევე იცოდი ყველაფერი! — არიქას პირისახე წითლად დაფორაჯებოდა, ყბა უკანკალებდა.

— რა ვიცოდი? — გაკვირვებით შეხედა მართალიმ.

— წელან, ფული რომ დაგიბრუნე, უკვე გეცოდინებოდა!

— ფული? — ახლალა გაახსენდა მართალის.

მაგიდაზე ფული არ იდო, იმის მაგიერ ქრისტეშიას ოთხ-სიტყვიანი უსტარი დახვდა.

— ქრისტეშია? — ფერი ეცვალა მართალის. — რა სჭირს ქრისტეშიას?

— ქრისტეშიას რა უნდა სჭირდეს, ჩემს ლელას ჭირს თუ რამე ჭირს! — მნარედ მიუგდო არიქამ.

— ლელას? — მართალიმ მზერა გაუსწორა, მძიმედ თქვა:

— შენს ლელას? მგონი წელან იყო, ნაბუშრად რომ მოიხსენიე! არიქამ სიმწრისაგან ამოკვნესა, სიტყვა ყელში გაეჩირა:

— მხოლოდ ცამეტისაა, გესმის შენ, მხოლოდ ცამეტის!

მართალიმ შებლი მოისრისა, დაბნეული იყო, ვერ გაეგო, გახარებოდა თუ სწყენოდა.

— სად არიან თუ იცი?

— შენ უკეთ გეცოდინება, სად წაბრძანდებოდა შენი ვაჟბატონი! — მუტგი ჰერში ისე შეაქანა, თითქოს ლურსმანს აჭედებსო. — იმან თუ ძალა დაატანა... იმან თუ ძალა დაატანა...

— შენი ასაკის კაცი გაიძახოდი, ქალი უნდა მოვიტაცო... — უნებლიერ ნიშნი მოუგო მართალიმ. — ისინი კი ბავშვები არიან! ქრისტეშია ძალას არავის დაატანდა!

— თავს მომაკვლევინებს ეს კაცი! — არიქას ატირებამ-დე ცოტალა აკლდა.

— ჰო, დაწყნარდი! ზიტა სად არის?

— მანქანაშია, გიჟსა ჰერს!

— გიჟს შენ უფრო ჰერსარ! აბა, ჩავსხდეთ და მაროსთან წავიდეთ, სოფელში, იქ მიიყვანდა, სხვა სადა აქვს წასასვლელი!

უკვე მანქანაში, არიქას გვერდით მოკალათებულმა, უკან მოიხედა. ზიტა მოკუნტული იჯდა და ხმადაბლა სლუკუნებდა.

კარგა ხანი გავიდა, რაც ეს ქალი არ ენახა. საოცრად მოტეხილი და დაბერებული მოეჩვენა, არიქაზე გაცილებით უფროსი ჩანდა, თუმცა არიქას გვერდით ცხოვრება ვის არ დააბერებდა. ერთ წამს შეეძლო კოცნით სული ამოეხადა, მეორე წუთს კი დანას მოუღერებდა და გამუდმებულ შიშა და ზაფრაში ამყოფებდა... გულის სიღრმეში მართალის არ ენადა ამ ქალთან დამოყვრება. ახლაც არ წაშლილიყო შორეული სიყმანგილის ის სურათი, როცა დარო მამიდის უკანა ეზოში, ალაგეზე შემომჯდარ ზიტას მუხლისთავებს შეეხო და იმდროინდელი ხურვება განუხორციელებელ წადილად ჩარჩა. ის ზიტა უკვე არ არსებობდა, ვნების ის კვალი, რაც მართალის მოგონებაში ცოცხლობდა, ისევ და ისევ იმ პატარა ეშმაკუნას ეხებოდა. ეს დედაკაცი კი სულ სხვა ვინმე იყო, იმ ზიტასთან არაფერი ჰქონდა საერთო და მართალის არაფრად ეჭაშნიკებოდა, უფრო ადრინდელი ცხოვრების წესის გამო...

— დამშვიდდით, დარწმუნებული ვარ, ჩემი ბიჭი ლელას არ აწყენინებდა!

არიქამ კბილის ღრმულით უპასუხა, სიჩქარე გადართო და მანქანა გიუივით გააქანა.

— ღმერთო ჩემო, რა დროს მისი გათხოვება! — საწყლად ჩაიწუნუნა ზიტამ.

მართალის ვერ შეჰქედა საყვედური, რიდი ჰქონდა ამ კაცისა, სულ სხვა სფეროდან ჩამოსახლებულად ეჩვენებოდა.

„რა დროს მისი ცოლია, მაგ მაიმუნის, მაგის!“ — გუნებაში ილანძლებოდა მართალი. აზრი ვერაფრით მოეკრიბა, ვერაფრით წარმოედგინა რძლად არიქასა და ზიტას ნაშიერი თუ დაუჯდებოდა... სად გადაეყარნენ ერთმანეთს, რანაირად გაიცნეს? თვითონ მართალის არც ახსოვდა, ბოლოს როდის ნახა თავისი მომავალი სარძლო. რამდენიმე წლის წინ თვალი ჰკიდა, მოცუცქნილი და სიცივისაგან მობუზული დაამახსოვრდა, ლოყები და ცხვირი დასწითლებოდა (მაშინ ზამთარი იდგა!). ტიპებს იოლად იმახსოვრებდა და ამიტომაც გონებაში ჩაებეჭდა ბავშვის პატარა, წვრილნაკვთებიანი სახე, თუმცა მხოლოდ

ერთხელ შეავლო თვალი, რადგან არ ესიამოვნა ზიტასთან შეხვედრა და გაცლას ეშურებოდა... მერედა, როდის დაქალდა ეს ცუცქნა ამ მცირე დროში, როდისლა გახდა ისეთი მოსაწონი, რომ ქრისტეშისა თავბრუ დაესხა, მამას არაფერი გაუმხილა (ალბათ უარის ეშინოდა!), ფული მალულად აიღო მაშინ, როცა ოჯახის მთელი შემოსავალი მუდამ ღია კარადაში ეყარა, ყველასათვის იოლად მისაწვდომ ადგილას და არასოდეს მომხდარა, აბაზიანი აეღოს მამის დაუკითხავად...

მსგავსი არეული ფიქრები ტრიალებდა მართალის თავში. მანქანა კი უკვე სოფლის შარაზე მიჯაყჯაყებდა. არიქა ჯიუტად დუმდა, კოპზე ღარები აჩნდა. ზიტა ჯიბის სარკეში იყურებოდა, ცხვირსახოცით ცრემლის კვალს აქრობდა.

აგრ სასაფლაოც! არაფერია მარადიული ამქვეყნად. დარიკო მამიდას სათაყვანო საფლავი (თავის დროზე რკინის მესრით რომ შემოლობა მართალიმ!) თითქმის დავიწყებას მიეცა. სინდისის ქენჯნა იგრძნო კაცმა, მაგრამ სასაფლაოც განზე დარჩა და ორლობეც.

რკინის ცისფრად შეღებილ ჭიშკართან დაამუხხუჭეს. ეს ჭიშკარიც მართალის ნახელავი იყო. საკუთარი ხელით შეადუღა, შეღება და მაროს ჩამოუტანა. ჭიშკრის მიღმა გაშლილი ფართო ეზო და სიღრმეში მომცრო ოდა ეტყობა დროის განრიგს აღარ ემორჩილება. ოღონდაც, კენტი მსხალი კიდევ უფრო გაზრდილა, ზოგი ტოტი შეხმობია, რაც მის სიბერეს მოწმობს... ერთგულმა ძიკიმ, მაროს ავმა ძალმა, კარგა ხანია საწუთო დატოვა. მაროც დაბერდა და გამოყრუვდა, ძველებურად აღარც ღონე ერჩის და რამდენიმე ფრთა ქათამს თუ უვლის. მრავალგზის შეეხვენა მართალი, ჩვენთან, ქალაქში გადმოდიო, მაგრამ მარო შინიდან ფეხს არ იცვლიდა და ქრისტეშია აკითხავდა ხშირ-ხშირად, სარჩოს ჩამოუტანდა, საქმეზე ხელს წამოუკრავდა.

მართალი ნელა გადმოვიდა მანქანიდან, ტანი დაუმძიმდა. ზიტა კვლავ ატირდა, ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა და სლუკუნებდა. არიქა ისე გაშავდა, საცაა დამბლა დაეცემაო.

შუა მინდოოში, მსხლის ძირას სუფრა იყო გაშლილი, ზედ საჭმლის ნამუსრევი და ბოთლების წყება ჩანდა. ირგვლივ გო-

გო-ბიჭები უსხდნენ, პატარა ლაწირაკები, ეტყობა, მოელხინათ კიდეც და ისე ტკარცალებდნენ, თითქოს ფრინველთა ბაზარიაო.

სუფრას ბერიკაცი მოშორდა, ჭიშკრისკენ წამოხანხა-ლდა. გვარიანად ესვა და ფეხზე დგომა უჭირდა.

— უი, შენ ჩაგიტანა სამარემ! — მიაწყევლა ზიტამ.

— მთლად გამოქლიავებულა... — ბოლმით შეუკურთხა არიქამ.

გერონტი იყო, ფულარია, ზიტას გამზრდელი ბაბუა.

— ჰაიტ, არ გამაგონოთ ჩხუბი და ყაყანი! ხომ მოვესწარი შვილთაშვილის ქორწილს, ახლა მაგათ ბალანას დავურნევ აკვანს და სიმღერით გავალ გაღმა...

ბერიკაცი შებანცალდა და ჭიშკარს ჩაეჭიდა.

არიქამ და ზიტამ უსალმოდ აუქციეს გვერდი, ფეხაჩქარებით მიაშურეს სუფრას.

მართალიმ მხარზე მოუთათუნა გერონტის და წინ წასუ-ლებს გაედევნა.

ამასობაში მაროც გამოჩნდა, ხილით სავსე ხონჩა მო-ჰქონდა... ეჱ, მთლად დაბერდა მარო და, რაც ხანი გადიოდა, დარო მამიდას ემსგავსებოდა, ჩიავდებოდა, ხერხემალი უმ-რუდდებოდა, წახრილი მოტუსტუსებდა.

სტუმრებს შემოეგება, თან გზა-გზა მოიძახოდა:

— ნენა, ნენა, მარო გენაცვალოთ, ძლივს არ გამოჩნდით! დაწყნარდით, არაფერი მომხდარა, მარო გენაცვალოთ, ახალ-გაზრდებია, ეპატიებათ!

— თავებს რომ დავაყრევინებ, ჰატიებაზე მერე ვილა-პარაკოთ! — პირქუშად მიუგდო არიქამ.

სუფრასთან შეკრებილი წამოიშალნენ, დამფრთხალნი გაჰყურებდნენ სწრაფად მომავალ უფროსებს. ერთთავად კომუნარების ქუჩის გოგო-ბიჭები იყვნენ, ქრისტეშიას თანაკ-ლასელები.

მართალიმ იმათში შვილი ვერ ამოიცნო, სამაგიეროდ, ზიტამ ლელას ჰკიდა თვალი, ამხანაგების ზურგს ამოფარებო-და, და ვაი-ვიშით გაქანდა, ისეთი სახე ჰქონდა, თუ მიწვდა, წინილასავით მიახრიბსო.

არიქაც ფეხდაფეხ მისდევდა და მის ამ მოძრაობაში ავი გახელება იგრძნობოდა.

მართალი აჩქარდა, იგუმანა, აი, ის დამფრთხალი ნუკრი ლელააო.

მხრებზე დაყრილი შავი დალალები... ფიქალ სახეზე უჩვ-ეულოდ მწვანე თვალები...

ლელა შიშისაგან გაფითრდა, გასაქცევად შეტრიალდა და აქ მართალის მკლავებში აღმოჩნდა.

ზიტას მოქნეული მუჯლუგუნი მართალის მკლავს მოხვ-და, კაცმა ქალს ზურგი შეუშვირა და გოგონა სასჯელს აარიდა.

ლელა ერთიანად თრთოდა და მისმა ბეჩავმა და ბავშვუ-რმა შიშმა მართალის გული მოუღბო, გოგონას ლოყას თავი-სი გაუბარსავი ლოყა მიადო და ყურში ჩასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, შვილო, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ!

ლელა გაყუჩდა, გაინაბა, მართალიმ კი მის დედ-მამას შეუძახა:

— ჴო, დაწყნარდით ახლა! ისეთ საქმეს ნუ იზამთ, ხვალ საბოდიშო გაგიხდეთ!

ახალგაზრდებიც გონს მოვიდნენ, აურიამულდნენ, ლე-ლასა და მართალის შემოეხვივნენ და ზიტა და არიქა თითქოს გაირიყნენ.

ხმაური რომ მიწყდა, მართალიმ უთხრა ლელას:

— შემომხედე, შვილო! ნურავისი შეგეშინდება, თამამად გვითხარი, ჩემმა შვილმა ძალით წამოგიყვანა?

ლელას ლოყები მორცხვად შეეფაკლა, თავი დახარა.

— ჴო, თქვი, თქვი! — მოუთმენლად შეუძახა არიქამ.

— მიყვარს! — ძლივს წაიჩურჩულა ლელამ და წამნამე-ბზე ცრემლი გაუბრნყინდა.

— ფუი! — არიქა გიშივით შეტრიალდა, ეზო კოჭლობით გადაკვეთა, მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და წავიდა.

ილაჯგანყვეტილი ზიტა სკამზე დაეშვა და სახეზე ხელე-ბი აიფარა, მხრები უცახცახებდა.

ლელა შიშიანად მიუახლოვდა, ხელის გაწვდენაზე გაჩ-ერდა და უმწეოდ მიმოიხედა.

ზიტამ ახედა, ხელი ასწია, თითქოს დარტყმა უნდაო, მა-გრამ უცბად მოიზიდა, მუხლებზე მოსხლეტით დაისვა და ასე ჩახუტებული ცრემლით ერთიანად დაასველა.

ლელასაც გული ამოუჯდა და ძლივს ლუდლუღებდა:

— მაპატიე, მაპატიე, დედა!

მართალი მაროსაკენ შებრუნდა, იმას ხილიანი ხონჩა ისევ ეჭირა.

— დადე ეგ ხონჩა და გამაგებინე, ქრისტეშია სად და-კარგეთ?

— უი, ვენაცვალე მაგას, რცხვენია და გემალება!

— მემალება?! — იყვირა მართალიმ ყასიდად, ვითომ გავგულისდიო. — უყურე მაგ ქვეშაფსიას, პატარძალი გან-საცდელს შეატოვა, თვითონ კი, ალბათ, საწოლქვეშ შეძვრა!

ქრისტეშიას, ეტყობა, მისი ხმა მისწვდა. განითლებული და დარცხვენილი აივანზე გამოჩნდა, მამას თვალს ვერ უს-წორებდა.

— მოდი აქ, შე ბოთევ, ყურები უნდა დაგაგლიჯო!

ქრისტეშია მორჩილად მოუახლოვდა. მართალიმ მისი ყურები მუჭებში მოიმზყვდია და მოჰქაჩა, ჭაბუკის თავი ჩაიხუ-ტა და ჩასჩურჩულა:

— რაც მოხდა, მოხდა, შვილო, ტვირთი შენი ნებით აიკიდე და ქვეშიდან ნუ გამოძვრები!

— ჰო, მამა! — წყნარად უპასუხა ქრისტეშიამ. — მაპა-ტიე, ფული რომ უნებართვოდ ავიღე, მაგრამ მანქანა, ძმა-კაცები...

ამ დროს მართალიმ მკლავზე ხელის შეხება იგრძნო.

— ეტკინება! — მორიდებით უსაყვედურა ლელამ, მის მწვანე თვალებში ბავშვური უმანკოება იკითხებოდა.

მართალის გაეცინა და ორივე ერთად ჩაიხუტა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გერონტი, დიდი ბაბუა, ღობის გასწვრივ მოიწევდა უკან, სუფრისაკენ, მერე ღობეს ხელი უშვა, გაშლილი სივრცე ტორტმანით დალია და, სკამამ-დე რომ მოაღწია, გახარებულმა ნამოიძახა:

— ჰაიტ, სადაა ჩემი ჭიქა?!

უმალ თავი ჩაჰკიდა და ხვრინვა ამოუშვა...

6

ამას ჰქვია „ჰეპი ენდი“! ერთადერთი — არიქა დარჩა გულგასიებული, თუმცა მართალის სულში რა ამბავიც ტრი-ალებდა, გარეშე თვალი ამას ვერ ამოიკითხავდა, რაკი ბედნი-ერი კაცის როლი ისე მოირგო, ცოტათი გადააჭარბა კიდეც. არადა, შვილის უცაბედმა და ნაადრევმა ქორწინებამ უნებლიერი კივილი აგრძნობინა. „დაბერდი, ძამია!“ — ეს განაჩენივით იყო. ოცდათხუთმეტი წლის ასაკში მართალიმ იგრძნო, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე მომთავრდა. იმას დარდობდა, ცირა დავკარგეო, მაგრამ გულისგულში იმედი მაინც ცოც-ხლობდა, არიქას ფანტაზიები ფანტაზიებად დარჩება, გან-ხორციელება მაინც არ უნერია და დრო გატეხილს თავითა-ვად გაამრთელებსო. ოღონდაც თვითონ არაფერი უღონია მოვლენების თავისი სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად, რად-გან ძმაკაცობის დაუწერელი კანონი ნებისყოფას უდამბლა-ვებდა... პატარა დიასახლისის გამოჩენამ საბოლოოდ განაი-არალა. იმ წუთას, როცა შიშით ათრთოლებული გოგო ჩაიხუ-ტა, ცხადი გახდა, ამ არსების საზიანოს ვერაფერს მოიმოქმე-დებდა. ლელა ბავშვურ უმანკოებასა და სინაზეს განასახი-ერებდა. სწორედ ეს იყო მისი იარალი. ლელას არ შეეძლო სი-ძულვილი, ლელას არ შეეძლო ჩხუბი, მის ბაგეს ავი სიტყვა არ დასცდებოდა, თუ გაიბუტებოდა, ესეც ისე მიამიტურად გა-მოსდიოდა, საპასუხოდ ღიმილს თუ გამოიწვევდა. ეს სან-თელივით სუფთა და ამაღლებული სული თოდუების ძველ სა-ხლში რომ შემოვიდა, მართალიმ იგრძნო, რომ ჭერი ამაღლ-და, კედლებმა გაინიეს და აქამდე მოუამული ოთახები სინა-თლით აივსო... არა, სხვა ქალი ამ სახლს უკვე არ სჭირდებო-და, სხვა, უფრო მტკიცე ბუნების, უფლებისმოყვარე დედაკა-ცი ლელას უნებლიერ დაჩაგრავდა, ახლადამოყრილი, ნედლი ბალახივით დატკეპნიდა და საკუთარი მეობის ბილიკს გაიყ-ვანდა... ამ დღიდან ცირაზე ფიქრმა უფრო ღრმა შრებში გა-დაინაცვლა, მოურჩენელ ტკივილად შერჩა, რომელიც ძველი ნაჭრილობევივით ფეთქავდა...

დატრიალდა მართალი, ლამაზი ქორწილი გადაუხადა ძეს (დისშვილის გაბედნიერების დღეს სუფრას ლესტამბე თოლორაა თამადობდა!). იყო მხიარული ცეკვა-თამაში, არიქას შემორიგება, პატარძლის თეთრი კაბა და ბევრზე ბევრი ყვავილი. ლელას სწორედ ასე ნარმოედგინა გათხოვება — თეთრი, ფაშფაშა კაბა და ყვავილები, ტაშ-ფანდური და ტკბილი ნამცხვრები. მოგვიანებით, ღამის წყვდიადში სასურველის მკლავებში მომწყვდეულმა ლელამ შიშისა და სირცხვილისაგან ტირილი მორთო... ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ეს სხვა ქორწილებში ხდება! მეორე დღესვე დაინყო ჩვეულებრივი პრობლემები: სკოლის დირექტორი მოხსნეს სამსახურიდან, მოსწავლე გოგონა როგორ გაგითხოვდაო... ნეფე-პატარძალი ტოლ-სწორებს მოაშორეს და საღამოს სკოლაში გაამწესეს, სადაც ულვაშიან ბიძიებთან და ფაპრიკიდან მოსულ დეიდებთან ერთად უნდა ეზრუნათ სიმწიფის ატესტატზე... მართალი თოდუა დაიბარეს რაიკომში და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხანაგმა ნაზიბროლამ სულ თითო უქნია, რის პასუხად მართალიმ კითხვა დაუსვა: „როგორ მიბრძანებთ, მოვიქცე, ერთმანეთს დავაშორო?“ ამხანაგმა ნაზიბროლამ ეს არ იცოდა და, სხვათა შორის, თავისი ორმოცი წლის ასაკში გათხოვებას ვერ ელირსა, ჯერაც პატიოსნად და უმანკოდ ელოდებოდა პარტიულ რაშზე ამხედრებულ თავის რაინდა... ცხადია, ვერც კომკავშირმა დატოვა ეს ამბავი რეაგირების გარეშე. კომკავშირის რაიკომიდან შინ მოაკითხეს ახალგაზრდებს, ლელა კომკავშირელი არც იყო და რა უნდა ეთქვათ, ქრისტეშია კი თურმე გარიცხეს კიდეც და ბილეთი ჩაგვაბარეო, რაზეც ქრისტეშიამ სულიგნურად უპასუხა, შუბლზე მიინებეთ თქვენი ბილეთი, არც კი ვიცი, სად მიგდიათ... ამას იოლად ვინ აპატიებდა, მაგრამ ლელამ იტირა და ამ დროს ისეთი ბავშვური და უსუსური იყო, ალეკეკელებსაც კი შერცხვათ და უხმოდ გაიძურნენ...

აი, ასე დაინყო ლელასა და ქრისტეშიას ოჯახური ცხოვრება. ცამეტი წლის ლელას ცოცხი ხელში არასოდეს სჭერია, არ იცოდა, სარეცხი რანაირად ამოერეცხა, ნემსისათვის ძაფი როგორ გაეყარა და პერანგზე ღილი როგორ დაეკერებინა, ღომის შეზელვასა და ლობიოს ამოლესვაზე ლაპარაკიც ზედ-

მეტია... თვრამეტი წლის ლელას ყოველივე ეს და უამრავი სხვა რამეც, რაც დიასახლისს სჭირდება, ზედმინევნით კარგად ეხერხებოდა და მართალის პირიდან რძლის საქები სიტყვები თაფლივით მოედინებოდა... ერთი რამ დიდხანს ვერ გაიგო ლელამ, ის, თუ როგორ ჩნდებიან ბავშვები. ყველას ეგონა, ისეთი გონიერია, ესეც ეცოდინებაო და არც არავინ ასწავლა. გათხოვებამდე ფიქრობდა, პატარები კოცნით ჩნდებიანო. მერე ქრისტეშიასთან სიცილ-ჭიდილმა რაღაცას მიახვედრა, მაგრამ ბარე სამი წელი ისე გადაგორდა, ლელა სულ უფრო და უფრო ლამაზდებოდა, ქალდებოდა, ისეთი ტანკენარი იყო, გამვლელი ჩერდებოდნენ, ქრისტეშიას ფარული ეჭვებისაგან ფერფური გადასდიოდა, მაგრამ შვილი არა და არ უჩინდებოდათ, რაც მსუბუქი ქილიკის საბაბი ხდებოდა, აქაოდა გოჭებივით ერთმანეთს ეხუტებიან, ოღონდ არ იციან, რისთვისო...

მესამე ზაფხული თავდებოდა, როცა აივანზე გამოცქრიალებული ლელა უცებ მოსხლეტით გაჩერდა, ხელები მუცელზე მიიჭირა და შესაბრალისად თქვა:

— აქ... რაღაცა!

ეფრო თვლემდა აივანზე, ჩვეულ სკამზე იჯდა და საფეთქლით თავის პატარა მჯიდს დაყრდნობოდა.

თითქოს ხელი კრესო, გამოფხიზლდა, შემობრუნდა და მოჭუტული თვალებიდან გამოხედა.

— მოიწი, გოგო, აქეთ!

ლელა გაუბედავად მოუახლოვდა.

ეფრომ ხეშეში ხელისგული ოდნავ წამობურცულ მუცელზე მიადო, იქ, წიაღში რაღაცა ტოკავდა.

— წიხლებს ირტყმევინება ეს მაიმუნი, ესა! — ჩაიჩიფრიფა დედაბერმა.

— ვინ მაიმუნი? — გაწითლდა ლელა.

— ეს ბიჭი, ნესტორი!

— ნესტორი?

დედაბერი დადუმდა, პირი ქალაქისკენ მიაბრუნა და მეტი არაფერი უთქვამს.

ლელა ფეხაკრეფით გაშორდა. ოთახში, კედლის სარკესთან გაჩერდა. მუცელს აკვირდებოდა, ადრე ფიცარივით ბრტყე-

ლი რომ ჰქონდა და ახლა უცნაურად მომრგვალებოდა. უნებლი-ეთ წაუტირა, თვითონაც ვერ გაეგო, შიშისა თუ სიხარულისაგან.

ქრისტეშიამ შემოუსწრო, დანამული თვალები რომ უნახა, ჰკითხა:

— რა დაგემართა, ვინმემ გაწყენინა?

ლელამ საწყლად გაულიმა.

— ბავშვი...

— ვინ ბავშვი?

— ჩვენი ბიჭი... ნესტორი...

— ჩვენი ბიჭი?! — ქრისტეშიამ სიხარულით შეჰკუნტრუშა, მაგრამ უცებ დაშოშმინდა, გამომცდელად შეხედა. — რამე ხომ არა გჭირს?

— რა უნდა მჭირდეს?

— მაშ, რას ნიშნავს „ბიჭი“, „ნესტორი“?

— ბებიამ მითხრა, ბიჭია და ნესტორი დაარქვითო!

— ვინ კითხავს მაგას! — წამოიყვირა ქრისტეშიამ, აივნისაკენ ფრთხილად მოიხედა და ჩურჩულით გაიმეორა: — ვინ კითხავს მაგას... პაპუს წვერიანი სახელი დავარქვა ჩემს შვილს?

ლელას მწვანე თვალებში შუქი ჩაუდგა.

— პაპუს სურათი მუზეუმში ჰკიდია, თვალებს ისე აბრიალებს...

— ეკიდოს მერე! ბებიას ყმაწვილქალობაში ეს სახელი მოდაში იყო, დღეს კი ხავსგადავლილია. ტოლები რომ დასცინებენ, მოვა ჩემი შვილი და მისაყვედურებს!

მთელი დღე ამაზე იჩურჩულეს, ლამეც... მერე რამდენიმე თვე გაგრძელდა ეს ჩურჩული. ქრისტეშია ჯიუტად გაიძახოდა, არა და არაო, მაგრამ ქალის სინაზე უფრო ძლიერი იარაღია, ვიდრე მამაკაცის სიჯიუტე და, როცა ბიჭმა ინება ამქვეყნად მობრძანება, ნესტორი დაანათლეს სახელად.

აივნიდან ახედა ეფრომ ლურჯად გადასარკულ ცას, იმის სიღრმისეულ შრეებში დედაბრის დაბინდული მზერა წარმოსახულ ლანდებს ეძებდა... პირჯვარი სასორით გადაიწერა და ხრინშეპარული ხმით, შინაურულად ასძახა:

— გესმის?! არ ამომწყდარა შენი გვარი და ჯილაგი!

იყო წელი 1975, უამი ლეონიდ ილიჩის ზეობისა... რესპუბლიკის ახალგაზრდა ხელმძღვანელმა ენერგიულად შეუტია მავანთ, სისტემის უხილავ ბზარებში ფულის ქაჩვის წესები რომ ამოიცნეს. დურუ გეგიამ პარტიის საქალაქო პლენუმზე ისეთი სიტყვა დააქუხა, ფარულ საქმოსანთა წრეებს შიშიანმა თრთოლვამ ტალღასავით გადაუარა, რამდენიმე წვრილ ვაჭარსა და სპეცულანტს მართლაც ახეხინეს ციხის კედლები... დიახ, ნესტორის დაბადების წელს დადგა დრო ბზარების ამოლესვისა...

— დაერივნენ წვრილფეხობას! — ქირქილებდა აკვანზე დახრილი არიქა და შვილიშვილს ღაბაზზე ნეკა თითოთ ულიტინებდა. — აბა, დურუს ცოლისძმებს თუ შეხედავს ვინმე ავად, გადაჭამეს ქალაქი!

მართალი დუმდა. მისი ცხოვრების მდინარე ახლა ამ კალაპოტში თავსდებოდა — ნესტორის აკვანსა და სახელოსნოს შორის... ჩვილს ხატავდა... ტიტლიკანა ნესტორს ბალიშზე გააგორებდა, შორიახლო მოკალათდებოდა და ხატავდა. „გაცივდება!“ — ხმას გაწელავდა ლელა, ღილინივით გამოსდიოდა, ქალურ სირბილეში დედობრივ სიჯიუტეს შეურევდა და ბავშვს თბილ საფენში გახვევდა. მართალი ამასობაში ჩვილის პორტრეტს მხრებზე ფრთებსაც მიუხატავდა და კუპიდონად აქცევდა.

ლელა ბავშვს ძუძუს მოაწოვებდა, უნანავებდა. მერე აკვანში მტკიცედ ჩაკრავდა. აკვანს აივანზე გაიტანდა, ეფროს მიუდგამდა. ჩვილი თუ ატირდებოდა, ეფრო ბაწრის ბოლოს გამოსწევდა, დაარწევდა — „ჩუ, ჩუ, კარგი სიზმარი, კარგი სიზმარი!“ — ჩაიჩიფრიფებდა და პატარა ნესტორი წყნარდებოდა, ხმადაბლა ღუღუნებდა.

გაჩერებული დრო სწრაფად ილევა... აგერ ნესტორი წამოჯდა... აგერ ნესტორმა პირველი ნაბიჯი გადადგა... პირველი სიტყვა გატეხა... აგერ სამი წლის ნესტორი აივანზე დატანტალებს, მუდამჟამს მოვლემარე დიდ ბებიას აფხიზლებს.

კიბეზე ზიტა ამოქლოშინდება. თითქმის ყოველდღე მოდის, რათა თავის ერთას ხელი საქმეზე წაუკრას, შვილიშვილს თვალი შეავლოს.

— ძლივს გამოვაღწიე, ძა, მეორედ მოსვლა გეგონება! მოედანზე ხალხის ტევა აღარაა. ასფალტზე სხედან, ვერ გაიღლო...

— რა ხდება, დედა? — ეკითხება ლელა. — რაო, რა გვინდაო?

— ენას გვართმევენო... ყველანი იქ არიან, ჩვენი კაცები! შენმა მამამთილმა სიტყვა თქვა, ტანში გამბურდგლა! არიქაც იქაა, ქრისტეშიაც... მოდი, ბებო გენაცვალოს, მოდი, კამფეტი მოგიტანე! — პატარა ნესტორი მხიარული ჭყლოპინით ეტანება. — მილიცია... ზღვა მილიციაა, გადაწითლებულია იქაურობა!

— გადაწითლებულია, ჰო... — გამოფხიზლდა უცებ ეფრო, ვიღაცას მაცხოვრისგორის მიმართულებით მუშტი უჩვენა.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეფრო? — ზიტამ ბავშვი აიტაცა, დედაბრისაკენ მხოლოდ ახლა მიბრუნდა.

— მოდი, გოგო, შენ აქ!

— მე მეუბნებით? — შეცბა ზიტა, მაგრამ ეფრომ ჩენიკა თითი ლელასაკენ გაიშვირა.

ლელა გაწითლდა, მორცხვად მოუახლოვდა.

ეფრომ ხელისგული მუცელზე მოუსვა და თითქოს თავისთვისო, ხმადაბლა თქვა:

— ისევ!

— რა ისევ? — იკითხა გაოცებულმა ზიტამ.

— ბიჭია... ტატაჩი!

ლელამ მუცელზე ხელი მიიღო. დიახ, მის წიაღში ახალი გული ფეთქავდა, მომავლის ადამიანი იძროდა...

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ზომიერად ხორცსავსე ქალბატონი. შავები ეცვა და ეს ფერი უხდებოდა — კონტრასტს ქმნიდა მის თეთრ პირისკანთან, ეხამებოდა კუპრივით შავ დალალებს, მხრებზე რომ ეფინა, შავ წარბებსა და წამნამებს, საიდანაც მწვანე თვალები მკვეთრად ანათებდა.

— გვაპატიეთ, ბატონო, უყურადღებოდ რომ დაგტოვეთ! — ნაზი, ალერსიანი ტემბრით მითხრა ლელამ (მე ხომ

ერთი შეხედვითაც მივხვდი, რომ ლამაზი ქალბატონი ამ სახლის დიასახლისი გახლდათ!).

— ნუ წუხდებით, ქალბატონო! — ასე კი ვპასუხობდი, თუმცა კარგა ხანია მომბეზრდა იესეს მუავე სიფათის ცქერა და ზალიდან შემოსული, ერთფეროვანი ჩოჩქოლი, რომელსაც მაროს მოთქმა ოდნავ აცოცხლებდა:

— სი ვოიჭარე,\* ეფრო!.. — ნაუმღერებდა მარო. — ბედინერი ხარ, რადგან მოილიე მოსალეველი, პირნათლად წახვედი იქ, სადაც გელიან დარო და ნესტორი... ცაცანა გელოდება სასუფეველში და გერა კვარაცხელია... მომიკითხე ჩემი ტატაჩი და ჩემი მართა, გადაეცი, რომ დიდხანს ვერ შევრჩები ამ არეულ საწუთოს... ვავა, ვავა, ეფრო!..

ასე და ამგვარად მოთქამდა მარო და მისი ხმა ხან იკარგებოდა, ხან ისევ გამოაღწევდა მეპანაშვიდეთა რუზრუზში.

უკანა ეზოდანაც ხმები აღწევდა. იქ, ფანჩატურში მეზობლები ჭიქას უქცევდნენ. ამ ხნის დედაბერზე დარდს არც არავინ გადაჰყვებოდა და ზარხოშად იყვნენ.

— უნდა შეგაწუხოთ! — კვლავ მომიბოდიშა ლელამ და უკან, ღია კარში გასძახა: — დედა, მაგიდის გადასაფარებელი გამოაყოლე ხელს!

კუთხეში მიდგმულ მაგიდას ჩაეჭიდა, შუა ოთახში გამოჩერება სცადა.

— აპ-აპ, აქ რისთვისა ვართ, აბა! — წამოიძახა იესემ და ხელი გააშვებინა.

მეც წავეშველე და მაგიდა გამოვწიეთ, სიგრძეში გავშალეთ.

— ჩემი სიკვდილი, სტუმრები არ დავასაქმე! — ლოყაზე ხელი მოითათუნა ლელამ და საყვარლად ჩაიცინა.

ამასობაში ფეხებდასიებული, სქელგავიანი დედაკაცი შემოვიდა. პირისახე შეშუპებოდა, მსხვილ ნიკაპქვეშ ღაბაბი ეკიდა.

— ვერ მიცანით, ბატონო? — მორიდებით შემეკითხა, თან დაკეცილი გადასაფარებლის გაშლას შეუდგა.

ამ ქალში ძნელი იყო ზიტას ამოცნობა. დროს სამუდამოდ გაჰყვა ის კოხტა გოგონა, მთელ ქალაქში პირველმა რომ

\*(მეგრ.) შე საწყალო...

ჩაიცვა მოკლე კაბა და ასეთ დედაკაცებს, ახლა რომ თვითონაა, შურით გულზე ხეთქავდა.

— გიცანით, ქალბატონო ზიტა, გიცანით! — ჯენტლმენურად თავი დავუკარი და აივანზე გავედი, რათა ქალებისათვის ხელი არ შემეშალა.

სევდა შემომიბრუნდა, არსებობის უკულმართობას ჩავუფიქრდი. კალამს რომ ხელში ვიღებდი, ჩემს წარმოსახვაში ცოცხლდებოდნენ ჩემი გმირები — უმთავრესად ლამაზი, დახატული ახალგაზრდები, რომელთა საქეპრად სიტყვები აღარ მყოფნიდა, ახლა კი ზოგი მათგანი უამმა შეინირა, ზოგი აი, ზიტასნაირად გადასხვაფერდა და მათმა არსებობამ ჩემთვის აზრი დაკარგა. თუმცა სამართლიანობა იმის თქმასაც მოითხოვს, რომ ერთნი მიიპარებიან ამ ფურცლებიდან, მაგრამ სხვები შემოდიან.... თუნდაც ლელა — მწვანეთვალება, შავდალალებიანი მზეთუნახავი....

ამაზე რომ ვფიქრობდი, თავი ავნიე და ქრისტეშიას მზე-რას შევეფეთე. უკვე ბინდი ეშვებოდა, ფერებს სიმკვეთორე აკლდა. ამიტომ მაცხოვრის სურათს მივამსგავსე, ლმობიერი, კეთილი თვალებით მიყურებდა.

— მოგკალით, ხომ, მშიერი! — გამიღიმა. — სამაგი-ეროდ, მამის თანაკლასელებთან გავახშმებთ.

ალბათ, ეგონა, რომ ამათთან ყოფნა მსიამოვნებდა — არიქა ძაძუაც აქ იყო, დურუ გეგიაც და ლესტამბე თოლორაიაც.

არიქამ გაუღიმარი სახე მოაბრუნა, დურუმ საწყლად შემომხედა, ხოლო ლესტამბეს პირზე ფარისევლური სიხარული აღებეჭდა და ნაბიჯი გადმოდგა:

— ძალიან ვწუხვარ, პატივცემულო, უსადილოდ რომ გაგიშვით!

მართალი შეწუხდა, მობოდიშება მომინდომა, მაგრამ ხელები გავასავსავე, ამდენი ყურადღება მეუხერხულება-მეთქი და ქრისტეშიასთან გავჩერდი.

მომსვლელი მეტი არავინ ჩანდა, ეზო დაცარიელდა. ჭიშკარი მიკეტეს, რათა მეზობლის პირუტყვი არ შემოსულიყო.

ზალაში, ეფროს კუბოსთან მხოლოდ მარო დარჩა, დუმდა და ხანდახან ამოიხვნეშებდა.

ლუმელიანი ოთახიდან ჭურჭლის წკარუნი მოისმოდა.

— თქვენი ბიჭები სად არიან? — ქრისტეშიას ვკითხე.

— ომობენ! — თავი უმისამართოდ გააქნია. — ცირა დამპირდა, ამოვიყვანო!

— ცირა?.. ქირხე?.. თვითონ სადღაა?

— ომობს! — ასევე მოკლედ მიპასუხა ქრისტეშიამ და უცებ კიბისაკენ გაეანდა. — შენ არა, შვილო, შენ არა! სიმძი-მე არ ანიო, მამა, არ დამლუპო!

კიბეზე ყმაწვილი ქალი ამოდიოდა. ასაკით ჩვიდმეტისა თუ იქნებოდა. ფეხმძიმობის სისავსე ოდნავადაც არ ამახინ-ჯებდა, პირიქით, თითქოს თბილ აურას ასხივებდა. ლია-ცის-ფერი ხალათი ეცვა, რათა მის პანაწას იმთავითვე სიკვდილის სევდა არ დაჰპედებოდა. სუფრისათვის თეფშები მოპქონდა, გულზე მიეხუტებინა და შეეტყო, კიბეზე ამოსვლა გაუჭირდა.

ქრისტეშიამ ფრთხილად ჩამოართვა, მზრუნველად უთ-ხრა:

— ჩამოჯექი, დაისვენე, არ უნდა გადაიღალო!

ყმაწვილქალი ზანტად მოძრაობდა, ალბათ, უფრთხილ-დებოდა უფლის წყალობას. თვალები ცისფრად შემომანათა და ლოყები სიმორცხვისაგან შეეფაკლა, თავჩაღუნულმა ჩამიარა.

ქრისტეშია უმალ მოპრუნდა.

— მართაა, ჩემი რძალი, უმცროსის, ტატაჩის ცოლი!

ესეც ასე, მართაც დაბრუნდა! რა თქმა უნდა, ეს ის მართა არაა ისევე, როგორც ეს ტატაჩი ვერ იქნება ნახევარი საუკუნის წინანდელი ტატაჩი. ოჯახში ძველი სახელების გამეორება ბუნებრივია. ეფროს მებსიერებაში არასოდეს მომკვდარან დიდი წესტორი და უფროსი ტატაჩი. ეს მართაც იმიტომ შემოვიდა ამ ოჯახში, ბედმა ასე განსაჯა. უმცროსი ტატაჩი ხომ იმ ოთახში იზრდებოდა, სადაც კედლიდან წინაპარი ბავშვის ცოცხალი ლიმილი ანათებდა და მისთვის სახელი „მართა“ ასეთ ლიმილს წიშნავდა... ახლა, შემთხვევით, გერაც რომ აღმოვაჩინო, ჩემი მკითხველი იესე ყურში ხელს წამავლებს, აქაოდა, სიუჟეტი წინასწარა გაქვს დაპროგრამებული და ხელოვნური სვლა გამოგდისო. თუმცა იმავე იესეს პატიოსნებას დავიფიცებ (მის პატიოსნებაში ხომ ეჭვი არ მეპარება!), რომ აქ ჩამოს-

ვლამდე წარმოდგენითაც ვერ წარმომედგინა, ქრისტეშიას რამდენი შვილი ჰყავდა და რა სახელები დაანათლა, მით უფრო, რძლის სახელი საიდან დამესიზმრებოდა. უმჯობესია, ყოველივე ეს ერთგვარ სამართლიანობად ჩავთვალო...

ეს ფიქრი როგორლაც თავის მართლებასა პგავდა და შევეშვი.

ლელამ გამოიხედა, სავახშმოდ შეგვიწვია.

უხმოდ შევლაგდით, ერთმანეთს ხელის მოძრაობითა და თავის ქნევით ვეპატიუებოდით.

სუფრას შემოუსხედით. ჭირის სუფრა თავისთავად სახალისო ვერაა და მორიდებული დუმილი ჩამოვარდა.

მართალიმ ბოთლი აიღო, მანიშნა, ჭიქა შემაშველეო და ღვინო ლიკლიკით გადმოიღვარა ბოთლის ყელიდან...

## 8

ლამპა წითლად ხრჩოლავს, ნავთის მაგიერ „სალიარი“ ასხია და იმიტომ. საათი ტიკტიკებს, ლამპის სინათლე მის ციფერბლატზე ირეკლავს და საათის ისრები ოქროსფრად ანათებს.

წყნარად ვსხედვართ. ზურგსუკან, მიხურული კარიდან ხანდახან მაროს ოხვრა აღნევს. ეფროს კი არა, თავის თავს, თავის მარტოობას მისტირის მარო.

ტიკ-ტაკ, ნელი ტიკტიკით ითვლის საათი წამებს.

მოწყენილი დავჩერებივარ თეთრ სუფრას, მწირ საზრდოს, სამგლოვიარო პურობის ტრიადას — ლობიოს, წვრილად დაჭრილი კომბოსტოს მწნილს და ზეთში მოხრაკული ხახვით შენელებულ მაკარონს. ბოთლებში ასხია მლვრიე სითხე, ადგილობრივი უჯიშო ყურძნის ნაწური, წყალნარევიდა ძელგი, ამა წლების სიდუხჭირის დასტური... ჩემი წნევის პატრონს ეს სას-მელი დიახაც არ მოუხდება, მაგრამ წესი წესია და მომცრო, თლილი ჭიქით ვსვამ ეფროს სულის მოსახსენებელს. სიტყვებს რომ ვაკონინებ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეფრო წინანდებურად ძილ-ბურანშია და ამჯერად კუბოში იმიტომ გატრუნულა, ჩვენი ნათქვამი ჭეშმარიტების სასწორზე რომ შეაგდოს.

მართალი მიყურებს წყნარი თვალებით. სახე მშვიდი აქვს. ღვინით სავსე ჭიქას თითქოს ეფერება. ხმას ოდნავაც არ აუწევს. როცა ლაპარაკობს, მხოლოდ მე მომმართავს.

— ას წელზე მეტი მოილია ცხონებულმა, მეორე ასიც რომ ეცოცხლა, ეს კედლები არ მოუწინდებოდა!

ხელმარჯვინივ ქრისტეშია მიზის, ხმას არ იღებს, მაგრამ ვგრძნობ, მოუსვენრადაა, მძიმე რამ საფიქრალი არ შორდება.

ხელმარცხინივ იესეა, ჩხირივით გამხდარი მუხლები მიუტყუპებია, წვრილი, გრძელი თითებით მწნილს იღებს, თეფშის კიდეზე დებს, მერე ჭიქას ასწევს და თავისთვის ჩაიჩურჩულებს:

— ღმერთმა გაანათლოს!

დურუ გეგია მაგიდის თავში მოკალათებულა, ზურგით შემოსასვლელისკენ, ჯამს ლობიოთი გაიპიპინებს, პურის მოზრდილ ნატეხებს ბარაქიანად ამოავლებს და პირში იჩრის, მწნილს ხრაშუნით მიაყოლებს.

— რა ქალი იყო, რა ქალი... — ღვინოს გემოს არც გაუსინჯავს, ისე ყლურწავს. — აფსუს, მისი ხაჭაპურები რომ მახსენდება...

ეფროს ხაჭაპურებს დურუ მოწაფეობის ხანს თუ მიირთმევდა, თორემ მთავრობის კიბეზე იმდენი მსუყე ხაჭაპური ეყარა, ეფროსი რა გასახსენებელი აყო ( ეს ჩემი ფიქრია, უნებლიერ და სწრაფმქროლი! )

მართალისა და დურუს შორის არიქა ჩარჭობილა. ლუკმას არ იკარებს, სმით კი ისე სვამს, სასმისი ეპატარავება.

— მე თუ მკითხავთ, ეფრო იყო პირველი დისიდენტი!

ლესტამბე მაგიდის ბოლოში აუღელვებლად მიირთმევს, თავს ზევით არც ასწევს, ჭიქას ჩასძახის:

— აცხონოს ღმერთმა, მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი!

ზალაში კი, სანთლის სუსტად მოთამაშე შუქი რომ ანათებს, დაღლილ მაროს ჩასძინებია, თავი კუბოს ფიცრისთვის მიუბჯენია და ვერა ხედავს, ირგვლივ რა ხდება.

კუბოში ასი წლის ეფრო წევს, სანთლის შუქი სუდარას დალიცლიცებს...

ეფრო საუკუნო სიზმარს მისცემია...

მოულოდნელად კუბოდან თეთრად გამჭვირვალე მტრე-დი ამოფრინდება... იქნებ მტრედია ან იქნებ რძისფერი ნის-ლის ნაფლეთი... ამოფრინდება და ოთახის კედლებს ეხლება, გასასვლელს ეძებს...

ღია კარს გარედან ბნელი სივრცე ეფინება, შორეული ვარსკვლავეთი სუსტად ჭიატებს...

კარში გაფრინდება ღრუბლის ფთილა, თეთრ ლაქად გა-დაევლება ჩაბნელებულ მერეთს, მაცხოვრისგორის კიბის პირველ საფეხურზე დაეშვება.

ამ ცივ ღამეში არავინაა მაცხოვრისგორასთან... თეთრი მანდილოსანი ზის კიბის საფეხურზე, ტანმორჩილი და ბავშვი-ვით უსუსური...

ქვევით, ჩხერის ნაპირიდან მეორე მანდილოსანი მოიჩ-ქარის, ისიც თეთრითაა მოსილი, ყმანვილქალის სიმსუბუქით ლევს სივრცეს.

ზევიდან მესამე მანდილოსანი ეშვება კიბეზე, ისიც თეთრსამოსიანი, საფეხურებს ვერც ამჩნევსო, უხმოდ მოსრი-ალებს...

სამნი შეიყრებიან, ჩუმად უბნობენ:

„ბიჭი დაიბადება!“ — ამბობს ეფრო.

„ვაჟი დაიღუპება!“ — ამბობს ცაცანა.

„სისხლი იწვიმებს!“ — ამბობს დარო.

სადღაც ახლო ორლობებში ძალლი აყეფდა.

თეთრი ლანდები მქრქალდებიან, მსუბუქ ნისლებად იც-რიცებიან, სულ მალე ირგვლივ არაფერია, ბნელი ღამის გარდა...

ტიკ-ტაკ!.. — მდუმარებაში გახმიანდება კედლის საათი.

ნუთუ ჩავთვლიმე და ყოველივე მეზმანა? საათის ისარი იქვე დგას, სადაც იდგა, ეს გრძელი ზმანება მხოლოდ წამი ყოფილა, ერთ გაელვებაში ჩატეულა.

— რა ბრძანეთ? — შემეკითხა მართალი.

დანარჩენებიც უხმოდ შემომცერიან.

— უკაცრავად, წუთიერმა ფიქრმა წამილო! — ავი წინათ-გრძნობის შიშიანმა განცდამ გული ამიჩქარა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ზიტა წამომადგა თავზე.

— ჰო, წნევა მითამაშებს!

— თუ გნებავთ, ჩაის გაგიმზადებთ!

— დიდად დამავალებთ! — თავი დავუქნიე და კაცებს მივუბრუნდი: — წინათვრძნობისა დიდად არა მჯერა, მაგრამ გული ცუდს მიგრძნობს!

— გული ცუდს გიგრძნობთ? — იესე მთელი ტანით შე-მობრუნდა, წვრილი თვალებით ძირისძირამდე გამბურლა და ჩამჩურჩულა: — თქვენი ფანტაზიები არტახებში უნდა მოაქ-ციოთ, თორემ, რაც თავში მოგდით, ყველაფერი რეალური და საგნობრივი ხდება. ასე, შეიძლება, ყველანი დაგვლუპოთ. იფიქ-რეთ ბედნიერებაზე!

აქვე, ზალაში კუბო იდგა და მე არ შემეძლო ბედნიერებაზე ფიქრი. არა იმიტომ, რომ ნაადრევი იყო ეფროს გარდაცვალება, პირიქით, იმან საუკუნე გალია, მე კი იქნებ სამოცსაც ვერ გადა-ვაბიჯო, იმას არაფერი ტკივა, მე კი სისხლი კეფაზე მანვება, საფეთქლებზე ყრუ ტკივილი მაჭერს სალტესავით...

— ამაზე ცუდი რა უნდა მოხდეს, ჭირის სუფრას ვუზი-ვართ და ქვეყანა თავზე გვენგრევა! — ლიზლურად ჩაიხითხი-თა ლესტამბერ.

— საწუხარი ის კი არაა, ასი წლის ეფროს რომ მივაცი-ლებთ! — მართალის ხმას გულისტყივილი ახლდა. — მაშ, აბა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა! სატირალი და საწუხარი ის არის, რომ აგერ ჭირის სუფრას ვუსხედვართ და გული ბოლმით გა-გვსიებია. გავთითოკაცებულვართ, რამეთუ კაცის ბუნებაა ეგე-თი. ყოველი ჩვენგანი ჩვენ-ჩვენს სიმართლეს ვეზიდებით, დარ-წმუნებულნი იმაში, რომ ერთადერთი ჩვენი გზაა ჭეშმარიტი, სხვა ყველა დანარჩენი კი მცდარია, უფსკრულისაკენ მიექანება და ყველას იქით გვითრევა... იყო დრო, როცა გვეგონა, რომ ჭეშ-მარიტება ერთია, ერთმანეთს მხარში ვედექით, რადგან თანაბრად ვესწრაფოდით თავისუფლებასა და დამო-უკიდებლობას... ნგრევაში ერთსულოვანნი ვიყავით, მაგრამ, აი, ჩვენს ირგვლივ ნანგრევებია და იმის მაგიერ, რომ აგური აგურზე დავდოთ, ვდგავართ და თითებს ღვარძლიანად ერთმანეთისაკ-ენ ვიშვერთ — შენი ბრალია! შენი ბრალია! შენი ბრალია!..

— ჩემო გულუბრყვილო და კეთილშობილო იდალგო! — დაცინვით თავი დააკანტურა არიქამ. — შენ გჯერა, რომ ყოვე-ლი ადამიანი თავის არსში სიკეთეს ატარებს და ამაღლებული

იდეალების მსახურია. დიახ, როდესაც დამანგრეველი ტალღა ყალყზე შედგა, ყველანი ერთად ვიყავით, რადგან მიზანი იყო ერთი — არსებულის ნგრევა! ეს უკვე მოხდა! ყველანი ყელამ-დე ნანგრევებში ვდგავართ და აქედან გაღწევაა საჭირო, ოღონდ ვიკითხოთ: რა გზით? გზა ხომ უამრავია, ზოგი ქრისტესია, ზოგი ბარაბასი! სწორედ აქაა წყალგამყოფი. სასაცილოა, რომ ლესტამბეს მოსთხოვო ქრისტეს გზაზე დადგომა, როცა ის მუდამ სატანის მსახური იყო, ანდა დურუს, კაცს, რომელმაც სიცოცხლე საკუთარი სავარძლის გამოჭედვას შეალია, ზედ ტრაკით დაეწება და, რაკი ავალლიტეთ, ჩვენზე უარესი მტერი არავინა ჰყავს... სამწუხაროდ, გამართლდა ეჭვი, რომ ყოველი მეორე ქართველი მოღალატე და სუკის აგენტია. აგერ ლესტამბე თვითონ იყო სუკი, ეს არც დაუმაღავს და არც მაღავს. უეჭველია, დურუც ყანყრატოთი ჰყავდა გამოჭერილი... ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი სტუმარი ამ გაქექილმა ლესტამბემ ჩამოიყვანა, არ გამიკვირდება, თავადაც რომ სუკის ჩინოსანი გამოდგეს! ესე იგი, რა გამოდის? სუფრას შვიდნი ვუსხედვართ და აქედან შესაძლებელია სამიოთხი სუკელია...

— მაგ ლოგიკით, ჩემო კარგო, — აუღელვებლად უპასუხა ლესტამბემ, — შენ თვითონაც შეიძლება სუკის აგენტი აღმოჩნდე, იქნებ იმიტომ ბობოქრობ, საკუთარი ჭეშმარიტი სახე დამალო?

— მე კი, აი, რას გეტყვით, ძმებო, — დურუ ჭარხლისფერი გახდა, ყბა უკანკალებდა, — ასეთმა ბოროტმა ბრალდებებმა დაანგრია ჩვენი ერთობა. შეგვეძლო წყნარად და მშვიდად მოგვეხდინა იმპერიის დემონტაჟი, მაგრამ ფანატიკოსებისა და გიუჟისა აღვირახსნილ შემოტევას ვეღარ გავუმკლავდით!

— ფანატიკოსებისა და გიუჟის?! — იყვირა არიქამ.

ზიტამ ჩაი შემომიტანა, წინ დამიდგა.

— შაქარი გაგვითავდა, ერთი კოვზილა ვუქენი! — მომიბოდიშა.

კოვზი მოვურიე, მოვსვი, ცხელი და არომატული იყო.

არიქა ცოფიანივით იყეფებოდა, იქაც, ვაგონის კუპეში, აქაც, სულ ერთსა და იმავეს უტრიალებდა. ეს სიტყვები, ფა-

ნატიზმის ცეცხლში გამომწვარი, უცვლელად ელაგა მისი ტვინის უჯრედებში. ბრალდება, რითაც მე გადმომწვდა, ზღვარგადასული ფანტაზიის ნაყოფი იყო და არც მიცდია პასუხის გაცემა. ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხედვისა და წარმოდგენების „აგენტი“ ვიყავი, ვცდილობდი, ჭეშმარიტებისაკენ მავალი გზები მომექებნა. რამდენად მოვახერხე ეს, დაე, მკითხველმა განსაჯოს.

— ცუდადა ხართ? — კითხვა გამიმეორა მართალიმ.

არიქა იმთავითვე ჩემი საყვარელი პერსონაჟი იყო, მისი მოუზომავი სიტყვები გულსა მტკენდა და, ალბათ, ცუდად გამოვიყურებოდი, უგუნებობა პირზე მეწერა.

— ჰო, ჰაერზე გავალ! — შევეპასუხე და სკამი გავწიე. დუმილი ჩამოწვა, თვალი გამადევნეს.

— მაპატიეთ! — საზოგადოებას მოვუბოდიშე და კარი გავიხურე. ბნელში აივნის მოაჯირი ხელისცეცებით მოვებნე, ზედ ჩამოვჯექი, მზერა წკვარამს გავუსწორე...

9

მერეთი უკუნში იყო ჩაფლული. ცაზე აქა-იქ სუსტი ვარს-კვლავი თუ ბჟუტავდა. ეს იყო და ეს! სამყარო არ არსებობდა, ყოველივე წკვარამში ჩაიძირა, გაქრა. ვერაფერს ვხედავდი, სინათლის უბრალო გაელვებასაც კი, სრული წყვდიადი იდგა, თუმცა გუმანი მკარნახობდა, ამ წყვდიადის შორეთიდან, ბნელეთის სიღრმიდან აქეთკენ მოდიოდნენ ადამიანები, არ ვიცი, ორნი თუ სამნი, არ ვიცი, მანქანით, არ ვიცი, ცხენით ანდა სულაც ფეხით, ოღონდ ჯერ კიდევ დიდი გზა იდო ჩვენს შორის და არაერთი საათი გავიდოდა, სანამ დაქანცული მგზავრები ჩვენამდე მოაღწევდნენ.

თბილი ოთახიდან გამოყოლილი სითბო ნესტით გაჯერებულმა ჰაერმა წარმტაცა, შემცივდა. გული შიშიანი წინათგრძნობით მიცემდა, ვცდილობდი, ეჭვები გამეფანტა, მაგრამ არც უკან, ოთახში გაბრუნება მენადა. „სალიარით“ მხრი-

ლავი ლამპით წითლად განათებული, დაბოლმილი სიფათების თვალთვალი წამლად სულაც არ ეფინებოდა ჩემს სტრესებს.

კარმა გაიჭრიალა, მენამული შუქი წამით აივანზე დაფინა და უმალ გაქრა.

ოთახიდან გამოსულმა ჯოხის კაკუნით აივანი გადმოჭრა, მოაჯირთან შეჩერდა, ალბათ, სვეტს მხრით მიეყრდნო.

დანახვით ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ მართალის სიახლოვეს ვგრძნობდი და ჩავახველე.

— თითქოს დაყრუვდნენო, ერთმანეთისა არა ესმით რა!

— ამოიოხრა.

საპასუხოდ არაფერი მითქვამს. ისე კი ბევრი რამ მქონდა შესაკითხი. კარგად მახსოვდა მისი მიუსაფარი, ობოლი ბავშვობა და ყრმობა. მისი საყმანვილო ვნებანი, სიჭაბუკის წლები... მერე და მერე ზოგი რამ ვიცოდი ლესტამბეს, დურუსა და არიქას მონაყოლიდან. ცხადად წარმომედგინა ბოლო ოთხ ათეულ წელს განვლილი გზა — შინაგანი, შემოქმედებითი გარჯა და გარეგნულად უფერული, ერთფეროვანი ყოფა, რაიც წიგნის მწერალს იმის საშუალებას უსპობს, კალმის წევრი იოლად აჯირითოს ქალალდის თეთრ ბილიკებზე. უმთავრესი შეკითხვა კი მარტივზე მარტივი იყო: რანაირად იცხოვრე?

მართალი თითქოს უთქმელს მიმიხვდა და ხმადაბლა ალაპარაკდა:

— „ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებითა და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე; ესენია: ვარსკვლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში...“ — ცოტა ხანს იყუჩა და მერე განაგრძო: — იმედია, კეკლუცობაში არ ჩამომართმევთ კანტის ციტირებას. ეს ფრაზა თურმე საფლავის ქვაზე აწერია და პირველად წიგნში რომ ამოვიკითხე, ამ დროისათვის ნახევარი ცხოვრების გზა განვლილი მქონდა, აზრი საკუთარი რაობის შესახებ გონებას მიბურღავდა. თითქოს სინათლემ გაკვესა! მანამდეც ხომ თითქოს ამ პრინციპით ვცხოვრობდი, მერე — მით უმეტეს, თუმცა ადრე არ შემეძლო, ასეთი მარტივი სიტყვებით მეტქვა ის, რასაც მუდამ განვიცდიდი... დიახ, ჩემს სულს მართლაც ორი რამ ავსებს: უსასრულო სამ-

ყაროს შეცნობის დაუოკებელი წყურვილი და მორალური კანონები, რომლებიც ამ სამყაროში ადამიანებად გვაქცევენ. სამყარო უფლის სახლია და ჩემი ცნობისმოყვარე გონება ცდილობს, შეიჭრიტოს ყველგან, დატკბეს უთვალავი ფერით (ეს რუსთაველია!), აღვიდეს კიბესა მაღალსა, რათა მოისმინოს გალობანი ქერუბიმთა...

— ყოვლის შეცნობის ფაუსტური ვნება... — სიტყვა ჩავუგდე.

— ცხადია, მაგრამ ამ წყურვილის მოკვლას არ სჭირდება მეფისტოფელთან გარიგება. მაღალ კიბეზე მხოლოდ ის ავა, ვისაც მუდამ ახსოვს „მორალური კანონი ჩემში“... პირუტყვს ზნეობა არ გააჩნია, მას მხოლოდ ინსტინქტები ამოძრავებს. ადამიანი კი უფლის შვილია, უფალმა შექმნა მიწისაგან, სხეული მისცა მსგავსი თვისისა, შთაბერა სული და უბოძა ნება — იარე! სული თავისუფალია არჩევანში, ოღონდ მორალური კანონების გარეშე ის ეშმაკეულს გადაეყრება და გზას ასცდება. ადამიანი თვითონ იოჩევს ტვირთს, რისი ზიდვაც შეუძლია. ზოგის სული ზარმაცია და ნამცეცსაც ვერ წაიღებს, ზოგის სული მძიმე ლოდებს იტვირთავს და უფლისაკენ აღმავალ კიბეს ახალ-ახალ საფეხურებს ამატებს... კიბის თავს ვინც ააღწევს, სამყაროს უთვალავ ფერს იგი იხილავს, იქ, დიადი შემოქმედის კალთასთან დაიდებს ბინას...

— ადამიანი საამისოდ მეტად სუსტია!

— სუსტია მისი ბიოლოგიური არსი, რომელიც გამომწყვდეულია დროსა და ფიზიკური ყოფისათვის აუცილებელი ვიზრო საკნის კედლებით, მაგრამ არის ძალა, რომელიც ამ წინააღმდეგობას ძლევს, არღვევს ამ კედლებს და უსასრულო დროსა და სივრცეს ეუფლება. ეს ძალა სიყვარულია! რაც უფრო ძლიერია იგი ადამიანში, მით უფრო ახლოსაა იგი დიად შემოქმედთან, რადგან ცნება „სიყვარული“ ცნება „უფალის“ სინონიმია!

გაჩუმდა.

ცაზე სუსტად მოციმციმე ვარსკვლავებს გავხედე.

ოთახიდან ხმამაღალი ყაყანი გამოდიოდა. ყოფილ ძმაკაცებს დავიწყებოდათ ჭირის სუფრის წესები და მძულვარე სიტყვებით ხმალაობდნენ.

— სიყვარული... — ჩემს ხმაში ირონიის სიმწარე გაულერდა. — ყოველ ჩვენგანში სიყვარულის პანია სანთელი მაინც ბუუტავს, მაგრამ ამ სანთელს ბოლმისა და ურთიერთ-მტრობის მძვინვარე ქარიშხალი აქრობს... ადრე თქვენ ერთ-მანეთი გიყვარდათ!

— გვიყვარდა? — ამოიხვნეშა მართალიმ. — ჩვენ ერთად გავიზარდეთ, ერთნაირად ვფიქრობდით, მოვლენებს ერთნაირი თვალით ვუყურებდით და ანალიზსაც ერთნაირს ვაკე-თებდით. დავკაცდით ეპოქაში, რომელიც, როგორც ღამე, ერთი ფერით იყო შეფერილი. ყველა დანარჩენი ფერი უცხოდ და მტრულად აღიქმებოდა, ოღონდ აკრძალული რამ გულს უფრო იზიდავს. ჩვენში დისიდენტურმა გრძნობებმა გაიღვიძა. ამისი გამოვლენაც გარეგნულად ერთნაირი აღმოჩნდა — სიტყვები, მიტინგები, დემონსტრაციები... ნგრევა ყოველ-თვის ერთნაირად ხდება! მაშინ, როცა კვლავ ერთად უნდა გვემდერა — „სამშობლოო, სამშობლოო!..“ ანსამბლი ვერ შედგა, უჩემოდ ვითომდერეთას სინდრომმა ერთმანეთს გადა-გვკიდა, რამდენი კაციცაა, ყველას სოლისტობა მოუნდა და მივიღეთ ის ვითარება, როცა ბევრისათვის გაურკვეველია, რისთვის ვიბრძვით და საითკენ მივდივართ!

— შენ საითკენ მიდიხარ? — ექოსავით მივადევნე.

— მე? — მკითხა. — მე კიბეს ავაშენებ!

— კიბეს?

— ჩემმა წინაპარმა, გერა კვარაცხელიამ, მაცხოვრის-გორის კიბის საფეხურები სათითაოდ ზიდა ზურგით...

— ის კიბე კომუნისტებმა გაასრულეს!

— კომუნისტებმა გორის თავზე ეკლესია დაანგრიეს, ესეც ჩემმა წინაპარმა, წესტორმა ქნა... კიბე არასოდეს გას-რულდება... ეფრო ბებიამ დამიბარა, ყოველმა თოდუამ თითო ლოდი მაინც აიტანოს, სანამ კიბე ცამდე ავიდოდესო...

მთელი თვის მანძილზე თვალი არ გაუხელია ეფროს. ეგონათ, გაიპარაო და ერთხელ ლელამ შეიცხადა, მეზობლები შეჰყარა, მაგრამ პირთან სარკე რომ მიუტანეს, დააორთქლა. მიხვდნენ, ჯერაც სუნთქავსო. დედაბრის სიკვდილს კარგა ხანია ელოდნენ, ის კი შუა გზაზე გახიდულიყო, არც სიკვდილს

ეკუთვნოდა და არც სიცოცხლეს. ინვა თავისთვის, დანაოჭებული პირის კუნტულში ეშმაკური ლიმილი გამოესახა, თითქოს ამქვეყნად დარჩენილებს ნიშნს უგებდა, ჩემი გამგზავრება გეჩქარებათ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ გაწვალებოთ...

ბოლო დღეს ლოყები ოდნავ წამოუნითლდა. მართალი მიხვდა, სიცოცხლის უკანასკნელ გამონათებას რომ შეესწრო და დაიხარა:

— ბები, გესმის ჩემი?

ეფრომ მოულოდნელად თვალი გაახილა, მის მზერაში ცოცხალი აზრი იკითხებოდა. ბაგის ამოძრავება გაუჭირდა, ისევ და ისევ შეეცადა და საკმაოდ გამართულად, თუმცა დანაწევრებით, წარმოთქვა:

— გიცანი, მართალი, შვილო!.. მივდივარ... მელოდებიან... თხოვნა შემისრულე... გორის თავზე, ნაეკლესიარზე ამიტანე... იქ, საძირკველში ჩამმარხე... ქვა აიტანეთ.... კიბე...

ასე თქვა ეფრომ, ეს ითხოვა, ეს იყო გამზრდელის ბოლო სურვილი... ბაგე კიდევ უთრთოდა ცოტა ხანს, თითქოს რაღაცას ყვებოდა, მაგრამ ხმა არ გამოსდიოდა, პირისახე თანდა-თან გაუქვავდა, გაეყინა...

მართალიმ ხელისგული ღიად დარჩენილ თვალებზე ჩამოუსვა, დაუხუჭა...

ეფროს სული მარადისობას შეერთო.

— ჰო, კიბე უსასრულობაში მიდის!

ვიდექით მე და მართალი ბენელ აივანზე, წინ უძირო წკვა-რამი განფენილიყო და სადღაც შავი ყიამეთიდან მოიწევდა უბედურების მაცნე...

სიცივემ ამიტანა, გული კვლავ შიშით მითრთოდა.

— ახლა შუქი აინთება! — თქვა უცებ მართალიმ.

— რა?

— ამ დროს შუქს გვაძლევენ, ოღონდ ნახევარი საათით...

და უცებ განათდა...

აივანზე აბრდლვიალდა ხუთასვოლტიანი ელნათურა, კაშკაშა სინათლე გადააფინა წინაეზოს, ფოთლებისაგან გაძარცულ ხეთა ტოტებში ჩრდილ-ნათელი აათამაშა... ზალაში აინთო ექვსნათურიანი ჭალი და ეფროს მომცრო კუბოზე რძე-სავით ნათელი გადმოიღვარა. კუბოს ძგიდეზე თავმიდებული მარო გამოფხიზლდა, სუდარას დახედა და ავიშვიშდა:

— ვო, ეფრო, სო მეული სი ვოიჭარე!\*

თვალსაწირზე მერეთის რუკა გამოიკვეთა. ალმა-დალ-მა ჩამორიგდა ნათურათა მწკრივები, რაიც ქუჩებს გამოსა-ხავდა. წარმოება-დაწესებულებები შავ კუბებად მოჩანდა, რადგან ქვეყანასა და მის წარმოებას ღრმა ძილით ეძინა. მხო-ლოდ პრეფექტურის ფანჯრებში ციმციმებდა სინათლე, რი-თაც ხელისუფლება ადასტურებდა, აგერ, ფხიზლადა ვართო, თუმცა ამ სიფხიზლეში შიში და უმნეობა იყითხებოდა.

საიდანლაც ბათქის ხმა მოისმა, ქვემეხის კენტ ყეფასა ჰგავდა.

ოთახში, სუფრასთან სიჩუმე ჩამოწვა. მოულოდნელი შუ-ქისაგან გაოგნებული თანამეინახენი, ალბათ, ერთმანეთს შეჰ-ყურებდნენ და ვეღარა ცნობდნენ.

— შევბრუნდეთ? — მართალიმ მკითხა.

იმათან შებრუნება არ მინდოდა, ყური გამომეჭედა ურთიერთსაყვედურებით, წინასწარვე ვიცოდი, რომელი რას იტყოდა, მათი ღვარძლიანი კინკლაობა სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა.

— სახელოსნოში ჩავიდეთ! — ვთხოვე.

მართალიმ წამით იყუჩა. მისი გამომეტყველება ღმო-ბიერებასა და ჭოჭმანს ავლენდა, მერე მკლავზე შემეხო და კიბისაკენ მიმითითა.

შუალამე ახლოვდებოდა. ეზოში უკვე არავინ ჭაჭანებდა, მეზობლებიც გაკრეფილიყვნენ.

სახლის უკან, სალობიე ქვაბის ქვეშ მიმქრალი ცეცხლი ჯერაც ბოლავდა.

წინ გამიძლვა მართალი, კარი შეაღო.

ზღურბლს გადავაბიჯე და შევჩერდი.

სარდაფის სართული მთლიანად ეჭირა სახელოსნოს და, რაკი კარგად იყო განათებული, სივრცე იმაზე ვრცელი მო-მეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მხატვართა სახელოსნ-ები უფრო თავისი უნესრიგობით გვანან ერთმანეთს. ირგვ-ლივ იმდენი რამ ეყარა, ყოველივეს აღწერა რომც მომენდო-მებინა, ვერ მოვახერხებდი..

მზერა ბუხარზე შევაჩერე. სახელოსნოს შუაგულში, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ დიდი ნესტორის დროს იყო მკვიდრად ამოშენებული.

შიგ ახლაც ეყარა ნახევრად დანახშირებული შეშა და ფერფლი. პატრონი, ალბათ, აქ ხშირად იჯდა.

ბუხრისპირას ძველი, მონჯლრეული ტახტი იდგა, ზედ გაცრეცილი ფარდაგი ეფინა, მუთაქა და ძველი ნაბადი ეგდო.

— ხანდახან ამ ნაბადში გავეხვევი და ისე ვიძინებ! — ლიმილით მითხრა მასპინძელმა.

ნაბადი ავიღე, მოვიხურე, ტახტზე ჩამოვჯექი და მიმო-ვიხედე.

სხვადასხვა ზომის ჩარჩოები, ტილოს გრაგნილები, კარ-დონი, ხარიხები, ოთახის კიბე, თაროები, ზედ დაწყობილი წიგ-ნები, ფოლიანტები, ალბომები... საღებავის ტუბები, ფერადი შუშები, ფუნჯი, ფანქარი, ჩემთვის სრულიად გაუგებარი და-ნიშნულების ინსტრუმენტები...

კუთხეში დაზგა, ზედ რკინის კონსტრუქციები, შესა-დუღებელი აპარატი... თაბაშირი (ოპო, ქანდაკებაშიც უცდია ბედი!).

ოთხივე კედელი და ორრიგად ჩამწკრივებული აგურის სვეტები მთლიანად დახუნძლულია ნაირ-ნაირი ზომის ფერწე-რული ტილოებით (თუმცა მეოთხე, სიღრმის კედელს კარგად ვერ ვხედავ!)... ფერები, ფერები... ზოგი სადა, მინორული, ზო-გიც ჭაჭანება — თითქოს ტილოდან საღებავი იღვრება...

მერეთის გარემიდამო, ჩხერიისა და ხურჩას სანახები, მაცხოვრისგორა, შორეული, თოვლიანი მთები და ზედ გად- მომხობილი ცის სილურჯე...

პორტრეტები... პორტრეტების მთელი გალერეა — შემ- ზარავი, სატანისეული სახეები და გვერდითვე ანგელოზური ლიმილი... ნატურალისტური, ფოტოგრაფიული სიზუსტით ამო- ნერილი ტიპები და აბსტრაქციები, ფერთა ქაოსური განლაგება, დეფორმირებული ხაზები, საიდანაც სული გამოანათებს, ხან ცოდვილი და წარყვნილი, ხან უცოდველი და სუფთა...

სიტყვების ეს გროვა, რაც აქ დავახვავე, ჩემს უძლურე- ბას მეტყველებს მხოლოდ, რადგან მცირედაც ვერ გადმოვე- ცი რეალური სურათი.

— აქეთ წამობრძანდით! — ხმადაბლა მეუბნება მართა- ლი, კარგად ხვდება, ჩემზე რომ შთაბეჭდილება მოახდინა და თავს შებოჭილად გრძნობს, მორცხვობს. — იცით, მაღვე შუქს გამოთიშვენ!

ნაბადში უკვე ჩავთბუნდი, კალთებს მჭიდროდ ვიხვევ, რათა საღებავებიან ქილებს არ წამოვედო ანდა სამუშაოდ გამზადებულ მოლბერტს, ანდა გზად ახოხოლავებულ ხარიხ- ას, დაბლა ვიყურები და ამიტომაც, როცა გაჩერდა, კინაღამ ზედ გადავაწყდი.

— აი!

პირდაპირ ჩემ წინ უზარმაზარი ტილოა გადაჭიმული. ჭერიდან იატაკს წვდება, კედლიდან კედლამდე გაშლილა.

მაცხოვრისგორა — ჯოჯოხეთის საძირკველზე შემდ- გარი და ციური სამოთხისკენ ატყორცნილი... მთისძირი, მა- რადი ტკივილებით დახრული, მინისქვეშეთიდან გამომდინარე გამდნარი ლავა, ცეცხლის გიზგიზა ენები და კვამლის ხრჩოლ- ვა... ლევიათანის დაგრაგნილი სხეული, უხსენებელი, რომე- ლიც თავის შემზარავ რგოლებში ცოდვილთა მოგდებას ცდი- ლობს... ეშმაკის გროტესკული სიფათები, ბრბოში ხან აქ რომ გამოაჭყეტს, ხან იქ... ბრბო, მთისძირსა და ქვედა კალთებს რომ შესევია. ჯოჯოხეთის გეენაში ჩაცვენილნი ცდილობენ ტანჯვას განერიდონ და გზას მიიკვლევენ კიბისაკენ... ოღონ- დაც მრავლად არიან ცოდვილნი და მცირედ — პატიებულნი...

ძნელია სატანის ხლართებიდან თავის დაღწევა. მიწისქვეშა საუფლოდან ბანჯგვლიან ბრჭყალებს გამოყოფს იგი, რათა ქოსა ძღვიბიას კანჭში მისწვდეს და მოთუხთუხე კუპრში გა- დაუძახოს... ნესტორ თოვდუას ხმალი უპყრია და გავეშებული შებმია ქვესკნელიდან ამოზრდილ ურჩხულს... გერა კვარაც- ხელიას ფეხი შეუდგამს კიბეზე, რომლის საფეხურები თავისი მხრებით ზიდა, თუმცა ჯერაც წინ სახიფათო გზაა, რაკი ყოვე- ლი საფეხური, კალთაზე დაკლავნილი ყოველი ბილიკი დან- აღმულია ეშმაკეული ხრიკებით...

მაღლა და მაღლა მაცხოვრისგორის კალთები გაზაფხუ- ლის ფერებით შემოსილა, ხე-ბუჩქნარი ხასხასა ხდება, მწვა- ნე ზურმუხტისფერში გადადის...

აგერ ორი კაცი შესდგომია კიბეს, უზარმაზარი, თლილი ლოდი მხრებზე გაუდვიათ და მძიმედ მიეზიდებიან. წინ მავა- ლი მართალს ჰერცი , უკანა — ქრისტეშიას...

მთის თავზე მლოცველნი დგანან, ხელები ცისკენ აღუპ- ყრიათ, უფალს შესთხოვენ შველას... მართა ამოვიცანი, კეკე, ურიას უცოდველი ნაშიერი, საუკუნის დასაწყისში, გიმნაზიის კედლებში გერა კვარაცხელიამ რომ ვერ იხსნა კაზაკთაგან...

იქ, სადაც ადრე ეკლესია თეთრად ყელყელაობდა, ბრო- ლისფრად ილანდება ოთხი ნავი და გუმბათი, კუნუბზე კი ოქ- როს ჯვარი ანათებს ლურჯი ცის ფონზე.

ციურ სილურჯეში თეთრი ფთილებია, კიბის გამჭვირ- ვალე საფეხურებს რომ შესდგომია... თეთრი მტრედები, ანგე- ლოსთა სულები გაიელვებენ...

სულ მაღლა სპეტაკი ღრუბლის ქულა იბოლქვება, ზედ დიადი ბერიკაცის ოქროს ტახტი დგას...

იქიდან მოფრინავს მარადი მაცნე, უფლისაგან მოვლე- ნილი, რათა გვეუწყოს მაღალი ნება...

— ღმერთო! — ესღა ვთქვი და პირჯვრისათვის ხელი ავწიე.

მზერა დაბლა გამექცა და იქ, ტილოს კუთხეში საკუთარი თავი ვიხილე.

დაბალ ჯოჯოკოზე ვიჯექი, მუხლებზე ეტრატის გრაგნი- ლი მედო, ბატის ფრთას სამელნეში ვაწობდი და ვუყურებდი საყ-

ოველთაო ომს კეთილსადა ბოროტს, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, სასჯელისა და პატიების ამ პანორამას, რათა ყოველივე ეს ქართული მხედრულით ამ ეტრატზე გადამეტანა...

სიტყვა ყელში გამეჩირა, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

ამ დროს ბედმა მიშველა, უფრო სწორად, დენის კაცებმა, ნათურები განკაპუნდა და ყურუმ ბნელეთში აღმოვჩნდით — ჩვენც, სახელოსნოც, სახლიც, ქალაქიც... დენი გამოირთო.

უკვე ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ იმავე ადგილას ვიდექი მდუმარედ და ჩემს მეხსიერებაში კვლავაც ცოცხლობდნენ ჯოჯოხეთისა და სამოთხის ფერები...

სადღაც ისევ გაისმა ბათქი, ფანჯრის შუშები აწკრიალდა...

— შფოთიანი ღამეა! — მართალიმ ასანთი გააჩხაკუნა, აანთო.

სანამ ჩაუქრებოდა, დივანს მივალნიე.

— მირჩევნია აქ წამოვწევე! სტუმრებთან ბოდიში მომიხადეთ, სუფრას ვერ მივუბრუნდები!

წაბადში უკეთ გავეხვიე, წამოვწექი და მუთაქაზე თავი მივდე.

თვალი მეხუჭებოდა, დალლილი ვიყყავი.

— როგორც გენებოთ! — მართალის ხმა თითქოს შორიდან მომესმა, მისუსტდა.

ასანთი ჩაქრა, სიჩუმე ჩამოწვა...

დრო-ჟამის მარადიული მდინარება, კედლებიდან გადმომზირალი გოლიათების უტყვი საუბარი...

ყველაზე უფრო შთამბეჭდავი სწორედ ეს პორტრეტები იყო... პროვინციული ისტორიის გმირები ხომ სუსტნი და უღლნონი ვერ იქნებოდნენ. ისტორიას მხოლოდ დევგმირები ქმნიდნენ... აგერ მძლეთამძლე რევოლუციონერთა სამეული მოაბიჯებს მაღალი კედლიდან, ამათ შორისაა ნესტორ თოდუაც, გმირთა შორის გამორჩეული გმირი.

— ეს ჩემი ბაბუკაა! — თითოთ აჩვენა მართალიმ.

ქრისტეშიამ პირი დააღო და ისე უყურებდა, მერე მამას მკლავზე მოქაჩა:

— ჩემი ბაბუკა სადღაა?

მართალიმ არაფერი უპასუხა. მოგვიანებით, მრავალი ნლის შემდეგ გაიგო ქრისტეშიამ: ბაბუკა ტატაჩი სუსტი და უხერხემლო აღმოჩნდა, ეპოქამ დალენა, დაფქვა და მისი მტვერი დავიწყების მღვრიე მდინარეს გააყოლა. ეს რომ მართალის აქსნა, ბიჭი მაშინ ვერაფერს გაიგებდა, მაგრამ მერე და მერე, როცა მუზეუმის კედლებს გაუშინაურდა, უფრო კი მაშინ, როცა ბერი ზაქარაიას „პალიმფსესტი“ წაიკითხა, ქრისტეშიას თვალსაწიერზე წარმოჩნდა შემზარავი ლანდი მოლობისა, რომელიც შეუსვენებლივ ნთქავდა ყოველივეს, რაც სიცოცხლისა და სიკეთის თანაზირია.

წინაპართა იდუმალი მონოლოგები, ოქროსჩარჩოიანი პორტრეტებიდან რომ იღვრებოდა, მუდამ ყურში ჩაესმოდა ქრისტეშიას, ძილში ჩაჰყვებოდა და ცხადში მის ფანტაზიას კვებავდა. სიყმანვილიდან გამოყოლილი წყურვილი დროის შეცნობისა არასოდეს უნედლებოდა. მუზეუმისა და ქალაქის მწირი ბიბლიოთეკები ამ წყურვილს ვერაფრით კლავდენ, რადგან უსახური წიგნების იდეოლოგიზირებულ ჩენჩოში სიმართლის სანაცვლოდ მშრალი ტრაფარეტები თუ ამოიკითხებოდა, რომელთა მიზანი ჭეშმარიტების გაცხადება კი არა, სიტყვის საბურველქვეშ მისი ჩამარხვა იყო. ქრისტეშია ცდილობდა, ეს საბურველი მოეხსნა, სუსტი სინათლით ბნელი გაენათებინა, სადაც ცოდნა არ ყოფნიდა, იქ ინტუიციას მინდობოდა... ასე დაწერა კიდეც სტუდენტური საკურსო ნაშრომი

პატარა ქრისტეშია მამამ მუზეუმში წაიყვანა. ცხელი და ხმაურიანი ზაფხული იდგა, ჰაერში ოფლისა და ყვავილების სურნელი ტრიალებდა. ქუჩებში, ბულვარში ხალხმრავლობა იყო. შინ არავინ ჩერდებოდა და ქალაქი საკვირაო ბაზარს დაემსგავსა. აქ კი, მაღალ ჭერსა და ფართო კედლებს შორის სივრცე, სინათლე და სიგრილე ბატონობდა. ბიჭის გაფაციცებულ სმენას სწვდებოდა ჭაღების ჩუმი წკრიალი, მუხის პარკეტის მორიდებული ჭრაჭუნი, შუშის კარადებში გამომწყვდეული

— „გერა კვარაცხელიას რელიგიური წარმოდგენები“, რის გამოც ზემოდან რისხვამ არ დააყოვნა.

მაშინ იყო, ინსტიტუტის რექტორმა ბენო ლაგვილავამ რომ იხმო და მამაშვილურად დაარიგა:

— წერ შენ კარგად, შთამბეჭდავად, მაგრამ იდეოლოგია გაქვს არასწორი. ეს გზა ცხოვრებას გაგიმრუდებს. იცოდე, მარქსიზმის ტიტანური ნააზრევი შენ წინ წიგნების კედლად აღიმართება და, თუ შეუჩერებული, ზედ გადმოგემხობა, გენიალური იდეოლოგების წიგნებში ჩაიმარხები. იარე გზით, ჩვენზე ჭკვიანებმა რომ გაკვალეს! გერა კვარაცხელია ცნობილი ბოლშევიკი-რევოლუციონერი იყო. ბოლშევიკებს ათე-ისტური რწმენა ჰქონდათ, გერას რელიგიურობა საიდან მოიტანე? კიძეს კი აშენებდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ეკლესიაში, მთაზე რომ იდგა, კლუბი გაეხსნა... დიახ!

ქრისტეშიამ ვერაფერი უპასუხა. რექტორი ასაკოვანი კაცი იყო, ძველი პარტმუშაკი, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ნამუშევარი, უკვე სიჭარმაგეში დაიცვა დისერტა-ცია ჩაის კრეფის მოწინავეებზე და ამ სავარძელსაც მაშინ გა-მოკრა ხელი. „ჭკვიანად თუ იქნები, კურსის დამთავრების შემ-დეგ ჩემს ლაბორატორიაში დაგტოვებ!“ — ასე უთხრა და ამ დროს თვალებში სიკეთის ცრემლები აუკიაფდა, თუმცა ქრის-ტეშიამ მადლობის სათქმელად ჯეროვანი სიტყვები ვერ მოი-ძია. ლაგვილავას ლაბორატორიაში, რომელიც სულ ერთი ოთახისაგან შედგებოდა, კედლებზე ჩაის მკრეფავების პორ-ტრეტები ეკიდა, კარადებში ჩაის ნიმუშები ელაგა, ლაბორან-ტები კი იმას აღრიცხავდნენ, თუ რამდენი სოციალისტური შრომის გმირია ჩაის დარგში და აქედან რამდენია ქალი, რამ-დენი კაცი და რომელ წელს ვინ რამდენი დაკრიფა. ქრისტე-შიამ იცოდა, რომ ერთი გმირის სახელის შესაქმნელად მთე-ლი სოფელი კრეფდა და პატარ-პატარა ტყუილებით დიდი ტყუილი კეთდებოდა, ამიტომ ჩაის კრეფის თემას ისევ უტუ მიქავას აჯანყების თემა არჩია და სადიპლომოდ ის გაიხადა.

მერე იყო დაუსწრებელი ასპირანტურა და მეცნიერ-მუშაკის მცირე ხელფასი მუზეუმში.

ქალბატონმა მრავალამ, მუზეუმის დირექტორმა (ესეც ბენო ლაგვილავას ნაშეგირდალი გახლდათ და საკოლმეურ-ნეო ბრიგადების თემაზე მუშაობდა) ახალი თანამშრომელი ნაზად მიიღო, ვიწროდა ვართო, ჩაინუნუნა, თუმცა მისი კაბი-ნეტი რაიკომის მდივნის კაბინეტს დიახაც რომ გაეჯიბრებო-და, და შენობის ადმინისტრაციული ფრთისაკენ ფეხსაცმე-ლების ბაკიბუკითა და კრეპსატინის კაბის ფრიალით წარუქდ-ვა. გზა-გზა დერეფნის გასწვრივ ჩამნკრივებულ კარებს აღებდა, შიგ ქრისტეშიას ახედებდა და თვითონაც თვალს შეავლებდა. ეს ოთახები საწერი მაგიდებით იყო ჩახერგილი და, თუმცა შიგ არავინ იყო, ქალბატონი მრავალა ჭაბუკს უხს-ნიდა, ყოველი მაგიდა მავანი მეცნიერ-მუშაკისაა, თავისუ-ფალი არც ერთი არააო... ქრისტეშიამ თავი ზედმეტად იგრძნო და ხელის ჩაქნევა დააპირა, როცა ქალბატონმა მრავალამ ბოლო კარი შეაღო და ისეთ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც თაგ-ვი კუდს ვერ მოიქნევდა.

— მისალაგებელია! — ჩაიღუდუნა ქალბატონმა მრავალამ.

სინათლე ვიწრო, ბოტანიკურისაკენ პირმიქცეული სარ-კმლიდან აღწევდა. კედლის გასწვრივ ორი ასაკოვანი, მო-ჩუქურთმებული და ღრმად დამტვერილი კარადა იდგა, რომ-ლის თაროები ქალალდებით, ალბათ, საბუღალტრო საბუთე-ბით გამოეტენათ... სარკმელთან ქრისტეშიამ შეამჩნია პატა-რა, ლამაზი სეკრეტერი და ერთადერთი, ოდნავ წაფერდებუ-ლი სკამი... („მოყანყალებულია!“ — აღნიშნა გუნებაში).

— მყუდროდ იმუშავებ! — მრავალას ქალური სინაზე ვერაფრით ესადაგებოდა მის ტვინში ჩალაგებულ მოწინავე ბრიგადირთა სიას. — დამლაგებელს ვუბრძანებ, მტვერი მაინც გადაწმინდოს!

— ნუ წუხდებით, მე თვითონ მივხედავ!

მიხედა კიდეც!

გამოგავა, დაასუფთავა, მტვერი გადაწმინდა.

სეკრეტერთან სკამი მისწია, ფრთხილად დაჯდა. სკამი ჭრაჭუნებდა, მაგრამ სეკრეტერის დამრეცი ზედაპირი მო-ხერხებული იყო საწერად.

ორი პატარა უჯრა ჰქონდა სეკრეტერს, ერთში გაყვითლებული ფოტოების გროვა აღმოაჩინა, მუზეუმში გამოფენილი პორტრეტების ფოტოასლები, მეორეში — ქალალდის შეკვრა იდო, ძევლ გაზეთში გახვეული.

„ვისი უნდა იყოს?“ — გაიფიქრა ქრისტეშიამ, შეკვრა გახსნა და შიგ თაბახის თეთრი ფურცლები იპოვა. მთლად ჩვეულებრივს არ ჰგავდა, როგორებიც მერეთის საკანცელარიო მაღაზიაში იყიდება, ამას სიძველის ფერი დასდებოდა.

ყოყმანით თავი გააქნია. დასტა უკანვე, უჯრაში შეინახა. ვერ გაბედა, უბრალო, საწერ ქალალდად გაეხარჯა, რადგან ინსტინქტი კარნახობდა, უნებლიერ რაღაც საიდუმლოს შევეხეო...

მერე და მერე, როცა ბიბლიოთეკის წიგნებს ანდა არქივის გაცრეცილ ქალალდებს შემოიწყობდა, რათა იმ ცნობილი აჯანყების თაობაზე ნამცეც-ნამცეც მოეძია რაიმე ახალი, აქამდე უცნობი, მისი ფიქრები მთლიანად ამით იყო დაკავებული და, თუმცა უჯრაში ჩადებული დასტა არ დავიწყებია, იგი არც ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, ეგდო თავისთვის, როგორც აქამომდე, დრო კი მიედინებოდა ხან აჩქარებით, ხან ნელიად და, ალბათ, მაშინ დამთავრდებოდა ეს ამბავი, როცა მეცნიერმუშავთა რომელიმე ძველი თაობის მხცოვანი წარმომადგენელი, ბუნებრივი შერჩევის კანონის თანახმად, გაღმა გაემგზავრებოდა და მაგიდებით ჩახერგილ რომელიღაც ოთახში ერთი ადგილი ქრისტეშიასთვის განთავისუფლდებოდა, სეკრეტერიანი ოთახი კი კვლავ ჩაიკეტებოდა და მის ღარიბი ინვენტარს მტვრის სქელი ფენა დაფარავდა.

მაგრამ საიდუმლო, რაც გინდა დიდხანს იყოს დაფარული, ერთხელ ცხადი გახდება.

— გავიგე, ჩვენი ბერი ზაქარაია სიკვდილის პირასაა, — მამამ ამბავი დაახვედრა სამსახურიდან დაბრუნებულს, — წავიდეთ, მოვინახულოთ!

ხილი და ტკბილეული წაიმდლვარეს და წავიდნენ.

კარი ნატაშამ გაუღო, რუსის ქალმა. თვალები დასიებოდა. სტუმრებს ძლვენი ჩამოართვა.

— რატ უნდა საჩმელი, არაპერს არ ჩამს!

ბერი გონდაკარგული იწვა, თავი მაღალ ბალიშზე მიედოდა მძიმედ სუნთქვავდა.

სიტყვა ზედმეტია, ამქვეყნისა უკვე არ იყო.

ქრისტეშია მდუმარედ დაჟყურებდა მომაკვდავს, მართალიმ კი, უფრო იმიტომ, რამე მაინც რომ ეთქვა, ხმადაბლა იკითხა:

— ექიმი იყო?

— ეკიმი არ უშველის! — მდუღარედ შეეპასუხა ნატაშა.

— ვერავინ უშველის! მე ვერ უშველი!

მართალიმ ამოიოხრა.

— სულ ბოდამს, ბოდამს! — ქალს უპეები გაშრობოდა, თვალები უხურდა. — კაგალდი, კაგალდიო... მე რა ვიცი, რა კაგალდი...

— ქალალდი? — ქრისტეშიას თითქოს ქიმუნჯი წაჰკრესო.

— ჰო, მუზეიშიო, სეკრეტში დაცერილი კაგალდიო... ბიჩო, შენ მუზეიში მუშაობ?

— კი, ვმუშაობ! თუ რამეა, ვნახავ!

მეორე დღეს შინ წამოილო ის შეკვრა, გაზეთი შემოაცალა და მამას უჩვენა.

მართალიმ ერთი ფურცელი აიღო, სინათლეზე გახედა. მერე სანთია აანთო და ქალალდი ალის ენასთან გაატარა. იქ, სადაც ფურცელი შეიტრუსა, მოულოდნელად ლამაზი კალი-გრაფიით გამოყვანილი სიტყვები გამოიკვეთა.

— ტექსტია! — წამოიძახა ქრისტეშიამ.

— ჰო, ბერის ხელია! — მშვიდად დაუდასტურა მართალიმ და სიტყვები მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა: — „ეს-იზმრა მას, მართალი თოდუას...“ — ფიქრიანად შეხედა შვილს.

— რას უნდა ნიშნავდეს ნეტავი?

— ეს ბიძია ბერის უნდა ვკითხოთ, გონს თუ მოვიდა!

ოლონდაც ბერი ზაქარაია გონს ვერ მოვიდა და ქრისტეშია ტექსტს თვითონ ჩაუჯდა.

ბერი ზაქარაიას ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველზე ენერა „1947“, მეორეზე — „1953“. კალიგრაფია არაჩვეულებრივად ლამაზი ჰქონდა ბერის, ყოველი ასო-ნი-შანი დახატულივით იყო, მაგრამ ქრისტეშიას ფურცელი პატ-რუქის აღზე ეჭირა და ტექსტის ასო-ასო ამოკითხვალა შეეძლო. მძიმე და ხანგრძლივ შრომას შეება ქრისტეშია. მის წინაშე ნაბიჯ-ნაბიჯ იხსნებოდა იდუმალი საბურველი, პროვინციული მოვლენების ისტორიას აქამომდე რომ ეფინა — ეს იყო გულმართალი, თუმცა მშრალად აღნუსხული ქრონიკა უამისა იმ დროიდან მოყოლებული, როცა მართალიად წოდებული უტუ თოდუა დაბრუნდა რუსთა ქვეყნიდან, იმ დრომდე, როცა მაცხოვრისგორის ნაეკლესიარზე სატანის კერპი აღიმართა. ტექსტს, რა თქმა უნდა, მწერლის კალამი აკლდა (რაზეც ბერი არაერთგზის ბოდიშობდა!), ავტორი საგანგებოდ გაურბოდა ფანტაზიებსა და ჭორებს და მხოლოდ იმ ფაქტებს გადმოგვცემდა, რისი თვითმხილველიც ან თვითონ იყო, ანდა სარწმუნო წყაროებიდან ჰქონდა გაგებული... ამ ტექსტიდან ამოიკითხებოდა ფათერიკიანი ცხოვრება სამი რევოლუციონერისა — გერა კვარაცხელიასი, ძლვიბი თოლორაიასი და ნესტორ თოდუასი; აგრეთვე, მათი შთამომავლებისა, რომლებიც ისტორიის მწირ ველებზე ზედმეტად არ გამრავლებულან, რადგან შვილებს გაუჭირდათ მამათა ცოდვების ზიდვა, პოლიტიკური უდაბნო ხომ ისედაც სიცოცხლეს უსწრაფებდა მის გმირებს. ამბები კრიალოსანივით იყო აკინძული, ერთი მოჰყვებოდა მეორეს და ყოველი ამბის დასასრულს ასომთავრულით ახლდა მინანერი: „უფალო, მომიტევე! უფალო, მომიტევე!“ საკუთარი სისუსტის გამო ითხოვდა მიტევებას ბერი ზაქარაია, სხვათა და სხვათა ცოდვებსაც თვითონ ტვირთულობდა და იმათ მაგიერადაც თხოულობდა მიტევებას.

იჯდა საწერ მაგიდასთან ქრისტეშია, წინ ქალალდის დასტა გაეშალა. პატრუქი ენთო. ფურცელს გაატარებდა აღზე, შეტრუსავდა და იქიდან ახალ-ახალ სიტყვებს კრეფდა. მეზო-

ბელ ოთახში თამაშობდნენ მისი ბიჭები — ნესტორი და ტატარი, ავინცყდებოდათ, რომ მამიკო სიჩუმეს ითხოვს და ყიუინას დასცემდნენ, ლელა კი ბავშვებს დატუქსავდა — „ჩუმად, ჩუმად, მამა მუშაობს!“

მამა მუშაობდა... იღლებოდა... არა იმით, რომ სხვის ტექსტზე თვალებს იღამებდა, არამედ იმით, რაც შიგ ენერა... ხანდახან გულის სიღრმიდან ოხვრა აღმოხდებოდა და ბერის ნარმოსახულ ხმას საკუთარსაც ჩაურთავდა:

„მომიტევე, მომიტევე, უფალო!“

მხოლოდ ერთხელ უთხრა მართალის საყვედურნარევი კილოთი:

— სტალინის ძეგლი მაცხოვრისგორის თავზე თურმე პატიმრებს აუშენებიათ, აკი კომკავშირული სამეულიო...

— ეჱ, შვილო, კარგა ხანია კომკავშირელი არა ვარ! — უპასუხა მართალიმ და ამ სიტყვებში ქრისტეშიამ მიტევების თხოვნა ამოიკითხა.

შვილი ვერ იქნებოდა მამის მსაჯული, მას ისლა დარჩენიდა, უფლისათვის მიერართა: მომიტევე მე, მიუტევე მამას, მიუტევე ყველას, ყველას, ყველას!..

დიდხანს გაგრძელდა ფუტკრისადარი მუშაკობა, უფსკრულში ჩასვლა და სულის განსპეციალისა...

ეფრო ბებიამ ჰკითხა ერთხელ, აივანზე დადარაჯებულმა:

— მწერალი გახდი, ბიჭო?

— არა, ბებია, მე მხოლოდ გადამწერი ვარ!

„გადამწერი!“ მათს ქუჩას ხომ დაანათლეს სახელი მამუკა თავაქალაშვილისა, კაცისა, რომლის ღვანლი ტექსტის გადაწერა იყო... ამის გაფიქრებამ ღიმილი მოჰყვარა და, ფარული სიამაყე რომ მოეთოკა, სულში ეშმაკი რომ არ გაელადებინა, პატარა ხატთან იღოცა, ეფრო ბებიას რომ ეკიდა კედელზე...

და, აჟა, გასრულდა ეს საქმე! დღე იყო გაზაფხულისა, მზიანი, ნათელი, უამი იების ყვავილობისა... ქრისტეშიამ ხელი ჩაჰკიდა ბიჭუნებს — ნესტორსა და ტატარის და სასაფლაოსკენ წაიყვანა...

ახლა მერეთში რამდენიმე სასაფლაოა. ადრე მხოლოდ ერთი იყო, ისიც ქალაქის განაპირას, იქ, სადაც აღმოსავლეთის გზატკეცილი შემოდიოდა. მერე და მერე, ქალაქი რომ გაიზარდა, განივრცო, ახალმა ქუჩებმა და სამოსახლოებმა სასაფლაო შუაში მოიმწყვდიეს, ოთხივ მხრივ საზღვარი დაუდეს. ქალაქმა მაღალი გალავანი შემოავლო, რკინის ჭიშკარი შეაბა და აქ მხოლოდ იმათ მარხავდნენ, ვინაც უამთასვლის ყანაზე შესამჩნევი ხნული გაავლო... ჯერ კიდევ უტუს, მართალიად წოდებულის დროს დარგული ნეკერჩხალი, თელა და მუხა ცას ეტანებოდნენ და ამ მარადიულ განსასვენებელს ჩრდილს აფენდნენ. უბრალო, მიამიტი საფლავები კარგა ხანია ბაზალტითა და მარმარილოთი შეიცვალა, რაც მერეთელთა შეძლებას მოწმობდა. ამ გალავნის მიღმა უქონელი ისევე ვერ გააღწევდა, როგორც მათხოვარი სამეფო პალატაში... თუმცა ძალა და ფული ყოველთვის როდი მოერევა კაცთა მეხსიერებას. შესასვლელთან, ხელმარჯვნივ, რკინის ლობურის მიღმა, ბეტონის განაცრისფერებულ კვარცხლბეკზე კვლავაც მამაცურად შემართულიყო სამი ფიგურა სამი ცნობილი რევოლუციონერისა... რკინაბეტონის ამ გოლიათებს ვერცხლის საღებავი ალაგ-ალაგ ასძვრა, ბზარები დააჩნდა, მაგრამ ისინი მაინც მხედ მოაბიჯებდნენ უსასრულო დროში.

თვალი შეავლო ქრისტეშიამ ამ დევგმირებს, პირჯვარი გადაიწერა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ღმერთო, შეუნდე ამათ, რამეთუ არა უწყოდნენ...

ბიჭუნებმა მამას მიჰპაძეს, ამათაც პირჯვარი გადაიწერეს, თუმცა კაცის სიტყვებს ვერაფერი გაუგეს.

აგრ აქვე იყო მართას საფლავიც, ქვიშის უბრალო ბორცვაკი, რომლის თავთით თლილი ქვა იდო, ზედ არც ჯვარი, არც ვარსკვლავი, არც წარწერა რამენაირი... ან იყო კი საჭირო? მართა რახანია შეერწყა მარადისობას და იების ეს პატარა კონა მხოლოდ იმას მოწმობდა, რომ ადამიანის კვალი მანამდე არსებობს, სანამ ის მეხსიერებას შერჩენია.

ბერი ზაქარაიასათვის სასაფლაოს შორეულ კუთხეში ძლიერ მოინახა ადგილი. ისიც იმიტომ, რომ ოდესლაც მუზეუმის დირექტორი იყო, მეცნიერად ითვლებოდა და რეპრესირებულ-პატიებულთა სიაში ენერა. ქალაქმა მოწყალება მოიღო

და რკინის უბრალო თეჯირი შემოავლო საფლავს, თავთით კი ვიღაც ღვთისნიერმა რიყის ქვა დაუდო...

უპატრონოდ იყო მიგდებული, ნარშავა მოსდებოდა.

ქრისტეშია უხმოდ მიეტანა, ბლუჯა-ბლუჯა, ძირიანად თხრიდა ნარშავას და თეჯირს მიღმა ყრიდა. წესტორი და ტატაჩიც წაეხმარნენ, წესტორი ჩუმად ხვნეშოდა, ტატაჩი კი ტიტინებდა, ენას ვერ აჩერებდა:

— ცოდნა, ხომ, მამა? ასეთი ცუდი ბალახი ამოსულა... ის კი ქვევიდან იჭყიტება და დარდობს, ყველამ დამივიწყა, არავინ მაკითხავსო... სხვაგან რამდენი ყვავილია, აქ კი ეს ცუდი ბალახი...

ქრისტეშიამ სანთელი აუნთო, თავთით, ქვაზე დაამაგრა და ხმადაბლა ჩასძახა:

— ბიძია ბერი! ვიცი, საფლავში ჩაგყვა საწუხარი! გიხაროდეს, საიდუმლო გაცხადდა, რისი თქმაც გენადა, ამოკითხულია! მე წავიკითხე და სხვებიც წაიკითხავენ, ამას გპირდები!.. ცხონდი, ბერი ბიძია!

\*\*\*

წლები დასჭირდა დაპირების შესრულებას. ის, რაც მოთხოვილია ამ წიგნის პირველ ორ მონაკვეთში, ბერი ზაქარაიას ქრონიკებშია გადმოცემული და იგი ცენზურის ბრჭყალებს მაშინ ვერ დაუძვრებოდა. „პალიმფსესტმა“ სინათლე მერელა იხილა, როცა წესტორი და ტატაჩი უკვე დავაუკაცდნენ, თუმცა ამ დროისათვის ბევრ რამეს ისედაც აეხადა ფარდა.

13

წესტორი უფრო წარმოსადეგი იყო, დიდთავა, ბეჭგანიერი, ძვალმსხვილი, ოდნავ შესუქებული, ზარმაცი და ნელი, ძილისა და ჭამის მოყვარული, თუმცა ხარივით გამძლე და გამნევი, ხოლო ტატაჩი — ცქაფი, ნერვული, მოუსვენარი, მოლა-

პარაკე, უღონო სწორედაც რომ არ ეთქმოდა, მაგრამ უფროს ძმას ორივე ხელითაც ვერ გადაუწევდა მკლავს და უმცროსის ტვირთი, როცა ეს საჭირო გახდა, თუნდაც მეომრის ზურგ-ჩანთა და ავტომატი, უფროსს ჰქონდა წამოკიდებული, რაკი ტატაჩი შორ გზებს ვერ უძლებდა, ნესტორს კი ათი იმდენიც ჩიტის წონად ეჩვენებოდა.

წამოიჩინენ თოდუები და გაფიქრებაც ვერ მოასწრეს, ეს რა სამყაროში მოვხვდითო, სკოლის მერჩიდან პირდაპირ მიტინგურ მდელვარებაში აღმოჩნდნენ, მანიფესტაციათა მდინარებაში, ბრძოლის ჩოჩქოლში, რაიც წყალდიდობასა ჰგავდა... თუმცა მდვრიე მდინარეში ცურვა ბიჭებისათვის ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი იყო და მათი არსებობის კალენდარული განრიგი ამით დიდად არ შეცვლილა. ნესტორი, როგორც ეს მის ბუნებას შეეფერებოდა, ძილსა და ჭამას მშიერ დროშიც ვერ მოიკლებდა, ხოლო ტატაჩის გული უფრო ქალებისაკენ მიუწევდა. ამიტომაც იყო, რომ სანამ ნესტორი ყურებს გამოიბერტყავდა, ტატაჩიმ უკვე მონახა გოგონა, რომელსაც საკოცნელი ტუჩ-პირი ჰქონდა და სახელიც ლეგენდარული ბებიისა ერქვა — მართა. ბევრი ჭოჭმანი არ დაუწყია, უკანა, ორსაწოლიანი საძინებლიდან უფროსი ძმა ზალაში გააბრძანა, თვითონ კი თავისი მოწონებული ლოგინში ჩაიგორა — ხორცავსე და ვნებიანი...

ოღონდაც, დიდხანს ნებივრობისათვის არავის ეცალა. ტატაჩის ბედნიერება მოკლე აღმოჩნდა და სწრაფმავალი. ოჯახის კაცები ქვეყნის ორომტრიალში ჩაერთვნენ და მოუცლელობის სენით დაავადდნენ. კრება, მანიფესტაცია, მიტინგი, ქურდულ-პოლიტიკური გარჩევები ცხოვრების წესად გადაიქცა. მართალი თოდუას სიყმანვილის ის წლები შეუბრუნდა, როცა უამრავი ადამიანის წინაშე მაღალი შემართებით ლექსს დააქუხებდა და მსმენელთა ტაშს იმკიდა. სათქმელი ყველას ერთნაირი ჰქონდა — თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ძველის ნგრევა და ახლის დაფუძნება... მთავარი იყო ლოზუნგი — „ყველანი ერთად! ყველანი ერთად! ყველანი ერთად!..“, რაიც ამ ეტაპზე მეამბოხეთა წარმოდგენების ქვაკუთხედად აღიქმებოდა... მართალის მგზნებარე გამოსვ-

ლებს მუდამ ჩაეგვირისტებოდა პოეტის სიტყვები — „ყველა ჩემი სამშობლოა...“ ან „ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად...“ ანდა „სხვა საქართველო სად არის...“ ან „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“ ან „წუხელის ბიჭი დაბადებულა...“ და ასე დაუსრულებლად... ქრისტეშია, ნესტორი და ტატაჩი მუდამ მის გვერდით იდგნენ. აღფრთვანების ცრემლით თვალდაბინდული მხოლოდ ამათ სახეებს ხედავდა და ვეღარ ამჩნევდა, რომ ამ სიჭრელეში სხვა სახეებიც ერია — ზოგში ფანატიზმის ალი კრთოდა, ზოგში დაუსჯელობის სიხარული, ზოგში გამორჩენის, ფონად კი, იქ, სადაც სიალალე შეზღუდულობას შეზრდია, მსხვერპლად შეწირულთა უმრავლესობა იგულისხმებოდა...

დროულად ვერ დაინახა მართალიმ ბზარი, ისედაც ყოველთვის რომ არსებობდა, მაგრამ დაფარული იყო. მერე და მერე გაფართოვდა და დადგა ის დღეც, როცა საყოველთაო, დეკლარირებული სიყვარული მძაფრ სიძულვილში გადაიზარდა, „ყველა ერთად“ გადაიქცა „ყველა ცალ-ცალკედ“, დიდი სიმართლე დაქუცმაცდა უთვალავ, პანაზა სიმართლებად, სიყვარულის მუხტს რომ ვეღარ ასხივებდნენ. სიყვარული უფალია, უფალი კი განუდგა თავის რჩეულ ერს და სჯიდა მას სიკერპისათვის, იმისათვის, რომ გულიდან ანგელოზი განდევნა და ეშმაკი შეუშვა... ჭალარა მოუმრავლდა მართალის, წნევა დასჩემდა, გულის არითმია... მზერაში უკვე აღარ ანათებდა აღფრთოვანება, სიტყვას არ ახლდა მგზნებარება და დამაჯერებლობა...

ხანდახან შინ შემოირპენდნენ კაცები, ლოდინისაგან თვალგაწყალებულ ქალებს მოინახულებდნენ. მართალი ეფრო ბებიას გამოელაპარაკებოდა, უწყინრად ექილიკებოდა. ეფრო შეუვალი და მკაცრი იყო, სადაა ბარიკადები და დროშები სად ფრიალებსო, მზად იყო, ძველებური შემართებით ცხენზე შემჯდარიყო და მტერზე გაელაშქრა, თუმცა ამ სკამიდან წამოწევა უჭირდა... ქრისტეშია ლელასთან განმარტვდებოდა, დიდხანს და ცხარედ ჩურჩულებდნენ, უფრო ოჯახურ წვრილმანებზე, რაიც ყველაზე რომანტიკულ ეპოქაშიც ცხოვრების დიდ ნაწილს ავსებს... მით უფრო ახლა, როცა ოჯახის

უღელი მთლიანად ლელას დააწვა, ჩუმ-ჩუმად ვალოკორდინის წვეთებს სვამდა და სიბრალულით გადახედავდა მართას, რომელსაც თვალები წამდაუწუმ უწყლიანდებოდა, ყოველ გაფაჩუნებაზე, ჭიშკრის გაჭრიალებაზე, „ე, ტატაჩი!“ — წამო-იძახებდა, მაგრამ იმედგაცრუებული წითლდებოდა და ახალ-გაზრდა დედამთილს ემალებოდა, რათა თავისი გულის ტკენა და წუხილი ცრემლში ჩახელბო... ტატაჩი მოკლე სალამს ეტყო-და ეფრო ბებიას, სიმბოლურად აკოცებდა დედას და მართასკენ მიიჩეაროდა. ქალი უმალ ცრემლებს გადმოყრიდა, გულში დაგუბებულ საყვედურებს შეაგებებდა, ჭიჭყინებდა, მაგრამ ტატაჩი ლაპარაკს არ აცლიდა, აიტაცებდა, მკლავებზე გადაი-წვენდა და კონცაში ჩაახრჩობდა... იმდენს ეფერებოდა, ჭიჭყინსაც ავიწყებდა და თავსაც... ნესტორი კი ამ დროს ზალაში, ტახტზე გაიშოტებოდა და ცხელი ღომის მოლოდინში ხვრინ-ვას ამოუშვებდა...

ერთხელ ტატაჩიმ რევოლუციი მოიტანა, საუზრნალო მაგიდაზე გაზეთი დააფინა. იარაღი დაშალა, დაზეთა, ხელახ-ლა ააწყო, შვიდი ტყვია მჭიდში ჩაატკაცუნა, ხან იმ კედელს უმიზნა, ხან ამას... მართას შიშისაგან გული უსკდებოდა, უცა-ბედად გაუვარდება და ხიფათს გადავეყრებით.

— ლივერი რად გინდა? — საწყლად ჰკითხა.

— კაცი ვარ! — ამაყად უპასუხა ტატაჩიმ. — იარაღი კა-ცისათვის აუცილებელია!

შეკამათება ვერ გაუბედა მართამ, დედამთილს გაენდო, შიშით ბალიშზე თავი ვერ დამიდვია, იმის ქვეშ „ლივერი“ დევსო.

— ჩემს უჭკუო შვილს რა მოეკითხება, როცა ქმარი გამი-ჭალარავდა და ისიც თოფ-ტყვიაზე ჭკუას კარგავს! — დაამშ-ვიდა ლელამ.

ქრისტეშია თოფ-ტყვიაზე ჭკუას არ კარგავდა, მაგრამ მოვიდა დროის მაცნე და ქუდზე კაცი მოიხმო.

— შენ შინ უნდა დარჩე, მამა! — უთხრა ქრისტეშიამ მარ-თალის. — სანამ სიბრძნე და სიტყვის ნიჭი გვჭირდებოდა, გვერ-დიდან არ გვშორდებოდი. ახლა ლაპარაკის დრო დამთავრდა, ომის დრო დადგა. შენი ხელები ფუნჯსაა შეჩვეული, თოფი არ

მოგიხდება! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაასრულო ის ტილო?

— თითო სახელოსნოს სიღრმისაკენ გაიშვირა.

სახელოსნოში, მაგიდაზე, სამი ერთნაირი, „აკმ-ის“ სისტე-მის ავტომატი იდო, ვაზნის მჭიდები და რამდენიმე „ლიმონკაც“.

— დიახ! — თავი დახარა მართალიმ, ერთხანს დუმდა, მერე ბიჭებს გადახედა, ქრისტეშიას თვალი გაუსწორა და ასე თქა: — ჩემს ხელებს თოფი მართლაც არ მოუხდება, ვერც ღონები გაგეჯიბრებით უკვე, ომი არ არის ჩემი საქმე, სისხლი ჩემი ხელით არ დაიღვრება, მაგრამ ნუთუ შენ ფიქრობ, რომ თქენ გაგიშვებთ, მე კი გულმშვიდად დავჯდები ტილოს-თან?.. ომი, შვილებო, მარტო ავტომატი და ტყვია-წამალი არ არის, ომი კარტოფილის დათლაცაა, წვნიანის მოხარშვაა, საც-ვლების რეცხვაა, ფრონტიდან დაჭრილის გამოყვანა და ჭრი-ლობის შეხვევაა... ომი ადამიანს კლავს, მაგრამ ომი მომაკვ-დავის გადარჩენაცაა... დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი!

ეფროს დაემშვიდობა მართალი:

— მელოდე, ბები, იცოდე, აქ დამხვდი!

— შენს დაბრუნებამდე არ მოკვედები, შვილო! — ხრინ-წიანი ხმით შეეპასუხა ეფრო. — შენი ხელებით უნდა დამიხუ-ჭო თვალები!

— მელოდე, ლელა! — ქრისტეშიამ დაუგდო ცოლს.

— გველოდეთ, ეფრო ბები, დედა... — ნესტორმა.

— მელოდე, მართა! — ტატაჩიმ.

ეფრო კუმტად იცქირებოდა აივნიდან, ლელამ ნეკა თითით ცრემლი მოიშორა, მართა კი ნაწყენი ბავშვივით ატირდა.

კაცები თეთრ „ნივაში“ ჩასხდნენ და წავიდნენ...

— დაცარიელდა სახლი! — ამოიხორა ლელამ, ატირე-ბულ რძალს მკლავზე ხელი ჩამოუსვა. — ახლა მთავარია, კერა არ ჩავაქროთ და კაცებს დაველოდოთ!.. დაწყნარდი, გენაც-ვალე, შენ იმდენს ტირი, მგონი რაღაცა გჭირს!

— ჰო! — მართამ ცრემლები ხელისგულებით შეიმშრა-ლა და გულუბრყვილოდ დასძინა: — უკვე ორ კვირას გადა-ვაცილე!

— დიდ ბებიასთან მიდი, მუცელზე ხელს დაგადებს და უმალ მიხვდება, გოგო გყავს თუ ბიჭი! — გაუღიმა ლელამ. —

ისე, ბიჭების ბედი უფრო გვაქვს... ვინ იცის, კაცები რომ ომში წავიდნენ, უფალმა ერთი კაცი აქაც დაგვიტოვა. — პირზე ლი-მილი გაუქრა: — ეჱ, ხუმრობის დრო სადა გვაქვს, ქალებიც ჩვენ უნდა ვიყოთ და კაცებიც!

ასეც იყო! მძიმე და მშიერი დრო დადგა. ესენიც ნახევ-რად მშივრები იყვნენ, თუმცა მთავარი საწუხარი უსახსრობა კი არა, პორიზონზე ჩამონილი ღრუბლები იყო, საიდანაც მერეთამდე აღნევდა შორეული ჭექა-ქუხილის გამოძახილი... „ისვრიან!“ — იტყოდა ლელა, პირჯვარს გადაიწერდა, თავი-სიანებს სასოებით დალოცავდა... მართა ჩუმად ჩაისლუკუნებდა, შიშით გახედავდა დედამთილს, ცდილობდა, არ ეტირა და მაინც ეტირებოდა... ეფროს სმენამდე ეს ხმები ვეღარ აღ-ნევდა, იგი სიზმარეთში ცხოვრობდა...

ერთხელ ცირა მოვიდა, ქირხე. მამაკაცურად ეცვა, ხაკის-ფერი, მსუბუქად დაფოთლილი, კამუფლირებული ფორმა. თმა შეეკრიჭა, კოზიროკიანი ქუდი ეხურა... უხდებოდა, თუმცა ქარს, მზესა და წვიმას მისი ასაკი თვალნათლივ გამოეკვეთა.

ბიჭურად წელგამართული შემოვიდა ეზოში, არ შევა-შინონ და შორიდანვე შეუძახა, კაი ამბავი, კაი ამბავი... მარ-თას ახედ-დახედა, ამას მუცელი ოდნავ დასტყობოდა და ლო-ყაზე უჩქმიტა.

— ვუმრავლოთ საქართველოს შვილები! — ამ ხუმრობა-ნარევ წამოძახილში ღრმად ჩამალული ტკივილი ამოიცნობოდა.

ლელა შინაურულად ჩაიხუტა, ლოყა ლოყაზე მიადო.

— ნუ შეშინდებით, ბიჭები მაგრად დგანან!

— ტატაჩი? — სულსწრაფად იკითხა მართამ.

— მერცხალივითაა, ტყვია ვერ მისწვდება! შენთან დამ-აბარა, ყოველ ღამე მესიზმრებიო!

მართა განითლდა, თავი ჩაღუნა.

— ნესტორი? მაგას შემოვევლე! — ლელამ ვერ გაბედა, ქმარი ეკითხა.

— ჰო, ნესტორი დათვივითაა, ისე დაბაჯბაჯებს, მტერს კი არა, ჩვენებს ეშინიათ, ფეხი არ დაგვაბიჯოსო! ქრისტეშია დიდი კაცია, ბატალიონს მეთაურობს... შენი მამათილი? — გა-

იცინა. — ის და მე შავი მუშები ვართ, სულ ზურგში... უფრო ჩამჩა უჭირავს, ვიდრე ფანქარი... ეფრო ბებია ხომ კარგადაა?

— ეგერ, აივანზე თვლემს! დაღლილი და მშიერი იქნები, ჩვენ კი სული ამოგხადეთ! მობრძანდი, ათი წუთიც არ დაგ-ვჭირდება...

ლელამ და მართამ სამზარეულოს მიაშურეს, ცირა სახე-ლოსნოში შევიდა, ტახტზე ჩამოჯდა, მზერა მიმოატარა და დიდხანს, დიდხანს უყურა ცარცის ქალალდზე უბრალო ფანქ-რით გამოყვანილ სახის ოვალს, სარკესთან რომ ჭიკარტით იყო მიმაგრებული... თვალი აუწყლიანდა, მაგრამ ამ დროს ლელამ მოიხმო.

აივანზე ეფროს მიეახლა:

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეფრო?

დედაბერმა ახედა.

— ქირხე ხარ შენ? — შეეკითხა. — რას ელოდები, ქალო, აღარ თხოვდები?

— არავის ვუნდივარ, ქალბატონო ეფრო, კაცივით იმი-ტომ გადავიცვი! — ნაძალადევად გაიხუმრა ცირამ.

— ცუდ დროს შეესწარი, თოლიგე, თორემ სადედოფლო კაბა უფრო მოგიხდებოდა! — უთხრა ეფრომ დანანებით.

ლელამ და მართამ სახელდახელოდ ბლითები დააცხვეს, ჩაი აადუღეს და კარგა ხანს უსხდნენ სამზარეულში მაგიდას. არ ილეოდა სალაპარაკო „ჩვენს კაცებზე“. ცირა ხალისით ყვე-ბოდა, თუ როგორი ეშმაკის ფეხია ტატაჩი, მოუსვენარი, ხუ-მარა, ენაწყლიანი... როგორია ნესტორი, უთქმელი, ფიქრებს ჩაღრმავებული... როგორი დინჯი და ჭკვიანია ქრისტეშია, წონადია ყოველი მისი სიტყვა, მოურჯულებელსაც მოარჯუ-ლებს... მართალი?.. ქრისტეშიას მამაზე ცოტას ყვება ცირა, თითქოს ერიდებაო... გულჩახვეულიაო, არანაირად არ გაგე-სნებაო...

შებინდებისას წავიდა, შინ უნდა შევირბინო, ამაღამ დე-დაჩიმთან, ცხუტასთან დავრჩები, დილაუთენია იქ, „ჩვენს ბიჭებთან“ უნდა გავბრუნდე, ასე მგონია, მათკენ გასროლილ ტყვიას მე ვეღობებიო...

კი წავიდა, მაგრამ სახლში წინანდელი სიცარიელე გაქრა, იმედი დასახლდა... ცირას ნათქვამს გაუთავებლად ატრიალებდა რძალ-დედამთილი, ყოველ სიტყვას სააფთიაქო სასწორზე დებდნენ, გემოს უსინჯავდნენ.

საავდრო ღრუბელი კი უფრო და უფრო ქურუშდებოდა. ქვემეხების გრიალი გაბმულ ქუხილად ალიქმებოდა და ამ ხმას მერეთელთა სახლებში ფანჯრის შუშა ეხმიანებოდა — შიშნეულად რანკუნებდა... ჭორი დასარსალებდა მერეთის ქუჩებში — მარცხის, ღალატის, გამყიდველობის, უნამუსობის ჭორი... დენი ხშირად ითიშებოდა, მაგრამ, როცა აინთებოდა, ტელეეკრანიდან ღვარად მოდიოდა ურთიერთგამომრიცხავი ამბები, კადრებში ომის ფერები ფერობდა — ადამიანთა დაგლეჯილი ნაწილები, სისხლი, ხანძრები, ნანგრევები...

გვიანი შემოდგომის უამინდო დღეს, როცა ციდან წვრილი, გულის გამანყალებელი წვიმა ცრიდა, ჭიშკართან დანჯლრეული „მოსკვიჩი“ გაჩერდა, წინა კარი გაიღო, იქიდან ჯერ ყავარჯნები გამოჩნდა, მერე კი დიდი წვალებით მართალი გამოეტია, ნელინელ ჭიშკრისკენ გამოემართა.

— დიდუ! — ერთხმად შეჰქივლეს რძლებმა და სირბილით გაეგებნენ.

— დაწყნარდით, შვილებო, ისეთი არაფერი მჭირს! — ამბობდა მართალი, მაგრამ ტკივილისაგან იჭმუხნებოდა.

ქალები ამოუდგნენ და ფრთხილად წამოიყვანეს.

— მუხლზემოთ მომარტყეს, რბილში... — სვენებ-სვენებით უხსნიდა მართალი. — სნაიპერმა დამლანდა, ბიჭებისთვის სადილი მიმქონდა და იმ დროს... კიდევ კაი, უკეთ ვერ დამიმიზნა...

კიბეზე ძლივს აიყვანეს, სკამი გამოურბენინეს და აივანზე ფრთხილად დასვეს.

მართალიმ ყავარჯნები მოაჯირს მიაყუდა და სიმწარენარევი ხუმრობით დედაბერს მიმართა:

— ა, ვიჯდეთ ახლა მე და შენ, საქმე არაფერი გვექნება ენის ლესვის მეტი!

ეფრომ მოჭუტული თვალებიდან გამოხედა, ძნელი გასარკვევი იყო, იცნო თუ არა.

— ნესტორი როგორაა, ჩემი ნესტორი?

ძლივს მიხვდა მართალი, შვილთაშვილზე კი არ ეკითხებოდა დედაბერი, თავისი მეუღლე გაახსენდა, შორეულ წარსულში ჩარჩენილი.

ორჭოფულად უპასუხა:

— არა უშავს, მტერს არ ახარებს! — მერე მართას გაუღიმა. — მატებაა, მგონი, თოდუების ოჯახში!

მართამ დაიმორცხვა, ხოლო ლელამ, შინაურულად შეთამამებულმა, ჰკითხა:

— ჩვენები როგორ არიან, ბატონო, რას აკეთებენ?

— ომობენ! — ჩრდილი გადაეფინა სახეზე, პირი დასავლეთისაკენ მიაბრუნა.

იქ, მერეთს მიღმა, ზღვასა და მთებს შორის, ომი მძინვარებდა და მისი შორეული გუგუნი ფანჯრის შუშას აქ არაწყუნებდა...

14

გამომელვიძა. წკვარამი იდგა და გონს კარგა ხანს ვერ მოვედი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, სადა ვარ, ამ ბნელეთში რამ ჩამძირა-მეთქი. თანდათან მეხსიერებაში ალვიდგინე ბოლო დღეების უხალისო სურათები და გავარკვიე, რომ მართალი თოდუას სახლში ვიმყოფები, მის სახელოსნოში, მის ტახტზე მძინავს, მის ნაბადში ვარ ჩათბუნებული და თავი მუთაქაზე მიდევს... არ მცივა, წნევა არ მანუხებს და გონება მინათდება... წარმოსახვის თვალით ვხედავ, რომ გარს მახვევია მართალი თოდუას ოსტატობით გაცოცხლებული მერეთი, მისი პეიზაჟები, მერეთელები, უთვალავი კეთილი და ბოროტი სახე... მაგრამ ყველაზე კაშკაშა და შთამბეჭდავი, რაც ჩემში ვერასოდეს წაიშლება, ესაა კედელზე განფენილი მაცხოვრის-გორა, ქვესკნელსა და ზესკნელს შორის გამოკიდებული, და თეთრი კიბე, ქვესკნელსა და ზესკნელს რომ ერთმანეთთან აერთებს...

სახლში მდუმარებაა, თოდუების ძველთაძველ, გამოფენუნებულ, ფარატინა ოდაში... საკმარისია, ასანთი გაკრა, ბნელში მოისროლო და უცბად აბრიალდება, დაიფერფლება საუკუნის ფიცრები და ზეთით გაუღენთილი ტილოები... შიშმა გამკენწლა, უფრო ამ უცნაური ნაფიქრალის გამო. ეს ისე-თივე უნებლივი ფიქრია, მზეთუნახავზე რომ გაივლებ, მოკვდება და ჭია შეჭამსო... ფიქრი — ეშმაკის შემოგდებული საცდური! მას ვერსად გაექცევი, განსაკუთრებით, ამ მდუმარე სახლში, სადაც დრო მდორე და ბნელი წყლებივით მიედინება და მე შიგა ვარ ჩაკარგული... თავზევით, მეორე სართულზე, მომცრო კუბოში წევს ას წელს გადაცილებული ეფრო ბებია, ვისთვისაც დრო უკვე არ არსებობს... მის მომიჯვავე ოთახებში ძილი დაუფლებია ადამიანებს: მართალის ნაჭრილობები ახსენებს თავს, კვნესის, ძილ-ბურანშია და ვერ გაუგია, რა სჭირს, რა ანუხებს... ლელას თავისი ქმრის მკლავებში ჩასძინებია, ქრისტეშიას კი არ ახსოვს, რომ შინაა, ცოლს ჩახუტებია, დავიწყებია ეს ყოველივე და ყურში ქვემეხთა გრიალი, ავტომატის კაკანი ჩაესმის... მართას ბალიში ჩაუხუტებია, მთელი დღე მისი ფიქრი ტატაჩის ევლება, დამით სიზმარშიც ტატაჩის ხედავს — ჭაბუკი სადღაც ბნელეთში იძირება, მართას მშველელად უხმობს. ქალი ხელს უწვდის, ლამისაა თვითონაც გადავარდეს, მაგრამ ვერა და ვერ სწვდება...

ამ საყოველთაო მდუმარებაში, ვითარცა ზმანება, უცნაური, სუსტი ბგერები ჩამესმის, შორეული თუხთუხი, ღრგიალი, მძიმე სხეულის გადაადგილების ხმა, მიწის თრთოლვა შეუმჩნეველი... საიდანლაც, ალბათ, აღმოსავლეთიდან, მერეთისაკენ რკინის ჯოგი დაძრულა, ჯავშნიანი მანქანები ეპარება ქალაქს... მაგრამ ეს მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, გულის ძგერის ექა... დასავლეთიდან, მთებსა და ზღვას შორის გაშლილ სივრცეში, მძვინვარე ომის ასპარეზიდან აქეთკენ მოიჩქარიან, არ ვიცი, ორი, არ ვიცი, სამი, ყურუმ სიბნელეს მოარღვევენ და არ ვიცი, ესეც ზმანებაა თუ მოლოდინის გამოძახილი...

იქ, დასავლეთში, ნამდვილი ომია — გმირობის ასპარეზი!.. მხოლოდ წიგნებში, მხოლოდ ტექსტში, რადგან რეალურ ცხოვრებაში ადამიანს არაფერი გამოუგონია იმაზე სას-

ტიკი, იმაზე ველური, გონებაზე მეტად ინსტინქტებს დამყნობილი, ვიდრე ომია... აგერ ქრისტეშიამაც იომა, წყნარმა კაცმა, „გადამწერმა“, რომლის არსებობის მიზანი გარდასულ დროთა გაცოცხლობაა, დაივიწყა თავისი ჭეშმარიტი მოწოდება, რადგან მის სულში აუღერდა სამშობლოს სიყვარულის რომანტიკული ნოტი, ოღონდაც ომი სულ სხვაა, მას რომანტიკასთან არაფერი აქვს საერთო... ომი ტკივილია უპირველესად, ომი ჭუჭყია, ომი ავადმყოფობაა, ტილიანობაა, ღალატი და დაუნდობლობაა, ომი სულით კეთროვანთა საჯიროთოა, ზნეკეთილთა დასაბუპი და გულბოროტთა აღსაზევებელი არენაა...

ქრისტეშიას ომი!.. უკვე მერამდენე დღეა, მოსაწყენად ცრის, სუსტი ღვაფი უხმოდ ეფინება მიდამოს... ყუმბარებისაგან გადაჯიჯგნილი თხემი, ტანკების მუხლუხებით აზელილი ხევი... სახელდახელოდ გათხრილი სანგრების რიგი... წინ, დაბალზე, წუნწუხში ჩარჩენილა დანახშირებული ჯავშნოსანი... გვამები, ზოგი პირქვე ჩამხობილი, ზოგი გულალმა გაშხლართული, ზოგი მოკუნტული, თითქოს დასაძინებლად მიწვაო... ქრისტეშია ტალახში წევს, სისველემ ტანში გაატანა, აურულებს, იყინება, მაგრამ თავის ანევა შეუძლებელია — სივრცე ტყვიით იცხრილება, თავზევით გაიზუზუნებს, უკანა ბექობს ხვდება... ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ ბიჭები მიწოლილან, მისი ბატალიონი. ბატალიონი ჰქვია, თორემ ოცამდე ახალგაზრდაა... სადღაც შორიახლო ნესტორიცაა, ცოტა მოშორებით — ტატაჩი, მაგრამ იქითკენ გახედვაც შეუძლებელია... უკვე მერამდენედ გადმოვიდა მტერი შეტევაზე. ქვევით, კოლბოხებზე დარჩენილი გვამები მტრისაა, ზოგიერთი დამით გაათრიეს, დღისით ვერ ბედავენ სამიზნეზე გამოსვლას... ქრისტეშიას ბიჭებიც დაზარალდნენ, არიან მოკლულნიც... დაჭრილები ზურგშია გაყვანილი... ზოგი ტყვიამ გაკენწლა მხოლოდ და ფეხს არ იცვლის, საძმოს ვერ შორდება, ამ ტალახში, ამ სიცივეში, მუდმივ შიშში, სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე გაკიდულნი... კუჭი ეწვით, დღეები გადის და ცხელი საჭმელი არც უნახავთ, უგემურ გალეტებს ლოლნიან და ეგა... მოსაწევი არავის დარჩა, მწეველი უფრო იტანჯებიან, წვანან ამ ტალახში და ელოდებიან... იქნებ მტერი ერთხელ კიდევ ცდის ბედს

და შეტევაზე გადმოვა ან იქნებ ესენი გადავლენ კონტრშეტევაზე, რათა თავი შეაკლან და ამით დამთავრდეს ყოველივე... თუმცა შეიძლება ცვლაც მოვიდეს, ცოტა ხნით ზურგში გადაიყვანონ მოსაშუალებლად, ამოასუნთქონ... დრო საშინლად იწელება, ნურავინ იტყვის, რომ წუთი წუთია... აქაური წუთი საშინლად გრძელია, არასოდეს თავდება... მოთმინება ვისაც ჰყოფნის, მხოლოდ ისინი უძლებენ ამ წუთებს... იქითა მხარესაც ხომ ტალახში წვანან, იმათ თავზეც ტყვია ზუზუნებს, იმათაც ეფინება მოსაწყენი ღვაფი და სიცივისაგან ისინიც იკრუნჩებიან... გაიმარჯვებს ის, ვისაც მოთმინება ეყოფა!.. მოთმინება დაელია ვერელ კახას, ფეხზე წამოიმართა, აღგზნებული მტერს აგინებდა და ავტომატიდან ისროდა... ლამაზი ბიჭი იყო, მაღალი, აშოლტილი, მგზნებარე, მაგრამ მოთმინება არ ეყო და სნაიპერის ტყვიამ მონახა, ადგილზევე მოსხიპა.

ომში სიცვდილი ზეიმობს, მაშინაც კი, როცა ვითარება უცვლელია, მოწინააღმდეგენი გაღმა-გამოლმა ტალახში განოლილან და ელიან, თუ ვის დაელევა მოთმინება, ზე წამოიმართება — ლამაზი, მაგრამ განწირული...

ომი სიზმარშიც გრძელდება, მაშინ, როცა ზურგში გადმოსულნი იატაკზე ჭერეხივით წვანან. აქაც ყოველი მხრიდან ტყვია ცვივა, ქვემეხი ცეცხლით იყეფება, თავზევით ტანკების მუხლუხები გადაიგრიალებს, ციდან ჭურვები ცვივა, მიწაში ნაღმი ფეთქდება... „ნუ გეშინია, ბებო გენაცვალოს, შენ არ მიმყავხარ, შენ აქ გზოვებ!“ — ეტუტუნება ქრისტეშიას ეფრო ბებია. „მე მტოვებ, ბები? აქ, ამ ჯოჯოხეტში მტოვებ? წამიყვანე რა, გეხვეწები!“ — ემუდარება ქრისტეშია, ეფრო კი თავისას არ იშლის: „ვერა, ვერ წაგიყვან, შვილთაშვილს გავიყოლებ მეგზურად!“ „შვილთაშვილს? — კითხულობს ქრისტეშია. — რომელს?“ ბატალიონის ბიჭების გაუპარსავი სახეები წარმოუდება და შეშინებული ყვირის: „არა, არა, მე თვითონ წამოგყვები, მე დაგიდგები მეგზურად!..“ — თან ცდილობს ძილბურანიდან გამოაღწიოს, იცის, რომ ყოველივე სიზმარია და, თუ დროულად გამოეღვიძება, ამით საფრთხეს განერიდება... „წავალ, წავალ!..“ — წუნუნებს ქრისტეშია.

— უნდა წახვიდე, ჰო, უნდა წახვიდე! — ვიღაცა მხარზე უთათუნებს.

ქრისტეშიას ეღვიძება.

— ჰა?

თავზე ცირა წამოსდგომია, დალლილი თვალებით დაჰყურებს, უპეები ჩასცვენია... ახსოვს ქრისტეშიას, ცირა რომ სილამაზით ბრწყინვადა, მაგრამ ომი ჯალათია, ომი სილამაზეს აჭკინობს. ადამიანი სიკვდილის სარკეში იყურება და თვითონაც სიკვდილს ემსგავსება.

— ეფრო ბებია გიკვდება, ბიჭო! — უბრალოდ, როგორც ჩვეულებრივ რამეს, ისე ეუბნება ცირა.

აქ ჭაბუკები იხოცებიან, პირტიტველა ბიჭები ტყვიას ეგებებიან, ასი წლის დედაბრის სიკვდილი ვის უნდა ედარდებოდეს, მაგრამ ყველა უპირველესად საკუთარ თავს უკვდება, მერე თავის ახლობლებს. ქრისტეშია ეფროს კალთაშია გაზრდილი, ეფრო ბებიაც იყო და დედაც, დედას კი ასაკი არა აქვს.

— მიმიხედე, ცირა, ამ ბიჭებს!

საფრთხე თითქოს არ იგრძნობოდა, ნესტორსა და ტატარის არც გაუმხილა, რომ ეფრო კვდებოდა, იფიქრა, ჩავირბენ და უმალ უკან მოვბრუნდები, სანამ ბატალიონს ზურგიდან კვლავ ფრონტის ხაზზე გადაისვრიანო.

გზა შორი არ იყო, ოღონდ მომიანბის უამის გზები უფრო გრძელი ჩანს და რამდენიმე დღე მიდიოდა, ხან მანქანით, ხან ფეხით. გზისპირებზე პატრონთაგან მივიწყებული ციტრუსები ოქროდ გადაყვითლებულიყო. მიტოვებულ სახლებს ერთგული ძალლები დარაჯობდნენ.

მიდიოდა და გული უკან, შვილებისაკენ ექაჩებოდა. არ იცოდა, ამ რამდენიმე დღეში რა შეიცვალა, მაგრამ ჭორი რადიოზე სწრაფია, „დავმარცხდით, დავმარცხდით!“ — მათრახის ტკაცუნივით წამოენია, ზურგი აუწვა. ადამიანთა ტალღა ღვართქაფივით მოვარდა, გაიტაცა, ყველა გარბოდა და ესეც არსენინა, გული ლამისაა ორად გახლებოდა, წინ ეფრო ბებიას სული ცად აპირებდა ამაღლებას, ხოლო უკან, ჯოჯოხეტში ჩაეტოვებინა ნესტორი, ტატარი, ცირა და არა უწყოდა, საით-

კენ წავიდნენ ისინი, მტერს გადაურჩნენ თუ არა, ეგონა, თვითონ რომ არ წამოსულიყო, თავისი მკერდით დაიფარავდა, ახლა კი სინანულიდა შერჩენოდა.

„ღმერთო, შენ გადამირჩინე შვილები, ნესტორი და ტატაჩი!“ — შესთხოვდა უფალს და თხოვნისაც რცხვენოდა, რადგან მის შვილებს გარდა ჯოჯოხეთის იმ ქვაბში სხვა ბიჭებიც იხარშებოდნენ, მისი შვილების ტოლ-სწორები.

მხოლოდ კვირის თავზე ჩამოაღწია მერეთში, დაღლილ-მა და მზერაჩამერალმა.

- ბიჭები? — ჰკითხა მართალიმ.
- ცირა ჩამოიყვანს! — ჭოჭმანით უპასუხა.
- ეფრო ბებიას კი ჯერაც სული ედგა...

15

თავდაპირველად სამნი მოდიოდნენ... გზატკეცილებზე მტრის მძიმე ტექნიკა მოძრაობდა. სოფლების შარა-შუკებში „მარადიორები“ დაძრწოდნენ, მიტოვებულ სახლებს ძარცვავდნენ და წვავდნენ... რამდენჯერმე გვამებს წააწყდნენ, ერთგან მიცვალებული ღორს დაეჯიჯგნა... დრო არ ითმენდა და უჩუმრად მიიპარებოდნენ — უკანა ეზოების, ბალ-ვენახების, ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციების გავლით... მოკლე გადარბენებით მიიწევდნენ ან ჩაწვებოდნენ, გატრუნული ყურს უგდებდნენ უცხოტომელთა ყაყან-ურიამულს, მანქანების რახრახს, ტყვიის წივილს... მიწყდებოდა ხმაური და ფორთხვით მიიწევდნენ წინ ან წამოხტებოდნენ და სულ სირბილით, სულ სირბილით...

შეტაკება სოფლის განაპირას მოხდა. ზღვისპირა სოფელი იყო, ხმებს ტალღის ხმაური ახშობდა და ამიტომაც ვერ გაიგონეს ნეშოში ფეხის გაფაჩუნება.

— Стой! — შეუძახა ახმახმა კაზაკმა და იარაღი მომართა, მაგრამ ცირამ ავტომატის ჯერი შეაგება, მოცელა.

სროლის ხმას შუკიდან ყიუინითა და ტყვიის ბათქა-ბუთქით გამოეხმაურნენ. სამეულს დანახშირებული სახლის ჩონ-

ჩხი ეფარებოდა, წინა ეზოში კი უკვე შემოცვივდნენ შეიარაღებული კაცები, იგინებოდნენ რაგინდარა ენაზე და უმიზნოდ ისროდნენ.

ცირამ ბიჭებს უხმოდ ანიშნა და თავდაუზოგავად გავარდნენ. წამში უკანა ეზო გადაირბინეს. ტყრუშულ ღობეს გადააწყდნენ და ნესტორი დაუფიქრებლად გაქანდა, მკერდით შეანგრია. ღიობში გაძვრნენ. ოღონდ მტვრევის ხმამ მდევრის ყურამდე მიაღწია და ისინიც სროლით გამოედევნენ, თან გაუგებარ სიტყვებს ყვიროდნენ.

ოტებულნი მანდარინის რიგებში შეცვივდნენ. მოსავლის ასაღებად ვერავინ იცლიდა და ოქროს ნაყოფით დახუნდლული ტოტები მიწამდე აღწევდა, სამეულს იფარავდა, მაგრამ ტყვია ტოტებში ატანდა, ფოთლებსა და ნაყოფს სხიპავდა, მანდარინის წვნიანი ნაფლეთები ტანზე ესხმებოდათ.

წინ ტატაჩი მიქროდა, სხარტი, მსუბუქი, მოუხელთებელი... ცირამ ზურგჩანთა დაკარგა, კალაშნიკოვი ჩაებლუჯა, ვერ ელეოდა, არადა, სუნთქვა მოუხშირდა, უჭირდა... ნესტორი ოდნავ წახრილი მობაჯბაჯებდა, თითქოს არცა ჩქარობდა, ტოტებში აწივლებულ ტყვიებს ყურადღებას არ აქცევდა, ხანდახან კი მდევრის მიმართულებით ჯერს მიუშვერდა.

ტყვისპირამდე ცოტალა დარჩა, როცა ცირამ ამოიკვნესა, ავტომატი ხელიდან გაუვარდა და წაბორძიკდა. მოასწრო ნესტორმა, მკლავი შეაგება, „ტატაჩი!“ — ჩურჩულით მოუხმო ძმას. ტატაჩი სწრაფად შემოტრიიალდა. აიტაცეს ძმებმა დაჭრილი და ტყვისპირს უხმოდ მიაშურეს.

თხმელის ნაკაფში, მაღალ ბალახებში ჩაწვნენ...

მდევარმა მანდარინებს გამოაღწია. ათამდე კაცი იყო, ზედაც ეტყობოდათ, უცხო მხარეებიდან საშოვარზე ჩამოსულები რომ იყვნენ... ყაყანებდნენ, ხორხისმიერ ბერებს გამოსცემდნენ, თუმცა ტყები შემოსვლას ვერ ბედავდნენ. ბოლოს მიუშვირეს იარაღი და შედლუხი ატეხეს. ჩაწოლილებს ზედ ფოთლები და წვრილი ტოტები ეყრებოდა, ტყვიის ზუზუნი ფუტკრის აცვენილ სკას დაემსგავსა.

რამდენიმე წუთს გაგრძელდა ასე. მერე უკან, მანდარინებში შეიღალნენ, მათი ხმები თანდათან შესუსტდა და ბოლოს მიწყდა.

სანდო არ იყო ეს სიჩუმე და სამეული მდუმარედ იწვა, განძრევას ვერ ბედავდნენ.

ჭიანჭველამ გაირბინა ტატაჩის ხელზე, მწარედ უკბინა.

ტატაჩიმ თავი ასწია, მიდამო ფრთხილად დაზვერა, ნესტორს თითქოს ჩასძინებოდა და ქიმუნჯი ჰკრა, ცირასაკენ მიახედა.

ქალს თვალი დაეხუჭა, ცვილისფერი გამხდარიყო.

ნესტორი მიუჩოჩდა, გულალმა გადმოაბრუნა.

ცირამ ყრუდ ამოიკვნესა.

— დაჭრილია! — ჩაიჩურჩულა ნესტორმა. — სისხლისა-გან იცლება!

— უნდა გადავაჩოჩოთ!

ნესტორმა ცირა ზურგზე გადმოიწვინა და ფორთხვით ტყის სიღრმეში შეაღწიეს.

აქ, ჩრდილში ჯუბა დააფინეს და დაჭრილი ზედ დააწვინეს. დანით შემოჭრეს სისხლიანი ტანისამოსი. ჭრილობა გამჭოლი აღმოჩნდა, ზურგიდან მკერდში გამოდიოდა. ბიჭებმა მაისურები შემოიხიეს და იმით შეუხვიეს.

ცირა უგონოდ იყო.

თხმელის ტოტებისაგან საკაცე შეკრეს და წამოიყვანეს.

ნესტორი დუმდა, ტატაჩი კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ენას არ აჩერებდა. გადამთიელებს აგინძებდა ლამაზ-ლამაზი სიტყვებით, „ვინც სპიჩაზე მაღალია და შკაფზე დაბალი, ყველასო...“ — გულს იოხებდა და მეტი არაფერი... მერე შინაურებზე გადავიდა, ხმა გაუთბა. ბაბუასა და მამაზე წუხდა... კიდევ კარგი, რომ ბაბუკა დაიჭრა და ახლა შინააო... კიდევ კარგი, ქრისტეშია ეფრო ბებიას ავადმყოფობამ გამოიხმო და ისიც უსაფრთხოდააო... საწყალი ეფრო ბებია, ალბათ, სული დალია, ჩვენ კი ვერ დავიტირეთო... ახლა ცირა რომ ხელებში ჩაგვაკვდეს, ჩვენი უფროსი დაიკო და დედობილი, ბაბუკას რანაირად ვუთხრათ, დარდით ხმ თვითონაც მოკვდებაო... ლაპარაკობდა, ენას არ აჩერებდა...

ნესტორი კი ხმას არ იღებდა, ხვენეშოდა და სულ ეს იყო.

ტყე გამეჩერდა, ტატაჩიმ ლაპარაკს უკლო.

წინ ჩაის პლანტაცია გადაიშალა. რაც თოფი გავარდა, ჩაისთვის ვერავინ იცლიდა, გატყიურდა, კაცის სიმაღლეზე წამოიზარდა.

ჩაის მიღმა, ევკალიპტებთან მიტოვებული ფარდული ჩანდა. ზღვის მხარეს სოფლის გრძელი ორლობე გაიჭიმა ოდების ორმაგი რიგით, რომელთაგან ზოგი გადარჩენილიყო, ზოგი უკვე ჩაიფერფლა, ზოგი კი ახლა იწვოდა, ცეცხლის ენები და კვამლი ასდიოდა.

სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა, არც ძალლი ყეფდა და არც მამალი ყიოდა.

ჩაის რიგს მიჰყვნენ, რიგთაშორისი ბალახი და ძგლერთა მუხლამდე უწევდა და ფეხებზე ებღაუჭებოდა.

ფარდულს რომ მიუახლოვდნენ, მანქანის ხმა მოისმა. უმალ ჩანვნენ და გაისუსნენ.

ევკალიპტებს შორის „ბეტეერი“ გამოჩინდა, ზედ ავტომატიანი უცხოტომელები ახუნძლულიყვნენ, იარაღი გარდიგარდმო ეჭირათ და უცხოდ ყაყანებდნენ.

მოულოდნელად ცირა ალაპარაკდა, თავი, ალბათ, საბრძოლო შეტევამდე, ბატალიონის წინ წარმოედგინა და ბიჭებს მგზნებარე სიტყვებს ესროდა... თუმცა ხმა დასუსტებოდა, მაგრამ სივრცეში მისი მოწოდება შორს გაისმოდა და ჯავშნოსანის მგზავრთა სმენას მხოლოდ იმიტომ ასცდა, მანქანა მძიმედ რახრახებდა და ყველა სხვა ხმას ახშობდა.

ტატაჩის სახეზე სასოწარკვეთა დაეტყო. ნესტორმა ქალს პირზე თავისი ტორი დაადო, რათა ხმა შეენელებინა.

ცირამ თვალი გაახილა და გაკვირვებით შეხედა.

ნესტორმა ხელი უმალ მოაშორა, ჯავშნოსანი უკვე სოფლის ორლობებში შედიოდა.

— სადა ვარ? — იკითხა დაჭრილმა.

— ჩვენთან ხარ, ცირა დეიდა! — სულსწრაფად შეეპასუხა ტატაჩი.

— გამახსენდა, მანდარინებში გავრბოდით...

— ჰო, პატარაზე ხარ დაჭრილი... აი, გაგიყვანთ მე და ნესტორი, დაგახვევთ ექიმებს...

— გამიყვანთ? — თავზევით მხოლოდ ცას ხედავდა ცირა, ორსავ მხრივ მაღლა აშეტილ დუყებს, უფრო შორს კი, ცის ფონზე, ევკალიპტის კენწეროს.

— უნდა წავიდეთ, გაჩერება საშიშია! — ნესტორი სოფლისაკენ იყურებოდა.

ჯავშნოსნიდან გადმოცვენილნი ახლა სახლიდან სახლისაკენ გადარბოდნენ.

— ბიჭებო! — უღონოდ თქვა ცირამ. — ჩემო შვილებო! მერეთში რომ ჩააღწევთ, ბაბუას უთხარით, ცირამ შემოგითვალა-თქო, დავიწყებას არც არაფერი მისცემია-თქო... ბაბუს უთხარით, მართალის...

— რას ამბობთ, ცირა დეიდა, ჩაგიყვანთ და თვითონ ეტყვით...

— წადით, შვილებო, დამტოვეთ! მე ვერ გადამარჩენთ, თავს კი დაიღუპათ!.. წინ, ტყეში ჭაობია, ძნელი ბილიკი გადის. ფრთხილად იყავით, დანაღმული არ იყოს... — ლაპარაკმა ღონე მთლად წაართვა, გაჩუმდა, თვალი მიღულა, აჩქარებით, მძიმედ სუნთქვდა.

ძმებმა უხმოდ დაავლეს საკაცეს ხელი და ევერ გადამარჩენთ, რიგი გადაირბინეს. საურმე გზას დაადგნენ, ტყისპირს გასდევდა და სოფელს გარს უვლიდა. იქიდან კანტიკუნტი გასროლის ხმა აღწევდა, ხან რუსული, ხან გაუქვებარი შეძახილები... გინების რეგისტრი ყველა ენაზე ერთნაირია!

— მაგათი ჯიში... — იბოლმებოდა ტატაჩი, უღონობა და სირცხვილი ახრჩობდა.

ნესტორი კი კვლავაც უტყვად მოაბიჯებდა.

განაპირა სამოსახლოს მიადგნენ. ზედ ტყისპირს ახლად დამწვარი ოდა-სახლის ჩონჩხილა დარჩენილიყო, ცეცხლი ხესილსაც გადასდებოდა და ტოტები შეეტრუსა.

უკანა ეზოს მომცრო ღელე უვლიდა, მღვრიე წყალი მოიპარებოდა, ჭაობებიდან წაწრეტი. ზედ მომცრო ძელი იყო გადებული და იმაზე გადავიდნენ.

დაჭრილი წყავის ჩრდილში დააწვინეს... წყურვილი ანუ-ხებდათ...

ნესტორმა ნასახლარს შემოუარა. წინა, კოინდრიან ეზოში ჭა იყო. ფრთხილად მიმოიხედა. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა. წაკუზულმა მიირბინა ჭამდე, ჩაიხედა. წყალი სულ ახლოს ვარკალებდა. იქვე, გვიმთან, მოკლებაწრიანი ვედროც ეგდო. ნესტორი ჭას გადაეყუდა, ვედრო წყალს მიაწვდინა და ამ დროს ავად დაღრენილი კბილები შემოეგება... გულგახეთ-ქილი წამოიმართა, ვედრო გაუვარდა... ჭაში მოკლული ძალი ეგდო.

ღელისაკენ გაბრუნდა ნესტორი, ცხვირსახოცი დაასველა და ცირას სიცხიან შუბლზე დაადო. გონდაკარგული ბოდავდა, ხან მტერს უტევდა მრისხანედ, ხან თავის მარადიულ სიყვარულს უმტკიცებდა მავანს... შუბლზე სველი ცხვირსახოცი რომ იგრძნო, გონს მოეგო.

— დამტოვეთ, ბიჭებო! — შესთხოვა.

ბიჭები არ შორდებოდნენ, ისევ იმ ღელის წყლით უსველებდნენ შუბლს. ნესტორი მეზობელ ეზოშიც გადაიპარა, მაგრამ ჭა იქაც წაბილწული აღმოჩნდა.

უკვე შეღამებულზე, მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე, ცირა გაყუჩდა, სუნთქვა შეუსუსტდა, ცოტა ხანში იდნავ ამოისლოკინა და პირისახე გაუქვავდა... თვალი არ გაუხელია, ისე გაშორდა წუთისოფელს...

ტატაჩი მოკუნტული იჯდა და ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდა. ნესტორმა მხოლოდ ამოიოხრა, საიდანღაც ბარი მოათრია და მინის თხრას შეუდგა.

უკვე ბნელი ღამით, იქ, მარადმწვანე წყავის ძირას, თბილ საფლავში ჩატოვეს ჯუბაში გახვეული ცირა და ზღვისპირეთის ჭაობიანი თხმელნარით გამოეშურნენ...

ორნი მოდიოდნენ, ბნელში, უგზოუკვლოდ... მხარმარჯვნივ მოისმოდა ზღვის ტალღების უწყვეტი გმინვა და ეს მოგუდული ხმა იყო ერთადერთი ორიენტირი... არც ვარსკვლავი, არც რაიმე სხვა სინათლე, გარდა მსუბუქი ცრიატისა, რითაც,

თუ ალლოსაც მოუხმობდნენ, შეიძლებოდა ჭაობნარში გაკვა-  
ლული ვიწრო ბილიკის გარჩევა, ისიც მაშინ, თუ თხმელის  
ჩრდილიარ წაშლიდა ამ ცრიატსა ანდა ურჩხულებად აკორგლილი  
ეკალ-ბარდები, რომლის საცეცები ბილიკზეც გამოდიოდა და  
ეკლებით ჯარისკაცის უხეშ ჯუბა-შარვალს ებლაუჭებოდა.

წინ ტატაჩი მიიჩქაროდა, ცქაფად, მსუბუქად ადგამდა  
ფეხს. კვალზე მომავალი ნესტორისთვის გადაელოცა თავისი  
ზურგჩანთა, თვითონ კი მოკლე, უკონდახო ავტომატი ეჭირა,  
ყოველი შემთხვევისათვის თითო ჩახმახზე ედო, რათა საფრ-  
თხეს მზად დახვედროდა, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა,  
ეს საფრთხე რანაირი იქნებოდა, ამ ბილიკზე რა სახით ამოიზ-  
რდებოდა და ტყვია უშველიდა თუ არა... ჩუმად, ხმის ამოუღე-  
ბლად მოძრაობდა, ალბათ, ბრაზისა და მწუხარების სიტყვები  
შემოელია, ანდა იმიტომ, ღამის მდუმარებაში ყოველი ჩქამი  
შორს გაისმოდა და იქნებ მოყურადის სმენასაც მისწვდებოდა.

ნესტორიც, რა თქმა უნდა, უხმაუროდ მისდევდა. ისე-  
დაც ხომ უთქმელი იყო, ბედის სამდურავს არასოდეს იტყო-  
და, ცრემლი და მწუხარება მის გულში უხმოდ კვდებოდა. ერ-  
თადერთი, რასაც ხმადაბლა წაისისინებდა, ისე ხმადაბლა, რომ  
ტატაჩის ყურს არ გასცდენოდა, იყო სიტყვა „ფრთხილად!“  
ინსტინქტი კარნახობდა, რომ თხმელნარის სრულ მდუმარე-  
ბაში საფრთხე იმაღებოდა, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო, ადა-  
მიანთაგან თუ ბუნებისაგან. თვით ეს აუტანელი სიბნელე თა-  
ვის თავში მალავდა საფრთხეს და უმჯობესი იქნებოდა, სადმე  
ხის ძირას მშრალი მოენახათ, დილის რიურაჟს დალოდებოდ-  
ნენ, ოღონდაც ბილიკის ორთავ მხარეს წკვარამში ჭაობის  
ლაფი ზიმზიმებდა, ჰერში ნეშოს სუნი ტრიალებდა, ფეხებეშ  
სველი ჭანჭრობი ტყაპუნობდა და ნესტორის გაცვეთილ  
ბათინკებს წყალი ატანდა.

ოთხი საათი მაინც გავიდა, რაც ცირა მინას მიაპარეს.  
დაიღალნენ, სიარული უჭირდათ, თუმცა არ ჩერდებოდნენ...  
მოთარეშეთა ჯგრო იქნებ ბილიკს გამოჰყოლოდა ან სხვა  
მოთარეშებს გადაწყდომოდნენ დღის სინათლეზე. ამიტო-  
მაც აქედან უნდა გაეღწიათ დროულად, მაგრამ კუნაპეტი ღა-  
მე ზედმეტად აჩქარების საშუალებას არ იძლეოდა.

— ფრთხილად! — ჩურჩულით მიადევნა ნესტორმა. —  
დანალმული არ იყოს!

რა თქმა უნდა, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. მოწი-  
ნაალმდეგა ყველა გზასა და ბილიკს ნაღმავდა და არავინ უწყო-  
და, ვინ სად წააწყდებოდა სატანის ამ გამონაგონს. იცოდა ეს  
ტატაჩიმ და, სანამ ფეხს ძირს მყარად დადგამდა, ჯერ ლანჩას  
გააჩოჩებდა, ვინძლო რაიმე მაგარს, მეტალისას არ წავაწყ-  
დეო. ჯერჯერობით ბილიკი რბილად ემორჩილებოდა, წყალს  
ჭყაპანი გაჰქონდა, სველი ბალახი ნაბიჯის ხმას აქრობდა.

ხანდახან ეკლის ტოტს გამოედებოდა. შეჩერდებოდა  
ტატაჩი, მართლა ეკალია თუ გზაზე გარდიგარდმო გაბმული  
მავთულიო, ფრთხილად მოსინჯავდა და განზე გასწევდა.

ნესტორიც ჩერდებოდა ამ დროს. ძმა ოდნავლა ილანდე-  
ბოდა და ცდილობდა, ზედ არ გადაწყდომოდა.

— რა იყო? — ჩუმად იკითხავდა.

— ეკლის ტოტია, მაგისი დედა... — ხმადაბლა შეიგინებ-  
და ტატაჩი და გზას აგრძელებდა. — როდისღა დამთავრდება  
ნეტავი?

როდის ან სად დამთავრდებოდა ჭაობნარში გამავალი  
ბილიკი, ან იმის იქით რა იყო... სოფელი, გზები, ხოდაბუნები...  
ხურჩის მაღალი ხაბო... ხანდახან ყურს მიუგდებდნენ, წინიდან  
ხურჩის გაბმული შხუილი ხომ არ ისმისო, მაგრამ მდუმარე-  
ბას არაფერი არღვევდა, გარდა ჩვეული ქშენისა, რასაც  
ზღვის ტალღები უწყვეტად გამოსცემს, გეგონებათ ასთმი-  
ანი ლევიათანიაო.

გზა გრძელი და ნელია, ფიქრი სწრაფი, მანძილს ამოკ-  
ლებს. ძმებს ფიქრი წინ, ხურჩისკენ გაურბით, ხურჩის მიღმა  
ჩხერიას ნაცნობი სანახებია, მერეთი — ფართოდ გაშლილი  
ქალაქი, იქ ერთი მრავალთაგანი მამუკას ქუჩაა, თავაქალაშ-  
ვილისა, ოდა-სახლია, ზალაში სანთელი ციმციმებს, ეფრო ბე-  
ბია კუბოში ასვენია, სანთლის სუსტი სინათლე მის დამჭკენარ  
სახეს დალიცლიცებს... დიდი ბაბუა, მართალი გადმომდგარა  
აივანზე, წკვარამს გადაჰყურებს, ჯერაც არ იცის, რომ ცირა  
დარჩა რომელილაც უსახელო სოფლის განაპირას, წყავით  
მონიშნულ საფლავში... ლელა და ქრისტეშია ჭრაქთან განმარ-

ტოებულან, მზერას ერთმანეთს ვერ უსწორებენ, რადგან ორივეს შიშიანი ფიქრი აქეთკენ, ამ ბნელეთისაკენ მოედინება... მართა თავის ოთახშია, ბალიშს ჩახუტებია, ცრემლით დასველებულს, იქნებ ფხიზლობს და ჩუმად სლუკუნებს, იქნებ ზედ ჩაეძინა და სიზმარში თავის ტატაჩის ეფერება...

ტატაჩი ფრთხილობს, მის გულში შიში ფართხალებს. ნესტორის გულშიც კრთის შიში... ბრძოლის ველზე, სადაც ტყვია წვიმასავითაა, სადაც მუხლუხების ღრჭიალით მოიწევს ტანკი, ქვემეხები ცეცხლის ლავას ანთხევენ, ირგვლივ დაღუპულები ყრია, იქ ძმებს შიში არ გაკარებია, მაგრამ მდუმარე, ბნელ ტყეში, ამოუხსნელი საფრთხით რომაა დამუხტული, შიში გულში აღწევს თავისი ლორწოვანი საცეცებით, ხერხემალზე ცივად ეცაცუნება.

და უცებ... (ეჱ, ომია, ომში რა არ ხდება!) ნაბიჯი გადადგა ტატაჩიმ და სველი ბალახის სირბილეში რკინის სიმტკიცე იყრძნო... გახევდა... უაზრო შიშმა ერთიანად შეძრა... ბნელეთიდან სიკვდილმა შემოხედა, მაგრამ წამმა გაირბინა და იგი ისევ ისე იდგა.

— ნაღმი! — გამოსცრა.

— რა? — ნესტორი მის უკან, ხუთ ნაბიჯზე გაჩერდა.

— ჩანექი! — იყვირა ტატაჩიმ.

უველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ნესტორი პირქვე დაეცა, ტატაჩიმ კი ტანის სიმძიმე უკანა ფეხზე გადაიტანა და გზიდან ისკუპა.

იგრიალა... ცეცხლმა გაანათა, ნესტორს თავზევით ნამსხვევებმა გადაუქროლა, ტალახი და მოსხეპილი ტოტები ზურგზე დასცვივდა. ჰაერის ტალღამ თავში ჩაარტყა, დაარეტიანა და გონებადაბინდულს თითქოს შორეთიდან ჩაესმა:

— გადავრჩი!

გადარჩა! ღმერთო ჩემო, გადარჩა! ნესტორის ტვინში ამ სიტყვებმა მორზეს ანბანივით ჩაირბინა და გონი დაკარგა...

ვერ გაეგო, რამდენმა ხანმა გაიარა, — იქნებ მხოლოდ წუთი გავიდა, იქნებ საათზე ისარმა წრე დაარტყა... თვალი გაახილა. თავი საშინლად ტკიოდა, მთელი სხეული ნაცემივით უბჟუოდა.

ისევ ძველებურად ბნელოდა და ირგვლივ ვერაფერი გაარჩია.

— ტატაჩი! — ხმადაბლა მოუხმო.

პასუხი არსაიდან მოსულა.

ყურში კვლავაც რეკდა ტატაჩის წამოძახილი, გადავრჩიო, რომ ახარა...

— ტატაჩი! — ხმას აუწია.

ჩქამი არ ისმოდა.

— ტატაჩი, ტატაჩი! — შეჰდრიალა ნესტორმა, მდუმარე მიდამო დააფრთხო.

შორითშორის, მის წაკვალევზე ექომ არაქართულად უპასუხა — „ეგეი!“ და ტყის თავზე ავტომატის ჯერმა გადაიარა.

ნესტორი მუხლებით იქითკენ წაფორთხდა, სადაც უმცროსი ძმა ეგულებოდა. „ტატაჩი, ტატაჩი!“ — ლულლულებდა ტირილის ხმით და ხელით ამონმებდა ცივი წყლით გასლიპულ ბილიკს.

ტალახიან ორმოს წააწყდა, ცხადია, აფეთქების შედეგი იქნებოდა, წყლის ნაწრეტით ივსებოდა.

„აქეთკენ გადახტა! — ფიქრობდა ნესტორი ციებიანივით. — ან აფეთქების ტალღამ მოისროლა... იქნებ გონდაკარგული გდია და ჩემი ხმა არ ესმის...“ — იმედს ებლაუჭებოდა.

— ტატაჩი, ბიჭო, ტატაჩი! — იხმობდა, თან იქითკენ მიფორთხავდა, საიდანაც ტატაჩის უკანასკნელმა სიტყვამ მოაღწია.

წინ გაშვერილი ხელი ღრმა ოთონთოში ჩაეფლო, საყრდენი ვერ მოიძია და თავზარდაცემულმა უკან დაიხია.

წამოჯდა და შიშისაგან, სასოწარკვეთისაგან, უნიათობისაგან ატირდა... შიგადაშიგ მოთქმით იხმობდა — „ტატაჩი, ბიჭო, ტატაჩი!“ — მაგრამ პასუხი არსაიდან მოდიოდა.

დრო საშინლად გაიწელა, ეს ბნელი ღამე გათენებას, ეტყობა, არ აპირებდა და სიგიჟის ზღვარს მიღწეული ნესტორი უკვე ხმადაბლა ზმუოდა.

თანდათან ბინდი გაიცრიცა... გაიცრიცა... აქა-იქ დევგმირებივით წამოეყუდნენ ეკალბარდებით ახუნძლული ბებერი

თხმელები. ბინდბუნდიდან იბადებოდა ჭილის კოლბოხები. ჭაობის სწორ ზედაპირზე თხელი წყალი ვერცხლისფრად გაც-რიატდა.

ნესტორი აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდა, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა და აცახცახებული ბაგებით უკვე უაზროდ იმეორებდა:

— ტატაჩი, ჯიმა, სად დამეკარგე, წიე!

არსად არავითარი კვალი, — იყო ადამიანი და აღარ არის!

მზე უკვე ამოიწვერა, უანგისფრად მოანათა, ნესტორი კი ვერა და ვერ ელეოდა ამ ადგილს. ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მისი ძმა მიწამ ჩაყლაპა და სული მისი სილაჟვარდესა შინა სუფევს.

ხმები მოესმა არაქართული. ბილიკით მოდიოდნენ. აქ დარჩენა შეუძლებელი გახდა. იარაღს ხელი დაავლო, ზურგ-ჩანთები მოიგდო და გზას ძუნდულით მიჰყვა, — უშიშრად, ბედისწერას მინდობილი, თუმცა ბედი მისკენ ყოფილა და სხვა ნაღმს აღარ წანყდომია.

ჭაობიანი თხმელნარი ჩათავდა, ჩაის გრძელი რიგები დაილია, მიტოვებული სოფელი უსაფრთხოდ განვლო, ხურ-ჩას წყლებში ტალახი ჩამოიბანა და შინისაკენ გასწია...

17

ვერა და ვერ დავიძინე. ნაბადში ჩათბუნებული, თვალ-დახუჭული ვწევარ. სახლი, ეზო-გარემო, მერეთი, თითქოს ჭექა-ქუხილს ელისო, გასუსულა, ხმა არსაიდან ისმის. მეჩ-ვენება, რომ ქალაქი ჩემსავით ფხიზლობს, თან იტყუება, ხე-დავთ, რა წყნარად მძინავს, უბედურებას არსაიდან მოველიო. მთელი მერეთი მე დამემსგავსა. მეც წყნარად, უხმოდ ვწე-ვარ მართალი თოდუას სახელოსნოში, ძველ ტახტზე. თავი მოხერხებულად მიმიდვია მუთაქაზე, თვალი დახუჭული მაქვს და ვითომ მძინავს. არადა, არ მოდის ეს ოხერი ძილი. ინსტინ-ქტური, უმიზეზო, უსაბამო შიში მომდგომია და ტვინს მიბურ-დავს... ვცდილობ, ავი ფიქრები განვდევნო, თავიდან მოვიცი-

ლო, თუმცა ამ ფიქრებს სიტყვიერი სამოსელი არ აცვია და ვე-რაფრით დამიკონკრეტებია, რა ფიქრებია ეს ან რა შიშია, გუ-ლის სიღრმეში რომ შემომპარვია... ბავშვობაში მემართებოდა ასე, ღამე-ბნელში ლოგინიდან ფეხს ვერ გამოვყოფდი, მეგო-ნა, საწოლქვეშ რაღაცა დამალულა და უმალ ჩამაფრინდება-მეთქი... აი, ასეთი უსაგნო იყო ეს ჩემი შიში...

არ ვიცი, რომელმა საათმა ჩამოჰკრა. ვიღაცამ თითქოს ყურში ჩამნივლა — „გადავრჩი!“ გული შემიხტა... ვინ გადარჩა? რა გადარჩა? ტანში ურუანტელმა დამიარა. რა იყო ეს? ნუთუ ჩემი სულის სიღრმიდან ამომძახა ჩემმა მემ? ესე იგი, რაღაც საფრთხე მელოდა და გადავრჩი... ან იქნებ ეს ხმა გარედან მოვიდა, შორით შორეთიდან, მაგრამ ისეთი ტრაგიკული ინტონაციით უღერდა, გადარჩენა უფრო არგადარჩენას ჰყავ-და. რას ნიშნავს გადარჩენა? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. — იქნებ სიცოცხლე გადარჩა და ვიღაცამ ბედნიერება თავის თავში ვერ ჩაიტია, სამყაროს ახარა, გადავრჩიო... ან იქნებ სული ავიდა ცათა შინა და ეს იყო ჭეშმარიტი გადარჩენა.

მოსვენება დავკარგე. ტახტზე შამფურივით ვტრიალებ-დი და ბოლოს ნაბადში ისე ჩავიხუთე, კინაღამ დამახრჩო, ძლივს მოვიშორე და სახელოსნოში დაგუბებულ ცივ ჰაერს მივენდე.

ამ დროს კედლები მსუბუქად შეზანზარდა. სადღაც ბათ-ქი გაისმა, მერე გაბმული გუგუნი, მუხლუხების ღრჭიალი, რასაც შიგადაშიგ ტყვიის კენტი გასროლა ახლდა...

ფანჯრები ნაცრისფრად გამოიკვეთა, გათენებამდე შორი არ იყო. კარს ვერ ვხედავდი, მაგრამ გუმანით მივაგენი და გარეთ გავედი.

ხმაური აქ უფრო აშკარად ისმოდა, იგი მერეთის ცენ-ტრიდან მოდიოდა.

აივანზე ავედი.

მართალის ელვიძა და ქალაქს გადაჰყურებდა.

— რა ხდება? — ვკითხე.

— მგონი, მთავრობის ჯარი შემოდის!

მართლაც ამას ჰყავდა. მერეთის აღმოსავლეთ შემოსას-ვლელთან დაფიონი ღვიოდა. იქ, აღბათ, საწყობები იწვოდა.

დენი გათიშული იყო, მაგრამ ფარების გამონაშუქისაგან ქალა-ქის თავზე ჩრდილ-ნათელი ცეკვავდა.

ამასობაში ქრისტეშიაც გამოვიდა, მერე შეშინებული ქალებიც გამოლაგდნენ.

ვიდექით აივანზე და უხმოდ გავყურებდით ამ სურათს. იმთავითვე ცხადი იყო, მერეთის პროვინციული მთავრობა დამარცხდებოდა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამთავრებულიყო ქვეყნის უაზრო გახლეჩვა, მაგრამ ეს უცნაური აურზაური, რასაც აივნიდან გავყურებდით, სიხარულის არანაირ საფუძველს არ გვაძლევდა და, თითქოს ჩემი ეჭვები გამართლდა, ქუჩის ბოლოს ქალი აკივლდა და რამდენჯერმე გაისროლეს კიდეც.

— ძარცვავენ, ალბათ! — მწუხარედ თქვა ქრისტეშიამ, ომგავლილმა, რომელმაც ბრძოლებზე მეტად „მარადიორთა“ თარეში იხილა.

კაცებმა ერთმანეთს გადავხედეთ. შორიდან მაყურებლის როლი გვემძიმა და უთქმელად შევტრიალდით, კიბეს მივაშურეთ. წინ მართალი მირბოდა კოჭლობით, უკან მე და ქრისტეშია მივყვებოდით, მარომ კი ჭიშკრამდე გვდია, თან მოგვძახოდა:

— რას შევებით, კაცნო, მიცვალებულს ჩვენ გვიტოვებთ?

ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ამ ერთი, მოკლე დღის მანძილზე რამდენი რამ უნდა გადაგხვდენოდა, მაგრამ იმაში კი ვიყავით დარწმუნებულნი, მიცვალებულს არავინ წაგვართმევდა. ამიტომაც გულდაგულ გავეშურეთ იქითკენ, საიდან-აც კივილი მოგვესმა.

აღმოსავლეთიდან ჟანგისფერმა მზემ ამოიწია. ტანით ჯერაც ჰორიზონტს ეფარებოდა, თავი ღრუბლებში შეეყო და იმ ხანძრის გაგრძელებას დაემსგავსა, აივნიდან რომ ვუყურებდით.

ერთგან მეზობლები შეყრილიყვნენ, ათიოდე ქალი და კაცი. სხვები, ალბათ, შიშით გამოიკეტნენ სახლებში, თუმცა ეს ათეული ისე აღგზნებულად ყაყანებდა, ასასაც აჯობებდა.

— რა მოხდა, ხალხო? — თავშეკავებით იკითხა მართალიმ.

მე და ქრისტეშიაც მივადექით და პირველი, რაც ვიხილე, ნაცემი კაცი იყო. ტუჩ-პირი დასისხლიანებოდა, შუბლი გახე-თქოდა, კონდახი თუ ჩასცხეს, რადგან ახლა ავტომატი უფრო იოლი საშოვნია, ვიდრე, ვთქვათ, კასტეტი.

— აი, კაკო რა დღეშია! — უპასუხა საშუალო სიმაღლის მელოტმა, რომელსაც თვითონაც მარცხენა თვალი ჩაბუშტული ჰქონდა და, როგორც წუთის შემდეგ გავარკვიე, სახელად დიმიტრი ერქვა.

— დავიღუპე, ძმაო, ჩემი სიმწრით ნაშოვნი „ნოლსემი“ ამაგლიჯეს!

— როგორ თუ აგაგლიჯეს, მერე ხელისუფლება... — წამოენთო მართალი, მაგრამ კაკომ ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— სადაა ხელისუფლება? ერთმა მოკურცხლა, მეორე ჯერ ვერ ხელისუფლობს, მე კი გვარიანად მცემეს, რატომ შენს ქონებას სიხარულით არ გვითმობო! არა, მეც რომ გავჯიქდი, ავტომატს ცარიელი ხელით რომ გადავუდექი... ახია, ახია ჩემზე!

— შენ რაღაზე მოგხვდა? — დიმიტრის მიუბრუნდა მართალი.

— მეც მაგაზე! ხომ იცი, გარაჟში ახალი „31“ მიყენია! ვიღაცამ ჩამიშვა, თორემ ქალაქში ერთი საათის შემოღწეულებს საიდან დავესიზმრებოდი? წინასწარ ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა და წუხელ გარაჟის კარები შიგნიდან კუთხოვანებით ჩავადულე. გაცოფდნენ, ტყვით დაცხრილეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს... კინალამ მეც ზედ მიმაყოლეს, მაგრამ მერე თვალში მუშტი მაკმარეს...

ვაი- ვიშით საქმეს ვერაფერს ვუშველიდით და აფორი-აქებულ მეზობლებს გავშორდით.

მართალის პირისახე მიწისფერი გაუხდა, ნიკაპი უკან-კალებდა.

ქრისტეშიამ მხარზე ხელი მოჰვია:

— ომია, მამა! ჯარებს უკან სვავები მოჰყვებიან. კიდევ კაი, კაცი არ იმსხვერპლეს. წამოდი, მარო მამიდა მართალია, შინ მიცვალებული გვისვენია, უნდა ვუპატრონოთ!

— ჰო, ჰო!

მართალი ზედმეტად დათოვუნვილი მომეჩვენა და შევე-  
ცადე, დამემშვიდებინა:

— შინ მიპრანდით, მიცვალებულს წესი უნდა აუგოთ,  
თანაც შვილიშვილები მოვლენ — ნესტორი და ტატაჩი. მე კი  
ქალაქში გავივლი, ამბებს გავიგებ და მოვპრუნდები!

მამა-შვილი შინ შებრუნდა, მე გზას დავადექი.

დეკემბერში ხომ გვიან თენდება და თუმცა ახლახან ინ-  
ათა, საათის ისარი, ჩემი გუმანით, ათს უახლოვდებოდა.

გზაჯვარედინთან ორი დიდგაბარიტიანი მანქანა ისე  
ამოგრიალდა, კინალამ გამიტანეს. კაბინას აქეთ-იქით იარაღ-  
იანი პირები ეკიდნენ. ძარაზე ზედახორად ეყარა ახლახან სახ-  
ლებიდან გამოზიდული ავეჯი და საოჯახო რაგინდარა. ასე  
აშკარად, დღისით მზისით, უტიფრად მიჰქონდათ სხვისი ქო-  
ნება და გამკითხავი არავინ იყო.

სანამ მამუკას ქუჩას ჩავათავებდი, ერთი მანქანაც დავ-  
ინახე. ორსართულიან, მდიდრულ სახლს მისდგომოდა და  
ფორმიანი თუ უფორმო ტიპები მხიარული ტკარცალით ეზი-  
დებოდნენ იმპოტულ ავეჯს. გავჩერდი, დავანამუსებ-მეთქი.  
ჯერ ყურადღება არავინ მომაქცია. მერე ერთმა, წვერიანმა  
და შავი ბენდენით თავნაკრულმა, ყელზე ავტომატის ლულა  
მომაბჯინა და ლიზლურად დაიჯღანა:

— ძიაკაცო, იმისტი ხარ თუ ამისტი? არჩევანი — შენ,  
არადანი — მე! თუ ერთის მხარესა ხარ, ყელში გესვრი, თუ  
მეორისა — საფეთქელში!

თვითონვე გადაიხარხარა ამ „ხუმრობაზე“, მე კი, შეუ-  
რაცხყოფისა და შიშისაგან შინაგანად შებრული, სწრაფად  
გავშორდი და კარგა ხანს ცახცახი ვერ დავიოკე.

ვინ არიან ესენი, საიდან გამოჩენენ? დამოუკიდებლო-  
ბისათვის ბრძოლის წმინდა ყვავილეთში საიდან ამოიჩაჩა ეს  
ბოროტი ნარ-ეკალი!

სკოლასთან გავიარე, ბავშვების ჭაჭანიც არ ისმოდა,  
ალბათ, მშობლებმა შინ გამოკეტეს, საფრთხეს აარიდეს.

ჭიშკართან ბერიკაცი იდგა, ჯოხს დაყრდნობოდა. ადრე  
მაღალი და გამხდარი იქნებოდა, მაგრამ ახლა სიბერემ კითხ-

ვის ნიშანივით მოკრუნჩა, ცარიელ ჩონჩხად აქცია. უფერუ-  
ლი თვალები გამომაყოლა და უხსენებელივით დაისისინა:

— ეს გინდოდათ, ხომ?

აქლემა-პარმენი დიდი ხნის დამარხული მეგონა და აგერ  
არ გამომეცხადა?

უხმოდ გავეცალე, რუსთაველის დაცარიელებულ ქუჩას  
დავუყევი. ზოგან, ღობებს მიღმა, დამფრთხალი მერეთელე-  
ბი იჭყიტებოდნენ, ჭიშკრიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ...  
სხვადასხვა უბნებიდან ხმები აღწევდა — ვინ კიოდა, ვინ ის-  
როდა, ვინ ილანძლებოდა...

მოულოდნელად მანქანის თუხთუხი მომესმა და თეთრი  
„უიგულის“ კაპოტმა გვერდზე მომიხახუნა.

ელდანაცემი განზე გავხტი.

— რას შვები, შე ოჯახქორო, უნდა გამიტანო!?

ხელთ დურუ გეგიას ბიჭები შემრჩნენ, ჩოქო და გუჯა,  
უშნოდ იჯღანებოდნენ.

— აუჳ, კინალამ ჩვენი კალმოსანი ძია არ შემოგვეჭყლი-  
ტა? — ჩოქო აშკარად ერთობოდა ჩემი შიშით.

მანქანა მაშინვე ვიცანი. ის „ნოლშესტი“ იყო, რითაც დი-  
ტომ აბაშაში ჩაგვასეირნა. ახლა საჭეს ჩოქო ეჯდა, — ბანჯგვ-  
ლიანი ნადირი (ჯაყო გამახსენდა ცნობილი ტელეფილმიდან!),  
ხოლო წინა სავარძელში გუჯა გაშოტილიყო, ავტომატის  
ლულა სარკმელში გამოეშვირა, ვინძლო დასჭირვებოდა.

დავიხარე, სალონში შევიჭყიოტე. უკან დიტო იყო მიგდე-  
ბული, პირისახე ცემისაგან დახეთქოდა და სისხლის ლაქები  
ზედ შეხმობოდა.

— ეს რა გიქნიათ, თქვე უღმერთოებო, ძმას სცემეთ? —  
აღშფოთებით ვიკითხე.

— მაგას მოვუ...ნავ თავის წილ დედას! — შეიგინა ჩო-  
ქომ. — ზვიადისტია ეს ნაბიჭვარი!

ამ სიტყვების გაცვლადა მოვასწარით და „უიგულს“  
უკნიდან ფურამანქანა მოადგა. საჭესთან მჯდომი მიშიკო  
ხელის ანევით მომესალმა.

— ათავისუფლებთ, ხომ, ქალაქს? — ჩავეძიე.

ჩოქომ ავად შემომიბლვირა:

— გვაშაყირებ, ჯიგარო?

სულაც ფეხებზე ეკიდა ჩემი ასაკი, პროფესია, ახლობ-ლობა, ძმას არ ინდობდა და მე რას დამინდობდა, მაგრამ უც-ბად ისეთი რამ მოხდა, ყურადღება გადაგვერთო.

დიტომ კარი გამოხეთქა, პირდაპირ ასფალტზე გადმოგ-ორდა და ქუჩის გასწვრივ გაუტია.

— ესროლე, მაგისი!.. — შეჰლრიალა ჩოქომ.

გუჯა შეყოყმანდა, ხოლო ჩოქომ იარაღი გამოგლიჯა, მანქანიდან გადმოხტა და გაქცეულს დაუმიზნა.

გვერდით ვედექი და დაუფიქრებლად ლულაზე ხელი ავუკარი.

ტყვიის ხოშკაკალი ჰაერში გაფრინდა. დიტო მოსახვევ-ში გაუჩინარდა.

ჩოქო ერთხანს მძიმედ სუნთქავდა, კისერზე სისხლძარ-ლვები ებერებოდა. მეგონა, ლულას შემომიბრუნებს და ტყვი-ას დამახლის-მეთქი, მაგრამ გონს მოეგო და საკმაოდ შემ-რიგებლურად მითხრა:

— მადლობელი ვარ, საუკუნო ცოდვას გადამარჩინე!.. მოსაკლავი მყავდა ეს ნაბიჭვარი, მაგრამ დედაჩემის შვილია...

არ ვიცი, ეს სცენა გაათამაშა თუ გულწრფელი იყო.

ჩაჯდა დიტოს მანქანაში, დაქოქა და ნავიდა. უკან მძიმე რახრახით მიჰყვა ფურამანქანა, რომელიც, ალბათ, ან ნაძარ-ცვით იყო გაძეძგილი, ან „ნაკოლზე“ მიდიოდა და იქ გაიძე-გებოდა.

მავანმა ეზოდან შიშიანად გამოიხედა. საათი ვკითხე. თერთმეტი გასრულდაო, მითხრა.

გზა გავაგრძელე.

ბაზრის სიახლოეს ხალხი მომრავლდა. მერეთი სავაჭრო ცენტრია და მშვიდობიან უამს აქაურ ბაზარში ვაჭრისა და მუშ-ტრის ტევა არ არის. ახლაც კი არეულობამ, ყაჩალობამ და სრო-ლამ აღებ-მიცემობის უინი ბოლომდე ვერ ჩაკლა, მაშინ, როცა ასიოდე მეტრზე ტანკების მუხლუხებით ასფალტი ტყდებოდა და ჯავშნოსნების გამონაბოლქვისაგან ჰაერი ყარდა.

ბაზრისწინა მოედანზე უცნაურ სურათს შევესწარი. ვა-ჭარ-მუშტარი მოედნის კიდეზე მოძრაობდა ან ბაზრის შესას-

ვლელთან იდგა ჯგროდ, შუაგულში კი ასამდე ფორმიან მილ-იციელს ავტომატები თავზევით აეშვირა... მოულოდნელად დასცხეს შედლუხი, ტყვიის ფეიერვერკი დააყენეს. ისეთი გრიალი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო.

ვიდექი და თავს ვეკითხებოდი: რატომ ისვრიან ცაში? ვის აშინებენ? ვის ეუბნებიან, ფრთხილად იყავით, ჩვენ აქა ვართ და მაგრად ვდგავართო... ეს იყო ბაქიბუქი, არავინ უფრთხოდა მათ ნითელკანტიან ქუდებსა და გახუნებულ ფორმას, ეს უძლუ-რების გამოხატულება უფრო იყო, შიშისა, იმის ნიშანი, ოღონდ არ მოგვეკაროთ, ხომ ხედავთ, ჰაერში ვისვრითო...

მერეთელები უყურებდნენ ამ წარმოდგენას, თავს ეჭვით გააქნევდნენ და მიდიოდნენ.

მეც ჩემი გზით, ბულვარისაკენ გავემართე და, გავცდი თუ არა მილიციელთ, რომელთაც, სხვათა შორის, ტყვია შე-მოელიათ და ახლა მდუმარედ იდგნენ, ლესტამბე თოლორა-იას წავაწყდი, ჯიპიდან მიყურებდა...

18

— ხიფათს არ გადაეყაროთ, პატივცემულო, ხედავთ, რა ამბავია! — დრუნჩი გამომიშვირა, ნერწყვს აშხეფებდა.

— ბოლოს და ბოლოს სადა ხელისუფლება? — შეკავე-ბული სიბრაზით შევეკითხე.

— ძველი აორთქლდა, ახალი ამწუთას იბადება, ქალაქს მშობიარობის ჭინთვები აქვს! — მშვიდად ლაზლანდარობდა.

ჯიპში შეიარაღებული კაცები ისხდნენ. არცთუ მეგო-ბრულად მათვალიერებდნენ, მაგრამ აქ, ქალაქის ცენტრში, საკმაო გამვლელი მიმოდიოდა და თავს შედარებით უსაფრ-თხოდ ვგრძნობდი.

— დამშვიდდი, პატივცემულო! — განაგრძო ლესტამბემ. — პირველი კაცია ჩამოსული, მერეთის გონიერი საზოგადოე-ბა მოედანზე იკრიბება. თქვენც, უმჯობესია, იქ წაბრძანდეთ!

„მერეთის გონიერი საზოგადოება“ უამრავ წანილაკად იყო დახლეჩილი და დაფანტული, ზოგი გუშინდელი პირველი

კაცის სახელს ითიცებდა, ზოგი დღევანდელისა, სხვები კი უამრავი „ლიდერის“ გუნება-განწყობილებაზე მიმოიქცეოდა, რომლებიც ამ მდელვარების უამს ზედაპირზე ისევე ამოტივ-ტივდნენ, როგორც ფუნა ამდვრეულ წყალში.

— მანქანაში ჩაბრძანდით, ჩვენც იქითკენ მივდივართ!

ლესტამბეს მიპატიუება არად ჩავაგდე და ფეხით წა-ვედი.

ჯიპიც აუჩქარებლად დაიძრა. მე ტროტუარზე მივა-ბიჯებდი, ის შორიახლო მომყვებოდა.

ასე მივაღწიეთ ბულვარამდე.

ჭადრების გასწვრივ ათიოდე ჯავშნოსანი იყო ჩამწკრი-ვებული. უამრავი შეიარაღებული ახალგაზრდა ირეოდა. ზოგს ძველი, რუსული ფორმა ეცვა, ზოგს დაფოთლილი კამუფლაჟი, ზოგიც ჩვეულებრივი ჯუბებითა და სვიტრებით იყო შემო-სილი... ბატკო მახნოს ანარქისტულ რაზმს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სახელმწიფო შენაერთს. ერთი მშვიდად ირჯებოდნენ, გამვლელებს კეთილმოსურნედ ულიმოდნენ... მეორენი დაბ-ნეული ჩანდნენ, თითქოს უცხო რამ მხარეში ჩამოვედითო... მესამენი წამლით დაბანგულები იყვნენ... ამათ შორის სიარუ-ლი მთლად უსაფრთხო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავაღე-რებული მივემართებოდი მთავარი მოედნისაკენ, რომელსაც ერთ დროს სტალინის სახელი ერქვა, მერე ოქტომბრისა, ახლა კი, მგონი, თავისუფლების მოედნად გადაენათლათ.

პრეფექტურის წინ რამდენიმე სამხედრო და სამო-ქალაქო მანქანა იდგა და იქვე დიდი თავყრილობა დავინახე. ჭალაროსანი მერეთელები ვიცანი, ხელისუფალთა ყოველი ცვალებადობის უამს ამ მოედანზე რომ გამოჩნდებიან, რო-გორმე დღესასწაულს არ გამოვრჩეთო და ქვეყნის პირველ კაცს ბუზივით ეხვივნენ... პირველს ნაცრისფერი შარვალ-კოსტიუმი ეცვა, უქუდოდ იყო, თხელ ჭალარას ნიავი უფრი-ალებდა. გვერდით დურუ გეგია ედგა, ხელებს იქნევდა და რაღაცას გულდაჯერებით უმტკიცებდა.

ჯიპიც აგერაა, ჩემს გვერდით. ლესტამბემ, ჩემი ნაფიქ-რალი ამოიცნოო, ფართოდ გამილიმა:

— გაგიკვირდათ, პატივცემულო? დურუზე უკეთესი ქა-ლაქის თავი მერეთს არც ღირსებია!

ესეც ასე! დურუ გეგიას ქალაქის სადავე კვლავ ხელთ უპყრია, კვლავაც პირველობს.

ქალაქის პირველი კაცი ქვეყნის პირველ კაცს ებაასება.

ირგვლივ ტელეოპერატორები მიმორბიან, ენერგიულად „აკარტოჩებებებ“.

— მობრძანდით, თორემ დაცვა არ გაგატარებთ! — ერთხელაც შემომთავაზა ლესტამბემ.

ამჯერად დაცყაბულდი და ჯიპში შევეკვეხე, უკანა სა-ვარძელზე მჯდომი ტიპი შევავინროვე.

ლესტამბესათვის, ალბათ, ყველა გზა ხსნილი იყო და, მოედახზე ისე შევედით, არავინ გაგვაჩერა.

სანამ დაცვის ტალიკ-ტალიკ ბიჭებამდე მივაღწევდით, სურათი შეიცვალა. ქვეყნისა და ქალაქის პირველი კაცები ქალების გარემოცვაში აღმოჩნდნენ. რამდენიმე ქალი ერთ-მანეთს სიტყვას კივილით ართმევდა.

— გვიშველეთ, ხალხნო, მინ გვივარდებიან, გვძარ-ცვავენ! ჯარი აქ გიყენიათ, აქედან ას მეტრზე კი მძარცვე-ლები პარპაშებენ!..

ქვეყნის პირველი კაცი ჩვენენ შემობრუნდა, სახეზე გაღიზიანება შეეტყო:

— მიხედეთ ამას! მარადიორები არ უნდა დავინდოთ!

რა ჰქონდა მხედველობაში? მათრახი, პატიმრობა თუ უარესი, სიკვდილი... სიტყვა დაგდებულია, ახლა მთავარია, იქიდან ვინ რანაირ ქვეტექსტს ამოიკითხავს.

— მარადიორებს ფრთხი უნდა დავასხიპოთ! — მოაყ-ოლა დურუმაც და, თუმცა აქაურობა ჯარით იყო სავსე, რა-ტომდაც ჩვენი ჯიპისაკენ გამოიხედა.

ლესტამბემ კისერი მოაბრუნა, მის სიფათზე ისეთი რამ ამოვიკითხე, გამაურეოლა. რატომლაც გამახსენდა მისი შო-რეული ბავშვობა, კატისა და ძალლის შემზარავი ბედი...

ამასობაში იმ მხარეს, საითკენაც ქალები ხელს იშვერდ-ნენ, შეიარაღებული ოცეული გავარდა.

— მიდი! — უბრძანა ლესტამბემ მძლოლს და ჩვენც იქით-კენ გავქანდით.

სროლის ხმა გაისმა.

— დაგვასწრეს! — ღრჯოდ ჩაილაპარაკა ლესტამბემ.  
ოცეულს ალყა შემოერტყა მდიდრული სახლისათვის და  
ნინა კიბით ახალგაზრდები გამოჰყავდათ.

სულ ოთხნი იყვნენ, სამი — ოცი-ოცდაორი წლისანი, ერ-  
თიც თექვსმეტისაზე მეტი არ იქნებოდა.

ხელები გაკავებული ჰქონდათ და დაფეთებული აქეთ-  
იქით იყურებოდნენ, ყველაზე პატარას ტუჩები გალურჯებო-  
და და უაზროდ იმეორებდა:

— მე არა, მე არა!..

ჭიშკრებიდან გამორბოდნენ ქალები და ბავშვები, ორი-  
ოდე ხნიერი კაციც ერია. ყველა ერთად ქაქანებდა, ყვიროდა,  
ერთმანეთს არ აცლიდნენ:

— ქურდები!.. ბანდიტები!.. ამათი სისხლი გაშრა!.. ჩაქო-  
ლო უნდა, ჩაქოლო!..

ეზოდან ჯიკავ-ჯიკავით გამოყარეს და ზედ გზისპირას  
თავდალმა დააწვინეს.

ბრბო თანდათან იზრდებოდა, უმართავი ხდებოდა. იარ-  
ალიანი ბიჭები წრედ იდგნენ, ავტომატები ძირს დაყრილები-  
სათვის მიემვირათ და ბრძანებას ელოდნენ.

იმაზე საცოდავი არაფერია, ვიდრე გულზე დაწოლილი  
ადამიანი, რომელსაც ხელები თავზევით შემოუწყვია და გან-  
ძრევას ვერ ბედავს, ტანში ურუანტელი უვლის, რადგან გახ-  
ელებული ბრბოს წინაშე ულონო და დაუცველია... მანქანიდან  
უუყურებდი ამ საბრალო „მარადიორებს“ და უკვე დამვიწყე-  
ბოდა მათი დანაშაული, მინდოდა, როგორმე სასჯელი ამერი-  
დებინა, განსაკუთრებით იმ მეოთხე, პატარა ბიჭისათვის,  
რომელიც უაზროდ მოთქვამდა:

— არა, არა, მე არა!.. — სხვა სიტყვები კი ვერ მოეძებნა.

— ბრბო გადათელავს, ქენი რამე! — ლესტამბეს მივ-  
მართე, რადგან ვხედავდი, გადაწყვეტილების მისაღებად საკ-  
მაო ძალასა ფლობდა.

ლესტამბემ — უჰო! — ერთი ამოიხვნეშა და მანქანიდან  
გადავიდა. მძიმედ მიდიოდა, მობლუნძული, ვითარცა სიკვდილი,  
ვითარცა ბედისწერა, მაგრამ მე აქედან მხოლოდ მის ფართო

ბეჭებს ვხედავდი და ახალგაზრდების გადარჩენის იმედს  
გაურკვეველი შიში შეერია, რომლისგანაც ვერაფრით  
გავთავისუფლდი. უკვე ვნანობდი, რომ ვუბიძებე, ავამოქმედე,  
თითქოს საათი დამექოქოს, თუმცა საღი აზრი მკარნახობდა,  
რომ იგი ჩემი სიტყვების გარეშეც ჩაერეოდა კვანძის გახსნაში.

წრედ დამდგარ ბიჭებში გაიარა ლესტამბემ, ძირს გაწო-  
ლილებს თავზე დაადგა. განაპირას, სხვაზე უფროსი რომ ჩან-  
და, ჭვინტი მსუბუქად წაჰკრა. იმას ცახცახმა დაუარა და ეს  
შორიდანაც აშკარად დავინახე. ყველაზე უმცროსმა კი ცრემ-  
ლიანი სახე მოაბრუნა და შესთხოვა:

— არა რა, ძია, გეხვეწები!

ლესტამბემ არაფერი უპასუხა. მიმოიხედა. მისი ქურუში  
მზერის ქვეშ ბრბო შიშიანად გაჩუმდა და ახლა ყველანი, მისი  
ძლევამოსილებითა და თავდაჯერებულობით დათრგუნვილე-  
ბი, მდუმარედ ელოდნენ განაჩენს.

მან კი ხელი გაუწოდა ახლო მდგომ ჯარისკაცს, ავტო-  
მატი აართვა, გააჩხაუნა.

შემზარავი წუთი იდგა და კრიჭა შემეურა. მინდოდა, მეყვი-  
რა, მაგრამ ენა პირში ვერ მოვაბრუნე; მინდოდა, მანქანიდან  
გადმოვმხტარიყავი, მაგრამ ფეხები ბამბასავით გამიხდა.

იმან კი, ჩემივე ხელით შექმნილმა ამ შემზარავმა გომბე-  
შომ, ჩახმახს თითო გამოპერა და ტყვიით ოთხივეს გადაუარა.

ყურში მხოლოდ ზრიალი და ბიჭის შეკივლება ჩამრჩა.

ჯიპიდან ჩამოვხტი და იქაურობას სწრაფად გავეცალე...

დღის პირველი საათი იქნებოდა. მოკლეზე წამოვედი.  
მერეთიდან მომავალი ტრასა უნდა გადამეჭრა და ქალაქიდან  
დაძრულ კოლონას შევესწარი. ისეთი აურზაურით მიდიოდ-  
ნენ, თითქოს მტრის ქალაქი დალაშქრეს და ახლა ნაალაფარით  
ბრუნდებიანო. მართლაც ნაალაფარი იყო: სხვადასხვა მარკის  
ორასი მსუბუქი მანქანა მაინც იქნებოდა (იქნებ კაკოს „ნოლ-

სემიც “ამათში ერია?); ავეჯით, სერვიზით, რაგინდარა სა-ოჯახო ნივთებით დატვირთულ კრაზებს, კამაზებს, ფურამან-ქანებს მიჰქონდა მერეთელთა წლობით ნაჯაფარი ქონება და ძალა არ ჩანდა, ამას რომ შეაჩერებდა.

იმდენად მჭიდროდ მიგუგუნებდნენ, იმდენად თავხე-დურად, გზის გადაჭრა ვერ გავპედე და მთელი ნახევარი სა-ათი ვიდექი, სანამ კოლონა ჩაივლიდა. ბოლოს ისეთი სიწყნარე ჩამონვა, ყურებმა ბუუილი დამიწყეს. დანაგვიანებული ტრა-სა გადავირბინე, ჯერ ბარაკებთან გავიარე, მერე საქარხნო კორპუსებს შორის, მერე ბონდის ხიდზე და ამოდენა გზაზე კაცი არ შემხვედრია.

მამუკას ქუჩას მივადექი, ოლონდ არა იმ მხრიდან, საიდ-ანაც დავტოვე. ქუჩის კუდი თითქმის გარეუბნამდე აღწევდა, ბოლო წლებში იყო მიერთებული და ასფალტისათვის ვერავინ მოიცალა. ძველი ნაწილის ანგრეულ ასფალტამდე რომ მი-ვაღწიე, კამუფლაჟიან ახალგაზრდას მოვკარი თვალი.

დევივით აღნაგობისა იყო, ერთის მაგიერ ორი ზურგჩან-თა მოჰქონდა, ავტომატი სათამაშოსავით ეჭირა.

შუადლე იდგა, მაგრამ საკმაოდ ციოდა და გამიკვირდა, რომ ტანისამოსი ერთიანად დასველებოდა.

იარაღიან კაცთან დალაპარაკებაც არ მინდოდა, მაგრამ, ისე მძიმედ მიადგამდა ფეხს, ისე დალლილი ჩანდა, დავეწიე და გვერდიდან ავხედე.

მსხვილნაკვთებიანი, ლამაზი პირისახე ჰქონდა, ოლონდ ახლა ფერი არ ედო. სიცხიანსა ჰგავდა და თანაგრძნობით შევე-კითხე:

— ყმაწვილო, ცუდად ხომ არა ხარ?

ლრმა, კუნაპეტი თვალები მომაპყრო, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ვეკითხებოდი, მერე თავი დამიქნია.

ტროტუარზე, ლობის გასწვრივ მივდიოდით და მესერს მიეყრდნო.

ხელი მოვკიდე, სიცხით იწვოდა.

— შენ მართლაც სიცხიანი ხარ, გენაცვალე, სად მიდიხ-არ, რა გქვია? — ხმამაღლა ჩავძახე, რადგან მომეჩვენა, რომ გონს კარგავდა.

— ნესტორი ვარ! — ესლა თქვა.

— ნესტორი?! — კინაღამ ვიყვირე. თავში უამრავი კითხ-ვა დამიტრიალდა: „ნესტორ თოდუა? მერე ცირა? მერე ტატა-ჩი?“ მაგრამ ახლა ამას შეკითხვები კი არა, შველა სჭირდებო-და: — მომე, შვილო, ეგ ტვირთი!

ზურგჩანთები ავაცალე და მხრებზე გადავიკიდე. ძა-ლიან კი მემძიმა.

იარაღს ხელი არ გაუშვა და შევეშვი, მკლავში ხელი გამ-ოვდე, გავიყოლიე.

— აბა, აბა, ახლოსა ვართ, კიდევ ცოტა და შინ ვიქნებით!

ბარბაცით მივიწევთ, ტვინს კი სულ ის კითხვები მიბურ-დავს, ენის წერზე მიტრიალებს... შორეთის იმ ბნელეთიდან ხომ სამნი მოდიოდნენ, მერე რა მოხდა?

თოდუების მოღიავებული ჭიშკარიც გამოჩნდა. მეზობ-ლები შეყრილან, არც ისე ბევრნი, მაგრამ ამ არეულ დროში ეფროს მაინც შემორჩენია პატივისმცემელნი.

დაგვინახეს და ერთი ვაი-ვიში ატეხეს, ნესტორი მოვი-და, ნესტორიო, ერთმანეთს გადასძახოდნენ.

აგერ მართალი და ქრისტეშია კიბეზე ჩამორბიან და ჩვენკენ მოეშურებიან.

ჭიშკართან შემოგვეგებენ.

— ცუდადა! — მოკლედ მოვჭერი, ზურგჩანთები მე-ზობლის ბიჭებს მივუყარე.

ნესტორმა ღონე მოიკრიბა, თვალი ძლივს გაუსწორა ბაბუასა და მამას, ბაგე უკანკალებდა.

— სხვები სად არიან? — მართალი ჰკითხა.

— ტატაჩი? — ქრისტეშიამ.

ნესტორმა თავი ჩაღუნა და უცებ ცრემლები ღაპალუპით ჩამოუცვივდა.

— დავიღუპეთ, მგონია! — გაფითრდა მართალი, შეტ-ორტმანდა.

აზრიალდნენ მეზობლებიც, დავიღუპეთ, დავიღუპეთო.

ნესტორს ხელი ჩავავლეთ, სახელოსნოში შევიყვანეთ, გავხადეთ და ტახტზე დავაწინეთ. ფერდაკარგულმა ლელამ თეთრეული მოარბენია, თან ჩურჩულით გვთხოვდა:

— მართას არ გააგებინოთ, თორემ ხელში ჩაგვაკვდება!  
შვილს თავთით ჩამოუჯდა, ცრემლს ძლივს იკავებდა და  
ეტუტუნებოდა:

— შენ მაინც ხომ მეღირსე, დედა გენაცვალოს, შენი გა-  
დარჩენის იმედიც მიქრებოდა... ვავა, ტატაჩი, სადა ხარ, შვი-  
ლო... — ამას ხმადაბლა ამბობდა, ცდილობდა, მისი ხმა ზევით,  
სმენაგამახვილებული რძლის ყურს არ მისწვდენოდა.

— დედა, მამა! — სუსტად, დანაწევრებით ალაპარაკდა  
ნესტორი. — ოჟ, დავიღალე, მიჭირს... რა ვთქვა, რა ვთქვა?..

— დაისვენე, დედა გენაცვალოს, გამოიძინე და მერე  
მოგვიყევი.

ასე აჯობებდა, მაგრამ მოლოდინის გახანგრძლივებას  
გული ვერ გაუძლებდა და ტახტს ვერ ვშორდებოდით.

— ცირა დავმარხეთ... მე და ტატაჩიმ დავმარხეთ... არ  
ვიცი, რა სოფელია... წყავის ძირას გავთხარეთ... ბნელოდა...

მზერა მართალისკენ გავაპარე. გამეხებული იჯდა, სახე  
ნიღაბს დაემსგავსა, კუნთიც არ ეძროდა.

— მერე ბნელში მოვდიოდით... მოვდიოდით... — ჩურ-  
ჩულებდა ნესტორი, სიცხიან ბურანში ეფლობოდა.

— მერე, შვილო, მერე? — მოუთმენლად წამოსცდა ლელას.

— მერე გაქრა...

— რა გაქრა, შვილო?

— ტატაჩი გაქრა... გაქრა... — ბავშვივით ჩაისლუკუნა  
ნესტორმა და ძილში ტირილი ჩაიყოლია.

„გაქრა?“

რას ნიშნავდა ეს სიტყვა? სრულ უიმედობას თუ, პირი-  
ქით, იმედის ნაპერნკალს. დიახ, ამ სიტყვაში სუსტი იმედი იძებ-  
ნებოდა და ლელამ დაწითლებული თვალებით ამოგვხედა:

— მართას არაფერი უთხრათ! ნურც ნესტორის მოსვლა  
ეცოდინება!

ოლონდაც, კედლებსაც ყური აქვს, სიტყვა, ერთხელ  
გაფრენილი, ჰაერში ხმიანებს და იმას ისევე ვერ დაიჭერ,  
როგორც გაფრენილ ჩიტს.

სიტყვა მომთავრებული არც ჰქონდა ლელას და უცებ  
თავზარდამცემად, შემაძრნუნებლად იწივლა ვიღაცამ და  
იატაკზე მძიმე სხეულის დაცემის ხმა მოისმა.

გიუებივით გამოვცვივდით. სხვაზე წინ კიბეზე მე ავირ-  
ბინე.

აივანზე მართა ეგდო, უფრო სწორად, სანახევროდ უკვე  
წამოფოთხებულიყო, თავს აივნის სვეტს ურტყამდა და უაზ-  
როდ იმეორებდა:

— ტატაჩი, ტატაჩი, ტატაჩი!..

მხრებში ჩავაფრინდი, წამოყენება ვცადე.

ამ დროს ქრისტეშიაც მოიჭრა, ქალივით ტიროდა და ემუ-  
დარებოდა:

— არ შეიძლება, შვილო!.. მაგი არ ქნა, შვილო!.. მთლად  
დავიღუპებით, შვილო!..

უკვე აღარ მახსოვს, კიდევ ვინ მოირბინა. ციმციმ ავი-  
ტაცეთ და ოთახში, ტახტზე წამოვაწვინეთ. ის კი ხან გონს  
კარგავდა, ბაგე ულურჯდებოდა, არიქა, ნიშადურიო, რაღა-  
ცას ვაყონსებდით, ისევ გონს მოდიოდა და ტატაჩის სახელს  
უსასრულოდ იმეორებდა, გულამოსკვნით ტიროდა...

საბრალო ეფრო ბებია, თავის კუბოში ჩუმად გატრუნუ-  
ლი, საერთოდ დაგვავინებდა.

თავგზა ისე ამებნა, ვერ ვიხსენებ, რას ვაკეთებდი, რას  
ვლაპარაკობდი, ვფაციფუცობდი.

— ექიმი, ექიმი გვჭირდება! — დაიძახა ვიღაცამ.

— მგონი, დაიძრა... ღმერთო, შენ გვიშველე! — ქალის  
ხმა მესმოდა.

— მანქანა, ნუთუ მანქანა არავისა ჰყავს?!

მანქანები წახვეტეს, სამეზობლოში ერთადერთი „ვოლ-  
გაა“ და გარაჟის კარები პატრონს ისე შეუდუღებია, ვერაფ-  
რით შეამტვრევ.

აგრ ცხენის ორთვალა, „ტაჩიას“ რომ ვეძახით, „უიგუ-  
ლის“ შინებზე დგას. კოფოზე ბოშა ბიჭი ზის, აღვირი უპყრია,  
ამით ტაქსაობს.

აბა, ჩქარა, ჩქარა... ლეიბები ჩავფინეთ, საბნები, ბალიშები...

მართას ორთვალაზე ვაწვენთ, ლელა გვერდით მიუჯდე-  
ბა, მშობიარეს თავს მუხლებში ჩაიდებს, ეფერება, გაუძელი,  
გენაცვალე, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო...

თავქუდმოგლეჯილი მართალი, სახეშეშლილი ქრისტეშია და მე ძუნძულით მივყვებით, არ ვიცი, ღონე სადამდე გვეყოფა.

მამუკას ქუჩის ბოლომდე ჩავირბინეთ და ლელამ იყვირა:  
— გააჩერე, გააჩერე!

ბოშამ აღვირი მოზიდა, გაჩერდნენ და ჩვენც მივუსწარით.

— რა იყო, რა მოხდა?  
— ენყება, ვეღარ ვასწრებთ!

მართა კივის, მისი კივილი ცასა სწვდება. აცრემლებულ ლელას მისი თავი უჭირავს და, ლამისაა, თვითონაც აკივლდეს.

მეზობლები მორბიან, ზოგი იძახის, ავჩერდეთ, სამშობიაროში ჩავასწრებთო, მეორენი ირწმუნებიან, ექიმი საცაა გამოჩნდებაო, უფრო ფლეგმატურნი — იქნებ შინ დავბრუნდეთ, ღია ცის ქვეშ რაღას მოვიმოქმედებთო... ტვინი მთლად აგვერია... ქალები ვიშვიშებენ, ახალგაზრდები ტირიან, მართა კი ტკივილისაგან იჭინთება და გულსაკლავად იძახის:

— დედიკო, დედა, ვაიმე, დედა... მიშველე, ტატაჩი...

არც დედიკო იყო, არც ტატაჩი, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ვიყავით და სხვაზე ადრე მართალი მოეგო გონს.

— შეეშვით ისტერიკებს! — იქუხა და წამში სიწყნარე ჩამოვარდა, დაბნეულები, ხმაჩანყვეტილები მივაჩერდით. იმან კი შუბლზე ხელისგული დაადო მართას, მოფერებით უთხრა: — ნუ გეშინია, შვილო, დედა ხარ და ჩვილს აჩენ, იკივლე, უფრო გაგიოლდება! — მერე შეკრებილთ დაუცაცხანა: — დაინით უკან, სასეირო აქ არაფერია!

მეზობლებმა მორიდებით დაიხიეს. მე და ქრისტეშია იქვე ვიდექით, რათა დახმარება აღმოგვეჩინა, თუმცა, წარმოდგენაც არ მქონდა, რა უნდა მეკეთებინა. სიჭარმაგეში შევაბიჯე, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ადამიანის დაბადებას არ შევსწრებივარ და გული ისე მიფანცქალებდა, ცოტაც და თვითონ გავხდებოდი მისახედი... ქრისტეშია, ალბათ, ოდნავ მჯობინდა, ხელი დაეკრიფა, ცას აჰყურებდა და ტუჩებს აცმაცუნებდა, ლოცულობდა.

— მამა, შენ? — მორიდებით იკითხა ლელამ, მაგრამ მართალიმ შუბლი შეიჭმუხნა და ქალი ისევ მართას მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, გენაცვალე, გაიჭინთე და მალე განთავისუფლდები!

უჩვეულო სანახაობის მოწმე გავხდი. შუა ქუჩაში გაჩერებულა ორთვალა. მორჩილ ზერდაგს ყური აუცქვეტია, შეშინებულია. შავტუხა ბოშა წინ უდგას, აწყნარებს... ოთხთვალაზე დაფენილ ლეიბებში მშობიარე ქალი წევს და თავთით დედამთილი უზის... ფერხთით ჩვენ სამნი ვართ — ორი დაბნეული, ხელებაკანკალებული მამაკაცი და მართალი, მტკიცე და ურყევი, ყველა სხვა განცდისაგან თავისუფალი, გარდა ერთისა — გადაარჩინოს ტატაჩის ცოლი და შვილი.

— გაუძელი, შვილო, გაუძელი... კიდევ ცოტა, ცოტა... — გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებს მართალი და ორი ნაჯაფარი ხელი, მხატვრის ფუნჯს მიჩვეული, წინ გაუწვდენია, რათა სააქაოზე გამოიყანოს დროით მოვლენილი მგზავრი.

— წამოვიდა, წამოვიდა! — ზურგსუკან დაიძახა ვიღაც მოყურადე დედაკაცმა.

მე თვალი დავხუჭე, რადგან სისხლის დანახვა მზარავს, მართას სასონარკვეთილი კივილი კი ისეთ შოქში მაგდებს, ვერ გამიგია, სადა ვარ და რა მისტერიაში ვმონაწილეობ.

კივილი უცაბედად შეწყდა, შეკრებილთა შვების ზუზუნი მომესმა და თვალი დავაჭყიტე, — მართალის ხელში ეჭირა ერთიციცქნა, უანგისფერი, სველი არსება, რომელმაც პანაწინა ხელ-ფეხი გაანძრია და პირი მოაღო — „ააა!..“

მართალიმ ჩვილი თავზევით ასწია, მეზობლებს გადასძახა:

— ღმერთმა გვაჩუქა ტატაჩის ძე, გიორგი! დავლოცოთ და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ!

ყველა ერთად ახმაურდა, აჟივუივდა, წამიერ მართა დაგვავიწყდა, იგი კი, ტკივილებისგან თავისუფალი, მოთენილი, ძლივსა სუნთქვანება, თვალი დაეხუჭა.

სასწრაფოც ამ დროს გამოჩნდა...

ორთვალა მივაბრუნეთ, ფრთხილად ავიტაცეთ მიღონებული ქალი და შინ შევიყვანეთ...

ჭიმკართან, გრძელ სკამზე ჩამოვსხედით და ოხვრით წამომცდა:

— ღმერთო ჩემო, რამსიგრძე დღეა, რამდენი უბედურება დაგვიხვავდა!

— სინათლის სხივმაც ხომ შემოგვანათა... ჩემი გიორგი!  
— ქრისტეშიას ხმას სიმწარე ახლდა.

რა ვიცოდი, რომ უბედურება შავი ჭირივითაა, ერთხელ  
თუ ხელი დაგრია, იოლად არ მოგეშვება... ჯერ ხომ დღის მე-  
ორე ნახევარი წინ გვედო, სამი საათიც არ იქნებოდა...

20

მართალი აივნის კუთხეში იდგა, მერეთის ფართო სივრ-  
ცეს ჩანისლული თვალებით გადაჰყურებდა, თუმცა იქნებ-  
ვერც ვერაფერს ხედავდა, ჩემი იქ ყოფნაც დავიწყებოდა და  
ამიტომაც წამოსცდა სასონარკვეთილი სიტყვები:

— ცირა, საყვარელო... ტატაჩი, შვილო...

მეტი არაფერი, ეს ოთხი სიტყვა, მაგრამ მისი ხმის ულე-  
რადობა ისეთ ღრმა ტკივილს გამოსცემდა, ლამისაა, მეც მე-  
ტირა, ოლონდ რაღაცნაირად გაუთვითცნობიერებელი ცრემ-  
ლებით, რადგან ცირა მხოლოდ ბავშვი მახსოვდა, ტატაჩი კი  
არასოდეს მენახა და, თუ თვალზე ცრემლი მადგებოდა, მხო-  
ლოდ იმიტომ, კლდესავით ჩამოსხმული კაცის გაუსაძლისი  
მწუხარება ჩემზეც გადმოდიოდა; იმიტომაც, რომ იმ ოთხ „მა-  
რადიორს“ ვერ ვივიწყებდი; კიდევ იმიტომ, მთელი მერეთივ-  
ით მეც თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვგრძნობ-  
დი და ზვავად წამოსულ უბედურებას ვერ ვუმკლავდებოდი.

მხარზე ხელი შევახე. შემოტრიალდა. თვალის უპეები  
მშრალი ჰქონდა, გამოხედვა თვინიერი:

— მაპატიეთ, ყოველივე ღვთის ნებაა, მოსახდელი ვალი  
უნდა მოვიხადოთ!

სამძიმრის სათქმელად მოსულ არცთუ მრავალრიცხო-  
ვან სტუმარს გაეგება, სათითაოდ ხელს ართმევდა და თავს  
უკრავდა:

— გმადლობთ, გენაცვალე!.. დიდი მადლობა, ბატონო!..

გვერდით ვედექი, მეც ჭირისუფლად მთვლიდნენ და სამ-  
ძიმრის ნიშნად ხელს მართმევდნენ.

არიქა ძაძუა მოქაქანდა, კოჭლობ-კოჭლობით მორბო-  
და, თითქოს საკუთარ თავს ახტებოდა. მეგონა, მართას მოი-  
კითხავდა, მაგრამ, ჩანს, არავინ არაფერი შეატყობინა.

— ხომ გეუბნებოდით, — ბრაზისაგან სახე შესიებოდა,  
— ხომ ვამბობდი, კლასიკური ხუნტაა-მეთქი! ტრუხილიო და  
სომოსა ამათთან ანგელოზებია... შავი პოლკოვნიკები... ხომ  
ვამბობდი, ისევ კომუნისტები მოვლენ-მეთქი, ჩვენი სისხლით  
გამაძლარი ტკიპები... ჰა, როგორია? ვითომ სატირალში გამოგ-  
ვყვა, აქ კი თავისი ძველი სავარძელი დაახვედრეს, ვითომდა  
მთელი მერეთი მაგაზე გიუდება, მაგ თავგასიებულზე... თავი  
რომ ებას, რა უჭირს, ტრაკვასიებულია მაგ სავარძელში ჯდო-  
მით და იმიტომ დაგვიბრუნეს, კვლავ თავზე დაგვისვეს... მთე-  
ლი მერეთი გაძარცვეს, გაღლიტეს და ახლა ჩვენი მოქონვა  
უნდათ, აქაოდა, გიხაროდენ, თქვენი ბუნჩულა დურუ დაგიბ-  
რუნეთო... აარა!.. აარა და აარა! ძალადობა არავის შერჩება!.. წარ-  
მოიდგინეთ, კაცი მომიგზავნეს, იარაღს ხელი არ მოკუიდო და,  
რაც გინდა, ის იყაყანეო... შეურაცხყოფა მომაყენეს, ვითომც  
არაფრად ედარდებათ, რა აზრისა ვარ მაგათზე... ჰმ, იარალი!  
თუ მოუნდებათ, იარაღსაც მომიგდებენ და სახლ-კარსაც გად-  
ამინვავენ... ეგ გასიებული, ეგა!

ბოლო წინადადება მომთავრებული არ ჰქონდა, ჭიშკარ-  
თან ჯიპი გაჩერდა და იქიდან ჯერ დურუ გამოვიდა, მერე  
ლესტამბე თოლორაია.

დურუს ლურჯი, გრძელკალთებიანი პალტო ეცვა, თავზე  
შლაპა ეხურა. ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ ძველებური  
თავდაჯერება დაბრუნებოდა, თავს ჩვეულ ამპლუაში  
გრძნობდა.

მე უფრო ლესტამბე მაინტერესებდა, ნუთუ-მეთქი, ვე-  
კითხებოდი საკუთარ თავს, იმ საზარელმა მკვლელობამ მას-  
ზე ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინა, ოდნავადაც ვერ დაეტ-  
ყო სინანული, მაღალი ღმერთის შიში... არაფერი ამგვარი!..  
მომრგვალებულ დრუნჩზე სრული სიმშვიდე ეფინა.

მთელი ეზო დადუმდა, არიქამაც კი შეწყვიტა თავისი  
გრძელი მონოლოგი და ახლა ბრაზით ანთებული გაჰყურებ-

და დარბაისლურად მომავალ კაცებს, რომლებიც თითქოს საკუთარი ძლევამოსილების დემონსტრირებას ახდენდნენ.

კიბეზე ამოაბიჯეს, ჯერ მართალის ჩამოართვეს ხელი უხმოდ, მერე მე და ქრისტეშიას, თუმცა მე მხოლოდ დურუს გავუნდე, ლესტამბეს ხელი ვითომც ვერ შევამჩნიე.

ლესტამბემ სარკასტულად გაიღიმა, თქმით არაფერი უთქვამს, ზალაში შემავალ დურუს გაედევნა. კუბოსთან წუთით შეყოვნდნენ, მაროს მოთქმას მოუსმინეს და ვალმოხდილები კვლავ აივანზე გამოლაგდნენ.

— ა, კაცი! — არიქამ თავი ვერ შეიკავა. — სიყმანვილიდან სავარძელს დაეწება და მგონი უკანალზე მიეზარდა კიდეც!

— ნუ იღრინები, თუ ძმა ხარ! — აუღელვებლად შეეპასუხა დურუ. — შენი ყეფისა არავის ეშინია! რაც აქამდე გიქნია, გვიპატიებია, მაგრამ...

— გვიპატიებიან?! — იყვირა არიქამ. — შეიკვეხე შენი პატიება, შე ხუნტის კუდო, შენა!

მიმოიხდა, იქნებ რაიმე ჩავარტყაო, მაგრამ მე და მართალიმ ხელი ვტაცეთ და გავარიდეთ.

— გიჟია ეს ოხერი! — ჩაილაპარაკა დურუმ და კიბეზე დაეჭვა.

ლესტამბე შეყოვნდა, მართალის დაელოდა.

— დაამშვიდე?

— ჰო, ხომ იცი, როგორი ნერვულია!

— ვიცი, მაგრამ იმანაც იცოდეს, რომ მისი დრო წასულია, ხელისუფლებაში ახლა ჩვენა ვართ, ეყოთ, რაც პრეფექტურაში „სემიჩა“ ჭამეს! — მერე ოდნავ შეყოყმანდა და ხმადაბლა განაგრძო: — ახლა დემოკრატიაა, მაგისი ქაქანისა არავის ეშინია, მაგრამ გააფრთხილე, იარაღი თუ უპოვეს...

— იარაღს რა უნდა არიქასთან? — კითხვა შეუბრუნა მართალიმ, მე კი გულმარეჩხი მიყო, ეს გათახსირებული ლესტამბე თოლორაია იარაღს იქ იპოვიდა, სადაც იგი არასოდეს ყოფილა.

— გავიგე, ნესტორი ჩამოსულა!

— იცი, შენ, რომ ნესტორი ქვეყნისთვის ომობდა! — ცივად უთხრა მართალიმ.

— კი ვიცი მაგი, მაგრამ გაუფრთხილდი, იარაღიანს ყველას იჭერენ! — ამას ისე ლაპარაკობდა, სახეზე ჩრდილი არ დაჰურებია, მაგრამ მე ხომ პროფილში ვუყურებდი და ვხედავდი, რომ მისი ვიწრო გუგებიდან ფარული მძულვარება ანათებდა.

ნასვლა დააპირა, მაგრამ ისევ შეჩერდა, ვითომც რაღაც დაავიწყდაო. მივხვდი, თამაშობდა, სათქმელი ამონურული ჯერაც არ ჰქონდა.

— სად ასაფლავებთ? ალბათ, ნესტორთან, ქალაქის სასაფლაოზე!

— მაცხოვრისგორაზე! ასე დამიბარა ცხონებულმა.

— მაცხოვრისგორაზე? გონს მოდი, იქ ხომ სასაფლაო არ არის!

— იქ ნაეკლესიარია!

ლესტამბეს ლოყები დაებერა, თვალები უფრო დაუვიწროვდა.

— ძალიან მძიმე უამია, ხელისუფლება ვერ გაგიგებს!

— ხელისუფლებამ, ესე იგი, დურუ გეგიამ, კეთილ ინებოს და გამიგოს!

— ხელთათმანი გადმოგვიგდე?.. ვნახოთ, ვნახოთ...

დურუ უკვე მანქანაში იჯდა, მოუთმენლად დააპიპინა.

ლესტამბე აჩქარდა, მაგრამ კიბის თავზე ერთხელაც შეყოვნდა და დამცინავი ღიმილით დააგდო:

— გირჩევდი მე შენ, აგურის სახლი აიშენე-მეთქი! აბა, ეს სახლია? ასანთი რომ დაგივარდეს, დაიფერფლება!

— გომბეშო! — მიადევნა აივანზე ხელახლა გამოსულმა არიქამ, მაგრამ მისი ნათქვამი ლესტამბეს არ გაუგონია.

გუნებაში მეც ამ სიტყვით ვიხსენიებდი ამ ტიპს, მაგრამ მისმა ნათქვამმა შემაცხუნა. მსგავსი აზრი ხომ წინა დღით მეც მომივიდა, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ. ლესტამბემ, არ ვიცი, ჩემს ტვინში წაიკითხა, არ ვიცი, უბრალოდ წამოროშა, მაგრამ ამ სიტყვებს რაღაც გაუგებარი ქვეტექსტი ახლდა, რისი ამოხსნაც ჩემს ღონეს აღემატებოდა...

სამს ცოტა აკლდა და სახელოსნოში ჩავირბინე, ნესტორს დავხედე. ლოყები წითლად უვარვარებდა, შუბლზე მსხვილ ოფლს ასხამდა. თავზე ლელა ადგა და პირსახოციო უმშრალებდა.

— მაღალი სიცხე აქვს, — ჩურჩულით ამიხსნა, — ბორგავს, ტატაჩის ეძებს...

თვალი კედლებს მოვავლე... ეგერ სურათების წყება — ტატაჩისა და ნესტორის ბავშვობა, სიყრმე, სიჭაბუკე... ერთი — ბოთვერა დათვი, საყვარელი, ღაბუა... მეორე — გამჭვირვალე ანგელოზი... „ნუთუ ცაში გაფორინდა?“ — ამ უნებლივ ფიქრმა გული ერთხელაც ამიჩქარა. ლელა გამომცდელად მიყურებდა, მე კი მზერა ავარიდე და პანორამასთან გავჩერდი.

რამდენიმე წუთი ვიდექი. მომეჩვენა, რომ ფერები ხმას გამოსცემდნენ, რომ ტილოზე განფენილი მერეთი ცოცხლობდა და იპრძოდა, ისმოდა ლაშქრის გაბმული ყიუინა და დაგრაგნილი ურჩხულის სასიკვდილო ხავილი... წუთით გავითიშე, დამავიწყდა, სად ვიყავი და რამდენი რამ გადამხდა ტრაგიკული მოვლენებით დამძიმებულ ამ დღეს.

ლელამ ხმადაბლა დამიძახა:

— დროა, სამი ხდება!

ჰო, ეფროს გასვენების დრო მოვიდა, დღე მოკლეა, მეტს ვერ გავაჭიანურებთ. სახელოსნო დავტოვე და კიბეზე ავედი, მართალის ჩავჩურჩულე:

— დროა, სამი ხდება.

უმწეოდ შემომხედა, ვერც მიხვდა, რას ვეუბნებოდი. მისი ფიქრები დედაბერს გაშორებოდა და უსაზომო უბედურებას დასტრიალებდა, რასაც ცირა და ტატაჩი ერქვა.

არიქაც აგერ წრიალებდა, ვერ ისვენებდა.

— ჰო, დროა, დროა!.. — ექოსავით გამოსცა.

მარომ ვაი-ვიში განაახლა,

— სო მეული, ეფრო, სი ვოიჭარე!

აქამდე ჭორებით გართული ქალები ყასიდად აყვნენ. ამათ ორიოდე წუთი ვაცალე, მერე ზალა დავაცლევინე. პატარა ბიჭებს მოვუხმე, ორიოდე უფერული გვირგვინი და ბუნეა ყვავილები გავატანინე. კაცები შემოვიდნენ. კარ-ფანჯარა

მივხურეთ. ეფროს მსუბუქი კუბო სამჯერ შემოვატრიალეთ, კუბოთი კარს შიგნიდან სამჯერ მივუკაუნეთ... ამ წუთიდან დედაბერს სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა სახლი, სადაც ოდესლაც დიდმა ნესტორმა შემოიყვანა და უბრძანა: დედაკაცო, ფეხის წყალი გამიხაზირეო...

ყველას ფეხის წყალი გახდა ეფრო და ასე გადაიარა ნისქვილის დოლაბივით მის თავზე მთელმა საუკუნემ.

კუბო გვემსუბუქა. ეფროც ხომ მსუბუქი იყო, დალეული... სული, ალბათ, მთლად ფიორა, სადღაც მოღუშული ცი-დან შეცივნული დაგვყურებდა.

ცოტანი ვიყავით და ეს არც გამკვირვებია. ასეთ დროს კაცი გასვენებაზე ნასვლასაც არიდებს თავს, ფიქრობს, შარს გადავეყურებიო. არიქა, მე და მეზობლის რამდენიმე ახალგაზრდა ერთმანეთს ვენაცვლებოდით. უკან თავჩაქინდრული - მართალი და ქრისტეშია მოგვყვებოდნენ, მერე მარო მოფრატუნებდა და დაღლილად მოთქვამდა, ეფროს ნაცვლად პირზე ცირა ეკერა, ტატაჩის დროულ დაბრუნებას ნატრობდა, ნესტორსა და მართას გამოჯანმრთელებას უსურვებდა, პანაწინა გიორგის — გაზრდას, ლელას — ღონეს, ამათ მოსავლელად... ათიოდე ქალი ამ სიტყვებს ქვითქვითით პასუხობდა.

ასე ჩავათავეთ მამუკას ქუჩა და რუსთაველზე გავედით. აქ გამვლელი მომრავლებულიყო. მერეთელები ეზოებიდან უფრო თამამად გამოდიოდნენ. რბევის ტალღამ ჩაიარა, ვინც დაზარალდა, ტირილი მოათავა, ვინც გადარჩა, სიხარულისაგან შინ ვერ ჩერდებოდა, ცნობისმოყვარეობა გარეთ ერეკებოდა.

გაკვირვებით შემოგვცეროდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ვის მოასვენებენ?.. ვინაა?..

პასუხიც დაუზარებლად ისმოდა:

— ეფროა, ნესტორ თოდუას ქვრივი!

— მართალი თოდუას გამზრდელი ბებიაა, მხატვრისა!

— დიდი ნესტორის, კაცო? აქამდე იცოცხლა?

— აუჰ, რა დროს მომკვდარა საწყალი!

ამგვარ სიტყვებს გადასძახოდნენ ერთმანეთს, ზოგი-ერთინი ლაპარაკს არ ჯერდებოდნენ და ჩვენს პროცესიას უერთდებოდნენ.

- აცხონოს ღმერთმა, კარგი ქალი იყო!
- რამდენი იწვალა ამ საცოდავმა!
- აბა, კაცო, არც ერთი მთავრობა არ უყვარდა თურმე!
- მიდი და ასეთი მთავრობა შეიყვარე!

სანამ ბაზრამდე მივაღწევდით, ჩვენი პატარა პროცესია საგრძნობლად დაგრძელდა, ჩემი ვარაუდით, ასამდე კაცი იქნებოდა.

ბაზრისნინა მოედანზე ხალხი ბლომად შეკრებილიყო, — უფრო ცნობისმოყვარენი, აქ რომ ახალი ამბების მოსასმენად და ხელისუფლების გასალანდლად მოვიდნენ.

ჩვენს გამოჩენაზე ვიღაცამ იყვირა, გზა, გზა მიეცითო და ბრძო ორად გაიხლიჩა, ხმამაღალი ყაყანი და რუზრუზი შეწყდა. თვალს გვადევნებდნენ და ერთმანეთს ატყობინებდნენ, საბრალო ეფროა, მხატვრის ბებია და დიდი ნესტორის ქვრივიო... ვიღაცამ იოხუნჯა, ასი წელი მშვიდად იცხოვრა და ამ ხელისუფლების შემხედვარეს გული გაუსკდაო... პატივი ეცით მიცვალებულსო, მეორემ დაიძახა და მთელი ეს მიღეთის ხალხი ჩვენს პროცესიას კუდად გამოება.

ჩვენდა უნებლიერ უზარმაზარი მანიფესტაციის თავში აღმოვჩნდით.

აქამდე მდუმარე არიქა გამოცოცხლდა, თითქოს ახალი ძალა მოეცაო. ვიღაც ბიჭბუჭები შემოიკრიბა, თვალში ფანატიკური ცეცხლი აუკიაფდა და მივხვდი, შარს გადაგვეიდებდა.

მართლაც, წუთი არ გასულა და ვიღაცამ ეროვნული დროშა მოაფრიალა — შინდისფერი და კუბოს გადააფინა. ამ წუთიდან ჩვენი ასი წლის დაჩამიჩებული ბებო დისიდენტად და მეამბოხედ გადაგვექცა.

მართალის შევხედე. ის და ქრისტეშია თავჩაღუნული მოჰყვებოდნენ კუბოს და, ვფიქრობ, ვერც ამჩნევდნენ, ირგვლივ რაც ხდებოდა

ამასობაში ბულვარამდე ავაღწიეთ და შევჩერდით.

წინ, ბულვარზე გასასვლელი კორდონს გადაეკეტა. ორი ჯავშნოსანი იდგა გარდიგარდმო და ზედ ავტომატიანი სამხედროები ისხდნენ, როგორც ახლაა მიღებული, კამუფლაჟიან ფორმებში, გაუპარსავნი და თავზე ბენდენანაკრულები, მზი-

სა და ქარისაგან გარუჯულნი... ხელკეტიანი მიღიციელები სახელდახელო ჯაჭვს ქმნიდნენ, აჩქარებული, ნერვული ფაციუცით დარბოდნენ.

ჯავშნოსნებს შორის ლესტამბე თოლორაიამ გამოიარა, ავად იბლვირებოდა. მართალის გადაუდგა და მძულვარედ უთხრა:

— ვიცოდი, პროვოკაციას არ მოერიდებოდი, დაკრძალვა დემონსტრაციად გადააქციე! აქ თუ სისხლი დაიღვარა, შენ დაგეცემა კისერზე!

— ბატონო, ბატონო! — ახლადა აიღო თავი მართალიმ, მიმოიხედა, სახეზე განცვიფრება აღებეჭდა.

ფართო ქუჩა აქედან თვით ბაზრის მოედნამდე ხალხით იყო გაჭედილი... ზოგან დროშა ფრიალებდა.

— მუდამ გზად მეჩირებოდი, ხელს მიშლიდი! — დორბლს ყრიდა ლესტამბე, სისინებდა. — იმ შენი ფუნჯით ქვეყანას ძირს უთხრიდი...

მართალი ჩუმად უსმენდა, მხრებგაშლილი, რაღაცნაირად ამაღლებული, რაც იყო, იმაზე დიდი და, როცა ლესტამბე დადუმდა, მაშინდა უთხრა:

— სისხლით ნუ მაშინებ, ლესტამბე თოლორაიავ! კარგად ხედავ, მიცვალებულს მივასვენებ! ქრისტიანი კაცი ამისი წინააღმდეგი ვერ იქნება! გზა გახსენი და გამატარე!

ამ დროს, ვხედავ, დურუ გეგია აბობლებულა ჯავშნოსანზე, ხელში მეგაფონი უჭირავს:

— მოქალაქენო, ძმებო! პროვოკაციას ნუ ავყვებით! ქალაქში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, დემონსტრაციები აკრძალულია! ქალაქის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი ეფროს გარდაცვალების გამო, მაგრამ ნუ წამოეგებით სახელმწიფოს მტრების ანკესზე...

ბრძოდან ვიღაცამ ხულიგნურად დაუსტვინა.

არიქა განათების ბოძზე შეხტა, ცალი ხელით ჩამოეკონწიალა და მთელი ხმით იყვირა:

— ძირს ხუნტა! ძირს დურუ გეგია!

ამას რაც მოყვა, მოსაყოლადაც ძნელია.

ბრბოს აღმა-დაღმა დაუარა სტვენამ, კივილმა, შეძახი-ლებმა:

— ძირს ყაჩალები!.. გეგია მოლალატე!.. დურუ რუსაპეტა!..

ზურგიდან მოგვაწვა ხალხის ეს ტალღა და ზედ კორ-დონზე მიგვაგდო.

მილიციელებმა უმალ ხელკეტები აამუშავეს, თვითონაც შეშინებულნი იყვნენ და დაუზოგავად გვირტყამდნენ. ჯავშ-ნოსნებიდან ჯარისკაცებმა ავტომატები ააკაკანეს. მართალია, ჰაერში ისროდნენ, მაგრამ ისეთი ზრიალი ატყდა, ბრბო ერთ-ბაშად აილუფხა, თვალი ვერც შევასწარი, ვინ სად გარბოდა და ვინ რას აკეთებდა. ერთი კეტი მეც მომხვდა, შუბლი გამიხეთქა და წარბზე სისხლი ჩამომელვარა. გასაოცარი ის იყო, ასაკიც დამავიწყდა, წნევაც, გულის არითმიაც და ამ სტიქიურ აურზა-ურში დიდი ვინმე მოჩხუბარივით ვტრიალებდი, თუმცა ჩემი მუშტის დარტყმით, ალბათ, ქათამს ვერ წავაქცევდი.

გონს რომ მოვეგე, ჩხუბი და აღმა-დაღმა სირბილი მთელ ამ გადასახედზე წინანდებურად გრძელდებოდა, თუმცა ბრბო საკმაოდ შეთხელებულიყო... თვალი მოვკარი, მილიციელები არიქას მიათრევდნენ, თან ხელკეტებს უხათეუნებდნენ. მინ-დოდა, გამოვსარჩლებოდი, მაგრამ კუბოს გადავაწყდი...

შუა ქუჩაში იდგა, ერთი მხრივ მართალი ჩაცუცქულიყო, მეორე მხრივ ქრისტეშია. ამათ თითქოს ეს მუშტი-კრივი არ ეხებოდათ. ეფრო ბებიას სახეზე სიმშვიდე ეფინა, თვალები დახუჭული ჰქონდა და, ეს ხმაური მის სმენას თუ აღწევდა, ალბათ, სიყმანვილის წლებს აგონებდა.

იქვე, შორიახლოს ეგდო კუბოს სახურავიც. დავავლე ხელი, მხარზე შემოვიგდე და მამა-შვილს შევუძახე:

— წავიდეთ, წავიდეთ!

ამომხედეს, კუბო სახელურებით აიტაცეს და გამომ-ყვნენ.

— გზა, გზა! — ვიძახდი.

მოჩხუბრები გზას მართლაც მითმობდნენ. გავძვერით ჯავშნოსნებს შორის, მოკლეზე გადავჭრით ბულვარი, მერე ჩხერიის ხიდიც გავიარეთ და მივადექით მაცხოვრისგორას.

აქ, პირველ საფეხურთან შევისვენეთ.

გავიხედე, ფეხდაფეხ მარო მორაცრაცებს, ხელები გაუშლია და მოთქვამს:

— ეს რანაირი სიკვდილი გერგო, ეფრო, შე უბედურო!..

21

სიკვდილი დროული ერგო, ცხადია, ეფროს, დაკრძალვა კი — საკმაოდ უჩვეულო. აგერ, მაცხოვრისგორის კიბესთან დგას მისი პატარა კუბო. სამი კაცი და ერთი ქალი სულის მო-სათქმელად ჩამოვსხედით პირველ საფეხურზე. ამ დროს ქალაქის მხრიდან ჩქარი ნაბიჯით მოლაცუნებს გრძელი და წვრილი ლანდი, ისე ჩანს, ფანქრის ორი ნატეხი ერთმანეთზეა შედგმულიო. თანდათან იკვეთება, ბოლოს გამხდარ და აწონ-ილ კაცად გადაიქცევა და აკი ჩემი თავგადაკლული მკითხვე-ლი იესე აღმოჩნდა, რომელიც, ჩვენში დარჩეს და, მეხსიერე-ბიდან სულ ამომივარდა, რაც, ალბათ, იმის შედეგია, რომ ან მე დავბერდი და მეხსიერება დამიქვეითდა, ან ამ წიგნისათვის მისი არსებობა სრულიად ზედმეტია, თუმცა, აი, ამ წუთას სულზე მოგვისწრო, კუბოს ატანაში წაგვეშველება, მაგრამ საამისო სიხარული არაფრით გამომიხატავს და ცივად ვკითხე:

— სად დაიკარგე?

— ბიბლიოთეკაში, რა თქმა უნდა!

— ბიბლიოთეკაში? — გავიკირვე.

— ვიცოდი, ამ კიბეზე მომიწევდა ასვლა და სათანადო ლიტერატურას გავეცანი!

„სათანადო ლიტერატურა“, რა თქმა უნდა, ჩემივე ნაწე-რებია, ამ წიგნის პირველი ორი მონაკვეთი, „მნათობსა“ და „განთიადში“ გამოქვეყნებული, და ისიც იმიტომ ჩაიკითხა, რაიმე შეცდომა გამომიჩხრიკოს და შარი მომდოს. ლამის ყელ-ში ამომივიდა ეს მისი ახირება, მაგრამ გამახსენდა, მთელი დღე თვალითაც არ დამილანდავს, კისერზე მკითხველის ლაგ-ამს ვერ ვგრძნობდი, კუდში ვერ დამდევდა, სიუჟეტის განვი-თარებაში ვერ ერეოდა და სწორედ ამიტომაც გადამხდა ერთ

დღეში ამდენი რამე, რაც ფათერაკიანი რომანისათვის სავალ-დებულოცაა, მაგრამ სერიოზული პრეტენზიების მქონე თხზულებისათვის ცოტათი ზედმეტიც, თუმცა უამია ძმათა ომისა, რაც თავისთავად იმდენ ფათერაკს მოიცავს, აღწერას კი არა, აღრიცხვას ვერ აუვა ადამიანი.

— გვერდით დამიდექი!

ავნიერ ბოლო, მართალიმ და ქრისტეშიამ მეორე ბოლო მხრებზე გაიდეს და შევუძეექით აღმართს. თავიდანვე ვთქვი, ეფროსაგან თითქმის აღარაფერი დარჩა, ტვირთი არც ისე მძიმე იყო, მაგრამ კიბე მაინც კიბეა, მასზე ასვლა ხელცარიელსაც მიჭირს, ეს ჩემი ცოდვით სავსე მკითხველიც დაიქოქა და წამდა-უნუმ მიყვება ამბებს, მე თვითონ რომ აღმინერია და ახლა, ვგონებ, ჩემზე უკეთ ახსოვს.

— თქვენს ნაწერებში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ვინ გამოთალა კიბის პირველი ცხრა საფეხური...

ასეთი რამ მხოლოდ იესესნაირ ქალალდის ჭიას დააინტერესებს, მე კი ჩემს ნინ აღმართულ მაცხოვრისგორას ავხე-დე, უმალ მართალი თოდუას პანორამა გამახსენდა და ერთ-ხელაც განმაცვიფრა რეალურისა და ირეალურის გასაოცარმა შერწყმამ, რადგან მართალის ნაწარმოებში უზუსტესად გადა-სულიყო მაცხოვრისგორის რეალისტური ხატი და ამ ხატის ქვეშ იგრძნობოდა ქვესკენელის ძალთა ბოროტი მონოლა, თით-ქოს სატანური ცეცხლი აპირებდა ამ უზარმაზარი პირა-მიდის შიგნიდან აფეთქებას... ოღონდაც, ზევით და ზევით მთის კალთები იდილიური ფერებით იმოსებოდა, ახლა, ზამთარში, ცხადია, სადა ფერებით, ზაფხულში, ეს კარგად მახსოვდა, სამხრეთის მსუყე ფერებით.

— აი აქ, აი აქ! — ვერ ისვენებს იესე, თვალით მანიშნებს.

— რა აქ?

— აი, ამ საფეხურზე მოუსწრო ნესტორ თოდუას ქოსა ძღვიბიას ტყვიამ!

კარგა ხანია, ეს ამბავი დამავიწყდა, დროის მდინარებამ წაიღო... წინ, აღმართისაკენ ვიყურები, მთის თავზე თალხი ღრუბლები ჩამოწლილა, ფერებს აქრობს... თუმცა აგერ, ნია-

ვმა წამოუბერა, მეჩვენება, რომ აქამდე უძრავად დაკიდებული ღრუბლები ნელი ტაატით ამოძრავდნენ.

შევისვენეთ. მართალი მუხლს იზელს, ნაჭრილობევი თავს ახსენებს.

— ამ ადგილას გარბოდა გერა კვარაცხელია. კაზაკები ტყვიას ესროდნენ. მთის თავზე კი გიმნაზიელის სული მი-ფარფატებდა...

იესეს მზერაში სასოება გამოიხატა. ის, ალბათ, ცხადლივ ხედავდა სულის თეთრ ფთილას, ავტორის ფანტაზიის ნაყოფს. ხოლო ჩემი გონება სულ სხვა რამით იყო დაკავებული. გავ-ყურებდი ფართოდ გაშლილ მერეთს, აქედან იგი მშვიდი ჩან-და, თუმცა, ვგრძნობდი, წყნარი საბურველის ქვეშ ჯერ კიდევ თამაშდებოდა ტრაგიკული ამბები. მოლოდინის შიშისაგან გული მიკრთოდა.

ისევ მივიწევდით მაღლა, ტვირთი გვიმძიმდებოდა, ეფ-რო ბებია კი გატრუნული იწვა თავის სამუდამო სასახლეში და მისთვის სულ ერთი იყო.

— ას მეერთე საფეხური! — წამოიძახა იესემ.

თურმე საფეხურებს ითვლიდა და ახლაც არ დაახანა, უმალ ჩამიბულბულა, თუ როგორ ამოიტანა გერა კვარაცხე-ლიამ ას მეერთე საფეხური, როგორ ჩამოუქროლეს ნესტორმა და ძღვიბიმ, როგორ იგრიალა აფეთქებამ გორის თავზე და გერ-ამ, აი, ამ საფეხურზე დალია სული.

ყოველივე ეს ისედაც ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი, რა მოხდებოდა თუნდაც ერთი საათის შემდეგ, არც ის ვიცოდი, სიცხემ დაუკლო თუ არა ნესტორს, მოკეთდა თუ არა მართა, რა უქნეს არიქას... არაფერი მე არ ვიცოდი, მხოლოდ ამ წუთით ვცხოვრობდი, მიცვალებულს მივასვენებდი მთის კალთაზე, რომლის სტომაქში ქვესკნელი ბუყბუყებდა და რომლის თავზე ცა თეთრად იხსნებოდა... და მართლაც, რაც უფრო მაღლა ავდი-ოდით, ცა უფრო ნათდებოდა და, როცა ბოლო, სამას სამოც-დამეხუთე საფეხურამდე ავალნიეთ, ღრუბელთა ნარღვევიდან მენამულმა მზემ გამოაჭყიტა, სინათლის ფარდა მაცხოვრის-გორის თავზე ჩამოეფინა და ხანძრისფრად ააგიზგიზა.

კუბო ძირს დავდგით და განცვითორებულნი ვუყურებდით ამ სურათს.

მართალი და ქრისტეშია მუხლებზე დაეშვნენ, მართალი ძირი აღაპყრო და შესთხოვა:

— უფალო, გადამირჩინე, ვინც დამრჩა, მაკმარე განსაცდელი!

მხარზე ხელი მოვუთათუნე, წამოვაყენე.

უხმოდ ავიტაცეთ კუბო.

ნაეკლესიარზე, სადაც მომავალი ბალავარი ჩაიყრებოდა, მესაფლავებს ეფროსთვის სამარე გაეთხარათ. შორიახლო, ძირს დაფენილ ტილოზე ღვინის ბოთლები და მცირე პურმარილი ეწყო, დედაბრის სულის მოსახსენებელი.

წამოიშალნენ, ხელი შეგვაშველეს.

კუბო ფრთხილად ჩავუშვით სამარეში და მიწა მივაყარეთ.

მზეს კვლავ ღრუბელი აეფინა და სივრცემ ფერები დაკარგა.

კიბის თავზე შევყოვნდით. ჩხერიის გაღმა-გამოლმა მერეთი გადაიშალა... სოფლები მომრავლდა ფართო ველებზე, გზებმა დაქსელა... ვერცხლისფრად ბზინავდა წყალუხვი ხურჩა... კიდეზე ზღვა, ხმელეთი და ზეცა თეთრ ნისლოვანებაში ერთიანდებოდა და ძნელი გასარჩევი იყო, სად რა იწყებოდა და თავდებოდა...

22

— ეს ფინალია? — იესემ იკითხა.

კიბეზე ფეხაჩქარებით ვეშვებოდით. უკვე ჩამოქუფრდა, ხუთი საათი ხდებოდა.

იესეს შეკითხვამ დამაფიქრა. ლოგიკით, ფინალამდე მისულიც ვარ, რაკი თხრობა სულ ეფრო ბებიას კუბოს ირგვლივ ტრიალებდა, ეფრო ბებია კი, მოგეხსენებათ, უკვე დავმარხეთ.

— ფინალი? — კითხვა შევუბრუნე და პასუხიც უმალგავეცი: — კი, ფინალია! — თუმცა გულში გავივლე: „ჯერ ხომ ქელები არ მიჭამია!“

ახლალა გამახსენდა, მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩამსვლია და თავისუფლად შემიძლია, იმავე ლოგიკით თხრობის დასასრულად ის ღარიბული ქელები ჩავთვალო, რასაც მეზობლები ექვსი საათისათვის ამზადებენ. ხოლო იესეს ნაჩქარევად იმიტომ დავუდასტურე, როგორმე დროულად თავიდან მომეშორებინა.

— კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი მძახლის, დურუს პრობლემები ფინალამდე გაირკვა! — მადლიერება გამოხატა იესემ.

პირველ საფეხურამდე ცოტალა გვაკლდა და ხელი გავუნოდე:

— მეც მადლობელი ვარ თანადგომისათვის! ახლა წიგნი მომთავრებულია და შეგვიძლია ერთმანეთს დავემშვიდობოთ!

ორივე ხელი შემომაგება, მხურვალედ ჩამომართვა და სწრაფად წალაყუნდა.

— ვინ არის ეს კაცი? — ქრისტეშიამ გახედა.

— რა ვიცი, ამეკიდა და... — მხრები ავიჩეჩე და შემდგომ იესეზე ფიქრით თავი არ შემიწუხებია.

კიბე ჩავლიეთ. იქვე რუსული დროგი დაგხვდა, ოთხთვლიანი და ერთცხენიანი.

თურმე ზიტამ იზრუნა და გამოგვიგზავნა.

გაცვეთილი შინები ჰქონდა და სულ რიხინ-რიხინით მიიჩქაროდა.

მედროგის სკამზე გამეგრელებული რუსი იჯდა, წინაპრებისაგან წამოძახილი „ეხეხე!“ რომ შერჩენოდა და კიდევ პაჭუა ცხვირი.

ჩხერიის ხიდი გრიალით გადავიარეთ. ბულვარის მიმდებარე ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ დარბეული მანიფესტაციის მონაწილენი. მორიდებით დაძრნოდნენ დამფრთხალი მილიციელები და მერეთელების აღშფოთებით შეცბუნებული სამხედროები.

მილიციასთან რომ გავიარეთ (გადამწვარი შენობის ნაცვლად ყოფილ უნივერმაღში იდგნენ!), უცებ არიქა ძაძუა გამახსენდა.

— ძმებო, გვეჩქარება, მაგრამ ხუთი წუთი მაჩუქეთ! —  
თოდუებს ვთხოვე.

მიმიხვდნენ და რუსს დროგი გააჩერებინეს.

შენობაში შევირბინე. უამრავი ვინმე მიდი-მოდიოდა, მა-  
გრამ ყურადღებას არავინ მაქცევდა. ყოფილ სავაჭრო სე-  
ქციებში ახლა კაბინეტები მოწყოთ და გვარებს ვკითხულობ-  
დი, თუმცა ნაცნობი ვერავინ აღმოვაჩინე.

ბოლოს ერთი ოფიცერი გავაჩერე:

— უკაცრავად, აქ ვინმე უფროსი გყავთ?

— როგორ არა გვყავს, თქვენ, ალბათ, ბატონ ჯუმბერს  
ეძებთ! — კარისაკენ მიმითითა.

გავიარე მომცრო სამდივნო, სადაც მდივანი ქალი საბეჭდ  
მანქანაზე ბეჯითად აკაკუნებდა და სქელ-სქელი მამაკაცები  
მოთმინებით იცდიდნენ. მე, ცხადია, მოცდის დრო არ მრჩე-  
ბოდა და პირდაპირ კარისაკენ გავუტიე, თანაც მდივნის შეც-  
ბუნებული წამოძახილი — „ბატონი!“ არაფრად ჩავაგდე.

ბეჭებგანიერი დევკაცი აღმოჩნდა ბატონი ჯუმბერი.  
მხრებზე პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა, ჯერაც საბჭოური  
დროისა (ვიფიქრე, ეს კიტელი სხვისი მხრებიდან ჩამოხსნილ-  
ია ალბათ-მეთქი!). სავარძლის ზურგს ნებიერად მისწოლოდა  
და ასე ელაპარაკებოდა რამდენიმე ფეხზე მდგომ მამაკაცს,  
უსაშველო და ღრმა მოთმინებას რომ განასახიერებდნენ.

ჩემს დანახვაზე ბატონმა ჯუმბერმა სიტყვა გაწყვიტა,  
სახე მოედრუბლა, მაგრამ დავასწარი, მოვუბოდიშე თავხე-  
დური შემოჭრის გამო, თან ჩემი ტიტულები და რეგალიები  
ჩამოვურაკრაკე, თუმცა მე რა ტიტული მაქვს ან რა რეგალია,  
გარდა კალმოსნის მოკრძალებული სახელისა. მართალია,  
ბოლო დროს მწერლის მიმართ პატივისცემამ იქლო, მაგრამ  
ზოგიერთნი ჯერაც რიდით გვექცევიან (უფრო ისინი, ვინც  
არაფერს კითხულობს) და ამჯერადაც ამისი იმედი მქონდა.

ბატონი ჯუმბერი წამოდგა, ხელი ჩამომართვა და სკამ-  
ზე მიმითითა.

მე დავჯექი, ხოლო სხვები კვლავაც ფეხზე იდგნენ.

— გისმენთ! — ბატონი ჯუმბერი სმენად იქცა.

— მე არიქა ძაძუას თაობაზე განუხებთ!

— არიქა ძაძუასი? — ჩამეძია. — ვინ არის არიქა ძაძუა?  
მერეთელი კაცი ვარ, აქ დავიბადე, გავიზარდე და ასეთი ვინმე  
არ გამიგია!

გავეირვებისაგან პირი ღია დამრჩა, მერე, გონს რომ მო-  
ვეგე, ახსნა დავუწყე:

— დღეს რომ დაკრძალვის დროს შეხლა-შემოხლა მოხ-  
და... მილიციელებმა ხელი სტაცეს და... — არ მინდოდა მეთქ-  
ვა, სცემეს-მეთქი.

— კი იყო პატარა შეხლა-შემოხლა, მაგრამ ჩვენ არავინ  
დაგვიპატიმრებია... თქვენ თუ იცნობთ ასეთ ვინმეს? — მა-  
მაკაცებს მიუბრუნდა.

იმათ ერთსულოვნად მხრები აიჩეჩეს.

— თქვენ გარდა სხვა ძალოვნებიც ხომ არიან? — გამო-  
სავალი ვიპოვე.

— ახლავე გავარკვევ! — ბატონმა ჯუმბერმა ტელეფო-  
ნის ყურმილი აიღო, დარეკა. — დათო, მე ვარ, ჯუმბერი! აქ  
სტუმარი მყავს თბილისიდან, ცნობილი კაცია... ვინმე არიქა  
ძაძუას ეძებს, თქვენთან ხომ არ არის?.. არა, კაცო, თანამ-  
შრომელი კი არა, ოპოზიცია... სტუმარი მარწმუნებს, დღეს  
დაიჭირესო!.. არც გაგიგია?.. ჰო, კარგი, ვანოს დავურეკავ! —  
ნომერი ხელახლა აკრიფა. — ვანო, მე ვარ, ჯუმბერი! თქვენს  
ბიჭებს ვინმე არიქა ძაძუა ხომ არ აუყვანიათ?.. რა ვიცი, დღე-  
ვანდელი შეტაკების დროს აიყვანესო... არაფერი იცი? არც გა-  
გიგია?

დადო ყურმილი და კრავის უცოდველი თვალებით შე-  
მომხედა.

— რა გითხრათ, არც უშიშროებამ იცის რამე, არც  
სამხედრო კომენდატურამ. გეუბნებით, აქ გავიზარდე, ყოვ-  
ელ მერეთელს პირადად ვიცნობ და ეგეთი კაცი არ გამიგია...  
რა უცნაური სახელი და გვარია — არიქა ძაძუა!

სამინელმა ეჭვმა გამკენწლა და მოურიდებლად ვთხოვე:

— ლესტამბე თოლორაიას დამაკავშირეთ!

— მაპატიეთ, — სახეზე გულწრფელი გავეირვება აე-  
სახა, — ვერ გავიგე!.. ლესტამბე თოლორაია?

— დიახ, ისიც იქ იყო და ყველაფერს ხედავდა!

— ლესტამბე?.. თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი კაცი ჩვენ-  
თან უნდა იყოს?

— მგონი, უშიშროებაშია!

ბატონმა ჯუმბერმა ტელეფონის ყურმილი ხელახლა  
აიღო, დარეკა:

— დათო, ისევ მე ვარ! ერთი ეს მითხარი, ლესტამბე  
თოლორაია მსახურობს თქვენთან? ფსევდონიმი კი არა, ასე  
ჰქვია!.. საქმე სასაცილოდ არა გვაქვს, ძვირფასი სტუმარი  
ფიქრობს, რომ შენს თანამშრომლებში ლესტამბე... მართლა  
ლესტამბე ჰქვია? — წამით ყურმილი განზე გასწია და მე შემო-  
მხედა.

— ადრე ვეძახდით ასე, ახლა ვალიკო ჰქვია!

— ვალიკო რქევია, კაცო, ვალიკო!

მე არ მესმოდა, დათო რანაირად პასუხობდა, ალბათ,  
იცინოდა, გიუია ეგ შენი სტუმარიო, მაგრამ კარგად დავინახე,  
ბატონ ჯუმბერის ვარცლივით ფართო სახეზე როგორ გამ-  
ოიკვეთა ლმობიერება და სიბრალული, მასპინძელს აშკარად  
შევეცოდე.

ყურმილი დადო, ცოტა ხანს მიყურა და მოფერებით მით-  
ხრა:

— დიახ, მერეთში დავიბადე, გავიზარდე, მაგრამ არც  
ლესტამბე-ვალიკო გამიგია! თქვენ ან შეცდომაში შეგიყვანეს  
ანდა...

სათქმელი გაწყვიტა, თუმცა მივხვდი, ანდა ფსიქიატრი  
გჭირდებათო, ამისი თქმა უნდოდა.

ავდექი და წამოვედი.

სულ ათი წუთი დაკარგე, მაგრამ ისე ვიყავი გაოგნებუ-  
ლი, მეორე ათი წუთი დამჭირდა, სანამ დროგამდე მივაღწევდი.

— რა მოგივიდათ? — ქრისტეშია ჩამეძია. — ფერი არ  
გადევთ!

— არაფერი, არაფერი! — ვუპასუხე, ოღონდ მართალიმ  
უნდოდ შემომხედა და სახელდახელოდ ვიცრუე: — შინ გაუშ-  
ვიათ, ეტყობა ქელებზე მოვა!

თვითონაც ვერ გამეგო, რისთვის მჭირდებოდა ეს უცოდ-  
ველი ტყუილი. ამით რა იცვლებოდა? გონებაში ჭოჭმანი შე-

მიდგა. იქნებ მართლაც არ არსებობენ არიქა ძაძუა და ლეს-  
ტამბე თოლორაია, იქნებ ყოველივე სიზმარია, ჩემი წარმო-  
სახვის ნაყოფია?.. ყველაფერი, რაც დღეს ერთიმეორეს წაეწ-  
ყო, მხოლოდ მომეჩვენა... იქნებ ეს დროგი, მერხზე შესკუპე-  
ბული, გამეგრელებული რუსი, მართალი, ქრისტეშია, მარო და  
თვით მერეთიც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია!..

შიშით გავხედე თანამგზავრების დაღლილ სახეებს და  
გავიფიქრე: „ქელებზე არავინ მოვა... იქნება კი ქელები?“

23

ჯერ კიდევ დღის სინათლე არ მიმქრალიყო, მაგრამ ქუ-  
ჩები უკვე ცარიელდებოდა. მერეთელები შინ მიიჩქაროდნენ,  
თავიანთ ოდა-სახლების ნაჭუჭებს აფარებდნენ თავს, იქ  
უფრო უსაფრთხო ცხრაკლიტული ეგულებოდათ, თუმცა  
მოჩვენებითი იყო ეს უსაფრთხოება, რადგან, ვისაც ბედის-  
წერამ განაჩენი გამოუტანა, ალსრულება აღარ დაყოვნდება...  
ასეთი ზოგადი ფიქრები მომდიოდა თავში, როცა დროგიდან  
გავყურებდი იშვიათ გამლელს, გაფაციცებით რომ მიცუხ-  
ცუხებდნენ შინისკენ.

ჩვენი დროგი რიტმული რწევით მიგორავდა ასფალტზე.  
თვალწინ ცხენის აცქვეტილი ყურები და აშლილი ფაფარი  
ტოკავდა, ფლოქვებს შეწყობილი თქარუნი გაჰქიმდა და გარ-  
და მედროგისა, ოთხივე მგზავრს ძილმა წაგვართა თავი, სულ  
რაღაც მოკლე დროით, ორიოდე წუთით, რაც დასჭირდა პო-  
ლიციიდან ბაზრამდე ჩათოხარიკებას.

მცირე ხნით გავითიშე, ცხადსა და მოჩვენებითს ვერ ვან-  
სხვავებდი. ვიცოდი, რომ დროგით მივქროდი, ოღონდ, ვერ  
გამეგო, საითკენ და რისთვის. ასეთ ძილ-ბურანს, გამოცდი-  
ლებით ვიცოდი, წნევა და თავის ტკივილი მოჰყვებოდა.

მაროს ძილი მისი ბუნების გამოხატულება იყო, მუდამ  
უსიზმროდ ეძინა, თვალს დახუჭავდა და გაახელდა, ამათ  
შორის შუალედი, უბრალოდ, არ არსებობდა.

ქრისტეშია ეკლიან ჯაგებში დაეხეტებოდა, ეკლებზე ტანისამოსის ნაფლეთებსა და სისხლის ნაკვალევს ტოვებდა, ბილიკს ეძებდა და ვეღარ პოულობდა.

ესიზმრა მართალი თოდუას წინასწარმეტყველური სიზმარი: ციურ თაღედად გატყორცნილი კიბე, თეთრი ფიქალისაგან გამოთლილი... ლურჯ სივრცეში ეკიდა იგი... თეთრი საფეხურები სილურჯეში ჩნდებოდა და მართალის ნაკვალევზე რძესავით ნისლში იძირებოდა... ადიოდა კიბეზე მართალი თოდუა, წინ კი ახალახალი საფეხურები ჩნდებოდა... რაც უფრო მაღლა ადიოდა, მერეთის დანისლული სივრცე ფართოვდებოდა...

უცებ გული შეუხტა... ბოლო საფეხურზე იდგა, ზედ წვერიკონზე... ცერზე აინია, ხელი გაწვართა და თითოთ ცის ლურჯ თაღს შეეხო...

ყურში უცნაური ზრიალი ჩაესმა, თითქოს მოინგრა თაღედი და ფეხიდან კიბე გამოეცალა.

„ააა!“ — უხმოდ კიოდა სივრცეში გაფრენილი მართალი თოდუა.

— ააა! — იკივლა სახანძრო მანქანამ, წითლად მოაპრიალებდა შუქფარებს და გვერდით ჩაგვიქროლა.

დამფრთხალი ცხენი ყალყზე შედგა, მაგრამ, იმდენად ბებერი იყო, გაქცევის თავი არ ჰქონდა, ფრუტუნითა და ჭიხვინით დაემორჩილა აღვირსა და მათრახს.

მოულოდნელმა ხმაურმა გამოგვაფხიზლა და, როგორც ეს ხშირად ხდება, სიზმრებიც დავიწყებას მიეცა.

— სად იწვის ნეტავი? — ჭოჭმანით იკითხა ქრისტეშიამ.

— კიდევ კარგი, სახანძრო მაინც შერჩა ქალაქს! —

გულსგარეთ გამოეპასუხა მართალი.

ეჭვით შეპყრობილმა მედროგეს შევუძახე:

— მიდი, „ბრატეც“, აჩქარდი!

ცხენს მეტი ღონე არ ერჩიოდა და, თუმცა მათრახის ულუფა მიიღო, მაინც ჩვეული ტემპით მითოხარიკობდა რუსთაველის ქუჩით, საითაც სახანძრო გაუჩინარდა.

ხუთი წუთი მაინც დასჭირდა მამუკას ქუჩამდე მისვლას.

სკოლას ჩავუარეთ და ბაგე ჩავიკვინიტე, ეჭვები გამიცხადდა. ლესტამბეს დაგდებული სიტყვა გამახსენდა და უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კიდევ ერთი უბედურება მოხდა.

ამ ადგილიდან ჯერ თოდუების ეზო-კარი არ ჩანდა, სხვა სახლები ეფარებოდა, მაგრამ სახლების თავზე ატყორცნილი უზარმაზარი ალი დავინახე და ჩემი ეჭვები რეალობად იქცა.

— ვინ იწვის, კაცო? — ხმა ჩაუვარდა ქრისტეშიას.

— ეს გვაკლდა და ესეც წამოგვეწია! — მკერდზე მჯილი დაიკრა მართალიმ.

მედროგემ ცხენს გამეტებით მოსცხო, ისიც მიხვდა, უბედურებაა ჩვენს თავსო და ძალა არ დაიშურა, წამში მივგრიალდით იქამდე.

ნივილ-კივილი, ღრიანცელი და შეძახილი:

— გული გაიმაგრე, მართალი, ყველა ცოცხალია!  
თოდუების სახლი იწვოდა.

მეხანძრები შლანგის გორგლებს შლიდნენ. მეზობლებს ქუჩა გაევსო, ვედროებითა და ბარ-ფინლებით მიმორბოდნენ, მაგრამ ვედრო წყლით ფუტურო სახლს რას უშველიდნენ, ალი უკვე სახურავზე გიზგიზებდა.

დროგიდან ჩამოვცვივდით, მაგრამ რა უნდა გვეკეთებინა.

ლელამ მოირბინა ტირილით, ხმა უკანკალებდა, ნესტორი გადავარჩინეთ, ფეხზე ძლივსა დგას და კაკოსთან გავხიზნეთო.

მართა რკინის რიკულებიანი საწოლით პირდაპირ ქუჩის პირას გაუყვანიათ, იწვა ლოგინში, პანია გიორგი მიებუტებინა და შეშინებული გაჰყურებდა ხანძარს.

მართალი იდგა და თვალი ვერ მოეწყვიტა ცეცხლის წითელი ენებისათვის.

უცებ შებარბაცდა, მე და ქრისტეშიამ ხელი შევავლეთ. ვიღაცამ სკამი მოარბენინა და დავსვით.

— სურათები, ხალხო, ერთი სურათი მაინც... პანორამა... — ლამისაა ტირილი დამეწყო. — სურათები ვერ გადაარჩინეთ?

— მართა და გიორგი გადავარჩინეთ, ნესტორიც! — ბრაზით მომიგო მავანმა.

მეხანძრებებს ფეხებში ვებლანდებოდი, ვეხვენებოდი, ქვედა სართულს მიუშვირეთ ჭავლი, შევვარდები და კედლიდან პანორამას ჩამოვლეტ-მეთქი.

თვითონაც ვხვდებოდი, რომ ნერვებმა მიმტყუნა, ყოველგვარ ზღვარს გადავაბიჯე და უკვე უაზრობას ვჩმახავდი, რადგან უცაბედად სახლმა დგრიალი მოადინა და ზედა სართული ქვედაში ჩაიფშვნა, ვეება ალი ავარდა, ნაკვერჩხლები ჰაერში ცვიოდა და შეშინებული ადამიანები ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ.

ხუთი წუთი არ დასჭირვებია იმის მოსპობას, რაზეც მთელი სიცოცხლე გაიხარჯა.

მართალი წყნარად იჯდა სკამზე და თვალს არ აშორებდა ამ სურათს.

მერე, როცა ყველაფერი მომთავრდა, სახლისაგან ნახშირისა და ფერფლის გროვალა დარჩა, მეხანძრები კი წყალს მაინც ასხამდნენ, მართალიმ უკან მოიხედა, იქითკენ, სადაც გზისპირას რკინისრიკულიან საწოლზე დედა-შვილი იწვა. მართას ფეხზე წამოდგომა არ შეეძლო, გიორგის კი ამ სამყაროში გაჩენის პირველ დღეს ნებიერად ეძინა.

ქრისტეშიას ხმადაბლა უთხრა მართალიმ:

— გაარიდეთ აქაურობას.

დიმიტრი დატრიალდა, ის კაცი, მანქანა რომ ვერ გამოსძალეს „მარადიორებმა“.

— ჩემთან წამოდით, სახლი დიდია, ყველანი დავეტევით!

ასწიეს მეზობლებმა რკინის საწოლი და დიმიტრის სახლისაკენ წააციმციმეს.

— წამოპრძანდით, მართალი ბატონო! — მორიდებით ვთხოვე. მინდოდა, როგორმე გამემხნევებინა, მეთქვა, რომ უფალს უყვარს დაჩაგრულები, რომ ყოველივე ღვთის ნებაა, მთავარი ისაა, რომ ანგელოზი გაჩნდა ოჯახში და ა.შ. მსგავს წინადადებებს ვაკონინებდი, თქმით კი ვერაფერი ვთქვი.

ამასობაში ჩამობნელდა კიდეც.

მეტი არაფერი გვემუქრებოდა. ვისხედით დიმიტრის ფართო ზალაში პირგამეხებულნი, ხმის ამომღები არავინ იყო.

ბუხრის თავზე ნავთის ლამპა ხრჩოლავდა.

უკანა, სასადილო ოთახში მეზობლის დედაკაცები საქმიანობდნენ — ჭირის სუფრას შლიდნენ... ადამიანს, რაც გინდა უბედურება გადახდეს, კუჭი მაინც შეახსენებს თავს. მთელი

დღე უჭმელები ვიყავით და გულის კოვზთან საშინელ წვას ვგრძნობდი.

სადღაც შუალამე იქნებოდა, როცა სუფრასთან მიგვინვიეს. ოცდაათამდე მეზობელ-ნათესავი შეიკრიბა. დათრგუნვილები უხმოდ ვილუკმებოდით. მასპინძელმა დიმიტრიმ ასწია ჭიქა. მოკლედ ლაპარაკობდა. სხვებიც მოკლედ პასუხობდნენ ან მთლად უსიტყვოდ სვამდნენ. ცხადია, ეფრო ბებია მოვიხსენიეთ, გაჭირვებაში იცხოვრა და დაკრძალვაც უბედური შეხვდა, კარგი ქალი იყო, კერკეტი კაკალი... მერე წინაპრებს ჩამოჰყვა დიმიტრი. ჯერ უტუ თოდუა ახსენა, მართალიად წოდებული, მერე გუდუ ახსენა, მერე დიდი ნესტორი და მასთან კვლავ ეფრო, უფროსი ტატაჩისა და მართას სულები მოიხსენია, დარიკო მამიდაც არ დავიწყებია... ძველ და ახალ ომებში დაღუპულთა მოსახსენებელი ფეხზე ადგომით დავლიეთ... ცოცხლებზე რომ გადავედით, დღეს დაბადებული გიორგი და მისი დედიკო ვადლეგრძელეთ, ტატაჩის მალე დაბრუნება ვუსურვეთ... ამ სიტყვების დროს მართალი და ქრისტეშია თავდახრილები ისხდნენ და ხმა არ გაულიათ.

გვერდით კაკო მეჯდა, ჯერ თავისი დაკარგული „უიგულით“ გამიხვრიტა ტვინი. პირი ჩემს ყურთან მოჰქონდა და წუნუნით იოხებდა გულს... შემდეგ ხანძრის თემაზე გადავიდა, გაკვირვებული იყო, საიდან გაჩნდა და რანაირადო.

— ერთი კვირაა, ლაფაროში ლობიოს ვხარშავთ და არაფერი მომხდარა. იმ დღესაც ვხარშავდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ იქ ვიდექი მთელი დღე და ნაკვერჩხალი კი არა, ნაპერწკალი არსად გადავარდნილა. დენი არ იყო, დენს რომ დავაბრალოთ მაგალითად... ბუხრის მიღს არ წაკიდებია და არა... თითქოს სახურავზე დაეცა რაღაც და მთლად კუნუბიდან წაეკიდა... ეს როგორ, კაცო, შიფერს წაეკიდა?

გადავილალე, არავისი მოსმენა არ მეწადა. სამი დღეც არ გასულა, რაც ვაზისუბნის ბინიდან გამოვედი და, იმდენი რამ გადამხდა, სამი წლისთვისაც ბევრია. თვალი მეხუჭებოდა და, ასე თუ გაგრძელდებოდა, სკამიდან გადავვარდებოდი. ამიტომ კაკოს პირზე სიტყვა შევატოვე და სუფრას გავმორდი. უმალ დიასახლისი მომვარდა, ხომ არ მოისვენებთო.

მადლობა მოვახსენე. გამიძღვა და კუთხის ოთახში, ფანჯარასთან, გაქათქათებულ ლოგინთან დამტოვა. თავთით, უურნალის მაგიდაზე სანთელი ბუტავდა.

გავიხადე, სანთელი ჩავაქრე და საპანში გავეხვიყ.

უმალვე ჩამეძინა, უფრო სწორად, დავიწყების ბნელ მორევში ჩავიძირე. რამდენ ხანს ვეგდე კუნძივით გათიშული, ამას ვერ ვიტყვი. თვალი რომ გავახილე, ისეთი მდუმარება სუფევდა, თითქოს ყურები ბამბით მქონდა დაცული, ოთახი კი მქრქალი, თეთრი სინათლით ივსებოდა.

„ალბათ, რვაზე მეტია!“ — გავიფიქრე.

მინდოდა, ძილი შემებრუნებინა და თვალი დავხუჭე. ოღონდაც, საბოლოოდ გამოვფხიზლდი და ასევე თვალდახუჭული კარგა ხანს ვიწექი. ვფიქრობდი წელანდელ ფათერაკებზე, თოდუების ოჯახს თავდატეხილ უბედურებებზე, რაიც ქვეწის უბედურების პირდაპირი შედეგი იყო... მიზეზს ვეძებდი და მიზეზი, აგერ, თვალნინ მედო: არეულობა, ძმათამკვლელი ომი, ნგრევა, კრიზისი... „ასპარეზი ლესტამბე თოლორაიასათვის!“ — უნებლიერ ჩამონათვალს მივაყოლე და ამით ჩემი ეჭვების პერსონიფიცირება გავბედე.

მოუსვენრობამ შემიპყრო. თვალი დავაჭყიტე. ოთახი ცივ სინათლეს აევსო, ფანჯრებში მსხვილ-მსხვილი ფანტელები ტრიალებდა.

„თოვლი მოსულა!“ — გავიხარე და ბავშვური წადილით წამოხტი, სწრაფად ჩავიცვი.

აივანს მივაშურე და კიბის თავზე გავჩერდი.

ისე ბარაქიანად თოვდა, იმსიმსხო ფიფქები ჩამოდიოდა, ათიოდე მეტრში რკინის შავად გადალებილი ჭიშკარი ოდნავლა ილანდებოდა.

კიბე ჩავირბინე, თურმე წვივამდე დაედო. ისე ვიყავი გულდამძიმებული, ბავშვივით კოტრიალს ვერ დავიწყებდი, მაგრამ ჭიშკრისკენ წავძუნძულდი, ქუჩაში გავედი.

თეთრზე თეთრი, ფაფუკი თოვლი ეფინა ქუჩას, ღობეებს, სახლებს, თოვლის ქულები ბათქუნით ვარდებოდა ხეთა ტოტებიდან და თვით ხეები ბამბით დაპენტილ საახალწლონაძებსა ჰგავდა.

წინიდან, ათიოდე ნაბიჯზე მანქანის ფარებმა გამოანათა, ნელი თუხთუხით ჯიპმა გამოიკვლია გზა.

კაპოტზე მტკაველი თოვლი იდო, საქარე შუშაც ცუდად იწმინდებოდა და მგზავრებს ვერ ვხედავდი, მაგრამ გამოცანას არ წარმოადგენდა თუ ვინ იჯდა მანქანაში.

გზიდან გადავედი, დაველოდე.

შუშამ ჩაინია, მანქანიდან დურუ გეგიამ ამომხედა... პირისახე შეწითლებოდა, არ ვიცი, სიცივისაგან (მაინცდამაინც არ ციოდა!), არ ვიცი, სიმორცხვისაგან. წამწამებს არც ახამხამებდა, მაგრამ თვალის გუგები გაურბოდა აცაბაცა, მზერას ვერ მისწორებდა.

— ეს რა მომხდარა, კაცო!

პასუხი არ მიმიცია, რადგან ამ წამოძახილში კითხვა კი არა, ფაქტის კონსტატაცია იგულისხმებოდა.

— ჩვენ, გამგეობაში, ამხანაგებმა... (ამ „ამხანაგებმა“ ტვინში გაკვესა!) ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რამეთი დავეხმაროთ...

ცოტა ხანს იყუჩა. ამასობაში მე სათვალთვალო ადგილიდან საჭესთან მჯდარი მავანის მსხვილი ფეხი დავაფიქსირე, ცხადია, ერთ-ერთი „ამხანაგისა“.

— მთავარია ბინა... — თქვა დურუმ და წუნუნიც მოაყოლა: — როგორ ჭირს... როგორ ჭირს... ბინებს უკვე აღარ ვაშენებთ, მაგრამ ერთი ოთახი გვაქვს ბარაკში.

— ბერი ზაქარაიასი! — უცბადვე მივხვდი.

— საიდან იცით? — გაიოცა დურუმ.

— ტუბერკულიოზიანის ოთახი, მართალის კი შვილიშვილი შეეძინა...

— როგორ გეკადრებათ, იქ ხომ დეზინფექცია გაკეთდა!

ვიცი მე ამათი დეზინფექცია და დაბლა დავიხარე, რათა დურუს მეზობელი შემეთვალიერებინა და აკი ის შემრჩა, ვისაც ვვარაუდობდი.

ლესტამბე თოლორაიამ კარი გააღო, მანქანიდან ცალი ფეხი გამოყო და ასე ნახევრად გარეთმყოფმა მანქანის ზემოდან გამომხედა. აქედან იდაყვებით მე დავეყრდენი მანქანას და მზერა გავუსწორე.

კარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია, მაგრამ თითქოს მისი ნაფიქრალი მესმოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ მან ეს იცოდა.

თავდაპირველად ლმობიერად მიყურებდა, უცოდველი სიფათით, მერე წვრილი თვალებიდან, რომელიც ჩასუქებულ პირისახეზე ოდნავდა აჩნდა (გამახსენდა ძველი სვავი ლეონტი რიაბცუკი!), ბოროტი ისრები ამოიჩაჩხა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დავასწარი და უცბად მივუგდე:

— შენ, მხოლოდ შენ... — პატარა პაუზის შემდეგ კი მივაყოლე: — უკეთური არაფერი ხდება ამ ცისქეშეთში უშენოდ!

ხმა არ გამცა, უკანვე ჩაჯდა და კარი მიიჯახუნა.

დურუმ საწყლად გამიღიმა, მაგრამ მე იგი უკვე აღარ მაინტერესებდა, რადგან ვერანაირი სავარძელი მოკლე კაცს ვერ აამაღლებს.

ნაბიჯი უკან გავდგი ფაფუკ თოვლში და ჯიპს ზურგი ვაქციე. ის კი ათუხთუხდა, დაიძრა და ნელინელ გამშორდა.

თეთრ ბურუსში ჩაიკარგა მანქანაც, მისი თუხთუხიც და სულ მალე ბორბლების ნაკვალევიც თეთრმა თოვლმა დაფარა.

ნახანძრალისაკენ გავემართე, თან გულსა მტკენდა პირველი თოვლის წმინდა მშვენიერება, ფიფქების მდუმარე, მსუბუქი შრიალი და ის, რომ ყოველივე ამის ქვეშ ჩაიმარხა ფერფლადქცეული საუნჯე, მართალი თოდუას მარადიული სულის ფერადოვანი ანარეკლი.

თეთრმა თოვლმა წაშალა უბედურების ყოველნაირი კვალი, თანაბრად დაეფინა ეზო-გარემოს, ხეხილსა და ბოსტანს, ჭასა და ოწინარს, ირგვლივ შემოვლებულ ღობეს — მაღალ ტრიფოლიატს, რომლისკენაც თავის დროზე გაიქცა ტატაჩი თოდუა და ვეღარ გადაახტა, რადგან წამოზრდილი დახვდა... თეთრი თოვლი დაეფინა ნახშირისა და ფერფლის გროვას, თოდუების ოდა-სახლის სასაფლაოს.

ვიდექი და გავყურებდი ყოველივე ამას. ციდან უწყვეტად და ხვავრიელად ბარდნიდა თეთრი ფანტელი, ძირს ეფინებოდა.

შემოვბრუნდი, ეზოდან გასვლა დავაპირე და ამ დროს ტრიფოლიატებში გაჩერილი ქაღალდის ნაგლეჯს მოვკარი თვალი...

აი, სასწაული!.. ყველაფერი განადგურდა, ქაღალდის ეს ნაგლეჯი კი გადარჩა, წამოფრიალდა და აქ, ეკლებში გაეჩხირა.

ფრთხილად ჩამოვხსენი, ხელისგულზე გავასწორე. გვერდები შეტრუსული ჰქონდა, მაგრამ ნახატი კარგად ჩანდა. უბრალო ნახატი იყო, ფანტრის ერთი მოსმა — ცირას სახის უჩვეულო ოვალი, თვალების ირიბი ჭრილი...

უკან, დიმიტრის სახლისკენ გავეშურე. ჭიშკარში რომ შევედი, მართალი დავინახე. კიბის საფეხურზე იჯდა და ფანტელებს გაჰყურებდა, თვითონაც მხრებზე და ქუდზე მტკაველი თოვლი ედო.

უხმოდ გავუწოდე.

როცა მართმევდა, ხელი უკანკალებდა.

დიდხანს დასცექეროდა და ბოლოს თვალაწყლიანებულ-მა თვინიერად თქვა:

— გმადლობ, უფალო!

27.08.99

თბილისი

## შინაგასი

ნაწილი 1. შავი, წითელი... -----	3
ნაწილი 2. წითელი... -----	119
ნაწილი 3. ჭრელი... -----	232
ნაწილი 4. მართალი ტოდუა -----	364